


974/4

34705520
0162010333

האינדיאני

10

1974



სსსკ

209

გამოცემის მეთვრამეტე წელი

15431

10

ოქტომბერი

1974

თბილისი

საქ. კვ. ცვ-ის გამოცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საპარტვილოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

კ. შაქსის ს. ს. ს.

შინაარსი

კოეზია, კროზა

- 3. ალუდა არაბული. ლექსები
- 6. გიორგი ხორგუაშვილი. ჯონება. მოთხრობა
- 24. მურმან ჯგუჯური. მდინარისპირა უანა. პოემა
- 29. კიმი ალიაშვილი. ბედის სიმღერა. მოთხრობა
- 41. ილია ხოშბარია. ილალი. ლექსი
- 42. მანანა ავალიშვილი. სატკივარი, როცა საშვილი არ აქვს. მოთხრობები
- 47. გივი ჩხიკვიშვილი. დეკემბრის ზღვა ნოველა
- 53. კახი ლავროვლი. გორბა. მოთხრობა

ახალი თარგმანები

- 80. იოჰან ვოლფგანგ გოეთე. ფაუსტი. თარგმანი გერმანულიდან იორამ ქვერტელიძისა

ნარკვევი

- 87. სერგო გიგაური. ისნელი ნოვატორები და მისი მიმდევრები

125 — უაზგები — 125

- 91. ეთარ ავსაჯანიშვილი. ალექსანდრე უაზგები მთის კოეზიის უმჯობეები

70 — ბაჟანი — 70

- 99. მიკოლა ბაჟანი. სიმღერა. თარგმანა ჯანსუღ ჩარკვიანმა
- 101. ოთარ ბაჟანიძე. დიდი უკრაინელი მწერალი

30 — ბულგარეთი — 30

- 107. რევაზ სირამე. ბულგარულ-ქართულ-ბიზანტიურ ურთიერთობათა ისტორიიდან

წერილები

- 121. რევაზ თვარამე. კლასიკი და არემოკაბელი
- 131. დავით ფანშულიძე. ორი კოეტი
- 140. მედაბ გორდელაძე. ჟურნალი „ქურა“ და მისი როლი ქართული საზოგადოებრივი ჩამოყალიბებაში
- 154. ნოდარ შვალციძე. დიადი ბადატრილები
- 158. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

გუკამ ასათიანი,
ვალერიან ბაჟანი,
პაპი ბაჟანი,
გივი გეგეჭორი,
გუკამ გვარდუნიანი,
მერაბ ელიოვიშვილი,
კარლო კალამი,
კონსტანტინე
ლორთქიფანიძე,
ოტიპ პაპკორია,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნოდარ წულუკიძე,
ტარიელ მანუჩარი,
სერგი ვილანი,
თავაზ ვილანი,
ლაშა ჯანაშია.

მ მ ე

დიდება მალა დინების, სრბოლის
 ამ დღეებს, ახლა უდიადესებს.
 ლექსებს დაეჭვა კომკები ბროლის,
 დღეს სხვა სჭირდება მასალა ლექსებს.
 და გრგვინავს ბრძმედის, ნამგალის, გრდემლის
 ეპოქა გრგვინვით მესხის ათასის, —
 დღეს უმაღლესი სიტყვაა კრემლის,
 უპირველესი ფერი — მკათათვის.
 ვაშა შენების, წინსვლის და შრომის
 ამ დღეებს, ახლა მშვენიერს ასე,
 სალამი მუდამ პირველთა შორის
 დაკოჭრილ ხელებს, ხელებს ძვირფასებს...

სიზღარა სვილისფარასი

თვალს უმშვენესი გაუშალე
 ბალახის ლურჯი საგებელი;
 ნამი ნამცვრევი ჩაუშალე,
 ლაჟვარდიანი საქებელი;
 აგრემც გამჭედი გიცხონდება,
 ცელო, ნამხრევი ჩამიჯარე,
 დილითწუსრამდე მათიბიე, —
 გული მტრისაი გამიჯარე;
 ვაჟკაცად ვაჟი მათქმევიწე,
 ისეთი გამომარჩევიწე:
 სწყუროდეს სხვისი წყურვილითა,
 სტკიოდეს სხვისი ტკივილითა...

გამიჭერ, აგრემც გენაცვლები,
 დაბინდებამდე მათიბიე,
 მთას ქორებულად მაყივლიე,
 ოფლის სიმური მაჩქეფიწე,
 ქალი ლამაზი მაქეზიწე,
 ვაჟკაცის საქმეს ამაბირე,
 ლაჩრის საქმეზე ამატირე;
 სხვისი სირცხვილიც შემარცხვიწე,
 სხვისი ტკივილი ამატივიე.

მამულის ტალად დამაყენე,
 მკედარს მისი მიწა დამაყარე...

გამიჭერ, აგრემც გენაცვლები,
დილითნუხრამდე მათიბიე,
ოფლის სიმური მალვრევიწე,
ვაჟის სახელი მაქნევიწე...

სიზღარა შავგრაჟანისა

სათიბად მხოლოდ ყვავილოვანს
სათიბებს ლამაზს ავირჩევიდი,
სავალად მხოლოდ ხავერდოვანს
მდელოებს ფაფუკს ავირჩევიდი.

პირიშის კარავს დაგიდგამდი,
თამრის თვალებით მოვირთავდი;
სარეცელს ჭრელი ყვავილისას
გაგიშლიდი და მოვირთავდი;
მთვარის ელვარე სამაჯურებს

გიძღვნიდი, მკლავებს მოვირთავდი;
მზის სხივთა უცხო ფარდულებით
ყელს მოღვრებულს შევიმკობდი;
კარსა, სარკმელსა, კამალასა
შუქის შიბებით შევიმკობდი.

გითიბდი, მრავალს მოგიტიბდი,
ზვინებს უთვალავს მოგითვლიდი;
შენ ჭადისკვერებს დამიცხოზბდი,
მთვარისფერ ვაჟებს დამიჩენდი
და ჩემს ცხვარ-ძროხას მოუვლიდი...

ჩრდილს თუ ითხოვიდი, — ფოთლებისას
სანუკველ ჩეროს მოგართმევიდი;
იების სურნელს გიბოძებდი,
ტანს იმ სურნელით გაიბანდი;

თმეას სარეცელზე გაიფენდი;
მე შენს ტერფებთან მოვირთხამდი.
გულმკერდს ამბორით მოვირთავდი;
სიმღერებს წვიმის ჩხრიალისას
და სათიბისას გიმღერებდი,
მერე ორსული მინდვრებისას —
ჯეჯილებისას გიმღერებდი.

თმების მორთვას თუ ისურვებდი,
ყვავილის გვირგვინს დაგხურავდი.
სამოსს თუ რასმე ისურვებდი,
მზის სხივთა ქოქლოს მოგასხამდი.
ბაგეს ამბორით მოვირთავდი...

გაყვინის ნასაძი

ცას მარტუდელის, ცისკრის, სულთხის
მიხატებული, ხომლი — გრიფელით...
წინდორში ქოხი. პატრონს ამ ქოხის
უდგას ბალახი მოუთიბელი.
წყაროსთან ბიჭი ლამაზი თუნგით,
ველზე ცხენი და ნახირი ძროხის...
მერე ქედებთან გაკრთა მგლის ზურგი
და წამსვე კარიც გაიღო ქოხის...

ერის სიმდიდრე

ბარისახოს სატყეოს უფროსს
გაბრიელ ოჩიაურს

ჩემო გაბრიელ, ესაა ერის
სიმდიდრე, ლხენა და სიცხოველე, —
ტყე თუ შრიალებს და წყარო მდერის,
ო, მართლა მდერის ცისქვეშ ყოველი.
დღეს რომ უხსენო დგნალი და წნორი,
მოიქეჩავენ ზოგ-ზოგნი კეფებს...
შენა ხარ ახლა ნამდვილი ლომი
და ხევსურეთის ტყეების მეფე.
და რომ ხსენება იფნის და თელის
არ დაგვიძვირდეს წინარე ყოვლის,
დასტურ სჭირდება ჩვენს ტყეებს შეველა
ტყეში ბუხუნი, — შენნაირ ლომის...



პიორგი სორკაუშვილი

ჯონგა

ჯონგას ღონივრად მოედერებინა სქელი კისერი; მივიწყებოდა, რომ პირში გასჩროდა ბლუჯა ბალახი; კიდევ უფრო გაჰფართოებოდა დიდრონი თვალები და ადამიანივით ცნობისმოყვარედ მისჩერებოდა უცნაურ სანახაობას.

მის საბალახოში მოხროვილიყვნენ მთელი უბნის ძაღლები და ერთი რიარია ედგათ. ხან თავიანთებურად, ცხოველური გრძნობა-ინსტიქტით ეალერსებოდნენ ერთმანეთს, ხანაც ძაღლური შურით აედრინებოდნენ და, თუ დასჭირდებოდათ, დასაგლეჯადაც იოლად გაიმეტებდნენ ერთურთს.

ჯღუნას, მთელი სოფლის ძაღლების თავად რომ იყო ხელდასხმული თვით მყეფარების მიერ, სასუმარო შეღრენასაც ვერც ერთი გაუბედავდა, თუ თავად არ მოეპრიანებოდა. მაშინ კი, გემრიელი ნარჩენებით ნასიამოვნები, მზიან გუნებაზე გახლდათ და გული დაეტოვებინა უბრალო ძაღლებისთვის, რომელთათვის კაპიკიანი შეხედვაც არ გაუმეტებია სხვა დროს. ახლა კი თავისებური ხალისით ეკაპუნებოდა, სწორდირსეულივით ებულრავებოდა, ისე ეალერსებოდა. თითქოს სიყრმის მეგობრები ყოფილიყვნენ, ერთ ბუნაგში სძინებოდეთ და ერთ გობში ეჭამოთ სალაფავი. წახალისებული ძაღლები თამამად ებღლაძუნებოდნენ, მაგრამ ფრთ-

ხილობდნენ არ გადაემლაშებინათ. არც ისინი ღალატობდნენ უფროს-უმცროსობის მარად გაუხუნარ მორალს. რაც პატივმოყვარე ჯღუნას ეგუნებებოდა, იმას სჩადიოდნენ. არ დაეიწყებოდათ, რომ ძაღლების თავს ყველაზე მეტ სიამოვნებას ჰგვრიდა მუცლის ფხანა, უფრორე მაძღრობისას და ამჯერადაც ცდილობდნენ ამ უებარი საამებლით მოეგოთ მწყალობლის გული. მაგრამ საამებელი ერთი იყო, მუცელი ერთი ჰონქდა ჯღუნას, მაამებელი კი რატო ოცდაათი არ მოითვლებოდა, ბევრი-ბევრი სამი-ოთხი ძაღლი მისდგომოდა ერთდროულად ჯღუნას მუცელს და ერთი წეწვა-გლეჯა ჰოქნდათ, რომელი რომელს მისაწრებდა. ამაში კი პირველობას არავის დაუთმობდა ახალი დაძაღლებული ბობლია, რომელსაც თავდაღლის საამებლად, ერთგულებისა და უნარიანობის დასადასტურებლად ბევრ უმწეო ძაღლზე და უცოდველ ხბოზეც გაუთსისხლიანებია კბილი...

ბობლია მისვდა, რაზეც გაიზმორა ჯღუნა, ისიც იგუმანა, სად უნდა წამოგორებულიყო მეფე-ძაღლი და იმ ადგილისაკენ მიემარჯვა; ფეხების მალლა შეშვერა არც კი აცალა ნებიერად წამოგორებულს, უმაღვე წამოსკუბდა და ორივე თათით გადაეფაფრა, რათა მას რგებოდა ყველაზე მეტი საფხანი, და

იმწამსვე შეუდგა თავისი დიადი მისის განხორციელებას. ფხანდა ჭანგიანი თათით კი არა, რბილი დრუნჩით, ფხანდა დიდი სიფრთხილით და ოსტატობით, ისე საამებლად, რომ ერთი უკმაყოფილო გარჩინებაც არ დაუმსახურებია შარისმოყვარე ჯღუნასი. ფხანდა და თან თვალეში შესციცივებდა, უამიდაჟამ თუ გამოაპარებდა ქურდულ მზერას თანატოლი მამებლებსკენ, აიუნუნშიც არ ავღებდა მათს შურიან შემოხედვას და ჩვეული გულმოდგინებით განაგრძობდა ამ საპასუხისმგებლო და საპატიო მოვალეობის შესრულებას.

ჯღუნამ უკმაყოფილოდ გაიღრინა და უკანა ფეხით მოიქექა ლავიწი.

მამებელნი შეფიქრიანდნენ.

გონებაგამჭირახი ბობლია უმაღვე მიუხვდა, რაზეც აემღვრა გუნება თავაღლს, მინიშნებულ ადგილზე მიუსვამოუსვა დინგი, ცხენის ბუზი უპოვა, ჯღუნას დაანახა და სიამოვნებით გადასანსლა.

ჯღუნამ მადლიერის თვალით გადახედა ბობლიას, რომელსაც სიხარულის ფრთები გამოესხა და თავმომწონედ გადახედა გარშემო შემოხვეულ ძაღლებს.

ეგეც მოიმიწვანია თავაღლმა. მოსაშორებლად შეუღრინა მასიამოვნებლებს, ნებიერად გადაიზღაუნა, მზეს მიეფიცხა და თვალეში მიღულა.

დათხოვილი ძაღლები კი ერთმანეთში აირივნენ და ხალისით გაიბულრავეს.

იქვე ახლოს, კაკლის მორზე ჩამოქდარიყო შავტუხა გიგლო და ყმაწვილური ცნობისმოყვარეობით უცქეროდა ძაღლების ბღუნაობას. ეს სანახაობაც მოიწყინა, პირში თითები ჩაიჩარა და წყვეტილ-წყვეტილად ჩასტვინა.

ძაღლები წამოცვივდნენ, ბიჭისკენ გაქაუნენ, გარშემო შემოეხვივნენ და რაღაცა გახარებულის მოლოდინით შესწკმუტუნეს.

გიგლოს უყვარდა ძაღლების ყურთაგლეჯის ცქერა, რაღაცა თავისებური სი-

ბრძნე-სისულლე ელანდებოდა მასში, წინასწარ წარმოიდგინა, რა უნდა მოჰყოლოდა განზრახულ გათამაშებას და გამოუცნობი ღიმილი დასათამაშებდა უბრყვილო სახეზე. ჯერ ეგრე მოუთმენლად ანერწყვიანა მყეფარებს, მერე ერთი სახარბიელო ძვალი გადაუგდო, დეკეულის კანჭისა, უნდო-მანდოდ გაძიძვინო, გადაუსროლა და უმაღვე გაქაუნენ ძაღლები. მზად იყვნენ ერთმანეთი დაეფშვათ, ოღონდაც როგორმე მოხვდებოდათ უძვირფასესი საკბილო, მაგრამ გონიერ-ღონიერმა ბობლიამ აქაც ყველას აჯობა: დასწვდა და ჯღუნასკენ გააქანა ჯერ ისევე თბილი ძვალი. ჯღუნამ ხარბად ჰკიდა კბილი, განაპირდა, წამოჯდა, თათებქვეშ მოიქცია. ამის მერე კაი ძაღლი იყო რომელიმე და თუნდაც უკმაყოფილო ღრენა წამოსცდენოდა. უჩუმრის პირითვე გაბრუნდნენ, შორიხლოს წამოსკუბდნენ, დასიცხულელებით გადმოყარეს გრძელი ენები და საცოდავად შესცქნაოდნენ.

ჯღუნას თუმცა არ უქოთქოთებდა მუცელი, მაგრამ ისეთი თავდაუიწყებით ღრღნიდა, თითქოს მთელი დიდმარხვავა კბილებქვეშ ლუკმა არ შეუვლიათ. თვით ღრღნა სიამოვნებდა და იმ თვითრწმენის შთაგონებას გაემედოდურებინა, რომ იმხელა საძაღლეთში მხოლოდ იგი იყო ღირსეული იმ ერთადერთი ძვლისა.

გარშემო წამოსკუბებულ ძაღლებს მალ-მალე გაუჰყრიალებდათ აღურღლუტებელი მუცლები და ძირს ეწვეთებოდათ შეუოკებელი ნერწყვი.

ყველაზე წინ დასკუბებულ ბობლიასაც ენერწყვებოდა პირი, მაგრამ თავისებურ კმაყოფილებას გრძნობდა, რომ თვალსახარბი ძვალი, რომელსაც ჯღუნა ღრღნიდა, მისი მირთმეული იყო.

ბიჭმა კვლავ წყვეტილად ჩასტვინა.

ძაღლებმა თავები შეიღერეს.

გიგლომ ერთი დიდი ძვალი კიდევ

გიორგი სოფელაშვილი
ჯონა

ისროლა, ამჯერად ხერხემლისა, ისიც სორცგამოყოლილი, ისიც სანერწყვო. ძაღლები უმალვე დაესივნენ.

ახლა კი აღარავითარ შემთხვევაში აღარ ინდობდნენ ერთურთს, გააფთრებთ იბრძოდნენ ძვლის დასასაკუთრებლად, ერთი რომ დაიჩემებდა, იმწამსვე წასწვდებოდა მეორე და გამოგლეჯდა. ახლა იმას ეცემოდნენ და პირში ჩალაგამოვლებულს დასტოვებდნენ. და ეს განხეთქილების ძვალი ვადადიოდა კბილებიდან კბილებში. ბოლოს ისე გამწვავდა მდგომარეობა, რომ დაგლეჯასაც აღარ ერთობოდნენ. ერთურთი დასისხლანენს. ერთმა ვავეშებულმა მოძალადემ ისე გამეტებით ვაპკრა კბილი მოცილეს, რომ ბარე ორი გოჯის სიგრძეზე გაუხია ტყავი და სისხლით შეუღება ბალანი. ვინა სთქვა: ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახვესო.

განა ერთი და ორი მყეფარი დასისხლიანდა.

მხოლოდ მაშინ დაიცხრეს წაგლეჯისა და შურისძიების გზნება, როცა ძვლის ნატამალიც აღარ დარჩა.

●

ჯონგასაც მობეზრებოდა ძაღლების ბულრაობისა და წიწვა-გლეჯის ცქერა. ყორულის ნაპირს ამოსდგომოდა და ხარბად სძოვდა ხრაშუნა ბალახს. მომლოდინედ შეიღერა თავი და თვალი ჰკიდა კიდევ ბიჭს, რომელიც მსუბუქი ნაბიჯებით უახლოვდებოდა. ხარი გახარებული ადამიანივით შეიშმუნა, ხალისით მოძოვა ორიოდღე ლუკმა ბალახი, თავი დაღუნა და ყურებმოძაბრებული დაელოდა ბიჭს.

— ჯონგა!—სასიამოვნოდ ჩაესმა გიგლოს ხმა.

ხარმა თავი ასწია, ოდნავ გააღო პირი, ბავშვი რომ გაიღიმებს ისე, და საკეთილო ნაოჭები აისხა ფართო შუბლზე.

— როგორა ხარ, ჯონგა! — დიდი ხნის უნახავივით ჰკითხა და მოშიშველებული მკლავი გადახვია სქელ კისერზე.

ხარმა სიხარულით ამოიზმუვლა, გეზიერად წაიგრძელა კისერი, თვალებში მოჭუტა და მიაღერებინა მოღრღინე გილურსა.

ბიჭმა მეორე ხელი მოუთათუნა და ბაბზე და თბილად ჩასჩურჩულა:

— ჯონგა, ჩემო ჯონგა, იცი როგორ მომწყურდება ხოლმე შენი მზერა და ალერსი! ადამიანობას გეფიცები, ღვიძლი ძმასავით მახარებს შენთან ყოფნა. შენც ასე ხარ, ხომ?

ხარმა ამოიზმუვლა.

— მჯერა, ჯონგა, მჯერა. ნეტავი, მეტყველი იყვე, რომ ენად გაიკრიფო და აღტაცებით მესაუბრო! თუმცა ისედაც გასაგებია შენი გულის მოძრაობა!... გულსგამომბული ადამიანივით ეალერსებოდა.

ხარი ცხოველური სიხარულით ცმუკავდა.

ბიჭმა ქეჩოზე მოფხანა, რქებსშუა გადმოუსვა თითები, შუბლზე მიმოუთათუნა, დაიხარა და აჭიმულ წარბზე აკოცა.

ჯონგას თვალები გაუწყლიანდა, მაღლიერებით მოიფიწროვა სქელი ქუთუთოები, კმაყოფილებით ამოიფშვინა და მწყურვალედ შეაცმატუნა ჯივრისფერი დრუნჩი.

ბიჭი მიუხვდა და ლოყა მიუმარჯვა.

ხარმა ფრთხილად მიმოუსვა პირი.

— ჯონგა, შე ჯივრიანო ხარო, შენც გეუბნება საკოცნელი?!

ჰაი, შე უენო მეტყველო, ჰაი, შე ჩემო განუყრელო ძმაო!

●

სისხლდამპრებული ხარია ჯონგა. თვალადი და ტანადი. ღონიერი, ვითარცა სიტყვა.

გიგლოს გუშინდელივით ახსოვოს მისი ყზაწვილობა; ხუთიოდე დღის ჩვილი რომ კანკალით აბიჯებდა მიწაზე, თვალების ფოფინით რომ აეტუზა დედას, რომელმაც ხაოიანი ენით აულოკა შუბლი და ბიჭივით დააქოჩრიანა. როგორ მალე მოიჩრჩხვა და მიეცა ძაღლი.



რა მალე შეყარა ტანი. მას როგორი გა-
იზრდებოდა იმ მადის პატრონი. რაც იმ
ერთმა ბუნწულამ ღალიანი რძე წოვა,
ბარე სამი ხბო გამოიკვებებოდა. გულ-
უხვი პატრონი სამყოფზე მეტ რძეს
სტოვებდა ჯილაგიანი ძროხის ცურში,
ბევრჯერ აღარც კი მოუგერისებდა,
პატარა ჯონუკამ გაიხაროსო, რამეთუ
ახსოვდა ანდაზა: მოვწველი ნაწველს
შეემატება, არ მოვწველი და—ხბოსაო.
მაგრამ უჯერ-მაჯეროდ როდი აჭმევდა.
არ გამიაზინდესო, საჭმელს არ მოაწყო-
ნებდა. კარგად მოაშიებდა, დედის რძეს
მონატრულებდა, ჯერზე მიუშვებდა,
ჯონუკაც სიხარულისაგან შეითამაშებ-
და, მკელივით მივარდებოდა ბარაქიან
ჯიქანს, ღონივრად მიუჯლახუნებდა, ხა-
რბად გამოყლურჭავდა, მოიყირპებდა,
გამოიგანებდა. გახალისებული გაი-
კუნტრულებდა, ხან მოძიძგილე მამლე-
ბისკენ გაქანდებოდა და მედიდურად
დაუფრუტუნებდა, ხან მეზობლის ლე-
კვს — ჯღუნას გაეთამაშებოდა. ლეკ-
ვიც ხასიათს გაუსწორებდა, ძმობილივით
აპყვებოდა, ართობდა და ახალისებდა-
ისე მიეჩვივნენ, რომ უერთმანეთოდ
ცოფნა უქირდათ.

გიგლო ბიჭი ორივეს ეფერებოდა:
საკუთარ ხბოსაც და მეზობლის ლეკვ-
საც. მაგრამ ხშირადაც ტუქსავდა ორი-
ვეს, უფრო მეტად გაეშმაკებულ ლეკვს,
რომელიც რაიმეზე წაიცდენდა გუ-
ლუბრყვილო ხბოს და ხათაბალს გა-
დაპყრიდა, განზრახ გაეჭკოდა, თავისი
პატრონის ბაღჩაში ვადაიტყუებდა, ან
ხახვისა თუ ოხრახუში კვალს გააქლი-
ნებდა, ან წიწილ-კრუხს დააკრახიანებ-
და და გაბრაზებულ პატრონისა თუ
ერთგული ძაღლის რისხვას არ ააცდენ-
და.

ამის მაკერალი გიგლო დაუსჯელს
არ დასტოვებდა გაანცებულ ლეკვს,
დატუქსავდა და დაიფრენდა.

ხბოს კი მიეფერებოდა და ბავშვი-
ვით შეაგონებდა:

— ცოტა ფხიზლად იყავი, ჯონუკა; დი-
დი ეშმაკია ჯღუნა. რაც დეღამიწის ზე-

ვით დადის, სამი მაგხელა მიწის ქვეშ
დაძვრება. დიდი მაცდურია, ერთდღე
თავს ნულარ გაუყადრებ მაგ არდასაც-
ლებელსა!

ჯონუკას, აბა, რა ესმოდა ბიჭისა. მა-
ინც თანატოლ ჯღუნასკენ მიუწვედა
ჯული. ხან თავისებური ოინბაზობითა
და თამაშობით გაახარებდა, ხან მოუ-
ლოდნელ ხიფათს გადაპყრიდა და ამაო-
ბაში ელეოდათ ყმაწვილობის დღეები.

გიგლო ბიჭი კი სიყვარულით დაზ-
რუნავდა ბოჩოლას, ხალისით უვლიდა,
კვებითაც ხომ დიდებულად ჰკვებავდა,
ძუძუს მოშორების მერე ხასხასა ბალ-
ახსა და თივთიკა თივას არ უღევდა,
ზამთრობით სითბოთი ალაღებდა, ზაფ-
ხულობით სიგრილეით, სისუფთავეს
ხომ ნულარ იტყვით, ციკქნა ჭუჭყს
ვერ უბოვიდით, წმინდაკბილა სამურ-
ველით ვარცხნიდა, სითბო-სიცხეში პა-
ტარა ბავშვივით აბანავებდა. ერთთავად
უბზინავდა წაბლისფერი ბლანი.

ჰოდა, თავიდანვე შეეჩვივნენ და შე-
ძმობილდნენ ბიჭი და ბოჩოლა.

და არც მერე განელებით სიყვა-
რულის სახმილი.



მალე დაუმსხვილდა ძვალი ჯონგას.
ორი წლისაც არ იყო, რომ ხანმოვ-
ლილი ხარის სიმაღლეზე შეყარა ტანი.
მზეს ეთამაშებოდა სიცოცხლემო-
ძალებული მოზვერი. აღმა და დაღმა
დალაღობდა სისხლმაპყრიანი ჭაბუკი-
ვით. ტოლ-სწორი მდებდრისკენ გაურ-
ბოდა თვალი, დილა-სალამოს იზმორე-
ბოდა. მაგრამ ემანდ არ გაირყვნას და
არ გაფუქსავატდესო, მალე დაასაჭური-
სეს და სამუდამოდ დაუწმინდავეს ყი-
ნინანი თვალები. მერე უფრო გაუმკვრი-
ვდა კუნთები, ისე ეღონიერებოდა თა-
ვი, დეღამიწის შებარბაცებაც ეიოლე-
ბოდა.

აქაოდა უღმერთოდ დაძლიანდაო,

გიორგი ხორგაშვილი
ჯონგა

აქაოდა, ვაჟკაცივით ერჩის გულით, ნაადრევად შეაბეს საწევში. მაგრამ უღელი ეჩოთირა, გაჰქნია ურემს და კინაღამ ხევში გადაუძახა თავის მეუღლიან-მეურბიანად. თავნებობას ვინ აპატიებდა და იფნის სახრეთი აუწვევს გვერდები. მეორედაც და მესამედაც არ შეუბოვა გულქვა მეხრეს, მეორედაც და მესამედაც უარესი დღე დააღწიეს. შემცოდებელი არავინა ჰყავდა გიგლო ბიჭის გარდა.

— ჯონგა, ჩემო ჯონგა, გეჩოთირება უღელი, არა? ვერ აგიტანია, რომ თავისუფლება მოგისპეს, ხომ? უღელი კი არა, ცხოვრება დაგაწვა კისერზე, უმძიმესი ცხოვრება. რა გიჯობდა შენს ნებაზე ნავარდსა, მაგრამ შენ არ გენაყარდება, ჯონგა, შენ უღლის საწევადა ხარ გაჩენილი! რას იზამ, უნდა შეურიგდე შენს ხარულ ბედსა და სწოი და სწოი უღელი უხმოდ. მეტი რა ჩარაა, სულაც რომ გამოგასალმონ ამ გულსახარბ მზიანეთსა, რა ძალაში ხარ. ჰაი, შე სილაღდამწყვედულო ხარო, ჰაი, შე თავისუფლებას დანატრებულო! — ეჩურჩულებოდა ბიჭი და თან ხელს უთათუნებდა ნასახრალ ადგილებზე.

ჯონგა ფიქრიანად მისჩერებოდა ბიჭს.

●
მალე გადაიყარა გულიდან ჯავრი დახარებულმა ჯონგამ. ბედი შეიგუა.

გონიერი არსებასავით შეიგნო თავისი ხვედრი თუ მოვალეობა. აღარ ჯავრობდა. ახლა კი უყოყმანოდ დაიდგამდა უღელს კისერზე, აღარც ბოღმით გააქან-გამოაქანებდა ურემსა, აღარც ეშმაკურად მოიქედურებდა, აღარც მეუღლეს დააღალატებდა და აღარც მეხრესა. ერთგულად ეწეოდა მძიმე უღელს გამოქნილი ხარი.

აქაოდა ღონიერაო, აქაოდა უღალატაო, სამძიმო საწევს არ ააცდენდნენ.

გუთნეულის გაშლის დრო დადგებოდა და საძირის უღელში უნდა შეე-

ბათ, თანაც ველის მხარეს კი არ მოქცევდნენ, კვალში ჩააყენებდნენ ხომ ყველას მოგვეხსენებათ, ნახარს მაინცდამაინც არ ადგება დიდი ძალა. ერთფეროვანი წვევა თუ მოიწკინა, თავს მოიცულუტებს, ქარს ამოიღებს, თვალს წყალს დააღვეინებს იმ მსუყე ბუნებაში, გუთნას ბევრი არა შეეტყობა — რა, უსაძირისხაროდ კი გუთანი ვერ იგუთნებს. ჩვენი ჯონგა კი ერთგულად და ღონიერად ეწეოდა საძირის ხარის უღელს, კვალში იდგა და მძიმე ზნაქა-ზნუქით გადაჰქონდა განიერი მენჯები, ეძავრებოდა, როგორც დედის ძუძუსა. ერთი დასამუნათებელი შზილი არ წამოსცდებოდა, ერთი შურიანი შემოხედვით არ დაგვირდილავდათ გულსა. დალილობისას თუ ამოიფშვინდა ღონიერად, პირუტყველ დარდსა დ ნაღველს კი არ ამოაყოლებდა, მძლავრ ფილტვებს დასცლიდა და ფუჟული საბერველივითა, რათა ახალი ნაკადი ჩაესუნთქა და ახალი ძალით გაეწეია უღელი. სახრეს არ დაირტყამდა, მწყრალ სიტყვას არ შეიბედავდა. სულ რომ უცხო მეხრე ჰყოლოდა, რაღაცა მორიდებითა და ხათრით მოიქცეოდა, სამეგობროდ და მოსაფერებლად განაწყობდა. სასაყვედურო დრო-ჟამი თუ მოუბრუნდებოდა, მაშინაც ხმას იდაბლებდნენ ჯონგას წინაშე.

— რა ღმერთი გიწყრება, ჯონგა! — თანავრძნობით უფრო ეტყოდა მეხრე, თუ ჩვეული სიხალისით ველარ გასწევდა ხარი.

ჯონგა უმაღვე დაიძავრებოდა და სიმარდეს შეატყობინებდა კიდევ შენელებულ გუთნას.

ოღონდაც დაგვევაგებინა, ოღონდაც მოჰფერებოდი და თავს განაცვალებდა.

თუ მეხრე მოილხენდა, ჯონგაც ხალისზე იყო.

სიმღერა უყვარდა კეთილი გულის პატრონსა, მაშინ უფრო, როცა უღელში ება.

მეხრე გიგლომ კარგად იცოდა ჯონ-

გას წყურვილი და მალ-მალე შემოს-
ძახებდა. დამღეროდა ხმაკამკამად,
თბილად, ტკბილად.

ჯონგაც გაყურსული უსმენდა, ადა-
მიანივით გააყრჩოლებდა ტანში, მეტ-
ყველივითა ტკბებოდა, თითქოს უარა-
ფრდებოდა დაღლილობაც, თითქოს
ეწმინდებოდა კიდევ ამღვრეული გუ-
ლი და გონება, უფრო ღონივრად დაი-
ძაგრებოდა, უფრო ხალისით გასწევდა.
მეტ სინათლესა და სიმშვენიერეს ხედა-
ვდა მზის ქვეშეთში.

ჯონგას სულსა და გულში გუთნის
დედა უფრო ღრმად ჩაიხედებოდა.

— ეგრე, ბიჭო, ეგრე! — წააქეზებ-
და ყელშედვრებულ მეხრესა და თავ-
ადაც შეეშველებოდა სიმღერაში. ის
უფრო სხვას დაიკვნესებდა, სხვანაირი
ფერი ამოიმღერებდა: ერთ ბედს ქვე-
შა ვართო...

ასეთ სიმღერასა და ოფლში ცურავ-
და მზიან-ღრუბლიანი დღე. ბელტი
ბელტზე გადადიოდა, სამო სურნელე-
ბა ასდიოდა მაძღარ ხნულსა, ხარისა თუ
კაცის ოფლი ეწვეთებოდა გრილ მიწას,
გადიოდა გუთანი საქცევიდან საქცე-
ზე, ღირღიტაც ბანს ეუბნებოდა, არც
ხარი დაიუარებდა, არც მეხრე. სამოც-
დასამჯერ კი არა, მეტჯერაც შემოუვ-
ლიდა გამარჯვებული გუთანი, შავ
სტრიქონებად აქცევდა დღიურ მიწას.

ხანდახან თუ შეიარაქათებდა მაშ-
ვრალი ხარი. სადილ-სამხრობისას უფ-
რო დაუცხრებოდა ძარღვები. საღამო
ხანი ხომ მისი გათენება იყო. გამოუშ-
ვებდნენ უღლიდან, გრილი ნიავი შეუ-
ბიბინებდა შეჯეჯილებულ ბალანს, გა-
კუნტრუშვება-განავარდების ილაჯი
ალარა ჰქონდა, მაგრამ ნოფლარ შუბ-
ლზე მაინც თავისებური სიხარული გა-
დაუთამაშებდა და მადლიერებით გა-
დახედავდა ნაჯაფარს.

— ჯონგა, ჩემო ჯონგა! ესაიამოვნებს,
რომ ნოფლს გადასცქერი, არა? ჰაი, შე
გულმოვალე პირუტყვო, ჰაი, შე კაცის
მარჩენალო!. — ეფერებოდა ხარივით
დაღლილი ბიჭი.

● ღამეც ერთად სუნთქავდნენ ხარი
და ბიჭი.

შებინდებოდა თუ არა, ღამის საძ-
ოვრისკენ გასწევდნენ.

მხოლოდ ჯონგა კი არა, მთელი გუ-
თნეული სძოვდა. ნაჯაფარი პირუტყვი
ნოყიერდებოდა საღამეხარო საბალა-
ხოზე, რათა მაძღრისად შეჰკვებოდ-
ნენ დილას, ჯანიანად შებმოდნენ უღელს
და კვლავ ბარაქიანად ეხნათ სადღოს-
პურე თუ სათავთუხე მიწა. ხარბად სძო-
და დამწეული საქონელი, თვალფხიზ-
ლობდა ღამის მეხრე გიგლო, რომ ან არ
დაჰვანტვოდა თავნება მაძოვარი, ან
ნაკრძალში არ გადაეთელათ, ანდა მა-
წანწალა ნადირს არ გადაჰყოფდა. ათა-
სი რამ იყო მოსალოდნელი იმ უპატრო-
ნო ცისქვეშეთში, ერთი და ორი ოთბ-
ფეხა როდი დაუფაშვია დაუნღობელ
კბილისისხლიანსა, მეტადრე მაშინ, რო-
ცა მარტოსათვის მოუსწვრია.

განმარტოება ჰყვარებია ჯონგას.

იმ ღამითაც გაჰკენტებია გუთნე-
ულსა შუალამისას. ნოყიერ ბალახსა და
სიმყუდროვეს გაუტყუებია, გააღღე-
ბულა, გახარებულა. იქაურობას გამო-
სთიშვია, თავისებურ ოცნებას გაუტა-
ცია... ძუ მგელი მიჰპარვია, მზაკვრულ-
ად მივარდნია. მალე მოგებულა გონსა,
უმარჯვია ჯონგას, დროზე ამოუქნევია
რქა და გვერდზე მიუგდია, უფრო გაც-
ხარებთა სცემია ლავიწხამომტვრეული
ნადირი.

სამკვდრო-სასიცოცხლო
ბრძოლა გამართულა, ორივე მოქანცუ-
ლა, მაგრამ არც ერთს უთავია დათმო-
ბა-დაზავება. ღამის მეხრე ქაქანით
მივარდნია, უმაღვე უძვრია ყამა და
მარცხენა ილიაში უძგერებია გააფ-
თრებული მომხვედურისათვის. დაუნ-
ღობელი ნადირი უთუოდ ყელს გამო-
ღადრიდა ალალ-მართალ ჯონგას.

გიორგი ხორგაშვილი
ჯონგა

ბიკს ბლუჯა ბალახით მოუწმენდა მგლის ნაკბილარ-ნასისხლარები და თბილი სიტყვაც წაუცხია მალამოდ

— ჯონგა, ჩემო, ჯონგა! რამ გამოგამართოვა ამ ყიამეთში. ნუთუ არ იცოდი, რომ რაიმე ხიფათს გადაეყრებოდი? განა ყველა შენსავით სიკეთით აღსავსე დააბიჯებს დედამიწაზე! ვერაგნი უფრო მეტნი დაიარებთან ქვეყანაზე. შენ რომ სიბნელეში ვერ გიჭრის თვალი, ბოროტი სულდგმულნი მშვენივრად ხედავენ უკუნეთშიც. ჰაი, შე გულუბრყვილო ხარო, ჰაი, შე უეშმაკო ბავშვო!

ჯონგას მორჩილად შეუხმუნვლია.

სხვა დროს აღარ გამართოვებულა ხარი ყიამეთში.

ღამის მეხრესაც უფხიზლია, მაგრამ გათენებამდე ვერ გაძმაგრებია უძილობას. ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო, გიგლო ბიკსაც წაუთელემია და გემრიელად მისძინებია გრილ ბელტზე. ჯონგას თვალში მოჰკლებია ღამის მეხრე. დაფაცურებულა, მოუძებნია, თავს დასდგომია გუშაგევით და ფეხი არ მოუცვლია იქიდან, ვიდრე თვალი არ გაუხელია ბიკსა. გაღვიძებით კი მალე გაუღვიძებია ტოროლას, საწყალ ღამის მეხრეს რომ მამლად მოუნათლავს. მალე წამოსდგომიათ თავს გრილი დილა და გაშლილ-გამართული გუთნისკენ გამოუწევიათ.

ახალი ძალით შესჭიდებთან ღონიერ მიწას.

მხოლოდ ხენასა და თესვაზე როდი უღვრია ოფლი ჯონგას.

საძნე ურემშიც გაუხურებია ქედი. იმ ცხელ მკათათვეში, როგორც იტყვიან, მზის გულზე რომ კვერცხი შეიწეებოდა, დალოჯილი ძნა უზიდა ხედავლადან თუ საქარძიბრიდან, ნამგალებიდან თუ გრძელეებიდან. კალოს პირას დაუზვინია. ეგ არ უქმარებიათ, მძიმედ დაკოხილ კევრში შეუბამთ, წისქვილის ქვასავით უპროწიალებიათ იმ გაგანია

სიცხეში, იქაც უმუნათო ოფლი ვრია, ხორბალიც უღეწია, ქედიც თესლეცა და საწისქვილეცა, თვითონ ბზეს დასჯერებია, და მარცვალი პატრონისთვის გაუხუხვებია. მცირე ხანს შეუარაქთებია, მერე წისქვილისკენ გაუწევია, დარკვეული ხორბალი დაუფქვავს და ურმით შეუტანია სიხარული ოჯახში. ფიხიც იმას მიუტანია, შემაც, აღზევანსაც უსიტყვოდ წასულა.

სახლის აშენება დაუპირებიათ და ჯონგასთვის დაუქვრიათ ყური. ფილქანის ქვეც უზიდა, სიბიც, ცხელ-ცხელი კირიც, სველ-სველი ქვიშაც, დამორილი ხეებიც, დახერხილი მასალაც, დარბაზის დედაბოძიც და მუხის თაფხიც.

საყდრის აშენება შთაგონებიათ და ისევ და ისევ ჯონგა შეუბამთ უღელში. ვენახშიც დასჭირებიათ ჯონგას თავი. პატივი უზიდა, წიღნისთვისაც და დედავაზისთვისაც, სარიც მიუტანია, ყურძნით სავსე გოდრების ზიდვაზეც დაუქიფხიათ, დიდრონი ქვევრების — მოტანაშიც.

ღხინისთვისაც ღაზათი მიუტია ჯონგას. აქაოდა ტანადი და თვალვადსავლები ხარიაო, აქაოდა საქორწილო ურმის დამამშვენებელიაო, მთელი სოფელი ჯონგას მისტანებია. შუბლზე ვერცხლის გვირგვინი დაუდგამთ, ყელზე წკარუნა ზარი ჩამოუკონწიალებიათ, საქორწილოდ მორთულ ურემში შეუბამთ და სულ ცეკვა-თამაშით გაუწევია პატარძლის მოსაყვანად. ზურნის ჭიჭყინისა და დოლის ბრახუნისთვის აუყოლებია გულის ძვერა, შეზარბოშებულის მაყრულით დამტკბარა, სიცილ-სიხარულში აპყოლია, ისეთ ხასიათზე დამდგარა, ღამის იმსაც ამოუშლერია.

მზითებიც ჯონგას წაუღია, მოსაკითხიცა. ძეობაშიც წამომდგარა, ნათლობაშიც.

ჩარდახიანი ურემიც ბევრჯერ დაუშვენიებია, შოთ-ლაგაშითა და ქაღანაზუქით, ტიკპორებითა და მიამშული

ყოჩით დახუნძლული ურემი. თავისე-
ბური სიხალისით გაუწევია დიდძალო-
ვნად დაგულებული სალოცავისკენ,
მუხლის ჩოქვით აუთავებია დანახვისი-
სა თუ გერისთავის აღმართები, საყ-
დრის გვერდით გაუშლიათ ნაკურთხი
სუფრა მადლიერ პატრონებს, ხარის
რქის ყანწი გაუვისიათ ხარის ცრემლი-
ვით ალალი ღვინით და სიყვარულით
უღღეგრძელებიანთ ცის ნამი და დედა-
მიწის ღიმილი, კაცის მარჯვენა და ხარ-
ის ქედი, უღღეგრძელებიანთ და მტერი-
ვით დასცლიათ გაბილთუმებული სას-
მისი, საყდრის კანკელზეც დაუნთიანთ
ცვილის სანთელი და ჯონგას რქაზეც,
მხოლოდ რწმენის ქინი არ მოსძალები-
ანთ, სიცოცხლესა და სიხარულზეც ულ-
ოციანთ, მშვიდობასა და თავისუფლება-
ზე ულოციათ, ღმერთამდე აუშაღლებ-
იანთ მართალი გული.

ჭირშიც ჩაზიარებია პატრონს. იქაც
თანაუგვრძნია ჯონგას, ცრემლიანი თვა-
ლით გადაუხედია ასო-ასო აქნილი თა-
ნამოძმისათვის და მომტირალი ჭირი-
სუფლისათვის, აქაც აბღავლებულა, პი-
რუტყვისა კი არა, ადამიანის ხმაზე, მი-
ცვალებულისთვისაც შნო და ლაზათი
გაუყოლებია, საფლავის ქვაც იმას მოუ-
ტანია, სატაბლე პურ-ღვინოცა, განსაც-
დელში ჩავარდნილი ქვრივისა და ობ-
ლებისთვისაც უერთგულია.

საღლა აღარ გახურებია ქედი, რაღა
აღარ უზიღია ჯონგას. ყველაფერში
უგულმოდგინებია, ძმასავით მხარში
ამოსდგომია კაცსა.

მიწა იღლება და ხარი რომ დაილა-
ლოს, რა გასაკვირია. გაოფლილი იღვა
ჯონგა და ჩაფიქრებით ჩასცქეროდა მი-
წას.

— დაილაღე, ჯონგა? დაიღლებოდი,
მაშ რა მოვივიდოდა ამდენი ჯაფითა!
პაი, შე ადამიანის მარჩენალო, პაი, შე
კაცის მეგობარო! — თავის დაჩხვეით
მიმართავდა გიგლო.

გიგლოს უხაროდა, რომ ჯონგასნი-
რი ღონიერი ხარი არც გაღმა მხარში
დაიარებოდა და არც გამოღმა.

— ხო, ხო, ხო, — ო, რა ჯანები აქვს
ჯონგასა! შეხე, შეხე, მჯილებივით არ
უთახთახებს კუნთები?! რომელი ხაროც
გინდათ გამოუყვანეთ! — დაქაღნებით იტ-
ყოდა გიგლო და ჯონგას იმედით ამაყად
გაშლიდა მხრებსა.

დასვენებული ჯონგა საჭიდაოდ გა-
დასული ფალავანივით იღვა და დინჯად
აბრუნებდა მსხვილძარღვა კისერსა.

გიგლოს უყვარდა ხარის ჭიდილი.

ჯონგას მაინცდამაინც არ უცმუქავდა
გული საამისოდ.

ბიჭი შეუჩნდა ჯონგას და დაიყოლია.
სანახაროზე დასჭიდა ჯიშინ ბუღას, ნა-
ლთაბანდი ჯეელივით რომ უდარდელად
დააბოტებდა სოფელში.

შებლები მიუჯახუნეს ერთუროს.
დიდი ხნის მეტოქეებივით დააბრიალეს
საცრისოდენა თვალები. ძალები მოსინ-
ჯეს, დაიძაგრნენ, გამეტებით შეუტიეს,
ხან ერთი ვადავიდოდა იერიშზე, ხან
მეორე. უფროდაუფრო გააფთრდ-
დნენ, დედამიწა ზანზარებდა, ბული ას-
დიოდა იქურობას.

— ხო, ხო, ხო — ო, რა მეხთატეზია,
შეხე, შეხე, როგორ ჭიდაობენ, გეგონება
მთა მთას დაეჯახათ! — აღტაცებულიყო
გიგლო.

ხარები გამეტებით ერკინებოდნენ
ერთუროს.

— მიდი, ჯონგა, მიდი, შენებურად
შეუთიე!

ჯონგა არ ჩქარობდა.

იოლ გამარჯვებას შეჩვეული ბულა
ფიცხობდა, მოულოდნელად შეუტევედა
კიდევ და რომ ვერ დასჯაბნიდა მუხასა-
ვით გაჯგმულ ჯონგას, გაბრაზებით ამ-
ოუქნევდა რქას და უადგილო ადგილას
აძგერებდა.

— ჰეი, ვერანა, წესიერად ეჭიდავე!
— უწყობოდა გიგლო.

ჯონგა აუნქარებლად იგერიებდა.

— რა გემართება, ჯონგა, ემანდ მარ-
თლა არ დაგჯაბნოს დასვენებულმა ბუ-
ღამ!

ჯონგამ ჯერ ეგრე მოქანცა ბულა, მერე თავად შეუტია, მუხლი შეუშინა, სულითაც წაახდინა.

— ჰა, კანკალებ თუ არა ნაციებივითა! — ნიშნის მოგებით მიმართავდა გიგლო ბულას, — შეხე, შეხე, რა დღეში ჩაავდო, ხალხო, უმწეო დედაკაცივით არ აბლავლებს?!

ჯონგამ უფრო ღონივრად შეუტია და ეს ტანთამთამა ბულა მუჭაში დასაჭერი გახდა შიშისაგან. ჯონგას მეტი რაღა შესწევდა. შეეძლო კიდევ მისწოლოდა და სამარცხვინოდ დაეცა ხალხითა თუ პირუტყვით სავსე სანაწიროზე, მაგრამ ჯონგამ აღარ გაიმეტა, თავი ანება და მეცოდებითა თუ სინანულით გადახედა დაჯანნილ მეტოქეს, რომელსაც არენაზე დარჩენის შიშიც ჩაბუღებოდა თვალეებში და ლაჩრულად გაპარვისაც ესირცხვილებოდა.

ტაშმა იგრილა, ყიყინმა იმძლავრა. სტვენიითა და გორახების სროლით გააძევეს დაქადნებული ბულა.

ჯონგა კი თავჩადუნული იდგა და მორცხვად აბრუნებდა დიდრონ თვალეებსა.

— რა ხარია ეს დალოცვილი, პირუტყვის კი არა, გინდა მთას დააქიდო! — ამბობდნენ ჯონგას შერკინებით ნასიამოვნები გლეხები.

უღელში ხომ, აკი ვთქვით, ცალი არ მოეძებნებოდა.

სოფელში განაქმულ ბღვერიას შეუბეს პატივის უღელში, ჭლებს წვერებამდე რომ იყო დატვირთული, და სულ სიმწრის ოფლი აწურინა. ისეთ დღეში ჩაავდო, რომ გაჩენის დღე აწყვედინა.

— ხო, ხო, ხო, —ო, დახეთ ჯონგასა, დახეთ, როგორ ბურთივით მიათამაშებს ამხელა ურემსა, — უხაროდა გიგლოს.

— ჰა, დაჩაგრა თუ არა ტრაბახა ბღვერია?!

ხომ ასე ღონიერი იყო ჯონგა, მაგრამ ქედმაღლობის ნატამალსაც ვერ შეატყობდით. შურიანი ჯიბრი სძულდა, უშურველი კი — არა, გაჭირვებულის შეღავათი ახარებდა.

ნედლი შეშით დატვირთული უბეში ჩაპვლობოდათ ტალასში, ეწიათ დღეშიათ ანუ ურანთ გიგოს ხარებსა, და ოფელში ეცურავათ პატრონსაც და გამწვევსაც. ვერადავერ დაეძრათ ტყვიასავით დამძიმებული ურემი. ტყისკენ მიმავალი ჯონგა შეებათ, ტოლიც დაედლო!

— აბა ჯონგა, გამოსწი შენებურად, — მიუმართავს გიგლოს, მეორე ხარიც ტკბილი სიტყვებით შეეგულიანებინა, გამოუწვევია ჯონგას და მშრალზე გამოუტანია ჩაფლული ურემი.

გიგლოსაც გაუხარია, გაჭირვებულ ურემის პატრონსაც, თავად ჯონგასაც.

— ჯონგა, ჩემო ჯონგა, გიხარია, რომ ჩაფლული ურემი ამოუტანე გაჭირვებულ ხარსა, ჰაი, შე გულმოწყალე პირუტყვო, ჰაი, შე ჯანლონიო სავსე ხარო!

დასვენების ეამიც ბევრჯერ მობრუნებია ჯონგას.

გიგლო ბიჭი არც ამჯერდ მოშორებია პირუტყვს. უმწყემსია, უპატრონებია, კაი-კაი საბალახოში უძოვებია, დაუბანია, დაუხუფთავებია, სიცივეში თბილ ბოსელში უმყოფებია, სიცხეში გრილი ადგილები ურჩევია, მდინარეში უბანავებია. თავად ბიჭსაც მოსწყურებია ბანაობა, შეცურებულა, არხეინად უნავარდია, აფაფრებულა ტალღებიც არად ჩაუვდია, გულდაგულ შესჭიდებია, ვედარ დაუმორჩილებია, უღონიერეს წყალს მოუტაცია, სახრჩობისაკენ გაუქანებია, ხარს შეუმჩნევია, გულს შემოჰყარია, არ დაბნეულა, არც შეშინებია, უმაღვე გადაშვებულა ტალღებში, ცურვა-ცურვით გაჰყოლია, ბიჭს დასწევია, რქები წაუშარჯვებია, იმდენი უცდილია, ხელი ჩაუვლებინებია რქებში, გამოღმა გამოცურებულა და ასე გადაურჩენია დახრჩობას გიგლო ბიჭი.

— ჯონგა, ჩემო ჯონგა! რა ბედზე მომისწარი, როგორ გადამარჩინე! ჰაი, შე, ჩემო ერთგულო მეგობარო, ჰაი, შე,



თავდადებულო პირუტყვია! — დამად-
ლიერებია გონმოსული და შუბლზე
უკონცია.

ცხადლივ ხომ ერთად ელგოდათ წუ-
თისოფელი და ძილშიც ბევრჯერ შეპ-
ყოლია ჭონგას სახეზე გიგლო ბიჭსა.

ნაჯადარი ჭონგა საძოვარში ჩაუყე-
ნებია. თავად ბეჭობზე ჩამომჯდარა და
სალამური აუკენესებია.

ფრთოსანი ასული გამოსცხადებია.
— რა გაკენესებს, ბიჭო! — შეუდი-
მია ანგელოზს.

— თქვენ ისა მკითხეთ, ცოცხალი
რატომ ვარ?
— ?!

— სიყვარული დაკარგე! — ცრემ-
ლებიც მოსწოლია ბიჭსა.

— სიყვარული?!
— დიახ, გულის სწორი მომტაცეს
უკუნ ღამეში და ასავალ-დასავალი არ
ვიცი.

— აა, ის ბიჭი შენა ხარ?
— დიახ!
— გაბოვნიწო?

ანგელოზს სარკეში ჩაუხედებია ბიჭი
და რას ხედავს:

ერთ გამოქვაბულში ზის უმშვენეი-
რესი ასული და სანთელზე ლოცულ-
ობს. არც დამწუხრებულს გადაჰყროდა
სილამაზე. იგი ჰფენს ნათელს ირგვლივ.
თორემ სანთელი რას გახდებოდა იმ
მზეშეულწველ ჯურღმულში. ზის და
ცრემლი უციმციმებს უძირო თვალბში.

— მზეთამზე, ჩემო მზეთამზე! —
ბლტაცებით წამოუძახია გიგლოს და წა-
წვდომა დაუბირებია.

— ფრთხილად, სარკე არ გამიტეხო!
— მშვიდი ღიმილით შეუხსენებია ანგე-
ლოზს.

ბიჭი სარკეს მისჩერებია.

— ძალიან გიყვარს მზეთამზე?

— უჰ, ძალიან მიყვარს, როგორც
თავისუფლება.

ბიჭს უმზერია სინათლეზე მლოცვე-
ლი ასულისათვის და უამეს გრძნობას

დაუვლია სხეულში. ასე ჰგონებია ცხად-
ლივ შეხებია იმ თითებს, რომლებიც
პირჯვრის გადასასახავად აუმოძრავებია
იმეამად. ჰგონებია და თითქოს ხელი
მოუთათუნებია ჩამოშლილი დალალე-
ბისათვის, ფრთხილად გადაუწვეპია მო-
შვილდული წარბები, დაქინებით ჩაუ-
ხედია სიყვარულით განათებულ თვა-
ლებში.

მაგრამ საამო სამხერალი ჩაშხამებია
ბიჭს.

ცხრათავიან დევს შემოუბოტებია
გამოქვაბულში.

ქალოშვილს შეუჟივლია.

ცხრათავიან დევს ცხრავე პირიდან
გადმოუყრია ცხრა-ცხრა ღრჯოლი და,
თავისი ჭკუით, მიაღერსება უცდია.

— გოგნი, გოგნი, გოგნი-გოგო,
ჩემო გოგო, კარგო გოგო!

გოგნი-გოგო კუთხეში მიწურულა.
დევს ხელი უტაცია, ბანჯგვლიან კალ-
თაზე ჩამოუსვია, მოხვევია და მიაღერ-
სებია.

— მიშველეთ! — დაუჟივლია მზე-
თამზეს.

— ვახმე! — კბილები დაუკარბუნე-
ბია გიგლოს.

ანგელოზს თანავარძობით დაუხამხა-
მებია წამწამები.

ხარს შემზარავად დაუხმეველია.

— ოხ, ნეტავი იქა მქნა! — გულზე
დაუბაგუნებია ხელი.

ჭონგასაც ტანი შესძიძგიებია.

— კეთილი ბიჭი ჩანხარ და აგის-
რულეზ მაგ ნატვრას! — გაუხარებია
ანგელოზს.

— ოღონდაც, ოღონდაც! — აკანკა-
ლებულა ბიჭი.

— შეაჯექი ჭონგას!

ჭონგას ზურგი მიუმარჯვებია.

ანგელოზს ჭონგასათვის გამოუსხია
ფრთები, გაფრენილა და გაუყოლებია.

ცას გაჰკვრიან. ცხრა მთისთვის და
ცხრა ზღვისთვის გადაუფრენიათ და
ერთ დიდ უღრანში დაშვებულან.

გიორგი ზორგუაშვილი
ჯონგა

იმ ცხრათავიანი დევის სატახტო ყოფილა ის უღრანეთი.

იმ გამოქვაბულს მისდგომიან.

დევის ადამიანის სუნი სცემია თუ არა, მოსაფერებელი მზეთაშე მიუტოვებია, გამოქვაბულის შესასვლელისათვის უზარმაზარი კლდე მიუყუდებია და სიხარულით გაჰგებებია მოულოდნელ სალუქებს...

— ხა-ხა-ხაა!, — ამოურახრაბებიან დევსა, — ეს რა კარგი ლუკმა მომგვრია თავისვე ფეხითა? ხა-ხა-ხაა! შემწვარი აჯობებს თუ მოხარშული? — ლაშების ფართხა-ფურთხით — მიუმართავს კუდიანი დედაბრისათვის.

— რა თქმა უნდა, შემწვარი! ვარიასავით ბიჭია! — ჩაყვითლებული ღრჯოლები გადმოუყრია დედაბერს.

— ეს ხარი საიდანაა გაჩნდა?!

— ეგეც შენ გიფეშქაშა დიდმა დემონმა.

— ხო, ხო, ხო, — ო! როგორა თამამებს! სად გაიხარდა ასეთი მოხდენილი. ამის ჩალაღაჯი მთელ ქვეყნიერებად ეღიარება, — წამლად გექცევა, ერთხელ და სამუდამოდ გავივლის ის წყეული სატყვივარი, ზოგზოგები რომ უზომოჭამას გიბრალებენ...

— მართალი ხარ, ჩემო კეთილო კუდიანო, მართალი! — და დანის ლესვას შესდგომია.

გიგლოს და ჯონგას ერთურთისთვის შეუხედავთ. გამხნეებულან, გალომგულებულან.

— აბა, მოცუნცულდი, გემრიელო ბიჭუნა! — გაბანჯკულულ-გაპარკყული ხელი გაუწოდებია დევს.

— გიგლო ბიჭს ამირანის ძალა მისცემია, გამეტებით მოუქნევია ხმალი, ჯერ მარჯვენა მოუკვეთია, მერე თავებს მიჰყოლია და სათითაოდ უკაფია, მაგრამ ვერადავერ გამოუღევია, ერთი რომ გაუგდებინებია, ცხრა თავი ამოსვლია კუდიანი ბებრის წყალობითა.

გამირანებული გიგლო დადლილა, გამწარებულს მარცხენა იდლიში ამოუჩრია და პირში გასაქანებლად მოუქ-

ნევია, მაგრამ ჯონგა არ დახნეულა. გიგლო უენებლად დაუხსნია, მერე მისი აძრწუნებლად დაუბღავლია, ღონივრად ამოუქნევია და წვეტიან რქებზე წამოუგია მრავალთავიანი დევი და ცეცხლზე შემდგარ უზარმაზარ ქვაბში ჩაუშვია, დევს ცოტახანს უყურყუმელავია კოჭზე ადუღებულ წყალში, მერე უღონოდ ამოუბუყბუყებია და სულიან-ხორციანად ჩაფუფქულა.

აწიოკებულ დედაბერს ჯადოსნური წამლებით საგესე ქისა გაუხსნია, მაგრამ გააფთრებულ ჯონგას განზრახვა აღარ შეუსრულდებინებია, ისიც უმაღლვე წამოუგია რქებზე, გაძლიერებულ ცეცხლზე შეუგდია და ისე დაუნაცრია, ფერფლიც აღარ დარჩენილა.

— თქვენი მარჯვენისა და რქის კირიმე! — სიხარულით ამოუღულღულელებით დაუძღურებულ ადამიანებს, ქვაბის გარშემო რომ დაუყრიათ ხელფეხგაყოკილინი.

— აქ რა გინდათ, ადამიანის ძენო? — გაჰკვირვებია გიგლოს.

— ცხრათავიანმა დევმა მოგვიტაცა და თავისი მუცლის ამოსაყორად მოგვაშხადა.

— ვაი, დრო, როგორ აღზევებულა ბოროტება! — თავი გაუქნევია გიგლოს, დაუვლია და სათითაოდ დაუხსნია ტყვეები.

— გაიხარეთ, კეთილებო, გაიხარეთ! — შეუხედავლიათ გახარებულებს.

გიგლო გამოქვაბულისკენ გაჩქარებულა, მიფარებულ კლდეს შებღაუქებია, მაგრამ გასჭირვებია. ჯონგას აღარ დაუხანებია, შუბლით მისწოლია კლდესა, მთელი ძალითა და ღონით დასკიდებია და გადმოუგდია.

გახარებული გიგლო ფრენა-ფრენით შეეარდნილა ბნელ გამოქვაბულში, მზეთამზის თვალის შუქს გაჰყოლია. შუა ჭურღმულში შეჰყრიან ერთურთსა, სიხარულისა და სიყვარულის ცრემლები უღვრიათ, უკვდავების წყაროსავით დასწაფებიან ერთმანეთის ბაგეებსა.

— სად დამეკარგე, ჩემო ყველაფ!

— როგორ მომაგენი, ჩემო სინათ-
ლე!

— მომწყურდი, როგორც სიცოც-
ხლე!

— მომენატრე, როგორც თავისუფ-
ლებს! — ჩაუჩურჩულებიათ მოალერ-
სეებს.

იმათი გახარებით ჯონგასაც შეთ-
რთოლებია გული.

სამყარო განათებული სამივეს სიხა-
რულ-სიყვარულითა.

— თქვენ გაიხარეთ!

— ალალი იყოს ეგ სიყვარული!

— თქვენ გამრავლდით!

— ღირსი ხართ გამრავლებისა! —

შეუქდავლიათ დახსნილ ტყვეებს.

— ეხლა საით, ხალხო? — მიუმა-
რთეს გამარჯვებულ გიგლოს.

— ჩვენს სამშობლოში.

— გაიგნებთ, მერე?!

— ამომავალი მზის სხივებს ვა-
ყვებით და...

— მეგზური მე ვიქნები — გაუდი-
ნია კეთილ ანგელოზს და ფრთებგაშ-
ლილი გამოსძლოია.

— თქვენ საითღა? — უცნობისმოყ-
ვარებით დახსნილებს.

— ვარსკვლავები გვეძალებიან.

მზეთამაზე და გიგლო შემსხდარან
ჯონგაზე და მადლა-მადლა აფრენილან.

ჯერ ნელ-ნელა დაპატარავებიათ
ის უზარმაზარი დედამიწა, რომლიდა-
ნაც ხელში სათამაშებელ ბურთულები-
ვით ჩანდნენ ხოლმე ზოგ-ზოგნი სხე-
ულნი ცისანი, მერე მთვარისტოლად-
და გაპკვრიათ ცაზე, ისიც დაპაწიავე-
ბიათ, ბუზისტოლადლა მოჩენილა.

— რა პატარა ყოფილა ჩვენი დედა-
მიწა! როგორ იტყვის იმ უსასრულო სი-
კვდილ-სიცოცხლესა, სიყვარულ-სიძუ-
ლვილსა, სიკეთე-სიავესა, მადლსა და
შურსა, სამართალ-უსამართლობასა,
ცოდნა-უმეცრებასა?! ნუთუ აუცილე-
ბელი იყო ასეთი მარადიული კანონით
დასჯილიყო თუ დაჯილდოებულიყო
ჩვენი პლანეტა?

— აუცილებელი იყო.

— არა მგონია! — ასეთ ფიქრებსაც
გაპყლიან.

კვლავ უფრენიათ, დედამიწაც გაპ-
ქრობიათ თვალთაგან და ფიქრიც.

დიღხანს უნაეარდიათ უსასრულო
სივრცეში. მთვარეც ჩამოღმა ჩამოუ-
ტოვებიათ, სხვა ცთომილებიც, მზეც,
ზოგზოგი ვარსკვლავიც. თვალნი დაუ-
ტკბიათ უნახავის ხილვითა, მთელი სამ-
ყაროსათვის დაუტოვებიათ სიყვარულ-
ითა და სიხარულით სავსე გულები, სამ-
ყაროსავით უსასრულოდ მოსჩვენებიათ
თავიანთი სიცოცხლე, უთვალავი ცის
სხეული შეხვედრიათ, ბევრად ასული
სანახაობით აღტაცებულან, ოცნებით,
სიმშვენიერით, სიყვარულით და სიხა-
რულით უჯერებიათ გული, დედამიწა
მოსწყურებიათ, მალე გამოსწრაფვე-
ლან კიდევ მისკენ, მშობლიურ მიწაზე
დაუბიჯებიათ ფეხი, თავიანთ თბილ კე-
რიაში შეუღწევიათ. აქ სულ სხვა სიხა-
რული განუცდიათ. აქ სულ სხვა ეშხი
მისცემია მათს სიყვარულსა, აქ სულ
სხვა გემო ჰქონია სიცოცხლესა.

დიახ, ძილში დახატვია ეს სურათი.

— ჯონგა, ჩემო ჯონგა, ჩემო უერ-
თგულესო და უღონიერესო ხარო! ჰაი,
შე მძღვეთა მძღვეო, ჰაი, შე ჩემო ნუგე-
შო და ოცნება, შე წიქარას ღვიძლო
ძმაო!

მძინარესაც დასთამაშებია მადლიე-
რება და ეს სიხარული მღვიძარესაც
აპყლიან.



გიგლო ბიჭი გულის სწორივით ეა-
ლერსებოდა ჯონგას.

ხარიც არა რჩებოდა ვალში. მერე
ნებერად მიმოიგრიხა კისერი, დინგი
მიმოუსვა წელზე, სალტეში ჩაჩრილი
სალამური უპოვნა და ენა აუსვა.

ბიჭი მიუხვდა, თანაგრძნობით მოუ-
თათუნა ხელი შუბლზე, მერე გამოიგა-
ნა, ხავსიან ლოდზე ჩამოჯდა და სალა-

გიორგი ხორგვახიშვილი
ჯონგა

მური ააკვნესა. მარტო კვნესა ვინა თქვა
სალამურისა. ბიჭი საკრავს ამღერებდა
მწვანე ხმაზეც, ვარდისფერზეც, ცისფერზეც. ამღერებდა კამკამა
ყელითა, ამღერებდა მთელი გრძნობით
და განცდით, ამღერებდა უჩვეულო
ეშხით, ზედ აწურავდა ცხელ გულსა.
მისი ჰანგები საამოდ ეფინებოდა სიცოცხლით
გაბიბინებულ მიდამოს. უკრავდა ისე
დამატკობებლად, რომ „სმენად მხეცნი
მოვიდოდნენ“, რომ ყოფილიყვნენ ხმის
საწიერზე, ფრინველნიც კი, თავად მემუსიკე
ფრინველნიც კი, მისწვდომოდათ თუ არა
სალამურის ხმა, აქეთ გამოსწრაფებულებიყვნენ.
იქვე ახლოს, ხეებზე შემოსკუბებულებიყვნენ და
გალურსულნი უსმენდნენ მომაჯადოებელ
მუსიკას, რომელიც მათ სულსა და გულს
ესალბუნებოდა. ეგრე სიამით ჩათავდებოდა
მელოდია, ფრინველები აღტაცებას ვერ
დამალავდნენ, ფრთებს შემოსტებდნენ
ტაშვიით და საგალობლის ამოძახილით
დაემადლოებოდნენ.

თვითონ ხარი ხომ, გაგიხარიათ, აღამიანის
ძესჯვით ხარობდა. ფეხები განზე გაებჯინა,
თავი დაეხარა, თვალეები მოვეწროვებინა,
ყურები მოეძაბრა და გაყურსული
უსმენდა. რაღაც სიამტკბილობის
მაგვარი, რაღაც სიყვარულსიმშვენიერის
მაგვარი გრძნობა დაუვლიდა სხეულში,
ჟამიდაჟამ შეთრთოლდებოდა და შეეჟიჟინდებოდა
კიდევთვალეებში ცრემლი ჩასდგომოდა,
სიხარულის ცრემლი, ხან თავსაც აიღერებდა,
ღონივრად მიმოატრიალებდა, პირს
გააღებდა, ყბებს მოიქნევდა, თითქოს
იმასაც ეწადა ამომღერება. აჰა, ვეღარ
დაიოკა მოწოლილი გრძნობა, სიხარულით
შებლავლა, ისე ღონივრად, ალბათ,
მთელ სოფელს გადასწვდებოდა, შებლავლა
და შეინავარდა, ეგრე გულაცმუყებულები
მეიახლა ბიჭს, ერთხელ კიდევ შეითამაშა
და გაცინებული თვლებით მიაჩერდა.

— ჯონგა, ჩემო ჯონგა, გიყვარს სალამური,
არა?! ჰო, კეთილ სულდგმულეებს
სიმღერა უყვართ! ჰაი, შე მუ-

სიკის ტრფიალო, შე უნიჭიერესო, მსმენლო“



სალამურის ხმა ძაღლთა ხროვამდე მიღწეულიყო.
უმრავლესობას სულაც არ ებიძნა
ვინა მუსიკა, თვითნებურ ლაქუსა და
ბულრაობას განაგრძობდნენ.

ჯღუნა კი ადრევე გამოსცალკეებოდა
თავის რჭულისანებს, შორიახლო წამოსკუბებულებიყო,
ენა გადმოეგდო და თვალეწიროდ
გასცქეროდა ბიჭსა და ხარსა. და
სიამოვნების მაგიერ დიდ უამურობას
ჰგვრიდა სალამურის ხმა. სიკვდილივით
სძავდა მუსიკა. ალბათ, იმიტომ უფრო,
რომ უნებურად გაახსენებდა ჯონგასი
და გიგლოს ურთიერთბატვისცემას
და სიყვარულს. ოო, ვერა და ვერ იტანდა
ჯონგას, ელეთმელეთი მოსდიოდა
მის დანახვაზე, შხამივით დაუვლიდა
სხეულში მისი ხმა. რატომ
სძავდა? თვითონაც ვერ გეტყოდათ,
ენაც რომ ჰქონოდა. რას უშავებდა
ჯონგა ჯღუნას? არაფერს. სიკეთის
მეტი არაფერი ახსოვს ხარისგან.
მის ნაოფლართ ედგა პირში სული,
მისით დააბიჯებდა ამ შხიან ქვეყანაზე.
სადაც ბუნების სამართალი იყო,
აღამიანის მსგავსად ძაღლსაც უნდა ელოცა
ხარზე, მასავით უნდა შეეტკობოდა
და შეემეგობრებინა, მაგრამ პირიქით
ემართებოდა.

ღიას, თვალეწიროდ უმზერდა ძაღლი
ურთიერთმოსიყვარულე ბიჭსა და ხარსა
და გამოუცნობი შურიით იგსებოდა.
სალამურის საამო ხმა დაწმენდის
მაგიერ კიდევ უფრო უმღვრავდა უამურ
გუნებასა და ყრუ ლმუილით იკლავდა
ყელში მობჭენილ ბოდმას. განუკურნელი
სენივით ამწარებდა და აწვალეებდა
შური, ყველაფერი შურდა ჯონგასი,
პირველ რიგში კი ის, რომ ჯონგა
ჯონგა იყო, შურდა ის, რომ იგი, ძაღლი
ხარად არ იყო დაბადებული, მასაც
არ ჰქონდა ხარის ქედი, ხარის რქა,
ხარის ძალა, არ იყო ხარივით გამწევი



და მასწავლებელი, მასავით მოსიყვარულე და ერთგული, ხარის გული არა ჰქონდა და ხარის სული არ ედგა. შურდა, რომ იმდენი პატივისცემა ვერ დაიმსახურა პატრონის წინაშე, როგორც ჯონგამ. ხომ ასე ვერთგულდებოდა ძალი პატრონს, ხომ ასე უთევდა ღამეებს რომ მშვიდად სძინებოდა მზრუნველს, ხომ მისი გულისათვის მოძულა კარს მომდგარი ორფეხა თუ ოთხფეხა არსებანი, მაგრამ მაინც უმადური ჰყავდა ადამიანი, მაინც უწყრებოდა და ტუქსავდა, პანდურსა და კეტს არ აკლებდა, ნარჩენითა და ძვლებით ჰყვებოდა. ჰოდა, უმადური იყო თავისი ძალღური ბედისა, ხარობას ნატრობდა, რაკი ვერ ღირსებოდა ამას, რაკი იქამდე ვერ ამალღებულოყო, მიტომ უფრო იბოღმებოდა და ივსებოდა შურით. მიტომ სძულდა ხარის ჭილაგიც, ადამიანის მოდგმაც, ერთთავად ეღრინებოდა ხარსაც და კაცსაც.

ეს ხომ ძაღლის რჯულის მოწოდებაა, უნდა იღრინოს, იყეფოს და იკბინოს, თორემ კარ-მიღამოზე ვინ გააჭაჭანებს, ლუქმას ვინ აღირსებს, ძაღლი რა ძაღლია, თუ ეგ მისია არ შეასრულა, მაგრამ ჯღუნა სულ სხვანაირი ხასიათისაა. მაგნაირ ერთგულებას ვერარა დაიკეხნის მთელ საძაღლეთში, ძირს ჭიანჭველას არ გააჭაჭანებს და მაღლა ფრინველსა პატრონის კარმიღამოზე. მხოლოდ ღრენითა და ყეფით როდი აფრთხობს ეზოს მიმდგარ სულიერსა, სხვა ხერხი უფრო გაიბეჯითა ბოლო დროსაც; კრინტს არ დასძრავს, მუცელზე გაწევა, თვალებს დახუჭავს, თავს მოიმინარებს და მოიგულღბურყვილოებს, ადამიანიც და პირუტყვიც გულღბურყვილოდ მიენდობა, თამამად გაუვლის, ჯღუნას ყურს არ გამოებარება მისი ნაბიჯის ხმა, გაიგულებს, თვალს გაახელს, მალულად წამოდგება, მიეპარება და კანჭში სწვდება დაუქითხავად მოსულსა. თუ მოასწრო და მოუხერხდა, არ დაინდობს, ტანისამოსსაც გამოაგლეჯავს და ხორცსაც. მხოლოდ უცხოებს კი არა,

მიჩვეულ მეზობლებსაც არ ინდობს. ვინ იცის, რამდენი გულმინდობილი სულიერი დაგლიჯა ეგეთი მზაკრობითა.

ჯონგასაც ეგრე ჩაუსაფრდა, მიძინარედ მოაჩვენა თავი, მერე უჩუმრის პირით წამოდგა, თავჩადუნული მიეახლა, უნდა სცემოდა, მაგრამ ჯონგა დროზე მიუხვდა, ღონიერი წიხლი უთავაზა და მის მერე აღარ შეუბღღია რა.

მიპარვა დაიშალა, მაგრამ ღრენაყეფას მოუმატა.

მხოლოდ პატრონის კარ-მიღამოზე მიმსვლელს რომ ეყეფებოდეს, ეგება, ერთი მხრით, არც გაიმტყუნებოდეს, მაგრამ ცხრა მთას იქით რომ მოჰკრას ვისმე თვალი, ანდა რაიმეს ხმა გაიგონოს, უმადვე აიღერებს თავსა და ძარღვებდაჭიმული აყეფდება.

იმ დღეს არ იყო, სოფლის თავზე ჯორ-აქლემების ქარავანი მიიზღაზნებოდა, ჯღუნამ თვალი შეასწრო, გაეკიოდა, გაეყეფა, თავისთვის მიდიოდა ქარავანი, ჯღუნა მისდევდა და მიჰყეფდა. ქარავანი აინუნშიც არ აგდებდა ჯღუნას ყეფას, ის თავისი გზით მიდიოდა. აკი ნათქვამიც არის: ძაღლი ჰყეფს, ქარავანი მიდისო.

მხოლოდ სულიერს კი არა, უსულო საგნებსაც ხშირად ეღრინება და ეყეფება ჯღუნა. ვთქვათ, ხეს, ქვას, მიწას, წყალს, მივა გალაღებულ ხესთან, ღრღნის და ეყეფება. მოიღლება და მოეშვება. მერე ქვაზე იკლავს ყეფის ჟინსა, ნერვიულობს რომ ვერას აკლებს, იქაც დაიღლება და ხმას გაიკმენდს, ახლა მიწას გამოფხოჭნის, რაღაც არა სიამოვნებს მისი სურნელება, უფრო ღრმად გამოთხრის გაბრაზებული და ეყეფება, სთხრის და ეღრინება. ასევე ექცევა წყაროსაც, სძულს, რომ განუწყვეტლოვ ჩქეფს, გაცხარებული მიგარდება და უყეფს, ყეფით რომ ველარაფერს ვერ დააკლებს, წაბოლწვას მოინდომებს. მაშინ კი მშვიდ-

პიორგი ხორგაუშვილი
ჯონგა

დება. სიამოვნებს რომ მათაც, უსულო საგნებს, რაღაცას ავინებს და აზიანებს. მაგრამ მაგაზეც ხშირად იროზგება, რადგან ხესაც, ქვასაც, მიწასაც, წყალსაც თავისი პატრონი ჰყავს.

უყვფოდ კი ვერ სძლებს. ხშირად მზეს და მთვარესაც შეჰყევს. რატომ? კაცის შვილი ვერ ცნობილობს. მზეს დიდხანს ვერ უსწორებს თვალს და მალე იკმენდს ხმას. მთვარეს კი დიდხანს შესცქერის და შეჰყევს.

არც ამასა სჯერდება. დგას მთვარიან ღამეს და ყმუის. საზარელი ყმუილი იცის, ტირილიანი, ნაღვლიანი, გაბმულგაუთავებელი. ვის, ესიამოვნება მისი ყმუილი, ძილს უფრთხობს და გუნებას უუგემურებს მაშვრალ ადამიანებს, ბავშვებს აღვიძებს და ატირებს, ნერვებს უშლის დიდსაც და პატარასაც. რაღაც ავის მომასწავებლადაც მიახინიათ, ასეთი რწმენა აქვთ შემორჩენილი: ძალდი რომ ყმუილს გააბამს, უბანში ვიღაც უნდა მოკვდესო. და იწყებლებიან და იგინებიან მორწმუნენი, უფრო კი ავადმყოფების პატრონები, გამოვლენ შუადამისას შეშინებულ-გაბრაზებულნი და მოყმუილე ჯღუნას ეძებენ ხელკეტებითა, გონებაშაზვილი ჯღუნა მიხვდება, გატვრინდება და თავს გადაირჩენს.

— შენი ძალდი არ გვაძინებს, მთელ ღამესა ყმუის! — საყვედურობდნენ პატრონსა.

— მე რას მიწყრები, ძალდი ყმუის, მე ხომ არა! — პასუხობს უღარდელად.

— დაუშალე მაგ გამჩენძალსა!

— შენ შვილს ვერას აგებინებ და ძალდსა რა შევასმინო! — უფრო ყარყუმობს პატრონი.

— ეპ, რა გელაპარაკო, რაც პატრონია, ის ძალდია! — გულს მოიფხანს გამწყრალი და იმასაც შეეშვება.

ჯღუნა კი მაინც ყევს და ყმუის.

ძალდი არ მოიშლის ძალდობასა.

● დიას, უმზერდა ჯღუნა მოალერსე ბიჭსა და ხარსა და შური ახრჩობდა. იმ

ქამას სძულდა ყველა და ყველაფერი, ეზიზღებოდა თვით უერთგულესი ბობლიაც კი, რომელიც გვერდში ამოსდგომოდა თავის კერპს და თანაგრძნობით შესწყმუტუნებდა.

ჯღუნას ერთხელ კიდევ დაუარა ძალღურმა შურმა, კიდევ უფრო მოიფრთოვა თვალები და გესლიანად გაიღრინა.

თანხლებმა ძალღებმა უსიამოდ გაიწყმუტუნეს.

გულნაჯერები ბიჭი რომ გამორდა ხარს, მაშინ მიბედეს ახლოს მისვლა ძალღებმა.

ჯღუნამ შორიაოხლოდან შეუღრინა ჯონგას.

ხარმა აინუნშიც არ ჩააგდო, დაღუნა თავი და თავისთვის სძოვდა.

ერთმა ეშმაკმა ძალღმა ვითომდა სასხვათაშორისოდ წამოუარა ჯონგას, უკან აეტუზა, ის იყო უნდა ბარკალში წასწვდომოდა, რომ მიმხვდარმა ხარმა ღონიერად მოუქნია ფეხი და კბილები ჩაუღეწა.

ცხვირპირჩასისხლიანებულმა ძალღმა იკადრა უკან გაბრუნება, სამშვიდობოს გავიდა და საცოდავად აღმუვლდა.

ჯღუნამ უკმაყოფილოდ გაიყმუვლა.

ბობღია მიუხვდა, შუბლი შეიკრა. უცებ რაღაც ფიქრმა გაუღვია, ხარის წინ დაღვა და საძოვარი დაუღორბლა. ჯონგამ საყვედურობა შეუბღვირა, ზურგი შეაქცია და სხვა მხარეს გაუყვა საძოვარს.

ბობღია კვლავ წინ წამოემჭვიტა და გამომწვევად შეჰყევდა.

ხარმა მღურვით დაუფრუტუნა. ძალღმა ყურად არ იღო ხარის გაფრთხილება, კვლავ უნამუსოდ შეჰყევდა და ყელზე მისავარდნად შეიკალხა.

ხარმა გამეტებით ამოუქნია რქა, მუცელში აძგერა და გაფაშვა.

ბობღიამ უღონოდ ამოიკენესა და სასიკვდილოდ ამობრიცა თვალები.

ჯღუნას გულზე შემოეყარა, შურისძიებამ შეაძიძიძია, გესლიანად ააკაუ-

ნა კბილები, მაგრამ შიშმა შეკოჭა, ბირტკულმა შეპყეფა და გამოშორება ამჯობინა.

ღანარჩენი ძალებიც ტუსტუსით გაპყენენ.

ხარმა სიბრალულით დახედა შემო-
მკვდარ ძაღლს, თითქოს დაფიქრებით
დაიარხია თავი, უკმაყოფილოდ გაიხმუვე-
ლა, უკან გამობრუნდა და ნელი ნაბი-
ჯით დაუყვა გზას.

● ჯღუნას გარშემო შემოეკრიბა მთე-
ლი უბნის ძაღლები და რაღაცას ეწ-
კმუტუნებოდა.

ფინიებიც გაერიათ.

ზომ გასაგებიაო, თითქოს ეს ამოიც-
ნობდა მის თავკაცურ გაყმილებებაში.

გასაგებიაო, გასაგებიაო, ასე ეჩვენე-
ბოდა ძაღლთა ხროვის ერთბაშადი გა-
წყმუტუნება და თავის რხევა.

დიდხანს გაუგრძელდათ საიდუმლო
ყეფა-წყმუტუნე.

● კახანია უღელი არ დასდგომია ჯონ-
გას სქელ კისერსა. იმასაც არგო დას-
ვენებამ და სილაღემ, კიდევ მეტად გა-
ღონიერდა ისედაც ჯანღონით სავსე ხა-
რი, გახალისდა კიდევ. ახლა უფრო
მოიცალა საგიგლოოდ, ახლა უფრო
მოეჯიგრა ბიჭიც.

კვლავ ერთურთის სიყვარულში
ელეოდათ მზიანი დღეები.

იმჯერად კი მარტოკა ღანავარდობ-
და თავის საბალახოში.

ისეთი თვალსაამო იყო იქაურობა,
ისეთი სურნელება ტრიალებდა, რომ
ცაში ფრენის ტრფიალი ჩიტებიც დაბ-
ლა დაშვებულყვენენ და თავდავიწყე-
ბით უგალობდნენ სიცოცხლეს.

შეყვარებულივით ძალუმად უძგერ-
და გული ჯონგას, ტკებებოდა მუსიკითა
და სილამაზით.

სიცოცხლე მოსძალებოდა ნაიალადარ
ხარსა. მსხვილ ძარღვებში დაუღუღა-
რი მაჭარივით უთქრიალებდა ცხელი

სისხლი, ლაღად შეითამაშა, ღონივრად
შებღავლა, ვერც ამით დაიოკა დეღვა
ალარ იცოდა, რას დასკიდებოდა, ბექ-
ობს მიადგა, რქით მიწასა სჩხევრდა
და ბუბუნებდა... ისე გულდაგულ ეკი-
დებოდა, თითქოს დედამიწის აყირავე-
ბას და ბურთივით შესროლას იმუქრე-
ბოდა. ყველასი და ყველაფრის მძლევე-
ლად მიანწადა თავი, სიცოცხლის სიყვა-
რულს ველარ იტევდა მისი ვეებერთელა
გული.

ჯღუნა ბექობზე წამოსკუბებულიყო
და შურით ყელამოსიებული მუქარით
უბღვერდა მობუბუნე ხარს, ეამიდაყამ
მზვერაევივით ფრთხილად მიმოიხედე-
ბოდა აქეთ-იქით.

მისი ერთგული ძაღლები კი მოშო-
რებით ტორღილობდნენ და მალულად
უახლოვდებოდნენ ჯონგას.

აგერ ერთი ფინია მიეპარა, მოულო-
დნელად შეპყეფა და წინ გადაუხტა.

მოზეიმე ხარს გუნება აემღვრა და
ნელა გაუქნია რქა. ფინიამ ისკუბა და
წყიპურტი აიცდინა კვლავ გაუბა უსი-
ამო ყეფა.

ხარმა თავი აიღერა და ფინიას მიაბ-
ღვერდა. ყურები დაუბარტყუნა, თავი
მიანება, თითქოს აინუნშიაც ალარ აგ-
დებდა, მაგრამ ფინიამ ალარადალარ
მოისვენა, ხან აქეთ გადაუხტა, ხან იქ-
ით, დახტუნაობდა და გამომწვევად
უყეფდა. ხარს ბრაზი მოერიოა და გა-
მეტებით გაედევნა, ვერადავერ დაეწია
ფეხმარდ ფინიას, რომელმაც უგნებელ
ადგილას გააღწია და ახლა იქიდან ატ-
ეხა გამაღიზიანებელი წყავწყავი.

იმას შეეშვა.

ახლა მეორე ფინია მიეარდა და ან-
აზღად შეპყეფა.

გულმოსულმა ჯონგამ იმას უფრო
ღონივრად ამოუქნია რქა, მაგრამ ვერც
იმას მოახვედრა. გაჯავრებული გამოე-
კიდა გაქცეულს. კარგა ხანს სდია, მაგ-
რამ ვერც იმას დაეწია, თავის მინებება
არჩია.

გიორგი ხორგაშვილი
ჯონგა

ჯერ სული არ მოეთქვა, რომ მეორე ფინიამ გაუთამაშა და გამაღნიანებლად აუყვებდა.

ხარმა ხმა აღარ გასცა, ღელვა კი ვერ დაიცხრა.

გათამამებულმა ფინიამ წინ მოუსისხა

ხარმა კი ახლა ველარ შეიოკა სიბრაზე, დამუქრებით გაეკიდა, რქის წვერზე აგებას უბირებდა, ფინია მიიახლოვებდა ხარსა, ჯონგაც ღონივრად ამოუქნევდა, მაგრამ ფინია გადახტებოდა და აიცილებდა, ბარე რვაჯერ ამოაქნევინა რქა, ამოაქნევინებდა უშედეგოდ და უფრო მოერეოდა სიბრაზე ხარსა, სდია, სდია და ვერც ამჯერად ამოიყარა გულის ბუხარი.

ხარი ოფლში ცურავდა.

დილაღა და გაჩერდა.

ფინიებმა ყუფა გააბეს.

მეოთხე ფინიამ სულ სხვა ხერხი იხმარა. მოულოდნელად ისკუბა, ბეჭებზე მოექცა ხარსა და ზედ აცეკვდა. ხარმა გაბრაზებით შეიკუნტრუშა, ფინიას დანარცხება და გაჰყვებდა ეწადა, მაგრამ თავი ველარ შეიკავა და თვითონ დაეცა, განზე გამხტარი ფინია სიხარულით წკაფწკაფებდა, გესლიანად აყვფთა ძაღლთა ხროვა.

ხარი წამოდგა. გაგიჟებას ბევრი აღარა უკლდა რა.

ახლა მეხუთე ფინიამ გაუთამაშა და გაუწკაფწკაფა.

ჯონგამ იმასაც ღონივრად ამოუქნია რქა, კვლავ აუცდა, გამოეკიდა, სდია, სდია, მაგრამ ვერც იმას დაეწია.

მეექვსე ფინიამაც ეგრე არბენინა, მეშვიდემაც, მერვემაც, მეცხრემაც. ზონზროხა ძაღლებიც ეგრე ეშმაკობდნენ. ეგრე სათითაოდ მივარდებოდნენ, შეჰყვებდნენ, გაანერვიულებდნენ, გაექცეოდნენ, გაედევნებოდნენ, არბენინებდნენ და ძაღლ-ღონეს აცლიდნენ. იმდენი არბენინეს, ისე მოღალეს, რომ სავათობა აღარ ჰქონდა.

ჯონგას უცებ მოეკვთა მუხლი და მიწაზე დაეცა ხვითქმი გაცურებულმა.

ხარი წაიქცათ?! გამარჯვებულის კილოთი შეჰღმუფელს ძაღლებმა, წაესივნენ და თავის გემოზე დაუწყეს კბენა.

ჯონგას ყელში მობჯენოდა ბოღმა, წამოწვეა სცადა, მაგრამ კულის გაქნევის ილაჯიც აღარ ჰქონდა. უღონოდ ამოიზმუფლა და ბედს დაემორჩილა. მსხვილ-მსხვილი ცრემლები გადმოუგორდა დიდრონი თვალებიდან.

ჯღუნას ენა გადმოეგდო ნიშნის მოგებით, გესლიანად გადმოსცქეროდა წაქცეულ ხარს, რომელსაც მხიარულის კილოთი დასწკმუტუნებდნენ დასეული ძაღლები. და სადაც გაეხარდებოდათ, იმ ადგილას გაუყრიდნენ წვეტიან კბილებსა.

სიხარული ბევრჯერ სწვევია ჯღუნას, მაგრამ ასეთი-არასოდეს. დედამიწაზე ველარ ეტეოდა. ზეიმურად შეჰყუფა და შეითამაშა. კარგახანს იხტუნა თავდავიწყებით, ერთხელ კიდევ გადახედა წაქცეულ ხარს და აღტაცების ყმითილი გააბა. ახლა კბილის გასისხლიანების ჟინმა მოუარა და თამაშ-თამაშით გაქანდა, მაგრამ ანაზღად შეჩერდა, რადგან თვალი მოჰკრა ბიჰს, რომელიც გულამომჯდარი მორბოდა ხარისკენ.

ჯღუნას გუნება მიეწამლა და ღვარძლიანად შეჰღმუფლა.

ხარსდასეულმა ძაღლებმა თავები აიღეს და თვალი ჰკიდეს თუ არა მოახლოებულ ბიჰს, უმაღვე მოჰკურცხლეს.

გიგლო მუხლებზე დაეცა და დინგზე მოუთათუნა აკანკალებული ხელი.

— ჯონგა, ჩემო ჯონგა!

ხარი უიმედოდ დუმდა.

ბიჰს ცრემლები მოეძალა.

— ჯონგა, ხმა გამეცი, საყვარელო! ხარს სიცოცხლის ნიშანწყალს ევლარ ატყობდა ბიჰი და გულამოსკვნით ატირდა.

— ჯონგა, ჩემო ჯონგა, ეს რა დაგმართვია?! მოგატყუეს, ჯონგა? ნამ-

დვილად ეგრე იქნებოდა, თორემ მთელი საძაღლეთი რომ ერთბაშად შეგებოდა, შენ მაინც ვერას დაგაკლებდნენ. ეგრე მოსდგამთ უძღურებსა და გულღვარძლიანებს, სხვისი სიკეთე და სიძლიერე არ ახარებთ, შური აღრჩობთ, შენ რომ მხოლოდ სიკეთეზე ხარჯავ სიცოცხლეს, მხოლოდ იმაზე ფიქრობ და იღწვი, ისინი მხოლოდ იმასა ფიქრობენ, რა გიხიმანდრონ და როგორ მოგსპონ. რაკი უღონონი არიან და ცალ-ცალკე ვერას გახდებიან, პირი-პირს მისცემენ, ერთად შეიკვრიან, დანდობილს მოგე-

პარებიან და ეგრე მზაკვრულად დაგამარცხებენ... ვაიმე, ჩემო მეგობარო და ნუგეშო, ჩემო სიყვარულო და ოცნებავე. ვაიმე ჯონგა, შე შურითა და მზაკრობით დამარცხებულო ხარო!... ნუთუ მართლა აღარა ხარ ცოცხალი! — დასტირდა მდუღარეთი. მერე ფერდზე დაახარბა ყური. წამოხტა და ცივი წყალი მოასხურა სახეზე.

ჯონგას ცრემლი მოეყურა და ოდნავ შეაბრუნა თვალი.

ბიჭსაც ჩაუდგა თვალეში ცრემლი. იმ ცრემლებში იმედი ციმციმებდა



მდინარისპირა ყანა

(ჩემი სოფლის სურათები)

აი, ეს წელიც მილია შეუმჩნეველი,
გაზაფხულია და კამკამებს მზეში ტყე-ველი,
ველად არიან სოფლელები, გუთნის ხროტინი
ესმის არეებს და ცაცხვია შორს-გაფოთილი,
მინდვრების კიდეს საზღვრავს წყალი ჩქაფუნა სინწის,
სურნელება დგას სანახებში მოხნული მიწის,
წყლის ნაპირებზე ოდებია მეჩხერად მდგარი,
მიედინება დოქით ხელში კენარი ქალი,
ორღობებში სინათლეა აკაცების,
მინდვრის ბოლოში უკვე ყვითლად ჰყვავის იელი.

მაშინაც მწვანე გაზაფხულით სოფელი მდერდა,
ეს ყველაფერი ასე იყო, აწ რასაც ვხედავ:
ბაწია ფრთაა ბორცვიანი ქაფათის ფერდით,
იმ მიწის ფრთაზე გლეხიკაცი რომ მოჩანს ერთი
იმ წელსაც ასე ფუსფუსებდა ველად ბეჩავი,
ეგაა მისი ნუგეშინი და საესავი,
თუმცა ამხანად საფიქრალი მეტი აქვს იმას,
მიტომაც შიშით ელოდება მწყალობელ წვიმას.

კარგია წვიმა, როს მიწისთვის მიბარებული
არის მარცვალი და სხვა საქმე აღარ გეგულის,
ორიოდ კვირას მოცლილია სოფლელი თითქოს,
მაგრამ როდესაც დალოცვილი ამაზე ფიქრობს,
მაშინ დადგება სოფლად გვალვა მაინცდამაინც,
და ნერვი აპრილს მოსასვლელი, ამოდის მაისს,
მტვერი ეყრება ციცქნა ფოთოლს ხორშაკი ქარის,
ჩაფიქრებული გლეხიკაცი გასცქერის მთვარეს,
მთვარე სარაქონს-ჩაგა ნელა და მერე ისევ
აიწვევება, როს გადადის სენაკის მთისკენ,
და იცის მთვარემ ჭირვეული კაცის ბუნება,
გლესის საფიქრალს რომ მაღამოდ ესაღბუნება, —
მეორე დილით მოდის წვიმა, ისმის კვარჩხალი,
ავი თვალისთვის ნახშირი და კედელს-ნაცარი.
და გრძნობს ბუნებას აწვერილი სიმინდის ღერი,
ეცემა ფოთოლს და წყალს მიაქვს შემხმარი მტვერი,
ციმციმებს ველი, და იხრჩობა მიწა წვიმებით,
და კისკასებენ ფეხშიშველა სოფლის ცირები.

წვიმა ზრდის ცირას და როს დგება შემოდგომითი
ჟამი, ასულებს ავონდებათ ტკობთა შორითი,
მაგრამ ბნელია ხსოვნა ესე, როგორც ნაწვიმარს
გარეთ დარჩენილ კვიცის გამო ფიქრი კაცისა.

კვარჩხალებს წვიმა, აწ კარგია მზის მონათება,
მზე იწვევს მაღლა, შუადღისკენ კიდევ დაცხება,
და მოპირული თოხით ხელში ტრიალებს კაცი,
ხშირია წვიმით წამოზრდილი ბარდი და ქაცვი,
სადაც არ მივა თოხის პირი, იქ-ხელისგული
მივა ფუსფუსით, მოჩანს სინწა გადახიდიული,
ხიდს მიღმა ბნელი კორომია, მოღმით-ჭალები,
აქეთ დილაა, იქით კიდევ-შემოღამება,
ხერგილი საზღვრავს მცირე ნაკვეთს ქვით აზოხლილი,
წყლით ამოსული კიბორჩხალა მახსოვს ქოხივით.
შუბლზე—სახოცე, თავს—ფარფაშა ქუდი ჭილოფის,
ირხევა კაცი, მიაქვს კვალი ცაცხვის გრილოთი,
ღობეს ჩაუდის სინწის წყალი წყნარი დინებით,
საღამოსაკენ პირამიდებს ჰგვანან ჩრდილები,
ჩრდილი ქვა არი, ქვა—ჩრდილია, ჩრდილი—გრილია,
გრილი—ქვა არი, საღამური დგას იდილია,
ლანდივით მიდის კაცი ველად, შრომით დაღლილი,
ჭიშკართან სველი ბალახია ბლუჯად დაყრილი.

ჭიანჭველები ეხვევიან ჩაუვალ მარცვალს...
რისი იმედით უნდა მიჰყვე პოემის მარჭვალს?
მაგრამ ღვთით! სოფლად ყველასა აქვს საქმე თავისი.
ცისქვეშე ყველას საკუთარი ახლავს ხალისი,
მე ჩემი მიყვარს ჭალები და მინდორ-ველები,
სადაც გლეხები მიჰყვებიან ზვრებს სიმღერებით.
ამ დროს იმედი, ვით ბალახი ამოწვერილი
მწვანდება ნელა, ჭალაკი ჩანს გამოცვლილი,
ჯერ მოცელავენ ჭალაკს ტყიანს და მერე წვავენ,
და ჟღალ მიწაზე ციცქნა ყლორტი ამოდის მწვანედ,
ზოგის საყანე წყლის გაღმაა, ზოგის—გამოღმა,
აქა-იქ, ლასტიც დავარდება, თუკი გამოსმა,

მიედინება მოჩქაფუნე მდინარის წყალი,
მგერელი კაცის მარჩენალი სიმინდი არის,
ყანა და ძროხა, თხა და ღორი თითო-ორთლა,
ანაკლიაში კამეჩიც ჰყავთ, მაგრამ ბობოლას
ხმობენ გლეხიკაცს, აქვს რომელსაც ფართე ქონება,
ხან პირველყოფილ კაცისას ჰგავს ჩვენი გონება.

იძრა წყვდიადი, გამთენია შემოდის წყნარი,
გამოიღვიძა მიწისშვილმა და გახსნა კარი.
რა სიწყნარეა! რა საჭირო არი სიტყვები,
მიაყურადე სუნთქვას ჩემსას, და შენ მიხვდები,
რომ ყველაფერი ნათქვამია ამ ცისქვეშეთში.
რომ მორგებული ვარ ამ ყანას, როგორც ბეჭედი,
და ირგვლივ ზღვაა სიმინდისა, ლურჯად მფინარი,
და შენ მოდიხარ სიშორიდან, როგორც მდინარე,
ერქაფუნები კიდეს ჩემსას, მოგაქვს ნოტიო
ლამი და ნამი, კიდევ წამიც რომ მეპოტინო, —
გამეღვიძება და ჩვეულად გაგიშლი მკლავებს,
იყურე, გულო, ყველაფერი იქნება მალე!

გორაკიდან ჩანს: დაცოცავენ ქუდები ჭილის,
აკვანი გიდგას ოდის ჩრდილში და ბალდი ტირის,
მინდორში, ხესთან მიყუჟულა ლამაზი ცოცხი,
კამა-ქონდარის სურნელეზა მოგიდის ბოსტნით,
ძაღლი წევს მსხლის ქვეშ; ცვივა, ცვივა, ყვავილი თეთრი,
მწუხრზე საქონლის მოსარკვი აგდია კეტი,
რომ გაიხედავ ჭალისაკენ — ისევ ის გული,
წყალობა სუფევს მიწაზე და სიმშვიდე სრული;
ვით ღვთისმშობელი, ზიხარ ჩრდილში, დახრილი ოდნავ,
აწოვებ პირმშოს და გიხარის უსაზმნო ბოდვა,
ტიკტიკებს ბალდი, ვინ რა იცის, რას იტყვის იგი,
და ვით სამოთხის ხეზე, ამოდ წკრიალებს ჩიტი,
ხიდი ჩანს სინწის, და ლაპლაპებს მდინარის წელი,
გაგანაია და ჭრელ-ჭრულა მინდვრები ცხელი,
და როგორც თვალი, დასცქერს ლურჯი გუმბათი სოფელს,
შუადღისაკენ გლენიკაცი მოჰყვება ღობეს,
შუქ-ჩრდილებია მსუბუქი და ნელი-ნელ მჭროლი,
ჩრდილი რომ იხვეს, ძაღლიც იხვეს გრილოში მწოლი,
ატამი ბზინავს ხეხილნარით, ვით ღამით-ჭრაქი,
ადგება ჩუმი დედა-ქალი და ეზოს დაჰკვის.

შორიდან ყანა ლამაზია და მწვანედ გიცქერს,
მაგრამ ერთ ციცქნა სარეველას ვერ მოსწყვეტ ისე,
რომ ერთხელ აღარ მოიხარო ჩვეულად წელი,
უკაცოდ აბა რაღა არი სოფელი ჩვენი?
მდინარეს უნდა ღარი მისი, ღორღი და ტევრი,
სიმს ჩონგურისას — მოწკრიალე და შხვერთი ყელი,
ყელს-მოღერება, ხმა ნაზი და შემძვრელი გულის,
გულს — სიყვარული, ფარას — მწყემსი, და მშვიერს — პური,
პურს — დღეცისმარე ფეხზე დგომა და მჭრელი ცელი,
მოსავალს — კარგი შემოდგომა და მომკელს-ხელი,

ხელს—ხელი უნდა, გულს—გული, და მშვიდობა—სოფელს,
და სუყველაფერს—ცისიერი წყალობას მოჰფენს.

გურამიშვილის მახსენდება ხოლმე შაირი,
როცა სიერცევა მსუბუქი და კვამლისნაირი,
როცა ცა არი მოკამკამე და მღერის ცირა,
როცა შაბათი არი სოფლად და ხვალე—კვირა,
აი, ესე დღე, მოვლენილი ქვეყნად ცისაგან,
დაფიქრებისთვის არი თითქო, რაა მიზანი,
ამ ცისქვეშეთში გარჩენილი ხორციელისა,
როს სიწყნარეა უბოლოთ მინდორ-ველისა,
როცა მწიფს ყანა და არ უნდა მას მოხმარება,
როცა დროულად დგება ჟამი გამოდარების,
როგორ ხდება ეს? რა აღვივებს მარცვალს პაწიას,
თუ უჩვენოდაც ლამაზია და წარმტაცია
ეს ველ-მინდვრები, ეს სოფლები. რაა ცხოვრება?
დასაბამიდან რა შემორჩა ჩვენს მახსოვრობას?
ა, ეს ატამი ბაბუას თქმით, შემთხვევით გაჩნდა,
არავის ახსოვს თუ იქ ვინმე თესავდა მარცვალს.
როგორ მოვიდა ტყის კორომში ნამყენი ბალი?
გახსოვს, რამდენჯერ გვინახია ის ჩვენი თვალით?

შუადღის კარი გახსნილია, მზეა მთოვარი,
სინწის ნაპირას, სად ოდესმე იდგა ბორანი,
შხვერთი ყანაა სიმინდისა, ამწყვანებული,
დაბლა მიჰყვება ხევს მდინარე აჭაფებული,
წყალმა წაიღო იმა წლეულს ცალფეხა ხიდი,
ფონით გადმოდის აწ მოსახლე მდინარის კიდის,
კბილებს უსინჯავს გლეხი სიმინდს, გაგინარია,
წელს ხვავრიელი მოსავალი მოვა ძალიან,
ხვალ-ზეგ სიმინდის ტეხვას იწყებს სოფელი მთელი,
ხვალ-ზეგ კვლავ იგრძნობ, რა მწარეა ტკივილი წელის.

უკვე გათენდა, შორს გაისმის, ყვირილი მამლის,
ღეროებს წვავენ სოფლელები და ლურჯი კვამლი
მიდის ცისაკენ აწურული სვენებ-სვენებით,
მდინარის პირას გაწუწული დგანან ცხენები,
ურმის ჭრიალი ეფინება სანახებს ღიას,
შემოდგომაა სოფლად და კვლავ ნანატრი დღეა,
ტეხავენ სიმინდს, ხორხოცებენ გაბმით კაცები,
გორაკ და გორაკ გაშვეტილი დგანან ცაცხვები,
ლაპლაპებს ზურგი მდინარისა და წყალი მიდის,
მოდრაობს ჟამი და ილევა შუადღე დიდი,
წყალი ზღვას ერთვის, ზღვა — სიფრცევებს, იმედი ხვალეს,
— იყურე, გულო, ყველაფერი იქნება მალე!

სივრცეა ირგვლივ და ზოზინა სოფლის ტალახი,
ხმელია ჩალა-ფურჩეჩი და თივა-ბალახი,
გატეხილია ღობეები, ზამთრის წინარე
დღეები არი ნისლიანი და ნაწვიმარი;
როდესაც თოვლი ააშენებს სოფლად ჯებირებს,
როდესაც თვალი ვედარ ხედავს ტურფა ზეფირებს,
როდესაც მუხლი დაბმულია და მკრთალი ცეცხლი
ანათებს ჯარგვალს და ბუდე ჩანს წასული მერცხლის,
როს თოვლზე თოვლი ათოვს ისევ და ტყდება ტოტი,
როს მატარებლის დაკვილება მოისმის ფოთით,
როს მეზობელი მეზობელთან ყურყუტებს გაბმით,
როს აღარაფერს აღარ შველის ბოღმა და დარდი,
როს კაკანათქვეშ ნაჩქარევად შემოდის ჩიტი,
როს წისქვილისკენ მისავალი არაა ხიდი, —
კერასთან ზიან სოფლელები, სიმინდს ხარშავენ,
შიშინებს თხმელა და მდულარე ქვაბი კვარჩხალებს,
და ვით ამინდის მოსანიშნი — ბუხარზე მწიფე
მანდარინი დევს და შორეულს გაგონებს ფიქრებს.

მიედინება სინწა ჩაღმა, ქვერი — სველია,
არავინ მოვა აწი სტუმრად, და სიბნელეა,
ჩქეფს სიბნელეში წყალი მარად დაუდევარი,
კვირაში ერთხელ ძლივას ჩნდება შორით ზეკარი,
კავკასიონზე ყინვა მეფობს და მყარი თოვლი,
ჯერ გაზაფხული ფიქრიდანაც კი არი შორი,
მავრამ გატეხავს მზე ყინულეთს, წამოვა ღვარი,
ვერ ჩაეტევა იწროებში მდინარის წყალი,
სათესლე მარცვლით გავა ველად გლეხკაცი ჩვენი,
შენ დაუმსხვრიე, მზეო, ზამთარს, პირქუში ბჭენი!



ბედის სიმღერა

დგას კაცი ღია ცის ქვეშ. მთელი სხეულით მიყრდნობია ვეება ხეს. ესიყვარულება. ეს ბებერი ცაცხვია მისი პირველი შემხვედრი ნაცნობი. ეხვევა ძველ მეგობარს დიდი ხნის უნახავი.

ხეს ჩახუტებულს მიწის ძალა და სიყვარული მოსდებია. მის სიტბოს გაულღვია დამზრალი გული და დგას შუბლგახსნილი, გულგახსნილი, თავისუფალი კაცი, ღია ცის ქვეშ.

— ნეტა თუ ყველამ იცის მისი ფასი?!

— რისა?! თავისუფლების, თუ ამ ლურჯი ცის?!

ვინ შეუბრუნა ასე უცნაურად კითხვა? განა ზღვარს დასდებს ვინმე უკიდევანო ცასა და ქვეშაირთ თავისუფლებას?! განა უერთმანეთოდ არსებობს ეს ორი სიტყვა?!

— ?!

ბებერი ხომ აზრზედაც არ არის, რომ შეიძლება იდგე ღია ცის ქვეშ უსახლკარო, უთვისტომო, უმიზნო და ბედნიერი იყო იმით, რომ უყურებ მშობლიურ ცას და არავენ გიშლოს, არავის უშლი.

კაცს გული უკვირს:

— უყურეთ ყველამ!

— ვუყურებ მეც!

ხედავთ რა კაცია?! ცა შარავანდელად დასდგომია მხრებზე. ბედნიერია. არაფერი აწუხებს. მხოლოდ უხარია. მზე რომ იმართება მთებს იქით, ნაცნობ ქუჩაზე რომ მიაბიჯებს. ეკლესიის სითეთრე და ჭვარი რომ დაჰყურებს.

საოცარია, ხედავს, გრძნობს ყველა-

ფერს. ის კი არ იცის, საიდან მოვიდა, სად მიდის, რა უნდა. საოცარია, მაგრამ — სინამდვილე.

ყველაზე მეტად ის აწუხებს, რომ ავადმყოფურად განიცდის და ხედავს ყველაფერს. სხვის ფიქრსაც კი ხედავს და სწყინს, რომ ადამიანები გულგრილად უვლიან გვერდს ერთმანეთს, — ცხოვრებას. ვერ გრძნობენ რაც ასე საამო და სანატრელია. რაც ჩაივლის და ხვალ არასოდეს შეხვდება. მერე ინანებენ, მერე მიხვდებიან, მერე გაიგებენ მის ფასს, მაგრამ გვიან, ძალიან გვიან იქნება.

ჰაერივით გრძნობს ყველა ბებრას, ყოველი სხეულის ნაკლსა და სისრულეს. სწყინს, რომ სხვებისთვის ეს არაფერს ნიშნავს, რომ ასე ფუჭად იფლანგება ეს ბედნიერება.

ჰაერის გორგალს გავს თვითონაც. ისე მისრიალებს, ისე მიიჭყლიტება, ისე იჟღენთება ყველგან, როგორც ჯანღის ქულა. ასევე აზროვნებს: შემოვა მის გონებაში ერთი ფიქრი, მას კვალში უღვას, ან მხარდამხარ მოყვება მეორე, მერე მესამე და მეოთხე. ახლა მოპირდაპირე მხრიდან წამოიშლება ფენა-ფენა. ზოგი ზევდიან დაეშვება მკერდზე მუშტად შეკრული და როცა ფიქრის წერტილთან მივა, გაიშლება და აირევა ერთმანეთში. ყოველი აზრი ნისლივით ერთი ფერისაა, თან ერთმანეთისაგან განსხვავებული და ეს ათასი ერთი ფერის სხვადასხვა აზრი ირევა ერთმანეთში. ერევა გონება. ემღვ-

რევა გულ-მუცელი, ებლანდება ხელ-ფეხი და ლამის გონება წაერთვას, ლამის დაეცეს.

მიდის კაცი ჯანდის ქულასავით არეუ-ლი. საიდანაც ზედ გულზე ეხატება ჩუქურთმიანი აივანი. ფეხმა შეიგრძნო ქვაფენილი, თვალმა — ნაცნობი სურათები. გონებამ აზრი:

— ნეტა როგორ დამხვდება სახლი?!

— ?!

— ღირს კი სიხარულად?!

ამ მოსახვევიდან სულ ორასიოდენ ნაბიჯია მის სახლამდის. აქ ყველაფერი ძველებურადაა. ყოველი ხე და ქვა სა-ღმითა და მოკითხვით ეგებება. ქუჩაზე გადმომდგარან სახლები აივანებითა და შუშაბანდებით. დაბრუნებას ულოცავენ.

გული სიხარულით ყელში მიეძვინა. კი არ მიდის, მიფრინავს. მიწაზე ფეხს არ აკარებს. უხარია და უკვირს:

ნუთუ ბედურები ყოველთვის ასე საა-მოდ ეღურტულევენ?! მაშ რატომ ჰქონ-და ხანდახან ისეთი უცნაური შეგრძნება, თითქოს ყივყივით მის ტვინსა და გულს კენკავდნენ?! არა, ბედურა უდაოდ ლა-მაში ჩიტია.

ხმაც არ აქვს სხვაზე ნაკლები... მიჩვე-ვაც იცის, თამაშიც, რა კარგია, რომ ამ-დენი ბედურაა ქვეყანაზე. ნახეთ, რა კა-რგად ფრთხილებს მტვერში. ამ სიხარუ-ლისათვის ღირს მხოლოდ სიცოცხლე. შეუძლებელია მოგებზრდეს თავი, შეგ-ძულდეს ადამიანი.

რა არის ადამიანი?! რა ცოტა სჭირ-დება, რომ დაივიწყოს ყველაფერი. ცაში აფრინდეს, ან მიწას დასკდეს. რა უხა-რია? იცის, არ მიეგებება ცოლი, ვერც შვილს ჩაიკრავს გულში — და თითქოს ეს არც ენაღვლება.

მიანც ერთი სული აქვს, სანამ შინ მი-ვა.

ოთახში შეხუთული ჰაერი, მტვერი და ჭიისაგან დაფქვილი ავეჯი დახვდა. მხრე-ბზე ჩამოაწვა გამჟვარტლული სიცარიე-ლე. ფილტვები მძიმე ჰაერით გაეცსო, მაგრამ მიანც საამო ჟრუანტელმა დაუა-რა. აქ საყვარელი ადამიანების სუნთქვა, მათი სხეულის სითბო და ნაცნობი სუნი

იგრძნობოდა. ადამიანების, რომლებიც დიდი ხანია აღარ არსებობდნენ.

გაოგნებული კაცი პირველად ფაქტუ-რის ყულაბას შეეხო, ქალი იყო გამოკვეთილი. გაუხარდა ამ ძვირ-ფასი ნივთის დანახვა. ქორწილზე მიარ-თვეს. ფაფურის ქალს რატომღაც თავის მეუღლეს ამსგავსებდა. მთელ თავის ცხოვრებას სიმბოლურად მასში ხედავ-და. შიგ სწორედ იმდენი მონეტა ეგდო, რამდენი ტკბილი დღეც ახსოვდა მეუღ-ლისთან ერთად ამ პატარა ჭერქვეშ. ყო-ველ დილით, სახლიდან. გასვლისას მეუღლეს აკოცებდა და ხურდა ფულს ჩაავდებდა ყულაბაში. გული უგრძნობ-და ასე დიდხანს რომ არ გაგრ-ძელებოდა. მიანც ეტყოდა:

— ოქროს ქორწილზე გავტეხოთ, ხო?!

თავისთავად ეს სხვისთვის არაფერს ნიშნავს. მისთვის კი აქ იყრიდა თავს ყველა ლამაზი მოგონება, ყველა ის საა-მო დღე, რომელიც ცხოვრებისეული ტკბილ-მწარით შეზავებული უგემიაა გა-ნუყრელ მეგობართან ერთად.

სათუთად გადაწმინდა ყულაბას მტვე-რი: გულში ჩაიკრა. სითბო იგრძნო. თავ-ბრუ დაეხვა, კინაღამ დაეცა. თითქოს მე-უღლე შეუღდაო მხრებში. ნაზად მოხვია ხელი, მკერდზე მიიკრა. ნათლად იგრძნო მისი თმის სურნელი, გაიტრუნა...

ვილაცამ კარზე დააკაუნა.

ნაკაცარი შეკრთა, თავი გაინთავისუფ-ლა მეუღლის მკლავებიდან. ეუხერხულა, უცხომ არ შემომისწროსო. ყულაბა და-ვარდა, დაიმსხვრა იატაკზე აგორდნენ მონეტები.

კაკუნნი განმეორდა. ვილაცამ კარი შე-მოაღო:

— შეიძლება?

მეორე „შეიძლება“ ქალი შემოჰყვა ქოთქოთით.

— გამარჯობათ... მომილოცავს... რო-დის დაბრუნდით?! როგორ ბრძანდებ-ით?!...

— ?!

— უჰ, ყულაბა გაგიტყდათ?! არა უშავს. თქვენ იყავით კარგად. ნუ შეწუ-ხდებით... მე ავკრეფ... თქვენ მოისვენეთ...



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

ნაკაცარს სისხლი გაუთბა. დიდი ხანია აღარ სმენია მზრუნველი ქალის ქართული. ეგონა, არც სურდა. სწყუროდა კი თურმე.

— „რას შერებთ, კაცო?!“
— „არაფერს, ფულს ვკრეფთ.“
— „რატომ უყურებთ ეგრე ერთმანეთს?! ხომ იცო, ეგ ქალი არც თუ ისე წმინდა წყლისაა. იმით ინფეგვებ თავზე, რომ უყვარდი. ეხლა მაგას ყველა უყვარს.“

— „რატომ უნდა სძულდეს ვინმე? ეს ერთად-ერთი ცოცხალი ადამიანია, რომელსაც ვუყვარდი და ვუყვარვარ, რომელიც ეწამა ჩემი გულისთვის... ეს პატარა კუთხეც მაგან შემინარჩუნა... ეგეც რომ არ იყოს, მეც მინდა ვინმე ზრუნავდეს ჩემთვის. ვინმეს ვუყვარდე.“
— ?!

„ვის! სულ ერთია. თუ გინდაც ძაღლს... თოდნე ვუყვარდე. ეგრე განწირულმა ადამიანმა შეარქვა ალბათ ძაღლს მეგობარი. ძაღლი-მეგობარი?! ერთმანეთს ჭამენ, ადამიანს კი შეეკედლევა და... ალბათ იმიტომ არის ერთგულაც, ძაღლურ ლექმას რომ შეჰყურებს. რომ ერეოდეს ადამიანს, ისევე მოქცეოდა როგორც ზოგიერთი კაცი ძაღლს.“

ნაკაცარი წელში გასწორდა. ნაბიჯი გამართა. თითქოს დაკაცდაო. როცა მეზობლის ქალი მეორე ცვლაში სამუშაოდ წავიდა, ნაკაცარმა უნებურად ფულის თვლაც კი დაიწყო.

„ბიჭოს, ეს კარგა თანხაა.“
ფანჯარა გამოაღო ნაკაცარმა. ხედავს გაზაფხულს ლურჯი ცით, ნუშის ყვავილით, შვიდფერი სიმწვანით მოქარგულს. უცნაურად აუტოკდა გული. საოცარია, როდის მოასწრო ასე გახელება. უხარია... „ნუთუ არიან ადამიანები, რომლებიც ამ დროს თავს ბედნიერად არ გრძნობენ?!“

ისევე აგონდება ნაკაცარს როგორ მოხვდა ციხეში. სარდაფში ჩაადგეს. მერე რატომღაც საერთო საკანში გადაიყვანეს. სარკმლიდან რკინის რიკულებით დატირული ასეთივე გულლია გაზაფხული იხედებოდა. უცნაური გრძნობა დაე-

უფლა. უგუნებოდ შეიქმნა. საწოლზე მიეგდო, არ უნდოდა გარეთ გახედვაც არ უნდოდა დაენახა გაზაფხული. ვინ მოასვენა?! მიწის სუნი ეცა მაშინაც. ცამ თითქოს მეკრდი გაიღხინაო, იქეა — იქუხა. საღდაც მენი გავარდა. გული გაიღელდა, თითქოს მეტი გაზაფხული არ ენახა. მაშინაც ის გაახსენდა.

— სოკოზე წასულუბს წვიმამ მოუსწროთ. კლდის ძირას მიიყუყუნენ, გაზუნზულულ გოგონას სციოდა, ეშინოდა, ტიროდა კიდევ, მას კი უხაროდა. ხევის ადიდებას ნატრობდა. უნდოდა, წყალს ბოგირი წაეღო და ასე მჭადრიყვენე დიდხანს. — დიდხანს.

საკანში მყოფმა პირველად მაშინ მოიხედა ცხოვრებისკენ, პირველად დაიწყო ოცნება, მაგრამ ისევე მალე გაახსენდა სინამდვილე. ისევე აემღვრა გულმუცელი. თითქოს ნოტიო მიწის კი არა, სიკვდილის სუნთქვა ეცაო.

წვიმამ გადაიღო. კატებმა დაუსრულებული ჩხავილი ატეხეს. გული ეკაწრებოდა. ხანგამოშვებით შეღმუფლებდა ხოლმე. ხან კი რალაცას ბურღლუნებდა თავისთვის. ეზიზღებოდა გაზაფხული.

ეხლა კი სიამოვნებით გაიტრუნა. ტახტზე გამშლართული, ხარბად სუნთქავს ნოტიო ჰაერს. ჩასთვლიმასავით. ძილბურანში კატების ჩხავილი საამო ჟრუანტელს ჰგვრის. კატები თითქოს ნაზი ბეწვით გულზე ეხახუნებიან. გული კი საამოდ კრუტუნებს. გარეთ გავარდნა მოუნდა. უყვარდა წვიმაში ხეტიალი. ევლარ მოისვენა, ადგა.

რატომ აეკვიტა ეს აზრი?! რა დროს კუპატია, ხელო ხომ პურის ფულიც აღარ ექნება?!... რამდენი ხანია არ უქამია. ჯერ კიდევ არ დავიწყებია მისი გემომანინც რა გემორიელად აკეთებდა დედამისი. რა ტყემალი იცოდა... და მაღიანად გააწკლაპუნა პირი, არა რალა მანინც და მანინც კუბატი გაახსენდა?!...

— კაცო, შე ოჯახქორო. რას გახიდულხარ შუა კარებში, სხვა ადგილი ვერ ნახე?

კიმი ალიაზვილი
ხამის სიმღამა

გამორკვეა. შემწვარი კუპატის სუნი ეცა. მიხვდა სასაუზმის კარებში ოღვა.
„როგორ შევიღე მარტო?!“ ჰკითხა თავისთავს, მაგრამ იმავე წამს გადადგა ნაბიჯი. დახლონ გაჩერდა.

— რა გინდა? — გაეჭიმა მსუქანი მიკიტანი. მან გაუბედავად გაუწოდა ფული და მოათხოვა ყველაზე გემრიელი საჭმელი. პატარა ყოყმანის მერე ბოთლი ლუდიც დაუმატა და...

— ძმაკაცს გაუმარჯოს! — დაიძახა ეილაცამ.

ტორტმანით მიუახლოვდა, დააშტერდა. თითქოს არ სჯეროდა, რომ ნამდვილად ის იყო, ხელები მოხვია და გულზე მიეკრა პატარა ბავშვივით. ნაკაცარს გული გაუთბა. მოესიყვარულა. მერე კიდევ ერთი ულუფა კუპატი მოითხოვა და ლუდი ღვინით შეაცვლევიანა. ხურდა თითქმის აღარ რგებია. ჯერ არ უნდოდა აღმეხა, მერე ტრამვისათვის მიინც გამომადგებოთ და ჯიბეში ჩაიყარა.

— მოდი თუ კაცი ხარ დამეწვიე, მარტო ცოდო ვარ.

— ერთი თეთრი გამისენი! — დახლოდარი შეტორტმანდა, პატარა კაცმა ფული ამოიღო, მსუქანი იმავე წამში შეტრიალდა.

— ვერ დავლევ, არ მიყვარს.

მაშინ ღვინო დაუმატათ. მოგენატრებოდა სუფრა, სადღეგრძელო, საუბარი, „მონტე-კარლოდან“ ახლად დაბრუნებული მეც ასე ვიყავი. მერე კი არაყს მივეძალე.

მეგობრები სუფრას მიუსხდნენ. ხარბად ჩაკბინა ნაკაცარმა, ღონივრად მოუქნია ყბა და ისე გაუტრუნდა, თითქოს რიყრაყზე პირველად ისმენსო ბულბულის გალობას, თითქოს შეათროო მინდვრის სურნელმა და საამო ჰანგმა.

პირველი ლუკმისა და მოკითხვის მერე პატარა კაცმა ჭიქა ასწია. ძველებური პიჯაკის გამოხეული სახელო გამოუჩნდა. თითქოს შერცხვა, უხერხულად დამალა, ოღნავ შეყოვნდა და...

— მოდი ჩვენ გაგვიმარჯოს. ჩვენს ჩამოსვლას, ჩვენ სიცოცხლეს გაუმარჯოს. ყველა გადახვეწილს გაუმარჯოს, ვინც

დაბრუნდა, ან ელის თავის მიწა-წყალზე დაბრუნებას... ვინც ამ მოლოდინს შეეწირა. ყველას, ვინც გაიგებს ამ გულისტყვიელს... მოკლედ, რომ იტყვიან, ვისაც შეიღო მოჰკვდომია... ცდილობდა სადღეგრძელო გამოეტქვა, ვერ ახერხებდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა ფრაზებს უკბილო პირი. ხრიალით ჩაისხა ღვინო, თითქოს დაწყნარდა, გაუპარსავი პირი სახელოთი მოიწმინდა. ცოტა არ იყოს ეუცნაურა ნაკაცარს, მერე იმანაც „გაგვიმარჯონო“ და დალია.

ისევ უკბილო პირმა გადმოყარა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები.

— ბევრი ვეწამეთ, უდანაშაულო მსხვერპლი გავიღეთ... შეჩერდა, ცოტა ხანში ისევ უგულოდ ამოდერდა — თქვენ კიდევ შეგიძლიათ ბევრი რამის გაკეთება. აგერ ჩვენი დათეო კლინიკის მთავარი ექიმიო, ისე უყვარს ხალხს, თვალში რომ ჩაუვარდეს, ხელს არ ამოისვამს. ამ კაცს ძველებური პატიოსნება შერჩა და ამიტომ უფრო აფასებენ. გამოცდილება ხომ, გიყვარდეს, ათი ექიმისა აქვს. ლევანმა წიგნი გამოაქვეყნა. ამბობენ ბრწყინვალე წიგნიაო. მეც მაჩუქა. შენი აზრი მითხარო. არც წამიკითხავს. ვილაცამ მკითხა, სად იშოფეთო და ნაუქარი გავაჩუქე. მერე ავტორი დეჟულოცეთ. ის ვილაც აღვიღებს მიკითხავდა. მე კი მშობი და მაშინაც ვერ მოვისმინე. მიშა დაცოლშვილდა, გენომ ხარისხი დაიცვა.. მოკლედ, ისევ ჩვენ გაგვიმარჯოს...

გადაყლაპა. ისევ სახელოთი შეიმშრალა ტუჩები, გაგვიმარჯოსო აპყვა ნაკაცარი და მანაც გამოცალა.

შენ რას აკეთებ ახლა, ალბათ ისევ პედაგოგად მუშაობ? ჰკითხა ნაკაცარმა. თუმცა მიხვდა, რომ ასე არ იყო.

— მე.. მე ველარ შევქელი. შემომთავაზეს და ვერ შევქელი.

— როგორ თუ ვერ?!...

— ეს დიდი ისტორიაა, გეტყვი... გეტყვი... შეიძლება არ გაინტერესებს, მაგრამ მაინც გეტყვი — პატარა კაცის სახეზე არც ერთი ნერვი არ ირხეოდა, თი-

თქოს სხვა ლაპარაკობსო. ყვებოდა ისევ
ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მოკლე ფრაზებით.
გეგონებოდათ ცუდად დაწერილს კით-
ხულობსო. ეტყობოდა უთვალავჯერ
ჰქონდა მოყოლილი.

— სადგურზე ცოლი დამხვდა, მეუ-
ცნაურა მისი საქციელი. მითხვა, ბალშა
შევიდეთო. ტიროდა. მკვდარი მეგონეო,
სულ ამას იძახდა. მოკლედ, მითხრა,
სხვაზე გავთხოვდიო, ბავშვიც მეყო-
ლაო... ჩვენებს არაფერს ვაკლებო. შენ
რა გიჭირსო, შენ ხელახლა დაიწყებ
ცხოვრებასო, შენ არ ხარ დამნაშავე. მე
დავაშავე და დავისაჯე კიდევო. შენ ისევ
შექმნი თჯახსო... თან სულ ტიროდა.
მეც ვტიროდი. საოცარია, უცხო ქვეყანა
გვალვასავით აშრობს ცრემლს. იქიდან
კი გადაჭარბებული გულჩვილობა მო-
გვდევს, თითქოს ამ ხნის მანძილზე წყე-
ნით, დამცირებით, ფიზიკური, თუ სუ-
ლიერი ტკივილით გამოწვეული, დაგუ-
ბებული ცრემლი, ერთად მოსკდაო. ნამ-
დვილად ვტიროდი, პატარა ბავშვივით
ვტიროდი. მერე ბავშვებიც ვნახე. ისი-
ნიც ტიროდნენ. ის სხვა ბავშვიც ვნახე
და ისიც ტიროდა, სულ დედასავით, ჩე-
ნასავით ტიროდა, იცი, იმ კაცმა იტირა.
მითხრეს, დავიბრუნდებიოთო. მე არ ვქე-
ნი...

როცა პატარა კაცმა დამთავრა და მა-
ღლა აიხვდა, ბოლომთ თუ ღვინით, მი-
ქრალ თვალეში ცრემლისა და სევდის
ნატამალიც არ იყო. მთელ სახეს წინან-
დელი თითქოს ირონიული ხედვა შერ-
ჩენოდა. ოდნავ ხელი უკანკალებდა.
ისიც ალბათ ლოთობის გამო. თან სულ
ჭიქისკენ მიიწვედა. ნაკაცარს მეტი აღარ
შეუესვამს. არც მეგობარს უთხოვია.
ჩვენ ვაგვიმარჯოსო, იძახდა და ლამის
ჭიქიანად ჩაეყლაპა ღვინო. თან თითქოს
სხვათაშორის ყვებოდა.

— ცუდს მაინც არაფერს ვაკეთებ.
არავის ვპარავ, არც ძალთ ვართმევ. რა-
საც ვიშოვნი ვჭამ, სხვასაც ვუწილადებ.
იმ დღეს ჩემმა ბიჭმა თავისი სტუპენდია
მომიტანა, წიგნები უნდა მეყიდა, მაგრამ
ბიბლიოთეკაშიც ვიმეცადინებო. გამო-
ვართვო. მითხვა, ნულა დალევო. იმავე

დღეს დავხარჯე... ეპ, ჩვენ ვაგვიმარ-
ჯოს...

— წელან ჩემი ცოლი შემხვდა. იმ
მომცა ეგ ფული. ხორცი უნდა მეყიდა.
ბავშვები აქ არ არიან, ჩვენ ისედაც გა-
ვალთ იოლას. შენ წინდები იყიდე, არა
ვაქვსო...

ნაკაცარი ჩანგალს აწვალებდა. ლუკმა
აღარ გადასდიოდა ყელში. ნაღვლის სი-
მწარე დაჰკრავდა. გემო გაუქრა ყველა-
ფერს. ალბათ გაცივდა და იმიტომ. პა-
ტარა კაცს საჭმლისათვის ხელი არ და-
უქარებია. პურის ლუკმას ატანდა მხო-
ლოდ. ღვინოს კი წინანდებურად ეძალე-
ბოდა. ერთი და იგივე სადღეგრძელოს
ამბობდა.

— გამდლობთ დღეგრძელობისა-
თვის!— მოისმა მეზობელი სუფრიდან,
ორივემ მიიხედეს. ხმა ეცნოთ თუ სიტ-
ყვა მოეწონათ?

— ვაგვიმარჯოთ. — ვაგვიმარჯოთ კარ-
გად თავშენახულმა შუახნის კაცმა. პა-
ტარა კაცმა ჩაშრეტილი თვალებით გა-
ხედა, ზიზღით გამოაფურთხა და უაზ-
როდ დააშტერდა. თანამეინახეს.

ნაკაცარმა კი თვალი ველარ მოსწყვი-
ტა რიყის ხავსმოკიდებულ ქვასავით
გლუვ კაცს. ერთი კითხვა ჩაეკედა თავ-
ში. „ვინ არის? საიდან ვიცნობ?“ სურა-
ფად ამუშავდა დალილი ტვინი. ხმაც
ნაცნობი; სახეც, მიხრა-მოხრაც და...
ბოლოს.

„აბა თქვენ იცით, ბიჭებო! გული არ
ვაიტეხოთ. სულ მალე მხსნელებად მო-
ველინებით თქვენს ქვეყანას. სახალხო
გმირებად გამოგაცხადებენ“.

— სალახანა — ხმამაღლა თქვა ნაკა-
ცარმა და მანაც გადმოაფურთხა.

ვანმეორდა წარსული ნათლად იგრძ-
ნო ლითონის შეხება, იარაღი შეაჩეჩეს
ხელში. მხარზე ხელი დაჰკრეს და აკი-
ვლებულ გემზე შეადგეს.

მუშტის ოდენა გახდა ნაკაცარი.
თბილი რალაც მოაწვა ყელში და
წამოდგა, თუ წამოაყენეს. გარეთ გავი-
და.

კიმი ალიხაზვილი
გაღის სიმიარა

— ერთი ბოთლი კიდევ დავლიოთ, მე ხურდები მაქვს — მიაყოლა პატარა კაცმა. მერე ნაკაცარის ჭიკაც გამოცალა და დახლონ მიფარფატდა. ნაკაცარს კარებში ვილაცამ მუჯღუგუნე ჰკრა

— გამსკდარა ეს ოხერი — ეს ისევ ის კაცი იყო. ნაკაცარმა კი ძლივს მოასწრო ეზოს კუთხემდე მისვლა. კედელს მიეყრდნო, სისხლი დასკდა პირიდან.

— ხომ გითხარით, — არ ეშვებოდა ხანსმოკიდებული ხმა — შხამი დაველია არ გერჩია?! — ხმამ თითქოს რაღაც გაახსენა. სწრაფად მოტრიალდა... არეული ნაბიჯებით გამოირდა იქაურობას...

კარგად იყავით — მოესმა ისევ გლუვი კაცის ხმა. მერე მგონი თვითონაც გამოჰყვა. რა უნდა მისგან?!... რაც მოხდა, ის უკვე დიდი ხანია აღარ ახსოვდა არავის. თვითონ მასაც და ახლა რა უნდა?! რად მოსდევს?! რისთვის?!...

„შეშინდი, ნაკაცარო? აკი მთელი ამ ხნის მანძილზე იმას ამბობდი, თუ ცოცხალი გადავრჩი, არ შევარჩენო?! სამაგიეროს გადავუხდიო? აკი შეჰფიცე დალუპულ მეგობრებს... ცოლშვილს?!“

მიდის ქალაქურ ღამეში გახვეული გლუვი სილუეტი, თითქოს მის სხეულში იზადებიან, ამოდიან ვეებერთელა თვალები, რომლებიც საყვედურით, უსიცოცხლოდ აშტერდებიან ნაკაცარს და ქრებიან. თითქოს გასროლილ ტყვიას მიჰყვებიან სევდიანი, ცრემლიანი, მრისხანე თვალები. ქრება, ამოდის, დაუსრულებლად ამოდის და ქრება, გაყინული უსიცოცხლო მზერა:

„აკი შემომფიცე...“

„აკი დამპირდი...“

„აკი მითხარი, შურს იძიებდი მისთვის, ჩემთვის, შენთვის...“

„შეშინდი, ნაკაცარო?! ეს ერთადერთია, რაც დაგიბრუნებს ვაჟკაცობას, სიამაყეს, სიხარულს, სიყვარულს... შურისძიება!!! შურისძიება!!! შურისძიება!!!“

... იზადებიან და კედლებიან ცრემლიანი, სევდიანი, მრისხანე თვალები. ახსენებენ ფაცს, დანაპირებს. უნებურად, მგონი მეათასეჯერ შეეკითხა თავს:

„ვინ გააბრეცვა ეს ხალხი, რად შეგვატყუეს ასე მწარედ?! რისთვის უამდენი უდანაშაულო მსხვერპლი საკირო?!“

თითქოს ვილაც პასუხობს...

უცრად მის ცხვირწინ მიიხურა კარი. გაქრა მოხრილი სილუეტი, გაქრენ თვალებიც.

კარგა ხანს იდგა გაოგნებული ნაკაცარი. მერე მოტრიალდა. ქუჩა გადასჭრა. კინლამ მანქანა დაეჯახა. მთვრალივით ფეხარეული მიდიოდა.

ზღვა ხალხში გაიხიდა: გულზე ბოლმა მოაწვა: „შეჩერდი, მისმინეთ, ხალხო, მეც კაცი ვარ!.. ნუთუ ჩემთვის არავის გცალიათ?!... ნუთუ თქვენთვის სულ ერთია, მე ვიქნები, თუ არა?! ნუთუ, არ გესმით ჩემი ტკივილი, რაც დღეს თუ ხვალ შეიძლება თქვენც გადაგედოთ?! ნუთუ, არ გინდათ თქვენს გვერდით ვიდგე და პატიოსნად ვიშრომო?! ნუთუ გინდათ, ჩავიდინო დანაშაული?! იქნებ მხოლოდ ამ დღეს ელით და მერე გინდათ ანაშურდეთ. საქვეყნოდ გამლანძლოთ?! არ შეცდეთ! გვიანი იქნება! მკვლელსა და დანაშაულებს დამსჯით. იღვრებასწაულებთ ჩემზე გამარჯვებას. მართალი იქნებით?! მაგრამ ეხლა სადა ხართ?! რატომ არ მიკითხავთ რა მიჭირს, რა მიღხინს. რატომ ეხლა არ გაარჩევთ მტყუანს და მართალს?!“

— „ხალხო, მისმინეთ, შეჩერდი-მეთქი!... გვედრებით, მომხედეთ, ნუ გამწირავთ, ნუ გამამწარებთ, თავზე ხელს ნუ ამალებინებთ. მეც თქვენისთანა აღამიანი ვარ, პატარა მწყინს, უფრო პატარა მიხარია, დიდი მოთმენავიცი, მაგრამ ველარ აუველ, ვერ გავწვდი ერთი კაცი ამდენს...“

— „სქენით სიკეთე, ნუ გამაბოროტებთ!...“

ბლაოდა გული. კაცი ხმას კი ვერ იღებდა. მისი გულისხმა არავის ესმოდა. ყველა თავისი თავით იყო გართული. არავის ეცალა მისთვის. არავინ ერეოდა მის საქმეში. არავინ ეკითხებოდა, რატომ იდგა ასე კრიჭაშეკრული, მიღმა მომზირალი თვალებით. ყველა თავის გზას



ადგა, დიდც და პატარაც. გვერდს უვლიდნენ შუა ქუჩაში გახიდულ კაცს. მერე კი აიყოლიეს. ნაფოტივით აიტაცეს...

შინ დაბრუნდა. ხმას ვერ იღებდა. ვერაფერზე ფიქრობდა. ტვინს თითქოს ვიღაც უჭყლეტდა. სწორედ ისე, როგორც ორღობეში ტალახს ჭყლეტს ხოლმე სოფლის ნახირი. აუტანელი, ავადმყოფური მეგრძნებაა, როცა საკუთარი ტვინის ჭყლაპუნის გესმის, როცა გრძნობ, რომ ტვინი ითქვიფება და იშლება, იყენინება მთელ სამყაროში. მთელი სხეული, იშლება, ღია თვალებიდან ორთქლდება სიცოცხლე. კარგავს სინათლეს. სინათლეს კი არა, მხედველობას. ნუ გაგიკვირდებათ, ძნელია მიხვედრაც კი, ვისაც არ გამოუცდია. აუტანელია სიბრმავე, მაგრამ ჯობია ამ ყოფას. სიბრმავე ღამეა უკუნი. წყნარი, თბილი. ეს კი კაშკაშა სითეთრისა, ყინულოვით ცივი და სრიალა. ვერ ხედავ ვერაფერს. მაინც გრძნობ რომ მიდის მზერა, მიდის ყოველი მიმართულებით. მას მიჰყვება გონება, გული, სული, ხორცი..... ამზნა ნათქვამი ალბათ, გონება გამირბის... გული მელევა... სული ამომდის... ხორცი მეყრებაო. ასეთ ყოფაში თუ შეიციო ადამიანმა სამყაროს უსასრულობისა და მარადისობის კანონი. ალბათ ამიტომ ეშინია კაცს მარტოობის, უდაბნოსი, უღრანი ტყის, ოყენის, უკიდევანო ნათელი ცისაც კი, როცა მწლოდ მას ადგას მხრებზე. ხარ ამ ყოფაში. თვალით უხილავ სამყაროს ედები, ყველგან იყლინებები, ნაწილებად იშლები, და ამ უხილავ ნაწილებად დაშლილ, მთელ სამყაროში გაბნეულ მატერიას პრეტენზია აქვს ადამიანობაზე. თავმოყვარეა, ამპარტავანი, ითხოვს პატივისცემას, მოკრძალებას, სურს სიყვარული, სიხარული, ელის მომავალს; ელის რაღაც საშინელს და უცებ წყდება ეს დაუსრულებელი მოლოდინი. იკრებს გონებას, იხვევს გულის ძაფს, სულს იღვამს, ხორცს ისხამს. უხარია, რომ ისევ კაცად უნდა იქცეს, უხარია, სიამოვნებს და აქ იწყება სხვა. უხილავ ნაწილებად დაშლილი

სხეულის ნაწილაკები ჭიანჭველებივით ფუსფუსებენ, ექებენ თავიანთ ადგილებს. ბუქის მთელი სხეული. გველნაკებივით იგრინება, საშინლად წვალობს. სიცოცხლე უმწეო მოძრაობით ცდილობს ყველა წერტილს თავისი ადგილი მოუნახოს. მაგრამ რაკი ყველა ნაწილას თავისი ადგილი ვერ უბოვია. შეუძლებელია მოძრაობა. კარგახნის მერე წყნარდება აფუსფუსებუ სხეული. თავი კი ისევ ჭიანჭველების ბუდეს ჰგავს და გაბუქებული გონება ხედავს ყველაფერს, ესმის უთქმელი, გრძნობს რა ელის მას, მათ, ყველას. იცის, რა ფერი-საა ჰაერი, რა გემო აქვს მიწას და ვინ მოსთვლის კიდევ რას.

რა გულუბრყვილობაა ადამიანის ხუთი გრძნობით შემოფარგვლა. მას ხუთჯერ ხუთი გრძნობა აქვს. ხუთზე მეტი გრძნობა პირუტყვეებს, ფრინველებს, მწერებს გააჩნიათ. აბა რას უნდა მივაწეროთ, რომ პირუტყვი ყველა ხელსაწყოზე ადრე და ზუსტად გრძნობს მიწისძვრის მოახლოებას. ფრინველი ქარიშხალსა თუ ავდარს, თავგები და ჭიანჭველები ხანძარს?! ინსტიქტებს? თუ ინსტიქტი უფრო გონივრული და შორსმხედველია. მაშინ ის ყოფილა მაღალგანვითარებული მატერიის თვისება.

ნუთუ ჯერ კიდევ არიან ადამიანები რომლებსაც ჰგონიათ, რომ წინათგრძნობა რელიგიური ცრურწმენაა, რომ არ შეიძლება აღიქვა ამბავი, რომელსაც ფიზიკურად არ დასწრებიხარ. მოგიყვებოდით როგორ „ნახა და გაიგო!“ ამ კაცმა თავისი ცოლ-შვილის დაღუპვა, რამდენიმე ათასი კილომეტრით მოშორებულმა, როგორ დემთხვა მეუღლის წერილი იმ სიტყვებს, რომელიც მან „მოისმინა“ მისი სიკვდილის წუთებში. მოგიყვებოდით მაგრამ, არ ღირს. ნაკაცარი ახლაც ბევრ რამეს გრძნობს (სეთს, რასაც თქვენ არ დაიჯერებთ. მაინც ეცადეთ მისი თვალით შეხედოთ ყველაფერს, მისი ყურით ისმინოთ და ბევრს გაიგებთ და დაინახავთ ისეთს, რის საშუალებაც აქამდე

კიმი ალიაზვილი
ზადის სიმაღრა

არ გქონიათ. ან იქნებ ვაკმაროთ. ნუ
გაეახსენებთ სიმწარეს. მით უმეტეს,
რომ ამას ჩვენთვის არ აქვს დიდი მნი-
შვნელობა. ოღონდ გავისხენოთ, რომ
ბევრი ზღაპრული შეგვრძნება ახლა მე-
ცნიერულადაც დადასტურდა, მანძილზე
ხედვა და მოსმენა — ტელეპათია. უჩი-
ნოდ დანახვა და უამრავი სხვა რამ.

შეხედეთ, ნაკაცარს სიცოცხლე ჩაუდ-
გა თვალეში. ძალღონე მოიკრება, წა-
მოდგა. უმიზნოდ დაიწყო ბორიალი
ოთახში. სარკეს მიაწყდა. ჭიისაგან დახ-
რულ ჩარჩოში იჯდა გაბზარული, დამ-
ტვერილი, ფერდაკარგული, თითქმის არ
ჩანდა არაფერი. ხელი გადაუსვა, შეკრ-
თა. ველურივით შეეშინდა საკუთარი
თავის. თვალი აარიდა. არა, ეს თვითონ
არ არის. უბრალოდ, დაღლილია და ეჩ-
ვენება. ნუთუ ეს ის გაუტეხელი კაცია,
ფეხქვეშ რომ თელავდნენ და მაინც იმას
ფიქრობდა, როგორ ეძია შური ამ უდა-
ნაშაულო წამებისათვის. ნუთუ ეს ის
კაცია, უცხო მიწაზე მეგობრის ცხედარ-
თან მუხლმოყრილმა რომ დაიფიცა.
შურს ვიძიებო. კაცი, რომელსაც სიცო-
ცხლე, თავისუფლება, შინ დაბრუნება,
მხოლოდ იმატომ უხაროდა. ეპოვა
ცოლშვილის საფლავი და მათთვისაც
მიეცა შურისძიების შემზარავი ფიცი...

— „ნაკაცარო, შეშინდი?! შეშინდი?!
შეშინდი?!“ — აგუგუნებდა ირგვლივ
ყველაფერი. მთქმელი არ ჩანდა, ხმა კი
ყოველი მხრიდან ესმოდა. ესმოდა უფ-
რო ძლიერ, გუგუნით, გრიალით. როცა
ხმა თანდათან მიწყნარდა ნაკაცარმა მე-
რეღა გასცა პასუხი.

— აღარ მინდა იმ ყოფაში ჩავარდნა.
იმ გზის გავლა, სადაც ყოველ დღეს
ახალი სიკვდილი მოსდევს, სადაც ერთი
კაცი ათასჯერ კვდება.

„კმარა, ნაკაცარო, ყველამ იცის, უც-
ხო ქვეყანაში, მოგვივა და მოგწყურდე-
ბა, შეგცივა და ვერავის შესჩივლებ,
რომ იქ სიცოცხლე ბევრზე ჰკიდია. ყვე-
ლაზე უკეთ ეს იცი შენ და ამან გაგტე-
ხა. შეგვეშინდა?! შეგვეშინდა!! ნაკაცა-
რო!!!“

ველარ გაუძლო. ავარდა ნაკაცარი. გა-

რეთ გაიჭრა. იმავე გზას გაყვა ცხვირ-
წინმოხურულ კართან რომ მიყვებოდა.
ვერაფერს ხედავდა. არაფერი ესმოდა.
მიდიოდა ზღვა ხალხში, როგორც უღრან
ტყეში. არავინ ჰკითხა, რა უჭირდა, რა
უღბინდა. კვლავ ყველა თავის საქმით
იყო გართული. დიდხანს იხეტილა.
მერე ვილაც აებლანდა ფეხებში, გამზ-
დარი გაფიტული სახე მოხვდა თვალში
და მისმა გლუვმა სველმა მზერამ თვალი
დაუბნელა.

„რა გინდა, კაცო! რას მელობები
წინ?!“...

„შენ, რას აკიდებისარ ამ გლუვი კაცის
მოხრილ ზურგს?“

„მაგ მოზრდილ კუზში ბევრი ცოდვაა,
მაგან დამინგრია ოჯახი, მომწყვიტა
ჩემს მიწა-წყალს. მაწამა, მომკლა, ერთ-
ხელ... ათჯერ, ათასჯერ“...

ნაკაცარმა იგრძნო, როგორ აევსო
დაწრებილი გული. ფეხს აუჩქარა. ხე-
დავს მხოლოდ მოხრილ ზურგს. თავში
ახალი აზრი იქედება. გახურებული
აზრი გულზე დაეცა და რკინასავით
აღუღდა. მოხრილმა ზურგმა კარი შეა-
ღო. თითქოს განმეორდა წელანდელი...
შეყვა ნაკაცარიც. ოთახში ქალი და ორი
ბავშვი. გაოცებული მზერა ოთხი წყვი-
ლი თვალისა, ორი კაცისათვის გაშლი-
ლი სუფრა. სუფრაზე მოზრდილი დანა.

„ბევრი ოჯახი დაღუპა ამან — თქვა
ნაკაცარმა. დამსწრეთ გასაგონად, შე-
ჩერდა.

„ისევ შეშინდი, ნაკაცარო?!“

ვილაცამ მაგიდიდან დანა მიაწოდა.
მგონი ხელიც ჰკრა და ნაკაცარმაც უკან
აღარ დაიხია... ყველას მაგიერ იძია შუ-
რი.

ღორივით გამოსჭრა ყელი საკუთარი
დანით, საკუთარ ოჯახში, საკუთარი
ცოლშვილის თვალწინ. სისხლი აიღო.
გული მოიბანა. ერთი გაუკვირდა ნაკა-
ცარს, იმ წუთში რატომ ჰგავდა მგლის-
თავიან ღორს, ბრკყალეზიანი ხელებით.
აღბათ ეს არი შიშველი „მე“, რო-
მელსაც ადამიანური გრძნობების ქარქა-
ში შემოაცვდა...



მოკლედ, მოსახდენი მოხდა. არც ნაღ-
ვლობს ნაკაცარი, — პირიქით.

როცა სასიკვდილო საკანში შეაგ-
დეს, როცა ერთმა ზედამხედველმა იკი-
თნა: „ამაზე ამობდნენ, ისე დადის, კი-
ანჭველასაც ფეხს არ ადგამს. ცხვარივით
კაციაო?!“ თითქოს რაღაც იმოკლე ტუ-
ხლმა. ესიამოვნა სიტყვა „კაციო“. მხრებში გასწორდა, მკერდი ამობურცა და შევებით ჩაისუნთქა საბატომროს მყრა-
ლი ჰაერი. ისე დაუწყო ყურება, სასი-
კვდილო საკანში მბეჭუტავ ნათურას,
როგორც უღელტეხილზე მზის ამო-
სვლას.

ღრმა და მძიმე საკვდილობისგაღიანა სა-
კანი. მეტრი სივანე, ორი საგრძე და ხუ-
თი სიმაღლე. ისეთი შეგრძნება გაქვს,
თითქოს ამ ფორმის ქვის სვეტი მხრებზე
გადვას. გგონია ზევიდან ჩამოგახეტქეს
ორმოში და სიბი დასაურესო. სარქვე-
ლის ნაპრაღში კი დღის სინათლე იჭყი-
ტება, უნდა შეგხედოს. თვალი ვერ
უჭრის ძირამდის. ამიტომაც ფერი ეკარ-
გება, წელში ტეხავს, ზოგს კი მთლად
მიწასთან ასწორებს. მაგრამ ნაკაცარი,
არა კაცი, ახლა ამას არ აქცევს ყურად-
ღებას, ჩამოჯდა ქვის სვეტზე და გა-
ქვავდა. თვითონაც ამ ქვის გაგრძელება,
მისი ნატეხი ვახდა. თავში ფიქრების
კორიანტელი აუვარდა და გონება დაუ-
ზნელდა. ამღვრა, აირია კაციც და საკა-
ნიც. სახეზე ნაღველი ჩამოქცა. ტუჩე-
ბი გრძნობენ მის გემოს, თვალები გა-
დმოსცივიდა თითქოს და საკუთარ მწე-
რაში ჩაიძირა. ხედავს წყლის ზედაპირ-
ზე გაჩენილ წრეებს. ამ წყლის მუხილი
ესმის. გულში ცეცხლი უნთია. ძარღვე-
ში კი თითქოს უსსენებელი სრიალებს.
გრძნობა არ დაუკარგავს. მოძრაობის
უნარი კი წაერთვა. ასე არასოდეს დამა-
რთია. ისევ გუბესავით აემღვრა თავი.
საშინელი სისწრაფით ამოკრავდნენ
უცნაური სურათები: გილიოტინა, გა-
ყულფული ბაწარი, მღვდელი და ჯალა-
თი, მერე სახარება და ისევ სახარებელი.
საშინელი სახეები. აუტანელი სისწრა-
ფე. შემზარავი გაორება, ტანჯვა, დაუ-
სრულებელი ტანჯვა. თუმცა კარგად

იცის, რომ მღვდელი და ჯალათი დიდი
ხანია აღარ არსებობს. უცებ ალი ავად
და და უცბათვე ჩაიწვა გილიოტინა.
ლონიერმა კუნთებმა დაწყვიტეს გასან-
თლული თოკები. სწრაფად მოქმედებს
ალი და კუნთიანი სხეულის ნაწილები.
წყდება, იწვება გილიოტინა, გაყულფუ-
ლი თოკი დაქუცმაცდა, ჩაიფერვლა, მე-
რე ფერფლიც გაქრა...

„არა კაც ჰკლა!!!“ — იძახის იღუმა-
ლი ხმა. — „არა კაც ჰკლა“ „არა კაც
ჰკლა!“ იმეორებს ძლიერი ექო, სუქს,
გრგვინავს, უხარია, შევებით სუნთქავს,
შეღავათი იგრძნო... დიდი შეღავათი,
იცის, სიკვდილი მაინც არსებობს. ჯან-
მრთელი კაცის ძალით სიკვდილი. სიკვ-
დილი კედელთან, ორმოს პირას. იცის
და ამიტომ ემღვრევა გონება. ისევ არე-
ული ჩვენებები: ცალთვალა სალდათეზი,
ბრმა თოფები, შავი ტუჩები. ტუჩები,
რომლებიც სიკვდილს აფურთხებენ,
აფურთხებენ პირდაპირ გულში, მერე
სისხლი, სიკვდილი. მომაკვდავი სისხლის
ჩურჩული. თბილი, წითელი ჩურჩული.
მერე მიწა შავი და მძიმე, ცივი და უხე-
ში. სიცივე აფხიზლებს, გონს იკრევს.
საკანს უბრუნდება. ისიც ცივია და უხე-
ში.

ამღვრეული გონება კი აღარ ასვენებს
კაცს. საკანში ისევ ჰიროს ცხადისა და
მოჩვენების გარჩევა, როგორც დღე-ღა-
მის. ახლა მითუმეტეს. მძიმე საკანმა კი
არ დალა და მოტეხა, უფრო გაზარდა,
გააძლიერა. მოჩვენებებს კი თავი ვერ
დააღწია.

ხედავს, პალმების ტყეშია. ულამაზეს
პალმას მიყრდნობია და ტკბება მისი სი-
მშვენიერით. თითქოს კინოფირზეა გა-
დაღებული. სწრაფად იღვიძებს მძინარე
ტყე. პალმა იკვირტება და იფურჩქნება,
მათრობელა სურნელი დგება. უკეთესს
ვერაფერს ნახავ. ათი წლის სიცოცხლეს
გაიღებდა კაცი ასეთი წუთისათვის. სუ-
რნელი მატულობს, კვირტები იშლება,
ხე კეკლუცდება და... საოცრებაა, ერთი
ნაზად შეირბა, თითქოს ამოისუნთქაო და

კიმი ალიაზილი
მადის სიმღერა

გახედა, ყვავილები თითქოს ზედ მიე-
ყინა. სანთლისაგან ჩამოქნილს დამს-
გავსა ზეზეულად ჩამომხპარი ხე. ცვი-
ლის ფოთლებსა და ყვავილებში მზე გა-
მობრწყინდა, ვიბადრა. ამ ბრწყინვა-
ლებას კი ვეღარ გაუძლო პალმამ. სხვა-
დასხვაფერი ცვილის ფურცლები დას-
ცივდა და პატარა ტბის ყურე ყვავი-
ლებით მოირთო. ყურეში გედი ფარფა-
ტებს. უფრო ფართხალებს, თითქოს
სულს ებრძვისო და ეს სულთმობრძავი
თითქოს თვითონ, ნაკაცარი არის.
უკვირს, მაგრამ ასეა. თვითონ არის გედი
და თვითონ ებრძვის სულს. გედი სიცო-
ცხლეში ერთხელ მღერისო. არავის გაუ-
გონია, მაგრამ ასე, ამბობენ. ვისაც ჰკი-
თხვ, ყველა დაგეთანხმება. ნეტა რო-
გორი ხმა აქვს? საამოა თუ აუტანე-
ლი?!...

ისევ ტბის ლივლივა ზედაბირი გა-
მოჩნდა. მერე პალმის ყვავილით ნაქარ-
გი ყურე. მომაკვდავი გედი. უკანასკნე-
ლი ყელმოღერება და სწორედ ამ დროს
ბაყაყებმა ატეხეს გაუგონარი ყიყინი.
კუდიანმა ქარმა მოუბრინა პატარა ყუ-
რეს და აირია ყველაფერი: გაწბილდა,
გამწარდა კაცი. მაგრამ ახლა უფრო ძა-
ლუმად იგრძნო დაბრუნებული ვაჟკა-
ცობა. გული სიხარულით აევსო.

ვილაცამ მაგრად შეანჯღრია და ისევ
საკნის მყრალ სუნსა და მძეჟტავ სინა-
თლეს დაუბრუნდა. მარტო ხმა კი ესმის
ვილაციის, თითქოს იქვე უზისო

„გეყო ოცნება! ხომ იცი დიდი ცოდვა
ჩაიდინე. კაცის კვლისთვის დახვერტა
გელის!“

„ვიცი! მე შური ვიძიე. ერის გამყიდ-
ველზე. სულაც არ ვნანობ.“ გულში
უპასუხა პატიმარმა.

„მერე ვინ იძიებს შურს შენს მაგიერ?
შენი სიმართლე არავის სჯერა, არავინ
იცის. შვილი შენ აღარა გყავს და
ძირი?! ვინ აიღებს სისხლს?! ვინ გადაუ-
ხდის სამაგიეროს?!“

— ?!

„ნუთუ ვერ ხვდები?! რა გაგიტკბა ეგ
ძაღლის სული?! ეხლაც ხომ ვერ იტყვი
მამა-პაპის მიწას მინდა მივაბარო ჩემი

ძვლებიო... იქნებ გგონია, სულმოკლე-
ობაა?! როცა კაცი დარწმუნდეს, რომ
რავითარი სარგებლობის მოტანა აღარ
შეუძლია, არავის სჭირდება, არავის
უყვარს და მხოლოდ თვითონ უნდა სი-
ცოცხლე, თვითმკვლელობა — გამირთ-
ბაა.“

„ნეტა რას მიედ-მოედები“. — გაი-
ფიქრა პატიმარმა და ფეხზე წამოდგა —
„ვინ გითხრა სიცოცხლე მინდაო?!...“

„მამო მორჩი... ნურავის მისცემ საშუა-
ლებას შური იძიოს შენზე. თუ დაასწა-
რი, გაიმარჯვებ. თვითმკვლელობით და-
ამარცხებ მტერს.“

— მართალი ხარ — უკვე ხმამაღლა
დაუდასტურა კაცმა, — მაგრამ მითხარი
ვინ ხარ? სად ხარ? ნახევარი ცხოვრება
თან მდევ... —

— რა საჭიროა, მე ჩემსას გუუბნები.
შენ შენებურად მოიქეცი... —

ყულფი გამოსკვნა. ვილაც შევლოდა,
კარნახობდა. აბა თვითონ რა იცოდა,
რომ ტრიკოტაჟის რეიტუზით ყულფი
გაკეთდებოდა, ან ცარიელი ხელით კე-
დელს გამოტეხავდა, ამ კედელს ხომ
კენჭსაც ვერ მოაფხვნის კაცი.

ვილაცამ გააფრთხილა: კარგად მოზო-
მე, ნაქსოვი ყულფი არ დაიჭიმოს, ფეხი
იატაკზე არ დაგიწვდეს, სირცხვილი არ
ქამო. სიკვდილზე უარესიაო. ბოლოს
მოეხმარა, თავი გააყოფინა ყულფში და
წავიდა. შეშინდა, შეეცოდა თავისი თავი
ნაკაცარს. შეყოვნდა. ყოველი წამი მთელ
სიცოცხლედ ეჩვენებოდა. უკან დახვეა
მართლა სილაჩრე იყო. იძალა, ივაჟკაცა
კაცმა და ჩამოეკიდა.

სამო ყრუანტელმა დაუარა მთელ
სხეულში. ეს სიაშე თავლობის თვის და-
საწყისის უფრო ჰგავდა, ვიდრე სიკვდი-
ლისას. თითქოს ახლა იგრძნო ვაჟკაცმა
თავისი კაცობა. სიამის ბურუსში გაე-
ხვია. უნდა იყვიროს:

„ნუ გაუბრძინებ სიკვდილს, ნუ გე-
შინიათ მისი!...“ მაგრამ წაქერილი თოკი
ხმას არ უშვებს. ეცადა კიდევ ცოტა ხნით
მოეშორებინა ყულფი ყელიდან და ხმა-
მაღლა ეყვირა ეს სიტყვები, ისე ხმა-
მაღლა, რომ ყველას გაეგო. ვერ შოახერ-

ხა. ღიმილმა გადაჰკრა სახეზე. მერე კი მგონი ენა გადმოავლო. იფიქრა, იქნებ ვინმემ გულისნადები ამოიკითხოსო.

უკუღმა ჩატრიალდა განვლილი ცხოვრება... დიდი ბედნიერებაა ასეთი სიკვდილი. დაიბრუნო შენი წარსული, ყოველი განვლილი წუთი...

ცხოვრება ჩარხმოწყვეტილი საათივით თავბრუდამხვევი სისწრაფით დატრიალდა უკან. აგერ წელში გასწორდა კაცი. ჩია სხეული სისხლითა და ხორციით გაივსო. ჭაღარა გაუშავდა. გაუღვივდა თვალი და გული. გულში სიყვარულიც კი შეებარა. ორი ერთმანეთს შეწებებული ტუჩი და სხეული ნელა გასცილდა ერთმანეთს. კარგახანს უყურეს სურვილით საგსე თვალებით და დაიხიეს უკან. აგერ საულვაშზე ბალანი გაუქრა ყრმას. შიშველი ფეხით აუყვა ფერდას. გაიმართა ფეხქვეშ ჩათელილი მოლი და ყვავილი. „იფრინე ბიჭო! ფეხს ნუ ადგამ დედამიწაზე!“ მალე ბუხართან ატიტინდა პატარა ბავშვად. ხარბად გადაყლაპა ყველა სიტყვა, რაც ადრე უთქვამს და დედის კალთაში ამოჰყო თავი.

ოჰ, რა კარგია ერთი ცხოვრება იცხოვრო ორჯერ. აბა, შეხედეთ მისი თვალით, მსაავით ისმინეთ. ნუთუ ყოფილა ვინმე ასე ბედნიერი საფლავიდან დედის კალთამდის უკან ჩაუზომოს მთელი სიცოცხლე?! მერე რა კარგია, რა ტკბილია დედის ალერსია...

ცხოვრება კი განაგრძობს სვლას, დიდხანს ვერ შეაჩერებ. არ აცლის ბავშვს დედის ალერსით დატკბეს. ნამცეცა ბავში მთლად დაილია, გათავდა, გაქრა....

ოჰ ღმერთო ჩემო, ასეთი სითბო ამ კაცს არასოდეს უგვრძნია, რა არის ეს? ასეთი მოწიწება, ამდენი ზრუნვა...

რა კარგია, რა ბედნიერებაა. შესდევ, ცხოვრებავე!!! იქნებ მშობელს არ სურს ცხოვრების თავიდან დაწყება, იქნებ მისთვისაც ეს იყო ყველაზე საამო წამი. იქნებ ამას იქით უარესია, ჯოჯოხეთია...

...ნაკაცარის ოთახიდან ყრუ ბრავგავნი მოისმა. სამასხურიდან ადრე განთავისუფლებულ ქალს კარის შემოღების მი-

ზეზი მიეცა; ნაკაცარი იატაკზე ეგდო. ყელზე გაყუღებული რეიტუზი თავზე გაჯი ეყარა. გაჭირვებით მიიტანა ქალმა ტანტამდე, წყალი ასხურა. გულის პირი და ყურები უზილა. ქალიც ნაკაცარივით კრიჭაშეკრული იყო. ხმას ვერ იღებდა.

ნაკაცარი ფიზიკურად ვერაფერს გრძნობდა. მალე მთელი სხეულით აკანკალდა. თითქოს ამ ქვეყნისკენ მოიხედაო. მეზობლის ქალი თავს არ იზოგავდა.

პატარა ტორტმანის და ცახცახის მერე სიცოცხლე ისევ წაღმა დატრიალდა. ისევ ზრდა იწყო ჩანასახმა.

„მოიცა, სიკვდილი მოსვენებაა, სიცოცხლე წვალება. რა საჭიროა დაბრუნება, თუ კი ყველა სიკვდილის შეილება ვართ? ვის უნდისხარ? ვის ეკუთვნის?!“

ადამიანი გაინაბა, გაიტრუნა. სიამოვნებს?! იზრდება ჩანასახი. ადამიანი სდუმს. დელაეს. უხარია კიდეც.

„ემმაკმა წაიღოს, ნუთუ გინდა ამ ცხოვრებაში მეორედ მოხვიდე?! ნუთუ ძალგიძს ხელახლა განვლო ეს ჯოჯოხეთი?! იმავე გზით იგლი, თუ სხვას აირჩევ?! თუ ეს სხვა უკეთესი გგონია, სცდები, გედი, რომლის სიყვარულს, სიმღერას შენატრის კაცი ვერ ბედავს მეორედ მოსვლას. სიცოცხლე და თავისუფლება მასთან ერთად იბადება და მასთანვე კვდება. პალმა ვერ იმეორებს სიცოცხლეს იმ დამქანცველი მოლოდინის შიშით და შენ?!“

„მე?!... უჩემოდ ფასი არა აქვს არაფერს. გედის სიმღერაც და პალმის ყვავილობაც მე მოვიგონე. ყველას უთქვამს ერთი სიმღერა. მეც გედის სიმღერით დავასრულე ჩემი ცხოვრება. ჩემს ცხოვრებასაც ქონდა ლამაზი ყვავილობა. მე არ მეშინია ცხოვრების, მე მიყვარს სიცოცხლე, მე ვიცი, რომ სიცოცხლე ტირილი მოსდევს, და სწორედ ამიტომ მოვიდივარ ამ ქვეყანაზე, რომ ვიცინო და ვიტრიო. მე მოვალ, მაშინაც კი, თუ გინ-

აიმი ალიაზვილი
ბეადის სიმღერა



და ღმირმა მხოლოდ სიკვდილისას მომიწიოს“...

კაცი გონს მოვიდა. ნელ-ნელა აღადგანა მენსიერებაში რაც მოხდა. წამოიწია. ვილაცის მზრუნველი ხელი მიეხმარა...

იმ ღამეს აისრულა დიდი ხნის სურვილი მეზობლის ქალმა...

დილით მეორედ დაბადებული კაცი მზის სხივებს აჰყვება, წელში გასწორდა. მტკიცე ნაბიჯით გაუყვება ქუჩას, საოცარია, ემიგრაცია ოცი წლის ყმაწვილს, ოცი წლის მერე, ისეთივე ზნითა და ჩვევით აბრუნებს როგორც ჩაიბარა.

გაივსო ქუჩები ხალხით, მზის სინათლითა და სიტბოთი. ახალგაზრდული ხალხით მისდევდა მომღიმარ ქადრებს, რომლებიც ბროლის ფოთლებს იკრიალებდნენ მზის სხივებზე.

მიდიოდა კაცი და არავინ იცოდა რომ ის მკვლელი იყო. არ იცოდა იმიტომ,

რომ მან ეს დანაშაული შინიდანვე დაიწყო. ლელად ჩაიდინა. ოცნებაში იძია შური უსამართლობისათვის და ისე ძლიერი იყო გულის აყოლა და მოლანდება, რომ კინაღამ თვითონ შეეწირა, თავი ჩამოიხრჩო სწორედ მაშინ, როცა სიცოცხლე ყველაზე მეტად სწყუროდა. შემთხვევით გადაარჩა. გადაარჩა და მადლობა ღმერთს!

... დამერწმუნეთ ეს ამბავი ნამდვილად მოხდა და ხდება ყოველ დღე, დღეში ათჯერ, ათასჯერ, ოღონდ ვერავინ იგებს. არავინ სჯის, გარდა საკუთარი თავისა, რადგან ეს დანაშაული გაბოროტებული კაცის გულში ხდება. გონება კი უმეტესად დიდსულოვნად აპატიებს ხოლმე.

დიახ, ხდება ასეთი საშინელი მკვლელობა. მკვლელი კი მიჰყვება მომღიმარ ქადრებს და შესცინის მზეს.



ი ღ ზ ა ლ ი

ალბათ ლიკანში დიდხანს დავრჩები,
წმინდა ფიქრები გულში სულ იყოს
ნაძვის ხეებზე მწვანე გირჩები
კელაპტრებივით ანთებულებით.

მშვენიერია, სულსაც აღავსებს,
შეჭყურებ ლაჟვარდს, ქრება ვარამი,
აქ მდელოები ისე ხასხასებს,
როგორც მზის სხივზე დილის ცვარ-ნამი.

ჩაუქსოვია სტვენაში სევდა,
ხის კენწეროზე ზის ჩიტუნია,
რა უნდა მითხრას, რა უნდა ნეტავ?!
საითკენ მიაქვს მისი ხმა ნიავეს.

აელვარდება მთებში აისი,
გულში სიხარულს რომ გამინათებს.
ბავშვები — ჩვენი ღზენა, ხალისი, —
იმედის, რწმენის დღეებს გვინათებს.

თუ ვერ ვაჯობებ მინდვრად გაჭრილ რაშს,
განა ოდესმე დავაბუნდები?
ახალგაზრდობის ცისკარს, გარიჟრაჟს.
ვწუხვარ, ვერასდროს დავუბრუნდები.

დალოცვილია ის წმინდა კერა,
სად დიდებულნი განისვენებენ,
ამითი ვცოცხლობ, მხოლოდ ეს მჯერა,
რომ უსათუოდ გამისვენებენ.



განანა ავალიშვილი

ს ა ტ კ ი ვ ა რ ი

დაფასთან ცვილისფერი სახის ბიჭი იდგა. ჰყვებოდა იგი გაკვეთილს წყნანარევი ხმით და დიდრონი თვალები სევდას შეეკვამლა. დაბოლოვებულა და შეწყვეტილი ნაბიჯების ხმასავით მიჩუმდა. მასწავლებელმა ბევრი სხვაც აამბობინა, მერე კალმისტრის წვერი ღრმავარდნად დაათვალიერა, ბიჭს ირიბად გახედა და უცლობელი დადგენილება გამოაქვეყნა: „სამი“.

ბიჭმა გაფიჩხული ხელები მერხზე დააწყო და გულმოდგინედ დააჩერდა. რათა მკერდიდან მოწყვეტილი ტირილი შეეკავებინა. გულიდან დაძრული ძახილი შეაგონებდა, რომ ასე კარგად არაფერი უამბნია, მაგრამ აქ კი ვერას გახდა. ფანჯარაში გაიხედა. ქუჩაში ვიღაც პალტოჩაჩაჩული კაცი მიჩლაჩუნებდა. „ასეთი მაინც იყოს მამაჩემი“ — გაიფიქრა ბავშვმა და წელანდელი წყენა სადღაც ჩაინთქა.

მტვრიან გზაზე მზის წყვეტილი სხივები ნაპარაკი წყალივით გამოკრთოდა და მოსიარულეთა ფეხქვეშ იბნეოდა. ბიჭი ამხანაგებისაგან განცალკევებით მიდიოდა. ბოლოს აივნებით ახორხლილ ხელისგულისოდენა ეზოში შევიდა. შუაში ყანჩასავით იდგა მორყეული ონკანი და ხანგამოშვებით წყალი წვეთავდა. ხის გრძელ კიბეს აუყვა და დიდსა და გრილ ოთახში შევიდა. იქ ხორცის

სუნი ტრიალებდა და კედელზე საანგარიშო ეკიდა. სახლში მამის ხელისუფლება სუფევდა და ყველაფერი ქუშად გამოიციქირებოდა. საანგარიშოს დანახვისთანავე თვალები ხანჯლისპირივით აუპრიალდა ბიჭს და დაგუბული თმენის ნაკადი მოაწყდა.

სალამოს, თითქოს კაკალს ბერტყავენო, ისე აახმაურებდა საანგარიშოს კაცი და ნამალევი აღტაცება ჭიკოკონად აენტებოდა თვალებში. მსხვილი, ჭონმოკიდებული თითებით ითვლიდა ფულს და დანერწყვილი ხელით ტკეპნიდა. მერე ტახტზე დაასვენებდა კმაყოფილებით გამაძლარ სხეულს და ნებიერად თვალებს მილულავდა. წარმოიდგენდა, თითქოს მაღალი კიბიდან ჩამოდიოდა, აქეთ-იქიდან მარაოსავით ირხეოდა ხალხი და თავს უკრავდა. ამ დროს ხორცის სუნი შეპღიტინებდა და ძუნძულით გასწევდა სამზარეულოსაკენ.

ნასადილევის, საერთო აივანზე შავად დაიღვენთებოდა კაცის ვეება ჩრდილი და ნელა იზღაზნებოდა იატაკსა და კედლებზე. მაშინ გალუული, ძილგამკრთალი სახის ქალი გამოვიდოდა ოთახიდან და ნასწავლი გაკვეთილივით იწყებდა:

— ბატონო გერონტი, თუ შეიძლება,



თუ არ შეწუხდებით, ერთი კილო ხორცი შემინახეთ, ძალთან ვთხოვთ.

ქალს შესაბრალოსად უკანკალებდა ხმა და დაჩირული, წითელი ხელებით ფერნაცვალი კაბის ქამარს აწვალვებდა.

ხელისუფალის დიდსულოვნებით დაუქნევდა თავს „ბატონი გერონტი“ და სადილობისას კბილებში ჩარჩენილ ხორცს ასანთის ღეროთი ეძებდა. „ყველას ვჭირდები, ყველას სათხოვარი აქვს ჩემთან, იმის გარდა“—ფიქრობდა კაცი. „ის“ გამოივლიდა თავალერილი, ხშირი წამწამებით ჩაბნელებულ თვალებს მიაპყრობდა მეზობლებს და საერთო სალამს იტყოდა. ქალი მიხურავდა კარს და პატარა კოლოფში აღმოჩნდებოდა. გასროლილ კენჭივით მოსწყდებოდა გარედან შემოყოლილ ხმას. ქანცგაწყვეტილი საათი ჩამორეკავდა ურვას წუთისოფლისას და ქალს თვალწინ აედარებოდა სურათებით, ძველმოდური აჯჯეულობით, ფიქრებითა და ტკივილებით სავსე ქვეყანა. გარეთ განსჯისა და შენების, სიყვარულის, მტრობისა და შურის ბული იდგა. სიზმარეულებით დადიოდა ქალი ამ ორთმტრიალში. ოთახში კი, პირისპირ იდგა თავისი პიროვნების წინაშე და დღის მანძილზე თავს გამხდარ ამბებს გზიდან აცილებდა. ამბები წყება-წყებად ლაგდებოდა ხსოვნის სიღრმეში, ოთახის კედლებში, კარადებს შორის დარჩენილ კუნჭულებში, და მისი სულაც ნაწილდებოდა ხნულში გადაყრილი მარცვლებივით. მერე დაიწყებდა ამოღლებულ საგნებზე ფიქრს, რათა უსიამო სიტყვა ან სამსახურში მიყენებული შეურაცყოფა როგორმე გადაეტანა, რომ ნაიარევი სიამაყე გამოესყიდა საკუთარ თვალთა წინაშე. გამოესყიდა მომავალში ჩარიგებული წლების გასრულების ფასად, ოღონდ გარდასული, ბავშობისდროინდელი სიმართლე დაბრუნებოდა. უჩვეულო სიცხადით წარმოადგენდა განვლილ წლებს, დაბოროილობდა წარსულში და ხედავდა, რომ პეშვებით კარგავდა განცვიფრებისა და

დიდი, გაუძღისი ალტაცების ნიქს. ამ პატარა ოთახში სურათებივით გამოფენებოდა თავის ტკივილებს და სიბეჩავე აწვებოდა გამხდარ, ვიწრო მხრებზე. დაგშვებოდა ტახტზე, მინანქარივით ხელებს თმებში შეაცურებდა და მიძიმე წამწამებით ჩაღამებულ თვალებს ჭერს ნიაპყრობდა. მეორე დღეს ვეჭილის მოვალეობა დაგორებულ ლოდივით დაემხოზოდა მხრებზე და ქალი ძლივსდა ბეჭუტავდა ხალხის სუნთქვით აწრიალებულ დიდ დარბაზში. სახლში დაბრუნებული საკუთარ სინდისს ასამართლებდა, რათა ყველა უკუღმართობა ერწმუნა. დანაშაულებათა დაბურულ ტყეში სიმართლის სიმცირე უნდა ეძია, რათა გათენებას ძალამოკრეფილი შეხვედროდა. ფრთხილობდა, საკუთარ ყოფას დარაჯობდა, დანაშაული ხელებშუა რომ არ გაპარვოდა და ცოდვიანის სახელი არ დასდებოდა.

„რამოდენა ვარამი აქვს ამ ქალს აგრე დაღვრემილი რომ დადის? ნეტა რაზე ჩივის ეს ხალხი, რა დაკარგვიათ“.

მიდიოდა გზად გერონტი და მეზობლის ქალის მოწყენილი სახე ედგა თვალწინ. მისი ოთახის კართან ნაბიჯს მიჩუმებდა და ფრთხილად დააყურადებდა. მეძებარივით აუთრთოლდებოდა ნესტოები და თითქოს განთიადის სიხასხასე შემოგაფეთესო, წუთიერად ისე დაეწმინდებოდა თვალები და თავისთავს აღარ ჰგავდა.

სახელოებაკაპიწებულო, მორგვისხელება კაცი ძალუმად ჩეხავდა საჭონლის ბეჭს და დარდიმანდული ღმილით წონიდა. გაანჩხლებული კატის სისწრაფით წამოკრეფდა ხურდას, მყიდველს შეაჩერებდა და გაოფლილ სახეს კვლავ დახორავებულ ხორცისკენ მიაბრუნებდა.

ერთხელ აეიკვივებულ ქალებში დაოალხულ თვალებს წააწყდა და ოდნავ შედრკა. მეზობლის ქალმა ფული გაუ-

მანანა ახალიზვილი
მომთხრობავი

წოდა. „დავჭირდი“, გაიკვესა გერო-
ტის გონებაში, მაგრამ კაცს სულმა უს-
წრაფა და ვერც ამას შეაძლია სრულად
ხურდა.

სიღამოხანს საანგარიშო ჩამოხსნა
და მონაგების გადათვლას შეუდგა. უც-
ხად თითქოს სველი შეშა აშიშინდაო,
გაახსენდა, რომ მონაგებში იმ ქალის
ფულიც ერია. შეეყოვნდა, ნელ-ნელა
ღრუბელივით დაუძმძმდა გული და
დაარბა გაყონა. ბიჭი მთელი სიღამო
უთვალთვალებდა მამას. ელოდა, რო-
დის მილულავდა თვალს, რათა ჩანაფი-
ქრი აეცხადებინა. კაცი აქეთ-იქით მი-
მოდირდა და რაღაც უხილავი ძალა აფ-
ორიაქებდა. ბიჭი ფეხაკრეფით მიუახ-
ლოვდა საანგარიშოს, ჩამოხსნა და ლა-
ნდევით გაცურდა გარეთ. ეზოში გადა-
მალული მახვილბირიანი რკინა მონახა,

მიწას შეეხება და გააღრმავა. მერე ხანა-
რიშო ცხედარივით დაასვენა და დაიძინა.
აივანზე ამოვიდა და იმ ქალს ვერ-
თან ჩავლისას ტირილის ხმა მიეხალა
მის ყურთასმენას. მაგრამ ბიჭს ახლა
ქვეყანაზე არაფერი ესმოდა. ანაკვერჩ-
ხლებული თვალეზით მიდიოდა ოთახი-
საკენ.

იოლი სიყვარული არ შეეძლო და
იმაზე ტიროდა ქალი, არდავიწყება არ
შეეძლო და ამაზეც ტიროდა. გარდასუ-
ლიდან ყველაზე ნაღვლიან დღეს ნა-
ტრობდა, რათა მაშინდელი წუხილის
სიმდიდრით აგვილიყო. გაღმა ნაპირზე
დარჩა ბავშვობა და თავად ექსკურსან-
ტივით ათვალეგრებდა წარსულს. სატ-
კივარისაგან ილაჯაწყვეტილმა გაიფიქ-
რა, რომ „არა კეთილ არს ყოფა კაცისა
მარტო“.

როცა საშველი არ იყო

გოგო შორიდან გაშლილ ბაირაღს
პავავდა. მირბოდა თავდავიწყებით და
კაბის კალთები მუხლებზე ასკდებოდა.
ბაქანზე ბიჭი უთითი დატკებნილი პი-
ჯაკის ღიღს აწვალებდა და ლოდინით
დანესტიანებოდა თვალეზი. გოგომ მო-
ირბინა და გაწუწული ბარტყივით უმ-
წეო ხელი გაუწოდა ბიჭს. გოგოს ნიკა-
პი უკანკალებდა და ტკივილნარეგ ღი-
მიღს დაესერა სახე.

— წავედი, — თქვა ბიჭმა და სივ-
რცეს გახედა. ორთქლმავალი დაიძრა.
ხენეშით წამოკრიფა ვაგონები და არე-
მარე რკინის ჯავშნების გრძელმა რიგმა
გაკვეთა შუაზე.

„ნუცა“, წამოიყვირა ბიჭმა და ბორ-
ბლების გრიალმა გაიტანა ხმა. გოგო
შეტოკდა და გარუჯულ ვაგონებს თეთრი
ბაირალი აედევნა. ბოლოს დაიღალა,
ორივე ხელით მკერდთან მომსკდარ
სუნთქვას აკავებდა, მოტრიალებდა უჭი-
რდა, ზურგსუკან მოგონებები კალიები-
ვით დახტოდნენ დათავთავებულ ყანა-

ში და ჰაერს სითბოგავსილი წარმოსახ-
ვების ნატერფალი აჩნდა. მოგონებებმა
თვალეზი მოუწყლიანეს ნუცას და გარ-
დასული დღეების გაუნელებელი ტკი-
ვილი შემოიზღაპნა სულში.

უძლური სინათლის ლაქასავით გა-
მოფარფატდა ნუცა ეზოში და ვარსკე-
ლავებით მოჭიქული ცა გადმოემზო
თავზე. ირგვლივ გორბოზი მდუმარება
გრუნტელივით უვლიდა არემარეს და
უღრანი სიბნელე ცხედარივით ესვენა.
გოგო ქანდაკივით იდგა შუაგულ ეზო-
ში მდუმარებას შეტოლებული და სი-
ღიადის ძალა სვეტივით ჩამდგარიყო
სხეულში.

ღილით გულდადებით რეცხდა ვე-
ებერთელა გობებს, საქონელს საძოვარ-
ზე მიდენდა. დამისეული შეგრძნება ყო-
ველდღიურობას უმოწყალოდ გაეძა-
რცვა და მხოლოდ სევდა ჩასახლებოდა
ღიდრონ თვალეზში.

როცა მზე მიიდრიკებოდა ცაზე, მა-
შინ ბინდლაკრულ ეზოს ჭიშკარს ნუცას

მამა შემოაღებდა ბარით ხელში. შვილის დანახვაზე ღრმად ჩამარხული ფიქრი შეძრავდა, რათა „დიდკაცი“ მოეყვანა და ეგებ საშველი გამოენახა დარდინი ყოფისათვის. ოთახში გაივლიდა და ფაქიზად დათლილი იატაკის ფიცრები აჭრაჭუნდებოდა. ხენემ ხელებს მუხლებზე დაასვენებდა და დაღალულ თვალებს ფიქრი გარინდავდა. ნასადილევს სოფლის ნაღვლიან შარას გახედავდა. საღამოს ბინდი ფარფატებდა ჰაერში და მკუხე შინდისფერი თავსაფარი ისე გაკრთებოდა, თითქოს სიჩუმის შეუკვივლიაო. ჩვეულებრივ მოეძალებოდა „დიდკაცებზე“ ფიქრი და კრძალულება შეიპყრობდა; მთელი ცხოვრება მიწასთან ბუბუნში გაატარა და სიტყვის გაცხადებას გადაეჩინა.

ხანდახან შვილს დანისლულ მზერას მიაპყრობდა და გულიდან ამოიძახებდა.

— გვიჭირს, ორივეს გვიჭირს. — სიჩუმე გასურდრულიყო ოთახში და ნუცა ძალისძალობით იღიმებოდა. საღამოს კაცი სოფლის საყრილობოს გავიდოდა. იქ ყურს უგდებდა ხალხის ხმამაღალ ლაპარაკს და სურვილჩამდგარი თვალებით აცქერდებოდა მოსაუბრეს. ზოგჯერ კრძალულება გალხვებოდა, გაჩირადინებულ თვალებს ხმაურის წადილი მოაწყდებოდა და კაციც იწყებდა ბაასს. მაგრამ თავისივე ძალის მოდიდება აფრთხობდა და ხმა მღვიმეში ჩავარდნილი ზინზალაკივით მიჩუმდებოდა.

ჟამიდან ჟამამდე სოფლის სასადილოს მიაკითხავდა. კუთხეში ჩაკვდებოდა და „დიდკაცს“ დავემოდ მზერას შეაფლებდა. დაახლოების მფრთხალი სურვილი გულს აუძგერებდა და თან თავისივე სულის სიმცირე შესაბრალისს ხდიდა. თითქოს ხერხემალზე კეტი დაკრესო ისე იდრიკებოდა და ჩივდებოდა.

დიდკაცი სიხარულისაგან დახლიდარს თუმნიანებს არგუნებდა და დაკრეჭილი კბილებით ხითხითებდა.

როცა დარბაზივით კაბინეტში მომიჩივანი შემოაბიჯებდა, დიდკაცი ბასრი

მზერით ჩხრეკდა მის სახეს; მომჩივანის სატიკივარს სარგებლით წონებდა და უსარგებლოდ კაცის ბარათს გაწაფული ხელით დააბეჭდავდა „გადაეგზავნოს“. ოდნავ შეეჩინებოდა ნუცას მამა არეული ნაბიჯით ბრუნდებოდა შინ და სულის განახლებაზე ფიქრი აწვავებდა.

ქალაქად წასულ ბიჭს კი თეორიებით დაეცხრილა გონება და ნუცას ვეღრებდასავით თვალები დაეწიყების ფსკერზე ილექებოდა. იჭდა ბიჭი წიგნებში ჩაძირული და „შეგრძნება-აღქმების აპრიორული ფორმების დაკავშირების უსაფუძვლობას“ მარცვალ-მარცვალ ჰყენავდა. დასვენებებზე ლექტორს ნაოქვებდაჩნეული შუბლით შეკითხვებს აგებებდა. თავდადრეკილ საღამოს თავაზობდა, სახლამდე აცილებდა და გამუდმებით სდევდა ფიქრი ამღლებაზე. „შეგრძნება-აღქმების აპრიორული ფორმების უსაფუძვლობა“ იყო გზამკვლევი პატივსა და სახელოვნებისკენ. ყოველ სიტყვას აყურადებდა და გამალეებით იწერდა, რათა ნაფიქრი განევრცო და დაახლოებოდა გზას ამღლებისკენ.

ღამდამობით ნუცას ცრემლები ეძალებოდა და ტკივნეულად უტოკავდა გული. თეთრი ღამეები წეროებივით გასდევდნენ განთიადის აღმურს და გოგო გამომშრალი თვალებით ხვდებოდა გათენებას.

ერთხელ, როცა ძალიან ასტივდა გული, მამასთან ერთად ჩავიდა ქალაქს.

მშვიდი, იღუმალებაში ჩაკარგული მზერა მიექცია ნუცას ბიჭისკენ და დიდ სიხარულს გულისძგერაც შეეჩერებინა. დაყრუებული იდგა ბიჭი და თვალს არ აცილებდა გოგოს სხივნათელ სახეს. ბიჭმა იფიქრა, რომ ასეთი სიღრმიდან გამონთებული თვალები არსად მოიპოვებოდა და ნუცას თვალები იყო სამუდამო სამყოფელი ღამაში ცხოვრებისა. მაგრამ უცებ გააახსენდა, რომ „შეგრძნება-აღქმების აპრიორული...“

მანანა ავალიშვილი
მოთხრობები

უყურადღებოდ რჩებოდა. შეეშინდა არ გადაჩვეოდა თეორიებზე ფიქრს და მსჯელობის კილოთი უთხრა ნუცას, რომ საქმეები არ იცლის და სიყვარულის დროც არა აქვს.

ნუცას ხელები გადაეჯვარდინებინა და ციებაშეყრილივით თრთოდა. პალტოს სახელოები დამოკლებოდა და ძლივსდა სწვდებოდა სუსტ მაჯებს. ხანგასული, მაგრამ კარგად ნალოლავეები ფეხსაცმელი ეცვა და გოგოს მოეჩვენა, რომ უბადრუკი ჩანდა თავის სიყვარულთან ერთად.



სუფრაზე ცივად მოხარშული ღებღელი, შოთი პურები და მწვანილი იდო. ჭიქებში წითელი ღვინო კამკამებდა და დიდკაცი ლაღად შლიდა ხელებს. გულმოდგინედ აცქერდებოდა ნუცას, თითქოს დარბაზივით კაბინეტში მომჩივანი ხლებოდეს. გოგო სიკვდილმისჯილივით იჯდა მაგიდასთან. მამა ხელში ღვინიან ჭიქას ატრიალებდა და ფიქრობდა, რომ ხსნის გზა არსად იყო.



მედი მიჯნობილი

დემეტრიის ზღვა

(ნოველა).

დეკემბერში ზღვა მიტოვებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ღელავს, აზვირთებული ეხეთქება ნაპირს. ყურადღებას ითხოვს, მაგრამ არავის ცალია მისთვის.

მე მივდივარ მიტოვებულ დემეტრიის ზღვასთან, ტანსაცმელს ვიხდი და მივტოვებ... მოსიერიან ადამიანები სანაპიროზე იყრიან თავს.

— გაგიჟდა?

— რა იცი, შეიძლება „მორჩია“.

მივცურავ, გამალებით ვიქნევ სიცვისაგან გათოშილ მკლავებს. წინ! წინ! მე არ ვიყავი „მორჩი“. მიყვარდა ზღვა, მაგრამ დემეტრიე ჩემზე ძლიერი იყო და აშაცახცახა, ნაპირისაკენ მომახედა. ნაპირზე იდგნენ პატარა ადამიანები და თავისკენ მიხმობდნენ.

გალურჯებულმა, სანაპიროზე ტანი შევიმშრალე, ჩავიცვი და სირბილი დავიწყე გასათბობად. ვავთბი, ნაბიჯი შევანელებ და მარტოობით შეპყრობილი ფიქრებში ჩავიძირე...

...მზეს დაეკარგა ძალა და ხალხმრავალი კურორტი დაცარიელებული გეგონებოდათ. მოწყენილობის გასაქარვებლად კაფეს შევაფარე თავი.

შენ კაფეს წინ შემოხაზულ წრეში იდექი და ვიღაცას ელოდებოდი. დიდხანს ელოდი.

მე შენი გაცნობა მოვიწადინე, მაგრამ სანამ გამბედაობას მოვიკრებდი, უკვე გვიან იყო. მთვრალმა ჩავავლო მკლავში ხელი და კაფეში გექაჩებოდა. წრეგადასულმა თავხედობამ გამომიყვანა გარეთ.

— რას ეჭიდავები ამ გოგოს?!

— შენი რა საქმეა?

— გირჩევნია წახვიდე და გამოიძინო.

ღარიგებამ რომ არ გასჭრა, ქუჩისკენ ხელი ვუბიძგე.

— ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს!..

მთვრალი ბარბაცით და ბურტყუნით გაუდგა გზას.

— გმადლობთ!

— არაფრის, ვზივარ კაფეში თბილად და გულზე ვსკდები, თქვენ რომ გარეთ იყინებით.

შენ პასუხი არ გამეცი და მეც უკან დახვევის მეტი არაფერი დამრჩენოდა.

— რომელი საათია? — დამეწია შენი კითხვა.

— ცხრის ნახევარია. თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს, ოღონდ, ცუდად ნუ გამიგებთ...

— რა?

— მობრძანდით ჩემს მაგიდასთან, იქ დაველოდოთ თქვენს მეგობარს.

— ისევ უსიამოვნება რომ შეგვ-
დეთ?

— უსიამოვნებებს მიჩვეული ვარ.
შენ წამოიყვიე. კაფეში კიდევ ერთი
საათი ვიჯექით. მეგობარი არ გამოჩე-
ნილა და ალბათ აღარც გამოჩნდებოდა.
ხშირად იყურებოდი კარებისაკენ, და
მადლობელი იყავი ჩემი, რომ არაფერს
გეკითხებოდი.

— კინოში დაგპატიყებთ, თუ თქვენ
წინააღმდეგი არ იქნებით.

— კინოში?

— ბოლო სეანს მივუსწრებთ. არ
გნებავთ?

— არა... რატომაც არა, პირიქით.
კინოს შემდეგ სახლამდე მივაცილებ.

— შევხვდებით კიდევ ერთმანეთს?

— რა აზრი ექნება ჩვენს შეხვედ-
რებს?

შენ მთელი საღამო ვიღაცას ეძებდი
და ახლაც ჩემს იქეთ სივრცეში იყურე-
ბოდი, თითქოს მე არც ვყოფილიყავი.
შენს გვერდით.

— თქვენ ისე იქცევით და ლაპარა-
კობთ, თითქოს რაღაც სანუკვარი და-
გეკარგოთ.

— თუ დავკარგე უკანასკნელი იმედი,
და საერთოდ რწმენა ადამიანებში, მა-
შინ?

— უნდა იმკურნალოთ. მე ექიმი ვარ,
თქვენ ჩემი პაციენტი იქნებით. რწმე-
ნის აღდგენაში დაგეხმარებით. ერთად
დაკარგულს პოვნაც უფრო გავვიად-
ვიღლება.

დამშვიდობებისას ხელზე გაკოცე-
შენ დაბნეულიც იყავი და გახარებუ-
ლიც, მეტი რომ არაფერი მომიტოვია.

მეორე დღეს შევხვდით ერთმანეთს.

— რა კარგია რომ მოხვედით!

— დაკარგული რწმენის და ჯანმრთე-
ლობის აღსადგენად მოვედი.

— მე თქვენთვის გუშინ სახელი არ
მიკითხია.

— მზია — თქვი და გაგელიმა.

— „ვინც არ არის კახაბერი, მე ვერ
ვიტყვი კახაბერად“, ამიტომ 24 წელია
შემოკლებით კახას მეძახიან.

— მკურნალობას ანექტური ღონისძე-
ვებით იწყებთ?

— რას იზამ, ანექტა ჩვენი აზრით
ბის აუცილებელი ატრიბუტია.

— მზია წეროძე, განათლება საშუა-
ლო. სურვილი აქვს მიიღოს უმაღლესი.
18 წლის.

— მე თქვენ რატომღაც ჩემზე უფ-
როსი მეგონეთ.

გაგეცინა.

— სიცილი გიხდებათ.

— უკვე კომპლიმენტებზე გადახვე-
დით.

— კომპლიმენტი, მშვენიერი სქესის
წარმომადგენლებისთვის, ყველა წამალ-
ზე უებარი საშუალებაა.

— ამიტომ მითხარით?

— არა. თქვენ კარგად იცით, რომ ლა-
მაში გოგონა ბრძანდებით.

— შეეპყვება.

— დიდი, შავი, ზღვასავით უძირო
თვალები. გრძელი წამწამების ხშირი
და გაუვალი ტყე. წაბლისფერი თმები
ტალღებდად. წამწამებში დაიკარგები,
სურნელოვანი ტალღები წაგიღებენ და
უძირო თვალებში ჩაიძირები...

— გეყოფათ, თორემ დავიჯერებ.

— დაუჯერებელს არაფერს ვამბობ.

— ზაფხულში რატომ არ ჩამოხვე-
დით დასასვენებლად?.. საოცარი მოწ-
ყენილობაა ჩვენთან ზამთარში.

— მოწყენილობა კი არა, სიმკუდრო-
ვეა.

ჩვენ დიდხანს დავეხეტებოდით და-
ცარიელებულ ქუჩებში და ამ სიცარიე-
ლეს უკვე სხვა აზრი ჰქონდა.

კინოთეატრთან ბიჭები იდგნენ და
დაუინებით იყურებოდნენ ჩვენსკენ. ერ-
თი მათგანი, მაღალი და უტიფარსახი-
ნი, დამცინავად იღიმებოდა.

შენ ფეხს აუჩქარე.

— ჩამოსულებთან დაიწყო სიარული.
მაღე სულ წავა ხელიდან! დაგაწიეს
ფრაზა.

მე შეგჩერდი. ისეთი სახე მიიღე,
თითქოს ეს შენ არ გეხებოდა და მეც
აგედევნე წინ წასულს.



— ძნელია მარტოობა—ვთქვი უხერხული სიჩუმის დასარღვევად.

— ვიცი.
— გუბდება სინაზე, სითბო და მერე გინდა ვილაცას გაუნაწილო, რადგან ერთსთვის ძნელი სატარებელია.

— ის კი ფეხქვეშ გათელავს ყოველივეს.

— არჩევანში არ უნდა შეცდე.
— არჩევანი, არაღანი... შეცდომას გვიან ვგებულობთ. თავიდან ვჭკვრა, რადგან გვარწმუნებენ და თვითონაც ძალიან გვინდა დაჭერება. აღამიანებს ხომ უნდა ენდობოდე?

— ბრმად არა.
— თვალებს გამოცდილება გვიხელს. მაგრამ, თუ მთელი სამყარო ვარდისფრად გვესახება, თუ ყველაფერი პირველია. პირველი და... თვალი ცრემლით აგვესო.

— რაღაც გინდათ მითხრათ და არ მეტუნებით.

— რომ გითხრათ, ამით რა შეიცვლება? მხოლოდ თქვენი დამოკიდებულება ჩემს მიმართ, მეტი არაფერი.

ერთი კვირის განმავლობაში ყველა კინოსურათი ვნახეთ. დავესწარით ყველა სანახაობას, რაც ამ პატარა საკურორტო ქალაქში არსებობდა და თვითონაც ვერ შევამჩნიეთ, „თქვენობიდან“, როგორ გადავედით „შენობიანზე.“ დეკემბრის ზღვისფერ თვალბში თანდათან შეიპარა სითბო.

— მკურნალობა ხომ არ გაგიგრძელდა?

— რას ამბობ?

— იცი, მე თავს უკეთესად ვგრძნობ.

— სრულ განკურნებამდე ჯერ კიდევ შორსაა.

— სრულ განკურნებას ვერც შესძლებ.

— ტკივილის მიზეზს თუ გამიხსელ, ხომ შეიძლება შევძლო?

— არა მგონია.

— მაშინ, ტკივილი ორად გავინაწილოთ.

— განაწილებით რომ გაორკეცდეს და ორმაგ ტკივილად იქცეს?

იმ დღეს ქუჩაში ხეტიალით დავიღაღღეთ ორივენი. გაციებული და დაღლილი, ჩემთან სასტუმროში მოვიპატიყე. ჯერ წამოსვლა არ გინდოდა, მერე დამთანხმდი.

სასტუმროში ამხანაგი დამხვდა ნომერში.

— ხელს არ შეგიშლით — თქვა და მარტო დავგტოვა.

— არ გეწყინოთ, ცოტა უცნაური ბიჭია.

— არა, არც იმდენად უცნაურია.

შენი შეცეებული ხელი ავიღე და გათბობა მოვიწიე. ხელი გამომართვი. ბუნებრიობა ჩვენს შორის გაქრა და უხერხულობამ დაისადგურა.

— გიმარჩიელო?

შენს თბილ, მთრთოლვარე ხელს ვიღებ ისევ და ხელისგულს დავცქერი.

— ნახე, ცხოვრების ხაზი როგორი გრძელია. დიდხანს იცოცხლებ. ცხოვრების გზაზე უსიამოვნებანი შეგხვედრია, მაგრამ ისინი სიზმრებოვით გაქრებიან, რადგან შენ ძალიან კარგი და კეთილი ხარ...

ჩემსკენ იხრები. ვმარჩიელობ, გაკოცო თუ არა. შენი სახე ისე ახლოსაა, რომ თავს ვერ ვიკავებ...

— ამისთვის მომიყვანე!

— მაპატიე.

— მე წავალ!

კარებისკენ იყურები და ალბათ გგონია, არ გაგიშვებ. გაცილებ. მთელი გზა თვალს მარიდებ.

— უნებურად მომივიდა.

— თუ ყველაფერი წინასწარ გქონდა განზრახული. საბოლოო მიზანიც ეს იყო...

— არა მზია, ასე ნუ ლაპარაკობ!

— ძილი ნებისა! — თქვი და უკან მოუხედავად გაიქეცი.

გბრუნდები სასტუმროში და მოსვენებას ვეკარგავ. ამხანაგი გვიან დაბრუნდა და შემოსვლისთანავე შემეკითხა:

— მოგილოცო?

გივი ჩხიკავიძე
დეკემბრის ზღვა

— ნეტავი არ წასულიყავი.

— მადლობის მაგიერია?

— მოსალოცი და სამადლობელი არაფერი მაქვს.

„ძილი ნებისა“, — თითქოს ჩემს ნებაზე იყოს ძილი. ჩვენ შორის უკვე დაიბადა რაღაც ისეთი, რაც ჩემზე და ძილზეც უფრო ძლიერია. მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე.

დილიდან აივანზე ვიყავი ატუხული.

— კახა!

ეს შენ იყავი, მზია. მე ვიდექი მეშვიდე სართულზე და არ ვიცოდი, როგორ მოვსულიყავი სასწრაფოდ შენთან. თავქუდმოგლეჯილი დავეშვი კიბეზე, არც გამხსენებია ლიფტის არსებობა. წივნებით დატვირთული დამხვდი.

— წასაკითხად მოგიტანე.

— გმადლობთ.

წასვლა დააპირე.

— თუ დამიჯერებ, ძალიან მომენატრე და ასე უცებ ნუ წახვალ.

— წასვლა არც მე მინდა.

ორივენი ვიციინით და ხელჩაკიდებულები ვარდევით დაცარიელებული ქუჩების სიმყუდროვეს.

— მზია, მე გუშინ არ მეძინა.

— მეც.

— ისე მომენატრე, თითქოს ერთი საუკუნეა არ მინანინარ.

თოვლი მოვიდა ჩვენს პატარა ქალაქში. უჩვეულო და არნახული, დიდი, პირველი თოვლი. თოვლის თეთრი ფიფქები ფარფატით გვეცემოდნენ ტუჩებზე, ჩურჩულებდნენ — „მიყვარხარ“ და დნებოდნენ. შენი თეთრი ხელი მიცურავდა ჩემს თმაში. შენ ტუჩები სინაზითა და სითბოთი მაბრუნებდნენ.

საათობით დავეხეტებოდით თეთრ სამყაროში და ერთმანეთთან დაცილებდა გვიჭირდა. თოვლით დახუნძლული პალმები და შენ, თეთრი ფერია. ყოველივე ზღაპარს ჰგავდა, თეთრ ზღაპარს და მე მინდოდა დამეჯერებინა ზღაპარი.

თითქოს ამხნა ოცნება ედღეღვისზე — მიუწვდომელი მწვერვალების სი-

ლიადზე, შეუბილწავი ჰაერის სისუფთავეზე, გაუთელავი, პირველი თოვლის სისპეტაკეზე. შენ მიგამსგავსე ედღეღვისს და დავიჯერე, რომ ზღაპრიდან ხარ.

მაშინ ჩვეულებრივზე მეტი ვისეინეთ. თოვლის ბაბუებს დავემგვანეთ ორივენი. შეციებულებმა სასტუმროს მივამურეთ. მე შენს ხელებს დავეწაფე გასათბობად ტუჩებით და სითბო ქრუანტელში გადაიზარდა, ქრუანტელი — თავდავიწყებაში. ჩვენ ეცხოვრობდით მხოლოდ ერთმანეთის სითბოთი და სიყვარულით...

— იცი რა მინდა, კახა?

— რა?

— რომ ჩვენ სულ მარტო ვიყოთ ამ ქვეყანაზე, შენ და მე. დაფიქრდი, რაღაცაზე დადარდიანდი.

— შენზე ვფიქრობ. დღეს ჩემთან ხარ, ხვალ კი, ვინ იცის...

— შენთან ვიქნები ხვალაც, ზეგაც...

შენ ისევ მავიწყებ ყველაფერს და ამ ქვეყანაზე მარტო ჩვენა ვართ, — შენ და მე.

ჩვენ ერთმანეთს ვეკუთვინით მთლიანად, დაუფარავად და დაუზოგავად. ანთება, ალტკინება, მწვერვალი, რომელსაც სიმშვიდე და დაოკება მოაქვს. თუ აფეთქების შემდეგ, სიცარიელე კი არა, სინაზე რჩება: ანთებისთვის, ალტკინებისთვის, მწვერვალისთვის, დაოკებისთვის; ასეთი თავდავიწყება მთელი ჩვენი არსებობის სიღამაზე და გამართლებაა. ყველაზე უფრო დიდი მშვენიერებაა ამქვეყნად.

ღრო კი მირბის, როგორც ხანმოკლე და ბედნიერი წუთი. ამხანაგი აკაკუნებს კარებზე. უკვე გვიანაა. სახლამდე გაცილებ. დიდხანს ვდგევართ სიცივეში. მიჭირს შენთან დაცილება. ასე მგონია, წახვალ და ზღაპარიც გაქრება. ღამე თიბოს თავის ბატონობას და სამუშაოზე ფხნაჩქარებით მიმავალი გამვლელები გაოცებული გვათვალისწინებენ თეთრად დახუნძლულებს და გალურჯებულებს.



გბრუნდები და ზამთრის სიცივეში მართობით შეთხზული, ახდენილი ზღაპარი, სიხარულით და სიცოცხლის სილამაზით მავსებს.

ამხანაგი თვალს მიკრავს.
— თავი ხომ არ შეგაყვარა?
— რატომაც არა!
— წესიერიც ხომ არ გგონია?
— შენ ის გირჩევნია, წესიერად ილაპარაკო!

— ცოლად ხომ არ გინდა მოიყვანო?
— მაგაზე ჯერ არ გვიფიქრია.
ამხანაგს ირონიული ღიმილი უჭრება სახიდან.

— გეტყობა არ ხუმრობ. ბევრი რომ არ იფიქრო, გეტყვი: შენ არც პირველი ხარ და ალბათ არც უკანასკნელი იქნები.

— არ მჯერა!
— გაჩვენო ის ბიჭი?
— მაჩვენე!
„ის ბიჭი“ უტიფრად იცინის... ძლივს ვიკავებ თავს.

— არ გეწყინოს, ძმაკაც! ეს ისე, რომ არ გაგასულელოს. შენ შენი საქმე გაიხილდე, რა გენაღვლება.

შენ მოხვედი მხიარული და ბედნიერი. შენი ყურება მეც მიხაროდა, მაგრამ ჩვენ შორის უკვე კედელი იყო აღმართული.

— რა მოგივიდა?
— არაფერი.
შენ იცინი, მეფერები.
— იცი რა, მზია,... კინოში წავიდეთ.
— კინოში?
— „ცის ქუხილს“ აქებენ, მე კი არ მინახავს.

— როგორც გინდა.
კინოს წინ „ის ბიჭი“ იდგა და მოწყალე ღიმილით გიყურებდა. შენ თვალი აარიდე, ნაბიჯს აუჩქარე.
— რატომ არ ესალმები?
— ვის?
— ძველ ნაცნობს.

ყველაფერს მიხვდი და შეჩერდი. მე „მოწყალე ღიმილით მომლიმარს“ მივუახლოვდი.

— ეცადე, შენი უტიფარი სახე და ღორული ღიმილი მეორედ თვალში არ მომხვდეს, თორემ...

ისეთი გაცოფებული ვიყავი, რომ „გამარჯვებულმა“ გაცლა ამჯობინა. კინოსურათი მართლაც კარგი აღმოჩნდა. ლამაზი ამბავი იყო ადამიანის ადამიანობაზე და ქალზე, რომელმაც იპოვა თავისი ბედნიერება.

შენ ზიხარ ჩემს გვერდით და მე ვგრძნობ, როგორ მოცურავენ ლოყებზე ცრემლები, ეხებიან ტუჩებს და ქვევით ცვივიან.

მე მინდა შევწყვიტო დაკარგული ცრემლების დენა. დავეწავო შენს ტუჩებს, ლოყებს, თვალებს, ამოვაშრო ცრემლი. მინდა, მაგრამ რაღაც მაკავებს და ყელში ბოლმად მეჩხირება.

თოვლის თეთრი ფანტელები ზღვაში დნებოდნენ. ამაყი, თოვლსმიუჩვეველი შავი ზღვა კი ბობოქრობდა, ქაფმორეული ეხეთქებოდა ნაპირს.

— მაპატიე, მზია.
— რა გაპატიო?
— მაპატიე, რომ არ შემეძლია გითხრა: „ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, ჩემამდე, მთავარია, როცა ერთად ვართ...“

— „იმ ბიჭის“ დამცინავ ღიმილს ვერ დავივიწყებ. მეც დავიტანჯები და შენც დატანჯავ.

ცრემლები, ცრემლები...
— მე შენთვის არაფერი მითხოვია.
— მიყვარხარ და მეშინია, კიდევ უფრო არ შემიყვარდე.
— ასე აპირებ დამიბრუნო დაკარგული რწმენა?

— მე ედელვეისს ვეძებ, მზია. ედელვეისს, სხვანაირად არ შემეძლია.
— მე ფეხქვეშ ვასათელი სარეველა ვარ?
— არა, მზია!
— მაშინ რა განსხვავებაა შენს და მას შორის?!

გივი ჩხიკვიძი
დამამბრის ზღვა

შენ გაიქეცი. შენთან ერთად გამეკ-
ცა რაღაც დიდი, ბავშვური და გულ-
უბრყვილო, რომელშიც თვითონც ვერ
გავრკვეულიყავი და რომელიც, ასე მგო-
ნია, უკვე არასოდეს დამიბრუნდებო-
და.

თოვლის თეთრი ფიფქები დეკემბ-
რის ზღვაში დნებოდნენ. თოვლს მიუჩ-
ვეველი შავი ზღვა კი ბობოქრობდა,
ქაფმორეული ეხეთქებოდა ნაპირს.

თოვლი მოდიოდა ფარფატა ფანტე-
ლებით და გამოწვდილ ხელისგულეებზე
დნებოდა. გაუზიარებელი სითბოსა და
სინაზისაგან სუნთქვა-შეკრული, მივა-
ბიჯებდი თოვლის ფიფქებში. მინდოდა,
ღალღილი თავი შენს მუხლებზე დამე-

ლო, შენი თოვლივით თეთრი ხელი შე-
ცურებულებო ჩემს თმაში, ჩემს ყურ-
თან დახრილ შენს ტუჩებს სიყვარული-
სა და სინაზის განუმეორებელი სიტყ-
ვები ეჩუქებულათ.

სამხრეთის საკურორტო ქალაქისა-
თვის უჩვეულო თოვლი მალე დადნა-
დიდი, უჩვეულო, თოვლის მოსაგონი-
ბლად ტალახი და ქყავი დარჩა.

შეებულება გამითავდა. მატარებლი-
დან უკანასკნელად გაგყურებდი დეკემ-
ბრის მიტოვებულ ზღვას. ზღვა დე-
ლაგდა, ყურადღებას ითხოვდა, მაგრამ
არავის ეცალა მისთვის. ფიქრებში ჩა-
ძირული ადამიანები კანტი-კუნტად და-
სვირნობდნენ სანაპიროზე.



გორგა

განთიადია. მდინარის ხმაური ოდნავ ისმის. დაბურული ტყე ჩასაფრებულ დამხდურს ჰგავს. თალად შეკრული ხეების ქვეშ პატარა გზა დაკლაკნილა და ყველა დიდ ხესთან უხვევს, თითქოს მათი ეშინიაო. მხოლოდ ერთ ადგილას, დიდი წიფლების ქვემოთ ბუჩქი გადაიწია და იქიდან ორმა თვალმა გამოაჩინა. ეს იყო წამით. მალევე შეერთდა ის ადგილი.

ლაგოდალის მხრიდან ყრუ ხმა გაისმა. ბუჩქები ისევ შეირხა და ორი ანთებული თვალი გამოჩნდა. სულ მალე აშკარა გახდა, რომ ცხენოსანი ახლოვდებოდა. ბუჩქებიდან კაცი გამოვიდა და დიდ წიფელს ამოეფარა ისე, რომ მგზავრი მიზანში ამოიღო. თოფის ლულა ხის გამოშვერილ ნუქზე გადო, ხანჯალი გაისწორა, რევოლვერიც მოსინჯა და მერე ხეს ისე მიეკრო, თითქოს ზედშეზარდილი ყოფილიყოს.

ცხენოსანი კი ახლოვდებოდა...

მგზავრი გამოჩნდა, მაგრამ რაკი გზა დაკლაკნილი იყო, ხოლო ტყე ხშირი, იგი მალიმალ იკარგებოდა ხეებსშუა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ხიფათს გრძნობს და საფარს იცვლისო.

გზა იქაც უხვევდა, სადაც ჩასაფრებული ჰაბუკი ხეს შეეზარდა. საფარის ისე იყო შერჩეული და თოფის ლულა

ისე იყო გაშვერილი, რომ მგზავრს ზედ მკერდზე უსწორდებოდა.

— არ გაინძრე!

— რომელი ხარ? — ითქვა დინჯად.

— გორგა ვარ და შენი სული ჩემს ხელთაა, ეხლავ გაათავებდი, მაგრამ თუ არ გესვრი, ჩემს ძმას უმადლოდე.

— მესროლე, რას უცდი!

— კიტავ, გეყოს უკაცურობა, ეხლა მე მისმინე! იცი, რომ შენი გოგო ჩემს ძმას უყვარს და ხელს ნუ უშლი იმათ ბედნიერებას. ამ ერთხელ მაინც მოიტყეცი კაცურად!

— მაქანკლობა დაგიწყვი, ბალო? — დამცინავად გამოსცრა კიტამ და ისე შეინძრა ცხენზე, თითქოს სათქმელი მოვრიხი და ეხლა კი წავალო.

გორგამ ბოლმა გადაყლაპა და კიდევ სცადა დაყოლიება.

— შენც ხელავ, რომ წამში გაათავებდი, მაგრამ ამას არ ვშვრები. მოყვრობას გათავაზობ და მტრობით ნუ მპასუხობ!

— შენც დამეკარგე და შენი მოყვრობაც! ან მესროლე და გაათავე, ან თავიდან მომწყდი, მე ლაილისთვის არა მცალია!

მუქარას უფრო გავდა, ვიდრე თხოვნას, ეს იგრძნო გორგამ და სიმწრით კბილები გააკრპუნა. მოგვლა და გავათათო — ვაი თუ ჩემმა სარძლომ გაიგოს

და მერე სამუდამოდ დავლუბო საქმე, სამაზღომ მამა მომიკლაო და იმათ ოჯახში ფეხს როგორ შევდგამო; არ მოვკლა და ლაჩრად ჩამითვლის. ეს მგელკაცა, საცინლად ამიგდებს, თავს ვერსად გამოვყოფ...

ესლა მიხვდა, რომ მისი ჩანაფიქრი არ გამოდგა. ეგონა შევაშინებ და პირობას ჩამოვართმევო, მაგრამ კიტა რის კიტა იქნებოდა, თუ სიკვდილს შეუშინდებოდა. ანგარიში არ გაუმართლდა გორგას და ესლა შექმნილი სულელური მდგომარეობიდან თავის დაღწევაზე ფიქრობდა, მაგრამ დროც აღარ იყო საფიქრალი. კიტამ ჩამოფხატული წარბებიდან გველურად გამოიხედა და გორგას ახლად აბიბინებული წვერა-ულვაში რომ მოხვდა თვალში, მისი გაფართოებული თვალედი და მშვენიერი სახე რომ დალანდა, თითქოს ჩაეღიმა და იქედნურად ამოლერდა:

— როდემდე ვიდგეთ ასე?!

— წადი, მაგრამ კიდევ იფიქრე და აირჩიე: ან მოყვრობა, ან მტრობა, სხვა გზა არ გავვაჩნია!

— იარალი იმას უნდა ექიროს, ვინც ხმარება იცის! — წაისისინა კიტამ და ცხენს მათრახი შემოუქნია.

გორგას მკლავები ჩამოუცვივდა და წუთით მოშვებული სხეული წიფელს მიაყრდნო. მერე გამწარებით ხელზე იკბინა და ტყეც მისცა თავი...

●
კიტას ბოღმა ახრჩობდა.

„რა გამიბედა მაგ ლაწირაკმა? რა მიქნა, რა მარჯვედ იყო ჩასაფრებული, ვერც კი გავეინძერი. არა, რამე უნდა ვილონო, თორემ ეგ ისეთი ლეკვი იზრდებოდა, კარგს არაფერს დამმართებს. ეგ უნიფხოები, გოგო გაგატანაო... ჩემი ქონება მთელ კახეთშია ცნობილი, ცხვრის ფარები სად არ დამიდის, მიწები არ მაკლია და სახლკარი, მაგათნაირ ღიბლიკანებს გოგოს მივცემ!“.

კიტამ ცხენს მათრახი მწარედ გადაუქნია, თითქოს მისი ბრალი ყოფილიყოს წელანდელი ამბავი. სცადა აბეზარი

ფიქრები თავიდან მოეშორებინა. ^{საქმი} დაითხდა. ხის ტოტები კიტას ^{მეფე} პირში ხვდებოდა, სახე მწარედ ^{საქმი} ეწვია და ბრაზი კიდევ უფრო ერეოდა. გახელბებული კაცი კიდევ უფრო გამეტებით ურტყამდა ცხენს. თითქოს ცხენი და პატრონი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიჯიუტესა და გამძლეობაში...

ტყე რომ ჩათავდა და მინდვრები დაიწყა, ცხენმა უფრო უმატა სიჩქარეს და გზაზე მტვერი ავარდა. კიტას ახლა სახეში ნიავე ურტყამდა ტოტების ნაცვლად და ეს უგრილებდა გახურებულ სისხლს. ამან მხედარი ცოტა დაამშვიდა და ფიქრებიც თანდათან კალაპოტში ჩაუდგა.

— დედაშენს შავები თუ არ ჩავაცვა, შენი ლამაზი პირისახე ნადირს თუ არ დაეფლეთინო, კიტას ნულარ დამიძახებენ! — ჩაიგმინა და ცხენს აღვირი დაუშმოკლა.

●
მდინარე დაბლა ხრამში მიიკლანებოდა. ხრამი ღრმა იყო და დაკიდებული, ბილიკი გრძელი. გორგა ამ ბილიკს დაუყვა და ნაშლს ფოცხვერივით ექვიდებოდა. მდინარის პირას ცხენი მიება და იქით მიემშურებოდა. რაც უფრო ღრმად ჩაღიოდა, მდინარის ხმაური მატულობდა.

გორგას ეს მარცხი ვერ ეპატიებინა თავისთვის, ფიქრობდა: რა სისულელე ჩავიდინე! ან არ წამომეწყაო ეს საქმე. ანდა ეგ მგელი მომეკლა მაინც! სულ ერთია არ დამინდობს, ამიერიდან მაგასთან მოყვრობაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ახლა ახსენდებოდა გორგას, რაც სოფელში კიტაზე გავეგონა. რას არ ამბობდნენ მასზე:

— ლეკებში ათიათასი ცხვარი ყავს გადამალულიო.

— ყობახჩოელ ბაღმანისასთან არის დამშაკაცებული და მასთან ერთად ძარცვავს და ზოცავს ხალხსაო.

— კიტას დახოცილთა რიცხვი სათვალავს სცილდებაო... რომელი ერთი გაიხსენოს გორგამ, „მომეკლა, მომეკლა“



საქართველოს
წიგნების კავშირი

ეს ქვეყნის ამომგდები!“ — შესძახა გორგამ და ცხენმაც დაიფრუტუნა. ბილიკი ჩათავდა და გორგა ცხენს ზურგზე მოექცა. მხედარმა ყობახჩოს გზას ზურგი აჩვენა და პირი ლაგოდებისაკენ ქნა.

●
მიაბიჯებს ორი მხედარი, ორივე გაგულისებულნი და ბოღმად ქცეულნი... ერთს პირი ლაგოდებისკენ აქვს, მეორეს — ყობახჩოსკენ, საქართველოს მოსაზღვრე ლეკთა სოფლისაკენ, სადაც კიტას „ყონალი“, ყაჩაღობით სახელგანთქმული ბაღმაისა მიელის.

●
დიდი მანძილი არ ჰქონდა გავლილი, როცა გორგას საქონლის ბლავილი შემოესმა. გაოცდა, აქ საქონელს რა უნდაო. აქ არც ლაგოდებულნი მორეკდნენ ნახირს, ლეკების შიშით, და არც ყობახჩოელები იზამდნენ ამას, ქართველების შიშით. ეს რომ გაიაზრა, გზიდან გადაუხვია. იგრძნო, რომ რაღაც კარგი არ უნდა ყოფილიყო და, ყოველი შემთხვევისათვის, გაემზადა. საფარს ამოფარებულმა გორგამ გაიფიქრა, რომ ამ გათენებისას აქ რაღაც ბნელი საქმის შემსწრე ხდებოდა.

ნახირი ბლავილით ახლოვდებოდა და გამრეკთა აჩქარებაც შესამჩნევი იყო: წარამარა შოლტებისა და სახრეების ტლაშა-ტლუში გაისმოდა. წუთიც და, გორგამ ერთი გამრეკი დალანდა. ის იყო კიტას მოჯამაგირე — ლადო; თავისი ბატონის ბნელ საქმეთა მოზიარე. გორგა მიხვდა, რომ საქონელი ლაგოდებში იყო დატაცებული და ყობახჩოში მიერეკებოდნენ. წინა საღამოს გორგამ კიტას ერთი მოჯამაგირისაგან შეიტყო, რომ გათენებისას კიტა ყობახჩოში წასვლას აპირებდა და ამიტომაც ჩაუსაფრდა, მაგრამ ის კი არ იცოდა, თუ მოტაცებულ საქონელს წინ უსწრებდა. ჩანდა, რომ გორგას მეგობარ მოჯამაგირეს ეს არ სცოდნია... გორგამ უმაღ იაზრა

ყველაფერი: რაღაც არ უნდა დამიჯდეს, ქურდებს საქონელი უნდა წავართვა და უკანვე გავრეკოო.

როცა ლადო გორგას საფართან სულ ახლოს მივიდა, გორგამ ნაბდის ქუდი მოიხადა და ქამარიც მოიხსნა. ასე დაძაბული იდგა და უტდიდა, როდის გაუსწორდებოდა ლადო მის საფარ ბუჩქს. დიდი ლოდინი არ დასჭირვებია. გორგამ ისკუბა და ნაბდის ქუდი ლადოს პირში ჩასჩარა, მერე ხელები წაართვა და ქამრით გაუჭრა ისე, რომ შემოკილიმა ვერც დაძახება მოასწრო, ვერც ხელის განძრევა. შეკრული ლადო გორგამ გზიდან გვერდზე გადაათრია და მოშორებით დამალა, თანაც იქვე ხეზე მიიბა. გორგამ მალე ძველი საფარი დაიკავა და მოლოდინად იქცა. მან არ იცოდა საქონლის დამტაცებელთა ოდენობა, ამიტომ ჭერ თვალთვალს განაგრძობდა. ისინი კიდევ ოთხნი აღმოჩნდნენ. ბრძოლა აუცილებელი გახდებოდა და გორგამაც უკეთესი საფარი ამოირჩია. მალე მისმა თოფმა იქუხა და ერთი მტაცებელი იქვე წაწვა. საქონელმა ბლავილი მორთო და დაფრთხა. დანარჩენი ქურდები ხეებს ეფარნენ და გორგას სროლით უპასუხეს. გორგას გონება გამალებით მუშაობდა, იფიქრა, ეგებ კიტა უკან მობრუნდეს და თავის ავაზაკებს მოეშველოსო, ამიტომ ზურგიდან თავდასხმის საფრთხეც გაითვალისწინა, ამავე დროს სროლაზე სროლითვე უპასუხებდა.

ახალგაზრდობის მიუხედავად, გორგას გამოცდილება და გულადობა არ აკლდა. მას კარგა ხანია, უშიშარი კაცის სახელი ჰქონდა გავარდილი. მასზე ამბობდნენ, რომ გორგას საგულეში ფრთიანი გული უდევსო. გორგამ ერთორჯერ კიდევ დაახალა თოფი და მერე გაჩუმდა. ხერხი იხმარა: ეგონებათ მომკლესო და ჩემს გაჩუმებას ამით ახსნიანო. თვითონ კი უკან დაიხია და სულ განაბულმა, ხეებსა და ბუჩქებს ამოფარებულმა, ჩასაფრებულ ბაცაცებს უკა-

ახალი ლაგოდელი
გორგა

ნიდან დაუარა. მოულოდნელმა გასრო-
ლამ ქურდებს თავზარი დასცა, ერთი
იქვე ჩაიკეცა, ორმა კი გაქცევა იკადრა.
ბრძოლის ველზე ორი მოკლული და
ერთი შეკოჭილი ყაჩაღი დარჩა. შეში-
ნებულ საქონელს ტყეში ზმუილი გაპ-
ქონდა. მათი შლიგინისა და ბლავილისა-
გან იქაურობა ზანზარებდა. ამ ვაებაში
აღარ ისმოდა გაქცეულთა ფეხის ხმა.
გორგას რამე უნდა ელონა, თორემ მო-
სალოდნელი იყო ისინი გონს მოვიდოდ-
ნენ და უბედურებას გადაჰკიდებდნენ.
გორგა იმასაც ფიქრობდა, რომ შეშინე-
ბული ნახირისათვის შემოევლო და შე-
ეგროვებინა, რათა თავის სოფელში გა-
ერეკა, მაგრამ ეს ჯერ ნაადრევად მიჩი-
ნდა. არადა საქონელი უპატრონოდ იბ-
ნეოდა.

ამ ფიქრში რომ იყო, გორგას ცხენე-
ბის თქარუნი შემოესმა. ქაბუკი გაინა-
ბა და უკეთესად ჩასაფრდა. ცხენოს-
ნები რომ მოახლოვდნენ, თავისი თანა-
სოფლელები იცნო; საქონლის პატრო-
ნები აღმოჩნდნენ. გათენებულზე საქონ-
ლის მოსახელად რომ შესულიყვნენ გო-
მურებში, იქ აღაფრეო დახვედროდათ,
მეზობლები ერთმანეთს შეხმიანებთან,
ამხედრებულან და კვალს გამოყოლიან.
გორგას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.
გორგამ და მისმა მეზობლებმა საქო-
ნელი შეაგროვეს, გაკოჭილი ლაღო
უნავგირზე გამოაბეს, დახოცილები
ცხენს აქეთ-იქით გადაჰკიდეს და პირი
ლაგოდენისკენ ქნეს.

თანასოფლელები გორგას მარჯვენას
ულოცავდნენ, აქებდნენ, მის მშობლებს
მადლობას უთვლიდნენ ასეთი ბიჭის
გაზრდისათვის, გორგა კი იმაზე წუხდა,
რომ ის ორი წუნკალი გამეყცაო. მე-
ზობლები ანუგეშებდნენ: საღ წავლენ,
როდისმე შინ ხომ უნდა დაბრუნდნენო.

ლაგოდენში მოსულეებს უამრავი ხალ-
ხი შემოუხვია. ბევრი მდევრების მისაშ-
ველებლად წამოსულიყო და სოფლიდან
მოშორებით შემოხვდა მათ. გორგას
ვაჟაკობაზე დიდი და პატარა ალაპა-
რაკდა...

დახოცილები და ლაღო მილიციაში

მიიყვანეს. ბაღში აღმოფოთებული შემა-
ხილებით მისდევდა უკან. მათ შემოვიდა
და გინებას საზღვარი არ ჰქონდა. მილი-
ციის უფროსმა ხალხი ძლივს დააწყნარა
და უკან გააბრუნა... ყველაფერს გამო-
ვიძიებთ და ზომებსაც მივიღებთო. გორ-
გას კი ერთი მაგრა შეუბღვირა და სა-
ეკვოდ გადაულაპარაკა — ჯერჯერო-
ბით წადიო.



გაგულისებულმა კიტამ ყობახიოში,
ბაღმისას ეზოში ცხენი ქენებით შეაგ-
დო. ძაღლები ისე გამოთნენ, რომ
მოსულს ცხენიან-კაციანად შექამდნენ,
მაგრამ პატრონებმა მალე მოუსწრეს.
კიტა ცხენიდან გადმოვიდა. მასპინძელ-
მა მოსულს უგუნებობა შეამჩნია და
მიზეზი ჰკითხა, თანაც დასძინა — სა-
ქონელი ხომ მოგიდის; ხომ არაფერი
შეგემთხვავო.

— საქონელი უკან მომყვება, მაგრამ
ერთმა ლაწირაკმა გუნება გამიფუჭა.

ეს რომ თქვა, კიტამ მასპინძელს წე-
ლანდელი შემთხვევა, გორგას ჩასაფრე-
ბის ამბავი უამბო. გორგას სახელი ბაღ-
მისისაც სცოდნოდა, ამიტომ კიტას
უმალ დაეთანხმა, რომ საჭიროა იმ ბი-
ჭის გზიდან ჩამოცილება. „ყონალებმა“
საუბარი გააბეს. დიდი კაკლის ქვეშ
სტუმარს „ბაქმანო“ და ჩაი მიართვეს.
მუსაიფიც იქ გაგრძელდა ბაღმისისა და
კიტას შორის.

ჩაი მომთავრებული არც კი იყო, რომ
ჭიშკართან ორი ცხენოსანი შეჩერდა.
ცხენებს ხვითქი გადასდიოდათ, მხედ-
რები კი უნავგირზე ცქმუტავდნენ. და-
ძახებაზე ბაღმისა გაეგებათ, თანაც
ჯიბეში რევოლვერი მოსინჯა. მოსულეებს
შორიდან კიტაც დააკვირდა და როცა
იცნო, ფერი ეცვალა. ავად ენიშნა, მი-
სი მოჯამავირები ასე ნირწამხდარნი რომ
დაინახა. წამოვარდა და ისიც ჭიშკარს
ნიეჭრა. ამბავი გამოიკითხა. ორი მოსულ-
ლი ერთმანეთს არ აცლიდა და შიშნა-
რევი ხმით უამბობდნენ პატრონს მათზე
თავდასხმის ამბავს. ჯერ გორგა გვეს-



როდღა, მერე უკნიდან სხვებმაც დაგვი-
შინესო.

გორგას სახელის ხსენებაზე კიტამ
კბილები გააკრაჭუნა და შეივინა. მერე
მოჯამაგირებებსაც მისდგა, ლანძღვა და-
უწყყო. ცოტა ვონს რომ მოვიდა, გამოი-
კითხა, რომელი გზით მოდიოდითო. პა-
სუხი რომ მიიღო, ვაოცდა: მე გორგა
სხვა გზაზე შემხვდა და თქვენ საიდან
შეგეჩეხათო. თუმცა საუბრის დრო სად-
ღა იყო.

ბაღმასისამ „ყონაღს“ უკმაყოფილოდ
გადმოხედა და ეზოში შევიდა. კიტა და
მოსულნი ჭიშკართან დატოვა. კიტა მიხ-
ვდა, რომ „მეგობარი“ მისი საქციელით
უკმაყოფილო დარჩა და საქმე გამოს-
წორებას მოითხოვდა. ხუმრობა ხომ არ
იყო — დაპირებული საქონელი ვერ
მოუტრეკა, კაცს ვარაუდი ჩაუშალა.

კიტამ მოჯამაგირებს ჭიშკართან ლო-
დინი უბრძანა, თვითონ კი ბაღმასისთან
შევიდა. იქ კარგა ხანს ითათბირეს. გა-
დაწყდა, რომ რამდენიმე დღეში კიტა
ბაღმასისას მოუტრეკავდა გორგას მამის
საუკეთესო საქონელს, სხვასაც ბევრს
მათაყოლებდა. სამაგიეროდ, ბაღმასისა
კიტას უნდა დახმარებოდა გორგას მოკ-
ვლაში. ხელი ხელს მისცეს და ერთმა-
ნეთს დაშორდნენ.

კიტამ მოჯამაგირეები გამოიყოლია და
ლაგოდებისკენ გამოსწია. ისინი ტყეში
დატოვა და უბრძანა, შუალამემდე სო-
ფელში ფეხი არ მოადგათ, არვის დაე-
ნახოთ და საერთოდაც ერთხანობას
თვალში ნურავის მოხვდებითო. თვითონ
ლაგოდებში წავიდა და თან გადაწყვი-
ტა, რომ იქ იტყვის, თითქოს საქონლის
გატაცებისა არაფერი იცის, მოჯამაგი-
რეები მას თავის ნახირებში ეგულება,
თვითონვე განრისხებულია მათი საქცი-
ელის გამო და რომ მათთან საერთო აღა-
რაფერი აქვს.

შავი გულითა და თეთრი კბილით მო-
დიოდა კიტა ლაგოდებისაკენ.

ყოფილო ლაპარაკი წყდებოდა და ქუ-
ჩებსა და ორლობებში იფანტებოდა. ამ
აუარება ხალხს ბოლოს ახალგაზრ-
დების ჯგუფი გამოეყო, ხევთან მათ შო-
რის იყო რამდენიმე შუახნის კაციც.
ერთმა მათგანმა წამოიწყყო:

— თავს გადიან. დროა, ჩვენც ხმა
ამოვიღოთ და წინააღმდეგობა გავუწი-
ოთ. ბიჭებო, გეუბნებით, ამ მენშევი-
კების დღეები დათვლილია. კიტაც და
მისთანებიც მალე მოისპობიან, მაგრამ
ჩვენ ამ დღეს კი არ უნდა ველოდოთ,—
ხელი უნდა გამოვიღოთ და ვუჩვენოთ,
რომ ჩვენც კაცნი ვართ და ქული გვხუ-
რავს.

— აბა რა, სარდიონ, ვერ დაინახე,
მილიციის უფროსი გორგას როგორ უბ-
ღვერდა? კაცმა სოფლის საქონელი გა-
დაგვირჩინა, ეგ კი, მადლობის მაგიე-
რად, ემუქრება კიდევ.

— იმიტომ ემუქრება, რომ ისიც კი-
ტას ძმაკაცია, იმასაც ექნება წილი მაგ
საქმეში!

— მეც მაგას არ გეუბნებით, — გა-
ნაგრძო სარდიონმა, — უნდა რამე ვი-
ლონოთ, რომ გორგას ხიფათი ავაცლი-
ნოთ.

— გორგას ვის დავაჩაგვრინებთ, აქ
არა ვართ? მე და ნიკა გვერდიდან ერთი
წუთითაც არ მოვშორდებით! — წამოი-
ძახა ზაქრომ.

გორგამ ზაქროსა და ნიკას გადახედა
და უდარდელად ჩაიღიმა, მერე ჩაილა-
პარაკა: — რა მცველი მჭირდება, რო-
მელი მეფისნაცვალი მე მნახეთ... —
მერე წარბი შეკრა, ნიკაში მოიფხანა და
მუქარით გამოცრა:

— დედას ვუტირებ მე მაგათა!
შეთანხმდნენ, რომ ზაქრო და ნიკა
გორგას ახლოს იტრიალებდნენ, რადგან
იცოდნენ, რომ კიტა ამ გაწილებას მას
არ შეარჩენდა და რაიმე მახეს დაუ-
გებდა. დანარჩენებიც ფხიზლად იქნე-
ბოდნენ, იარაღი მზად ექნებოდათ.

სარდიონმა ბიჭებს ორიოდლე გამამხ-

მილიციიდან წამოსული ხალხი ნელ-
ნელა იშლებოდა, ჩოჩქოლი და უკმა-

ახნი ლაგოდელი
ვკრება

ნევებელი სიტყვა კიდევ უთხრა, მერე გადაუჭრა, რომ მალე ისინი უფრო დიდ საქმეში ჩაერეოდნენ...



გორგა, ზაქრო და ნიკა ორღობეს გაუყვნენ. მალე გორგას სახლიც გამოჩნდა და ის იყო, ბიჭები ერთმანეთს უნდა დაშორებოდნენ, რომ ჭიშკრიდან გორგას მამა გადმოვიდა. მათკენ მომავალი ბიჭები რომ დანახა, შეჩერდა და დაელოდა. მალე ბიჭები მოხუცს მიესალმნენ.

— გაგიმარჯოთ, ბიჭებო! მოდით, სახლში შემოდით, მანდ რაღად გაჩერდით.

— გმადლობთ, ძია სოლომონ, წავალთ. — უპასუხეს ზაქრომ და ნიკამ, მაგრამ ფეხი კი არ მოუცვლიათ.

— მოდით, ხო, თითო ჭიქა დამილიეთ.

გორგამ მეგობრებს ხელები გადახვია და ყველანი ეზოში შევიდნენ.

გორგას დედამ მალე სუფრა გააწყო და დამშეული ახალგაზრდები საქმიელს მგლებივით დააცხრნენ. რამდენიმე წუთით სიჩუმე გამეთა, მაგრამ სოლომონმა ჭიქებში რქაწითლის ჩასხმა რომ დაიწყო, ხელადა აბოყბუყდა და ბიჭებმა ერთმანეთს შედიმეს.

სოლომონმა ხელი უღვაშზე გადაისვა, თვალები ჭერს მიაპყრო, ცოტა დაფიქრდა და კახეთში ტრადიციად დამკვიდრებული პირველი სადღეგრძელო თქვა:

„ღმერთს დიდიება, ჩვენ მშვიდობა, საქართველოს გამარჯვება!“

ბიჭებმა მორიდებით გაიღიმეს და სადღეგრძელო თავიანთებურად გადააკითხეს: „ჩვენ გაგიმარჯოს, ჩვენს საქმეს გაუმარჯოს, ახალ საქართველოს გაუმარჯოს!“

სოლომონმა შუბლი ოდნავ შეკრა ოა, ვითომ ნაწყენმა, დინჯად თქვა: — მამ ძველი აღარაფერი მოგწონთ, ყველაფერი თქვენს ყაიდაზე უნდა ვადააკეთოთ?

— ასეა, ძია სოლომონ, ყველაფერი

უნდა გადავაკეთოთ, ახალი ცხოვრება უნდა შევქმნათ! აი, ნახეთ, ~~როგორ~~ დატრიალდება, ნოე ქორდანის უმწიკო მთავრობა მალე ფეხებს გაკიმავეს...

გორგამ ზაქროს წყენით შეხედა, გაჩუმდით.

სოლომონმა ღვინო კიდევ დაასხა და ჭიქა ხელში აიღო. ერთხანს სიტყვაც ეძებდა და მერე ღიმილით, გამამხნეველები გამოხედვით ბიჭებს მიმართა:

— გაგიმარჯოთ, ბიჭებო! თქვენს საქმეს გაუმარჯოს! სწორ და მართალ გზაზე გატაროთ გამჩენმა, ოღონდ ჭკუითა და აზრითა! ავი და კარგი ერთმანეთისაგან გაგვრჩიოთ!

ბიჭები მოწონების ღიმილით შეყურებდნენ სოლომონს. გორგა მამას თავაჩაღუნული უსმენდა. მერე სამადლობელი თქვეს და დალიეს.

სოლომონმა მოიბოდიშა, საქმეს უნდა მივხედო, თქვენ განაგრძეთო და წავიდვა. ბიჭებიც წამოცვიდნენ, მაგრამ მოხუცი ოთახიდან რომ გავიდა, ისევ დასხდნენ.

— მამაჩემი შორიდან მივლის, ალბათ საყვედურს მეტყვის, კიტას რომ ჩავუსაფრდი, იმის გამო, ამ საქციელს არ მომიწონებს და მაგრადაც შემახურებს... — თქვა გორგამ და ნაღვლიანად გაიღიმა.

ახალგაზრდებმა თავი მარტოდ რომ დაიგულეს, ჰამა მიატოვეს და საქმიანი საუბარი წამოიწყეს.

— ახალგაზრდა მარქსისტების გამოგზავნილი თბილისელი ყმაწვილი რომ ჩამოსულა, ვაიგეთ? — თქვა ნიკამ და მეგობრებს მიაჩერდა.

— არა, არ ვავიგია, რა მინდაო?

— იქაურ ახალგაზრდებს უნდა შეხვდე და სიტყვით მივმართოთ, — უპასუხა ნიკამ.

ბიჭები ერთხანს დაფიქრდნენ, მერე გორგამ წარბი შეკრა, ნიკაბი მოიფხანა.

— მოდით, მართლა მოვუწყვით შეკრება და ვათქმევინოთ სიტყვა.

— რას ამბობ, გორგა, ეგ რამ ვაფიქრებინა?

— იცით, რა გითხრათ, ბიჭებო? აქ



მაგათ თანამგრძნობები ყავთ, აი, ფიფო რომ აბრიყვებს და ასულელებს ბიჭებს, ისინი. ჩვენ რომ ერთად არ შევიკრიბოთ, მაშინ იმათ მარტო შევარგოვებს და გააბრუებს ეგ სტუმარი. ხოლო თუ ერთად ვიქნებით, სიტყვით ჩვენც გამოვალთ და ყველას თვალწინ შევარცხვენთ მაგ არამკითხეს. მაგან ისეთი რა უნდა თქვას, რომ ჩვენ სიმართლეს წინ დაუდგეს. განა არ წაგვიკითხავეთ მაგათი გაზეთი, რა ზღაპრებსაც ჩმახავენ? ჩვენ რა სპარტაკელები ვართ, თუ მაგათ არ ვაჯობებთ?!

ცოტა კიდევ ითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ სოფლის ყველა ახალგაზრდა ერთად შეკრებილიყო და ჭერ თვიანურად მოეჩვენებინათ თავი, მერე კი ჩამოსულისთვის ტრიბუნა წაერთმიაო და თვითონ ეთქვაო თავიანთი სათქმელი საქმის გამარჯვებისა კიდევ გადაჭრეს და გორგამ მეგობრები ჭიშკრამღე მიაცილა.



სოფლის ოთხწლიან სკოლას მოზრდილი მინდორი და ხილის ბაღი აკრავს. სკოლისწინა ეზო ხასხასა ბალახით არის დაფარული. აქა-იქ საჩრდილობელი ხეები დგას. სკოლის შენობა მომცრო ბოძებზეა შედგმული. პატარა კიბეს დიდ აივანზე აყვავართ. აივანზე ხუთი კარი გამოდის, ერთი სამასწავლობლოსია, ოთხი კი — საკლასო ოთახებისა.

ეზოში სოფლის ახალგაზრდობას მოუყრია თავი. შიგადაშიგ უფროსებიც ურევია. ისინი ახალგაზრდათა ერთი ჯგუფიდან მეორეში გადადიან და ხან ერთგან დაადებენ სიტყვას, ხან — მეორეგან, საერთო ყრიაშული და ყაყანი ისმის. ელოდებიან მომხსენებელს.

თუმც შემოდგომა იყო, მაგრამ ხეს ფოთოლი ჭერ არ გასცვენოდა. მზე ისევ ძალაობდა და შეკრებილთ კარგ გუნებაზე აყენებდა. ბიჭებს ლოდინი მობეზრებოდათ და გულის გადასაყოლებლად სიმღერა წამოეწყათ. მალე დოღმაც დაიბავუნა და ეზოში წრე შე-

იკრა. წრეში ჭერ ერთმა მერცხალა ბიჭმა ისკუბა და ჩამოუთარა, მერე შედგა და საჭიდაოდ ტოლებს მოუხმო. ცოტაც და წრეში მეორე ჭაბუკიც გადახტა. გახურდა დოლი. ხალხმა ყიყინა დასცა. უკრავდნენ საჭიდაოს. ჭაბუკებმა წრე ცეკვა-ცეკვით ჩამოიარეს, მერე ერთმანეთს მიესალმნენ, შეჩერდნენ, თვალითვალში გაუყარეს და კიდევ ეძგერნენ ერთმანეთს. შეძახილები, დოლის ბავაბუვი. ზურნის ჭყვიტინი იქაურობას აყრუებდა. სკოლის ეზოს ხალხი ემატებოდა, მოდიოდნენ ქალებიცა და ქალიშვილებიც. მოჭიდავენი ფანდებს ხმარობდნენ — ხან შუა სარმას, ხან გვერდულს, ხან კისრულს, რომ მარჯვე მომენტის შერჩევითა და მოხდენილი ილეთით მოწინააღმდეგე წაექციათ, მაგრამ ტოლი ტოლს შეხვდა...

ბიჭებს ქანცი გამოელათ და უფროსებმაც არ დააყენეს: გააშველეთო!

წყვილი წყვილს სცვლიდა. გულშემატკივრები თავისიანებს ამხნევებდნენ. ხან მოწონების ყიყინა ისმოდა, ხანაც წაქცეულისადმი თანაგრძნობის ხმები. ხალხს კრებაც გადააფიწყდა და მომხსენებელიც, რომელიც ჭერაც არსად ჩანდა.

წუთით დაკვრა შეწყდა და ერთი გლეხის ხმა გაისმა: გვეყოფა წვრილფეხობის ყურება, ახლა ნამდვილი ჭიდაობა გვინდა! ხალხმა ყური ცქვიტა: მომწოდებელი წინათ სახელგანთქმული ფალავანი იყო, მას ბეჭდაუდებელს ეძახდნენ. მარტო ლაგოდენში კი არა, მთელ კახეთში იცოდნენ მისი სახელი. ეს იყო იოსება, რომელიც თვალთ ვილაცას დაეძებდა. მალე მჭახედ დაიძახა კიდევ: ათანა და გორგა სად არიან, ახლა იმათ იჭიდაონ!

ყველას უნდოდა ამ ორი ახალგაზრდის ჭიდაობისათვის ეცქირა, ამიტომ ხალხმა დასტურად დაიგუფუნა.

გორგა, ზაქრო, ნიკა და სხვა მათი ამხანაგები ერთად იდგნენ და ეს შედა-

ახნი ლავოფლი
ზორბა

ხილი რომ გაიგონეს, გორგას გადახედეს: ვითომ, რას იხამ, განხალ საჭიდაოდო? გორგამ შედგებულ უღვაშებში ჩაღიმა, თვალები გაუბრწყინდა, მხრები შეათამაშა და გახდა დაიწყო.

სხვა ადგილას ათანა და მისი ძმაცევი იდგნენ. იქაც იგივე განმეორდა, რაც გორგას წრეში.

ათანა ფიფოს ძმისწული იყო. ფიფო კი კიტასთან დაკავშირებული, მისი ახლობელი კაცი. სოფელში მენშევიკური მთავრობის დასაყრდენი და მისი ერთგული დამცველი სწორედ ფიფო იყო. დიდ პატრიოტად მოქმენდა თავი. მენშევიკთა ყველა მოწინააღმდეგე პირად მტრად მიაჩნდა. ფიფოს თავის გავლენაში მოექცია ათანა — ახოვანი და მშვენიერი გარეგნობის მოხდენილი ქაბუკი; ძალაც გააჩნდა და ვაქცაობაც, მაგრამ ბიძისა ბრმად სჯეროდა.

ფიფომ ათანას რალაც გადაუჩურჩულა, ბეჭებზე ხელი მოუტყაპუნა და წრეში შეაგდო.

გორგას მეგობრებმა გამარჯვება უსურვეს, ღიმილით გაამხნევეს და წრეში შესასვლელად გზა გაუთავისუფლეს.

როგორც კი საჭიდაოდ გამზადებული ათანა და გორგა წრეში გამოჩნდნენ, დოღმაც დასცხო და ზურნაც აქყვილდა. დამკვრელებმა საკრავებს ცეცხლი წაუკიდეს და ხალხიც გაინაბა.

წრეში ორი მაღალი, მხარბეჭიანი, მოსხლეტილი ქაბუკი უვლიდა. მათ ცოტა წაიციკვეს და მისალმებას რომ მორჩნენ, კიდეც დაეტკენენ ერთმანეთს. არაერთი დაზვერვა, ძალ-ღონის მოსინჯვა მათ არ სჭირდებოდათ, რადგან ერთმანეთის ისედაც კარგად იცნობდნენ. სოფელში ორივეს კარგი მოქიდავისა და გულადი ახალგაზრდის სახელი ვეარდნოდათ, ორივემ იცოდა ერთმანეთის ფასი და წონა, მაგრამ ფარული მტრობა, რაც ერთმანეთის მიმართ ჰქონდათ, გზას უღობავდა მათ დაახლოებას. ფიფო ათანას სულ იმას ჩასჩინებდა, გორგას სათოფეზე არ მიეკარო, ის ჩვენი მტერიაო. ათანაც ამ აზრს ემონებოდა. გორგამ რამდენჯერმე სცადა

ათანას დაახლოება, გადმობრტყნა და დაამხანაგება, მაგრამ არაფერი გამოვიდა და. სოფელში იცოდნენ, რომ ამ ორ ახალგაზრდას შორის „შავ კატას ვაეელო“ და ამიტომ ხალხი მათ ჰიდაობას გათაცეცებით უყურებდა.

გორგას სახელი სოფელში ისედაც დიდსა და პატარას პირზე ეყრა, ხოლო ვატაცებული საქონლის დაბრუნების შემდეგ ხომ მას აღმერთებდნენ. ათანასაც ჰყავდა თავისი მომხრეები და ამიტომ შეკრული წრე თითქმის ორ ბანაკად გაიყო.

დოღს კი ბაგაბუვი გაჰქონდა...

როგორც იქნა, ათანამ დრო იხელთა და გორგას წელში შეუხტა. გორგას უკან არ დაუხევიდა, ისიც სწრაფი და ფიცხელი ჰიდაობის მომხრე იყო. ის იყო ათანას გორგა ჰაერში უნდა აეტაცა, გადმოეგდო, რომ გორგამ ათანას ფეხი შუაში ამოსდო, მოულოდნელად ოდნავ დაბლა დასწია და შეუტია. ხალხმა თვალის მოკვრაც ვერ მოასწრო, რომ ათანა ცალ მუხლზე იყო წამოჩოქებულს.

დოღი ბაგუნობდა, ზურნა ჰყვიტინებდა, ყურთასმენა აღარ იყო...

გორგამ ათანას ხელი უშვა და განზე გახტა, მოწინააღმდეგესთვის წამოდგომა რომ ეცლია. გაავებული ათანა წამოიჭრა და ბუღასავით გაქანდა გორგასაკენ, რომელმაც მას მოახლოება აცალა. მაგრამ როცა უნდა დასვერებოდა, იმ წამში წაიღუნა და მხრებზე მოიგდო. ხალხს ოხერა აღმოხდა. ათანა ამას არ ელოდა, გორგას მხრებზე ფართხალეზდა და გამოსავალს ეძებდა, მაგრამ გორგას არ დაუყოვნებია: ცალი მხარი დაბლა დაიქნია, მეორე ხელი ქვემოდან აქკრა და ათანამ მიწაზე ზღართანი მოაღინა. ხალხი აგუგუნდა. აღმუფოთებისა და აღტაცების ხმები ერთმანეთში ირეოდა. წრეში ფიფო შევარდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იყვირა: „უჯეროა, უჯეროა!“ იოსება ბეჭდაუდებელმა დამკვრელები გააჩერა, ჰიდაობა შეწყდა და ფიფო წრიდან ძალით გამოიყვანა.

გორგა და ათანა წრის სხვადასხვა ბო-



ლოში იდგნენ, გახშირებით სუნთქავდნენ, მათი მკერდები საბერველივით ადი-ჩადიოდა.

ხალხი გაინაბა, ინტერესით მოელოდნენ ჭიდაობის განახლებას.

სწორედ ამ დროს ეზოში გამოჩნდა მომხსენებელი და რამდენიმე სხვა პირი. მათ შორის სარდიონიც იყო. მან გორგა გახდილი და ნაჭიდავები რომ დაინახა, კოხები შეკრა, მაგრამ არაფერი უთქვამს. გორგამ ეს შენიშნა და თავი ჩაღუნა. ფიფომ, სარდიონმა და სხვა მოსულებმა რაღაც მოილაპარაკეს, იოსება იხმეს და მანაც მალე ჭიდაობა შეწყვეტილად გამოაცხადა. თავის მხრივ დაუშმატა, რომ გორგა და ათანა რამდენიმე დღეში კვლავ იჭიდავებენო.

ხალხი უკმაყოფილოდ დაიშალა და სკოლის შენობისაკენ წავიდა. აივანზე ორატორი და სოფლის თავაკები ავიდნენ, ხალხი კი ეზოში დარჩა აივნის წინ.

გრძელი მაგიდის ერთ მხარეს აივანზე ასულებმა ადგილები დაიკავეს და ხალხის მოწესრიგებას ელოდნენ. მერე ფიფო წამოდგა და ხელი მაღლა ასწია, ხალხს გაჩუმება სთხოვა. თვალები დააბრიალა, ირგვლივ მიიხედ-მოიხედა და წარმოთქვა:

— ქართველებო! ჩვენთან ქალაქელი ორატორი ჩამოვიდა და მოხსენებით გამოვა. ყურადღებით მოისმინეთ და გაიგონეთ!

მაგიდის ბოლოსთან ორატორი მივიდა. მას ოდნავი გაფითრება ეტყობოდა, ღელავდა. მშვენივრად მორგებული კოსტუმი, თეთრი პერანგი და შავი ჰალსტუხი მის გარეგნობას მიზიდველობას მატებდა. მოკლე და აწკებილი უღვაში ოდნავ კეხიან ცხვირსა და წითელ ტუჩებს ლაზათიანს ხდიდა, მისი მაღალი შუბლი და შავი დატალღული თმა კაცს თვალში მოხედებოდა. ორატორმა ოდნავ ჩაახველა, ხელი თავზე გადაისვა და დაიწყო:

„ძვირფასო თანამემამულენო! საქართველო დღეს ძნელბედობას განიცდის. აგერ უკვე რამდენიმე თვეა, რაც წითელმა რუსეთმა ჩვენი მეზობელი აზერ-

ბაიჯანი დაიპყრო და მეფის იმპერიის ძველი საზღვრების აღდგენას კვლავაც ცდილობს. რუსეთს თვალი საქართველოსკენ უჭირავს. ახლა სამშობლოს საფრთხე აღმოსავლეთიდან ელის. თქვენ ჩვენი საქართველოს აღმოსავლეთ საზღვარზე ცხოვრობთ და განსაკუთრებული მოვალეობა გაქსრიათ. გაიხსენეთ, რომ რუსეთის თვითმპყრობელობამ ასოცი წელი იბატონა ჩვენში, ძლივს მონობის უღელი გადავიგდეთ კისრიდან, მოვესწარით დემოკრატიულ დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკას და ახლა კვლავ საფრთხე გველის...“

ორატორმა ეს რომ თქვა, ხალხიდან შეძახილები მოისმა:

— სცრუობთ!

— სად არის დემოკრატია? იგი ფეხქვეშ ითვლება!

— თავისუფლების გამახსრებაა და არა თავისუფლება!

— სამშობლო ინგლისელებსა და გერმანელებს მიჰყიდეთ, გაფლანგეთ!

ორატორი გაჩუმდა. ნერვიულად იკვნიტდა ტუჩებს.

ფიფო წამოხტა და აყვირდა, ხალხის გაჩუმება სცადა, მაგრამ ახალგაზრდები ისევ გუგუნებდნენ.

ორატორი იდგა და ოფლად იღვრებოდა, შესალამოვდა და საგრძნობლადაც აგრილდა. ერთ წუთს დაიბნა და გასაცოდავდა, ფერი დაკარგა და ლოყის თავები აუთრთოლდა, მაგრამ მალე გონს მოეგო და ისე ომახიანად დაიწყო, რომ ხალხის ყურადღება მიიქცია:

„ქართველებო! თქვენ ბოლშევიკების ანკესზე წამოგებულხართ, მათ პრობაგანდას აპყოლილხართ. ისინი კაცთმოძულენი არიან, მაგრამ კეთილმოყვარეობაზე გაჰკვირან; ისინი დამპყრობელნი არიან, მაგრამ განმათავისუფლებლის მისიას იჩემებენ... ვისგან გაათავისუფლეს აზერბაიჯანი, ან ვისგან განთავისუფლებას ჰპირდებიან საქართველოს?“

ახალი ლაგოველი გორბა

ორატორის ეს სიტყვები კვლავ შეძახილებმა დაუარა:

- ვისგან და ბურჟუაზიისაგან!
- შიმშილისაგან!
- სიძვირისაგან!
- ნაძირალა ბობოლებისაგან!

ფიფო ისევ წამოხტა. ისევ აყვირდა და ხალხს თვალები დაუბრიალა. ორატორმა განაგრძო:

„თქვენი სოფლიდან გაწითლებულ აზერბაიჯანამდე ხუთიოდე კილომეტრია შევიძლიათ ნახოთ, ბოლშევიკებმა რა სამოთხეც შექმნეს ამ ქვეყანაში. ხალხს ხოცავენ, ქალებს აუბატურებენ, ოჯახებს ძარცვავენ, ყველაფერს ანადგურებენ! რუსეთშიც შიმშილი, ნგრევა და კაცისკვლაა გამეფებული! ძმებო, თანამემამულენო, თუ არ შეეკავშირდებით, ჩვენც ეგ დღე მოგველის! გონს მოდიოთ, ბოლშევიკთა ლუკმა ნუ გახდებით! რესპუბლიკას ნუ დალუპავთ, საქართველოს თავისუფლებას ნუ დაასამარებთ!“

ხალხი გუგუნებდა, შეძახილები ერთმანეთში ირეოდა, ორატორი კი ერთი ხელით ჰალსტუხს აწვალებდა, მეორეთი წყლიანი ჰიქა ხელის ცახცახით ძლივს მიჰქონდა პირთან.

მერე უცებ გორგას ხმამ იტყვა: სიტყვა მომეცითო. მას მეგობრებმა დაუჭირეს მხარი და ფიფო იძულებული გახდა დემოკრატობანა გაეთამაშა: სიტყვის თქმის უფლება ყველას აქვსო.

გორგა აივანზე შეხტა, ორატორის ადგილი დაიჭირა, წარბი შეხარა, ნიკაპი ხელით მოიფხანა და დაიწყო:

— „მეზობლებო, ამხანაგებო! ჩვენი სტუმარი განათლებული კაცი ჩანს, მაგრამ, როგორც ეტყობა, თავი ბევრი აბლაუბდით ჰქონია გამოტენილი. ასეთი თქმისათვის ბოდიში მომიხდია, მაგრამ სიმართლე ჯანის სისაღეო, ხომ გავიგონიათ. რომელ სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე ბრძანებდა ორატორი? თბილისში ხან გერმანელთა ჯარია, ხანაც ინგლისისა. ბრიტანეთის ჯარისკაცებმა დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე თავიანთი საცვლები

გადმოფინეს, მათვე გზა შეუჭრეს მენ-შევიკთა გვარდიელებს და მსაჯულთა სატახტო ქალაქის ქუჩაში გავლის ნება არ მისცეს! ესაა დამოუკიდებლობა და თავისუფლება? შემირცხვენია ასეთი დამოუკიდებლობა! თუმცა რაღა ჩემი შერცხვენა უნდა, ისედაც შერცხვენილია!..

ხალხმა სიცილი დაიწყო. ატყდა მოწონების შეძახილები: „მართალია, მართალია!“ „ყოჩაღ გორგავ, დასცხე, მიდი დასცხე!“ ზაქრომ და ნიკამ ტაში დასცხეს, მათ სხვებიც აპყვენენ.

პრეზიდენტში მსხდარნი ერთმანეთს უყურებდნენ. ფიფომ თვალების ბრიალს უმატა და ნერვიული ცქმუტვა დაიწყო.

გორგამ ხალხს ერთხანს ადროვა და მერე განაგრძო:

„— ვისი მთავრობაა ყორდანის მთავრობა? ვისი და კიტასი, მისი მსგავსი ბობოლებისა და გაიძვერების! მშრომელებისა მას არაფერი ესმის. ერთი კვერცი მილიონი ღირს, ფული არ ფულობს, სანოვაგე არ იშოვება, ხალხი შიმშილობს.. აი, რა მოგვიტანეს მენშევიკებმა. საით მოგვიწოდებს ორატორი? შიმშილისა და გაჭირვების დასაცავად? კიტასნაირი მძარცველების პარპაშის გასაგრძელებლად? ეს არ მოხდება!“

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“

ხალხი აგუგუნდა, ტაში დასცხო. გორგამ ისკუპა და აივნიდან ეზოში ჩახტა, თავის ამხანაგებში გაერია.

პრეზიდენტი ჯერ დაიბნა, გაინაბა, მაგრამ მალე შეიშუშნა და აღელდა. ფიფო წამოხტა და მუშტის ქნევა დაიწყო, ცოფმორეულივით გაიძახოდა: „მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლას არ გაპატიებთ! პასუხს ვაგებინებთ! ეს ბოლშევიკების ნახელავია! გორგა სპარტაკელია, დასაჭერია!“

ფიფოსი არავის ესმოდა. ხალხი იცინოდა, ხორხოცობდა და ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა. სკოლის ეზო თანდათან დაცარიელდა.



სოფლიდან ხუთიოდე კილომეტრის მოშორებით, ერთი მომცრო მთის წვერაზე ამაყად დგას მაჰის ციხის ნანგრევები. ოდესღაც ეს იყო ძლიერი, მიუვალი, დიდ საქმეთა მომსწრე და ჩამდენი ციხე, რომელიც მე-11—მე-12 საუკუნეებში და მერეც ქართველ მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია ყოფილა. ახლამას იმ დიდების ლანდიც კი აღარ შერჩენია, მაგრამ აქა-იქ კიდევაა უნგრევი კედელი, თაღის ნაშთი, ვალავანთა ნარჩენები. ქვევრები და გარდასულ დიდების სხვა ნაკვალევი. ამ ციხიდან ხელისგულივით მოჩანს აყუდებული ნინიგორა და კუდიგორა, ზევით ალპური ზოლია და დაღესტნის მთები, ქვემოთ კი გაშლილა მინდვრები, თავქვე დაქანებულ ღელეებს რომ დაუღარავთ. მინდვრებს თვალს ვერ მისწვდება. მათ საღდაც ალაზნის სპირის ქამარით, გაღმა ალაზნის ველია და იმას იქით კი ცივგომზორის ქელი იხედება.

ციხეს ირგვლივ ტყიანი მთები აკრავს, მაგრამ მისთვის ისეთი ადგილი შეურჩევიათ, რომ იქიდან ყველაფერი შესანიშნავად მოჩანს. მას ქვემოთ ჩაუღის მდინარე მაწიმის ზევი, რომელიც შემოდგომა-გაზაფხულზე გადაირევა ხოლმე და ქვეყანა თან მიაქვს, ზაფხულსა და ზამთარში კი ისე დაშრება, რომ კვალიც კი იკარგება.

ახლა ზამთარია და ყველაფერი თოვლს დაუფარავს. აღარც ზეთა სიმწვანეა და აღარც მოლურჯო ცა, ყველაფერი თეთრია და თეთრი.

მაჰის ციხიდან თხელი კვამლი ადის. ერთი გადარჩენილი თაღის ქვეშ ბიჭებს დროებითი თავშესაფარი მოუწყვიათ, ნაბღებში გახვეულან. თოფები მოუმარჯვებიათ და ხელისუფალთაგან დევნილთ აქ შეუფარებიათ თავი. ერთი მათგანი ვალავნის ნარჩენზე შემდგარა და ციხისკენ მომავალ ერთადერთ ბილიკს დარაჯობს. დანარჩენები ცეცხლთან მიყუჟულან და თუმცა სცივათ, მაინც არ იმჩნევენ. აქ შეშა არ გამოელევათ და ნადირის ხორცი, წყალიც ახ-

ლოსა და პურსა და ყველს კი სოფლი-

დან ერთგული ბიჭები არ აკლებენ.
— აბა მიხო, ეგ მუხის ჭირაკი მიგვუმატოთ ამ ჩვენ „ბუხარსა“ და რომ დანაკვერცხლდება, მწვადი მერე შევწვათ.

ზაქრო, გუშინ შამფურები რომ დამეწვა, ახლები ხომ არ დაგვეთალა, ჰა?

— ნიკავ, გუდამი ყველი დარჩა თუ გათავდა?

— გორგავ, სიღნაღში რომ სწავლობდი და ქალაქელი ბოლშევიკი გეწვიათ, თუ ძმა ხარ, ის კიდევ გვიამბე!

კაბუტეები გაუბარსავნი იყვნენ და ასაკი თითქოს მომატებიათო, თუმცა მათი გულეები ამ მოგონებაზე ცეცხლივით აენთო. ისინი ექვსნი იყვნენ, მაგრამ თავიანთი რწმენითა და მონდომებით ასი კაცის საქმეს გააკეთებდნენ, ოღონდ მიგეშვათ. ოღონდ მოქმედების ნიშანი მიგეცათ. ეს ნიშანი კი ჭერ არ ჩანდა. ადგილობრივი კომუნისტური ორგანიზაციისაგან ჭერ ასეთი მითითება ჰქონდათ მიღებული, რომ სოფელს გასცლოდნენ, რათა დაპატიმრებისათვის თავი აერიდებინათ. ბოლო ხანებში მენშევიკები მთლად გამწარდნენ, რეპრესიები გაახშირეს.

ხვალ ახალი, 1921 წელი უნდა გათენდეს. სუსხის მიუხედავად ბიჭები მხნედ და მზიარულად იყვნენ, სურდათ, ახალ წელს ხალისით შეხვედროდნენ. ერთმანეთს არ უმხელდნენ და სიტყვით არ ამბობდნენ, თორემ გულში ყველა ფიქრობდა, რომ მათი ახლობლები სოფლიდან საახალწლო სასუსნავს უეჭველად გამოუგზავნიდნენ.

ერთმა მათგანმა, რომელიც ყველაზე ოხუნჯი იყო, გადაწყვიტა ამხანაგები გაემზიარულებინა და მოულოდნელად წამოიძახა: — ბიჭებო, მოდი ერთმანეთს შევეჯიბროთ. ვინ უფრო სრულად ჩამოთვლის ჩვენი სოფლის მცხოვრებთა ზედმეტსახელებს, აბა ვის უფრო კარგი მესხიერება აქვს!

აკაკი ლავროვლი
გორბა

ბიჭებმა სიცილი დაიწყეს და, ჭირი მომგონელსაო, მასვე დააკისრეს ეს საქმე, მანაც დაიწყო:

— ჩვენი უბნის ბოლოდან მოვყვები: ბუწულა, ბრუციან სონა, ცინგლიან გიგა, კუჟანა მარო, მიღმოს გერი, კაჭახუნა, ვირმიტრო, ჭიოტა მოსე, ჭადარა მიხა, მწვიტინა ვანო, ყბახა ნინა, ერკუე გიგა, ვირმინა, გიგალა, გიგალადარო...

— მოიცა, ბიჭო, გამოგრაჩა! — გააწყვეტინა არჩილამ, რომელიც იმავე უბნელი იყო.

— ვინ გამოგრაჩა?

— ვინა და — კრეჭელა ფირუზა, დაბალ აბრია, ეცადანი, ბრუციან სტეფანე...

— გამოგრაჩა და ახლა შენ განაგრძე! — ვითომ გაწყრა ნიკა და ცეცხლს შეუქიჩინა.

— განვაგრძობ, რა! ღიბიან ზაქარა, მყვირალა მიხა, ვერიარე, იმანა, ლურ-ლურა, ლეკურა, ყაყურა, ყაყია, მჭედელ-ვასო, სქელკატო, მოკლეკატო...

ბიჭები იცინოდნენ.

არჩილამ ჩამოთვლა დაამთავრა და სული მოითქვა. მერე „ფილოსოფოსის გამოქვეყნებებს“ მიიღო და თქვა: რას არ შეარქმევენ კაცსა, მაგრამ საოცარი ის არის, რომ სოფელში ამ სახელით უფრო იცნობენ ადამიანს, ვიდრე ნამდვილი სახელით. აი, მაგალითად, გორგაც ხომ შეარქმეული სახელია...

— რას ამბობ, კუჟის კოლოფო, — შეაწყვეტინა ზაქრომ, — გორგა ნამდვილი სახელია. ოღონდ ოდნავ შეცვლილი. ის ხომ იგივე გიორგია. ჩემი აზრით, ევ სახელი ასე უნდა წარმოშობილიყო: ვიორგი — ვიორგა — გორგა.

— მართალი ხარ, ზაქრო, — შეაწყვეტინა გორგამ, — სიღნაღში ქართულის მასწავლებელმა სწორედ მასე მითხრა. ისიც დაუმატა, რომ ეს სახელი ძველად გავრცელებული უნდა ყოფილიყო, რადგან ამ სახელიდან უნდა წარმოშობილიყო გვარი გორგაძე, ისევე, როგორც გიორგისაგან ვიორგაძეა.

— ჰოოო! — ამოიხვნეშა არჩილამ, — ახლა კი მეცოდინება!

ამ საუბარში რომ იყვნენ, გუშაგის დაუსტვინა. ბიჭები წამოხტნენ და დასხდნენ ხელი სტაცეს და თავიანთ სამალავებს აეკრნენ. ქვემოდან ორი კაცი მოდიოდა და თუმცა ჯერ შორს იყვნენ, მაგრამ თოვლით გადათეთრებულ გარემოზე მოძრავი ორი წერტილი კარგად მოჩანდა. გუშაგიც გაღვინიდან ჩამოხტა, თავისი საფარი მოძებნა და ირგვლივ მოლოდინში და სიჩუმეში დაისადგურა.

გორგამ ღებრბინდში გაიხედა და მალე მომავალნი იცნო. როცა დარწმუნდა, რომ ისინი მათი მეკავშირეები და თანამზარახველები იყვნენ, ბიჭებს გადაულაპარაკა, მაგრამ საფრიდან გამოსვლის ნება არავის მისცა. სანამ არ დარწმუნდა, რომ მათ კვალს არავის მოჰყვებოდა.

მოლოდინი ერთხანს გავრძელდა, რადგან ხურჯინაქილებულ ბიჭებს აღმართზე ამოსვლა უჭირდათ. გორგამ მათ ორი ამხანაგი ჩააგება, დანარჩენნი კი ისევ საფრებში დარჩნენ, სანამ ვითარება სავსებით ნათელი არ გახდა, მერე ერთი ამხანაგი საგუშაგოზე დატოვა, სამნი კი მოსულებს ურიაშულით შეხვდნენ.

— აბა, გვიამბეთ სოფლის ამბები! — მოსულებს მიმართა გორგამ. როგორც კი სალამ-ქალამი ჩათავდა.

— მოიცა, ძმაო, სულის მოთქმა გვაცალე, მაგ ხურჯინებში განა ბამბა გვილაგია, ძლივს ამოვათრიეთ ამ სიმაღლეზე! — უპასუხა ვასომ, რომელიც დაწინაურებულიყო და ძლივსღა სუნთქავდა.

მოსულებიცა და დამხდურებიც ნამდებში კარგად გაეხვივნენ. ცეცხლს შემოუსხდნენ და სმენად იქცნენ.

— აბა, ვასო დაიწყებს თუ სოსო? — იკითხა გორგამ.

— რა უნდა დავიწყოთ, რომელი მეზღაპრეები ჩვენა გვენახეთ, შეგვეკითხეთ და გიპასუხებთ! — თქვა ვასომ.

— ბიჭებო, ხომ არ აჯობებდა, ბარემ სუფრა გავგეშალა? — იკითხა ზაქრომ და ბიჭებმაც მოწონების ყიფინა დასცეს.

მუხის ჯირკი ჩანაკვერცხლებულიყო. ცეცხლი ჩამტყბარყო და მწვადისთვის სწორედ რომ ზედგამოჭრილი გამხდარიყო. გორგამ ვაილიმა, დასტურად ზეული ჩაიქნია და ბიჭებიც დატრიალდნენ ზოგი დილით მოკლული ჯიხვის სამწვადეს აჭრიდა, ზოგი შამფურებს თლიდა. სოსო და ვასო კი ხურჯინის ამოლაგებს შეუდგნენ. გადარჩენილი თაღის ქვეშ, მყუდრო ადგილას, პური და ყველი, მოხარული დედლები და ნაზუქები, ჩურჩხელა და ხილი დახვავდა. მეთაურობა ვასომ იკისრა, რადგან ის ასაკითაც ორიოდე წლით სხვებზე უფროსი იყო.

— აბა, ბიჭებო, შემოვუსხდეთ და გავტეხოთ პური, ამასობაში მწვადიც წამოგვეწვია.

ტიკჭორიდან მომცრო ყანწებში ჯერ ჭაჭის არაყი დაასხა და თითო-თითოდ ბიჭებს მიაწოდა: გადაპკარით, სიცივეში არ გაწყენთო.

— სიმწარე გვაშოროს, სიტკბო მოგვეცეს! — სათითოდ გადაპკრეს არაყი და ტიკჭორას პირი მოუკრა, გვერდზე გადადო და ღვინის ტიკი დაითრია. ცოტა რომ წაილუქმა, ტიკი მუხლის თავზე შემოდიო, პირი მოხსნა და ბიჭებს ყანწები შეუვსო. მერე თავისთვის დაისხა და თქვა:

— წესი წესია, თამადა უნდა ავირჩიოთ.

გორგამ სხვებს დაასწრო და დაიძახა: კარგ ხელს უჭირავს! ვასოს მივულოცოთო. ვასომ იუარა, დაღლილი ვარ, ღვინო მალე მომერევო. მოსმენაც არ უნდოდათ, მაგრამ ბოლოს შეთანხმდნენ, რომ სუფრას ვასო გაუძღვებოდა: ოღონდ შიგადაშიგ სადღეგრძელოების თქმის უფლებას სხვებსაც მისცემდა.

— აბა, ვახსენოთ ღმერთი! — თქვა ვასომ.

— ღმერთს გიჩვენებ მე შენა! — შებღვირა ზაქრომ.

— მიჩვეულია, თორემ ვანა მართლა ღმერთსა გულისხმობს რა! — ნამუსი მოსწმინდა სოსომ.

— ხო, კაცო, სიტყვის მასალაა, თო-

რემ ღმერთის სულიცა — არ დააყოვნა ვასომ.

ბიჭებს სიცილი წასკდათ. ცოტა რომ მიუყრდნენ, ვასომ განაგრძო.

— ბიჭებო, ამ ციხეზე წინაპარნი ფარშუბით დარაჯობდნენ საქართველოს მიწა-წყალსა. ჯერ ისა სთქვი, რა ხელმა აშენა ისა, რა ხელმა მიზიდა ამხელა ლოდი და ქვა, კირი და ქვიშა. რამდენი ჩვენნაირი ბიჭი მდგარა ვალაენის ქონგურებზე და, ავე, ნიკასავით გაპყურებდა გზებსა და ბილიკებს, მთასა და ბარს! ეს იმათ ხსოვნას გაუმარჯოს, ვინც ეს ციხე აშენა. ვინც მასში მეციხოვნობდა, სამშობლოს დარაჯობდა, იბრძოდა, სისხლსა ღვრიდა და საქართველოს ძლიერებისთვის თავსა სწირავდა!

ბიჭებს სადღეგრძელო ძალიან მოეწონათ და დიდი ხალისითაც შესვეს.

ერთი-ორი სავალდებულო სადღეგრძელო რომ თქვა, ვასომ ყანწი დადო და დაიწყო:

— ბიჭებო, მშვენივრად იცით, რომ საქეიფოდ არ მოვსულვართ ამ ციხეში, აქ იძულებით ვართ შეხიზნულნი. სოფელში ბოლშევიკების დაპატიმრება იყო გადაწყვეტილი: ამიტომ დიდი ნიკა, გიორგი, სტეფანე და რამდენიმე სხვაც აქაურობას გაერიდა და ზაქათალაში წავიდა. იქ, თურმე კახეთის მაზრებიდან და სოფლებიდან თავს იყრიან ხალხის შვილები. მალე ისინი წითელ ჯართან ერთად დახმარების ხელს გამოგვიწვდიან. სარდიონი ჯერ ისევ სოფელშია. ხომ იცით, ის ფიფოსთან და მის მსგავსებთან ურთიერთობას არ ამწყვავებს, მას პარტიისაგან ასე-აქვს დავალებული. ბოლშევიკთაგან სოფელში ისღა დარჩა და რამდენიმე სხვაც; ვისი პარტიულობაც მენშევიკებმა ჯერ არ იციან. სარდიონმა დავვაბარა, ცოტაც მოითმინეთ და მალე სასიხარულო ამბავს მოგაწვდითო.

ცეცხლი ენთო, ახალი მუგუზლები ტყაცუნობდა, ნაკვერცხლები კი გვერ-

ახნი ლაზოდელი
ზორბა



„ცაში შეიკრა ღრუბელი,
მთაში წვიმს, ბარად ჩამოვა;
თუ ხელადაში არა დგა,
მარნიდან მალე ამოვა...“

ღზე გამოეჩხრიკათ და მინელელებულად
ღუოდა. მის თავსა და ბოლოში მოგრ-
ჯო ქეები დაეწყოა, ზედ შამფურება-
გაეწყოთ და მწვადის ნაღვენთი მშვე-
ნიერ, მადისაღმძვრელ სურნელებას აკ-
რცელებდა ახლო-მახლოს.

ბიჭებმა ვასოს სიტყვა რომ მოისმი-
ნეს, მოწონებით დაიგუგუენეს, მათმა
შეძახილებმა იქაურობას გადაუარა.

სიტყვა გორგამ ითხოვა.

— ძმებო, მეგობრებო, ვასომ კარგი
ამბავი მოგვიტანა. სარდიონი უბრა-
ლოდ არაფერს იტყოდა. მალე სასიხა-
რულო ამბავს გაიგებთო. ალბათ ეს იქ-
ნება დიდი ამბავი. ბიჭებო, ხვალ ახალი,
1921 წელი დგება. ყველას ვეწამს, რომ
ეს წელიწადი დიდ გამარჯვებებს მოგ-
ვითანს. მენშევიკთა ბატონობის წუთე-
ბი დათვლილია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ
გამწარდნენ და შემოდგომის ბუზები-
ვით იკბინებინან. დაე 1920 წელი მათი
პარპაშის დასასრულის წელი იყოს, ახა-
ლი კი — ჩვენი გამარჯვების!

— გაუმარჯოს! — ჰქექეს ბიჭებმა.

სიტყვები ერთმანეთში აირია.

ილომ შამფურები ჩამოარია და მო-
საუბრენი მწვადს წაეტანნენ. ერთხანს
უსიტყვოდ ჰამდნენ. მერე ცოტა წა-
მოდგა, საგუშაგოზე ჩემი ჭერიანო, თქვა
და ნაბადში გახვეულმა, თოფმომარჯვე-
ბულმა საგუშაგოსკენ გასწია.

სოსოს ეწადა, ეთხოვა, მე წავალო,
მაგრამ ზაქრომ შეაჩერა: სულ ერთია,
არ დაგიკერებს, თავის რიგს არავის და-
უთმობსო.

საგუშაგოდან დაბრუნებული ნიკა
სუფრას შემოუერთდა და დანაკლისი
აითავა.

ვასომ ყანწებში ღვინოს უქლო და
მოიბოდინა:

— ხომ იცით, დათრობა არ შეიძლება!
ამას გარდა, ხვალ გორგა 19 წლისა
ხდება და ზოგი რამ სახვლიოდ გამო-
ვიზოგოთ.

ბიჭებმა ერთი-წაღიღინება მაინც მო-
ასწრეს და გორგას მამის საყვარელი
სიმღერა ჩავუბუღად თქვეს:

შებინდა. ცეცხლს ელვარება მოე-
მატა.

ათიოდე დღის შემდეგ სარდიონმა
გორგას შეატყობინა, რომ ზაქათალაში
უნდა გადახვიდე და გიორგი ნახო. ის
გეტყვის, რაც უნდა გააკეთოო. გორგამ
თავის მაგივრად ზაქრო დატოვა, ბიჭებს
ორიოდე სიტყვით უთხრა თავისი სათ-
ქმელი და ბილიკს დაუყვა. ზაქათალაში
გორგა ერთხელ ადრეც იყო ნამყოფი
მამასთან ერთად, მაგრამ მაშინ შარ-
გზით იმგზავრეს. ახლა კი ეს გზა მის-
თვის მოკვეთილი იყო მესაზღვრეთა
მიერ. ხიფათს რომ არ გადაჰყოფდა,
მხოლოდ მთის ბილიკებით უნდა ევლო,
მაგრამ ღამით ამ ბილიკებს ვერ გაიგ-
ნებდა, რადგან უვალი იყო, დღისით კი
მთაშიც სიარული საშიში იქნებოდა.
ამიტომ გორგამ თავზე თეთრი ბატკნის
ქუდი დაიხურა, ნაბადიც თეთრი მოიგ-
დო მხრებზე და ასე რომ გამოეწყო,
თოვლთან ძალზე შეხამებული გამოვიდა.
ბიჭებმა იხუმრეს: თეთრი წმინდა გი-
ორგი ხარო. გათენებისას გორგა გზას
გაუდგა.

ერთი-ორი კილომეტრის იქით, აღ-
მოსავლეთით საზღვრის ზოლი გადიო-
და, მერე კი იწყებოდა ე. წ. ზაქათალის
ოლქა, რომელიც ნეიტრალურ ზონად
იყო გამოცხადებული, მაგრამ ფაქტიუ-
რად წითელი აზერბაიჯანს ეკუთვნოდა.
თხუთმეტოდე კილომეტრის მოშორე-
ბით ბელაქანი იღო და ერთი ამდენსაც
თუ გაივლიდა, გორგა ზაქათალას მიად-
გებოდა. ჰაბუქის მუხლიც უჭირდა და
თვალაც, ღონეც გააჩნდა და ძალაც,
ამიტომ ოცდაათიოდე კილომეტრის გავ-
ლა მისთვის ძნელი როდი იყო, მაგრამ
თოვლით გადათეთრებული ტყიანი მთე-
ბი, უგზოობა და მტერთან შეფეთების
საფრთხე, ამ მგზავრობას უემპელოდ
სახიფათოსა და საძნელოს ხდიდა.

დიდი წვალებით, კლდეებსა და ხეებს ამოფარებულმა შებინდებისას გორგამ ზაქათალას მიაღწია, მთიდან კარვად დაინახა ზაქათალის ციხე, რომელიც, პატარა გორაზე წამომდგარი, ქალაქს ზემოდან დაჰყურებდა. იქვე ქვემოთ მოჩანდა ერთსართულიანი და აქა-იქ ორსართულიანი სახლები, ერთმანეთზე გადაბმულები. ეს პატარა ქალაქი ამ მხარეში საკმაოდ ცნობილი იყო. იქ ბევრი აზერბაიჯანელი, ქართველი და სომეხი ცხოვრობდა. ქალაქს ეკვროდა დაცემული ვაკე მინდვრები, ხილის ბაღები. კარვად მოჩანდა ვეებერთელა კაკლის ხეებიც, რომლებიც ახლა თოვლით დახუქმლულიყო. ბინებიდან, ჩიხანებიდან და დუქნებიდან ამოსული კვამლი ქალაქის სიცოცხლეს შორიდანვე ამხელდა.

გორგამ იცოდა, სადაც უნდა მოსულიყო, ვინ უნდა ეკითხა და გიორგის როგორ უნდა შეხვედროდა. სანამ თვალნათელი იყო, გორგა აჩქარდა და მალე ერთ მცირე ყაზარმაში აღმოჩნდა ქართველ ლტოლვილთა შორის. ისინი ლაგოდებიდან, წითელწყაროდან, სიღნაღიდან, ყვარლიდან და კახეთის სხვა ადგილებიდან აქ შეკრებილიყვნენ და ემზადებოდნენ, რათა მიცემულ ნიშანზე, როცა საქართველოში აჯანყების ალი ავირდებოდა, წითელ არმიასთან ერთად, სამშობლოს თავისუფლება ბრძოლით მოეპოვებინათ. აქ ტარდებოდა პოლიტიკური მეცადინეობა, ეუფლებოდნენ იარაღის ხმარებას, იწრთობდნენ, რათა სამშობლოში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა აეფრიალებინათ. ასეთ ადამიანთა შორის იყვნენ გიორგი, დიდი ნიკა, სტეფანე და მრავალი სხვანი. ახლა მათ შორის აღმოჩნდა გორგაც.

მოკითხვისა და მოკლე საუბრის შემდეგ გიორგამ ცალკე ოთახში შეიყვანა გორგა და საუბარი გაუბა.

— გორგა, შენ კარვად იცი, რომ არსებობს რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი, რომელიც ლენინის პარტიის დასაყრდენი და დიდი დამხმარე

რე ძალაა. ასეთივე კავშირი აზერბაიჯანშიც არის. ისიც შესანიშნავად იბრძვის ახალი ხელისუფლების განმტკიცებისათვის და ამ 8-9 თვის მანძილზე საკმაოდ გამოცდილება შეიძინა. ქართველი სპარტაკელები, რომელთა ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელიც შენ ხარ, უარს ვერ იტყვიან იმაზე, რომ გადაიღონ თავიანთი თანატოლების გამოცდილება. შენ აქ იმიტომ დაგიბარეთ, რომ მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანელ კომკავშირელთა ზონალურ კონფერენციაში, რომელიც ხვალ აქ გაიხსნება და რომელსაც ამ მხარის რევოლუციური ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები დაესწრებიან. შენ მოისმენ ბაქოდან ჩამოსული ერთი ცნობილი რევოლუციონერის სიტყვასაც.

— ძია გიორგი, ძალიან გამახარეთ. რამდენჯერ მიფიქრია, რომ მე და ჩემი ამხანაგები ზოგჯერ ისე ვერ ვიქცევით, რალაცის შევსება გვჭირდება...

— ხო და, შენ აქ ნახავ იმ საქმის ჩამდენთ, რომელი საქმეც ქართველებს ჯერ წინ მოგველის...

— ნდობისა და მოწვევისათვის დიდი მადლობა, ძია გიორგი!

— აქ ნანახსა და მოსმენილს, ჩემო გორგა, შენს ამხანაგებს უამბობ და გაუზიარებ. კარვად აწონ-დაწონით და ცხოვრებაში გამოიყენებთ. მალე ამის საჭიროებას თქვენ თვითონ დაინახავთ.

გორგა ანთებული თვალებით უქქერდა უფროს მეგობარს და სმენად იყო გადაქცეული. ყოველ სიტყვას გულში იქედავდა და ზვალინდელი დღის გათენებაზე ოცნებობდა. საუბარმა დიდხანს გასტანა. გიორგიმ გორგას ბევრი დარიგება მისცა, ბევრიც გამოჰკითხა და ღამის გასათევი ადგილი ასწავლა.

მეორე დღეს კონფერენცია გაიხსნა. აქ თავი მოეყარა მეგრძოლ ახალგაზრდობას. რომელიც მზად იყო სიცოცხლეც კი გაეწირა ახალი ცხოვრების გამარჯვებისათვის.

ახნი ლაგოჯელი
გორგა

კონფერენცია გახსნა აზერბაიჯანის ერთ-ერთმა უხუცესმა ბოლშევიკმა. იქ იყვნენ ქართველებიც. სიტყვა წარმოთქვა ბაქოდან ჩამოსულმა რევოლუციონერმა, რომელსაც ყველა ტაშითა და სიხარულით შეხვდა. მისი სიტყვა სავსე იყო გზნებითა და სიმართლით, მდიდარი და დაბაჯრებული ფაქტებით, ნათელი მიზანდასახულობით... ყველას ბრძოლის ჟინი და ცეცხლი წაუქიდა.

შემდეგ გამოვიდნენ ზაქათლის, ბელაქანის, კახის, ნუხისა და სხვა მაზრების ახალგაზრდათა წარმომადგენლები, რომლებმაც ილაპარაკეს ადგილებზე ბრძოლისა და შრომის შესახებ. მათ მოიტანეს მრავალი ფაქტი იმის საილუსტრაციოდ, თუ რა დაბრკოლებები ელოდება ახალი ცხოვრების დამკვიდრებას, როგორ უშლიან ხელს ადგილობრივი ბოძოლები, როგორ მიმართავენ ისინი ტერორს, ხანაც შენიღბულსა და ფარისევლურ მტრულ მოქმედებას. მათი ნათქვამიდან გორგამ, მართლაც, ბევრი საყურადღებო გაიგონა, ისეთი, რაც თავის სოფელში მოქმედებისათვის გამოადგებოდა.

განსაკუთრებული დამაჯერებლობით გამოირჩეოდა ყობახჩოელი ქალიშვილის, გიულის სიტყვა. ამ გოგონამ, რომელსაც ჩადრი ვადაეგდო და თმა მოკლედ შეეკრიბა, ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ მოკლეს მამამისი, რომელიც რევოლუციონერი იყო და საბჭოთა ხელი-სუფლების დამყარების პირველივე დღიდან სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეობდა. გიული ცრემლით, მაგრამ მტკიცედ ლაპარაკობდა იმაზე, თუ ის და მისი აშხანაგები, რომლებიც ახალგაზრდათა ლენინური კავშირის წევრები არიან და სოფელში უჩრები აქვთ, როგორ ამხელენ მტრის თინებს, როგორ ეხმარებიან ბოლშევიკებს. დასახელა ბევრი ფაქტი, რაც მის სიტყვას ასე სარწმუნოს ხდიდა.

შესვენებაზე გორგამ გაიცნო გიული. როცა ქალიშვილმა გაიგო, რომ გორგამისი მეზობელი სოფლიდან იყო, მათი საუბარი უფრო უშუალო გახდა. შეს-

ვენების დამთავრების შემდეგ გორგამ და ვიული დარბაზში ერთად დასხდნენ. როცა ორატორების ნათქვამი მოეწონებოდათ, ერთმანეთს ღიმილით გადახედვდნენ და შეთანხმებულებით ერთდროულად უჩრავდნენ ტაშს. ასე გაიბამათ შორის რაღაც უხილავი კავშირი, რომელიც ამ ორ ახალგაზრდას ერთმანეთისაკენ ეზიდებოდა. გორგას ჭერ განუცდელი და მისთვის უჩვეულო გრძნობა ეუფლებოდა, რაც მას ფრთხვსხმულივით ცისკენ მიაქროლებდა.

მაქის ციხეზე შეხიზნული ბიჭები მოგროვდნენ. მას შემდეგ რაც გორგამ ზაქათლიდან დაბრუნდა და კონფერენციის ამბები მოიტანა, ხიზნებმა მოსვენება დაკარგეს: ჩვენ აქ უმოქმედოდ ვართ, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანელები კი ახალ ცხოვრებას ამენებნენ. გორგამ სარდიონს შეუთვალა, ბიჭები ველარ გამიჩერებია, მოქმედებას თხოულობენ და რა ვქნათო. პასუხმაც არ დააყოვნა — ცოტაც მოითმინეთ და მალე საქმეში ჩაებმებითო. ამ შემონათვალმა ახალგაზრდები ერთხანს დააშოშმინა, მაგრამ აქ ყოფნა ისევ გაუსაძლისი გახდა. ამას ზედ დაერთო თებერვლის თოვლქყუბიანი უამინდობა და ბოლმას ბოლმა დაემატა.

თვითონ გორგაც თავს უჩვეულოდ გრძნობდა, როგორღაც გარინდდა და თვალები ფიქრიანი გაუხდა. მეგობრებმა შენიშნეს, რომ მას რაღაც სჭირდა, მაგრამ ჭირსა მალავდა. როცა ბიჭები ნანადირევით ხელდამშვენიებულნი დაბრუნდებოდნენ და მათ ბუდეს ხალისი გადაუვლიდა, ძმობილები გორგას შეეხუმრებოდნენ: ზაქათალაში ვინმე თვალში ხომ არ მოგივიდაო. გორგამ ამაზე უნდომად გაიღიმებდა და, თითქოს ბუზს იგერიებდნენ, ხელს უხალისოდ ჩაიქნევდა. ზაქრომ ერთხელ კახეთში გავრცელებული ხალხური ლექსიც მიუძღერა:

„დადესტინა ფატიმაო
მუღამ მიდგას თვალწინაო...“



ოლონდ ამ ტექსტში ზოგჯერ ცვლილება შექმნდა და სიტყვა „დადესტინი-სას“ მაგივრად „ზაქათლისას“ სვამდა. ამ შაირზე გორგა წამოხტებოდა, ზაქაროს მივარდებოდა და დაიწყებოდა ჭიდილი. ბიჭებიც ვითომ წრეს შეპკრავდნენ და საჭიდაოს წამოიწყებდნენ.

ისინი შეხურდებოდნენ, შეთამაშდებოდნენ და მერე ყველაფერი ისევ წყნარდებოდა, ძველ კალაპოტში დგებოდა, მეგობრულ ძიძგილს სიჩუმე სცვლიდა.

ცეცხლი, რომელიც გამუდმებით ენთო ციხის თაღებქვეშ, ახალგაზრდების ცხოვრებას ისე შეერწყო, რომ მისი განუყრელი ნაწილი გახდა. ხშირად შეჯიბრი იმაზე ეწყობოდა, თუ ვინ უფრო საუკეთესო ჯირკს მოიტანდა, ვისი მოტანილი შეშა იქცეოდა კარგ მუგუზულად და რომელს უკეთესი ნაკვერცხალი ექნებოდა.

ცეცხლისპირს ჩამომსხდარი ბიჭები გატაცებით საუბრობდნენ თავიანთ სოფლებზე, საქართველოს წარსულსა და დღევანდელ მდგომარეობაზე, წითელ რუსეთზე, საქვეყნო ამბებზე. ხშირად კმათი იმართებოდა გაზეთში წაკითხულ მასალებზეც. ეს გაზეთები ხშირად მოქმონდათ სარდიონის მიერ გამოგზავნილ ბიჭებს, რომელთაც ის აბარებდა: კუპის საზრდოსთან ერთად ეს გონების საზრდოც მოუტანეთ. ამ ნათქვამზე ბიჭები ხალისიანად იცინოდნენ და როცა მათ ბანაკს ხურჯინიანი თანასოფელი ამხანაგი მოადგებოდა, ისინი მოსულს მივარდებოდნენ და მოუთმენლად ეკითხებოდნენ: გონების საზრდო თუ მოგვიტანეთ, იყო ერთი ჟრიაშული და ხელიდან ხელში გაზეთის გადასვლა. როცა ჩაწყნარდებოდნენ და ცეცხლს შემოუსხდებოდნენ, გაზეთის ყველაზე მნიშვნელოვანი მასალის ირგვლივ იმართებოდა განსჯა და ცხარე კმათიც, როგორც ახალგაზრდებს სჩვევიათ. რაც გაზეთმა „კომუნისტმა“ იწყო გამოსვლა, ბევრ საინტერესო საკითხზე ბიჭები პასუხს მასში პოულობდნენ და ამიტომ მრავალი გაუგებარი რამ მათთვის

გასაგები გახდა. ამით იყო გამოწვეული, რომ ხიზნები პირველ რიგში სწორედ „კომუნისტს“ სტაცებდნენ ერთმანეთს.

ერთხელ, სისხამ დილით ბანაკს მოადგა ხურჯინიანი თანასოფელი, რომელმაც ბიჭებს საგზალი მოუტანა. სანოვაგე რომ ამოალაგეს და ისაუზმეს, გორგას ხელში მოხვდა ერთი ძველი გაზეთი, რომელშიც დედამისის გულის ყველი გაეხვია. გაზეთი დასველებულიყო და გაყვითლებულიყო, მაგრამ მაინც მთელი იყო. გორგამ გაზეთი მუხლზე დაიდო, ხელის გული ნაზად გადაუსვა და დაქმუქვინილი ადგილები გაასწორა, მერე კი, მის სიძველეში რომ დარწმუნდა, ინტერესით ჩაათვალიერა. ეს იყო გაზეთ „გლეხის“ ერთი ნომერი. გორგამ იცოდა, რომ ეს გაზეთი ადრე მამას ჰქონდა გამოწერილი და კამოდის ერთ უჯრაში ინახავდა. მიხვდა, რომ დედას სწორედ ის გამოეყენებინა გასახვევად. გაიფიქრა: გავასწორებ, გავაშრობ და შინ რომ დავბრუნდები, თავის ადგილზე დავდებ, მამას ესიაშვინებო. მართლაც გაასწორა და მყუდროზე დადო გასაშრობად.

გაზეთი რომ გაშრა, გორგამ თავიდან ბოლომდე ჩაათვალიერა. ერთმა წერილმა მისი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია. იგი ლავოდებს ეხებოდა. გორგამ წერილი სულმოუთქმელად წაიკითხა და ბიჭებს დაუძახა: მოდი, აი, ძველ გაზეთში ლავოდებზე რა სწერიაო. ისინიც მოგროვდნენ და სმენად იქცნენ. იქ ეწერა, რომ ლავოდების მისადგომთან, ხევის პირას, ადგილობრივი ღარიბი გლეხები შეეგებნენ მეფის ნაცვლის წარმომადგენელს, რომელიც მათი საჩივრის გასარჩევად ჩამობრძანდაო. ამ მოხელისათვის ქართველ ღარიბ გლეხებს შეუჩივლიათ. წერილს თან ერთვოდა კორესპონდენტის კომენტარი, რომელშიც ის გაკვირვებას გამოთქვამ-

ახსნი ლავოდები
პორბა

და გლეხების შემრიგებლური ტონის გამო. კომენტარის აზრი ისეთი იყო, რომ გლეხებს უფრო გაბედულად უნდა ეთქვათ ამ უსამართლობისა და ძალადობის წინააღმდეგ.

წაკითხულმა წერილმა ახალგაზრდობაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ერთხანს იყუჩეს და მერე კი, თითქოს ფიქრის ხმამაღლა გაგრძელებაო, ლაპარაკი დაიწყეს:

— ხედავთ, რა უკუღმართობა მოიშორა ჩვენმა ხალხმა, 1917 წლის რევოლუციამ ცარიზმი რომ დაამხო!

— მანდ ხომ ჩვენი მამების ბედზე წერია, სწორედ ისინი მოჯამაგირებდნენ ცარიზმის მიერ შუა რუსეთიდან გადმოსახლებულ ოჯახებში.

— ნიკოლოზს ცოტაც რომ დასცლოდა, სულ გაგვარუსებდა!

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო, ახლა სხვა დრო მოდის, აღარც რუსიფიკაცია გველის, აღარც სოციალური ჩაგვრა. მალე კეშმარიტ თავისუფლებას ვიზიემებთ!

— ნეტამც.

გაზეთი ხელიდან ხელში გადადიოდა. ყველას უნდოდა, საკუთარი თვლით წაეკითხა მათი სოფლის ამბავი, რომელიც 1906 წელს გამოსულ ამ გაზეთში ეწერა.

ბიჭები ზოგჯერ სროლაში ვარჯიშობდნენ, ხან კი სირბილსა და ხტომაში.

ასე გადიოდა თებერვლის პირველი დღეები.

ყოველი დღე თუმცა ასე დატვირთული ჰქონდათ, მაგრამ გორგას ნაღველი მაინც ერეოდა. ამას ბიჭები ამჩნევდნენ და წუხდნენ. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ ზაქროს როგორმე გაეგო მათი მეგობრის ხვაშიადის მიზეზი.

ერთ საღამოს ზაქრომ გორგა გვერდზე გაიხმო და ალალი თვალეები მიანათა. ამ ორ ჭაბუკს ერთმანეთი განსაკუთრებით უყვარდათ და გორგას გაუჭირდა ზაქროს შემოხედვის მოგერიება. ჯერ

ორივე დუმდა, მერე ზაქროს მოთმინებას ულალატა და ძმობილს ჰკითხა:

— მაშ არ მეტყვი, რა გიღრღნის გულსა?

— რა უნდა გითხრა, რა მაქვს სათქმელი.

— მეგონა, ერთმანეთთან დასამალი არასოდეს გვექნებოდა...

— რომ გაიგო, გაგეცინება...

— კაცი ლამის ჩამოდნე და რა ვამაცინებს?

— იცი, ზაქრო, ის გოგო მოსვენებას არ ღაძღვეს: თვალი მიხელია და იმას ვხედავ, მივხუჭავ და მაინც ის მეღანდება, ვებრძვი ამ ლანდსა, მაგრამ ვერ მოგრევივარ. არა და ამ რევოლუციის დროს, როცა წინ საქვეყნო საქმე გველის, რა დროს სიყვარულია?!

— ვინ გოგო, ბიჭო, არ იტყვი?

— ვინა და, ზაქათალაში რომ გავიცანი, ყობახიოელი გიული.

— ხო! შე კაიკაცო, დროზე ვერ გვითხარი, ლამის გავგეფდით ბიჭები, ასე გარინდულს რომ გხედავთ. ჩემო გორგა, სიყვარულმა რევოლუცია რა იცის, მისი დრო ყოველთვისაა. ეს შენ ჩემზე კარგად გაგეგება. ნაკითხი ბიჭი ხარ. შე კაი კაცო, ვინდა ხვალვე მოვიტაცებთ და აქ მოგვევით, მაშ რისთვისა ვართ ძმანდაფიცები!

— რას სულელობ, როგორ თუ მოვიტაცებთ!

— გეხუმრე, კაცო, რამ ვაგაბრაზა.

— ასეთი ზუმრობაც არ შეიძლება!

— მაშ რა გიყოთ, რით დაგეხმაროთ?

— რა თქვენი დახმარება მინდა, ამ საქმეს მე მოვერევი. აი, ერთი ლამით რომ გამიშვებდეთ ყობახიოში... ერთი თვალს შევაგლებდი, იმის ხმას ვავიგონებდი, სიტყვას ვეტყოდი... მაგრამ ესაც რომ არ შეიძლება.

— ვითომ რატომ არ შეიძლება?

— სარდიონმა რომ გაიგოს, რას იტყვის.



— ვერც გაიგებს და არც არას იტყვის. ამაღამ რომ წახვიდე, დილაზე აქვე იქნება. დავიჯერო, სწორედ ამაღამ მოხდება, რასაც ველით?

გორგას თვალეზში ნაპერწკალმა გაკვესა, ხელი თავზე იტაცა, კეფა მოიფხანა, ერთ ძლიერად ამოისუნთქა, ზაქროს შეხედა და წამოიძახა:

- მაშ წავიდეთ?!
- ხომ გითხარი, წადი-მეთქი.

თუმც შეგნება და მოვალეობის გრძნობა მაღალი ჰქონდა, მაგრამ გორგა მაინც მხოლოდ ცხრაშეტი წლისა იყო და სიყვარულის ცეცხლოვანი დედას ამიტომ ზაქროს სიტყვებმა თოფის წამალივით იმოქმედა და რა დასაძრახია...

— მაშ მივდივარ!

უკვე ბინდებოდა, როცა გორგა ბილიკს დაუყვა და მაწმის ხევში ჩაეშვა. ხევი მშრალი იყო და რიყის ქვებს თოვლი თეთრი ნაბდის ქუდებივით ედოთ. შუქ-ჩრდილი იყრებოდა, საგნები თანდათან უჩინარდებოდა და ჩვენს მგზავრსაც ეს უნდოდა.

მგზავრი გზას ერიდებოდა, ბილიკებსაც განზე იტოვებდა, რომ არავის შეემჩნია. ასე ხევ-ხევ ყომახომდე გზა მოკლევ იყო და ნაკლებ საფრთხილოც. ოღონდ ქვიდან ქვაზე ხტომა იყო მომქანცველი, თუმცა გორგა-ბიჭი ამას რას დაგიდევდათ.

ზაქათალაში ყოფნისას გიულიმ გორგას დაწვრილებით დაუხატა თავისი სახლის მდებარეობა. იმიტომ კი არა, რომ ვაჟი სწვეოდა, არა, ისე, რადგან გორგა ყომახოს კარგად იცნობდა და საუბრისათვის მაშინ ეს მასალად ვარგოდა. მაშინდელი ნათქვამი გორგამ ზუსტად აღადგინა: მეჩეთის მარცხნივ, დელის მეორე ნაპირზე, ქვიტიკის ერთ-სართულიანი პირველი სახლი...

ახლა ვაჟი ისე ხშირად იმეორებდა იმ ნათქვამს, რომ თითქმის თვალთ ხედავდა ყომახოს მეჩეთსაც, იქვე ჩამდინარე დელესაც და გაღმა, მარცხნივ

მდებარე პირველ სახლსაც. ეს ისეთი ცხადი ხილვა გახდა, რომ გორგა ზოგჯერ თვალებს მოისრესდა, რათა შეემოწმებინა — მართლა უკვე ხომ არ მივადექი გიულის სახლსო.

ორიოდე საათის ხტომა-სიარულის შემდეგ გორგამ დალანდა ყომახოს განაპირა სახლები, საიდანაც ნავთის ლამპების მკრთალი შუქი გამოდიოდა. მეჩეთს რომ მიადგა, პირი დელისაკენ ქნა და მარცხნივ გაიხედა, სიბნელეში გამოჩნდა დაბალი სახლის კონტურები. კარგად რომ დაუყვირდა, შუქიც შენიშნა. გაიფიქრა, რომ ჯერ არ სძინავთო. გაეხარდა. ახლად დაფიქრდა იმაზე, თუ რა უნდა ექნა გიული სახლიდან როგორ გამოეყვანა. აქამდე ისე მოისწრაფოდა აქეთ, რომ ამაზე არც უფიქრია. აქეთვე ლტოლვა ისეთი ძლიერი იყო, რომ ეგონა — მივალ ყომახოში და გიული თვითონ შემეგებებაო. ახლა ამ ბურანიდან გამოერკვია და საქმეს გულდაგულ ჩაუყვირდა.

სოფელს უკვე ეძინა. აქა-იქ ძაღლის ყეფა ისმოდა. გორგა გაინაბა, მიხვდა, რომ მცირე გაფაჩუნებაც აქ დიდ ხმაურად გამოჩნდებოდა, კატასავით უნდა განაბულიყო. ყოველი ნაბიჯი უხმაუროდ უნდა გადაედგა, თორემ მოსალოდნელი იყო უსიამოვნება.

ვაჟი გიულის სახლისკენ წავიდა. იქით ბილიკი მიდიოდა, მერე შეხვდა დელეზე გადებული ორი ლატანი, რომელიც ქალის ეზოში გადაიყვანდა. აი, მისი ეზოც! გორგა შედგა, თვალეზი დაქაბა, რომ ბნელი გაეპო. პატარა ფანჯრიდან გამოშავალი მკრთალი შუქი უკეთესად გამოჩნდა. სახლამდე სულ ოციოდე ნაბიჯი რჩებოდა. გორგას ის კი ახსოვდა რომ გიულის მამა ბობოლგებმა მოუკლეს, მაგრამ ის არ იცოდა, თუ ოჯახში კიდევ ვინ ყავდა — დედა ან და, ძმები ან რძლები. ამისი უტოლინარობა გორგამ ახლა უფრო მწვავედ იგრძნო, რადგან ამ მომენტში ამას მნიშვნელო-

აკახი ლავოდელო
გორგა

ბა ენიჭებოდა. ვაი თუ ვინმემ დაძინა ხოს, ვაი თუ ვინმეს ბოროტმოქმედი ვეგონო, ვაი თუ სამოყვროდ მოსულს ვინმე მტრად მომეკიდოსო, ფიქრობდა ეყუი და ვამოსავალს ეძებდა.

გორგა თხილის ბუჩქთან უსულოსავით იდგა. გარემო დაზვერა და მერე ბუჩქამდე გადაინაცვლა, მერე მესამე, მეოთხე ბუჩქი და სახლს მიუახლოვდა. იქ ვეება კაკლის ხე იდგა, მას ამოფეარა და გაინახა. სახლიდან ჩამიჩუმე არ მოისმოდა, შუქი კი ენთო. ვაემა ბნელ გარემოს თვალი კარგად შეაჩვია და დაინახა, რომ სახლის მეორე მხარეს, ოდნავ მარჯვნივ, ფართო ჭიშკარი იყო. მერე ისიც იაზრა, რომ ჭიშკარს იქით ქუჩა ჩადიოდა. ხოლო ღელიდან შემოსასვლელი ყოფილა მეჩეთში მიმავალი მოკლე გზა. თუ საჭიროება მოიტანდა ამ ორი გასავლელის ცოდნა გამოადგებოდა. ეს რომ ვადაწყვიტა, თვალები ისევ სარკემელს მივაპყრო: ნუთუ სახლში არავინ დადის? თუ სძინავთ, არავინ იძლევა ღვიძილის ნიშანს?

ვაეი დაიძაბა, მისი გონება გამალებით მუშაობდა, საჭირო აზრს ეძებდა, სურვილის შესასრულებელ გზას იკვლევდა. ეკვიანობდა, შიშობდა ვაი თუ გიულის თვალიც კი ვერ შევავლო და უკან გამობრუნება ისე მომიხდესო. ცაში ვარსკვლავები უფრო აკაშკაშდნენ, ავერ „მრავალიც“ ამოვიდა, „სასწორი“ უფრო აკიაფდა და ცა ისეთ ჯადოსნურ თაღად გამოჩნდა, რომ ვაეი ერთი წამით გაოცდა, მზერად იქცა, ბუნების სურათმა დაატყვევა. ნიაემაც დაჰბერა და სიცივემ იმატა. სანამ გზაში იყო, გორგას სიცივე არ უგრძვნია, მაგრამ, ახლა ერთ ადგილას უძრავად მიკრულს, თუმც თბილად ეცვა, სიცივე მაინც მიეძალა.

სანატრელო ფანჯარავ.. მკრთალო შუქო... გორგას გაახსენდა ძველი ყურაჩოხელის სადღეგრძელო, რომელიც შეეხებოდა ფანჯარასთან მღვარ ანთებულ ლამფას, მისგან განათებულ გზას და ამ გზით მომავალ სატრფოს, რომელსაც ლამფის იქით, ოთახში გუ-

ლის სწორი ელოდა... ბიჭმა ჩილი... ეს რა გამახსენდაო, ჩემს თავს აღარ ვეგონებ ვარო. მერე ფიქრი ისევ იმ სადღეგრძელოს დაუბრუნდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გორგამ ანთებული ლამფაც დაინახა, გზაც გამოიარა, მაგრამ ოთახში მყოფი გულის სწორზე არაფერი იცოდა...

რამდენი ხანი გავიდა ამ ყოფაში, ამას გორგა ვერ ამჩნევდა. მერე საიდანაც ხმაური მოისმა. ხმები იმ ქუჩას მოყვებოდა, ჭიშკარი რომ ვადიოდა მალე ლაპარაკისა და ფეხის ხმა ძალზე ახლოს მოვიდა. გორგა უფრო დაიმალა, ხეს აეკრა, სმენად იქცა. ცოტაც და ჭიშკართან გორგამ ადამიანთა სილუეტები დალანდა. მერე ორიოდ სიტყვით გამოლაპარაკებაც ვაიგონა და ჭიშკარიც ვაილო. სახლის მეორე მხარეს დატანებული ფანჯრიდან ლამფის შუქის ჭიშკარს მკრთალად უწყევდა, მაგრამ მან გორგას სიხარული მაინც მოუტანა: გიული მოვიდა. „ის ეზოშია, მამ ბედი მე მქონია, ვენაცვალე ჩემს ვარსკვლავს!..“ ბიჭი კედელს სწრაფად, მაგრამ უხმაუროდ ვაუყვა და ქალიშვილის წინ აიტუზა. გიული შეკრთა, ადგილზე ვახევდა და რევოლვერი იმარჯვა, მაგრამ თავისი სახელი ისეთი სითბოთი და სიყვარულით წარმოთქმული შემოესმა, ამ ხმაში იმდენი ალერსი იგრძნობოდა, რომ ქალიშვილი ვარინდდა. მალე შუქი გორგასაც დაეცა და ქალმა ვაეი იცნო.

— გორგა! გორგა! — გიულმა რაღაც უჩვეულოდ წარმოთქვა ეს სახელი, თითქოს დაგუბებული, დიდი ხნის შეყოვნებული სურვილი და ძალა ამ ხმამ გამოსცაო.

— გიული!

მათ ნაბიჯი ერთმანეთისკენ წარდგეს, მაგრამ მალე შეჩერდნენ, რადგან ქალში თავშეკავებამ სძლია მოხეტეილ სურვილს, ხოლო ვაეს მოკრძალებამ აჯობა. ისინი უხმოდ, უსიტყვოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს, უღიმოდნენ და მხოლოდ მათი ხელები შეერთებულიყვნენ, მხოლოდ ისინი ვადასცემდ-



ნენ ორი არსების ყველა გრძნობასა და აზრს...

ქალს არ უკითხავს, აქ რა გინდაო, რისთვის მოხვედრო, შუალამისას ეს საშინო გზა როგორ გადმოლახეო, მესაზღვრეებს როგორ დაუძვერო. არაფერი უკითხავს, იგი მხოლოდ ვაჟის ხელს ეფერებოდა და ოღნავ ძიგძიგებდა.

არც ვაჟს უამბნია თავის სიყვარულზე, ზაქათალაში შეხვედრის შემდეგ გაწამებულ დღეებსა და ღამეებზე, ზმანებებსა და ხვაშიადზე, რაც მას განუწყვეტლივ იპყრობდა. ის მხოლოდ ჩურჩულით წარმოსთქვამდა გოგონას სახელს და სიამოვნებით ანებებდა ხელებს, რომელთაც ქალი ეალერსებოდა.

გონს რომ მოეგნენ, გიულამ ვაჟი სახლში შეიპატიჟა. ბიჭმა იუარა, მაგრამ გოგონამ თამამად განაცხადა, რომ ჩვენ ახალი ცხოვრების მერცხლები ვართ და ზოგი მოძველებული არტახი უნდა გავწყვიტოთ.

გამოირკვა, რომ გიული კომკავშირის კრებიდან დაბრუნდა. შინ მხოლოდ მოხუცი ბებიაა, რომელსაც სიბნელისა ეშინია მას შემდეგ, რაც მამაჩემი მოკლეს და ამიტომ მის ოთახში ღამეა მთელ ღამეს უნთიაო. ჩემი ძმა ბაქოშია გამოძახებული, ასე რომ შენი მასპინძლობა ჩემზეა, — უამბო გიულამ გორგას. ვაჟი კვლავ უარს აპირებდა, არ შემოვალო, მაგრამ გიულის დაჟინებამ და გარეთ მოძალებულმა სიცივემ სძლია და გორგა გიულის სახლში შევიდა.

ოთახში თბილოდა. ფანჯრის დარბაზი დაკეტილი იყო. ქალმა ღამეა აანთო, ვაჟს ნაბადი ჩამოართვა და მოიბოდიშა, წუთით დაგტოვებ, ჩაის ავადუღებო. გორგა მარტო დარჩა და ოთახს თვალი შეავლო. ყველაფერს უცხო ლაზათი და მომკვრივებელი სისუფთავის ხელი ეტყობოდა, ოთახის შუაგულს იდგა მომცრო მაგიდა, რომელსაც კეწკეწა სუფრა ეფარა. კედლებზე სურათები ეკიდა. ოთახში ერთი ტახტი იდგა, მასზე ლოგინი ეგო, ზედ ღამაზი ჯეჯიმი

ეფარა. იმ კედელზე გორგამ ერთი სურათი დალანდა და ყურადღება მასზე გადაიტანა. უყურებს და თვალს არ უჯერებს, ეს ხომ გორგაა, რომელიც ამ თეთრი ქალაღიდან გადმოიყურება! გორგა იცინის, აღტაცებით სადღაც იყურება და ტაშს უქრავს... მოიცა, აქ ხომ ის მომენტია დახატული, ზაქათალაში კონფერენციაზე რომ მოხდა, ვინ დახატა? ნუთუ გიული ხატავს...

ოთახში გიული დაბრუნდა და გაკვირვებული გორგა რომ დაინახა, სურათს რომ მიშტერებით უყურებდა, ღიმილით საფი ჩაღუნა. მერე იკითხა: იცანიო? ვაჟმა თავი დაიქნია, თითქოს ენა გადაეყლაპოს. გიულამ აღარაფერი თქვა. ოღონდ სახე წამოენთო, გაუწითლდა, თითქოს მის ნამალავ ფიქრს ჩასწვდნენო. ვაჟი კი აზრს იკრეფდა, თანდათან რწმუნდებოდა. რომ გიულის მასზე უფიქრია, ის დაუხატავს, ნახატი საწოლთან გაუქრავს. შენი ჭირიმე, ჩემო გიული, მამ არ გამაწბილემ, მამ ერთნი ვართ!..

გიულამ სამოვარი შემოიტანა, სუფრა გააწყო და გორგა მიიპატიჟა, მასპინძელმა მოიბოდიშა, ბევრი არაფერი გამაჩნია, მაგრამ ყველი, ქარაქი, ბაქმაზი და პური მაქვსო. ეს ცხელი ჩაიც ამ სიცივეში მისწრებაო.

ვაჟს პირი არაფრისთვის დაუქარებია, მხოლოდ ჩაი დალია და გოგონას ისეთი თვალებით უმზერდა, თითქოს ყველაფერი თვალებს დაეკისრა, მათ უნდა ელაპარაკათ, ეამბნათ, რაც გორგას გულში ედო. გიულიც დამუნჯდა. ზოგჯერ ვაჟს ქურდულად შეხედავდა და სახეზე აღმური გადაუფლოდა. ხელს ნერვიულად გადაისვამდა მოკლედ შეკრებილ თმაზე, თავს უკან გადაიქნევდა და ისევ ვაჟს უყურებდა.

ასეთი ყოფა ბოლოს გაუძღისი აღმოჩნდა, ნიაღვარმა მოხეტია, წალეკა ყველა ჯებირი და ქალ-ვაჟი მოულოდნელად მორევში ჩაითრია. მათ თითქოს

ახნი ლაგოღელი
გორგა

მართლა მოესმათ კიდევ ნიაღვრის ზათ-
ქი და მეყვსეულად წამოხტნენ, ერთ-
მანეთს გადაეხვივნენ...

როცა ვაჟმა ცხრამეტი წლის ვაჟკა-
ცის უღევი ენერგია გულუხვად დახარ-
ჯა, ხოლო ქალმა გაუგონარი ნეტარება
იგემა, ისინი გარინდულნი იწვნენ გიუ-
ლის ტახტზე და ახალი, უჩვეულო გან-
ცდის ტყვეობიდან თავის დაღწევას
გაურბოდნენ, იწვნენ გულალმა, ჰერს
შეწყურებდნენ და ფერადფერადი ფიქ-
რებით ცაში დაჰქროდნენ...

მამლებმა იყიველეს, მათ სადღაც
ძალიც შეეხშიანა და მათმყოფნებმა
ქალ-ვაჟი მიწაზე დააბრუნა. გორგა
წუხდა, ეს რა ჩავიდინეო, ამიტომ გან-
ძრევასაც კი არ აპირებდა. გიულიც
გონს მოეგო, მაგრამ მას არც წყენა
ეტყობოდა, არც სინანული.

— გორგა, ჩემო გორგა, ჩვენ საუკუ-
ნოდ ერთნი ვართ! ახალ აღამიანებს
რელიგია და ეროვნება ზღუდედ ვერ
ექცევა! რაც შენ დაგშორდი, რაც ზა-
ქათალიდან შინ დავბრუნდი, შენა ხარ
ჩემი რელიგია, ჩემი ხატიც! მხოლოდ
შენი სახე მიდგას თვალწინ, სულ ჩემ-
თან იყავი, სულ შენით ვივსებოდი!
ახლა კი შენ ჩემი ქმარი ხარ, ჩემი ქმა-
რი!

— გიული, ჩემს სიტყვებს ამბობ,
ჩემს სათქმელს იმეორებ, ჩემს გან-
ცდებს განიცდი!

ისინი ერთმანეთს ძლიერ მიეკვრნენ
და გორგას მკლავები ისე მარწუხები-
ვით შემოვჭდო გიულის, რომ ერთ-
ხორცად იქცნენ, როგორც ერთსულნიც
იყვნენ.

ტრფობის ქარიშხალმა რომ გადაი-
რა, ზღვა ჩამშვიდდა და შეყვარებულნი
რეალურ ცხოვრებას დაუბრუნდნენ.
ბიჭმა სუფრას მუსრი გაავლო. გიული
იციროდა და საჭმელს უმატებდა. მერე
ვაჟმა ნაბადი მხარზე მოიგდო და წასას-
ვლელად მოემზადა, სანამ ბნელა, ბი-
ჭებთან უნდა დავბრუნდო.

გიულის განუყრელად მასთან ყოფნა
უნდოდა, მაგრამ წასვლის დაშლა არ

შეეძლო. მათ ერთმანეთს ერთგულად
შეჰტიცეს, მალე შეხვედრა ინსტიტუტში
და ვაჟი გზას გაუდგა.

გაოგნებულ, უჩვეულო გრძნობამო-
რეულ, მოქანცულ გიულის ღრმად ჩა-
ეძინა.

გორგამ კი ჯერ კიდევ არსებული
სიბნელე იფარა და მაჰის ციხისაკენ
აიღო გეზი.

თითქმის ინათა, როცა გორგა მაჰის
ციხეზე ავიდა და გუშავს შეეხშიანა.
ბიჭები წამოიშალნენ და მეგობარს მიე-
სალმნენ. ყველამ შენიშნა, რომ გორ-
გა თუმცა დაღლილი იყო, მაგრამ არ
იმჩნევდა, ამასთანავე ისეთი სილადე
ეტყობოდა, ისეთი სიხარული დაუფლე-
ბოდა, რომ სახე ერთიანად უღიმოდა.
ბიჭებმა ერთმანეთს თვალი უყვეს და
ულვაშებში ჩაიღიმეს, მაგრამ თქმით
არაფერი უთქვამთ. გორგამ ბიჭებს
სთხოვა, დაწეკით, ერთ პირ ძილს კიდევ
მოსაწრებთო და ისინიც თავთავის აღ-
გილებზე მიწვნენ. მერე გორგამ ზაქ-
რო გვერდზე გაიყვანა, გაუცინა,
წვერი მოიფხანა და მხარზე ხელი დაა-
რტყა.

— ზაქრო, მომილოცე, ცოლიანი
ვარ!

— ცოლიანი? რომელ მღვდელთან
დაიწერე ჯვარი, შე ღმერთ-ძალლო!

— რა დროს მღვდელია? ანდა გიუ-
ლის მოლა და ჩემი მღვდელი როგორ
მოშველდებოდნენ? ჩვენი მღვდელი
ჩვენი სიყვარულია, ზედაც მტკიცე სი-
ტყვა!

— მაშ სულ ეგა კმარა ცოლის შესა-
რთავად?

— ბიჭო, მომილოცავ, თუ არა?

— გილოცავ, ძმაო, გილოცავ! ღმე-
რთმა ბედნიერი გამყოფოთ, გაგამრბე-
ლოთ!

— არც უმაგისობა იქნება. ეგებ კი-
დეც ვმრავლდები, რა იცი.

ზაქრომ ძმობილს გაკვირვებით შეხე-

და, მერე მივარდა და სიყვარულით შეანჯღრია.

— შენ აღარ ხუმრობ, ჩემო გორგა, გაბედნიეროს! კაცო, ყველაფერში უნდა გვაჯობო?

გორგა თეთრ კბილს აელვებდა, წვევს იფხანდა და მეგობარს დამორცხვებით უყურებდა. მერე სახიდან ღიმილი ჩამოიწმინდა და საქმიანი კილოთი იკითხა:

— სარდიონიდან ხომ არაფერი ისმის?

— არაფერი, წუხელ არაფერი მომხდარა და დღევანდელი დღე რასაც მოგვიტანს, ერთად გავიგებთ.

— მაშ ცოტას წავიძინებ.

— კარგს, იხამ, ღონეს მოიკრებ...

— ჰა, შენა? ნუ ეშმაკობ, თორემ!..

გორგამ ძმობილს შებღვირა, ვითომ გაუწყრა, ერთი მუჭკლუტუნიც უთავაზა და დასაძინებლად წავიდა. როგორც კი თავი მისდო, ჯანმრთელ, ახალგაზრდულ ღრმა ძილს მიეცა.

შუალამისას, როცა სოფელში ყველას ეძინა, გორგამ თავისი სახლის კარზე ფრთხილად მიაკაკუნა. არ გასულა წუთი, რომ შიგნიდან კარებთან ვიღაც ლასლასით მოვიდა და შეშფოთებით იკითხა, რომელი ხარო, გორგამ დედის ხმა იცნო და მღელვარება მოეძალა. იყუჩა, ხმა ვერ ამოიღო, ყელში ბურთივით რაღაც მოაწვა და ხმა დაუხშო. ორი თვეა შინ არ ყოფილა, ორი თვეა, დედის ხელით გამოგზავნილი საგზა-ლი და ლოცვა მოსდიოდა, მაგრამ მშობლიური კერა თვალთ აღარ დაენახა... შიშნარევემა ხმამ შიგნიდან ისევ იკითხა, ვინა ხარო, გორგამ ძალა მოიკრიბა და ჩურჩულით უპასუხა — დედი, კარი გამიღეო.

კარი გაიღო და შალმოხვეული ქალი შვილს გადაეხვია. მაგრამ მას პირზე ხელი მიაფარა და წაუჩურჩულა — ჩუმი, ნურაფერს იტყვიო. ოთახში რომ შევიდნენ და კარი ურდულით დაკეტეს,

მაშინ კი დედამ თავი ველარ შეიკავა და დაგუდული ხმით მოთქმა დაიწყო.

— დედა გენაცვალოს, შვილო! თავი მოგვანატრე, ერთხელ მაინც შემოგერბინა, ერთხელ მაინც თვალი მომეკრა შენი სახისთვის...

— კარგი, დედი, ახლა ხომ მოვედი. ამ ლაპარაკზე ყველა წამოიშალა. დედამ ფანჯრების დარაბები შეამოწმა, კარგად დაგმანა და ლამფა მერე აანთო.

მამა უხმოდ მოეხვია „ლომის ბოკვერს“ და ბეჭებზე ხელი მოუტყაპუნა. უმცროსი და-ძმანი გორგას ეხვეოდნენ და ეალერსებოდნენ. ისინი ერთმანეთს არ აცლიდნენ, რომ სათაყვანო ძმისათვის რაიმე ეთქვათ და მისი ყურადღება მიეპყროთ. გორგა გაოგნებული იდგა და ვის რას ეუბნებოდა, ვის ხელს ხვევდა და ვის კოცნიდა, ამის გაგება აღარ ჰქონდა.

დედამ შენიშნა, რომ ვაჟს წვერი მოზრდოდა, დავაყვაცებულებო და რაღაც ახალი იერი მიეღო. მოკითხვა და შეხვედრით გამოწვეული ყრამული რომ მოთავდა, დედამ ფუსფუსი დაიწყო, გეშოება და ახლავე სუფრას გავიწყობო. გორგამ ერთი კი იუარა, მაგრამ დედას ხათრი ვერ გაუტუნა, რადგან მან ისე სთხოვა, რომ უარი არ ეგებოდა.

მამამ ბავშვები მეორე ოთახში გაიყვანა და დაძინება უბრძანა. ისინიც გაისუსნენ, მაგრამ რა დააძინებდათ.

სანამ დედა სუფრას შლიდა, გორგამ ოთახი მოათვალიერა. პატარა მაგიდაზე, სადაც გორგას წიგნები ეწყო, მან უცხო რვეულები შენიშნა, დაინტერესდა და გადაფურცვლა დაიწყო. თანაც დედას ჰკითხა, ეს ვისი ნაწერებიაო, დედამ მიუგო, რომ ათიოდე დღით მათთან გაჩერდა და ცხოვრობდა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც ხალხში დადიოდა და მოხუცთაგან ზღაპრებსა და თქმულებებს იწერდაო. ძალზე კარგი ახალგაზრდა იყო, ჰკვირ-

ახსი ლაგოდალი
გორგა



ნი და განათლებული, მან შეწვევ მი-
თხა, სად არისო, ნეტავი როდისმე
გამაცნო თქვენი გორგაო. არკი ვიცი ვი-
სგან ვაიგო შენი ამბავი. ჰოდა, რომ
წავიდა, ბევრი ჩანაწერი წაიღო, მაგ-
რამ ზოგი აქ დარჩენია, მერე შევნი-
შნეო. მას ვინახავ, ეგებ მოგვკავითხოს
და უნდა დავახვედრო და გადავცეო.

გორგამ თვალი ვერ მოაშორა ერთ
რვეულს, რომელსაც ყდაზევე ეწერა—
„გაბაქერება მტკვართან“, გადაშალა და
პირველ გვერდზეც ეს სათაური ამო-
კითხა. შემდეგ კი წვრილი, გაკრული
ხელით ხუთიოდე გვერდიზე მსკდრედა
ტექსტი, რომელიც გორგამ სულმოუთ-
ქმლად გადაიკითხა.

დედამ შვილი რამდენჯერმე იხმო
სუფრასთან, მაგრამ გორგამ რვეულს
თვალი ვერ მოსწყვიტა, სანამ ნაწერი
ბოლომდე არ ჩაიკითხა.

აი, რა ეწერა იმ რვეულში:
„გაბაქერება მტკვართან“

„არაგვი! — იტყვის ქართველი კაცი
ამ სიტყვას და თვალწინ გადაეშლება
მოლურჯო ნაპირები, ატეხილი ქალები,
კამკამა ცა და ხან მქუხარე, ხან კი მო-
ჩხრიალე მდინარე, ხმოვანებით რომ მო-
ედინება და ყვება არაგველთა ამბავს,
ფხიზლობს და გვაფხიზლებს, მოდის და
გვამშვენებს...“

ამ სიტყვის თქმა და ნათელ სვეტად
აღიმართება ბარათაშვილი, ამ მდინა-
რის ნაპირები რომ შეამკო და იგი და-
მაშვრალი ქართველის დასასვენებელ
ადგილად გვიჩვენა, ალტაცების მიზეზად
და ჯავრის განქარვების მალამოდ წარ-
მოსახა.

გრძნობით ვიტყვით ამ სიტყვას და
წარმოგვიდგება მოხუცი ერეკლე, გა-
ტეხილი და მხრებში მოხრილი, არაგვის
ნაპირებს რომ მიაშურა და დიდი ფიქ-
რები აქ ვაიხლო თავის მსაჯულს...

ალბათ არაგვის წყალს დეწაფებოდ-
ნენ არაგველები, სანამ კრწანისში გმი-
რებად იქცეოდნენ. ისინი არაგვის ჭა-
ლაში მოიხრდილებდნენ, აქვე გადაპკრა-
ვდნენ საქართველოს სადღეგრძელოს,

მერე არაგვი ცხენებს შეაგდებდნენ
და მისი მხეფები კრწანისამდე
ვეს გაატანდა.

ბრძენი ვაჟაც ხომ არაგვისა და მისი
ხეობის ძუძუთია ნასაზრდოები. გენი-
ოსი პოეტი არაგვს დაუყვებოდა, თბი-
ლისში ლექსები რომ ჩამოეტანა და
ერთად ესაუბრა.

არაგვი მოდის საუკუნეთა გრძელ გზა-
ზე, არაგვი იბრძვის კლდიან ნაპირებ-
თან, არაგვი ამშვენებს და აცოცხლებს
არემარეს, არაგვი არწყულებს მის
შვილთ, არაგვი არაგვობს...

მაგრამ რა.. არაგვი მცხეთასთან
მთავრდება, მტკვარი ნთქავს მას და აქე-
დან არაგვობა აღარ ეთქმის, მერე
მტკვარია და არა არაგვი...

მცხეთის ქვემოთ, იქვე მახლობლადაც
კი, აღარავინ ამბობს, აქ არაგვიანი
მტკვარიაო. აქ თავდება მისი სახსენე-
ბელი, აქ მტკვარია და არა შენაერთო-
ბიანი მდინარე. ყველა შენაკადი ზომ
ჩამოვთვალთ მტკვარს, სად წავა
საქმე! კაცს მოკლე სიტყვა უყვარს,
მტკვარი მტკვარია და ლიხვიანი-არა-
გვიანი-ივრიანი-ალაზნიანი კი არა, უბრა-
ლოდ, მტკვარია..

ზღვა რომ ზღვაა, იმასაც თავისი
საზღვრები გააჩნია, თავისი მქუხარება
და მღელვარება ახასიათებს, თავისებუ-
რი ელფერი და მიმზიდველობა ამშვე-
ნებს, თავისი მკვიდრნი ყავთ, თავისი
სიღრმე და სიგანე აქვთ, მაგრამ ყველა
მითვანი ზღვად რჩება და განუმეორებ-
ლობას ინარჩუნებს.

ოკეანეს უფრო დიდი სივრცეები
აქვს, მისი ტალღები მთასავით მოგო-
რავენ, ის გოლიათია და თავისებური,
მაგრამ ამით ყველაზე პატარა ზღვაც
კი არ იჩრდილება .

ავთანდილ ამალღობელი

აი ეს ეწერა იმ სტუდენტის რვეულ-
ში და ხელსაც ასე აწერდა. ჰაბუკს სა-
ხე ისე გაულამაზდა, ისე დაამშვენა,
რომ დედა და მამა გაოცდნენ — ასე

როგორ დამშვენდაო. გორგამ დაბალი, ხავერდოვანი ხმით ამოიბუხუნა:

— ის ბიჭი, დედი, მართლა კარგი ყოფილა. მეც უარს არ ვიტყვოდი მის გაცნობაზე! რა ჰქვიანურად და დამაფიქრებლად წერს.

გორგამ დედას ხათრი ვერ გაუტეხა და გათლილ მაგიდას შემოიუჯდა. ცოტა წაილუკმა და წამოიღვა.

— მიდიხარ, შვილო?

— უნდა წავიდე, დედი, სულ ძალე დიდი საქმეები გველის. შინ ჯდომა ახლა არ მეპატიება. ძალე ახალი ცხოვრება გვექნება და მერე სულ ერთად ვიქნებით. თუმცა, დედი, მეც მინდა სტუდენტი გავხდე და ალბათ დაშორება კვლავაც მოგვიწევს.

დედამ სიტყვა შეაწყვეტინა.

— ოღონდ კარგად მყავდე, ოღონდ ხიფათი აგშორდეს და გინდ წლობით გავძლებ შენს უნახავად. მაგრამ ახლა რა მეშველება, შვილო. ცუდი ხმები დადის, ისევ არეულობაა მოსალოდნელი. ამ ბალებს რა ვუყოთ. მამაშენმა ავანგის დასაღობ ფარდულში ჩაზიდა ფიცრები, ტახტებად გააწყო, ნაბადები და ფარდაგებიც იქ ჩაიტანა, სანოვაგეც და წყალიც მოიმარაგა. ამბობს, თუ სროლა ატყდება, დედაშვილიანათ იმ სარდაფში ჩამალავთო. ხალხში ათასი ჭორი დადის: ბოშევიკები მოვლენ და ყველას დაგვბოცავენო.

გორგამ წარბი შეკრა, წვერი ჩამოიფხანა და დედას ხელი თბილად დაადო.

— ეგ ყველაფერი ჭორია, მენშევიკები ავრცელებენ მაგ ხმებს! ბოლშევიკები მტრებად კი არ მოვლენ, არამედ მოყვრებად, მხსნელებად ახალი ცხოვრების ასაშენებლად! ჩვენც ამისთვის ვეშხადებით.

გორგა მგზნებარედ ლაპარაკობდა, მის ხმაში ფოლადი ქლერდა, ხოლო თვალებიდან ნაპერწკლები ცვიოდა.

მაგრამ შენიშნა შვილის გზნება და ჩაიღიმა, მერე მივიდა და ვაჟს გადაეხ-

ვია. ამან გორგა დაახნია, მას ისეთი მგრძნობიარე მამა ჯერ არ ენახა. რაღაც თბილად მოედო მთელ სხეულს, უჩვეულო გრძნობა მოერია.

დედა შვილს მკერდს უკოცნიდა და თან თავშეკავებულად ფშლუკუნებდა.

— ჩემო შევარდენო, ჩემო არწივო, შენ იცი და შენმა ბიჭობამ! გაფრთხილდი, შვილო, წინდაუხედავი ვაჟკაცობაც კი დასაძრახია და საშიში, ხიფათს არ გადაეყარაო, არ დაგვღუბო...

— ნუ შიშობ, დედი, ნუ შიშობ!

— მამი, აბა კარგად იყავით! სარდაფში ბავშვების გახიზნა ეგებ ძალე მოგინდეს. არ დაიბნეთ!

გორგამ გრძელი მკლავები ორივეს მოხვია, მკერდზე მიიზიდა, მიიხუტა და მერე სწრაფად შეტრიალდა, კარი გამოაღო და სახლიდან გავიდა.

შინ დარჩა შიში და დარდი. სოფლის ორღობეს კი გორგა ბიჭი მფრინავი ნაბიჯებით ამოკლებდა.

ის დღეც გათენდა.

განთიადიდანვე სოფელს უჩვეულო იერი მიეცა. ისევ თოვდა, მაგრამ მზე ნინიგორიდან გადმოდგომას მაინც აპირებდა. ბინდი და ნათელი ადრე შებმოდნენ ერთმანეთს. ახლა ნათელი გამარჯვებას ზეიმობდა და ფაფუკ თოვლს მზის სხივებზე ბზინვა უკვე დაეწყო. ჩამი-ჩუმი არსად ისმოდა, რადგან ზამთარში სოფლადაც კი ხალხი გვიან იღვიძებს და მოგვიანებით იწყებს ფუს-ფუსს. საღდაც კანტიკუნტად მოისმოდა მოშიებული ხბოს შეხმუვლება, რასაც ძროხის ბლავილი გაეპასუხებოდა, მერე ეგაც მიწყდებოდა და კვლავ შეკუმშული გაყინული ჰაერის უძრავი გარინდება დაისადგურებდა.

სიჩუმე მოულოდნელი თოფის სროლამ დაარღვია და ტყვიამფრქვევს ეცნენ, ამბავს კითხულობდნენ და გარ-

აახი ლაგოდევი
გორგა

კვევით რომ ვერაფერს იგებდნენ, ტყვიას თავს არიდებდნენ, სახლებსა და საზღაფებში იკეტებოდნენ.

ყველაფერი კი ასე დაიწყო.

ახერბაიჯანის საზღვარზე მდგარი მენშევიკთა ჯარი ცოტა ეწინააღმდეგებოდა წითელი არმიის ნაწილებს, მაგრამ დამით იქაურობას გასცლოდა: ზოგი თბილისისაკენ წასულიყო, ზოგი კი თავთავის სახლებს დაბრუნებოდა.

ინათა თუ არა, ლაგოდებელ ბოლშევიკთა გუნდი, რომელშიც გორგა და მისი მეგობრებიც ერივნენ, ახერბაიჯანიდან მომავალ წითელ არმიას საზღვარზე გაეგება და საქართველოში მასთან ერთად შემოვიდა. წითელი არმიის ნაწილებს წინ მოუძღოდნენ ზაქათალაში მყოფი ქართველი ბოლშევიკები, რომელიც ადრე მენშევიკთა დევნას გასცლოდნენ, ახლა კი სამშობლოში სიხარულით ბრუნდებოდნენ. წინამძღოლთა შორის იყვნენ გიორგი, დიდი ნიკა, სხვა მრავალი ბოლშევიკი, რომელთაც ახლა სარდიონი, გორგა, მისი მეგობრები და მრავალი სხვა ლაგოდებელი შეერთებოდა.

მაგრამ ადგილობრივ მენშევიკებს, რომელთაც ფანატურად სწამდათ საქართველოს „დემოკრატიული“, თავისუფალი რესპუბლიკისა, უკანასკნელი გაბრძოლება გადაეწყვიტათ, თუმცა ეს იყო განწირულთა ფართხალი.

ერთი ორლობის კუთხეში, ყორეს ამოფარებოდა ფიფო და ტყვიამფრქვევს აკაკანებდა. ფიფოს გვერდით ედგა ათანა და რამდენიმე ამხანაგი, რომელთაც ბერძანები და შაშხანები მოემარჯვებინათ, ღამეს ამოფარებოდნენ და იქიდან უშენდნენ განმათავისუფლებლებს. ფიფო უშევრ სიტყვებს გაიძახოდა, „ბოლშევიკ გამცემლებს“ ავიწყებდა, იქაღნიდა: „საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას არავის დაუეთმოებ, სანამ პირში სული მიდგას!

მეთაურმა შეჩერება და საფარის მოფარება ბრძანა. უგუნებურად წინ-

ვლა გაუმართლებლად მიიჩნია, სანამ სიტუაციაში არ გაერკვეოდნენ.

გორგამ, ზაქრომ და ორმა წითელარმიელმა, მეთაურს ბრძანებით, ყორეს ზემოდან წამოუარეს და მოწინააღმდეგეთა ძალები დახვერეს. გორგამ და ზაქრომ ფიფო და მასთან მყოფნი იცნეს, ისინი ათიოდე თუ იქნებოდნენ. გორგამ წითელარმიელებს უკან გაბრუნება და მეთაურთან ამბავის მიტანა სთხოვა, თვითონ და ზაქრო კი ორლობის მეორე მხარეს მდგარ ქვიტკირის კედელს ამოეფარნენ და იქ გამაგრდნენ. შეთანხმებულ ნიშანზე, რაც წითელარმიელებთან დათქვეს, გორგამ და ზაქრომ ფიფოს ზურგს უკან ცეცხლი გახსნეს; ხოლო ჯარმა იმწამსვე წინ წასვლა იწყო.

ფიფო და მისი გუნდი ხაფანგში გაბმული ნადირიჯთ გამძვინვარდნენ და ზოგი გორგას უშენდა ტყვიას, ზოგი კი მათზე წამოსულ წითელარმიელებს.

ამ სროლის ხმამ და ტყვიის კაკანმა გააღვიძა, სოფელი, ამან დაარღვია ზამთრის დილის დაძაბული სიჩუმე...

როცა წითელარმიელები ორლობის კუთხეს მიაღწენ, ნახეს, რომ ფიფო თავის ტყვიამფრქვევს ჩაჰკეროდა და ისე გაყინულიყო. იქვე რამდენიმე ახალგაზრდა უსუსლოდ ეგდო და ღია თვალებით ცას შეჰყურებდნენ.

ჯარმა წინსვლა განაგრძო. წინ იღო სიღნაღისა და თბილისისაკენ მიმავალი გზა.

გიორგი, დიდი ნიკა, სარდიონი, გორგა და მისი მეგობრები ლაგოდებში დარჩნენ, რათა ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება დაემყარებინათ.

გორგა, ზაქრო, ილო და სხვა ახალგაზრდები ცხენებზე შესხდნენ და, დიდი ნიკას დავალებით, სოფლის ორლობეებსა და შუკებს მოედვნენ. ისინი აღფრთოვანებითა და დიდი ხმით გაიძახოდნენ:

— მეზობლებო, გამოდით, სახლებში ნუ ჩაკეტულხართ, გილოცავთ განთავისუფლებას, გილოცავთ საბჭოთა ხელისუფლებას!

სამალაგებიდან გამოსული ადამიანები ხედავდნენ მოლიმარ წითლარმიელებს, მათ კეთილ სახეებს, რომელთაც კაცისჭამიობისა არაფერი ემჩნეოდათ, ხალხი თანდათან ხვდებოდა, რომ მენ-შევიკები მათ ატყუებდნენ. ეჭვები თანდათან იფანტებოდა და ნდობა სძლეოდა შიშს.

ბიჭები კი ისევ ცხენებს დააჭენებდნენ და ხალხს გამარჯვებას და ახალი ცხოვრების დადგომას ულოცავდნენ.

თოვა გადაიღო. მზე დიდებულად გადმოდგა დაღესტნის მთებიდან. დილის სუსხი გატყდა, სითბომ იძალა და

არემარეც თვალწარმტაცად გადაკაშკაშდა.

ხალხი გუნდ-გუნდად მიეშურებოდა სკოლის ეზოსაკენ, სადაც სახელდახელო მიტინგი გაიმართა. გიორგი და დიდი ნიკა სკოლის აივანზე ასულიყვნენ და თანასოფლელებს ახალ ცხოვრებაზე, ძმობასა, ერთობასა და თანასწორობაზე ელაპარაკებოდნენ, სოფელში საბჭოთა წყობილების მოწყობის გეგმებს უსახავდნენ.

შორიდან ისმოდა თბილისისაკენ მიმავალი წითელი არმიის გუგუნა სიმღერის ძლიერი ხმა.



იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ფ ა უ ს ტ ი

მ ი ძ ლ მ ნ ა¹

კვლავ ჩემთანა ხართ მინავლულო ხილვებო ყრმობის, სიზმარივით რომ მახსოვს თქვენი მიმქრალი ლანდი; შეძლებს კი გული—ხმა შევეუწყო იმ პირველყოფილ და იმ შორეულ სიჭაბუკის ფიქრსა და წადილს!? აღარ მასვენებთ... მაშ, კეთილი! სხვა გზა არაა, — შემომხვევიხართ ნისლების და ღრუბლების გროვად... კვლავ ჭაბუკურად შეატოკა, შეაქანავა გული მაგ თქვენმა ჯადოქრულმა ნისლების ქროლვამ.

კვლავ ჩემთანა ხართ იმ მხიარულ დღეთა ფერხულით, ყველა აჩრდილი სახუკეარი ერთად მოგროვდა და მახსენდება, ვით ზღაპარი მივიწყებულნი, პირველი იგი სიყვარული თუ მეგობრობა.² პირი ეხსნება ძველ იარებს... და ცრემლით მალბობს ცოდვა და ბრალი ამ ცხოვრების თრომტრიალის — იმ საყვარელ და უძვირფასეს სახელთა გამო, თვალდახელშუა რომ მტაცებდა ბედი ტიალი.

ვისაც ხიბლავდა ჩემი ჩანგის ძველი პანგები. — ვეღარ მოისმენს ახალ პანგებს ამიერიდან...³ შემომეფანტენ მეგობრები ძალით განგების, აჰა, იმ ჩანგის ექოც მიწყდა და მიიჩინდა. და მარტოსული უცხო ბრბოსთვის ვგოდებ მხოლოდლა, და ტაში მათი ეკლებივით მზურძღლავს და მზარავს; თუკი ვინ შემრჩა მეგობარი თითოროლა — ვინ სად და ვინ სად, — დაბნეული ეღება შარას.

და პა, გაღვივდა ნავლი უკვე მიმქრალი ლტოლვის, მეძახის მყუდრო და ნეტარი საუფლო სულთა; და ჩემი ჩანგის ბუნდოვანი, დულუნა ტონი გაისმის, როგორც ეოლთსის სიმღერა სუფთა. სულითხორცამდე შეძრული ვარ... და დაპაღუბით ჩამომდის ცრემლი, მკერდიც ნაზად ადის და ჩადის; და რაც ხელთა მაქვს, — ის გამქრალი მგონია უკვე. და რაც გამქრალა, — სინამდვილე მგონია ცხადი.

დირექტორი:

გული შეგტკივათ ამ თეატრისთვის,
ჭირში და ლხინში იმედი ვართ ერთიმეორის, —
გერმანიის და კვალბაზე, დღეისდღობით,
როგორ ავაწყით საქმე, რას იტყვიან?
უნდა მოვიგოთ ამ ბრბოს გული. მე მიმანია, —
მაგათ გარეშე ჩვენ არც გზა გვაქვს და არც სახსარი.
სცენა მზადაა, დადგმულია დეკორაციაც
და ყველა ელის წარმოდგენას გულისფანცქალით;
დაუცქვევით სავარძლებში მარჯვედ ყურები,
ფარდის გახსნა და, მყისვე ტაშსაც გაახურებენ.
მე ვიცი მათი ხასიათი, როგორც არავინ
და მაინც ვღელავ... და ჯერ ასე არც მიღეღვია:
მათ უკეთესი არც უნახავთ და არც მალავენ,
მაგრამ წაკითხვით, წაკითხული ბევრზე ბევრი აქვთ.
როგორ მოვიქცეთ, რომ ეს დადგმა ჩვენი ზიარი
ახალიც იყოს, თან აზრიანიც.
არ მიჩვენია არაფერი იმის ყურებას,
თავბირს რომ იმტვრევს ბილეთისთვის ხალხი თეატრში;
ვიწრო შესასვლელს რომ აწყდება დაუსრულებლად,
ვით სასუფეველის აღსავლის კარს, ჯგლეერთა-გნიასით.
განა ერთხელ და განა ორჯერ, — მინახავს ხშირად,
შუადღიდანვე წყვეტა იყო საღაროებთან;
გადადიოდნენ ერთმანეთის კისრებზე ყირას,
ვით დამშუელნი ლუკმა პურის მოსაპოვებლად.
რამე ისეთი, გულსა და სულს რომ შემოინთოს,
მხოლოდდამხოლოდ პოეტს ძალუძს. აბა, პოეტი!

პოეტი:

ო, მაგ ჭრელ ბრბოზე, თუ ღმერთი გწამს, ნურაფერს მეტყვი!
მისი შემყურე თავს ვერ ვუყრი აზრსა და რითმებს.
ვისა აქვს თავი უთავბოლო ამ გნიას-ჯგლერთის, —
გინდა არ გინდა, — თავის მღვრიე მორევში გითრევს.
არა! მშვიდ, ციურ სავანეში აღმითქვი ყოფნა,
სადაც წმინდაა სიხარული, როგორც ემბაზი.
სად ტრფობა მართლაც რომ ტრფობაა, და ძმობა-ძმობა,
ღვითთ კურთხეული ლოლიაეში და ფერებაში.

ვაი რომ, რასაც გვეუბნება ასეთ ღროს გული,
და რასაც თრთოლვით ლულულეებენ ბაგენი ჩვენი, —
იმ წუთას კიდეც რომ აგვიხდეს, არ უნდა წკრუნი,
გაქრობს, ხვალ-ზეგ დავიწყების მსახვრალი ხელი.
იგივე გულისტქმა, მინავლული გულში ფიქრებად,
მერე ღვივდება სრული ხაზით, წლები რომ გადის...

რაიც ბრჭყვიალებს, დღეს არი და ხვალ არ იქნება!
და რაც ნაღვლია, იგი ხვალაც იქნება ნაღვი!



კ ო მ ი კ ო ხ ი:

აი მაგ ხვალის გაგონებაც არ მინდა ხოლმე.
მეც რომ ხვალისთვის დამეხარჯა ძალა და ღონე,
ვინ შეიქცევდა დღეს ხალსს? რაა ამაში ცუდი? —
სადაც ხარ, თავზეც იქაური დაიდუ ქუდი!
ვისაც აქვს ამის მარიფათი და შნო პაწია,
გინდ ასე თქვი და გინდ ისე თქვი, დღეს ის კაცია.
თუკი სუყველგან ტაშს გიკრავენ და მიგელიან, —
ამ ერთი მუჭა ბრბოს მოხიბლვა, რა სათქმელია;
ეს ბრბო კი არა, რომ შეჭყარო ხალხი მილეთის,
ასეთ კაცს, თუ აქვს, მაშინა აქვს თავის იმედი!
მაშ ასე! ცოტა მარიფათი! მიდექ-მოდექით! —
მოიშველიეთ ფანტაზია მცირეოდენი —
გრძნობა იქნება თუ გონება, განცდა თუ ჭკუა,
და თავის მოსულელებაზეც ნუ იტყვი თ უარს!

ღ ი რ ე ქ ტ ო რ ი:

რაგ შეიძლება — მოქმედება! ხალხი თეატრში
მარტოდენ თვალის საამებლად მოდის, ნუ ღუღავთ...
მოდრობათა ქაოსში და რია-რიაში
გაოგნებისგან სახტად უნდა დარჩეს სუყველა.
ტაში თუ გინდათ, აი მაშინ გექნებათ ტაში,
და აგიყვანენ ქებითა და ღიდებით ცაში.
ხალხი მასაა, და ეს მასა თხოულობს მახას,
რომ, ვისაც რა სურს, აირჩიოს ყველამ საკუთრად;
თუ იგულუხვებ, მაშინ მშრალზეც არავის დახვამ
და კმაყოფილი წავა ყველა, რაღა თქმა უნდა.
მთელს მთლად ნუ გასცემთ, — დაუყავით როგორც სადილი,
დიდი ექნება მოწონება ასეთ შეჭამანდს.
თან, ასე ფიქრიც ადვილია და თქმაც ადვილი...
ან რა აზრი აქვს მთლად გაცემას, როცა ერთ წამას
დაინაწილებს ამ მთელს ეს ბრბო, კაი მწვადივით.

პ ო ე ტ ი:

ნუთუ ვერა გრძნობთ, — არ შეჭფერის ეს ნაღვ ხელოვანს, —
რის მაქნისია ხელოვნური ასეთი სცენა!
მე ისე ვატყობ, ვერ სცილდება თქვენი მსჯელობა
მჯღაბნელებს, ვიღაც-ვიღაცეებს — გაკრეფილთ ენად.

ღ ი რ ე ქ ტ ო რ ი:

მაგ საყვედურით ტყუილად სტებს დაფს და დაირას!
საქმეს რომ იწყებ, ისიც უნდა აწონ-დაწონო —
ამ საქმეს როგორ მოეგლება და რანაირად.

ღია კარი გაქვს შესამტვრევნი, ჩემო ბატონო!¹⁵
ვისთვის წერ? აბა გადაავლე თვალი მარაქას! —
დროს მოსაკლავად გამოვიდა ზოგი სახლიდან,
ზოგმა კი აი, ეს წუთია, რაც მიაღაგა
ნაირნაირი საქმელებით სავსე მაგიდა.
ზოგი კი მოდის სალაცხოდ და სალაპარაკოდ
გაბრუებული გაზეთებით და სისულელით.
ცნობისმოყვარე ფაცი-ფუცით, ვით მასკარადზე,
მოიჩქარიან ფრთაშესხმულები.
აი ქალებიც! — რათა კაბა-სამკაულების
წარმოადგინონ კულისებში უფასო დაღვმა.
რას აიჩემე, — სულ ზეცისკენ რომ იყურები!
ან ამათ სხვაფრივ რით მოგხიბლეს, რას ელი მათგან.
შეხედე ერთი, გადახედე მაგ შენ ქომაგებს! —
ცივი, უხეში სახეები აქვთ ამ საქმოსნებს...
ერთი სული აქვთ სკამებიდან წამოდგომამდე, —
შეაგვიანდა ვის მეძავთან და ვის — ბანქოზე.
პოდა, მუზებსაც რად ვაწუხებთ! ღირს კი ამათთვის
აუტკივარ თავს ვიტკივებდეთ ძალისძალათი?!
მოქმედება და მოქმედება! ბლომად და უხვად!
რომ ყველას თავგზა აერიოს ორომტრიალით!
სხვა დანარჩენზე დარდი ნუ გაქვთ, ნურაფერს სწუხართ...
რა მოგივიდათ? მეთანხმებით თუ ფხუკიანობთ?

პოეტ ა

წადი და ვინმე სხვა მონახე ყმა-ყურმოჭირლი!
დიად უფლებას — უზენაესს, მიყრობელს ყოველთა,
ღვთიურ ნიჭს და მადლს შეაგინოს უნდა პოეტმა,
შენს დაკრულზე რომ დააქნოს თავი მორჩილად!
რითი, რით ხიბლავს გულსა და სულს ათაგებისას?
რით აჯადოებს ასე ყველას მგოსნის სიმღერა, —
თუარ იმ ჰანგით — მკერდიდან რომ მოსჩქეფს ნებისად
და მონუსხული ხამყაროთი მკერდშივ იღვრება!
კაი მრთველივით თითხიტარზე დედაბუნება
ძაფს ცხოვრებისას გულგრილად რომ ართავს და ართავს,
და უთავბოლო ღრიანცველით, დაუსრულებლად
ბრბო რომ ირევა სიკვდილის და ხიცოცხლის კართან, —
წესრიგის პოვნის, ამ ქაოსში, ვისა აქვს ღონე?
ვის შეუძლია მწყობრი სახე მისცეს ამ წესრიგს?
ვის ძალუძს, თავი მოუყაროს ცალკეულს ყოველს
ერთ საერთოში, ერთ შეწყობილ ჰანგში და ფერში?
ვინ მისცა ვნებებს ქარიშხალთა სუნთქვა და ღონე?
ჟამი მწუხრისა ვინ გვაუწყა მთელი სიცხადით?
ვინ? გაზაფხულის ყვავილებით ვინა რთავს ხოლმე
სატრფოს გზასა და ნაფხურებს ციდან მიწამდი?
ვინა წინას გვირგვინს სულ უბრალო, მწვანე რტოებით
ამ ქვეყანაზე ყოველგვარი გმირობის ჯილდოდ?

ვინა პყრობს ოლიმპს? ან ამ ღმერთებს განმარტოებულთ?
ძალა მოდგმათა — დაგროვილი პოეტში თვითონ!

ქო მ ი კ ო ხ ა :

მაშ რას უდგესართ! — თუკი ღონეც შეგწვევთ და ძალაც,
რა გახდა ერთი პოეტური პატარა ღრამა!
არ უნდა დიდი ამბავი და ავან-ჩაფანი:
გადაყვრება აგერ ხაღლაც მაგანს მაგანი,
გაეცნობიან, გაივლიან, გამოივლიან —
უკვე ხულ სხვაა მწვანე მიწა და ცა ლივლივა...
ბედნიერება, სინანული, იჭვი მომავლის...
მოიხედავენ და ჰა! — ესეც შენი რომანი!
აი, ასეთი უნდა შეჰქმნათ პიესა თქვენაც,
თან — ცხოვრებიდან უნდა იფოს ყოველი სცენა, —
კი ვცხოვრობთ, მაგრამ როდი იცის ცხოვრება ყველამ,
მოგვცათ ღებნა, — აქეთ ჰქონდეთ ყური და სმენა!
ჭრელ-ჭრელ აქეთურ-იქითურში — სინათლე ცოტა,
ბევრი სიფალბე, — შიგ სიმართლვეც ბეუტავდეს ოდნავ!..
ასე ამგვარად, შესანიშნავს მიიღებთ ხასმელს,
სიამოვნებით მიარტყამენ თახეზზე თახებს.
ასეთნაირი თამაში და გულახდილობა
ახალგაზრდებსაც მიიზიდავს აუცილებლად:
დაცხრებიან თქვენს ამ დადგმას უცებ ქორივით,
რომ გამოსწოვონ გრძნობით სარჩო მელანქოლიის;
ზოგს ეს უნდა და ზოგს ის უნდა, — ასეც იქნება —
ცხადლივ იხილავს, ვისაც რა აქვს გულში ფიქრებად.
მათ შეუძლიათ სიხარულიც, ოხვრა-ქვითინიც,
იდუალებიც იტაცებთ და ზიზილ-პიპილოც;
რით გააკვირვებ, ვინც მოჭამა თავისი დღენი;
ვინც მოზარდია, — მადლობელიც იქნება შენი.

პო ე ტ ა :

მაშ დამიბრუნე მეც ის დღეები,
როს თვით ვიყავი ბიჭი თავნება;
როს ამ გულიდან გაუნელებლივ
სჩქეფდა სიმღერა და ნეტარება.
ბურუსად მედგა როს წინ სოფელი,
და კვირტის გაშლაც რომ მათცებდა;
აღაღანებულ ველზე მოფენილ
ყვავილს ვკრეფდი და ვდგამდი ბორცვებად...
თავი მომქონდა, კმაყოფილის მქონდა იერი,
ჭეშმარიტების ძიებით და ილუზიებით.
ჰა, დამიბრუნე გაუხუნარი
ბედნიერება, ხულს რომ აწრთობდა —
მიჯნურის ძალა, ზიზლის უნარი,
ჩემი ტკბილმწარე ყმაწვილკაცობა!

კომიკოსი:

ყმაწვილიკაცობა, ღმერთმა მოგცეს, იყოს მისწრება,
თუ დაჰკრა ჟამმა მტერთან შებმის, მკლავის ხმარების;
თუ ფუქსავატურ თავდავიწყებით
თავს გაბეზრებენ ლამაზმანები;
ანდა, — გაქაფულ მარათონში, — ვინც ვის მიასწრებს,
დაფნის გვირგვინი გამარჯვების რომ ელოდება;
თუ დააღამე ცეკვა-ტრიალში
და ღამეც გინდა გაათენო სმამი ლოთებთან,
მაგრამ ჩამოკვრა ნაცნობ ლარებზე
სამოდ, ტკბილად, როგორც ნანინა —
და გაბრუებით და ნეტარებით
ჰქმნა საწადლისა — თქვენი ვალია!
სულ ტყუილია, ბავშვდებო მოხუცი ბოლოს,
ჩვენ სიბერემიც ბავშვები ვართ, — ესაა მხოლოდ!

დირექტორი:

კმარა! რა ღობე-ყორეს ვედებით,
საქმეს შევეუდგეთ ახლა, შეეშვით!..
ისე, ვე თქვენი კომპლიმენტები
გამოგვადგება რაღაცეებში.
ეს აღმაფრენა რომ აიჩემეთ, —
მერე ამდენ ხანს რამ გაგაჩერათ!
ელოდეთ, ვიდრე გამოგიწერენ! —
თვით უნდა გქონდეს ეს აღმაფრენა!
თქვენ კარგად იცით, საქმეს რა შველის —
კაი მაგარი გვინდა სასმელი.
ჰოდა, ადექით, მიდექ-მოდექით,
და შეუდექით საქმეს ხალისით;
დრო არ დაჰკარგოთ მცირეოდენიც,
დღეის საქმეებს ნუ სდებთ სვალისთვის.
მხოლოდ გაბედა! მერე თქვენ იცით! —
ხელში მოგყვებათ სუყველაფერი!
კარგი იქნება ჩვენი სცენისთვის
მცირე რამესაც თუ მიაგენით.
მოგეხსენებათ, გერმანულ სცენას
უყვარს ცდები და გაწამაწია.
ნუ დაიშურებთ ნურაფერს თქვენაც,
ნურა მანქანა-დეკორაციას,
მიუშვით შუქი მზის და მთიების
და ვარსკვლავების სხივი ციური;
წყალი და ცეცხლი, ტყე უსიერი,
ფრინველ-მინველი, ტყიურ-მიური...
პატარა სცენამ უნდა დატიოს
მთელი სამყაროს ზნეც და ბედი-სვეც.
რომ ერთი დაკვრით გადავაკვლიოთ
ციდან — მიწაზე — ჯოჯოხეთისკენ.⁶



1). „მიძღვნა“ დაწერილია 1797 წელს. ამ დროისათვის გოეთე 50 წლამდე იყო მიტანებული; „ფაუსტის“ დაწერის იდეა და სურვილი კი უმაწვილკაცობაში — ოცი წლის ასაკში — ჰქონდა. ამიტომაც, „მიძღვნა“ 50 წლის პოეტის სულიერი ღიადისია სიჭაბუკის-დროინდელი ფიქრებისა და განცდების დასაბრუნებლად და კვლავ სახილველად. სხვაფრივ, მას არავითარი ორგანული კავშირი არა აქვს ტრაგედიასთან და წარმოადგენს დამოუკიდებელ ლირიკულ ნაწარმოებს.

2). აქ პოეტი გადაკრულად ლაპარაკობს თავის სიჭაბუკისდროინდელ პირველ სიყვარულზე — ალბათ, ბრიონთან და ლილი შონემანთან.

3). გოეთე გულისხმობს თავის უკვე აწ გარდაცვლილ მეგობრებს: მერკს — ლიტერატორს (თავი მოიკლა), ლენცს — პოეტს (გაგიჟდა და გარდაიცვალა), დას — კორნელიას და მეგობარ ქალს—შარლოტა კლემენბერგს (ორივენი ადრე გარდაიცვალნენ).

4). „პროლოგი თეატრშიც“. დაწერილია 1757 წელს. ვარაუდობენ, რომ ფორმით იგი დავა-

ლებულია ინდურ დრამა „შაკუნტალადან“. რომელსაც გოეთე დიდად აფასებდა („შაკუნტალასაც“ წინ უძღვის პროლოგი — თეატრის დირექტორისა და მსახიობი ქალის დიალოგი). ერთი კი ცხადია: პროლოგში გადმოცემულია გოეთეს პირადი შეხედულებები და აზრები.

5). ღედანშია — *lhr habet weiches Holz zu spalten* — (თქვენ რბილი შუშა გექნებათ დასაბობი). ეს სიტყვები შებრუნებული ფორმა ანდაზისა — „*Hartes Holz bohren*“ — დირექტორს უნდა თქვას, რომ ხალხის (მყურებლის) მონადირება ადვილია.

ჩვენს თარგმანში აზრის უკეთ გამოხატვის მიზნით და ქართული ლექსის ბუნებრივობისათვის გამოვიყენეთ ქართული ანდაზა სათანადო ფორმით.

6). აქ მინიშნებაა ძველ მისტიურ სცენაზე, მისი ერთი მხარე სამ სართულად იყოფოდა: ზედა გამოხატავდა ცას, შუა—მიწას და ქვედა—ჯოჯოხეთს.

ამით გოეთე ხაზს უსვამს ტრაგედიის მოქმედების ფართო არესა და დიაპაზონს.

თარგმანი ზიმზანულიან
იორამ ქვიმერტილიძის



საგზო მიგაური

ინსალი ნოვასტოკიები და მისი მიგაუკრები

— როგორაა საქმე, გივი? — ეკითხები ზომე ყოველ შეხვედრისას გივი რომინსთაველს, ცნობილ ინსულ ნოვატორ მუშას, ფესხაცმლის საძირე დეტალების გამომკრელს.

— საუტხოოდ, — მხნელ მკასუხობს ისიე და იწყება ჩვენს შორის გაცხოველებული საუბარი საწარმოს საქმიანობაზე, ახალ ამბებზე, მომავლის გეგმებზე.

გივისთან საუბარი მეტად სასიამოვნოა. ვერც კი შეამჩნევ, ისე გაირბენს სასადილო შესვენებისას, ჩვენი ხანმოკლე შეხვედრის წუთები. როგორც უტრნალისტს პირდაპირ ბედი მწყალობს: ჩემი ნარკვევის გმირთან შესახვედრად არც მივლინების აღება მჭირდება და არც შორეულ ადგილებში გამგზავრება — იგი აქვეა, ჩემს გვერდით. საკმარისია მეორედან პირველ სართულზე ჩახვიდე, რომ უზარმაზარ საამკროში, მოგრიალე მანქანებთან შეხვდე. გივის სამუშაო ადგილს შორიდანვე მიაგნებ — აღისფერ ტრანსპარატზე ოქროსფერად კიაფობს წაჩურება: «ჟ მუშაობს კომუნისტური შრომის დამკვერელი გივი რომინსთაველი!»

დროსაც, როცა გინდა, მაშინ გამოჩნაზე, ჩვენ ხომ ერთ საწარმოში — თბილისის ფესხაცმლის ფაბრიკა «ინანიში» ვმუშაობთ.

გივი რომინსთაველის სახელი, როგორც ნოვატორი მუშისა, არა მარტო ფაბრიკაში, არამედ მთელს რესპუბლიკაშია ცნობილი. გამომკრელის შრომატევად საქმიანობასთან ერთად, გივის, როგორც დეპუტატსა და პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრს, ბევრი საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულება უხდება. მიუხედავად ამისა, არასოდეს მოგვერიდება მისი შეწყუბება. პირიქით, გივის თავმდაბლობა, გულითადობა ყოველთვის ვანაწყობს კაცს საინტერესო საუბრისათვის.

საძირე დეტალების გამომკრელი — არის ასეთი პროფესია ფესხაცმლის ფაბრიკაში. არც

თუ ისეთი შესამჩნევი და სახარბიელო, რომ ახალგაზრდა კაცს გული აუჩქროლდეს მის დასაუფლებლად. ფესხაცმლის საძირე დეტალების გამოკვეთა-გამოკრა მეტად ერთფეროვანი ოპერაციაა: სატვირთო მორზე დადებულ ტყავის ნაქერს საჭრის მთელმარჯვებ, დააქერ სატერფულს ფეხს, მძლავრი წნეხი შექანდება, ყრულ გაიხმაურებს და ფესხაცმლის საძირეც მზადაა.

მაგრამ კარგად მოგვეხსენებთ, ადგილი და პროფესია კი არ ამშვენებს ადამიანს, აზამედ პირიქით.

წელს, ინვარში ისინელებს სტუმრად ეწვია მოსკოვის ფესხაცმლის ფაბრიკა «პარიზის კომუნის» ნოვატორი მუშა, ფესხაცმლის საძირე დეტალების გამომკრელი, სოციალისტური შრომის გმირი ლიუდმილა რუმიანცევა. იგი დიდხანს იდგა გივის დაზგასთან, ყურადღებით აკვირდებოდა მის მუშაობას და ბოლოს აღტაცება ვეღარ დამალა — მე მოხიბლული ვარ გივის ხელებითაო.

მართლაც, ძნელია უყურო გივის მიერ სამუშაო ილეთების დახვეწილ და არტისტულ შესრულებას და არ მოიხიბლო. გივის მოძრაობაში ყველაფერი გამოზომილი და წინასწარ გათვალისწინებულია. სამუშაო დაზგასთან ყველაფერი თავისი ადგილი აქვს მიჩინილი — ტყავსაც და საჭრისებსაც, გამოკრილ დეტალებსაც და სამუშაო იარაღებსაც. და აი, უკვე ათი წელია, ყოველდღიურად დგება სამუშაო დაზგასთან გივი რომინსთაველი — ფესხაცმლის საძირე დეტალების გამომკრის ცნობილი ოსტატი.

არაფერი არ შეცვლილა ამ ათი წლის მანძილზე: იგივე სამუშაო მანქანა, ისეთივე ტყავის ნაქერი, სატვირთო მორი, წნეხი, საჭრისები, ერთი შეხვდით, ერთფეროვანი, მონოტონური ოპერაცია მათთვის, ვისაც არ შეუძლია სული ჩაუდგას, გაათბოს, შემოქმედებითი აზ-

რი ჩაქსოვის სამუშაოში, რომანტიკული გახა-
ლოს ჩვეულებრივი საქმე.

გივისთვისაც თავდაპირველად მეტად მარტი-
ვი იყო ამოცანა: ტყავის განსაზღვრული ფარ-
თობის ნაჭრისაგან განსაზღვრული რაოდენო-
ბის საძირე უნდა გამოეჭრა. გვიცი ვეროდა
დროში, გვემებს ასრულებდა. ცვლის ბოლოს
ჩაბარებდა ხოლმე დღიურ ნორმას და კმაყო-
ფლი მიდიოდა შინ. სხვა რა მოეთხოვებოდა
ახალბედა გამოძრულს, რომელიც საკვლევ-
ბულო სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებუ-
ლიყო და ფაბრიკა „სინამი“ შეფხვსაცმლის
პროფესიას სწავლობდა.

ერთხელ, მუშაობისას გვიმი თითქოს პირვე-
ლად შეამჩნია, რომ ტყავის ნაჭრისაგან კიდევ
შეიძლებოდა დამატებითი ლანჩის გამოჭრა,
რომელიც არც გვემობა და არც სხვა რამ ინ-
სტრუქციით არ იყო გათვალისწინებული. ეს
იყო რაღაც ახალი, მოულოდნელი. კარგახანს
ატრიალებდა ტყავის ნაჭერს, თვლით ზომა-
ვდა, ანგარიშობდა, საჭრისის ქვეშ აქეთ-იქით
ატრიალებდა. ეძებდა და პოულობდა ზედმეტ
ლანჩას. მაგრამ განსაზღვრული სტანდარტული
საჭრისებით გამოჭრა არც თუ ისე დიდ ეკო-
ნომიას იძლეოდა. საჭირო იყო ასორტიმენტის
გამრავალფეროვნება, ასე შემუშავდა ახალი მე-
თოდი — ფეხსაცმლის საძირე დეტალების კომ-
ბინირებული გამოჭრა. ე. ი. არა მარტო დიდი
ზომის საძირეების ამოჭრა, არამედ პატარა ზო-
მის ლანჩების დამზადებაც. ასეთი მეთოდი სა-
შუალებას იძლეოდა მიეღწია უფრო მაღალი
შრომის ნაყოფიერებისა და მასალების დიდი
ეკონომიისათვის.

— რა არის საჭირო მაღალი კლასის ოსტა-
ტობის მისაღწევად? — უპირველეს ყოვლისა,
მდიდარი გამოცდილება, მარდი ხელი და ზუ-
სტი თვალი, ამას დაუმატეო თვითველა ტყა-
ვისადმი, როგორც ჩემი ბიჭების მასწავლებლე-
ბი იტყვიან ხოლმე, ინდივიდუალური მიდგო-
მაც.

— დაახ, ინდივიდუალური მიდგომა, —
ეღობება გივის.

თურმე ტყავსაც სჭირდება განსაკუთრებული
მიდგომა, ყაჭარი იწვნება ის, კალთები თუ ქე-
ლიები. კიდევ მრავალი კატეგორიებია ტყავის
სახესხვაობისა. გარდა ამისა, ისინი ერთმანე-
რისაგან სისქითა და ხარისხითაც განსხვავდუ-
ბიან, მათგან ფეხსაცმლისათვის ცალკევე
მზადდება საძირე დეტალები. ამას დაუმატეო
ის. იცნათამდე მოღველი, რომლის მიხედვი-
თაც აყვრება ფეხსაცმელი ფაბრიკაში და მი-
ხედვით, რომ მართლაც ნათელი გონებაა სა-
ჭირო მათში სწორად გარკვევისათვის. ტყავის
კარგი ცოდნა, მისი თავისებურებების გათვა-
ლისწინება გამოძრულს საშუალებას იძლევა
ვააუმჯობესოს დეტალების ხარისხი. ისიც უნდა
გათვალისწინოს გამოძრულმა, რომ ტყავის
სხვადასხვა ნაწილში სისქეც სხვადასხვაანარია,

ლანჩა კი ერთნაირი, სისქითაც და სამკვეთი-
თაც; ზუსტად უნდა გამოჭრას, ოდნევიც გად-
ხვევა სახელმწიფო სტანდარტიდან და არა-
ლშპცოა წუნში წავა.

— ჩემი საზომა ჩემი ხელია, — ამბობს გი-
ვი, — მუშაობისას ხელით ვსინჯავ ტყავს და
თითებით ვატყობ სისქეს. როცა სისქე კლებუ-
ლობს, მამაკაცის ფეხსაცმლის ლანჩას აღარ
მჭირ, სამაგიეროდ, ბავშვის ფეხსაცმლისათვის
ვიწყებ გამოჭრას, შემდეგ ჩვილი ბავშვისათვის
და ასე შემდეგ, სანამ მთლიანად ტყავს რაი-
ონალურად არ გამოვიყენებ და მის თითოეულ
დეციმეტრს ვარგისიანს არ ვაგახდი.

ნახევარი წლის განმავლობაში, სამუშაო-
საგან თავისუფალ დროს, წუთითაც კი თუ იპო-
ვიდა საშუალებას გვივი რომისთაველი, გადა-
ყრილ მუყაისაგან ჭრდა საძირე დეტალებს,
რათა ებოვნა ის ოპტიმალური ძარღვი, რომე-
ლიც საშუალებას მისცემდა რაციონალურად,
მაქსიმალურად გამოეყენებინა ტყავის მთლიანი
ფართობი.

გივი მუშაობისას ზოგიერთივით არ ფუხუფუ-
სებს, არ ფიცხობს. შორიდან თუ დააკვირდუ-
ბით, თითქოსდა, არც ჩქარობს. მაგრამ ეს ერ-
თი შეხედვით გეჩვენებათ. სინამდვილეში კი
იგი ჩქარობს და მერე როგორ — ნორმასთან
შედარებით სამაყვრ მერე სამუშაოს ასრულებს.
ასი კვადრატული დეციმეტრი ტყავის გამო-
ჭრას 444 წამის ნაცვლად 156 წამს ანდომებს
მუშაობისას გივის ხელში ავტომატურად მო-
ძრაობენ. მის მოქმედებაში ყველაფერი გამო-
ზომილი და წინასწარი გათვალისწინებულია.

დილით, სამუშაოს დაწყებისას, გივი ჯერ სა-
ჭრისებს მოაწესრიგებს. მარჯვენე მძიმე და მო-
ზრდილ საჭრისებს დაილაგებს (მარჯვენა უფ-
რო ღონიერი აქვს), მარცხნივ კი — შედარე-
ბით მცირე და მსუბუქი საჭრისები უწყვიო.
ტყავსაც ასევე დაახარისხებს. გაიანგარიშებს
საიდან რამდენი, რა ზომის ლანჩა გამოიჭრება
და, მოჭადრაკის ენით რომ ეთქვამთ, ხუთი-
ექვსი სელის წინასწარი გათვალისწინებია
იწყებს გამოჭრას.

ასე ყალიბდებოდა და დღითიდღე სრულყო-
ფილ სახეს იღებდა რომისთაველის ოსტატობა.
ახლა უკვე მისგან სწავლობენ მასზე უფროსე-
ბიც და უმცროსებიც. გივიც დაუღალავად
უზიარებდა გამოცდილებას ყველას, ვისაც კი
ამის სურვილი აღმოაჩნდებოდა. გადიოდა დღე-
ები, თვეები, წლები. იწაფებოდა და ვაჟკაცულ-
ბოდა ხელმარჯვე ოსტატი. ახალ-ახალი ტრუ-
ლები ემატებოდა გამრჯე გამოძრულის სა-
ხელს: გივი რომისთაველი — წარმოების ნო-
ვატორი; გივი რომისთაველი — მაღალი ეკო-
ნომიის ოსტატი, პროფესიაში საუკეთესო, კო-
მუნისტური შრომის დამკვირელო, დეპუტატი,
პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრი და სხვა-
დასხვა. მისთვის შრომა იქცა ვაჟკაცობისა და
დღღების სიმბოლოდ. საქართველოს მუშათა



კლასის სახელოვან შრომით ტრადიციებზე იბრუნებოდა და სრულყოფილი ხდებოდა ისწავლი მკვლევარების ოსტატობა. ფოტოსურათებისა და კინოლენტებზე იღებდნენ მისი მუშაობის მეთოდებს. იგი განუწყვეტელი სრულყოფის თავის ოსტატობას. მის მიერ გამოკერილი დეტალუბას ხარისხი ყოველთვის საუკეთესოა.

1969 წელს გვიის პარტიამ იღებენ. მისი საქმიანი რეკომენდაცია მერვე ხუთწლიდის დავალებათა და პირად სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულება იყო, შრომის წითელი დროშის ორდენით რომ აღნიშნა მთავრობამ. სკაპ რიგებში მიღების დღიდან მის ძალიან პასუხისმგებლობას, საქმიანად სიყვარულს და ოსტატობას დაემატა შრომითი კოლექტივის ერთსულოვნებისა და მკვებობისათვის ზრუნვა.

„ისინი“ ოცამდე ეროვნების ადამიანები შრომობენ. ყველა ისინი: სოციალისტური შრომის გმირი, ქართველი გურგენ ჭეხავილი იქნება თუ რუსი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დელეგატი ნინო ლუბკოვა; ლატვიელი — იური შორაგულისი თუ ყაზახი იულია ბოჩევა; უკრაინელი — ივანე შჩერბაკი თუ აზერბაიჯანელი სულთანა ოსმანოვა; სომეხი — შოკო მანუჩაროვა თუ ლეკი ლეილა აიდიგზე; ესპანელი — პეტრა ფერნანდესი თუ ოსი როზა ტატდავა; ბელარუსი თუ ჩეკო, უზბეკი თუ თურქმენი... სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩამბულნი ერთი მიზნითა და სურვილით იბრძვიან ხუთწლიანი გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. ყველა მათგანის საფიქრალი და საზრუნავი გვიის საფაქრალი და საზრუნავი იყო. არა მარტო იმიტომ, რომ მათ შობლიურ ენასთან ერთად გვიის ქართულიც მშობლიურად იქცა; არა მარტო იმიტომ, რომ გვიან კარგი მკვებობები და თანამოსამყენი არიან, არამედ ყველა ისინი გვიისთან ერთად კოლექტივისთვის იღწევიან. „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის!“ აი მათი შრომისა და ცხოვრების კეთილშობილური დევიზი.

ატარებდნენ მუშის სახელს — ეს ნიშნავს წარმოების პატრონის დიდ უფლებასთან ერთად გრძნობდნენ დიდ მოვალეობასაც. ეს ნიშნავს პაუხს ავტოდ ან მარტო პირად საქონელსა და საქმიანობაზე, არამედ კოლექტივის, წარმოებისა და მთელი ქვეყნის საქმიანობაზეც. 1971 წლის აპრილის იმ დაუფიქრებლად, როცა პარტიის 24-ე ყრილობა მიმდინარეობდა, როცა ჩვენი ხალხი იწყებდა პარტიის 24-ე ყრილობის დიადი ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლას, გვიე რომინსთაველი მოელაპარაკათვის ამხანაგებს და საღუფელი ჩაუყარა ახალ თოსონისას — მასალათა ეკონომისათვის ლაშქრობას... გვიემ და მისმა ამხანაგებმა გადაწყვიტეს: მეცხრე ხუთწლიდის ყოველ წელიწადს ავითუღოს დაეზოვა 20 ათასი კვა-

ლრატული დეციმეტრი საძირე ტყავი და ყოველი წლის ბოლო ოთხ დღეს დაზოვილ მასალებზე კმეშავთ.

მასსოვს, როგორი მღელვარებით ანკარიშობდნენ ციფრებს გივი და მისი ამხანაგები გ. ჩეკურიშვილი, გ. გოვლიძე, დ. გერასიმოვი. — საამქროში 25 გამოკერილი მუშაობა, თითო რომ 20 ათასი დეცი დაზოვოს, ხუთწლიდის ბოლოს მივიღებთ ორმილიონსახევიარ კვადრატულ დეციმეტრს. თუ კვადრატულ დეციმეტრს საშუალოდ 15 კაბიკად ვიანგარიშებთ, ფაზრიკას 375 ათასი მანეთის სუფთა ეკონომიას მივიცემით — უხაროდა საამქროს უფროსი ანზორ ხეველიძესაც.

ინიციატივამ ფრთა გაშალა. მას მხარი დაუჭირეს არა მარტო „ისინი“ საწარმოში, არამედ მთელ რესპუბლიკაშიც. ინიციატივა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. თავდაპირველად თუ მხოლოდ შეიღისამდე ისწავლი მუშა იბრძოდა მასალათა ეკონომიისათვის, ტყავი იქნებოდა ის, წებო თუ ძაფი, დღეს გივი რომინსთაველის მიმდევრებს შეხედებით თითქმის ყველა საწარმოში, სადაც სოციალისტური შეჯიბრით ნაკისრ ვალდებულებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტად ყოველთვის არის ხოლმე ნახეხები ნედლეულის ყაირათიანად ხარჯვის პროცენტები.

გივი და მისი ამხანაგები პირნათლად ასრულებდნენ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებას და შრომის მოწინავე მეთოდების გამოყენებით აღწევდნენ საძირე ტყავის დიდ ეკონომიას. მეცხრე ხუთწლიდის პირველსავე წელს მარტო გივი რომინსთაველმა, გიორგი ჩეკურიშვილმა და როლანდ სიფრაშვილმა დაზოვეს 70 ათასი კვადრატული დეციმეტრი. ეს კი 10500 მანეთის სუფთა დანახოვია სახელმწიფოს ყულაბაში შეტანილი. გვიისა და მისი ამხანაგების მიერ დაზოვილი ნედლეულით ეაბრია ყოველწლიურად ზეგეგმით 120 ათას წყვილ ფეხსაცმელს უშვებს.

ინიციატივის სიტყვა და საქმე ერთია. მან არა მარტო დიდხანა შეასრულა ხუთწლიდით გათვალისწინებული პირადი გეგმა, არამედ ხუთწლიდის მეოთხე განმარტველი წლის პირველი ნახევრისათვისაც უკვე შეასრულა ის ნაკისრი ვალდებულება, რომელიც მთლიანად ხუთწლიდის მანძილზე ითვალისწინებდა 100 ათასი კვადრატული დეციმეტრის ეკონომიას.

სწორედ ამ ვალდებულების შესრულებისათვის დააიკლიოვა პარტამ და მთავრობამ ლენინის ორდენით.

გივი რომინსთაველის პატრიოტული ინიციატივა იმითაცაა აღსანიშნავი, რომ ის ერთეულების ხეღრი და შესაძლისა კი არ არის,

სარგომ გიპაური

ინსწლი ნოვატორიბი და მისი მიმდევრები

არამედ ყველასი, ვინც კი რაციონალურად გამოიყენებს სამუშაო დროსა და ნედლეულს.

— ხომ არ დათმე პოზიციები? — ხუმრობნარევი საყვედურით ვუთხარი ამასწინათ გივის, — ხედავ, შენმა ნაშეგირდამმა, მიხეილ ელბაქიძემ როგორ გავასწრო! გასულ წელს შენ 34 ათასი დეცი დაგიზოგია, მიშას კი — 36 ათასი! გაჯობა შეგირდმა ოსტატს.

— სწორედ მაგაშია ჩემი გამარჯვება! — ამაყად მიპასუხა ნოვატორმა მუშამ, — ჩემი მოსწავლეები მ. ელბაქიძე, თ. ჩარაშვილი, ა. ჩაჩიკაინი, ზ. აბხაზავა, გ. ბასიაშვილი, ვ. გოგაშვილი და სხვები ტოლს რომ არავის უღებენ საამქროში, მართალია, ცოტა როლანდ სიფრაშვილი ჩამორჩა, მაგრამ ეპატიება, მთელი თვე გამოცდების ჩაბარებასა და დიპლომის დაცვას მონადრომა და კიდევ ერთი დიპლომიანი გამოამჭრელი მოგვემატა.

გივის გვერდით რამდენიმე მისი ყოფილი მოწაფე შრომობს. გამოცდილი ოსტატი ხალისით უზიარებს ახალგაზრდებს ცოდნას, რომელიც წლების განმავლობაში საწარმოში მუშაობით შეუქმნია. და თუ ხანდახან რომელიმე ნამოწაფარი გაასწრებს ოსტატს, გივის არა სწყინს. იცის, რომ სწორედ ამაშია სოციალისტური შეგებრების უპირატესობა — საბოლოო ჯამში იმარჯვებს საერთო საქმე.

გივის და მის მეგობრებს, მოწინავე გამოამჭრელებს: დ. გერასიმოუს, მ. ელბაქიძეს, ი. შჩერბაკს, შ. მანუჩაროვას, ა. ხურშუდიანს, პ. კობახიძეს და კოლექტივის სხვა წევრებს მეტად დაძაბული შრომა უხდებოდა ნაკისრი პირობის ვასანადგებლად. საქმე იმაშია, რომ 1971 წლის აპრილისათვის, როცა გადიდებულ

ვალდებულებას იღებენ, საამქროში 25 გამოამჭრელი მუშაობდა, შემდეგ კი მათგან რეცხვა თანდათან თვრამეტამდე ჩამოვიდა. მსხუტუტუტუტ ამისა, გამოამჭრელთა კოლექტივმა გადაწყვიტა თავდადებული შრომის შედეგად მთლიანად და პირნათლად შეესრულებინათ ნაკისრი ვალდებულებები. მუშურ სიტყვას ფასი აქვს. გივის და მისი მეგობრების სიტყვაც და საქმეც ერთია: მარტო გასულ წელს მათ 609379 კვადრატული დეციმეტრი ტყავი დაზოგეს და ბევრად გადააპარბეს აღებულ ვალდებულებას. 600 ათასზე მეტი! — ეს მეტად მეტყველი ციფრია. 90 ათასი მანეთის ეკონომიაა. ამით შეიძლება დამატებით შეიყვროს 122 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

და დღეს, როცა დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომის ნაყოფიერების გადიდებას და ეკონომიისათვის საყოველთაო-სახალხო ლაშქრობას, მეტად დიდაა გივი რიმნისთაველისა და მისი მიმდევრების წვლილი მრეწველობაში, მეტად დიდაა იმ თაოსნობის ფასი, რომელიც წამოიწყო ამ სამიოდე წლის წინათ ისინელმა ნოვატორმა მუშამ.

სწორედ ამიტომ უყვართ და აფასებენ გივის საწარმოში. მის სიტყვას წონა აქვს, მოქმედებას — პატივისცემა. იგი სიამაყით ატარებს მუშის სახელს. შრომამ მისცა საშუალება ეპოვა თავისი ადგილი საზოგადოებაში. თბილისის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე გივი საქალაქო კომიტეტის წევრად აირჩიეს. არაფერია ამაში ვასაკერი: კომუნისტებს მისი საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, თავმდაბლობა მოსწონთ და ნდობაც ამიტომ გამოუცხადეს.



მთავარი ავსჯანიშვილი

ალექსანდრე ჟაზგავი მთის პოეზიის შეფასება

ხალხური შემოქმედების სისტემატური შეკრება და შესწავლა საქართველოში გასული საუკუნის ნახევრიდან იწყება, ამ საქმის წამოწყებას ხელი შეუწყო საქართველოს იმდროინდელმა სოციალ-პოლიტიკურმა პირობებმა. ქართველ სამოციანელთა ინტერესი ხალხური სიტყვიერებისადმი ისეთივეა, როგორც რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისა, რომლებსაც სწამდათ, რომ ჯანსაღი პოეტური აზრი ხალხში იყო გაბნეული. ამ შეგნებით მივიდნენ ისინი ხალხურ სავანძურამდე.

ქართველი სამოციანელები „სოკრემენიკის“ მშუალებით ეცნობოდნენ რუსი ინტელიგენციის ნაზრევს. ხალხისა და საზოგადოების წესების ცოდნამ „თერგდალეულები“ თავისი ეპოქის დაუნდობელ კრიტიკამდე მიიყვანა. მათ წილად ხვდათ ჩვენს მწერლობაში ამ საკითხის დანერგვისათვის ებრძოლათ რასაც ა. პუშკინი რუსულ ლიტერატურაში, ხოლო ლიტერატურის კრიტიკაში კი ბელინსკი აყენებდა.

მთწინავე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები გატაცებით დაეწაფნენ ხალხური შემოქმედების დაუშრეტელ წყაროს. მათ საფუძველი ჩაუყარეს ქართული ფოლკლორის მეცნიერულ კვლევას. ისინი ხალხურ შემოქმედებას დემოკრატული პრინციპებით უდგებოდნენ, დაკვირვებით სწავლობდნენ ხალხის ენას, როგორც წყაროს ლიტერატურული ენის გამდიდრებისა.

ქართველმა სამოციანელებმა ილია ქავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით დაიწყეს ხალხური სიტყვიერების შეკრება და ფართო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა გააჩაღეს ამ მიმართულებით.

ალ. ყაზბეგისათვის ხალხური სიტყვიერება მრავალმხრივი იყო საინტერესო. იგი ხალხურ სიტყვიერებაში კპოვებდა არა მარტო ისეთივე ტიპობას, არამედ მას უყურებდა, როგორც ისტორიული ცნობების მიმწოდებელს, ხალხის

ზნე-ჩვეულების აღმწერს და ამიტომ ცდილობდა ხალხური სიტყვიერების ნაციონალური ბრძოლის იარაღად გადაეცემა.

მისი მსოფლმხედველობის შემუშავებაზე პირველ რიგში სერიოზული გავლენა მოახდინა ქართული კულტურის მდიდარმა მონაპოვარმა, როგორც საქართველოს მატერიალური ცხოვრების ამსახველმა იდეურმა წყარომ.

ალ. ყაზბეგს განსაკუთრებით უყვარდა ქართული ზეპირსიტყვიერება. იგი ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში მშობლიურ ხევში ყოფნის დროს დიდი გულმოდგინებით ისმენდა თავის აღზრდელი ნინო ფიცხელაურის მიერ მოყოლილ ზღაპრებს: „თათრის ყვავილს“, „ხალხის ნუგეშს“, „მეგობრებს“ და სხვა, რომელთა შინაარსი უფრო იბეჭდებოდა მომავალი მწერლის მეხსიერებაში, ვიდრე დარბევა სხვა პირებისა.

მწერლობაში დაეჯიკებული ალ. ყაზბეგი თბილისიდან წერილს უგზავნიდა თავის გამზრდელ ნინოს და მადლობას უძღვნის იმ დიდი სამსახურისათვის რაც მან პატარა ალექსანდრეს გაუწია.

ჩემო საყვარელო გამზრდელო ნინო! ჩემისთანა დარბე კაცს რა ექნება, რომ შენ დაგიგდოს ან სახსოვრად და ან მოგიძღვნას?! ამაზედ უძვირფასესი მე არა მქონდა რა და ამის გამოისობით შენ გიძღვნი ემ რამთვენიმე ჩემი გრძნობისა და სულის მოძრაობას, რომლის აღზრდაშიაც შენ ისეთს მონაწილეობას იღებდი. აბა, მოიგონე ის დროება, როდესაც მე ბავშვობაში მივლიდნენ ისე როგორც მეფის შვილს. მანებივრებდნენ უქანსენულ ვარყენილობამდინ. მასწავლიდნენ შურს, ამპარტავობას და სიძულვილს! ხელის-ხელ ამასთან მოიგონე შენი ზღაპრები: „თათრის ყვავილი“, „ხალხის ნუგეშის“, „მეგობრები“ და სხვადასხვა... რომლებსაც უფრო ვენდობოდი და რომლების შინაარსიც უფრო იბეჭდებოდა ჩემს

თავში, ვიდრე დარიგება სხვა პირებისა. ვახსოვს რომ თანავგრძობით მიამბობდი მოსამსახურის და უმის მღვდმარობაზედ ბატონის ხელში? ვახსოვს შენმა სიტყვებმა რამდენჯერ დამადრევიანა მდღლარე ცრემლები და თანამავგრძობინა ტანჯული ხალხის ბედი*.

რუსეთიდან დაბრუნებული ალ. ყაზბეგი ერთხანს ხევში ტრიპოლს (1870-80 წწ.) და ეცნობა მთხვევითა ცხოვრებას, მათ აღათ-წესებს ჩვეულებებს და კულტურას. მისი დაახლოება ხალხთან ნაკარნახევი იყო ცხოვრებისაგან. ალ. ყაზბეგის ახლო მცნობი ანდრია კობაიძე იგონებს: „ძობრიანად და სიუფელრიანად შეისწავლა მან ხალხური ზნე-ჩვეულება, გარძნობა და იდეალები. ამიტომაც შეუღლება იგი ხალხური ლექსების, ანდაზების, იგავ-არაკების და მოთხრობების წერას.“¹

ალ. ყაზბეგს აღფრთოვანებდა იდეურად ღრმა, მხატვრულად სრულქმნილი ხალხური შემოქმედება. იგი გულმოდგინედ ეცნობოდა მთის ხალხის ჩვეულებებს, მათ ადათებს, რომელიც ხალხის გონიერებამ მიიღო და დაადგინა, ამის გამო მწერალი იონა მეუწარგისასდმი „მოძღვრის“ გამო მიწერილ საპასუხო წერილში წერდა: „ღღემდის მომეტებულად მე ვწერდი მოთხრობებს მთის ცხოვრებიდან და მცდილობდი დაეხატა ის წმინდა ჩვეულებანი, ადათები და წესები, რომელიც ხალხის გონებამ მიიღო და დაადგინა თავიანთ ერთბაში. ოდესმე ყოვლად შეუძლებელია, რომ ჩვენის ცხოვრების პირობათ თავიანთი დასაწყისი ამ წარსულიდან არ მიიღონ. მე ვცდილობდი ამ წესებიდან გამეცნო ხალხი, გამეგებინა რა გავლენა ჰქონდა ხალხზე და რამდენად შეიძლებოდა მათის ხელმძღვანელობით ურთიერთშორის მორგება, ცხოვრება და დამოკიდებულება. მიემართე მათ ხელის შემშლელ მიზეზებს და მათი მღვდმარეობის გამოხატვა ვისურვე.“

ხალხური ზეპირსიტყვიერების სიყვარულით უნდა ათხანასის ფაქტი, რომ ალ. ყაზბეგი თვითონ დადიოდა ხალხში და იწერდა ხალხურ თქმულებებს, ლექსებს, შაირებს და სხვა, რომელიც კი ხალხის გონებამ მის ღრმად ხელუხლებლად მოიტანა. ალ. ყაზბეგის შემკრებლობით მუშაობის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდიან მისი მეგობრები დიმიტრი ლუღუშაური და სვიმონა ჩეკიაშვილის ძმის შვილი.

დიმიტრი ლუღუშაურის ცნობით: „სანდროსთან ერთად ჯიხვებზე სანადიროდ ვიყავი. ბევრი ვდიეთ ნადირს, მაგრამ ვერაფერი ვერ მოვკალით. უნდა გამოვბრუნებულიყავით უკან, რომ თოფის ხმა მოგვესმა. ჩვენც იჭითყენ გავწვიით სიანდაც ეს ხმა მოვიდა. ვხედავთ ერთ

ხევსურს ორი ჯიხვი მოეკლა და დადის ტანჯვით ხან ერთს ჯიხვს ამოიყვანდა ხოლმე კლდეებზე, ხან მეორეს. ხვენ მივეხმარებოდა ვერაწინაში. იქვე ცეცხლი დავანთეთ და მწვადებმა შეეწვით, სანდრომ ხევსურს რაღაც ამბავი გამოაკითხა, ხევსურმა რაც იცოდა ყველაფერი გვიამბო. ერთი მეცხვარე ფშაველა ამოვიდა ბადაიურთან და ისეთ ლექსებს დამღერის ფინდურზე, რომ ღვთის მადლმა ტირილი მომავიო. სანდრომ თქვა, თუ ის არ ვნახე, ვერ მოვიხვენიებო. მე სტეფან-წმინდამი დავბრუნდნ სანდრო კი ხევსურს გააკვა. სამი წელი ისე გავიდა, რომ სანდროს ვეღარ შევხვდი. ერთხელ ქალაქში მიდიოდა თურმე სანდრო ვნახე ჩვენთან მოვიდა, ერთ-ერთი მოფიკითხეთ. ბოლოს სანდრომ ჩვენ ერთად ნადირობა და ფშაველი მეღუქქე მოიგონა. სანდრო ძალიან ლოცავდა იმ ფშაველს, „თვალეები ამიხილაო.“²

ალ. ყაზბეგს უცნობია მეღუქქესსაგან ზაუწყურია „ჯარჯი“, „სამი ორ ვაიწურთნება“ და „ბეთლემის კარზე ჰკიდაო“.

ასევე საინტერესოა სვიმონა ჩეკიაშვილის ძმის შვილის მოგონება ალ. ყაზბეგზე. მისი გადმოცემით:

„ბიძა ჩემისგან ხშირად გამიგონია, რომ სანდრო ცხვარში უცნაურად იქცეოდაო... ვერც უყოლით: კაცო, თუ მეცხვარე ხარ, მეცხვარე იყავი, თუ არას და რას შეგებო. მაგრამ სანდრო ყურადღებას არავის აქცევდა და თავისას ვანავრებოდა „მოძღვრის ამბავი“ ბევრჯერ მათქმევინაო... როდესაც „მოძღვარი“ ბიძაჩემს წაუყვითხეთ, სთქვა: ხედავ, რისთვის მალაპარაკებდა, რამდენჯერ მათქმევინა და საცდ გამოუყენებია თურმე“.

როგორც ამონაწერიდან ჩანს, უბრალო ამბავი იყო საპირო იმისათვის, რომ მწერალს შეეძენა ღივი ტეროს ნაწარმოებში. მისი მწყემსობის მეგობრები პეტრე გუჩარაიძე და იაკობ ლუღუშაური იგონებენ: „სანდრო იცოდა სანდრო როცა ყარაულშია ხოლმე, კარტოფილის სანთელს შეიტანს, აანთებს და წერს“. ამავე იაკობ ლუღუშაურს უთქვამს: „რაცა სავეირველი, იძახიან მთელი ღღე-ღამე სწერს, სახლში ნაწვევი და აქაც, ქალაქ ღამეს რა ვასაღებს თუ არ სწერაო“.

ასე გატაცებით წერდა ალ. ყაზბეგი, სადაც კი წერის უინი მოუვიდოდა. იქ დაიწყებდა თავის მადლიანი კალმით გმირებთან საუბარს, იქ ატირებოდა იგი თავისი გმირების ბედით და იქვე დასცემდა ყოფინას მოძალადე მტერს, რომელმაც მისი ოდესკაც წმინდა და შეურყეველი თემი ფხვბეშე გათელა.

ალ. ყაზბეგმა თავის გმირები ხალხის სიბრძნით აღჭურვა და აალოპარაჯა. მან ეს სიბრძნე

¹ ა. კობაიძე, გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, ალ. ყაზბეგის მოგონება, ფონდი № 10299—ბ.

² დ. ბენაშვილი, „ალ. ყაზბეგი“, 1939 წ.



ხალხთან სიახლოვეში შეიძინა და შეისისხლ-
ბორცა.

აღ. ყაზბეგის შემოქმედების გაცნობით მკი-
თხველი საშუალება ეძლევა გაიგოს, თუ რო-
გორ ხდებოდა მთაში ძმად გაფიცვა, მოკვება.
მიკვალბულის ზარით დატრეხვა და სხვა. ყვე-
ლა ეს წესები აღ. ყაზბეგმა მოგვცა არა მეც-
ნიერული მსჯელობის ფორმებში, არამედ იგი
წარმოგვიდგინა მსატყრუელ სახეებსა და სცე-
ნებში. თავისი ხალხის მსატყრული შემოქმედე-
ბის დიდი მოტრფიალე აღ. ყაზბეგი უდიდესი
პატივისცემითა და სიყვარულით ეცილებოდა
მომხე ხალხის ზეპირსიტყვიერებას. ეს ინტე-
რაციონალური სიყვარული სხვა ერებისა აღ.
ყაზბეგს შარავანდედით მოსახს, როგორც მწერ-
რალს და მოქალაქეს. მისი „ნამწყვდისარის მო-
ვონება“ ამის საუკეთესო დადასტურებაა. სა-
დაც ნამეცხვარაილი ავტორი გულახდილად
წერს:

„აქ ვწყვეტამ ამ წერილებს, რადგანაც, რაც
ვნახე და ვაგვიონენ... როგორც ეს ყველა ჩავის-
მინე და ვაგვიგ, გადავწყვიტე მოთხრობად
გადმოგვცეთ და გავაცნოთ იმ ხალხის ჩვეულება,
ხასიათი და წესები, რომელიც ან საქართველოს
ნაწილს შეადგენს, ან არა და იმის აუცილე-
ბელს დამოკრებულს მგზობლებს, რომლებთანაც
უფრო მეტიდრი კავშირი არ ავცდებმა
ჩქარს მომავალში“.³

აღ. ყაზბეგი მხატვრის თვლით უცქერდა
ყოველივეს, რასაც ესოდენ დიდი კავშირი
ჰქონდა მთიელი ხალხის სულთან. ყაზბეგი თა-
ვისსუფალი იყო ვეწრო ნაციონალისტური შე-
ხედულებისაგან.

მისთვის ელბერდი, ანზორ ჩერბიაეი, მზალო
და ელისო ისევე მახლობლები იყვნენ, როგორც
ელგუჯა, იაგო, კობა და მათია. მას ისევე აწუ-
ხებდა სამშობლო მიწა-წყლიდან აყრილი ჩენჩე-
ბის ბედი, როგორც თავის მშობლიურ ქვეყნი-
დან გადახევილი ონისე. ნამდვილ რეალურ
ცხოვრებიდან აღ. ყაზბეგი ჰქმნიდა ახალ ზნე-
ობრივ ქვეყანას, სადაც ხალხი ცხოვრობდა
ნამდვილი ცხოვრებით, „სადაც სათნო, გულ-
მართალი ნუნუ აღარ დასტროდა დაკარგულ
ბედს. ელისოს სიყვარულით სავსე გული აღარ
იკვებებოდა დამპყრობელთა ხიშტებით, თავი-
სუფლების მოყვარული ჩერქეზები აღარ იდე-
ნებროდნენ სამშობლოდან, სადაც მთიელი ხალ-
ხის ეროვნული გრძნობა დამცირებული აღარ
იყო“.⁴

³ აღ. ყაზბეგისა და ხალხური სიტყვიერების
შესახებ გამოკვლევები გამოაქვეყნეს პროფ. ქ.
სიხარულიძემ, პროფ. მ. ჩიჭოვანმა, პროფ. ელ.
ვირსალაძემ, ვ. კოტეტიშვილმა, პროფ. აბ. მა-
ხარაძემ, პროფ. დ. ბენაშვილმა, ი. მეგრელიძემ,
ეთ. აესაქანიშვილმა და სხვებმა.

⁴ დ. ბენაშვილი, აღ. ყაზბეგი, 1939 წ. გვ. 9.

აღ. ყაზბეგი შეიღი წელი მწყემსად იყო და
ეს შეიღი წელი საქარისი იყო ცხოვრების
სიბრძნის შესწავლისათვის. მან ზედმიწევნით
გაიგო ხალხის სურვილი, თუ მისხვე ნიღამ
აუფარებლად რას ფიქრობდა, რა აწუხებდა. მას
და რა ახარებდა. ამის შესახებ იგი „ნამწყვდისა-
რის მოვონებაში“ წერდა: „ყოველი ერთი დრო-
ის გატარება დამაგონდა, რომელიც მე ისე
გამართობდა ხოლმე. ეს გახლდათ ზნაპრები,
ამბები, რომელიც სასდღვანეტქული მწყემსის
ან ყაჩაღის ცხოვრებიდან და სხვადასხვა ლე-
გენდარული მოთხრობანი“.⁵

აღ. ყაზბეგს სწორედ ამ ლეგენდებმა და
თქმულებებმა გულეს დამპყრობელთა მიერ
ძალით დაზუსული ხალხის გული.

აღ. ყაზბეგმა 1870 წლიდან 1880 წლამდე
უამრავი ხალხური ლექსი და თქმულებები ჩა-
იწერა ხეში, რომელიც საფუძვლად დაუდო
თავის შემოქმედებას.

აღ. ყაზბეგმა ხეში თავის მიერ შეკრებილი
მასალა დრო და დრო გამოაქვეყნა ქართულ
პერიოდულ გაზეთებში „ივერია“ და ჟურნალ
„თეატრში“.

აღ. ყაზბეგისათვის ხალხურ სიტყვიერების
შეკრების საქმე გასართობი კი არ ყოფილა,
არამედ მისი ცხოვრების ერთი უსაჭიროესი
მოთხოვნილება იყო. იგი ხალხურ სიტყვიერე-
ბაში ხედავდა ხალხის ზნეობრივ რწმენას და
სალი გონების კანონებს; თქმულებებს და ლექ-
სებს იგი ხმარობს ისტორიის შავიერ; სასიმილე-
რო ლექსების გამოყენებით კი ამშვენებს
ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას, მის ჩვეულე-
ბებს; დღესასწაულს, ქორწილს, ნიშნობას და
სხვა. აღ. ყაზბეგის მიერ შეკრებილი ხალხუ-
რი ლექსები შეადგენს ხალხის სხვადასხვაგვარ
რწმენა-ჩვეულებათა კრებას, მისი ცხოვრების
გრძელ მტანის, რომელიც კაცს ცხლად
შეუძლია დაინახოს ხალხის ზნეობრივი ძალა,
მისი დარდი და სიხარული, სიკეთე და ბორო-
ტება, ლხინი და ქირი. ბოლოს; ერთგულ სიტ-
ყვიერებაში, როგორც საგანძურში ინახება ჩვე-
ნი მშობლიური ენა, მისი წარსული კულტურა.

აღ. ყაზბეგმა 1886 წლის დასაწყისში, როდესაც
მას თავის შემოქმედების მნიშვნელოვანი
ნაწილი გამოქვეყნებული ჰქონდა, გამოსცა
ხეში შეკრებილი სახალხო ლექსები მოხვევთა
და მოხვეის სიმღერები, რომელსაც უწოდა „სა-
ხალხო ლექსები“. გამოსვლისთანავე წი-
გნი სწრაფად გავრცელდა მკითხველთა
შორის. ამ წიგნის შესახებ გაზეთ „ივერია-
ში“ 1886 წლის აპრილის ნომერში აღ. შირაია-

⁵ აღ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. 1, 1955 წ.

მთარ ანსაგანისხილი
ალექსანდრი შაზბეგი მთის კომპილის
შემარება



ნაშვილმა ქება-დიდების რეცენზია დაწერა. იგი იქვე აღნიშნავდა: „საეროვნო პოეზია“ დიხაც მდიდარი გვაქვს, მაგრამ სამწუხაროდ, დღეს ცალკე წიგნად მხოლოდ ანდაზებია შეკრებილი ზოგი ბ. ნ. ჩუბინაშვილისაგან, ზოგი ბ. ნ. უმიკაშვილისაგან; გვაქვს აგრეთვე ორიოდღე ლექსი ბ. ნ. ჭიჭინაძისაგან შეკრებილი და დაბეჭდილი და ბოლოს ეხლახან დაბეჭდა მოხვედრისაგან შეკრებილი ლექსები“.⁶

აღ. ყაზბეგმა 1886 წელს გამოცემულ მოხვეურ ხალხურ ლექსებს ბოლოში საკუთარი ლექსებიც დაურთო. 1889 წელს კი 23 ლექსი გამოსაცემად გადაუცია გრ. ჩარკვიანისათვის, უკანასკნელს ეს ლექსები გამოუცია 1910 წელს, რომელსაც ერთვის გამომცემლის წინასიტყვაობა.

1885 წელს აღ. ყაზბეგმა ურნალ „ივერიის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა თავისი ფსიქოლოგიური რომანი „მოდღარი“. ამ რომანში მწერალმა გამოიყენა ხევში მის მიერ შეკრებილი ლექსები სხვადასხვა ხასიათისა. გმირის სულიერ განწყობილების გამოსახატავად აქ ყაზბეგი იყენებს მოხეურ ხალხურ ლექსებს.

გადმიშვი, მთაო მაღალო,
რას ნიხლი მოგეხვევია?
მთას იქით ჩემი საგულო
ცხოს ვისმე ჩაუხვევია.

აღ. ყაზბეგის „მოდღარის“ გამოსვლა საკმარისი იყო, რომ მასში მოყვანილი მოხეურ ხალხური ლექსები სწრაფად გავრცელებულიყო ხალხში. 1885 წლის „ივერიის“ № 8-ში დაიბეჭდა ქიზიუში თელაწყელისაგან ჩაწერილი შელოცვები; მკვალის, თელში მოხვედრილის, მგლის პირის ლოცვა, შეშინებულის ლოცვა და სხვა. ამ შელოცვებს ერთვის ბოლოში ქიზიუშივე ჩაწერილი მოხეური ხალხური ლექსი „გადმიშვი, მთაო მაღალო“, რომელიც აღ. ყაზბეგმა შეკრიბა და „მოდღარში“ გამოიყენა. თელაწყელისაგან გამოქვეყნებული ლექსები შეცვლილი ვარიანტითაა დაბეჭდილი.

აღ. ყაზბეგის არქივში დიდი და შესანიშნავი ადგილი უკავია ისტორიულ ლექსებს, რომელშიაც რამდენიმე ისტორიული პირის სახელი იხსენიება. აქედან ცხადია თუ ვის როგორი სიყვარული და ხსოვნა დაუმსახურებია ხალხის თვალში.

არქივში ინახება მეფე ერეკლეს მიმართ ნათქვამი ხალხური ლექსების სხვადასხვა ვარიანტი. აღ. ყაზბეგის მიერ ხევში შეკრებილი ეს ლექსები სხვადასხვა ვარიანტითაა ცნობილი. ლექსები გამოცემულია მის თბულებმა II ტომში 1948 წ. გვ. 515—517. აღ. ყაზბეგს განსაკუთრებულად აღიფრთხილებდა მაღალმხატვრულად ნათქვამი ხალხური ლექსი

მეფე ერეკლეზე, რომელსაც შემდგენიარდ იწყებს.

არ გეჭერებთ, ქართველნო,
შეგვეხსნა რკინის კარია?
აღარ გვაჯაზ მეფე ერეკლე,
ბაგრატიონთა გვარია:“

აღნიშნული ხალხური ლექსები აღ. ყაზბეგმა გამოიყენა თავის ლექსში—„გლოვა“. აღნიშნული ლექსი შეცვლილი ვარიანტით დაბეჭდილია „საქართველოს კალენდარში“ 1886 წელს, რომელსაც ხელს აწერს თვითონ ა. მოჩხუბარიძე (ყაზბეგი).

აღ. ყაზბეგის, მხარეთმცოდნეობის არქივში, რომელიც ინახება მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის ყაზბეგის მუზეუმში, მოიპოვება ჩანაწერები შამილზე, დაუმთავრებელი მოთხრობა და ა. შ.

აღ. ყაზბეგმა თავის მიერ შეკრებილი ხალხურ მასალის საფუძველზე დაწერა ლექსი „შამილს“, სადაც იგი ბრძოლებში დაღლილ შამილის აჩრდილს „მოწიწებითა უგზავნის სალაშს“. აღ. ყაზბეგის თქმით შამილმა თავისი ერის წინაშე მოიხადა ვალი და მიმართავს:

„შენ დაამტკიცე, რომ მთის შვილები,
სხვის ბრძანებასა ვერ ხერხდებიან,
ყოველგვარ ძალის დატანებას,
უშიშრად წინა აღუდგებიან“.⁷

აღ. ყაზბეგმა დალისტინის იმამის სახე უფრო ფართოდ აღწერა თავის რომან „მამის მკვლელობა“. ამ სახის სრულყოფილად აღწერაში მას დაეხმარა ის თქმულებები და ლეგენდები, ის ხალხური ლექსები, რომლებიც მან შეკრიბა ხევში.

აღ. ყაზბეგს არც საქართველოს მძინეიარე ფეოდალი ნუგზარ ერისთავი გამოარჩენია მხედველობიდან. მის არქივში ინახება მთაში გავონილი ხალხური ლექსები ნუგზარ ერისთავზე. ყაზბეგისეულ ვარიანტში ნუგზარ ერისთავი ნახსენებია, როგორც მძინეიარე და მრისხანე ფეოდალი, რომლის დროს საქართველოში „ისისლის წვიმები წვიმდა“. მწერალმა კარგად შეისწავლა და შეადარა სხვადასხვა დროს ხევში დარჩენილი თქმულებები და სახალხო ლექსები ნუგზარ ერისთავზე, რომლის სახე აღწერა „ხევისბერი გოჩისა“ და „შიოლა ლუღუშარი“.

აღ. ყაზბეგის პირად არქივში, რომელიც ხევშია დაცული, მოიპოვება ნუგზარ ერისთავზე დაწერილი ლექსები სხვადასხვა დროს, რომელიც მწერლის ხელით შეკრულია და შენახული. ჩანს სახელოვან მწერალს საგანგებო კვლევის საგნად ჰქონია გამხდარი ნუგზარის სახე, როდესაც სხვადასხვა ვარიანტს ერთმანეთს აღა-

⁶ გაზეთი „ივერია“ 1886 წ. № 75.

⁷ აღ. ყაზბეგი. ტ. III, 1948 წ. გვ. 82.

რებდა და ამუშავებდა. სწავლობდა ეპოქას და ნუგზარის საქმიანობას. ნუგზარ ერისთავმა თანამოაზრენიც გაიჩინა შიოლა ლუღუშაურის სახით, რომელიც ერისთავთა მხარდაჭერას გაეზვიადებინა და გაეამპარტავებინა. ხალხმა ასეთ მებატონეს სამაგვერო მიუზღო და მკაცრად დასაჯა. დღეს მრავლად მოგვეპოვება ხალხური ლექსები როგორც ხევსურული, ისე მოხვედური ვარიანტი შიოლა ლუღუშაურზე, მაგრამ ამ ვარიანტიდან ყურადღებას იქცევს ალ. ყაზბეგის მიერ ჩაწერილი მოხვედური ვარიანტი.

ამ ლექსს ალ. ყაზბეგის ხელით დართული აქვს ამხსნელი სიტყვები. ეს ლექსები საინტერესოა იმიტომ, რომ თვით მწერლის ხელიდანაა გამოსული.

შიოლაღ ლუღუშაურო
შკამს იჯექ ერისთვისასა,
არ გაგიშვია მთრებელი
ძმა მიმავალი დისასა.
ცხენი სთხოვე და მოგართვა
შვილდს რაღას სთხოვდი რქისასა,
შვილდი არ გაეღებოდა
მთრებელთა ნაპირისასა.
გადმოიბრუნა გულსა მკარა,
ბატონსა აჩხოტისასა.
აქამდე სქამე აჩხოტი,
ახლა მე გაქმევე ჭვიშასა.
მთრებელი სერზე შემოიბრბის,
გაეღვებას ჰგავს ცისასა.
მოსდევდნენ ლუღუშაურნი
რისხვა ჰგვანან ცისასა.
მიღმართა ყველა წმინდასა,
დედას მშობელსა ღვთსასა.
კარნი არ დაუხვდებიან ღიანი,
ვაი დედას მთრებელისასა.
ნეტავ არ შაიხვეწების
ძმისა მომკლავი დისასა?
ამოდი შაიხვეწების
ვაჰ! დედას შავი ძმისასა.
ნუ მისდევთ ჩემო მამულნო,
ნაწნავს ნუ მომჭრით თმისასა,
კარით არვინ მიუშვა
საკომით უკერენ ისარსა.
ამბობენ გადმოქცივისა
ახალციხურის მთისასა
შეგ დატირებას ანბობენ
ქერ-ბედელისა ძისასა*

მეფე ერეკლეს ბრძოლების დროს ყოველთვის ჰქონდა იმედი მთიელების, განსაკუთრებით ბევრი იყო ერეკლეს ლაშქარში მოხვედები. ერთ-ერთი ხალხური ლექსი, რომელიც ალ. ყაზბეგმა ჩაიწერა ხევში მოგვიტოვრობს თათრების

ხანისა და ერეკლეს ბრძოლების ამბავს. გაქირვების დროს ერეკლემ კვლავ მოხვედებსავე იმით მოთავე ლუღუშაურს მიმართა დახმარებისათვის. ხალხურ ლექსებში არ არის მოხსენებული ლუღუშაურის სახელი, იგი მხოლოდ გვართ იხსენიება, რომელიც ერეკლეს დაძახებზე ამზედრდება და მიღის თათრების წინააღმდეგ საბრძოლველად ამ ლექსით.

გადიდა ერი თათარი
გადიდებული ხანითა,
რასაც მიაღვა სიმაგრეს
სუსველას უყო ძალით.
ერეკლეს კაცებს უგზავნის
მოდი დამიკარ თავიო,
მე რომ ერეკლემ გაიგო
დაბლა დაიდგა შკამიო.
მისწერა ლუღუშაურსა:
დამჭირდა შენი თავიო
გაიგო ლუღუშაურმა,
ლურჯას მიაქრა ნაღიო,
შეკაშმა თავისი ცხენი
წელს შემოირტყა ხმალიო.
ნახა ვინც მიმავალიო
ყველამ დასწერა ჭვარიო.
ვაჟაკი ბნელსა ანათებს
როგორც ბნელს დამეს კვარიო,
ეს ხორციელი არ არის
ცით ჩამოსული არიო.⁹

1885 წელს ეურნალ „ივერიაში“ ალ. ყაზბეგი აქვეყნებს ხევში შეკრებილ ხალხურ ლექსებს, რომელსაც შემდეგი დასათურება მისცა; სახალხო ლექსები (ხევში შეკრებილი ა. მ.-ს-გან) გვარი აღნიშნულ ლექსებს სრულიად არ აწერია. ხოლო ზოგიერთ ლექსს გარკვევით აწერია ბოლოში ალ. მოჩხუბარიძე. უმთავრესად ამ წელს მის მიერ გამოქვეყნებული ხალხური ლექსები სავირო-სასიტორიო ხასიათისაა, ალ. ყაზბეგს, ისევე როგორც ვაჟ-ფშაველს, აინტერესებდა ბახტრიონის ბრძოლები და ბრძოლებზე შექმნილი ხალხური ლეგენდები. ამის შესახებ მას საინტერესო შემკერბლობითი მუშაობა ჩაუტარებია ხევში და ჩაუწერია ხალხური ლექსი ბახტრიონის ციხის აღების შესახებ. ამ ლექსის მიხედვით ციხის აღებაში დიდი წვლილი შეუტანია ვინმე გოგოლაურს, რომელიც ერთი ფეხის დაკვრით გადახტება ბახტრიონის ციხეში და ააფრიალებს ქართველების ეროვნულ დროშას.

⁹ ეურნალი „ივერია“, 1884 № 7 გვ. 97-98.

ეთერ ავსაჯანიშვილი

აღმასდარიმ ჭაზბეგი მთის კოეზის
შემკერბი

* ალ. ყაზბეგის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება.

ბექი ვარ გოგოლაური,
 რას მიცქერ ტარაველშია?
 მოძალეს მალას მივყარი,
 მას ჩაუღვებო კვლშია;
 ფხის დაჯვარე, გადაფრინდები
 ბახტრიონ ზალავანშია,
 მივიტან ჩვენსა ალაშსა,
 დავურქობ ციხის კარშია.¹⁰

აღნიშნულ ნომერში ალ. ყაზბეგს გამოქვეყნებული აქვს ხალხური ლექსები ამირანზე. ამირანის შესახებ მრავალი ლექსი და თქმულება გავრცელებული ხევე იბოლო დრომდებრს ლექსები სულ სხვადასხვა ვარიანტებშია ცნობილი. ერთ-ერთი საინტერესო ვარიანტი ჩააწერა და „ივერიის“ გამოქვეყნა ალ. ყაზბეგმა. რომელიც ლექსის დასაწყისშივე გარკვევით მიუთითებს, რომ მის მიერ გამოქვეყნებული ხალხური ლექსები არის ხევე შეკრებილი და მოხეუერი ვარიანტი.

ყორანო ქალის ბოლოსა
 რად არ ჩაავდო თვალთა?
 ამირანისა ხანლ-კარის
 თუ არხად სჩანდა კვლითა?
 გმირისა დამარჩო ვერ ნახე,
 ან იმს ღომა ხარია?
 ვნახე და ველარ დავწოხე,
 არწივს ეყარა მხარია.

ალ. ყაზბეგმა 1880 წელს „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნა ეთნოგრაფიული წერილი „მოხვევები და იმათი ცხოვრება“, სადაც საკითხის ღრმა ცოდნით გააანალიზა მოხეუერი ლექსები. ამ ლექსებიდან საინტერესოა შემთხვევის კარზე ჰქვიდა“.

ალ. ყაზბეგი ამ ლექსს აქვეყნებს ცალკე, „ივერიის“ ფურცლებზე და შემდეგ შეაქვს თავის ერთ-ერთ წერილში რომელიც იყო იონა მეთუნარეისადმი მიმართული. ამ წერილით ალ. ყაზბეგმა იონა მეთუნარეის გაცა პასუხი „მოძღვრის“ გამო და შეეხო ზემოაღნიშნულ ლექსს, იგი წერდა: „გესმისთს რასა მთხოვთ, ბატონო მეთუნარეავ?... თქვენ ითხოვთ, რომ მთელი ცხოვრება ამოვშალო მთიელებისგან, წყაროთა მათ ცხოვრების დრამატული მხარე, როდესაც თვითონ ხალხმა წარმოსთქვა და გამოხატა ასეთი დრამა თავის ცხოვრებისა:

ბეთლემის კარზე ჰქვიდა
 ვჟა ჭურხაის ხმალია,
 მოუვლის ომის წადილი,
 ხანდახან შესმარავს ქარილი

გესმით და ჰკრძნობთ ამ სიტყვებს? არა, არ გესმით, ბატონო მეთუნარეავ, თორემ თავს აღარ მომაბეზრებდით თქვენის უცნაურის კითხვებით.

ხედავით. თქვენ მასრას მიღებთ კლაპორტში, სემთ ჩემს მიმოხილვას, ზხას უქარავანთა როგონების მოძრაობას და მეუბნებით: ლარსსა და დუშეთს შორის არის შენი ასპარეზი, მას იქით ნუ ვადმოხვალო და მასთანვე თქვენის სიტყვებიდანვე გამოდის, რომ რისი თქმა შემქმნლო, გამოვსთქვი „ელგუჯაში“ — და რაღა ზხას მიღობათ? ვამიშვით სხვაგან, იქნება იქაც სადმე შეგხვდელ გულგუას, ვამიშვი, დაეიტრო ჩემი მედრებო ამისათვის, რომ ჩემნი არიან და ჩემი გული მიბრძვინის მათკენ“¹¹

ხალხური პოეზია ჩვენს წინაპრებს გასართობ საგნად კი არ უხმარიათ, არამედ მასში გამოუთქვამს. დუხატავს, სრული თავისი არსება. ჩვენ მისი შემწეობით შეგვიძლიან გვეცნოთ თუ რომელ ეამს საით ყოფილა ერის გონება მიმართული, სდამდე მიუღწევია მის სიღრმე-სიმაღლეს. ყველაზე მეტი ადვილი ალ. ყაზბეგის ფოლკლორულ არქივში პოეზიას უყავია. აქ პირველ დაკვირვებისთანავე ვგებულობთ, რომ ლექსების მომეტებულ ნაწილს თავის აღწერის საგნად ქალის სახე გაუხდია. ამ ლექსებით გმირის ფიქრები მაინც ქალს დასტრიალებს თავს.

ალ. ყაზბეგის მიერ შეკრებილ ხალხურ ლექსებში ქალი დახასიათებულია, როგორც დედა, სატრფო და გმირი. ხანდახან ფარული სევდა არის გარეული სატრფოს გულცივიობის გამო. ყველა ეს სხვადასხვაგვარი მოძრაობა სულისა აუცილებელი, ჩვეულებრივი შედეგია ნამდვილის სიყვარულისა და ამიტომ აქ უცხოა და უცნაურად არაფერი გვეჩვენება. ზოგი ლექსის შინაარსად აღებულია გულდაყოლილის ანუ შეყვარებულის ტირილი სატრფოს წინაშე. ზოგი ლექსით ვაჟი ქალს ვულცთვობას აყვედრის. ზოგში სატრფოს ნახვას ნატრულობს და მასთან საუბარს.

საოჯახო მორალის დამცველია ლექსი „გაუსვი და გამოუსვი“, რომლის დედანი იწახება ალ. ყაზბეგის ხელნაწერებში ხევე.

გაუსვი და გამოუსვი
 ვითომ ქვანურაო,
 მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ
 ისიც შინაურაო.

ალ. ყაზბეგმა აღნიშნული ლექსი გამოიყენა „ხევისბერ გოჩაში“, ამ ლექსით ავტორმა ონიკსის მოაგონა მისი მოვალეობა, როგორც ხელის მომციდის და შეზობლის.

იმედგაცრუებულ სიყვარულზე არის შექმნილი მოხეუერი ლექსი „ვაი რა დიდი ბრალია, რომელიც ალ. ყაზბეგმა გამოიყენა „მომღვარეში“. ეს ერთსტროფიანი ხალხური ლექსი დაცულია ყაზბეგის ფოლკლორისტულ არქივში.

¹⁰ „ივერია“. 1885 წ. № 7 გვ. 97-98

¹¹ ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. V, 1950 წელი, გვ. 220.

ვაი რა დიდი ბრალია
შავარდენი ჰუავს ძერასა,
გაუფრინდება, წაუფა,
შორით დაუწყებებს მწერასა.

1885 წ. ეურნალ "ივერიის" მე-9 ნომერში
აღ. ყაზბეგმა გამოაქვეყნა მოხვედრი ხალხური
ლექსები. ამ ლექსების უმეტესი ნაწილი სა-
ტრფიალო ხასიათისაა. ერთ-ერთი ლექსის ორი-
გინალი დღესაც ხევის მუხუტეში ინახება. ესაა

ამოდუდლი, მარგალიტო,
ნაგუბარში ჩადეც წაქლო!
არც ეგეთი ღამაზი ხარ
რას თავს იმადლები, ქალო?!

აღნიშნული ლექსი აღ. ყაზბეგმა გამოაქვეყნა
1885 წ. "ივერიაში", ამავე ნომერში გამოქვეყ-
ნებული მოხვედრი ხალხური ლექსებიდან რო-
მელიც მან შეკრიბა, საინტერესოა მეორე
ლექსი.

პატარა გოგო დედასა
ეზმანებოდა ადლითა
იძახის: ჩემი მოცენელი
აივსებოდა მადლითა.

და კიდევ

მთას უნოღლიანს შვეცქერი
შველი ჩამოდნობასა;
გოგო ვაძლევს იმედსა,
ვინ გიზამს ჩემოდნობასა!

ასევე საინტერესოა სატრფიალო ხასიათის
სხვა ლექსებიც, რომელიც აღ. ყაზბეგმა შეკ-
რიბა და გამოაქვეყნა ივერიაში „დათვო, სოქვი
შენს სულზედ“ და სხვა. აქვე ხალხურ ლექსებ-
თან აღ. ყაზბეგი ფელეტონებში აქვეყნებს
თავის საკუთარ ლექსს, რომელსაც უწოდა
„ულმერთო“. უნდა ითქვას, რომ ყაზბეგის ეს
ლექსი ხალხურ მოტივზეა შექმნილი.

აღ. ყაზბეგის პირად არქივში დაცულია
ერის ხალხური ლექსები, სადაც დახატულია კაი
ყმის სახე. ამ ხალხური ლექსით კაი ყმა მაშინ
არის კარგი, როდესაც ხმაღს ლესაგს მტრის
წინააღმდეგ.

აღმასით მკაზმენ ვირებსა,
აკრავენ ოქროს ნაღებსა,
ბედაურს ცხენსა კურთანს სღებენ
სცემენ ვინ შეიბრალდებსა,
კარგი ყმა მაშინ კარგია,
ხმალი რომ შევლენ ეღვასა,
მოციქულობენ ისარნი,
შვიდღნი აძლევენ ენასა.

12 აღ. ყაზბეგის სახ. ყაზბეგის მხარეთ-
მცოდნეობის მუზეუმი ხელნაწერთა განყოფი-
ლება.

13 „ივერია“, 1885 წ. № 9. გვ. 64.

აქვეა დაცული მეორე ხალხური ლექსი
„ტყეში შვეულ შუში მოჭერა“, „გზა სიარულმა
დალია“ და სხვა. ვაქაცობისა და გმირობის
გამომხატველი ხალხური ლექსები მრავლად
მოიპოვება აღ. ყაზბეგის პირად არქივში. ამ
მხრივ საინტერესოა ლექსი

ვაქაცა გული რკინისა,
აბჯარი უნდა ხისაო,
თვალნი ქორულგებ ქმნილი
ზედ მხარნი შევარდენისაო.

აქვე გვხვდება ხალხური ანდაზები

არა შეჯდა მწუერი ხესა,
არა იყო გვარი მისი

ან კიდევ

ჯორი გარბოდა ცხენთანა
მეც ბედაური ცხენთანა,
კუმ ფეხი გამოყო
მეც ნახირ ნახირეო.

ამ ხალხურ გამოანათქვამებს და ანდაზებს აღ.
ყაზბეგი ხმარობდა თავის საპოლემიკო ლექ-
სებსა და წერილებში.

აღ. ყაზბეგი თავის მიერ შეკრიბულ ხალხურ
ლექსებს ორგანულად აქსოვდა თავის მხატვ-
რულ პროზას. ამ მხრივ მდიდარი მასალა მოგ-
ვერობება „მომღვარში“. ამ ნაწარმოებში აღ.
ყაზბეგმა ყველაზე მეტი ხალხური ლექსები
გამოიყენა გმირის სულიერი დრამის გამოსახ-
ტავად. „მომღვარი“ საინტერესოა იმიტომაც, რომ
ამ ნაწარმოებში აღ. ყაზბეგმა გამოიყენა სამო-
ნადირეო ეპოქის შესანიშნავი ნიმუში ლექსი
„ჩარგი“, რომელიც რამდენიმე ვარიანტად არის
ცნობილი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში.

აღ. ყაზბეგმა აღნიშნული ლექსი ლუღუშაუ-
რის გადმოცემით ჩაიწერა ფშაველი მელეკე-
სავან, „მომღვრიდან“ ჯმუხას უძღურების გა-
მოსახატავად აღ. ყაზბეგმა გამოიყენა ხალხ-
ური ლექსი.

დავბერდი დავჩანაქადი,
წვერი შემექნა ქაღარა:
შინ საქმეს ვეღარ ვაკეთებ,
გარეთ ვარგი ვარ აღარა.

ჯმუხას ლექსად ნათქვამ სიტყვას თემის ყო-
ლობის უხუცესი წევრებიც ლექსითვე უპასუ-
ხებდნენ:

გაგვიძელ, ბერო მინდავი!
მუხლი მოიბი მგლისაო:
ჩაგვიყოლიე უნცროსნი,
ვისაც თავი აქვს ცდისაო,

ეთერ ახსანციანიშვილი
აღმასანდრო ყაზბეგი მითხ ლიონის
შემკრები

აღ. ყაზბეგის მოთხრობებისა და რომანების მიხედვით, ასეთი ლექსები და რომანები დაკავშირებულია მშრომელი ხალხის საქმიანობასთან, მათ ლხინსა და მწუხარებასთან. აღ. ყაზბეგის გმირებმა იციან რომ

**ერთხელ სჯობია სიკვდილი
სულ მუდამ დაღონებასა.**

აღ. ყაზბეგის „მოძღვარის“ მიხედვით მაყვალა ოცნებით საყვედურობს ონისეს. მის ერთგულებაში ექვი ეპარება და ლალატს სწამებს. გმირის სულიერი განწუხებულების გამოსახტავად აღ. ყაზბეგმა ეს სცენა ხალხური ლექსით გადაშალა. წისქვილში მყოფი მაყვალა ტომარას მივსვენა და ოცნებაში შევიდა, გაიარა წუთმაც და ქალმა ნაზი ხმით დამღერა:

**„მოფრინდი ჩემო მერცხლო,
დამიბეჭიკე ბანხელა,
თითქოს მკვიდედი: მიყვარხარ,
მაშ რაღად დახვალ განხელა?!”¹⁴**

აგი ქალის, აგი ცოლის სახეს გვხვბატებს აღ. ყაზბეგი ერთსტროფიან ხალხური ლექსით, რომელსაც გელა გოდერძიშვილი მღერის:

**ვაქკაცსა ცოლის სიყვე
შუა გზას მოაგონდება;
წაველის საგონებელში
გზას იქით გადავარდება!¹⁵**

სოციალური უთანასწორობის დასაგმობად აღ. ყაზბეგმა „მოძღვარში“ კვლავ ხალხური ლექსი გამოიყენა.

**წუთის სოფელი! უფაღმა
შეგამკო ათასგვარადა,
ერთი რო კარგად მოაწუე,
ცხოხ რად არ აგდებ ფარადა!**

ამ სიმღერას მღერის თემიდან მოკვეთილი მთა-კლდეს შეფარებული მაყვალა. ვინ იცის, ამ დროს რა სურათები ეხატებოდა თვალწინ, ყოველი მოგონება წარსულისა ცრემლს აღვრევიანბდა, „ტიროდა, — წერს აღ. ყაზბეგი, —

¹⁴ აღ. ყაზბეგი, თხზულებათა ტ. II, 1948 წ. გვ. 115

¹⁵ იქვე, გვ. 384.

ისტორი მოთქმით, რომელიც ქვას განუთავდა და მიწას ადღულებდა“ (გვ. 358). აღ. ყაზბეგის გმირები თავიანთ სულიერ განწუხებულებებს ხშირად ხალხური ლექსებით გამოხატავენ.

სიცოცხლის წარმავლობაზე, მის ხანმოკლეობაზე მღერის მთა-კლდეს შეფარებული მაყვალა.

**ბინდის ფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება,
რა არის ჩვენი სიცოცხლე,
ჩიტივით გაგვიფრინდება.**

აღ. ყაზბეგის შემოქმედებაში ფართო ადგილი აქვს სახალხო მოქმელის ღინჯა ხულებლის რეპერტუარს. ამ მოქმელის შესახებ იგი ლაპარაკობს „ეღღუჯაში“ და გვაძლევს მის მოკლე დანახიათებას, როგორც საუკეთესო მოქმელი. მისგან ჩაუწერია აღ. ყაზბეგს ხალხური ლექსი „ღარიბობა და ობლობა“, რომელიც გამოიყენა „ეღღუჯაში“. ამ ხალხური ლექსის მოტივზე მან შექმენა ორი ლექსი, რომელიც გამოქვეყნებულია აღ. ყაზბეგის III ტომში.

აღ. ყაზბეგის მიერ შეყვრიბილ მოხვედრ ლექსებიდან საინტერესოა „წუთის სოფლის სტუმარი ვარ.“ ეს ხალხური ლექსი აღ. ყაზბეგს პატარა ქალაღდის ნაქერზე ჩაუწერია და დღეს ამ სახით ინახება ხევის მუხუეუმში. უნდა ითქვას, რომ აღ. ყაზბეგი, როგორც საკუთარი ისე ხალხურ ლექსებს, არსად სათაურს არ აძლევს. ამ მხრივ გამოწყლისს წარმოადგენს რამოდენიმე ლექსი, რომლისთვისაც აღ. ყაზბეგს თვითონვე მიუცია სათაური. მისი როგორც საკუთარი ლექსები, ისე ხალხური ლექსებიც დაწერილია წერილ ქალღდის ნაქერებზე, დაუნომრავია და ხშირად ქირს გარეგარომელია აღ. ყაზბეგისა და რომელია ხალხური ბევრ ლექსს აღ. ყაზბეგი სცენიდან კითხულობდა და აცხადებდა ხალხურად. ბევრი ლექსი კი მისი დაწერილია ხალხურ მოტივზე, ამ მხრივ მის როგორც პროზაზე, ისე პოეზიაზე დიდი გავლენა მოახდინა მთის ზეპირსიტყვიერებამ.

ქართული ხალხური სიტყვიერების გამოყენებით აღ. ყაზბეგმა გაზარდა მკითხველის ინტერესი თავისი შემოქმედებისადმი.



მიქოლა ბაქანი

ს ი მ ლ ე რ ა

მოსღვავებულა ცისფერი სითბო
 და მოკრძალებით ტყლაშუნებს ტალღა.
 სიცილიური ველების სვითოს
 წყნარი ზღვის ფერი და მწუხრი ახლავს.
 პატარპატარა ვარსკვლავთა დარად,
 ლურჯ პლანეტათა ოქროს მტყენებით,
 ბრინჯაოსფერი წყვდიადის კარავს
 ზედ დასდენია მზის შადრევნები.

ზღვით სიცილის ჩურჩული მოდის,
 დაუქანცია ჯადოს, ლევენდას,
 აქ ეფვანივით ჟღარუნებს ტოტი,
 როგორც გიტარის შემოქმედება.
 და ფორთოხლების ბაღი ჩამოყრის
 ოქროს და ბაღი არის მდიდარი,
 მღერის სტუმარი ამბებს სამოთხის,
 წყნარად ჩამოჰკრავს სიმებს გიტარის.

დგას ყელსახვევით, როგორც არტისტი,
 რა სიღარიბემ გაასაწყალა,
 არის სიმღერის კონტრაბანდისტი,
 არის მგოსანი და მაწანწალა.
 აქოთებულა სუნით თუთუნის
 და ნამგზავრობის მომჯათ სუნით,
 წელში მოხრილი და მოკუნტული,
 ქუჩაში იკლავს სიმღრის წყურვილს.

ყვითელი ხელი კეხება სიმებს,
 ყვითელი თვალით სიბნელეს უმზერს,
 გრძნობს საუცხოოდ სიჩუმეს მძიმეს,
 შორი ხილვებით მოუხმობს მუხებს.
 სიმშვიდე ახლავთ ელინურ ჰანგებს,
 აქ ფიქრი ქოროს წინამძღოლია,
 მე იტალიურ სიმღერას ვაქებ —
 მავრიტანული სევდის ტოლია.

ათასნაირად მღერის მგოსანი,
 ჭიქა საესეა ათასი ღვინით
 და დადის იგი, პატიოსანი,
 საესე ქიშპობით, სიმავრით, ღვინით

სისხლსავსე არის მისი სიმღერა,
უძველეს ღვინოს უმარჯვებს, ურჩევს,
გზას შეუმოკლებს ვინც დაიღლება
და ამოუვსებს დამშეულთ კუჭებს.

არ უყვართ მსტოფრებს და ოინბანებს,
მას ეტრფის ყველა ჭკუადამჯდარი,
ის ყველგანაა, როგორც სიბრაზე,
როგორც სიმართლე, როგორც ხანჯალი.
შორეულ ალპებს, გაუვალ ტევრებს,
სად სისხლის ფარდა ჩამოიშალა,
სასოწარკვეთილთ და დამის მთევლებს,
სადაც ქცეულა ბოდმა კრისტალად.


ის ესტუმრება, იგი ესტუმრა,
უსაზღვროების სულით განცდილი,
ხალხის წიადში უცებ შესცურა
და გააბიჯა მამაკაცივით.
ადგა სიმღერა და მომღერალი
ცას გაეკიდა მანათობელად,
ისმინეთ მისი სიტყვის ჩქერალი,
ლატაკი იქცა უცებ მფლობელად.

და გიხაროდეთ, სწორედ ეს არის
შემოქმედების ხმალივით წრთობა,
ო, მეგობრებო, თქვენ შეესწარით,
ამბოხებული სიმღერას შობას.
ამ კოლონათა ახალ რევანშში,
ისმის თუ არა ხმლების ჟღარუნი?
ისმის თუ არა ამ სიმღერაში,
რწმენა, იმედი და სიყვარული?

და თუ ასეა, მაშინ გაიჭრას
ცივ ქოხმახებში, ხალხის გულებში ..
დიდება მგოსანს, ვინც მოგვანიჭა
მზე მღვიმეებში და ჯურღმულეებში.
ვინც მიაცხუნა მზე მაღაროელს,
საპყარს და საწყალ მოჯამაგირეს,
ბაღს ზეთისხილის, სევდის ხაროებს,
ხეივნებს ერთურთ გადაგრაგნილებს.

კლდეკლდე, ხედახვე, ისე ვით დელგმა,
გულიდან გულში გადაწერილი,
მე მწამს და მჯერა, შეაღწევს ყველგან,
რადგან სიმღერას ჰქვია ლენინი.

თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა



დიდი უკრაინელი მწერალი

საქვეყნოდ ცნობილ უკრაინელ მწერალს მიკოლა ბაჟანს დაბადების სამოცდაათი წელი შეუსრულდა. საქართველო, ქართველი ხალხის მეგობრებს შორის მას განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისი მრავალმხრივი შემოქმედება თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობა მშობელი ხალხისა და მოამე ერებისადმი უანგარო სამსახურის ნათელი ნიმუშია.

მიკოლა ბაჟანის შემოქმედება განუყოფელი ნაწილია ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი პერიოდის უკრაინული ლიტერატურისა. იგი, შეიძლება ითქვას, ასევე მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა თუ მისი ისტორიის ორგანული ნაწილია. მის შემოქმედებაში აირეკლა საბჭოთა ქვეყანაში მიმდინარე ეპოქალური მნიშვნელობის პროცესები, იქნებოდა ეს სამოქალაქო ომისა თუ დიდი სამამულო ომის სურათები, პირველი ხუთწლედისა თუ ომისშემდგომი პერიოდის დიდი მშენებლობანი.

მიკოლა პლატონის ძე ბაჟანი დაიბადა 1904 წლის 9 ოქტომბერს ქალაქ კამენეც-პოდოლსკში, სამხედრო ტაოფრაფის ოჯახში. მალე ოჯახი უმანში გადავიდა საცხოვრებლად და ბავშვიც იქვე შეჰყავთ ვიმნაზიაში სასწავლებლად.

უმანი ძველი უკრაინული ქალაქი იყო, რომელსაც თავისი ხალხის ისტორიაში მრავალი საინტერესო ფურცელი ჰქონდა ჩაწერილი პატარა ბავშვის გონებასა და გულს არა მარტო ისტორიული, არამედ იმდღევანდელი უმანიც იზიდავდა. ქალაქი სამოქალაქო ომის ასპარეზი იყო და ჯერ კიდევ პატარა ბავშვი მიკოლა ბაჟანი მძიმე ბრძოლებს მოწამე გახდა.

ჭაბუკის ცხოვრების გზის გარკვევაში, ფიქრობენ, მცირე როლი როდი შეასრულა ევგენი მაქსიმეს ძე გრიგორუკთან შეხვედრამ, რომელიც იმ დროს უმანში სახალხო განათლების განყოფილების გამგე იყო. ნიჭიერი პოეტი და

მთარგმნელი, სულით რევოლუციონერი, პოლკის კომისარი და წიგნის დიდი მოყვარული— ასეთი იყო ე. გრიგორუკი.

ჭაბუკი ბაჟანი წიგნს დაეწაფა. ტარას შევჩენკო, ივანე ფრანკო, ლესია უკრაინკა, უოლტ უიტმენი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, პავლო ტიჩინა, ელლანი და სხვები მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრები გახდნენ.

1926 წელს ხარკოვში გამოდის პოეტის ლექსების პირველი კრებული „მეჩვიდმეტი პატრული“.

კრებულის სათაური ერთგვარად სიმბოლური იყო. იგი მიუთითებდა იმ დიად თარიღზე, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერის დაწყება გვამცნო. კრებულის თემატიკა სამოქალაქო ომთან იყო დაკავშირებული. ახალბედა პოეტისათვის ჯერ ყველაფერი როდი იყო ნათელი, მაგრამ მისი მგზნებარე გული უკვე მაშინ ხალისით ეგებებოდა რევოლუციურ ქარიშხალს, პოეტის ლირა კი არეკლავდა დიადი ბრძოლების მრისხანე მუსიკას.

ბალადის ეანრი საკმაოდ ცნობილი იყო როგორც ადრინდელ, ისე ბაჟანის თანამედროვე უკრაინულ ლიტერატურაში, მაგრამ იგი ახლებურად აღედგა ბაჟანის შემოქმედებაში. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ახალგაზრდა შემოქმედმა განიცადა გამოჩენილი უკრაინელი თუ რუსი პოეტების გავლენა. აითვისა და თავისებურად გამოიყენა მათი მიღწევები ამ სფეროში; ტიჩინას ჰეროიკა, მაქსიმ რილსკის პლასტიკა, ნიკოლოზ ტიხონოვის ეპიური ძიებანი და სხვ.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა მგონის პოეტური სტილი შინაგანი წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა. მის ლექსში შეხვედბოდიო მრავალ უბრალო, მართალ პოეტურ სიტყვას, რომელიც ზედმეტი შესაძახებისა და ორნამენტულობის გარეშე ჰემშარტად



მივსადაგებოდა რევოლუციურ სიტუაციას. მაგრამ მათ ზშირად სცელიდა ექსტრემური, ღვლარჭინილი სიტუცა და ფორმა, რომელთაგან თავის დაღწევა კარგახანს ვერ შეძლო მიკოლა ბაქანმა.

„მეჩვიდმეტე პატრულს“ სხვა ლექსებთან ერთად გამოქვეყნდა „სონეტი“. ამ ნაწარმოების მთავარი აზრი ასეთი იყო: სამოქალაქო ომის ხანძრის ჩაქრობისას რომანტიკული აღიქვა ჩაქრა, დადგა ჩვეულებრივი, უფერული ცხოვრება. ცხოვრებისეული მოვლენების ასეთივე არასწორი შეფასება მოგვცა პოეტმა ლექსში „მეჩვიდმეტე პატრულს მებრძოლი“. მისი მთავარი გმირი ანტონ სედის არ იყო დადებითი გმირის ტიპიური მხატვრული პორტრეტი. ყოფილი ქურდი და ბანდითი ანტონი რევოლუციონერებს მიეყვალა. მისი წარსულის გამოძღვევების შემდეგ იგი თვითნებურად მტრის მატარებელს გადაადგებს ლიანდაგიდან და თვითონაც იღუპება. ანტონის მსგავსი გმირები სამოქალაქო ომის დროს ბევრნი იბრძოდნენ სამბუთლებს მხარეზე. მაგრამ, როგორც კრიტიკოსები ფიქრობენ, ასეთი გმირი არაჩვეულებრივი სიტუაციებისადმი ბაქანის მიდრეკილებათა და მასზე წიგნური გავლენით უფრო უნდა აიხსნას.

1924 წელს ბაქანი საცოვრებლად ხარკოვში გადავიდა. იქ ხედება ეგი პირველად იმ დროის ბევრ დამოხრწილ ლიტერატორსა და ხელთახანს, მათ შორის ელან-ბლაკიტინს, აღექსნანდრე დოვევენოსა და სხვებს. უნდა ითქვას, რომ აღექსნანდრე დოვევენოს ოპტიმისტურმა ხელოვნებამ ვაჟენა მოახდინა მიკოლა ბაქანის შემოქმედებაზე.

ოციან წლებში მიკოლა ბაქანი ებმება კინოს სამყაროში, მუშაობს სცენარისტად და რედაქტორად. მონაწილეობს ფილმების შექმნაში, რედაქტორობს ეურნალს „კინო“, წერს წიგნს დოვევენოს შესახებ და სხვ. მიკოლა ბაქანმა კინოხელოვნებას მიუძღვნა თავისი შემოქმედებითი ცხოვრების წლები, თითქმის, 1934 წლამდე.

მუშაობის ამ სპეციფიკას თავისი კვალი უნდა დაენიანა მწერლის შემოქმედებაზე და ეს ასეც მოხდა. პოეტის ნაწარმოებებში შეიქრა კინემატოგრაფიისათვის დამახასიათებელი დინამიკა. ზოგიერთი ლექსი კი, შეიძლება ითქვას, კინოსცენარის ტიპზეა აგებული. ასეთ ნაწარმოებებს განეკუთვნებიან ბალადა „იმობე გალაშანა“, „მეჩვიდმეტე პატრულს მებრძოლი“ და სხვა. პოეტის ეს პირველი ცდები ლექსში კინოსცენარის ხელოვნების მექანიკურად გადანერგვის ხასიათს ატარებენ, მაგრამ გვა დრო და დამყნობის ხელოვნურობა გაქრება და მიკოლა ბაქანის ლექსებს შეემატება ფრიალ საჭირო ნიშნითებიანი.

ამ დროისათვის (1927 წელი) გამოქვეყნდა

მიკოლა ბაქანის ლექსების მეორე კრებული „ჩუქურთმიანი ჩრდილები“.

პოეტმა ისტორიას მიაშტრა. „ჩუქურთმიანი ჩრდილის“ ისტორიულ თემაზე აგებულ სონეტებში ახშიანდა შორეული წარსული, უარესად დახვეწილი სტრიქონები თუ მხატვრული სახეები დამტრული იყო მათი ისტორიული შინაარსის აბსტრაქტულობით. იცვლება ავტორის პოეტური მეტყველების სტილიც. თუ „მეჩვიდმეტე პატრულში“ ტიჩინასა და ტიხონოვისეული პეროიკა ეღერდა, „ჩუქურთმიანი ჩრდილში“ კლასიციზმმა დაიკავა ადგილი, ღინმიკურმა მიაჯოვისისებურმა ლქსმა ადგილი დაუთმო აკადემიზმს, ცოცხალი გმირები შეცვალეს „ჩუქურთმიანმა ჩრდილებმა“.

სოციალისტური სინამდვილისაკენ ერთგვარი შემობრუნება აისახა პოემებში „შენობანი“ (1929) და „რიცხვი“ (1931). ეს ნაწარმოებები არა მარტო თემის, არამედ აგრეთვე მისი განხორციელების თვალსაზრისით ახალი სიტუაცია პოეტის შემოქმედებაში. მწერალი ისწრაფვის სინთეზისაკენ, ღრმა და ფართო განზოგადოებებისაკენ, ცდილობს გამოავლინოს კაცობრიობის ისტორიაში მთელი ეპოქებისა და კლასების მნიშვნელობა თუ დანიშნულება და საამისოდ მიმართავს არქიტექტურის ფორმებისა თუ რიცხვის მხატვრულ სახეებს. თუ წარსულში ტაძარი ან სხვა ნაგებობა გამოხატავდა ამა ქვეყნის ძლიერთა უსაზღვრო უფლებებს, თანამედროვე შენობანი მშრომელთა შემოქმედების, ბედნიერებისა თუ უბედურების მაუწყებელი არიან. თუ წარსულში რიცხვის კატეგორია გამოხატავდა მდიდართა მიერ დავროვულ ნაძარცვ დოვლათს, ამჟამად გამოხატავს სამბუთათა ხალხის უსასრულო ენერჯიას, შრომასა და მისი შესევით მოპოვებულ სავანძურს. დნებროქესესა თუ ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის მშენებლობანი, სოციალიზმის მშენებელი მილიონობით ადამიანის ენერჯია თუ ენთუზიაზმი სოცოცლუს შთაბერავენ მგოსნის შემოქმედებას და ეღვრებას მატებენ მის სტრიქონებს. მაქსიმ რილსკის მსგავსად, რომელმაც „მუსკულატურის სიმფონიას“ უმღერა, მგოსანმა რკინის კლავიატურა „ახშიანა. თუმცა მშენებლობის პროცესი ექსპრესიულ, რამდენამდე აბსტრაქტიზმულ სახეებშია მოცემული, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ამჟერად მიკოლა ბაქანის შემოქმედებანი აუღერდა სოციალისტური მშენებლობის შემოქმედებითი პათოსს.

1930-იან წლებში მიკოლა ბაქანი წერს პოემებს: „ჰამლეტის სიკვდილი“ (1932), „მნებათა ტრილოგია“ (1933), „მებადე“ (1934), პოემებს კიროვზე „უკვდავების“ სახელწოდებით (1934-1937), „მამა და შვილები“ (1938) „დედა“ (1939) და სხვ.



„ჰამლეტის სიკვდილი“ ეს არის მწვევე ჰამლეტი ფაშისხმა და მის იდეოლოგიურ ტრუბადურებზე. იგი რთული ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოებია. პოემა ერთგვარად „მულთა საუბრის“ ეპილოგია. ნაწარმოებსა და ეპილოგს. ერთიმეორისაგან აშორებს ოთხი წელი, რომელმაც მოიცილა სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლების აგების, კულაობის ლიკვიდაციის, მთლიანი კოლექტივიზაციის, საზოგადოებრივი შეგნების გარდაქმნის ბრძოლის წლები. ამ ხნის განმავლობაში ბაქანმა დიდი გზა განვლო და ყოველივე ამან გამოძახილი ჰპოვა პოემაში.

ბაქანმა მწვევე სატირულ ფერებში დაგვიხატა ზიზღისმომგვრელი გარკვეული სუბიექტი, ინდივიდუალისტი ინტელიგენტი, რომელსაც წმინდა აღარაფერი შერჩენია. მისი გაზრწნილი მორალი, სულიერი სიღატაკე, ყალბი ჰუმანიზმი დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში, როდესაც მსოფლიო იმპერიალიზმი კრიზისისაგან გაოსვლას ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებაში ეძებდა, საშიში, სახიფათო მოვლენა იყო. „ჰამლეტები“ ასეთ პირობებში ფაშისხმისათვის ფრიად ხელსაყრელები იყვნენ. მგოსანი ვენტრეულად ილაშქრებს რეაქციისა და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ და პროლეტარული ჰუმანიზმის იდეებს ქადაგებს.

ბაქანის გაცემით, XX საუკუნის ალექსიე კარამაზოვი დახეტილობს ევროპაში და „გულებს კაწრავს შავი კლანჭებით“, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი დაქირავებული კაცის-მკვლელები იმათ სამსახურში დგებიან, ვინც მსოფლიოს ახალი ომის ვაჩაღებით ეშუქრება.

„წმინდა ხელოვნების“ ყალბ თეორიას იგი უპირისპირებს ლიტერატურის პარტიულობის, ხალხურობის ქეშმარიტ, ლენინურ გაცებას. ხელოვნების პარტიულობის ლენინური მტკიცე პოზიცია, ბურჟუაზიული და სოციალისტური იდეოლოგიათა შეუთრგებლობა, უკომპრომიზობა — აი, რა ანასიათებს მიკოლა ბაქანის პოემას.

მგოსანს სწორი დასკვნების გამოტანაში დაეხმარა ლენინური სიმართლე, პარტიის პოლიტიკური კურსი.

კაცთ სიყვარულიც და კაცობაც
ჩენი ბრძოლების
დაიდ ლენინურ სიმართლეში არის და
გვჭერა, —

წერდა პოეტი. ლენინური სიმართლე დაეხმარა მწერალს წინასწარ განეკვირბა ჯერ კიდევ პიტლერული ჯალათების გამეფებამდე გერმანიაში, რომ ფაშისტები თავიანთი იმპერიალისტური ზრახვების განხორციელების დროს უთუოდ გამოიყენებდნენ დაცემულობის თეორიას.

პოემები „ვენებათა ტრილოგია“ (1933) და „მებაღე“ (1934) შემოქმედებაში წინსვლის შემდეგომი საფეხურებია.

სოციალიზმის მძლე განვითარება, ლენინური პარტიის ირველივ მშრომელების დარაზმვა და მათი შრომითი გმირობა იყო ის წყარო, რომელმაც განაპირობა ბაქანის მძლავრი აღმავლობა როგორც ახალი სამყაროსა და ახალი ადამიანის მგზნებარე მომღერლისა. რა თქმა უნდა, რომ თავისი ლექსის ახალი გმირის ძიებასა, იგი მიაკითხავს იმ ბოლშევიკის ტიპს, რომელიც თავისში განასახიერებს ხალხის სულისკვეთებასა და მის იდეალებს, მის ძალას. ასე ისახება პოემის ჩანაფიქრი, შემდეგში მას ბაქანი მისცემს სათაურს — „უკვდავება“.

მიკოლა ბაქანის ეს პოემა, რომელიც სახელოვანი მგზნებარე ტრიბუნის ს. მ. კიროვისადმი მიძღვნილი, მაღალმხატვრული და იდეური ნაწარმოებია. მგოსანი უკვდავების ჰიმნს უმღერის იმ რევოლუციონერებს, „მკაცრი ბრძოლებით რომ ქმნიან ცხოვრებას“, მშრომელები მიჰყავს სოციალიზმისა და კომუნისმის გამარჯვებისაკენ.

ამ ნაწარმოებში ბაქანმა შესძლო რევოლუციის სულისკვეთების გახსნა მთავარი მოქმედი გმირის სახეში, მის ფიქრებსა და ოცნებებში, ნებისყოფასა და მიზანწარაფვაში. მკითხველის თვალწინ აზვირთდება რევოლუციის სამი ტალღა, რომელიც საბოლოოდ კომუნისმისაკენ მიისწრაფვის.

ცხოვრებამ, სოციალისტურმა სინამდვილემ შესაძლებლობა მისცა პოეტს ახლებურად გადაეწყვიტა სიკვდილისა და სიცოცხლის პრობლემა. მთელი პოემა ოპტიმისტურად ეღერს, რაც კომუნისმისაკენ ადამიანთა შეუღრეკელი სწრაფითაა გამოწვეული. პოემის პირველივე თავში ახმინდა სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების სიმღერა, იგი გაფართოვდა და გაღრმავდა მეორე თავში, ხოლო მესამეში სიცოცხლისა და თავისუფლების დასრულებული ჰიმნის სახე მიიღო.

1935-1941 წლები მიკოლა ბაქანის პოეტური ნიჭის შემდგომი გაფორმების პერიოდია: ამ დროს არის შექმნილი პოემები „მამები და შვილები“ (1938), „ღედა“ (1939), ლირიკული ლექსების ციკლები — „ლექსები საქართველოზე“, „უზბეკური ლექსები“, „ბორისლავური მოთხრობები“ და სხვ. ყველა ამ ნაწარმოებში ბაქანი გვევლინება საბჭოთა პატრიოტიზმის მგზნებარე მომღერლად, ხალხთა მეგობრობის მეხოტბად სულ უფრო იხვეწება პოეტის ხელოვნება. მიკოლა ბაქანის ლექსს ემატება ფოლ-

ოთარ ბაქანიძე
დიდი შკრინიანი მწიგნარი

დის სიმტიცე და ტლარება, პლასტიკრობა და სიფაქიზე.

1939 წელი მნიშვნელოვანი იყო მიკოლა ბაჟანისათვის. ამ წელს დაჯილდოვება იგი ლენინის ორდენით, ამ წელსვე შევიდა იგი კომუნისტური პარტიის რიგებში, უკრაინელი ხალხის სახელით მიესალმა პარტიის XVIII ყრილობას, პოეტი საბჭოთა ჯარებთან ერთად შევიდა დასავლეთ უკრაინაში.

„ყოველი მწერალი — მებრძოლია“ — ასეთი იყო მიკოლა ბაჟანის მოწოდება, როდესაც ფაშისტური ვერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. ამ თავითვე უნდა ითქვას, რომ მკოსნის ცხოვრება-მოღვაწეობა მთელი სამამულო ომის დროს საეხებით შეესაბამებოდა მის დევიზს. სამშობლოს სიყვარული ასულდგმულებს პოეტს სამამულო ომის პერიოდში. პატრიოტიზმით სუნთქავს მისი ყოველი ნაწარმოები.

მწერალი ომის პირველსავე დღეებში მიდის ფრონტზე, ეწევა დიდ პოლიტიკურ და შემოქმედებით საქმიანობას. 1941-1943 წლებში იგი არის საფრონტო გაზეთის „ზა რადიანსკუ უკრაინუ“ რედაქტორი, წერს მოწოდებებსა და საავტაციო ფურცლებს, სიტყვით გამოდის ანტიფაშისტურ მიტინგებზე და სხვ. 1943 წელს მიკოლა ბაჟანი ინიშნება უკრაინის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1946-1949 წლებში იგი უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა.

ომის წლებში კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა მიკოლა ბაჟანის პოეტური ნიჭის ძალა, უფრო მაღალ რეგისტრებში აყვრდა მისი ფოლადისებური ნაწვდომის სტრიქონები.

მიკოლა ბაჟანის პოეტური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი თვისებები — ვაჟაკური ინტონაციები, გმირული ბათოსი, სამარშორტში, პოეტური აზრის ლაკონიზმი თუ სინათლე, მხატვრული სახის რელიეფობა თუ პლასტიკრობა — ახალი ძალთ გამოვლინდა პოეტი-მებრძოლის შემოქმედებაში და შეიძლება ითქვას, პირდაპირ უპასუხა მწერლების მიერბა მრისხანე ომის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებებს. პოეტმა მთელი თავისი გამოცდილება და ხელოვნება დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენა.

დიდი სამამულო ომის წლებში გამოვიდა მისი წიგნები: „ფიცი“ (1941), „სამშობლოს რიხსება“ (1941), „დანილ ვალიცი“ (1942), „სტალინგრადის რვეული“ (1943) და სხვ. აგრეთვე სამხედრო ნარკვევებისა და პუბლიცისტური წერილების ორი კრებული.

ეს ლექსთა კრებულები ოთხი „მგზნებარე წლის“ თავისებური პოეტური დღიურია, რომლებშიც აღიბეჭდა სამშობლოს დამცველთა გმირობა და სამამულო ომის საეტაპო მოვლენები.

პოეტური აგრესიის პირველსავე დღეებში ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლო მუშაობაში გაისმა ბაჟანის ლექსი „ფიცი“:

ერთი არის ჩვენი ფიცი, ჩვენი ნება
და მამულმაც ერთი აზრი შთაგვაგონა:
უკრაინა არასოდეს არ იქნება
გერმანელი ბატონების ყმა და მონა!

(თარგმ. ხ. ბერულავასი)

ეს ლექსი პატრიოტული ლირიკის შესანიშნავი ნიმუშია, იგი ვასაოცარი ლაკონური და ორიგინალური ფორმით გამოხატავდა საბჭოთა ადამიანების გრძნობებსა თუ აზრებს სამშობლოსადმი.

ლექსი ომის პერიოდში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ამჯერად კი იგი ლიტერატურის ქრესტომათიების გვერდებს აშუვენებს. „ფიცი“ — სიტყვა — ამბობდა 1942 წელს ა. კორნეიჩუკი, — „ალარ არანს მარტო აეტობის კუთვნილება, ისინი ხალხის აზრად, საერთო კუთვნილებად გადაიქცნენ“.

მოსკოვის მისაღვომებთან ბრძოლების დროს 1941 წლის დეკემბერში მიკოლა ბაჟანმა დაიწყო მუშაობა პეტიზე „დანილ ვალიცი“. პოეტმა ისტორიულ წარსულს მიმართა, მაგრამ მის მიერ შექმნილი ბრწყინვალე საგმირო პოეტური ეპოსი საოცრად ეხმაურებოდა თანამედროვეობას, სამამულო ომისდროინდელ მოვლენებს.

ბაჟანის პოემის აქტუალობა სამამულო ომის წლებში იმით იყო გაპირობებული, რომ ნაწარმოებში განდიდებული იყო რუსი ხალხის, რუსი მებრძოლების პატრიოტიზმი, სამშობლოს ერთგულება და სამშობლოს წინაშე მოვალეობის მაღალი შეგნება, წინა პლანზე წამოწეული იყო სლავთა ერთიანობის იდეა, ძმობის იდეა. პოემის დასკვნით ნაწილში კი მკითხველი ნათლად იგრძნობდა ისტორიული და თანამედროვე სინამდვილის თანახმანობას. მკითხველმა ბოლო სტრიქონებში ამოკითხა მოსკოვის მისაღვომებთან ფაშისტთა დამპყრობლების განადგურების ისტორიული ამბავი. მკოსანმა მოხდენილად და ამავე დროს სწორი პოზიციიდან ქებათაქება უძღვნა წინაბრძოლის გმირულ საქმიანობას, და საბჭოთა ხალხის გამარჯვებას. ამ პოემას დღესაც არ დაუჯარავს თანამედროვე ელერადობა.

სამამულო ომის პერიოდში მიკოლა ბაჟანმა ბრძოლისა და შემოქმედებითი შრომის სახელოვანი გზა განვლო. მისი კალამი ბასრი იარაღი იყო ფაშისტთა აგრესორების წინააღმდეგ მიმართული.

მიკოლა ბაჟანმა მრავალი ნაწარმოები უძღვნა ამ თემას. მათგან ცნობილია ლექსთა კრებული „სტალინგრადის რვეული“. ამ კრებულში მოთავსებული ნაწარმოებები საბჭოთა ადამიანებში აღვივებდნენ ზიზღის გრძნობას გერმანელი



დამპყრობლებისადმი და აკეებდნენ მათს ნე-
ბისყოფას: მტერთან საბრძოლველად. ახალი ქა-
ნობრივი ნაყადი შეიჭრა პოეტის შემოქმედე-
ბაში. პუბლიცისტურობის ნაპერწკალი დაეკე-
სა ლირიკული ხასიათის მის ლექსებს.

მშობლიური ქალაქის — კიევის გათავისუფ-
ლებას მიუძღვნა პოეტმა ლექსების ციკლი
„კიევის ეტიუდები“. კომპოზიციით მკანისს
ეს ახალი წიგნი იმეორებს — სტალინგრადის
რევოლუსი“ აბეჭულებას. ეს არის ერთიანი
მოთხრობა თავისი შესავლით, მოქმედების თავ-
ვისებური განვითარებითა და ოპტიმისტური
ეპილოგით, რომელიც ამავე დროს ელერს რო-
გორც პათოლოგი ზვალინდელი დღისა, პერს-
პექტივა საბჭოთა ხალხის ახალი შრომიით აღ-
მაჯობისა, აღმშენებლობისა.

ლექსების წინა ციკლის მსგავსად, ამ კრე-
ბულშიც ისეთი სურათია წარმოსახული, რო-
მელსაც ვერც ერთი საბჭოთა მოქალაქე გვერდს
ვერ ჩაუვლიდა გულგრილად. მაგრამ თუ პირ-
ველ შემთხვევაში ბაქანი ბრძოლებს ასახავს
როგორც მისი უშუალო მონაწილე, გადმოგე-
ცემს ბრძოლის პროცესს, „კიევის ეტიუდებ-
ში“ ეს ბრძოლები ქალაქის გათავისუფლებისა-
თვის ერთგვარად რეტროსპექტიულად არის გად-
მოცემული, მოთხრობილია ამბავი მისი დასრუ-
ლების შემდეგ.

„კიევის ეტიუდებში“ მკაფიოდ გამოვლინდა
სოციალისტური რეალისმის ნიშანი — ცხოვრე-
ბის ფაქტების რეალისტური ასახვა და ფაქტე-
ბის ემპირიულობაზე მალა დადგომა. ანგრე-
ულ-დანგრეულ ქუჩებსა და სახლებს შორის,
აჩვხილ და ნახანძრალ ზეივნებსა და ბაღებს
შორის პოეტს უკვე აჩვენებს მშვენიერ და რეა-
ლურ სილუეტებს — ნათესა და სწორ პერს-
პექტივებს, ზვიდასა და მიწიხიდეულ სასახლე-
ებს, თვლწარმტაც ზეივნებსა და ბაღებს.

ომის პერიოდში მიკოლა ბაქანი მძაფრი პუბ-
ლიცისტი, საზოგადოებრივი და სახელმწიფო
მოღვაწეც იყო, ბევრს შრომობდა უკრაინული
ლიტერატურისა და ხელოვნების აღდგენისა და
შემდგომი განვითარებისათვის, იბრძოდა იდეო-
ლოგიური რეცილივების, უკრაინული ბურჟუა-
ზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ. თავის
წერილებსა თუ გამოსვლებში პოეტი შემოქმე-
დებს მოულოდებლად კიდევ უფრო დახვეწათ
თავიანთი პოეტური ოსტატობა და მიულოთ
იდეური წრითბა კლასიკოსი მწერლების გე-
კვიდრობის ღრმად შესწავლის, გაანალიზებისა
და ათვისების გზით, რუსი და სხვა ერის თანა-
მედროე მწერალთა შემოქმედებითი მიღწე-
ების გააზოების გზით.

მიკოლა ბაქანი მთელი ამ ხნის განმავლობაში
ხალხთა მეგობრობის დიდ საქმეს ერთგულად
ემსახურებოდა, როგორც პოეტური ნაწარმოე-
ბებით, ისე თავისი გამოსვლებით, სტატიებითა
თუ თარგმანებით.

ფართო და მრავალმხრივი მიკოლა ბაქანის
მოღვაწეობა დიდი სამამულო ომის დამთავრე-
ბის შემდეგ. სხვადასხვა დროს იგი იყო უკრა-
ინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევ-
რი, სსრკ და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს
დეპუტატი, 1952 წლიდან უკრაინის მეცნიერე-
ბათა აკადემიის აკადემიკოსი, უკრაინის მწე-
რალთა კავშირის მდივანი და სხვ. ამჟამად იგი
არის უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომი-
ტეტის წევრი, უკრაინის საბჭოთა ენციკლოპე-
დიის მთავარი რედაქტორი და სხვ.

1946-1947 წლებში მიკოლა ბაქანი იმოგზაუ-
რა ინგლისში, როგორც უკრაინისა და საბჭოთა
კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციების
წევრი. უცხოეთში მიღებული შთაბეჭდილე-
ბების შედეგად 1948 წელს მიკოლა ბაქანი
შექმნა ლექსების ციკლი „ინგლისური შთა-
ბეჭდილებანი“. ამ ნაწარმოებებში მშვიდობი-
სათვის ბრძოლის იდეა ბურჟუაზიული იდეო-
ლოგიის კრიტიკულ მხილებასა და კაბიტლის-
ტური ინგლისის ცხოვრების სტირულ ასახვას-
თან არის გადაქსოვილი.

1949 წელს ბაქანი პავლო ტიჩინასთან ერ-
თად შექმნა უკრაინის სსრ სახელმწიფო პიში.

1952 წლისათვის მიკოლა ბაქანი გამოსცა
ლექსთა ახალი კრებული „მაცხოვრის კოშკ-
თან“. ამ ციკლში პოეტმა რუსი და უკრაინელი
ხალხების ტრადიციულ მეგობრობას უმღერა.
კრემლი, როგორც ოქტომბრის რევოლუციისა
და საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმბოლო, დიდი
ხანია ცნობილია ჩვენს ლიტერატურაში. სწო-
რედ ეს სიმბოლო ბაქანის ლექსთა ციკლის
ცენტრში.

უკანასკნელ ათწლეულებში ერთიმეორის მი-
ყოლებით ქვეყნდება მიკოლა ბაქანის პოეტური
ქმნილებები: „გაფრენა გრივალში“, „ოთხი
მოთხრობა მომავალზე“, „უმინის მოკონებები“.
ყველა მათ აერთიანებს მხატვრული სტილი
პოეტისა — უპირველესად, ფილოსოფიური გა-
აზრება სინამდვილისა.

ყურადღების მიმართვა, კონცენტრირება
ცხოვრების უმთავრეს სოციალურ და მორალურ
საითხებზე მიკოლა ბაქანის ამ პერიოდის შე-
მოქმედების არსებითი დამახასიათებელი თვი-
სებაა. ანალიკური მდგომარეობა შეინიშნე-
ბოდა პოეტის შემოქმედებაში 30-იან წლებში,
მაგრამ ამჟერად იგი უმაღლეს მხატვრულ დონე-
ზეა შესრულებული.

მიკოლა ბაქანს ეკუთვნის გამონათქვამი იმის
შესახებ, რომ სხვადასხვა ხალხის „ლიტერა-
ტურა უკვე აღარ შეიძლება ერთიმეორისაგან
იზოლირებული იყოს... ისინი ერთმანეთთან პარ-
მონიულ კავშირში უნდა იყვნენ და ურთიერთ-

ოთხარ ბაქანიძე

დიდი შარანიელი მწერალი



კონტაქტებით მიდრეკილნი. ამ შეხედულებაში ყველაზე ნათელი მაგალითი თავად მიკოლა ბაქანის ცხოვრება-მოღვაწეობაა, კერძოდ, მისი კონტაქტები ქართულ კულტურასთან, ქართველ ხალხთან.

მიკოლა ბაქანმა შეზღავნებით შეხედა ქართულ ერსა და ქართულ კულტურას, მის გმირულ წარსულსა და ბედნიერ დღევანდლობას, მის შესანიშნავ ადამიანებსა და ბუნებას. მიკოლა ბაქანმა, პირველმა უკრაინელი კლასიკოსებიდან, ასე ვაზღვრულად შეაყურა პოეტური ნაეი ქართული ლექსის ზღაპრში და აიტაცა ქართული თემა. „თმოვეის ზღაპრე“, „ნანგრევები ქუთაისში“, „ვეფა-ფშაველას საფლავზე“ და სხვანი უკრაინული პოეზიის შედევრებია. ისინი ღრმა, ემოციური და დიდი შინაგანი ექსპრესიის შემცველი ლექსებია და მოძმე ხალხის წრფელ სიყვარულზე მეტყველებენ.

ინტერნაციონალური მეგობრობის საერთო იდეის სამსახურში ჩაყენა ბაქანმა მთარგმნელობითი მოღვაწეობაც.

პოეტმა უკრაინულ ენაზე გადათარგმნა ქართული პოეტური აზრის მშვენიერ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ეს თარგმანი გამოჩენილი უკრაინელი ლირიკოსის მამსამ რალსკის აღიარებით: „არის უკრაინული პოეტური კულტურის მიღწევა, მისი გამარჯვება“, ხოლო რუსი პოეტის პავლე ანტოკოლსკის აზრით — „სლავურ ენებზე არსებულ თარგმანებში ბაქანისეული თარგმანი საუკეთესოა“.

ბაქანმა ბრწყინვალედ გადათარგმნა ქართული კლასიკოსების ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა ფშაველას ლექსები. დავით გურამიშვილის ცხოვრებამ და მოღვაწეობამ თვალი მოსტაცა მიკოლას. ამიტომაც ასე მიზიდულად ახმინდა უკრაინულად „დავითიანი“.

მიკოლა ბაქანმა თანამედროვე ქართულ საბჭოთა პოეზიასაც შეახო თავისი მაღლიანი კალამი. მან მრავალი საბჭოთა პოეტის ლექსი აამეტყველა უკრაინულ ენაზე, მათ შორის გალაკტიონის, გ. ლეონიძის, ს. ჩიჭოვანის, ა. მაშაშვილის, გ. გაღბინდაშვილის, ს. შანშიაშვილისა და სხვათა ნაწარმოებები.

მიკოლა ბაქანის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით გამოვიდა 1939 წელს ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია, ხოლო 1968 წელს „ცისარტყელას ხიდები“ (კრებული ქართულ-უკრაინული კულტურული ურთიერთობის შეხახებ). მისივე სიტყვა წიუძღვა წინ არაერთი

ქართველი ავტორის უკრაინაში დაბეჭდილ წიგნს.

მიკოლა ბაქანი მრავალჯერ ყოფილა საქართველოში, ფეხით მოუვლია მისი მთა და ბარი, გასცნობია მის ხალხსა და კულტურის ძეგლებს, მოხიზლულა და დამტკიარა მათი ხილვით, შთაგონებულა მათი სილიაღითა და უზბარაღებით, აღზნებულა მეგობრობის სითნითა. მას კარგად იცნობენ საქართველოს მშრომელები, პატრეს სტემენ და ახსოვთ მისი შრომა და საქმიანობა, უყვართ მისი ლექსები.

1964 წელს საქართველოში ჩატარდა უკრაინული ლიტერატურის დეკადა, რომლის ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორი მიკოლა ბაქანი იყო. დეკადის დღეები დაემთხვა პოეტის საიუბილეო თარიღს. მგოსანმა პირველად ჩვენს მიწა-წყალზე შეიკყო, რომ დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იგი ლენინის ორდენით დააჯილდოვა, ხოლო საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს ზელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიანიჭა.

1966 წელს, შოთა რუსთაველის საიუბილე-დღეებში, მიკოლა ბაქანს კიდევ ერთი შეხვედრა მოუწვევს საქართველოში: განსაკუთრებული დამსახურებისათვის მას შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ასეთი სიყვარულით არის გამსჭვალული უკრაინელი პოეტი არა მხოლოდ ქართველი ხალხისა და ქართული ლიტერატურისადმი, არამედ სხვა მოძმე ერებისა და მათი კულტურისადმი.

მიკოლა ბაქანის კლამი სწუდებოდა საბჭოთა ხალხის ცხოვრების თითქმის ყველა არსებით მხარეს, ყველა პრობლემას, რომელიც კი დასმულა ნახევარი საუკუნის განმავლობაში მისი მშობელი ხალხის წინაშე. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. პოეტი ცხოვრობდა თავისი ხალხის ცხოვრებით, იგი მისი პირმშო იყო. ამიტომაც ვამბობთ, რომ ბაქანის შემოქმედება განუყოფელია ოქტომბრისმეზღვოში პერიოდის უკრაინული ლიტერატურის განვითარებისაგან, რომ მისი შემოქმედება ორგანული ნაწილია ამ ლიტერატურისა.

მკითხველები კვლავ დიდი ინტერესით მოელოან მიკოლა ბაქანის ახალ გმირებთან შეხვედრებს, რადგან იციან, რომ პოეტის შემოქმედებით აღმოფერვის ზენიტი ახლა იწყება. დაე, დიდხანს იცოცხლოს დიდმა პოეტმა ჩვენს ხალხების საყთილდღეოდ.



რეპეზ სირაქე

ბულგარულ-ქართულ-გიგანტიურ ურთიერთობათა ისტორიიდან

ბულგარეთის სიძველეთსაცავების ფონდების (სოფიისა, პლოდივსა და ბანკოვოში) და სხვადასხვა ღრის ბულგარულ პუბლიკაციათა გაცნობის შედეგად ქართული მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომი ხდება მრავალი ახალი მასალა, რომელთაც პირველხარისხიან წყაროთა მნიშვნელობა ენიჭება კულტურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის.

ეს მასალები ორგანოა: 1. ერთი ნაწილი დღემდე საერთოდ არ იყო გამოკვლენილი, 2. რიგი წყაროებისა არ იყო ცნობილი ქართული მეცნიერებისათვის და მათ ჩვენ ვეცნობით ბერძნული წყაროების ბულგარულ პუბლიკაციათა მეშვეობით. ამ მხრივ ბულგარული ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერებანი ქართვლოლოგიას და სმსახურს უწევს. ქვემოწარმოდგენილი ცალკეული მასალა, ვფიქრობთ, ამისი დამადასტურებელი იქნება. ეს პირველი შემთხვევა როდია. მსგავსი ვითარება აღრევეც აღნიშნულა. აკაკი შანიძე წერდა: „1951 წელს სოფიის უნივერსიტეტის პროფესორმა ვსევოლდ ნიკოლაევმა დაბეჭდა ორი გამოკვლევა (რუსულ-ფრანგული რეზიუმეით) ბულგარეთის მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტის ორგანოში. იქედან ვაერეებთ, რომ ძველი ხელნაწერი ტიპიკონისა ქართულად და ბერძნულად დაცული ყოფილა გუნდულ ხიოსზე“.1 ესაა პეტრიწონის სავანის გრ. ბაკურიანისეული „ტიპიკონის“ უძველესი ნუსხები, რომლებიც ახლა გამოცემულა ა. შანიძისა და ს. ყაუხჩიშვილის მიერ და რომელთა შესახებ შეიქმნა სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ, რუსულ, ბულგარულ, სომხურ და სხვა ენებზე.

ბულგარეთში ჩატარებული სპეციალური კვლევა-ძიების შედეგად ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა გაცნობოდით შემდეგ მასალებს:

1. პეტრიწონის საძვალის ფრესკის უცნობი რეკონსტრუქციის წარწერა (XIV ს-ისა). 1896 წლის შემდეგ, როცა დ. ლასკოვმა საძვალეში გა-

მოაგლინა ძველქართული წარწერა, ესაა ერთადერთი ანალოგიური შემთხვევა; 2. უცნობი ქართული მინაწერი პეტრიწონისეულ ბერძნულ ხელნაწერში სოფიის სინოდალური წიგნთსაცავიდან; 3. პეტრიწონის მონასტრის ორი უცნობი ბერძნული ხელნაწერი XIX ს-ის დასაწყისისა; 4. პეტრიწონის მონასტრის კტიკორათა და შემომწირველთა ბერძნული ნუსხა; 5. თეოფილაქტე ბულგარელის წერილი „იონან ფილოსოფოსისადმი“ (ჩვენი მოსაზრებით — იონან პეტრიწონისადმი); 6. თეოფილაქტე ბულგარელის წერილები ბულგარეთში მოღვაწე ბაკურიანისადმი (როგორც ქვემოთ დავინახავთ, ადრესატი არაა გრიგოლ ბაკურიანი); 7. თ. ბულგარელის წერილი ბიზანტიის დედოფალ მარიამისადმი (ქართველთა მეფის ბაგრატ IV-ის ასული); 8. სუმბათ (საბა) ბაკურიანის ანდერძი; 9. სუმბათის მეუღლის კალის (იგივე მარიამის) ანდერძი; 10. ბაკურიანის „მოლივიდოვული“ (ბეჭედი); 11. ბერძნული მასალები „ივირონის“ ურთიერთობაზე ბულგარეთთან; 12. ბერძნული ცნობები გრ. ბაკურიანისეული „ტიპიკონის“ შესახებ; 13. გლაგოლიცა „ივირონის“ 982 წლის დოკუმენტში. 14. უცნობი ბერძნული ისტორია ათონის ქართველთა სავანისა. 15. ბულგარული ცნობები ივერთა მონასტრის შესახებ; 16. ძველ-სლავური მასალები ქართული მწერლობის ისტორიისათვის; 17. ახალი მასალები პეტრიწონის ისტორიისათვის; 18. პეტრიწონთან დაკავშირებული ბულგარული ფოლკლორული გადმოცემანი; 19. მასალები პეტრიწონისა და ათონის ივერთა მონასტრის ურთიერთობის ისტორიიდან. 20. მასალები გრ. ბაკურიანის „ტიპიკონის“ ტომონიმთა იდენტიფიკაციისათვის. 21. აპოკრიფთა ექვთიმე ათონისეული ინდექსის შექმნის ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტორები; 22. გრიგოლ ბაკურიანი—პოეტი.

ამათგან ამჯერად ჩვენ მხოლოდ მცირე ნა-

წილს შეეცხებოდა. გამოეყოფოდა იმ მასალებს, რომლებიც წარმოვიჩინენ ბიზანტიურ-ქართულ-ბულგარულ ურთიერთობათა ისტორიის საკითხებს, რომ საკუთრივ ბიზანტიური კულტურის ცენტრებში ბულგარულესა და ქართულეს შორის ურთიერთობა შეადგებოდა, საამისო მონაცემები ჩვენ აქამდეც მოგვეპოვებოდა. ახალი მასალები კი გვიჩვენებს, თუ რა და რა სახის ურთიერთობებს ამყარებდნენ ბიზანტიელებსა და ბულგარელებთან თვით ბულგარეთში მოღვაწე ქართველები. ასეთი ურთიერთობანი პეტრიწონის წარმომადგენელთაგან იგულისხმებოდა, თუმცა საამისოდ მეტად მცირე კონკრეტული მასალა გავაჩინა.²

ბუნებრივია, ამ მხრივ ჩვენი ყურადღება უპირველესად მიექცევა ყველაზე გამოჩენილ პეტრიწონელს — იოანე პეტრიწს. გამოითქვა მოსაზრება, რომ იოანე პეტრიწს (პეტრიწონელს) „საერთოდ არ უნდა ემოღვაწინაო პეტრიწონის მონასტერში“ (ი. ლოლაშვილი),³ მაგრამ საამისოდ წარმოდგენილი არგუმენტები არაა მართებული და ამიტომ დასკვნა მუშობილად ჩაითვალა (ა. ურუშაძე).⁴ ამრიგად, ძალაში რჩება კ. კეკელიძის სიტყვები: „პეტრიწონის მონასტერში, სადაც სასულიერო სემინარიას ჩაუდგა სათავეში, იოანემ დაპყროცი უნდა იქნა. ასე რომ უმინშველოვანესი და წყუთესი ხანა მისი სამწერლო-სამეცნიერო მოღვაწეობისა პეტრიწონის მონასტერთანა დაკავშირებული, ამიტომ საკვირველი არაა, რომ მან ამ მონასტრისგან მიიღო პეტრიწის სახელწოდება.“⁵

საკუთრივ სახელწოდების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ყანაეთის ყანა-გულანის ჩვენებანი (H—1452, 342f—349f),⁶ რომელშიც ლიტურგიკული კრებულის — „გალობანი ყოველთა წმიდათანის“ ავტორად დასახელებულია „პეტრიქი“. საკითხავია, თუ საიდან წარმოდგა ასეთი დაბოლოება — „პეტრი-იქი“ „პეტრიწის“ პარალელურად. საქმე ისაა, რომ „პეტრიწი“ მომდინარეობს მონასტრის ადგილმდებარეობის ბულგარული სახელწოდების — „პეტრიან“ ბერძნული დაწერილობისგან. რადგან ბერძნულში არ იყო „ჩ“, მას აღნიშნავდნენ „ქ“ ნიშნით, რაც ქართულთათვის „წ“-დ იხმოდა და მოგვცა — „პეტრიწი“. „პეტრიქი“ კი შესაბამება უშუალოდ ბულგარულ „პეტრიჩ“-ს. რადგანაც ბულგარულში „იჩ“ დაბოლოება მკვეთრად იხმოდა, იგი ქართულად გადმორთავილი იქნა ფონეტიკურად მიახლოებული „იქ“ დაბოლოებით და მივიღეთ — „პეტრიქი“. ასე რომ, პეტრიქი“ ბულგარული წარმომავლობისაა, „პეტრიწი“ კი — ბერძნულისა. გასაგები მიზეზების გამო, უფრო გავრცელდა ბერძნული ფორმა და ქართულშიც „პეტრიწი“ დამკვიდრდა, იქნებ „პეტრიქი“ ბულგარულის კვალი შემოგვიჩინა. ი. ლოლაშვილი არ

შეგებია ამ უკანასკნელი ფორმის წარმომავლობას, რადგანაც აღნიშნულ სახელწოდებას, სავსებით არ უკავშირებდა ბულგარულ ტერმინს.⁷ საჭიროა ერთი საკითხის გათვალისწინებაც. იოანე პეტრიწის სახელი პეტრიწონის სკოლასთანა დაკავშირებული. „ტიპიკონის“ თანახმად, სკოლა არსებობდა „ნიკოლწმიდასთან“.⁸ რომელიც მდებარეობს ასენოვგრადს („სტანიშკა“) და მონასტრის ძირითად კომპლექსს შორის, როდობის მთათა ჩრდილო ყელთან. „პეტრიჩი“ დღეს ქვეა მონასტრის მოპირდაპირედ. ასენივსა გალმა ადგლია. მაგრამ იქაური ტოპონიმის შესწავლა გვიჩვენებს, რომ „ნიკოლწმიდის“ ადგილსაც „პეტრიჩი“ რქმევია. ესეც რომ არ იყო, ნიკოლწმიდა პეტრიწონს ეკუთვნოდა და იქაურ მოღვაწესაც პეტრიწონელი ერქმეოდა.

ერთი მომენტიცაა საყურადღებო. ბულგარული მეცნიერი ელვა ბაკალოვა თავის საკვალთფიკაციო ნაშრომში სათანადო არგუმენტებით ცხადყოფს, რომ საძვალის ცვლესია „ყოველთა წმიდათა“ სახელობისა იყო.⁹ ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ი. პეტრიწს შეუდგენია ზემოხსენებული კრებული — „გალობანი ყოველთა წმიდათანი“.

პეტრიწონის მონასტერი 1083 წ. დააარსა გრ. ბაქურიანმა. ი. პეტრიწის იქ მოღვაწეობა სავარაუდოა 1084-1100 წლებში, ე. ი. იმთავითვე, მონასტრის დაარსებიდანვე, გრიგოლის გარდაცვალებამდე. იმიტომ, რომ როცა XI ს-ის 70-იან წლებში გრიგოლი ბანას მყოფ გიორგი II-ს ეახლა და „მოსცა გიორგი მეფესა კარის ცხენ-ქაღაჭი და მისი მიმდგომი ქვეყანა.“¹⁰ მას უკვე გადაწყვეტილი უნდა ჰქონოდა მონასტრის დაარსება. ამიტომ ეს იყო ყველაზე ხელსაყრელი ვითარება განსწავლულ ქართველთა მოწვევისთვისაც, რომელთა შორის, ბუნებრივია, იოანეც, შემდგომში პეტრიწად წოდებული, უნდა ვიგულისხმებოდეთ.

ამ დროს ბულგარეთის სასულიერო გამგებელი იყო თეოფილაქტე ბულგარელი, ცნობილი მწერალი. აქ საჭიროა ამ პიროვნების შესახებ ზოგიერთი მომენტი გავითვალისწინოთ.¹¹ იგი წარმოშობით ბერძენია. თეოფილაქტე მოწვეფ იყო მიქაელ სეკლოსისა და იოანე იტალისისა, რამაც მისი აზროვნებით ინტერესები განსაზღვრა: იგი ბიზანტიური ფილოსოფიური რენესანსის ერთ-ერთი წარმომადგენელი გახდა მისი მოწაფეობა იმ ხანას ემთხვევა, როცა ი. პეტრიწის კონსტანტინეპოლში განსწავლა უნდა ვივარაუდოთ, სადაც ის ი. იტალისის მოწაფე იყო. თეოფილაქტე ბულგარელა მრავალმხრივ პიროვნებად გვესახება. ზოგიერთი მისი ნაწერი კლასიციზმის წარმომადგენელთა თხზულებებსა ჰგავს: ანტიკური მითოლოგიური პერსონაჟები, მწერლები და ფილოსოფები



უფრო ხშირად მოხიზნობა, ვიდრე ბიბლიური სახეები, ჰომეროსი, ჰესიოდე და პინდარე, პლატონი და არისტოტელე მასთან თავისთავადი შინაარსით ხშიანებენ და არა მხოლოდ ეკლესიის მამათა ხმით. ეს უკვე აშკარად ენთოვლენილი აზროვნებითი ტრენსანსია — ინტენსიური მიზრუნება ანტიკისაკენ, შეგარძნება მისი სილამაზისა და შედეგად — ქრისტიანობის გამდიდრება ანტიკით. ასეთი ინტერესები თ. ბულგარელის პიროვნებაში ადვილად ვგუება ბერძნულ დიდმკარობელურ სულსიკვთებას. როგორც პიროვნება იგი საკმაოდ ჰგავს თავის მასწავლებელს — მიქაელ პსელისს, ვაქილი პოლიტიკოსობა და ზოგჯერ წერილმანი სიმდაბულე და ამასთანავე მაღალი ფილოსოფიური სპეკულაციები მათ მაკიფელის ბიზანტიური პირველსახედ წარმოგვიდგენს. ასეთი რთული პიროვნებანი წარმოშვა ბიზანტიის ისტორიის იმ ხანამ, როცა პოლიტიკური დეკადანსი ებრძოდა ფილოსოფიური რენესანსს. როგორც მთლადვე, თეოფილაქტე ტრაქციონერია, მაგრამ მან იცის მაღალი ფილოსოფიის ფასი და მის მოწინავე წარმომადგენლებთან ურთიერთობას ცდილობს.

ჩვენ ყურადღებას იქცევს ერთი წერილი, თეოფილაქტე ბულგარელის მიერ მიწერილი „უფალ იოანე ფილოსოფოსისადმი“. იგი მინის პატროლოგიას (ტ. 106) თუ სხვა ლიტერატურაში აღნიშნულია № 45-ით ი. მეურსიოს მიხედვით.

თეოფილაქტე წერს:

„მე ამაოდ როდი ვაყენებდი ყოველთვის ყველა ფილოსოფოსზე მაღლა ჩემს, უფრო ზუსტად. ღვთაებრივ იოანეს. ის ერთი გამოხსენისია იმათ შორის, ვინც დღეს ფილოსოფიას ქმნის და თავისი საქმეებით დაამტკიცა მათდამი მთლიანი მიუშვავსებლობა, და ორმაგად იმარხავს ყოველივეს სიტყვით. დღევანდელი ფილოსოფოსები, როგორც ყველა ვხედავთ, განსაკუთრებით მიღრეკილი არიან მოყვრის გაუტანლობისაკენ და, ამდენად, ღვთის გამოხსენიან, ის კი მოყვარეს სათნოებს. რაც ამდვილი ღვთის სათნოების გამოხატულებაა. სერთოდ, დროც არაა, არცეი ვინაზიკართი და შეიძლება მაინცდამაინც არ კი ვიკრძებთ, მაგრამ მაინც ხედავ, რომ ჩავარდნილი ვართ უკეთურებაში და ვებრძვით ცილისწამების სიკვებს, რომელმაც კეთილი ხალხიდანაც კი ბევრი ვაწაწამა და კვლავაც სტანჯავს, რადგანაც დიდად მძლავრობს. შენ ჩვენც შემოგვაწიე მართალი სიტყვა, არადა თვით ეწაწები უკეთურებისაკენ; მაგრამ ყოველი ცდილობ, რათა განერიდო იმას და ჩვენი სინანულის მიმართაც სიტყვა დავირთავს იმათ წინაშე, ვისაც შეუძლია ამაო ყოფა. და არა მხოლოდ გამოავლინე თვისებანი სიბრძნისა, რომელიც ფილოსოფოსთან ზეალსელის საფუძვლად დაგიდევს, არამედ

ჩვენც გაგიმხნევებივართ შენი სიტყვით, რათა მძიმე შემოტევები შეგავისუბნებდეს, სიტყვიერ ყოველგვარ თაფლზე უტკბესითა და ყოველგვარ გეომეტრიულ მტკიცებაზე უფრო სარწმუნოთი. რამდენადაც შენთვის დამახასიათებელია, რომ წარმოგიდგენდე ბძენს სრულყოფილს (—მთლიანობაში) სიტყვიერად და საქმიანად. შენ დაფრინვე მაღლა ჰაერისა და ცის ზემოთ, რადგან შეისხი არწივისებრი ფრთები, რაც არწივი კი არა და, მე თუ მკითხავთ, ესაა ამათელი გონება და მეუღლე ყოველივესი, რაც ამათელბულობას ესწრაფის, კეშმარტების მტრები კი ერთიორად დაკინებვას მიესწრაფვიან. თუ ისევე ვიკვებ, რომ ისინი ცდილობენ ჩვენ გაბიაბურებას და სიცრუის სინბელიდან ისართ ტყარცნას ჩვენთვის, ვინაც მათდა საწინააღმდეგოდ სიმართლეს ვიცავთ, ნუ დაგვზარდები სიტყვა დაგვაწიშნა მაცხოვრისა და ღმერთის წინაშე, რომელიც დამცველია კეშმარტებისა. მაგრამ შენ, თავდაბალი ხარ და მებრძოლი უნდა გახდე, აღიჭურვე მახვილით და შენი გონებრივი ძლიერების უნართი განგმიერ მტრები, ჩვენდა მოგვანივე მაღლი თავისი სიკეთით უსწორო მეუფებისა, ხოლო თვით მოელოდე ჯილდოს ღვთაებისაკენ, რომელიც გულუხვია კეთილთა მიმართ. ღმერთმა დაცული ჰყოს ყოველი სიკეთე, სიმართლე და კეშმარტება, რომელთაკენ სული წმინდის მაღლი სრულქმნილი ხდება.“

ამ წერილის აღრესატი არაა დადგენილი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ წერილის აღრესატი იოანე ბეტრიჩი იყო. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოებანი.

უპირველესად გავითვალისწინოთ თ. ბულგარელის მოღვაწეობის ქრონოლოგია და გეოგრაფია.

თეოფილაქტე ბულგარეთის მთავარეპისკოპოსისა (ოქრიდის კათედრაზე) 1090 წლიდან, სადაც მოღვაწეობდა სიკვილაში, 1108 წლამდე. ეს თარიღები მიღებულია ბოლოდროინდელ სამეცნიერო ლიტერატურაში (პ.— გ. ბეკი) და ბულგარულ სამეცნ. ლიტერატურაში არსებულ სპეკიულურ გამოკვლევაში,¹¹ რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია ამ საკითხზე არსებულ ნაშრომათ შორის (ასე რომ არაა მართებული თეოფილაქტეს ოქრიდელ ეპისკოპოსად მიჩნევა 1078 წლიდან.¹²) ზემომითხებულ წლებში კი ზუსტად ემთხვევა ი. ბეტრიჩის ბულგარეთში მოღვაწეობის ხანას. თუმცა ბეტრიჩი სტავროპოლითი მონასტერი იყო (ე. ი. უშუალოდ პატრიარქს ექვემდებარებოდა), მაგრამ შეუძლებელია იქაური მოღვაწენი უცნობი ყოფილიყვნენ ბულგარეთის საეკლესიო გამგებლისათვის.

რამაზ სირაძე

ბულგარულ-ჰართულ-ბიზანტიურ
ურთიერთობათა ისტორიიდან

თეოფილაქტეს ზემომოყვანილი დახასიათებლად, ვფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს, რომ იოანე პეტრიწთან მის ანათესავებდა რენესანსული ფილოსოფიური ინტერესები. მაგრამ ამ შემთხვევაში დასიმის საკითხი: ამგვარ საფუძველზე ხომ შეიძლება ადრესტად ი. იტალოსი გვევარაუდებინა. საქმე ისაა, რომ ზემოაღნიშნულ ბულგარულ სამეცნიერო ლიტერატურაში საფუძვლიანად ნათესავდებიან, რომ ი. იტალოსის ადრესტობა გამოსარიცხია, ოღონდ ის აღარაა ნაჩვენები, თუ ვინ უნდა იყოს ადრესტა.

საფურადღებო კონკრეტული რეაქციები თვით წერილიდან: წერილის პირველსავე მიმართაში „იოანე ფილოსოფოსი“ იწოდება „საღვთოდ“, „ღვთაებრივად“. მეორეს მხრივ, როგორც ეს მრავალი მაგალითითაა ნაჩვენები ი. ლოლაშვილის გამოკვლევაში,¹² მთელი ძველქართული ტრადიცია ი. პეტრიწს იხსენიებს მკერაში ზედწოდებით — „საღმრთო ფილოსოფოსი“. ამდენად, ირკვევა, რომ მის ჯერ კიდევ პეტრიწონშივე მოუპოვებია „საღმრთო ფილოსოფოსის“ წოდების პატივი, რაც მის შემდეგ საყოველთაოდ დაუმკვიდრდა. ბიზანტიელი მილენარებისგან მის მაღალ შეფასებას გვდასტურებს იოანე იტალოსის მიერ პეტრიწისადმი მიწერილი ცნობილი წერილიც.

თეოფილაქტეს წერილიდან ჩანს, რომ იოანე საღმრთო ფილოსოფოსი მოშურნეთაგან შეეწირვებდა განიცდის. ეს მოითვება ეხმიანება ი. პეტრიწის სიტყვებს მისივე „განმარტებათაგან“. ამასთანავე წერილში ნათქვამია, რომ იოანე სულის ღვთაებრივი ქეშმარიტებისაყენ ზედასვლას ესწრაფვის. ამას ჩვეულებრივ გამოთქმად ჩავთვლიდით, რომ კონკრეტულად არ უკავშირდებოდეს პეტრიწის მიერ დაუმკვიდრებულ „სათნაობათა კიბეს“. რომელიმე საეკლესიო განხილულია სწორედ სათნაობით სულის ღვთაებასთან საფეხურებრივი („სათნაობათა კიბით“) ზედასვლის მოძღვრება.

წერილში თეოფილაქტე აღნიშნავს, რომ „ებრძვის ცილისწამების სიავსს, რომელიც მას ტანჯავს და რომელიც ფრად მძლეობს“. ამის მიხედვით შეიძლება წერილის დათარგმნება. გამოჩენილმა ისტორიკოსმა, ბულგარელმა მეცნიერმა ვ. ნ. ზლატარსკიმ სპეციალურად შეისწავლა თეოფილაქტეს ურთიერთობათა პერიოდები. თავისი არქივპისკოპოსობის დროს თეოფილაქტეს კეთილი ურთიერთობა პქონდა ბიზანტიის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ბულგარეთში. გამოჩენილი იყო იოანე ტარიონელი, რომელსაც მხარს უჭერდა ისტორიკოსი. ისინი მიმართავდნენ „არქიეპისკოპოსის ცილისწამებასა და დამცივებლას იმპერატორის წინაშე და ამ საფუძველზე ართმევდნენ მას შესაძლებლობას შეეჩვილა ბულგარეთში მათი უსამართლობისა და უკანონობის თა-

ბაზე“. ეს დრო იყო ყველაზე მძიმე დამტარებული თეოფილაქტესთვის.¹⁴ ვ. ზლატარსკი უკვე ყავს ცილისწამების მრავალი ფაქტობრივი დიდხანს წარმატებასაც აღწევდა იოანე ტარიონელი. ბოლოს თეოფილაქტემ გაიმარჯვა ი. ტარიონელი გადააყენეს. იგი ბულგარეთში მოღვაწეობს 1101-1106 წლებში. სწორედ ამ წლებს განეკუთვნება თეოფილაქტეს სიტყვები — რომ „ებრძვის ცილისწამების სიავსს“, რომელიც მას სტანჯავს და რომელიც „ფრად მძლეობს“. ამგვარად თარგმნება წერილი, რომელიც ი. პეტრიწისადმი მიწერილად მიგვაჩნია.

ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს ერთი ლიტერატურული ცნობილი ძველი ქართული მწერლობები:

„თეოფილაქტე წმიდისა მთავარ-ეპისკოპოსისა ვულარისა განმარტება იოანის თავისა წმიდისა ქრისტე სახარებისა, ნამუშავეი მისი ბრძანებისამებრ მარადის სახსენებლისა დედოფლისა უფალა მარამისა“ (A—52, 1).¹⁵ აქ იგულისხმება, რომ თეოფილაქტე ბულგარელმა ბიზანტიის დედოფლის, ზაგარ IV-ის ასულის, მარამის დავალებით დაწერა „იოანეს სახარების განმარტება“. იგი თარგმნილია ქართულად. მოარგმნელი, ი. ლოლაშვილის თანახმად, ი. პეტრიწია (ოღონდ მკვლევარი მას იოანე ჰიპოიმელთან აიგივებს) და თარგმანი XI—XII ს. მიჯნაზეა შესრულებული. მაშასადამე, თეოფილაქტე დაახლოებულია ქართველთა წრებთან, მარამ დედოფალთან, პეტრიწონის ლიტერატურულ საქმიანობასთან. საამისოდ სხვა მრავალი ფაქტი მოგვეპოვება, რომელთაგან აქ გამოეყოფთ მხოლოდ ნაწილს, რომლებიც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რაც არ ყოფილა შესწავლილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში.

ყურადღებას იქცევს სამი წერილი შემდეგ ზედწარწერებით: 1. „ბაკურიანისადმი“ (ფინეთის გამოც. 14); 2. „ბატონ გრიგოლ (?) ბაკურიანს, დიდი დრუნგარიოსის სიძეს“ (მეურსიოთი 7); 3. „სევასტოს ბაკურიანს“ (მეურსიოთი 25).

ეს წერილები მრავალმხრივი მნიშვნელობისაა, ისინი არაერთ საინტერესო საკითხს წამოჭრიან.

„ბატონ გრიგოლ (?) ბაკურიანს, დიდი დრუნგარიოსის სიძეს (?)“

პანსევასტო, გაბედულება და მოურიღებლობა მახლავს, რადგან ერთმანეთს არც კი შეეხვედრიათ და ასე პირდაპირ გამოგეცხადე დამრიგებლად. ანდა ახირებული რამა ვარ ჩემის სიმდალბით, რის გამოც ეგმს ნაცნობთ იმ გონების თანამონაწილად ვნები, რომელიც თვითონვე არ გამაჩნია. ან შენ რასაც განაწილებ, განა მე გამაჩნია. ვფიქრობ, ეს ბოლოა მართებული. მაგრამ თუ ვინმე პირველს ირწმუნებს,



ამით ცხადყოფს, რომ არაა დამრიგებლობით მოსილი, რომ არასდროს არ ჰქონია შემთხვევა სიტყვის მადლით დამტყპარიყო. და ასე მოგამართავ შენ, რამდენადაც შენ კიდევ ახალგაზრდად, მიიღე ხალხის გამგებლობა და მგრძობიარე გულის პატრონი ხარ. ყოველმხრივ ყურადღებით უნდა იყო და ყოველივე განსჯერით იმაზე აღმატებული ხედვით, რაც რომ შორსმხედველ აზრისს გააჩნდა...

ახალგაზრდა ყოველივეს შეგებდავს და ყოველივეს ითვისებს, მაგრამ, როცა მას ხელისუფლებაც ენიჭება, მაშინ იგი, ანაზისა არ იყოს, ხმლის ენით ლაპარაკობს. მაგრამ შენ, რომელსაც მეგზურად და ხელმძღვანელად გონება გაგაჩნია, ფრიად გამოჩრეული იქნები, და შენ შეგეწევა ცეცხლი, ხელისუფლების სულთაბერვით გაძლიერებული, რათა განახორციელო ყოველივე, რითაც მალა აღმართავ მხსნელ ჩირაღდანს იმისთვის, ვინც ჩაძირულა სიმდაბლეთი. ვარკობ შენ, რადგან შენ ცხოვრების ასპარეზზე თითქმის არაფერი მოგიტანია და სიკეთედ ექვე მათ, ვისაც განაგებ; ასე აღვილად ჰპოვე წარმატება, რომ სილაღე მოგნიჭებოდა მეფეთაგან და მეფეთა შემოქმედისაგან. ამიტომ იცოდეს შენმა მალაკეთილშობილებამ, რომ აღამიანს არავერი ისე არ აახლოებს ღმერთთან, ვითარცა სიკეთე და კაცობიერება, და საოცარია, რომ საამისოდ ჩვენ არ მოგვეთხოვება არავითარი დიდი თუ მწელი რამ, არამედ მხოლოდ ის, რომ შევიცნოთ ჩვენი ბუნება და მოწყალება, რომელიც სხვის მიმართ უნდა ვავაჩნდეს...”

ჩანს, სამთავე წერილის აღრესატი ერთი პიროვნებაა. არსებული განსხვავებულობა მათ შორის შედევით აიხსნება: ზემოთყვანილი წერილი პირველადა მიწერილი, როცა თეოფილაქტი მხოლოდ შორიდან იცნობდა აღრესატს („ერთიანეთს არც კი შევხვდრავართო“). შემდეგ ტონი იცვლება, დამრიგებლობა უფრო კატეგორიული ხდება. თუკი თეოფილაქტი იმთავითვე თავის თავს დამრიგებლობის უფლებას აძლევს. ეს აიხსნება იმით, რომ იგი მღვდელმთავარია ოლქისა, სადაც ბაქურიანი გამგებელი ყოფილა... აღრესატი ახალგაზრდა კაცია. წერილიდან ისიც ჩანს, რომ იგი ბიზანტიის იმპერატორისაგან ყოფილა პატივდებული.

ვინაა ეს პიროვნება — აღრესატი თეოფილაქტეს წერილისა?

იგი არაა გრიგოლ ბაქურიანი. ხელნაწერთა ჩვენებანი ამ შემთხვევაში არაა სარწმუნო. ამ ეპეს თვით ზედწარწერაც აღძრავს: „გრიგოლ(?) ბაქურიანი, დიდი დრუნგაროსის სიძეს“. არ შეიძლება, რომ ეს გრიგოლს ეხებოდეს. გრიგოლს ოჯახი არ ჰყოლია. ეს ცხადი ხდება მისი „ტიპიკონიდან“. „ტიპიკონის“ სპეციალური თავები მიძღვნილია გრიგოლის ქონების მემკვიდრეობისადმი. ამიტომ, მის რომ მეუღლე ჰყო-

ლიდა, აუცილებლად უნდა მოეხსენებინა. როგორც ყველა სხვა, ვისაც შეიძლება პრეტენზია ჰქონოდა მისი ქონების მემკვიდრეობაზე. ყოველივე ამას მარტო ეთიკა კი არ ითხოვდა, აგრამედ ტიპიკონის იურიდიული ხასიათიც; იგი თავისებური ანდერძიც იყო, ყოველ შემთხვევაში, იმ მხრივ, რაც ქონებრივ მემკვიდრეობას შეეხებოდა. ამდენად, ზედწარწერილში გრიგოლის მოხსენიებას უარყოფს მისივე მეორე ნაწილი. მაგრამ იქნებ სწორედ ეს ნაწილია მიუღებელი და არა გრიგოლის აღრესატობა?

საჭიროა მოვიყვანოთ ნაწილი თეოფილაქტეს კიდევ ერთი წერილიდან (მინისტან მეურსიოს მიხედვით 14. Vatic. 509—Pars II, Fol. 349; ნიკოლოზისადმი —?).

„ბაქურიანი!

წინათვე დავსტიროდი ჩემს ბედს, ჩემი პატივდებული ქრისტესმიერო შეილო, და მას უნორად და უკუღმართად ვრაცხდი, რომ აქ გადმომატარა, საცა სუფევს გაუტანლობა, შური და აგი ვენებანი, გონების ხმას კი არავინ ყურს არ უგდებს. მაგრამ ახლა მზადა ვარ მალღერიც კი იყო, რომ ამ ბარბაროსებში ჩამომაგლო და პატივი მარჯუნა ისინი ჩემს მსმენელებად შევანდნენ. ბევრი, კონსტანტინეპოლს მყოფი, ასეთი ხვედრისათვის რას არ გაიღებდა, მაგრამ მხოლოდ მეტირდნი თუ აღწევენ ამას. მე კი პლატონზე მეტი პატივი მერჯუნა. რამდენადაც მან მისცურა დიონისემდე, რათა უნარიანი ახალგაზრდა აღეზარდა და სიტყვის ლაგამით მისი ხელმძღვანელის დამყოლად ექცია, ამ გზით ერთ პიროვნებაში გავეერთიანებია მეფური ხელისუფლება და თეოსოფია და შეძლებისდაგვარად დიდნი რამ საქმენი განეხორციელებინა, რათა მისთვის ღრმა განჯის უნარი მიეცა. თუმცა თავისი იმედები მთლად ვერ განახორციელა, რადგანაც დიონისემ, რომელსაც მანამდე ფილოსოფიის წინაშე არა უმუხთლია, დიდად შეურაცხყო მისი შემდეგ, რაც პლატონს დაუკავშირდა სიმართლისა და სიკეთის ნიშნით. ვისთვისაც არ არის უცნობი პოლისე და ანაკორისი, მათ იციან ამ მოქმედების შესახებ. მე კი არც ვრცელი ზღვა გადამიცურავს, არც გვერდს ჩამივლია შემზარავი ქარიბდასათვის, ისე ამ ჩემს სამყოფელში ვცხოვრობ და შენი გენიალობით ვიზიბლები...”

ამ წერხლიდან აშკარაა, რომ თეოფილაქტი უკვე კათედრაზეა 1090 წ. ბულგარულ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ნაჩვენები, რომ თეოფილაქტეს ოქრიდში გამწესება თავისებური დასჯა იყო. სამეფო კარს უნდოდა იგი დედაქალაქს მოეშორებინა.¹⁶ მისი ოქრიდელი-

რამაზ სირამაძე

ბულგარულ-ძველთა-ბიზანტიურ მკვლევართაგან ისტორიკოსი

ბისდროინდელი სხვა წერილებიდანაც ჩანს, რომ იგი უკმაყოფილოა კონსტანტინეპოლისა (ეს უკანასკნელი მომენტი მას აახლოებდა ქართველთა წრეებთან; ბაკურიანები, მარიამ დედოფალა, რომელიც ექსტრიაოფილია კუნძულ პრინციანოზე და რომელსაც თეოფილაქტე არასდროს აკლებდა ყურადღებას, თუმცა ამით მეფეთა წყრომას იმსახურებდა).

გამოიღია, რომ ზემოაღნიშნული წერილები დაწერილია 1090 წლის შემდეგ. მათი ადრესატი ბაკურიანი ახალგაზრდა კაცია, იგი პატივდებულია სამეფო კარისაგან, მისი სამფლობელოები ბულგარეთშია, ოქროდის კათედრის სამრევლოს ფარგლებში. იგი წიგნიერი პიროვნებაა, რომელსაც შეიძლება საუბარი პლატონის ცხოვრების დეტალებზედაც კი. ამ დროს გრიგოლ ბაკურიანი ცოცხალი აღარაა. ანა კომნინის „ალექსიადას“ მიხედვით კარგადაა ცნობილი, რომ იგი დაიღუბა 1088 წელს პაპნიკებთან ბროლოში. ამიტომ, მოსალოდნელობისაგან, არც ერთ წერილში რაიმე დეტალსაც კი არაა, რომელიც ოდნავადაც კი ეხებოდაც გრიგოლ ბაკურიანის ცხოვრებას ან პეტრიწონის ამბებს.

ადრესატად ვერ მივიჩნევთ ვერც ნიკოლოზ ბაკურიანს, რომელსაც თ. უსპენსკი ასახელებს ვატიკანში დაკული ბერძნული ხელნაწერების ზედწარწერებიდან (Cod. Vatic. 509, pars II, Fol 349, Cod. 432).¹⁷ ყურადღებას იმსახურებს ვატიკანის Cod 432 ბერძნულ ხელნაწერში არსებული ფორმა—„ბაკურიანოს“. ჩანს ბაკურიანის გვერდით ასეთი ფორმაც ყოფილა გავრცელებული. ეს ყურადღებაა იმით, რომ კერბულში Acta Sanctorum შესულია ერთი პომილია (საქიბაგი), რომლის ავტორად ზედწარწერილი დასახელებულია გრიგოლ „ბაკურიანოს“. Cod. 432-ის ჩვენება გვიდასტურებს „ბაკურიანის“ ბერძნულ შესატყვისა სხვადასხვაობას. ასე რომ პომილიის ავტორი გრიგოლ ბაკურიანია. ამით, მრავალ დამსახურებათა გვერდით, გრიგოლი ჩვენ წინ წარმოადგება, ვითარცა მწერალი (ეს საკითხი მნიშვნელოვანია და ცალკე განვიხილავთ). სხვაა ნიკოლოზი, იგი არ უნდა იყოს შვილი გრიგოლისა, რომელსაც, ზოგიერთი მკვლევრის მიზითების საპირისპიროდ (უსპენსკი, ზლატარსკი), შვილი არ ჰყოლია.¹⁸ ყოველ შემთხვევაში, დღემდე ჩვენს ხელთ არსებული მასალები ამას არ ადასტურებს.

შემორჩენილია ერთი ბეჭედი ბაკურიანისა. მორტბმანი და შდუმბერგერი მას გრიგოლის შვილს(?) აკუთვნებდნენ, მაგრამ ლ. პტისა (BB, XI (3-4), 1904, P. X) და ბ. ა. პანჩენკოს აზრით (ИЗВ. РАИК, III, 82-85), იგი გრიგოლს ეკუთვნოდა, როცა მას „სევასტოსისა და დუკას“ ტიტული გააჩნდა, ამავე აზრისაა ბულგარელი მეცნიერი ი. გოშევი (Годишник

СУ, VI (БФ, 1931, 344). ეს საკითხიც დასტურებს ითხოვს. საქმე ისაა, რომ აქ უნდა იქნებოდეს და სხვა ადრეულ გამოცემებების სხვადასხვა კონკრეტული ცნობები არ გააჩნდათ გრიგოლის გაადა სხვა ბაკურიანთა შესახებ. ამიტომ, როცა რაიმე წყაროში „ბაკურიანის“ მოხსენიებას პოულობდნენ, უმეტესად ისევ გრ. ბაკურიანს მიაწერდნენ. მაგრამ თუკი ქრონოლოგიური მონაცემები ამის საშუალებას აღარ იძლეოდა, მაშინ უცნობ ბაკურიანს გრიგოლის შვილად მიიჩნევდნენ და საკითხიც თითქოსდა ლოკალურ გადაწყვეტას ჰპოვებდა. მაგრამ ახლა როცა ხელმისაწვდომი ხდება კონკრეტული ცნობები სხვა ბაკურიანთა შესახებ, ნათელი ხდება, რომ ისინი გრიგოლის შვილებად კი არა, მის ნათესავებად უნდა ჩაითვალოს.

მასადავამ, ბერძნულ წყაროებში ბაკურიანთა გვარის შვილებზე არსებობს გაცილებით მრავლისშემძველი ცნობები, ვიდრე ეს დღემდე ჩვენთვის ცნობილი იყო.

ამრიგად, სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ ზემოთ წერილების ადრესატია არა გრიგოლი, არამედ სხვა რომელიმე ბაკურიანთაგანი.

გრიგოლი „ტიპიკონში“ წერდა: „ნათესავნი და ყრმანი ჩემნი ჩემითა მოსწრაფებთა და მსახურებთა და ჩემდა მომართ საყვედურისა არადებთა არაან მიმთხუეული დიდებასა და კეთილისა მოქმედებასა წმიდათა მეფეთა ჩუენთაგან“ (18,9). გრიგოლის ნათესავეებს, გრიგოლის წყალობით, ბიზანტიის სამეფო კარისაგან დიდი პატივი მინიჭებიათ. სწორედ მათ შორისაა სამეფნი თეოფილაქტეს ადრესატი ბაკურიანის სახელი. თეოფილაქტეც ხომ აღნიშნავს მეფეთაგან მის პატივდებას (ეს პიროვნება ბერძენ მწიგნობართა თვალში გრიგოლს დაურჩილებას, ვითარცა ყველაზე პოპულარულ პიროვნებას ბაკურიანთაგან).

ასეთი პიროვნება ცნობილი ვახდა ბერძნულ წყაროთა ბულგარულ პუბლიკაციის საშუალებით.¹⁹ მართალია, ისინი ადრევეც იყო გამოქვეყნებული 1930-1931 წლებში იოაკიმ ივერიტეს ხელმ.²⁰ მაგრამ მეცნიერებისათვის ფაქტურად მკვლევარდამიერი რჩებოდა.

საქმე ეხება ორ მნიშვნელოვან დოკუმენტს:
1. სუმბათ (საბა) ბაკურიანის ანდერძი;
2. სუმბათის მეუღლის კალის (მარიამის ანდერძი).

ანდერძი სუმბათ ბაკურიანისა როცა ის ბერად შედგა და სახად იწოდა.

(1) არც რა მოგვიტანია ამა სოფლად და ვერც ვერაფერს შეეძენთ მას, — მსმენია სალთო წერილიდან. ხოლო რაც შეეხება მე, საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რომ „არა არს კაცი, ვისაც ეცხოვროს და სიკვდილი არ მოსწრაფ-



ვოდენ“: ამიტომ მე, კუროპალატი სუმათ ბაქურიანი, ღვთის მადლით სრულიად ჯანსაღი და მთლიანად ჩემს გონებაზე მყოფი, განვიციდი ძრწოლას სიკვდილის უკიდვანოდ და უცნაური საიდუმლოებისაგან. გადაწყვიტე... რადგან ხშირად მეუფლება ფიქრი, რომ გარდაცვალება... და საქმენი ჩემნი იქნება გაუტყვეველი და მოუკვებელი. ამიტომ დღეს მსურს შევადგინო ცხადი ანდერძი.

(2) მას შემდეგ, რაც კანონიერი ქორწინებით დაწინდებივარ კალის, ღვიძლ ასულს განსვენებული კუროპალატის ბასილაისა და კუროპალატისა ზოიასი, მისგან მივიღე საკუთარებად და მზითვად ორმოცდაათი ლიტრა მიწისა. ამით შევიძინეთ სხვადასხვაგვარი ვერცხლის კურპელი, რომელიც ჩვენ გავაჩნია... ერთად ვიცხოვრეთ რამდენიმე წელი და ღვთის განგებით უშვილონი დავჩხოვით.

(3) რადგან მსურს, რომ ჩემი მოძრავი ქონებიდან გამოვყო მისდამი ჩემგან მიძღვნილი საქორწინო საჩუქრები და ავკრთვე მეუღლისეული და სიკვდილისშემდგომი ნაბოძვრას სახით დავეტოვო მას მთლიან და ხელშეუხებელ საკუთრებად: ჩემი მამული—რალოვიკო, მიკელიონის თემში არსებული ბრწყინვალე უფალ იმპერატორისაგან ნაბოძვარი ჩემი მეორე მამული — სუდაგა, და კიდევ სხვა მამული — ველემისა; ამით გარდა, სხვა ჩვენი მამულეებიც, რომლებიც ქორწინების საბუთში მის სახელზეა ჩაწერილი. მას ხელწიფება ამითი სახელბლობა და მათი გამგებლობა სიცოცხლეშიც და მიცვალების შემდეგაც, როგორც ინებებს და ვითარცა უკეთ შერაცხს.

(4) გარდა ამისა, ჩვენს ძლევაშისილსა და ბრწყინვალე მეუფეს მივართმევ რვა ულაცს, ვითარცა სიკვდილის შემდგომი ნაბოძვრის და მცირე მოსაკონარს. ჩემს ქმას უფალ მაგისტროს სერგის ვუტოვებ ძღვენად და მოსაგონრად ჩემს მამულს — მუშენიანას, ნახევარს იმ მსხვილდება და წვრილდება საქონლისა, რაც რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ დარჩება და ოც ცხენს.

ავრთვე ჩემს ცოლისძმას ნიკიტას ოქროს მოსართავს ვუტოვებ, ჩემს ახლობელ კაცს თომას — ჩემს მოსახსამს, რომელიც უბრწყინვალესმა ჩვენმა მეუფემ მომიძღვნა, ქუდიან იისფერ ლაბდაც არა ჩემს ოქროს ყუთს: ჩემს ახლობელს ავლაგარიოსს — სქელი აბრეშუმის ორ მოსახსამს, ერთ მათგანს თეთრი ქუდი რომ ახლავს.

ხოლო სხვა თუ ვინმე ჩემთა ქვეშემდროშობანი მოუხსენებელი მრჩება, მივიცეთ ექვს-ექვსი ნომიზმსა. იმპერატორის სავანძურისათვის ერთ ნომიზმსა. (!?) ვტოვებ და ამ წერილობითი ანდერძის მოწმეთათვის სამ-სამ ნომიზმსა.

რამდენი მსახური მაბაკაციც დამრჩება, მსურს ჩემი სიკვდილის შემდეგ განთავისუფლდნენ

ყმობისაგან. და დაე, მათ დანიარჩუნონ მოსახმარად ყოველგვარი ჩაასემული, თავიანთი საცხოვრებელი და მათი დასამუშავებელი მიწის სიკვდილები, ასევე თავიანთი საქონელი და სახიდანარი — ყოველივე სიკვდილისშემდგომი ნაბოძვრად და ჩემი სულის სახსენლად. რაც რომ კოლტი ღობისა დარჩება, მსურს ჩემმა მეუღლემ და ჩემმა ძმამ გაინაწილონ.

(5) ხოლო უღირსი და ცოდვილი ჩემი სხეული მსურს მიწის მიხარონ ღირსეულ მონასტერში „ივერთაში“ მთაწმინდაზე. და დაე, ჩემმა მეუღლემ გაიღოს დასაფლავების ხარჯი იქაურ ბერ-მონაზვნებთან შეთანხმების შესაბამისად. და დაე, ჩემი სულის სახსენებლად ღარიბებს დაუნაწილონ თორმეტი წვრილი ოქროს მონეტა ჩემი საკუთარი ფულიდან, იქედან ექვსი ახალი და ექვსი კიდევ ძველებური. ექვსი ლიტრი ახალი და სამი ათასი სარწყაველი ხორბალი ღარიბებს, ხოლო სხვა ექვსი ლიტრი მივიღე საკუთრებად ჩემს ხაზს — ელფეთერებს (თავისუფალ გლეხებს), მე რომ მსახურებდნენ.

(6) ყოველივე ამ ჩემთა სურვილთა და გადაწყვეტილებათა აღსრულების შემდეგ დანარჩენი ჩემი ქონებიდან და სამფლობელოთაგან, ფულისა, საკვებისა და სხვათაგან და ჩემეული საქალობო დანატოვართაგან, მსურს მეგვიდრეობად ერგოს მარადლაუიწყარ და საყვარელ ჩემს მეუღლეს კალის, რომელიც კეთილსათონებით და ღირსეულად მიწევდა უღელს და სიმშვილესა მფენდა, იგივე გაიღოს ხარჯებს ჩემი ნეშტის მიწას მისაბარებლად, მესამე, მეცხრე დღისათვის და ორმოცისათვის, ავრთვე ლიტურგიისათვის, როგორც მას უჩვენებს ღმერთი.

ჩემს ფრადლ საყვარელ და კანონიერ მეუღლეს ხელიწიფართ ვტოვებ ერთადერთ და დამოუკიდებელ აღმსრულებლად ამ ჩემი ცხადი ანდერძისა და ჩემს სულსაც მას ვაბარებ.

დაიწერა ნოტარიუსის ელფეთერისაგან ორმოც წმინდათა მონასტერში, 11 იანვარს, პირველ ინდიქტიონს, 6601 წელს.

ავგისტოს თვე, მეხუთე ინდიქტიონი, 6601 წელი“.

ამ მოცემული ქრონოლოგიური მითითება გვიჩვენებს, რომ ანდერძი შედგენილი იქნა 1093 წელს (6601-5508), 11 იანვარს.

სუმათ ბაქურიანის სახით ჩვენ ვეცნობით კიდევ ერთ მოღვაწეს ბაქურიანთა გვარიდან გრიგოლისა და აბასის გვერდით. სუმათს ჰყოლია ძმა სერგი. იხინი ბულგარეთში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, ვითარცა ბიზანტიელი

რედაქცია
გულშარშულ-ქართულ-ბიზანტიური
შართიერითობათა ისტორიიდან

დღეებულები, მაგრამ ქართულ კულტურას არ იფიქსებდნენ.

ანდერძიდან ვიგებთ, რომ სუბმათ ბაკურიანს კუროპალატის წოდება მიუღია. მის დიდი ქონება შეუძენია. მისი სამფლობელოები (მაგ. რადლოვიო და სხვანი) სამხრეთ-დასავლეთი ბულგარეთში მიღებარებოდა.²¹ იმპერატორიდან ფრიალ პატივდებული ყოფილა. ახალგაზრდობაში უშვილო სუბმათს ბერად შედგომა გადაუწყვეტია ათონის „ივერთა“ მონასტერში. იგი ბერად შემდგარა 1093 წელს. ქონება ცოლისთვის უანდერძებია, რომელსაც სუბმათის ნეშტი „ივერთაში“ უნდა მიწას მივებარებინა და საჭირო ხარჯები გაეღო.

ზემონიყვანილი ანდერძი უბირველხად იურდიული დოკუმენტი. მასში ასახულია XI ს-ის ბიზანტიური იურისპრუდენციის პრინციპები, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთი ბულგარეთისა და ათონის „ივერთა“ საეპისკოპოსოს მართლმადიდებლობა ფარგლებშიც მოქმედებდა. აქ წარმოდგენილი იურდიული ნორმები უკავშირდება სხვადასხვა ბიზანტიურ იურდიულ დოკუმენტებს: იუსტინიანეს „ნოველები“, 50-ტიტლოვანი და პატრიარქ ფოტიოსის 14-ტიტილოვანი სჯულისკანონები, პროქირინა თუ ათონის სინტაგმა. მათი განმარტებანი ბიზანტიულ იურისტ ვალსამონთან მოიპოვება (რომლისთვის აგრეთვე საკმაოდ ცნობილი ყოფილა ქართული სინამდვილე). მაგალითად, იუსტინიანეს V ნოველის მიხედვით (თავი მე-5, მე-9, 38-ე, 123-ე), „ბერ-მონაზონს უნდა დაებრუნებინა ცოლისთვის იურიდიული და ნაწილი იმ ქონებისა, რომელზედაც საქორწინო შეთანხმებით ცოლის უფლებანი ვერცდებოდა, დანარჩენი კი ნაწილდებოდა შვილებსა და მონასტერს შორის, თანაც მონასტერი სარგებლობდა უფლებით ქონების ისეთ ნაწილზე, რომელიც ერთი შვილის წილს ეტოვებოდა“ (ს. ტროიცი, ბერ-მონაზვნობის სამართლებრივი ისტორია, გვ. 66).

ამ კანონთა უშუალო ასახვა ჩანს სუბმათ (საბა) ბაკურიანის ანდერძში. თავის მეუღლეს კალის იგი უბრუნებს შვითეებს და ქონების იმ ნაწილს, რომელიც საქორწინო შეთანხმებით კალის სახელზე იწერა (§ 3. პარაგრაფები ჩვენს მიერაა შეტანილი ტექსტში). დანარჩენ ნაწილს იგი უტოვებს: იმპერატორს (საოცრად მცირე რაიმეს), თავის ძმას—სერგის, ცოლისძმისა და თავის მახლობელ-ქვეშევრდომებს. თვითონ კი გადაუწყვეტია სიკვდილამდე ქართველთა მონასტერში დარჩენა და იქ დასაულაება. საკვირველია, რომ ანდერძში არადგარა ნათქვამი მონასტრისათვის რაიმე დანატოვარზე. შეიძლება სამისოდ არსებობდა სხვა დოკუმენტი, ან არადა, კანონითვე იგულისხმებოდა, რომ მის მეუღლეს, რაკილა შვილი არ ჰყავდათ, სიკვდილის წინ ყოველივე ქართველთა მონას-

ტრისათვის უნდა გადაეცათ, რაც როგორც დაგინახავთ, შეასრულა კიდევაც კალის მიერ. ამდენად, საჭირო იქნება გავვეცნოთ მონასტრის დერძსაც, მის ძირითად ნაწილს. კალის ანდერძი ბოლოდაცთქილი ქრონოლოგიური მითითების თანახმად შედგენილი იქნა არაუგვიანეს 1098 წლისა (6606-5508).

„ანდერძი კალიხა, აწ მონაზონ მარიამისა, კუროპალატ ბახილაიხ ასულისა, კუროპალატ ხუშმათ ბაკურიანის მეუღლისა

(1) სარწმუნოა და საეგზეთ მართალი ყველა მოყვდიად შობილი, ვინც ფიქრობს... და სიკვდილზე. ხლო ყველაზე უფრო ისინი, ვინც ბერ-მონაზვნური ცხოვრება აირჩია და ღმერთის აღუთქვა, რომ განერიდება ყოველივე მიწიერის და ზეციერის შეიყვარებს. ამიტომ მეც, მარიამ მონაზონი, ასული განსვენებული კუროპალატის ბასილიკისა და მონაზონის ქსენია დიაკატრისა (რომელიც კვლავ ცოცხალია), თუმიც ავაღვარ, მაგრამ ღვთის წყალობით გონებით სლი და აზრით შეურყველი ვარ და დღეს ვისურვე ჩემი ცხადი ანდერძის შედგენა, რადგანაც ვშიშობ ანაღელულად არ მომეახლოს სიკვდილი და ყოველივე... არ დამჩენს აღრეული და მოუღვაბრებელი.

(2) მე ზემოხსენებული ჩემი კეთილშობილი მშობლების მიერ ქორწინებრივი კავშირით ვიყავ შეუღლებული აწ განსვენებულ ჩემს მეუღლესთან ბან კუროპალატ. სუბმათ ბაკურიანთან, რომელმაც ჩემი მხრიდან მზითვად მიიღო საქორწინო ხელშეკრულებაში აღწერილი ქონება. ოღონდ ერთად ცოტა ხანს ვიცხოვრეთ, რადგან მან, — ო, ღმერთო, რა უბედური ვარ, — მოულოდნელად დატოვა ეს ქვეყანა, თავისი ახალგაზრდობის სწორედ რომ გაფურჩქენის ეპის, და მე დავჩინი მიუსაფარი, უნუგეშო და მარტოდა-მარტო. ჩვენ უშვილონი ვიყვეით, რაც ყველასათვის ფრიალ სამიშოა, მაგრამ განსაკუთრებით ქალისთვის, ასე რომ, მოკლებული დავჩინი ჩემი უბედურების ამ მცირე მანუგაშებლსაც კი.

(3) მაგრამ უნდა დავუბრუნდე საქმეს, რომელიც მაწუხებს. სულწინამა ჩემმა მეუღლემ და მეუფემ შეადგინა ცხადი ანდერძი და აშკარად გამოთქვა თავისი სურვილი, რათა მე შევერდასებე პატრიონად, დამოუკიდებელ, ერთადერთ და სულუფლებიან მფლობელად მთელი თავისი ქონებისა, უძრავისა და მოძრავისაც. მან აგრეთვე მოგვანდო მე და დღემთ განსხვავებულ თავის ძმის ბან მაგისტროს სერგის ყოველივეს მეურვეობა, რაც კი გაჩნდა. ღვთის წყალობით და ღვთისშობლის შეწყობით ბნმა მაგისტროსმა სერგიმ მიიღო ყოველივე მისთვის განკუთვნილი ჩემი მეუღლისაგან, მისივე ნებისა და სურვილის შესაბამისად. და სახეს

აღარ მოვარიღებ მას განკითხვის ემს, აღარც თავისმართლება დამკვირდება, რომ უგულვებელმეყოს იმისი შეიკრიდე კა, რაც მან ბრძანა, რომ არ შემგვრსტუბინოს ყოველივე, რაც მან განაკანონა და რეორტკ განაკანონა.

(4) როცა კვესტორს წინ დავუდე მისი ანდერძი და აქედანვე იგი ძალაში შევიდა, მე მოვიწონე მისი მოწმე და მის ძმა ბ-ნ მაგისტროს სერატისთან ერთად განაცალკევე ყოველივე მისთვის და ჩემთვის დანატოვარი მისი განსვენებული ძმისაგან, მისივე ანდერძისდა თანახმად. და მე მის გამოფუყვე მთელი მისი კუთვნილი წილი და მისგან ხელწერილი მივიღე. ასევე მივეც მეგვიდრედ შერაცხილ ახლადგაზატბულთ და აზატყოფით მათივე მეუფისაგან დანატოვარი წილი და მათ ხელწერილი ჩამოვართვა. ამგვარად, ღვთისმშობლის წყალობით აღარაფერი დარჩენილა გასანაწილებელი მისი ქონებისაგან.

(5) სულაწმუნდით ჩემს მეუღლესა და მეუფეს ჩაწერილი აქვს ანდერძში, რომ დამარხებული ყოფილიყო ქართული მონასტერში. დასავლავებზე ზრუნვა კი მე დამეკისრა. მე შეეცადე ბერებისაგან საფლავის ადგილი, რისთვისაც ამ მონასტრის ბერებს შევიდი ათასი თქრის ნომიზმა (1) გადაუხადე ხელწერლის ჩამორტვივით, და ამ მონასტერში მიგბარე მიწის ჩემთვის ძვირფასი გვამი მისივე სურვილის შესაბამისად.

(6) რადგანაც მარად თვალწინ მიდვას ჩემი მეუღლის ნებასურვილი და მინდა მისი მარადიული ხსენა იყოს, ჩემი მეუფისა და ჩემი ცხოვრების მეგზურის სულის სახსნელად და მარად მოსავონრად და მის მიერ ჩემთა ცოდვითა შენდობისათვის, მონასტრის ვუძღვნი ჩემეულ სოფელს რადოლიეოს, მთელი მისი ქონებითა და უფლებებით, იქაური მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის გარდა და გარდა მთელი იმ მოსავლისა, რასაც ჩემი საეკლიოს წელსა და წინარე წლებში მოიწვევენ. რადგანაც მსურს, რომ იმ წლისა და წინარე წლების მოსავალი განწილდეს მოსახსენებლად. ამის შემდეგ კი დამ ამ მონასტრის ბერებს ერგოს მთელი მოსავალი, ვითარცა მის მფლობელებსა და მესაკუთრეებს. ჩემი მეუღლის სახსოვრად ყოველ წელს უნდა გასცენ ასი საწყაული ხორბალი, ათი ცხვარი და ათი საწყაული ღვინო მოსავონარი გამასპინძლებსთვის და ქრისტესმეორძმათა შორის გასანაწილებლად. ასევე სხვაც ასი საწყაული ხორბალი, ასი საწყაული ღვინო და ათი ცხვარი მსურს ვაიხარჯოს ძმათა მიერ, რათა მოიხსენიონ მე, ცოდვილი.

(7) დაე ამ მონასტრის ბერებმა აღასრულონ ყოველივე, ჩემს მიერ განწესებული, და თუ დარღვევენ ჩემთა ნაანდერძებთაგან თუნდაც ერთ რაიმეს, ნაწილობრივ იქნება თუ მთლიანად, მსურს, რომ ჩემმა რწმუნებულებმა სამ-

ართალს მისცენ ისინი. ბერებმა უნდა დაიკვნენ და ანგარიში გაუწიონ ჩემეულ განაწესს, ეყენებოდნენ რომ არ სურდეთ. ბერებს არ ეძლევიან ნება ვაპყრონ, გაასაჩუქრონ ან ვადაცვალონ ქონება, არამედ მსურს, რომ იგი სამარადისოდ მონასტრის დარჩეს. ასე რომ, ამ წელთა შემოსავლიდან ბერებმა გაიღონ შესანდობარი მოსახსენებლად ჩვენდა — შემომწირველთათვის: ჩემი მეუღლისა და ჩემთვის, ცოდვლისათვის. აგრეთვე მსურს, რომ ჩემი მეუღლისა და მეუფის მოსახსენებლად იქ დასავენონ ჩემნი მაცხოვრისა და ღვთაების ღიდი ხატი და მეორეც ვერცხლით მოჭედილი ხატიც ელაქერნის წმინდა ღვთისმშობლისა, აგრეთვე ვერცხლი ჭვარი და ორი ექვს-ექვს სანთლიანი ჩამოსხმული სასანთლე.“

ანდერძის დანარჩენი სამი-მეოთხედი ნაწილი ეთმობა იმის ჩამოთვლას, თუ რა უსახსოვრა კალამი ცალკეულ ბერებს, მათ შორისაა დედა, დედი (მარიაში, ევდოკია და ირინე), ძმა (ფილარეტე), მახლი, ნათესავები, ათონის ძმობის წევრები და სხვანი. მათგან ყურადღებას იქცევს — „ველიკო, ქმრის ნათესავი“. ველიკო ამკარად ბულგარული სახელია. ჩანს, სუბმათს ბულგარული ნათესავები ჰყოლია. სამწუხაროდ, სხვა რამ ცნობა ამგვარი ურთიერთობის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება.

მხოლოდ სავარაუდოდ შეგვიძლია ვთქვათ ზოგიერთი რამ კალისა და მისი ოჯახის მიმართ, რამდენადაც კონკრეტული დასკვნისთვის არაა საკმარისი არც ის, რომ მათ სამფლობელოები ბულგარეთში ჰქონდათ და არც ისა, რომ სახელი „კალი“ ბულგარეთში გავრცელებული იყო (საერთოდ ის ბერძნული წარმოშობისაა და „კალოს“-ს უკავშირდება). კალის დედა ზოია (ქსენია) დიაკონისისა, მამა ბასილიკია (სახელი არ ჩანს ანდერძში). ანა კომნინა „აღექსიდაში“ ორჯერ ასხენებს ვინმე გიორგი ბასილაკის, მაგრამ კონკრეტულს აღარაფერს გვაძენობს, რათა იგი კალის მამად ჩაგვეთვალა. ასე რომ, კონკრეტული რეალიებით ეს ოჯახი ბულგარულ სინამდვილეს უკავშირდება, თუმცა, ვიმეორებთ, ვადაქტირებ მათი ბულგარულებად მიჩნევა ცნობათა უკმარობის გამო ძნელდება. არადა ბერძენთაგან ნაკლებად მოსალოდნელია ის თავდებება, რასაც ქართული კულტურისადმი კალი იჩენს. იგი მარტო სუბმათის საფლავის ადგილისათვის მონასტრის აძლევს 7000 ოქროს ნომიზმას, ამკარად, რომ ფაქტიურად ამ გზით იგი მონასტრის ასაჩუქრებდა. ბულგარეთის მკვიდრთათვის ძნელი იქნებოდა ქართველთა მონასტრისათვის მამულების შეწირვა, რადგანაც მათზე ბიზანტიის მფლობელობა ვრცელდება (ესაა

რეზიუმე სინობძი

ზულგარულ-ქართულ-ბიზანტიური შერთმერთობათა ისტორიიდან

ბულგარეთში ბიზანტიის ბატონობის ხანა). თანაც ვასათგალისწინებელია ბერძენთა დამოკიდებულება „ივერთა“ მონასტრისადმი. ამიტომ შეწირულებაც არაპირდაპირი გზით განუხორციელებიათ (მამულეზიდან უშუალოდ მხოლოდ რადლოგი შეუწირავს კალის). ჩანს, ამითვე აიხსნება, რომ სუმბათის ანდერძში არაფერია ნათქვამი „ივირონისთვის“ შესაწირავზე.

აქ სპეციალურად აღიარა ვიტყვი, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ქველმოქმედებას ქართული მწერლობის უმთავრესი საზღვარგარეთელი კერის შემდგომი გაძლიერებისთვის, მეტადრე, რომ იგი ბერძენთაგან დიდ შევიწროვებას განცდიდა. თორნიკეს ნაბოძვართა შემდეგ ჩვენ არ ვიცით სხვა ფაქტი, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს ათონის „ივერის“ გასაძლიერებლად.

ახლა როცა ჩვენთვის ნათელი გახდა სუმბათ ბაკურიანისა და მისი მეუღლის კალის დიდი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე, საჭიროა გაირკვეს: მოიხსენებიათ თუ არა ისინი ძველქართულ მასალებში? ამ კითხვებზე პასუხი გვაქვს ათონის „ივერის“ მასალებში. „ივერთა“ მოსახსენებელთა წიგნში ჩვენ ვნახულობთ შემდეგ ჩანაწერს:

„თუთესა აბრილს აღამი განვაწესეთ კურთხეულისა მარამ ბასილაკის ასულისა, სუმბატ კურაპალატის მეუღლისათვის, რამეთუ ამას კურთხეულსა დედაკაცსა პირველთაგან დიდი სასუბები აქუნდა წმიდისა ამის უდაბნოსისა მობართ და მრავალი შესაწირავი შემოწორა შემდგომად სუმბატის მიცვალებიდა წმიდასა ამას ეკლესიასა სახსენებლად მათდა საუკუნოდ“ (ათონის კრებულნი, გვ. 232).

ეს მოსახსენებელი პირდაპირ ეხმარება სუმბათ ბაკურიანისა და კალის ანდერძებს. ამიტომ ახლა ცხადი ხდება, თუ ვინ არიან ეს პიროვნებანი და რატომ არიან მოხსენებულნი ქართველთა მონასტრის მემორიალურ წიგნში. ისიც ცნობილი შეიქმნა, თუ რას გულისხმობს „მრავალი შესაწირავი“. კალის ანდერძში ეს კონკრეტულადაა მოცემული. მხოლოდ ამას ერთი რამეც უნდა დავმატოვო: ჩანს კალი აღრევიც დიდად წყალობდა „ივერთა“ სავანეს. სუმბათისაგან თანამემამულეებისადმი ყურადღებას ჩვეულებრივად ჩავთვლიდით, მისი მეუღლისაგან კი ეს უფრო მეტად ფასობს და ეს გამოხატულია კიდევაც ზემომოყვანილ მოსახსენებულში.

ბაკურიანთა გვარის შვილები ქართული კულტურის დიდ მეცენატებად წარმოგვიდგებიან. გრიგოლ ბაკურიანის დამსახურება ამ მხრივ კარგა ხანია ცნობილია. ახლა ამას ემატება სუმბათ ბაკურიანი. ისინი თითქოსდა ერთმანეთს ეკობრებიან ქართული კულტურისადმი თავდადებაში. ორთავემ მთელი თავიანთი მონაგარი, თავიანთი ამქვეყნური და, თუ შეიძლება ითქვას, სიკვდილის შემდგომი ცხოვრებაც შეს-

წირეს ქართველთა ორ უმთავრეს საზღვარგარეთულ კერას: ათონის „ივერთა“ მონასტრისა და პეტრიწონს.

სუმბათ და კალი ბაკურიანების ანდერძების გაცნობის შემდეგ ვგებულობთ, რომ ბულგარეთთან კავშირ-ურთიერთობანი ჰქონია არა მხოლოდ ბულგარეთში არსებულ პეტრიწონის სავანეს, არამედ ათონის ქართველთა კერას „ივირონსაც“. მეცნიერული ობიექტურობა გვაგალებს, რომ ისტორიული წარსული კრიტიკულად აღვიქვათ, მასში არ დავინახოთ მხოლოდ „ნაშით ძველი დიდებისა“. კერძოდ, არ იქნება მართებული ამ ურთიერთობებში მხოლოდ დადებითი მომენტები შევინშნოთ. მონასტერი იყო კულტურის კერაც, მაგრამ ამასთანავე იგი გარკვეული სახის ფეოდალური მფლობელობის ინსტიტუტიც იყო. როცა სამხრეთ-დასავლეთი ბულგარეთის მიწები კალის ანდერძით „ივირონს“ საკუთრება ხდებოდა, ცხადია, ეს მოისწავებდა მონასტრის მიერ იქაური მცხოვრებლების ფეოდალურ მფლობელობას. მხოლოდ კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა ქმნიდა ამ ურთიერთობებში დადებით მომენტს. ათონი შუასაუკუნოებრივი კულტურის ერთ-ერთი უმთავრესი ცენტრი იყო. აქ სხვათა გვერდით არსებობდა ბულგარული კულტურის ცნობილი ცენტრი — ზოგრაფის მონასტერი. ბულგარეთთან „ივირონის“ კავშირი კულტურ ურთიერთობათა საფუძვლებსაც ქმნიდა. შემთხვევითი არაა, რომ „ივირონის“ კულტურული საქმიანობისადმი ინტერესი აისახა კიდევაც ძველ ბულგარულ წყაროებში, კერძოდ, ზოგრაფის სიგელში 1342 წლისა. ზოგრაფის მონასტრთან კავშირი საშუალებას იძლეოდა ქართველი მოღვაწენი უკეთ გაცნობოდნენ ბულგარულთა სულიერი ცხოვრების წარმატებებს. იმ პერიოდში არაერთი ბულგარული კულტურის უმთავრეს წარმატებათაგანი სწორედ ზოგრაფის მონასტრთან იყო დაკავშირებული. ცხადია, ეგვემნიშვნელობა ექნებოდა სხვა ბულგარულ მონასტრებთან კავშირსაც, რამდენადაც მონასტრები, გიორგი დიმიტროვის სიტყვით, გვევლინებიან ბულგარული კულტურის ერთადერთ კერად, „ინახავენ ეროვნულ გრძნობებს, ეროვნულ იმედებს, ბულგარულთა ეროვნულ სიამაყეს და ეხმარებიან მათ შეინარჩუნონ თავიანთი ეროვნულობა“ (გ. დიმიტროვი, ოხზულებანი, ტ. III; სოფია, 1947, გვ. 278-279).

ბაკურიანები, გრიგოლიცა და სუმბათიც, მწერლური მიღრეკილების პიროვნებანი ჩანან. ერთია, რომ საერთოდ კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრებისადმი დიდ ინტერესსა და თავდადებას ამჟღავნებენ. უფრო კონკრეტული გატყობიანები შეიძლება აღინიშნოს (როგორც ვთქვით, გვაქვს საფუძველი გრიგოლ ბაკურიანს



ერთი „საკითხავის“ ავტორად ვიგულებით). ისეთი წმინდა იურიდიული ხასიათის დოკუმენტებიც კი, როგორცაა ტიპიკონი თუ ანდერძი, მათ ხელში მედიტაციურ-ლორწილი“ წიაღსელებით იტირებდა (გრაგოლის „ტიპიკონი-და“ ამ მხრივ გამოსაყოფია I და XVIII თავები). აქ კარგად ჩანს, რომ მთელი „ტიპიკონი“ თვით მის მიერაა დაწერილი, რომ ის არ მიჰყვებოდა იმ წესს, როცა კტიტორთა სახელით ასეთ ძეგლებს მათი იურიდიულად განსწავლული ქვეშევრდომები აღგენდნენ).

გავიხსენოთ რომ წერილში (მეურსიო 14), რომლის ადრესატად ჩვენ სუბმათ ბაქურიანი მიგვაჩნია, თეოფილაქტე ხმირ ლიტერატურულ პარალელებს მიმართავს ანტიკური მწერლობიდან. გასათვალისწინებელია, რომ საერთოდ თეოფილაქტეს წერილების სტილი სხვადასხვაგვარია. იგი იცვლება ადრესატების ინტერესთა შესაბამისად. ეპისკოპოსებს რომ სწერს, თეოფილაქტე თეოლოგასის ენით ლაპარაკობს, ფილოსოფოსებთან ფილოსოფოსობს, მართამ დედოფალთან . . . მღვდელთმთავარი საქალბო იუმბრსაც არ ერიდება, რათა მზიარულების მოყვარე ქალს დიმილი მოგვაროს. ხოლო ჩვენთვის საყურადღებო წერილებში იგი ანტიკური. სახეების მოხმობით ცხოვრების აზრის ძიებას. ცდილობს. ჩანს, სუბმათში იგი შესაბამის ინტერესებს ზედავდა.

„ანდერძი“ — სუბმათისა, თუ უკვე-საბასი, „მემენტო მორეს“ შუასაუკუნეობრივი იდეითაა დასმკვალული. ამას „ანდერძში“ თავისებური ლირიკული მედიტაციის ელფერი შეაქვს, რაც კიდევ უფრო მკვეთრად აღიქმება „პროზაული“ იურიდიული ნაწილის გვერდით. ლირიკულია, — იმიტომ ვამბობთ, რომ აქ უფრო ემოციითაა გარკვეული ურთიერთობის ელფერობაა წარმოდგენილი, ვიდრე თანმიმდევრული ფილოსოფიური განსჯანი. შუა საუკუნეებში სიკვილის პრობლემის მწყობარ ფილოსოფიურ განსჯას ერიდებოდნენ, მას თითქოსდა „აპოკრიფულად“ მიიჩნევდნენ, თუმცა ნომინალურად იმ დროს ქართულ მწერლობაში მიღებული იყო ამ საკითხზე პლატონის „ფედონში“ მოცემული იდეები (ეს საკითხი სპეციალურად განხილული გვაქვს ნარკვევში: „გრაგოლ ნოსელის „ძიებები სულისათვის“ ძვ. ქართულ მწერლობაში“ — „მაცნე“, 1973, № 1. ფილოსოფიურ განსჯას ენაცვლება ლირიკულ-რელიგიური წილისკვლანი, ასეთი იყო „ეპოქის სტილი“. ეპოქის სტილი კი, როგორც დ. ლიხაჩოვი წერს, მაშინ ნააზრევთა ყოველგვარ ფორმას იმორჩილებდა. „ფედონში“ სიკვილის ტრაგიკული განცდა მოხსნილია მისი გარდუვალობის შეგნებით (— ფილოსოფია გვაძალღებს სიკვილებზე). სიკვილისაგან ხსნის გზა ფილოსოფიის გზა. ეს კი არსებითად მიუღებელია შუა საუკუნეებისათვის. ამ დროს განსაკუთრებით გამძაფრებულია

სიკვილის ტრაგიკული განცდა, რასაც „ფილოსოფიური სიმშვიდე“ ვერ ძლევს. როცა სიკვილიზე ფილოსოფიური ფიქრი ეუფლებოდა, დამთ, გამოსავალს ფილოსოფიაშივე ვერ პოუვებდნენ და სიკვილისაგან ხსნის გზის ძიებას რელიგიისაკენ მიჰყავდა პიროვნებანი (მთელს შუა საუკუნეობრივ მწერლობაში ფილოსოფიისა და სიკვილის პრობლემის შეურთებლობას განსაკუთრებულ რელიგიურობით ქარმოაჩენს ბალავარიანი, კერძოდ, მისი ჟიურული რედაქცია, რომელიც ამ მხრივ სპეციალურ ყურადღებას იმსახურებს). შუა საუკუნეებში სიკვილის პრობლემისადმი ფილოსოფიური ინტერესების მქონე პიროვნებანი სულიერ სიმშვიდეს პოუვებდნენ, თუკი გამიშკველიდნენ სულიერი თანაზიარების შეგარკნებით „სიკვილისა სიკვილითა დამრთუვენელთან“. სული სიმშვიდეს პოუვებდა არა თვითმშენობით, არამედ მსოფლიო სულთან თანაზიარების რწმენით. (ამით მოხსნილი ხდებოდა ეგზისტენციალისტური მარტოსულობის შეგარკნებაც და „ობოლი სულის“ ესთეტიკურობაც გამოირიცხული იყო).

სუბმათ ბაქურიანს ამოების ეკლესიასტრი ფიქრი დაუფლება („არცრა მოგვიტანია ამა სოფლად და ვერც ვერაფერს შეეწერ მასსო“), იგი ვერ მორეცხა „სიკვილის უკიდევანო და უცნაური საიდუმლოების განცდას“ და შინაგან ძრწოლას შეუპყრია. იმდენად ძლიერი გამზდარა შეგანება გამოუვალობისა, რომ ეკვიცი კი დაჰბადებია: ხომ არააო ეს მაჩვენებელი საკუთარი სულიერი რყევია. ამიტომაც თავის თავის დამშვიდებას უფრო ჰკავს, როცა გვაძენობს — ღვთის წყალობით გონებაცხადი და აზრათ შეურყეველი ვარო (წ 1). იგი არც ჩვენში იწყებს ექვს, რადგან ეს დაწერილია მაშინ, როცა უკვე სულიერი სიმშვიდე მოიპოვა: იგი ბერ-მონაზვნობის გზას დაადგა (აქ ჩანს სწორედ სიკვილიზე მოფიქრალთა შუასაუკუნეობრივი სავანე). ახლა „სულის სამშვიდობო ნავსაუღლელოც“ მიგანებულია და სიკვილის დამტკიცებისთვის დიდი ჟონება გაღებული. ერთი რამ მაინც ახლავს ამგვარ ქველმოქმედებას: შუა საუკუნეობრივმა მისტიკამდე ზეალმაგალმა ქველმოქმედებამ ვერ გამოირიცხა გარკვეული „ანგარებით“ მომენტი — ქველმოქმედება ზნება ჯილდოსათვის, სამოთხისათვის, რაც ზადებს კითხვას: იქნებოდნენ თუ არა ადამიანები კეთილნი, რომ არ მოელოდნენ სამოთხეს? ადამიანი უნდა ესწრაფვოდეს სიკეთეს მხოლოდ იმიტომ, რომ აღუნაზღაურდება სამოთხით, თუ „თვითმიზნურად“, ე. ი. სიკეთე სიკეთისათვის და არა თავისთვის? ამ თვალსაზრით

რამავს სირამბე

ბულგარულ-ქართულ-აზიანტიკურ
 შრომირთობათა ინსტიტუტის



სით, აუნაზღაურებელი ქველმოქმედებანი მი-
ინც არა ჩანს. ამის ვერ უარყოფს აზრი, რომ
სიკეთეთა ღმერთი ან ღმერთთა სიკეთე. მაშინ
ადამიანს უნდა ყოფნიდეს საკუთარი სულის სი-
კეთის შეგრძნება, ე. ი. აღარც უნდა განერიდებ-
ოდეს მართოსულობის განცდას. ეს უკანასკნელ-
ი კი, როგორც ვთქვით, მიუღებელია ქრისტი-
ანობისათვის. ეს ჩანს სუმბათის სიტყვებში-
დანაც.

ასე თუ ისე, რაკილა ადამიანს მათი საქმეების
შედგებების მიხედვით განსჯიან, არ შეიძლება
დიდად არ დაფასდეს მისი ქველმოქმედება
ქართული კულტურის მიმართ და მისი მისწრა-
ვებაც — სულელოვანი სიმშვიდე ექია სწორედ
„ვიგორისისადმი“ ქველმოქმედებაში.

მთავარი მაინც ამჯერად ისაა, რომ სუმბათს
მოსდევდა ზემოაღნიშნულ განცდათა ლიტერა-
ტურულად გამოხატვის უნარი. ამითაც ის ახ-
ლობელ ჩანს ბულგარეთში მცხოვრებ ქართ-
ველთა იმ წრისათვის, რომელსაც შეადგენდნენ:
ი. ბეტრიწი, გრ. ბაქურიანი და სხვანი და რო-
მელთადაც დაახლოებული ყოფილა თეოფი-
ლაქტე ბულგარელიც.

ამრიგად, მრავალმხრივი საფუძველი გვაქვს
თეოფილაქტე ბულგარელის წერილების ადრე-
სატად ვიგულვით იოანე ბეტრიწის და სუმბათ
ბაქურიანის, ხოლო გრიგოლის ადრესატობა
გამოერიცხით (უდავო სწორედ ეს ბოლოა).

როგორც დავინახეთ, დღეს ჩვენს ხელთ არ-
სებული მასალების მონაცემები გეკარანახობს,
რომ ადრესატის ძიებისას სხვა შესაძლებელ პი-
როვნებათა შორის უპირატესობა სუმბათ ბაქუ-
რიანს მივანიჭოთ. თუმცა არც ის უნდა დაგვრ-
ჩეს უყურადღებოდ, რომ სუმბათის ადრესა-
ტობას, ეწინააღმდეგება, ზოგერთი ვარაუდები-
ნი. კერძოდ, წერილების მიხედვით ადრესატი
სეკანდოსი თუ პანსევასტოსია, ანდერძითა და
ათონის კრებულის თანახმად კი სუმბათი კუ-
რპალატი იყო. მეორეც, ადრესატი „დიდი
დრუნგაროსის სიძეა“, ანდერძთა მიხედვით,
კალის მამა, ბასილაკი—კურპალატი. დრუნ-
გაროსი უმაღლესი სამხედრო თანამდებობაა
(ელევთერიოვაც ენიციკლოპედიკონ ლექსიკონ,
IV ათენა, 1926, გვ. 776). XI ს-ის დასასრულს
დიდი დრუნგაროსი იყო ნიკოფორე, იმპერატო-
რ ალექსანდრე კომნენის ძმა. ერთი შეხედვით,
მართლაცაა დიდად დამაუკუებელია დიდი
დრუნგაროსის სიძის ადრეგით მოხსენიება,
მაგრამ ფაქტია. ფაქტია, რომ გრიგოლის კომენ-
ტარსთა სიძე არ ყოფილა (სხვა, რომ არა; ანა
კომნენე ამას აუტოლებლად აღნიშნავდა). ე. ი.
შეიძლება ზედწარწერაშია, ვასათვალისწინებე-
ლია, რომ საზოგადოდ თეოფილაქტეს წერილთა
ზედწარწერები უამრავ შეიძლება შეიცავდეს.
ამდენად, დაგვრჩენია საკითხზე მსჯელობისას
წერილთა შინაარსობრივი მონაცემებით ვი-
ხელმძივანელით. შინაარსი კი საზოგადოდ და-

უჯერებელს ხდის აღრესატად „დიდი დრუნგა-
როსის სიძე“ ვიგულვით. წერილებში
ნი სრულიად შეუფერებელია „დიდი დრუნ-
გაროსის“ (თანაც ის იმპერატორის ძმა)
სიძის დასამოქმედრავად. თეოფილაქტეს წე-
რილებში ტონი სწორედ ყოველთვის
ზუსტადაა დაცული. საამისოდ მას კულტუ-
რაც მოსდევდა, განათლებაც და ლიტერატუ-
რული უნარიც. ვერც მისი მღვდელთმთავრობა
გაამართლებდა ისეთ ტონს სამეფო კარის ამა-
გარი ახლობლის მიმართ. ამიტომაც, რომ ჩვენი
ვარაუდი სუმბათ ბაქურიანზე შეიქნა და
ადრესატად ის მივიჩნიეთ. თუ ასეთ ვარაუდს
მივიღებთ, შესაძლებელი იქნება წერილების
დათარიღებაც, კერძოდ, 1090-1093 წლებით,
ე. ი. თეოფილაქტეს ბულგარულ არქიეპისკო-
პოსობად დანიშვნის შემდეგ და სუმბათის ბე-
რად აღკვეთამდე.

მაგრამ ადრესატის გარკვევა ამ შემთხვევაში
მაინც კერძო საკითხია. არსებობს თვით ან-
დერძები სუმბათ ბაქურიანისა და კალისა, რომ-
ლებიც, როგორც დავინახეთ, ფრიალ მნიშვნე-
ლოვან ცნობებს შეიცავს.

საკითხთა საბოლოო გადაწყვეტისათვის სა-
ჭირო იქნება გვიანალიზით სხვა მასალებიც
და ცნობებიც. ამჯერად კი, ზემოთხსენებულ
დასალოთა საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ
შემდეგი დასკვნები:

1. ბულგარულ-ქართულ-ბიზანტიური ურთი-
ერთობანი მრავალ მნიშვნელოვან საკითხს წა-
მოჭობს. ბულგარულ-ქართულ ურთიერთობათა
ხასიათს ხშირად განსაზღვრავდა ბიზანტიის
კულტურულ-ისტორიული ვითარებანი. ეს გან-
საკუთრებით სავარაუდოა ბულგარეთში ბიზან-
ტიის ბატონობის დროს (1018-1187 წწ.). XI
ს-ის დასასრულს ქართველები ინტენსიურ კავ-
შირ-ურთიერთობას ამყარებენ არა მხოლოდ
საკუთრივ ბულგარულ სინამდვილესთან, არა-
მედ ბულგარეთში ბიზანტიური ხელისუფლე-
ბის წარმომადგენლებთანაც. ამ შემთხვევაში
დადებითი მომენტს ქმნიდა კულტურულ-ლიტერ-
ატურული კონტაქტები, რომელთაც ნათელი
შუქი შეაქვს თვით ბიზანტიური ხელისუფლე-
ბის წარმომადგენელთა (ბერძენთა თუ ქართვე-
ლების) მოღვაწეობაში. ამ მხრივ მათი მოღვა-
წეობა კულტურის ისტორიის განუყოფელი ნა-
წილია.

2. თეოფილაქტე ბულგარელის (1090-1107)
წერილებისა და აგრეთვე სხვა ბერძენული წყა-
როების ბულგარულ პუბლიკაციათა საშუალებ-
ებით შესაძლებელი ხდება გავცნოთ XI ს-ის
დასასრულის ქართველი მოღვაწეების ურთი-
ერთობათა საყურადღებო ფაქტებს. გარკვეულ
მონაცემების საფუძველზე თეოფილაქტე ბულ-
გარელის ერთ-ერთი წერილის ადრესატად შე-
იძლება იოანე ბეტრიწი ჩითვალდეს. წერილი,
მასში მოცემული რეალიებით, თარიღდება



1001-1006 წლებით. თეოფილაქტესა და პეტრიწს ახლოვებდა რენესანსული ლიტერატურულ-ფილოსოფიური და რელიგიური ინტერესები (ბულგარულ სამეცნიერო ლიტერატურაში საფუძვლიანადაა უარყოფილი ადრესატად იოანე იტალისის მიჩნევა). თეოფილაქტეს „იოანეს სახარების განმარტებათა“ თარგმნა ი. პეტრიწის სახელს უკავშირდება. ი. პეტრიწის ცხოვრების ამბებს გამოხატავს სიტყვები, რომ „იგი იტანება უკეთურებისაგან“. არა მხოლოდ თ. ბულგარელი, არამედ მისთან დაახლოებული სხვა მწერლებიც პაპულარულია პეტრიწონის სკოლის წარმომადგენელთა შორის. თეოფილაქტეს „ფოთაებრივის“ („სალმბოთოს“) პატივით მოიხსენიებს „იოანე ფილოსოფოსს“, წერილის ადრესატს, რაც ემთხვევა ძველქართულ მწერლობაში ი. პეტრიწისთვის დამკვიდრებულ ზედწოდებას „იოანე საღმრთო ფილოსოფოსი“.

ძველქართულ მასალებში არსებული ფორმა „პეტრიწი“ ბულგარულ სინამდვილესთან ი. პეტრიწის სახელწოდების კავშირის გამოჩატველია. „პეტრიწი“ მომდინარეობს მონასტრის ადგილის ბულგარული სახელწოდებიდან („პეტრიწი“) და არა ბერძნულიდან, თუმცა საბოლოოდ ეს უკანასკნელი გავრცელდა ჩვენშიც და ბულგარეთშიც.

3. თ. ბულგარელის წერილები, რომელთა ზედწარწერაში გრიგოლ ბაკურიანი მოხსენებულია, გვიანდელ გადაწყვერთა შეცდომებს შეიცავს. ამ წერილთა ადრესატად გრ. ბაკურიანის მიჩნევა გადაჭრით უნდა გამოირიცხოს. ისინი დაწერილია თეოფილაქტეს ბულგარეთის არქივისკაობისას, ანუ 1090 წლის შემდეგ. ე. ი. როცა გრ. ბაკურიანი უკვე გარდაცვლილია. სათაურში ბაკურიანის გვერდით გრიგოლის ჩამატება აიხსნება იმით, რომ ბერძენ მწიგნობართათვის გრიგოლი იყო ყველაზე პაპულარული პიროვნება მის ნათესავ ბაკურიანთა შორის, რომელთა სახელიც გრიგოლს დაუჩრდილავს. ახლა როცა ჩვენივე ცნობილი შეიქმნა მასალები სუბმათ ბაკურიანის შესახებ, შესაძლებელი ხდება იგი ზემოაღნიშნულ წერილთა ადრესატად მივიჩნიოთ, რამდენადაც ერთმანეთს თანხედება წერილებისა და სუმ-

ბათის ანდერძის არაერთი მონაცემი, ამას მხარს უჭერს გრიგოლის მიერ „ტიპიკონი“ მოხსენიება „თვისთა ნათესავთა“, რომლებიც იყვნენ „მიმთხუეული დიდებასა და კეთილის მოქმედებასა წმიდათა მეფეთაგან“ გრიგოლისავე წყალობით.

4. ბერძნული წყაროების ბულგარულ პუბლიკაციათა საშუალებით შესაძლებელი გახდა გაცნობილი სუბმათ ბაკურიანისა და მისი მეუღლის კალის ანდერძებს (სუბმათის ანდერძი შედგენილია 1093 წელს, კალისა—1098 წელს). ეს დოკუმენტები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, საიდანაც ჩვენ უცნობ მოვლავებებსა და ძველქართული კულტურის ისტორიის უცნობ ფაქტებს ვეცნობით. მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება გაეთვალისწინოთ ბულგარეთში მცხოვრები ქართველების ურთიერთობანი ათონის „ივერთა“ საეპისკოპოსოს და „ივერთა“ მონასტრის ურთიერთობანი ბულგარულ სინამდვილესთან. განსაკუთრებით დიდია სუბმათისა და მისი მეუღლის კალის დამსახურება ქართული კულტურის ყველაზე მნიშვნელოვანი საზღვარგარეთული კერის „ივირონის“ შემდგომი გაძლიერებისთვის. თორნიკეს დამსახურებათა (979-980 წწ). შემდეგ ჩვენ არ ვიცით ვსგავსი მნიშვნელობის სხვა ფაქტი, რომელიც სუბმათის ოჯახის აღნიშნულ ღვაწლს შეედრებოდეს.

სუბმათისა და კალის ანდერძთა შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ათონის „ივერთა“ შემორჩაულ რიცხვში მოხსენებულ პირთა იდენტიფიკაცია.

სუბმათ ბაკურიანი ლიტერატურული ინტერესების მქონე პიროვნებად გვესახება. ეს ჩანს თეოფილაქტე ბულგარელის წერილებიდანაც და სუბმათის ანდერძიდანაც.

ამრიგად, ბაკურიანები, რომელთაც თვით მოუჩენიათ ბიზანტიაში, ქართული კულტურის თავადებული მეცენატებადაც წარმოგვიგებია.

ზემოგანხილული მასალებით შესაძლებელი ხდება ბულგარულ-ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობანი XI ს-ის დასასრულისათვის საკმაოდ ინტენსიურად ჩაითვალოს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ა :

1. აკაკი შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971, გვ. 25.
 2. მ. კვესელავა, ბულგარული ლიტერატურა, თბ., 1953, გვ. 9—14; ლ. მენაბდე, რუსთაველი ბულგარეთში. — „ციკლი“, 1973, № 7, გვ. 123—128; რ. სირაძე, ძველ-ბულგარულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხები. — „მნათობი“, 1972, № 10, გვ. 179-192.

3. ი. ლოლაშვილი, ი. პეტრიწი — ქიმიკელი (ისტორიულ-ფილოლოგიური ნარკვევი). — ი. პეტრიწი, სათნოებათა კიბე, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივენე ლოლაშვილმა, თბ., 1968, გვ. 44-56.

რედაქცია სირაძე
 ბულგარულ-ქართულ-ბიზანტიურ
 ურთიერთობათა ისტორიულ



4. ა. ურუშაძე, ქართული კულტურის კერა ბულგარეთში, თბ., 1969, გვ. 57-59.

5. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 285.

6. ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

7. გრიგოლ ბაკურიანი, „ტრიპიკონი“ (ა. შანიძის გამოც.), 31.

8. Елка Бакалова, Стенописите в костницата на Бачковския манастир (Дисертация за присъждане на научна степен «кандидат на изкуствознанието»), София, 1973 с. 108 (232).

9. ქართლის ცხოვრება, I (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), თბ., 1955, გვ. 318.

10. Н.-С. Beck, Kirche und theologische Literatur im byzantinischen Reich, München, 1959, s. 649—650; Симеон Варненски—Преславски, Теофилакт Охридски, архиепископ български.—Сборник на Българската Академия на науките, книга XXVII, клон историко-филологичен и философско-обществен, 15, София, 1931, с. I—XXII. Г. Г. Литаврин, Болгария и Византия в XI—XII вв., М., 1960, 351—375.

11. Н.-С. Beck, op. cit., p. 650; Сборник на БАН, XXII (15), 1931, с. XIV. 12. გ. ლიტავერინი, დასახ. ნაშრ., გვ. 355; ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27

13. ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 12, 36-40.

14. Васил Златарски, История на Българ-

ската държава през Средните векове, т. II. България „под“ византийското владичество (1018—1187), под редакцията на проф. Димитър Ангелов, София, 1972, с. 288.

15. ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

16. განსხვავებული აზრისა იყო ვ. ზღატიარსკი. იგი ფიქრობდა, რომ სამეფო კარმა თეოფილაქტე ბულგარეთში დანიშნა მხოლოდ დიდმეცრობულური პოლიტიკის გატარების მიზნით (დასახ. ნაშრ., გვ. 264-279). მაგრამ ეს არ გამოირიცხავს, რომ ამჟვე დროს თეოფილაქტეს დედაქალაქიდან ჩამოშორებაც უნდოდათ.

17. Ф. Успенский, Образование второго болгарского царства, Одесса, 1879, стр. 11.

18. გ. ლიტავერინი ნიკოლოზს ხოსროიან ბაკურიანის შვილად თვლის.

19. Гръцки извори за българската история, VII, съставил Стр. Лишев, П. Тивчев, В. Тъпкова-Заимова, Г. Цанкова-Петкова, под редакцията на Г. Цанкова-Петкова и П. Тивчев — Извори за българската история, XIV, СБАН, Институт за история), София, 1969; с. 67—78.

20. „Ортоდოქსია“, V, 60, 1930 წ., გვ. 614-618; VI, 66, 1931 წ., გვ. 364-371 (ბერძნულ ენაზე).

21. Г. Острогорски, Радоливо, село светогорског манастира Ивирона.—Зборник радова Српске академје наука Византинлошки институт), VII, Београд, 1961, с. 67. „გეორგიკა“ (ს. ყაუხჩიშვილი), 8, გვ. 159-160.



კლასიკონი და არეოკაბელი

ძველი ქართული კულტურა (IV-XVIII საუკუნეები) ქრისტიანული ტიპის კულტურაა. ეს თავისთავად ცხადი და ექვეშეული ფაქტი კი წინასწარ გულისხმობს შემდეგს: თუკი ამ კულტურაში იპოვება სერიოზული ფილოსოფიური ნაზრევი, ეს ნაზრევი რაღაც გარკვეულ მიმართებაში უნდა იყოს ანტიკურნი მსოფლიოს ორი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფოსის — პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებებთან. ამგვარი მიმართების ვარჯიშე ასე თუ ისე ანგარიშგასაწყვეტი ქრისტიანული რელიგიური ფილოსოფია არსად ჩამოყალიბებულა და ვერც ჩამოყალიბდებოდა; აღარაფერს ვამბობ იმის თაობაზე, რომ ამგვარი მიმართების ვარჯიშე შუა საუკუნეთა ვითარებაში საერთოდ წარმოუდგენელია საკუთრივ სპეციალური ფილოსოფიის არსებობა.

ზემოთქმული იმასაც ნიშნავს, რომ, თუკი მოვახერხებთ თვალი გავადევნოთ ძველი ქართული ფილოსოფიური და რელიგიურ-ფილოსოფიური ნაზრევის მიმართებას პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებებთან, ამით ფაქტურად გამოიკვეთება ამ ნაზრევის სტრუქტურის ერთგვარი კონტურები. ცხადია, ეს არის უაღრესად საკირო და, ამასთან, არცთუ დასაყვენებელი სამუშაო. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამგვარ სამუშაოს ერთი და ორი პიროვნება თავს ვერასცხვით გაართმევს — ეს სამუშაო თაობებმა უნდა შეასრულონ. ვიდრე ეს საქმე არ აღსრულებულა, ქართული აზროვნების და, საერთოდ, ქართული კულტურის სრულფასოვანი ისტორია ვერ დაიწერება.

მაგრამ რით, როგორ უნდა დავიწყოთ ამ საქმის აღსრულება?

ეს საკითხი ერთ კარდინალურ პრობლემას უკავშირდება — ფსევდო-დიონისე არეოკაგელისა და პეტრე იბერიის იდენტობის პრობლემას. თუ გავიზარებთ შალვა ნუცუბიძისა და ერნსტ კონიგზმანის თეორიებს ხსენებულ პირთა იდენტობისა, მაშინ ძველი ქართული ფილოსო-

ფიური აზროვნება იმისგან პრინციპულად განსხვავებული სახით წარმოგვიდგება, როგორადაც ამ თეორიების წამოყენებამდე იყო დასახული.

იმ ამბავს, რომ წინამდებარე ნაშრომის ავტორი იდენტობის თეორიის გულდაჩერებული მომხრეა, საკუთრივ პრობლემისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. წინამდებარე ნაშრომის ავტორის პოზიციას ხსენებული პრობლემისთვის რაიმე მნიშვნელობა მაშინ შეიძლება ჰქონოდა, ავტორს რომ ხელეწაფებოდეს იდენტობის თეორიების ეგროპელ თუ ქართულ მოწინააღმდეგეთა დებულებების შეცნობად გაბათილება. სამწუხაროდ, წინამდებარე ნაშრომის ავტორს ვერ ექნება საამისო პრეტენზია.

მაგრამ ნაშრომის ავტორს უეჭველად უფლება აქვს განაცხადოს: მეცნიერების განვითარების დღევანდელ დონეზე სრულიად შეუძლებელია ძველი ქართული კულტურის საკითხთა კვლევა ფსევდო-დიონისე არეოკაგელის ნაზრევის გაუთვალისწინებლად. ვისაც ეს არ ესმის, მას საერთოდ არაფერი გაეგება ამ კულტურისა. აქედან გამომდინარე, ნაშრომის ავტორმა აუცილებლად მიიჩნია თავდაპირველად სწორედ არეოკაგეტული კორპუსი მოქცევა კვლევის სფეროში და შეძლებისდაგვარად წარმოიჩინა არეოკაგეტულ წიგნთა მიმართება ჯერჯერობით მხოლოდ პლატონის ნაზრევთან. მიუხედავად იმისა, თუ როგორ გადაწყდება საბოლოოდ ფსევდო-დიონისე არეოკაგელისა და პეტრე იბერიის იდენტობის პრობლემა, ამ სფეროში (ზემოთ მითითებული მხრივ) წარმოებულ კვლევა-ძიება უსარგებლო არ უნდა აღმოჩნდეს.

მაშასადამე, ამოვიდეთ იმ დებულებიდან, რომ არეოკაგეტული წიგნების ავტორი იყო პეტრე იბერი, V საუკუნეში მცხოვრები ქართველი მოაზროვნე. მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ V საუკუნიდან და სწორედ პეტრე იბერიდან იწყება ქართული ფილოსოფიის ნამდვი-



ლი ისტორია (ის, რასაც ამ მოზარდონემდე წარმოადგენენ ქართულ ფილოსოფიად. — მაგალითად, IV საულის ფილოსოფოსი ბაკური და სხვა, — ვიდრე უფრო ხელშესახები დოკუმენტები არ გამოვლენილა, ვარაუდების სფეროში რჩება ჩრჭვრობით). სწორედ პეტრე იბერს მიიხსენიდა აკადემიკოსი შალვა ნუტუბიძე მეოთხე ნეოპლატონური სკოლის* წინამდგომად. და, თუმცა ამ დიდი მოზარდონის ნეოპლატონიკოსობა სადაო საკითხია, მთავარი ამ შემთხვევაში სხვა რამ არის ჩვენთვის: წინასწარვე აშკარაა, რომ არეოპაგიტული კორპუსის სრულიად გარკვეულ მიმართებაში უნდა იყოს პლატონის მოძღვრებასთან.

ოღონდ როგორია ეს მიმართება — უშუალო თუ გაშუალებული? მეცნიერებაში გამოთქმულია შეხედულება, რომ პეტრე იბერის მოძღვრებაში ანტიკური ფილოსოფიური მეგვიდრეობის (და, მასასადამე, პლატონის) ათვისება უშუალოდ კი არ ხდებოდა, არამედ — პროკლეს მეშვეობით.

ეს დებულება ემყარება რომ არ იწვევდეს, ჩვენს საკლევ სავანს (კონკრეტულ შემთხვევაში — პეტრე იბერის ნაზარეტის მიმართება პლატონის მოძღვრებასთან) საფუძველი მაინც არ გამოეცლებოდა, რამდენადაც, როგორც ცნობილია, ადრეულ შუა საუკუნეებში პლატონთან უშუალოდ მისვლა ქრისტიანული რელიგიური ფილოსოფიის ადემპტაჟან არც ისე ჩვეულებრივი და იოლად მოსახერხებელი ამბავი იყო და პლატონის თუნდაც გაშუალებული ათვისება (პროკლესნაირ კოლოსზე დამყარებით) თავისთავად ბევრ რამეს ნიშნავდა უკვე.

მაგრამ უმოთვრესი მაინც სხვაა: პეტრე იბერის თხზულებათა გამოწველით შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ ეს მოზარდონე უაღრესად ახლოს იცნობდა პლატონის დიალოგებს. უკვე გ. ვიკილოვიჩმა (არეოპაგიტულ წიგნთა რუსულად მთარგმნელმა) შენიშნა, რომ „საღმრთოთა სახელთათვის“ მეოთხე თავის მეშვიდე პარაგრაფის ერთი მდგომე პირდაპირ არის გადმოღებული პლატონის „ნადიმოდან“. ჩემის დაკვირვებით, ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი მოვლენა, რაიმე აუხსენელი გამოწველი. ქვემოთ წარმოდგენილი პარალელები ალბათ დადასტურებენ ამ ნათქვამს.

დაბოლოს ერთი შენიშვნა: ქვემოთ წარმოდგენილი დაკვირვებანი ემყარებიან პლატონის დიალოგებისა და პეტრე იბერის ტრაქტატების პარალელურ შესწავლას. მომავალმა კვლევამებამ მათში შესაძლოა ზოგიერთი კორექტივი შეიტანოს იმ თვალსაზრისით, რომ პლატონისა და პეტრე იბერის თხზულებებში თანხვედრილ ელემენტთა ნაწილი აღმოჩნდეს აგრეთვე ნეოპლატონიკოსთა (პლოტინი, განსაკუთრებით — პროკლე) ნაწერებში. ეს მაშინ მოხდება, როდესაც პეტრე იბერის თხზულებები შესწავლილი

იქნება არა მხოლოდ პლატონის, არამედ ნეოპლატონიკოსთა (განსაკუთრებით — პროკლეს) პარალელურად, რაც მე, გასაგები მიზეზების გამო, არ განმიხორციელებია.

მრთი. პრსი. პრპარსი

პლატონის ობიექტური იდეალიზმის უმნიშვნელოვანესი პრობლემა ერთის პრობლემა.

ამ პრობლემის სიღრმეს ვერ ჩაეწვდებით, თუ არ გაეთვალისწინებთ, რომ ტერმინს „ერთი“ პლატონი სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარობს:

ა. „ერთი“ როგორც არსებული, არსი, ყოველივეს საწყისი, ყოველივეს მიზეზი, თავისთავად უკვე სიმრავლის შემცველი პრინციპი, რომლის სინთეზით არააჩსთან წარმოდგება „სხვა“. მის შესახებ ითქმის, რომ „არსებული ერთი ერთსადაიმევე დროს არის ერთიც და მრავალიც, მთელიც და ნაწილებიც, განსაზღვრულიც და რადენობრივად განუსაზღვრელიც“ („პარმენიდე“, 145, ა), რომ „ერთი იმავე ასაკისა, როგორისაც სხვა ყოველივე, ისე რომ, თუ ერთმა თავისი ბუნება არ დაარღვია, მეორის უწინარეს ან მის შემდეგ კი არ უნდა წარმოიქმნას, არამედ მასთან ერთად“ (ჩქვე, 153, ე). მას მიემატება „ერთისა“ და „სხვის“ დიალექტიკა, გაშლილი დიალოგ „პარმენიდეში“.

ბ. „ერთი“ როგორც არსსა და არაარსზე მალა, მათ მიღმა მდგარი, ზესთარსი, იგივე აბსოლუტური ერთი, აბსოლუტური სიკეთე. მის შესახებ ითქმის, რომ ის არის „საწყისთა საწყისი“ („კანონთმემდგომი“, 981, ა), რომ „შეცნობადი სავნები ოდენ სიკეთის მეოხებით შეიცნობა; სიკეთე ანიჭებს მათ ყოფნასაც და არსებობასიც, თუმცა თავად სიკეთე არსებობა როდია, იგი არსებობის მიღმაა“ („სახელმწიფო“, VI, 509, ბ).

ნიშნადობლივია, რომ ასეთივე მოსაზრება განავითარა პროფესორმა საკლევ წერეთელმა პლატონის სხვა დიალოგის — „სოფისტის“ ანალიზის შედეგად:

„...უნდა არსებობდეს ისეთი არსი, რომელიც არსის და არარსის დაპირისპირების საფუძველად ძვეს და რომელსაც არარსი აღარ უპირისპირდება. ასეთი უნდა იყოს, ჩვენი აზრით, „სოფისტის“ ნამდვილი რეზულტატი“¹.

ნიშნადობლივია ისიც, რომ ამ ზესთარსის გამო პროფესორი საკლევ წერეთელი იქვე დასძენს:

„უნდა აღინიშნოს, რომ ნამდვილი არსი, რომელიც არსისა და არარსის დაპირისპირებას უძევს საფუძველად, რადიც მისტიკურია. პლა-

¹ ს. წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, გვ. 264.



ტონის ფილოსოფიის მიხედვით, თვალჩინაობა სინამდვილე პერაქტებს სინამდვილეს, რომელიც არსისა და არარსის ნარევეს წარმოადგენს. „ნამდვილი სინამდვილე“, რომლის აჩრდილსაც თვალჩინაობა სინამდვილე წარმოადგენს, აბსოლუტურად, წმინდად არსებულა, მხოლოდ არსებულა და არავითარ არარსს არ შეიცავს. ასეთი სინამდვილე წმინდა მეტაფიზიკური (ამ სიტყვის როგორც მნიშვნელობით) სინამდვილეა. ამიტომ უნდა ითქვას ისიც, რომ, მართლაც, პლატონის შედარებითი არარსის ცნება დიქტატის მომენტია მის მოძღვრებაში და დიდი მნიშვნელობისა დიქტატის ისტორიის თვალსაზრისით, მაგრამ პლატონთან მეტაფიზიკა ანუ გავარტყეული და დიქტატის მისტრიკა ემორჩილება, თუმცა ეს გარემოება უარობის მეტს არაფერს არ უნდა წარმოადგენდეს“. (ხაზი ჩემია.—რ. თ.).

ეს არის პლატონის მოძღვრებაში ფილოსოფიიდან რელიგიურ ფილოსოფიაში გადასვლის ერთი მომენტია. პლატონის ზესთარსი ერთი დაედა საფუძვლად ნეოპლატონიზმს (შეუქნობელი ერთი, რომელიც არის იგივე სიყვითელი). მაგრამ ეს ზესთარსი ერთი ასეთივე წარმატებით მოერგებოდა ნებისმიერ მონოთეისტურ რელიგიას ერთადერთი პირობით — „ერთის“ ნაცვლად „ღმერთი“ უნდა თქმულიყო. განსხვავება ის იყო მხოლოდ, რომ ნეოპლატონიზმში ერთის ემანიციის მოძღვრებას პოტენციურად თან სდევდა პანთეიზმის ჩინახებები, ხოლო მონოთეისტური რელიგიისთვის კრეაციონიზმის პრინციპი აბსოლუტურად გამორიცხავდა მსგავს შესაძლებლობას. მაღალგანვითარებული რელიგიური ფილოსოფია (ზრამიზმი, პუდობი, იუდაიზმი, ქრისტიანობა) ვერასვით ვერ შეიწყნარებდა ერთის ანუ ღმერთის ზიარებას რაიმე სიმრავლესთან (სხვა საქმეა, რომ სიმრავლე შეიძლება ვერცხველ ზღვარამდე ეზიაროს ერთს, ამის თაობაზე — ქვემოთ).

ამის შემდეგ ვახაგებია, რომ პეტრე იბერის მოძღვრება, თუკი მას სურდა ქრისტიანული რელიგიური ფილოსოფიის ფარგლებში დარჩენილიყო, უნდა მდგარიყო ღმერთის სწორედ ამგვარი გაგების საფუძველზე. რაღა თქმა უნდა, ეს ასეცაა: არეობატიული წიგნების ღმერთი არის „არსებათა უზეშთაისი“ (6,1), „უზეშთაისი არსთა“ (6,25), ყველა არსზე „ზეშთაარსებასა ამაღლებული“ (10,37), „ზეშთა

ყოველთაჲყოფი“ (12,21), „არცა ერთ არს, არცა ერთობისა მიმდებელ, რამეთუ შორს არს ამოთან, რომელი-იგი უზეშთაის არს არს შორის“. (ყოფისა ამის ერთობისაგან) (24,4), „ზეშთაჲ არსთაისა და ზეშთა არაარსთაისა არს“ (59,4); „მისი არს ყოფამ, ხოლო თვით იგი არა ყოფა არს“ (63,30). „ყოველთა ზედსა მას ზეშთაარსებისა ზეშთააღმატებასა თანაშეუტყებლად ზეშთააღმატებულ არს ღმერთი ყოველისავე ხილულისა და უხილავისა ძალისა“ (138,32).

ესე რომ, ვფიქრობ, მართებული არ უნდა იყოს შეხედულება, რომლის თანახმადაც არეობატიკაში „არ იყო ერთი სიმრავლის გარეშე“. ვინაიდან ერთი, რომელიც სიმრავლის გარეშე ვერ მოიხარება, არ არის და არც შეიძლება იყოს პლატონის „არსებობის მიღმა“ მყოფი ერთი და პეტრე იბერის „არსებათა უზეშთაისი“ ერთი. თუ რაიმე სიახლოვეზე შეიძლება აქ ლაპარაკი, უწინარეს ყოვლისა საჩინოა პეტრე იბერის ნაზრევს სიახლოვე პლატონის მოძღვრებასთან.

ეს სიახლოვე კიდევ უფრო მეტად საჩინოა ონტოლოგიის მომდევნო ეტაპზე. როგორც ცნობილია, პლატონის დიალოგი „სოფისტა“ ძირითადად მიეძღვნა იმის გამოთქმას, რომ, წინააღმდეგ პარმენიდეს შეხედულებისა, „არარსი რაღაცნაირად არსებობს“ (240, C), უამისოდ ვერ მოხერხდებოდა სოფისტთა სიცრუის მხილება. ამასთან, შეუფარდებითი არარსის დაშვების გარეშე თავად არსიც აუხსნელი დარჩებოდა. სწორედ არსისა და არარსის დაპირისპირება და ერთიანობა არსებობა. „არსებობს ერთი თუ არ არსებობს, ისა და სხვა, როგორც ჩანს, თავიანთ თავთან და ერთიმეორესთან მიმართებაში უსათუოდ კიდევ არ იქნება არც არც იქნება“ („პარმენიდე“, 166, C).

ეს უკვე ზესთარსი. აბსოლუტური ერთი კი არ არის, არამედ სიმრავლედ განფენილი არსებობისთვის საწყისის მიმცემი, თავისთავში უკვე სიმრავლის შემცველი, რელიგიური ფილოსოფიის ტერმინოლოგიით — გამოვლენილი ერთი, იგივე გონება, „სამყაროს გამრიგე, ყველაზე ღვთაებრივი არსებულთაგან“ („კანონთშემდგომი“, 986, C), რომელიც „ყოველსავე წესრიგს ანიჭებს და ყოველივეს მიხეზია“ („ფედონი“, 97, C), „ზეცისა და ქვეყნის მეფეა“.

¹ შ. ნეტუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, 132. შეადარეთ „საღმრთოთა სხელთათვის“: „თვინიერ ერთისა ვერ არს სიმრავლე, ხოლო თვინიერ სიმრავლისა არს ერთი“ (95, 16).

¹ პეტრე იბერის ტექსტი ყველგან ციტირებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეობაგელი), შრომები, თბილისი 1961. მძიმის წინ დაწერილი ციფრი გვერდს აღნიშნავს, მძიმის მომდევნო — სტრუქტურას.

რედაქცია
კლარინი და ადამიანები

(„ფილემოსი“, 28, c-ე), „მარად მუთუფებს სამყაროსა ზედა“ (იქვე, 30, d), „ყოველივე არსებულის მუთუფა“ („კანონები“, XII, 967, d), რომლის ნიშნუშისამებრ იძვრის მთელი კოსმოსი და რომლისთვისაც ისევე არ შეიძლება თვალის ვასწორება, როგორც მზისთვის („კანონები“, X, 897, c-d).

ამ არსს გამოვლენისთანავე მიერთვის არა-არსი: „ყოველივეზე განვრცობილი ბუნება სხვისა, რომელიც არსის მიმართ ყოველივეს სხვად ხდის, მას არაარსად აქცევს, და, მაშასადამე, ჩვენ უფლება გვაქვს უკლებლივ ვივლითვს არაარსი ვუწოდოთ, და, ამისთანავე, რაჟი ის არსს ეზიარება, არსებული ვუწოდოთ მას, ამიტომ ყოველ სახეობაში მრავლად არის არსი და, ამისთანავე, უსასრულო რაოდენობით არის არაარსი“ („სოფისტი“, 256, e); „... სხვის ყოველი ნაწილი, რომელიც კი არსს დაუპირისპირდება, ნამდვილად არის სწორედ ის—არაარსი“ (იქვე, 258, d-ე); „... უმარავ შემთხვევაში არსი უქვევლად არ არსებობს; და ყოველივე დანარჩენიც, თითოეული ცალცალკე და ყოველივე ერთობლიობაში, მრავალი სხვით არსებობს და მრავლით არა“ (იქვე, 259, b); „არაარსი წარმოგვიდგა, როგორც ერთი გვართავანი, ყოველსავე არსებულში მიმოზნეული“ (იქვე, 260, b).

დიდად საგულისხმოა (და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სთანადო ლიტერატურაში ჭრჭერობით აღენიშნეული ფაქტია), რომ პლატონის ეს ონტოლოგიური მოძღვრება გარკვეული მხრივ თანხედება ბრაჰმანული რელიგიის ამოხავალ პრინციპებს. ამ უცანასკნელის თანახმად, პირველმიზეზი არის აგრეთვე აბსოლუტური ერთი, აბსოლუტურად შეუცნობელი და გაროუთქმელი ბრაჰმანი (მხოლოდ და მხოლოდ ნეგატური ატრიბუტებით ანდა დუმილით გამოხატული). ხოლო გამოვლენილი არსებობა მოიპოვება როგორც სამება: ბრაჰმა ანუ არსი; ავილია ანუ არაარსი; მჰაჰა ანუ ღვთაებრივი გონება.

მაშასადამე ორსავე ამ მოძღვრებაში არაარსი წარმოდგენილია როგორც რელიგიურ-ფილოსოფიური კატეგორია, ურამლისოდაც სამყაროს (თავდაპირველად გონებით საწვდომის და მასთან ერთად ემპირიულის) წარმოქმნა ვერ მოიპოვება. ასეც უნდა ყოფილიყო იმ მსოფლმხედველობისთვის, რომელიც კრეაციონიზმის პოზიციას ადგას (პლატონის კოსმოგონია რომ კრეაციონისტულია, ამის თაობაზე ქვემოთ). ხოლო ემანატიზმის მქადაგებელი ნეოპლატონიზმი არაარსს ასეთ მნიშვნელოვან ფუნქციას ვერ მიაწევდა, მისთვის არაარსი იყო მატერია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პირველადს ქრისტიანობაში არაარსის იდეა ერთობ ბუნდოვანი ფორმით იყო გამოხატული („ბნელი იყო

ზედა უფსკრულთა და სული ღვთისა იქცეოდა ზედა წყალთა“, შესაქმ. I, 2, სადაც უფსკრული არაარსის შესატყვისად არის მიჩნეული), მაშინ უნდა ვითქვაოთ, რომ არეობაგეტიკის არაარსი, როგორც რელიგიურ-ფილოსოფიური ცნება, პლატონის მოძღვრებაში იღებს სათავეს.

სხვაგვარად აღბობ ძნელი ასახსნელი იქნება ტრაქტატში „საღმრთოთა სახელთათვის“ დაცული გამოთქმები: ღმერთი არის „არაარსისაგან არსად მომყვანებელი“ (8, 10), „არაარსისა არს ექმნების“ (31, 31), „არსთა მიმართ და არაარსთა განუფინების და ზეშთა არსთაჲსა და ზეშთა არაარსთაჲსა არს“ (59, 4), „თეით მას არაარსსაცა სურის და იბრძოლებს ვითაჲვეთილისა მიმართ“ (31, 36), „მისსა სურის არაარსსაცა“ (43, 30). აქ არაარსი არ ნიშნავს „მატერიას“, რომელიც ქართულ თარგმანში გამოხატულია ტერმინით „ნივთი“ და რომლის შესახებაც სპეციალურად არის საბუთარი ტრაქტატის მეოთხე თავის 28-ე პარაგრაფში.

ნებბაზში. თეოლოგია

„თავის წიგნში „საღმრთო სახელთათვის“ პეტრე იბერი, დაკავშირებით ღვთაების „გამოუთქმელობისა“ და „უსახელობის“ იდეასთან, მიუთითებს ვინმე ფილოსოფოს „იუსტიოსზე“. აგრეთვე ანეითარება რა მოძღვრებას ღვთაების იდეის უარყოფით განმარტებათა შესახებ, პეტრე იბერი მაშინვე ვაიხსენებს ფილოსოფოს კლიმენტის, რომელთანაც მას ეგულებოდა პირველი მითითება ეგრეთ წოდებული „უარყოფითი თეოლოგიის“ შესახებ,—წერს აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე¹. ამ საკითხის გამოძიებას მკვლევარი ამგვარად ასრულებს: „ნეგატიურმა თეოლოგიამ მოხსნა პოზიტიური თეოლოგია და მასთან ერთად ღმერთიც, რადგან მისი არარსებობა დამატკიცა“².

ეს მოსაზრება, რადა თქმა უნდა, არ არის მართებული. არეობაგეტიკული კორპუსი ღმერთის არარსებობის დასამტკიცებლად არ შექმნილია. გულუბრყვილობა იქნებოდა ამის დამადასტურებელ საბუთთა მოხმობა ტექსტიდან. აქ სხვა რამ არის მთავარი: ცნობილია, რაოდენ ჰარბად არის წარმოდგენილი არეობაგეტიკაში ნეგატიური თეოლოგია³, სად იღებს დასა-

¹ ქართული ფილოსოფიის ისტორია. ტ. I, გვ. 186-187.

² იქვე, გვ. 260. ხაზი ჩემია.

³ სათანადო ციტატებს აღარ ამოვიწერ. („უთქმელი და უცნაური“ თხზულების დასაწყის სტრიქონებშივე გვხვდება). მიუთითებ მხოლოდ გვერდებს: 10, 8-25, 12, 1-26, 16, 18-27, 20, 10-32, 21, 3-35, 22, 24, 58, 28 და სხვა.



ბაშს პეტრე იბერის ამოფატყური თვალსაზრისი? ამ საკითხის ძიებამ ზოგიერთი მკვლევარი ინდოეთამდე მიიყვანა (იმის ვარაუდითაც, რომ პლოტინი შესაძლოა კარვად იყო ვაცნობილი ინდურ რელიგიურ ფილოსოფიას). ეს ერთობ საეჭვო გზაა. ბრაჰმინული რელიგიური ფილოსოფია, მართალია, ბერძნული ფილოსოფიის წარმომავალად გაცილებით ადრე მივიდა ნეგატურ თეოლოგიამდე, მაგრამ ეს ამბავი თავისთავად არაფერს ნიშნავს და არ არის ამ იდეის ნასესხობის უეჭველი დასტური. სხვას რომ ყოველსავე თავი დავანებოთ, ცნობილი ოთხი ელემენტი (ცეცხლი, ჰაერი, წყალი, მიწა), რომელთაგან შეთხზულად წარმოესახებოდათ ძველ ბერძნებს ხილული სამყარო, ასევე გაცილებით ადრე იქნა მიკვლეული ინდურ რელიგიურ ფილოსოფიაში. მეტიც, თუ ბერძნულ აზროვნებაში ამ ოთხი ელემენტის გამაერთიანებელ სუბსტანციად მიჩნეული იყო ეთერი, ინდოეთში ამ გამაერთიანებელი სუბსტანციის ცნებად შემუშავდა („აჰაშა“). და საუელისხმა, რომ ინდური ფილოსოფიური აზროვნების ისეთი დიდი მკვლევარი, როგორც იყო ს. რადჰაკრიშნანი, გულდაჩერებული ანტიციკება: ამგვარი თანხედრა სულაც არ ნიშნავს უეჭველად ნასესხობას, არ ნიშნავს, რომ ბერძნულ ფილოსოფიაში ოთხი ელემენტის მოძღვრება ინდოეთიდან გადმოვიდა და არა დამოუკიდებლად შეიქმნა.

გდებობ, სრული უფლება გვაქვს ს. რადჰაკრიშნანის ეს საუელისხმო მოსაზრება ნეგატური თეოლოგიის საკითხზე გავაზრკელოთ. მით უფრო, რომ პლოტინამდე დიდი ხნით ადრე ამოფატყის ელემენტები ცხადად არის მოცემული პლატონის დიალოგებში. მოვიტან სათანადო ციტატებს:

„... ჩვენთვის არსებობს ერთადერთი საშუალება... ვთქვათ, რომ ღმერთთა შესახებ არაფერი ვიცით, — არც მათ შესახებ, არც მათი სახელების შესახებ... არის კიდევ მეორე გზაც — მოვიქცეთ ისე, როგორც ლოცვებშია... ჩვენ ისე მივმართავთ მათ (ღმერთებს) ლოცვებში, თითქმის არავითარი სხვა სახელები მათი არ ვიცოდეთ... მათ შესახებ არავითარ შემთხვევაში მსჯელობას არ გავმართავთ, რამეთუ ჩვენ თავი ამის ღირსად არ მივაჯიხნია...“ („კრატელე“, 400, d—401, a);

„ერთი არასგზით არ ეზიარება არსებობას... არ არსებობს არც სახელი, არც სიტყვა მისთვის, არც ცოდნა მის გამო, არც შეგრძნებადი აღქმა მისი, არც შეხედულება... არ შეიძლება მისი დასახელება, არც მის შესახებ აზრის გამოთქმა, არც მის გამო შეხედულების შექმნა, არც შეცნობა...“ („პარმენიდე“, 141, e-142, a);

„სიკეთე“ (ერთი) ანიჭებს საგნებს ყოფნასაც და არსებობასაც, თუმცა თავად სიკეთე არსე-

ბობა როდია, იგი არსებობის მიღმაა“ („სასხელე-მწიფო“ VI, 509, b).

ეს უკანასკნელი ციტატი ზემოთაც იყო მოხმობილი. აქ იმითმე მოვიტანე ხელახლა, რომ ერთხელ კიდევ ხაზი გამესვა: ვინც ერთს არსებობა-არარსებობის მიღმა მყოფად, ზესთაარსად დასახავს, ის უკვე თავისთავად მისულია ნეგატურ თეოლოგიამდე.

**კრეაცია ღმერთი და სამყარო.
ბორბობის კრობლმბა**

არეოპოგიტულ წიგნებში რომ პროკლეს ნაზრევის გარკვეული გავლენა მეღანდებდა, ეს დამტკიცებულად ითვლება მეცნიერებაში. მაგრამ ამ წიგნთა ავტორი ნეოპლატონიკოსი არ არის, იგი ქრისტიანია. ამის უპირველესი დასტური ის არის, რომ არეოპოგიტულ წიგნთა ავტორი ნეოპლატონიზმს უპირისპირდება ამ ორი მოძღვრების ძირითად განმასხვავებელ საკითხში — სამყაროს წარმოქმნის საკითხში; არეოპოგიტულ წიგნთა ავტორი კრეაციონიზმის თვალსაზრისს ადგას, საჭირო არ არის ამ მოსაზრების დამადასტურებელი ციტატების მოხმობა პეტრე იბერის ტრაქტატებიდან — ამ შემთხვევაში მისი თხზულებების ლამის მთლიანად გადმოწერა მოგვიხდებოდა.

ქრისტოლოგი მოაზროვნისთვის კრეაციონიზმის მიწერა ახალს არაფერს შეიცავს, ცხადია, ამ შემთხვევაში მის წყაროდ შეგვიძლია ვიგულოთ მეხუთე საუკუნემდე არსებული მთელი ქრისტიანული ლიტერატურა. მაგრამ რამდენადღაც პეტრე იბერის უმთავრესი ამოცანა იყო ქრისტიანული მოძღვრების დასახუთება ანტიკური ფილოსოფიის მეშვეობით და რამდენადღაც განსახილველ საკითხში ნეოპლატონური ნაზრევი მისთვის სრულიად მიუღებელი უნდა ყოფილიყო, ამდენად ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში მზერა ნეოპლატონიზმის გვერდის ავლით უნდა მივმართოთ ანტიკური ფილოსოფიის უფრო ადრინდელი ძეგლებსაც.

ასეთ ვითარებაში კვლავ პლატონს უნდა დაუბრუნდეთ, რადგან ანტიკური ფილოსოფია არ იცნობს სხვა მოაზროვნეს, რომლის შეხედულებანი განსახილველ საკითხში ესოდენ მისაღები იქნებოდნენ ქრისტიანული რელიგიური ფილოსოფიისთვის.

მართლაც, პლატონი გულდაჩერებული კრეაციონისტია და ამ მხრივ მისი თვალსაზრისი პრინციპულად არაფრით განსხვავდება ქრისტიანული მოძღვრების ძირითადი დებულებებისგან, ამის დამადასტურებელია, უწინარეს ყოვლისა, დიალოგი „ტიმეოსი“, რომელშიც დეტალურად

**რეპაპე თპარამბ
პლატონი და არმოკაბელო**

არის ვადმოცემული სამყაროს შექმნის მოძღვრება (განსაკუთრებით — 28, ა-ც). ამასვე აღსატურებს „კანონები“, რომელსაც, როგორც სხვა მონაცემებიც გვაღქვრებინებს, პეტრე იბერი ახლოს იცნობდა (ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით იხილეთ განსაკუთრებით წიგნი მეთორმეტე, 966, e-967, d), აგრეთვე „სოფისტი“ (265, b-c).

კრეაციონიზმსა და ემანატიზმს შორის არსებული პრინციპული სხვაობა ინტელოგის მომდევნო საფეხურებზეც უნდა ვაღმოსწავლეს, ცხადია, სახელდობრ, ვინც ემანაციის თვალსაზრისს ადვას, მისთვის ერთის მიერ ვარდამოფენილი ნათელი ერთიდან დაშორების კვალობაზე შესარტლოდ უნდა გამკარადლეს და ბოლოს მანკრის (პლოტინის სიტყვა) — ბორტების მიზეზის, „შეშკული ლეშის“ წყვილად აღიქვს.

მკაცრად და თანმიმდევრულად ვაზრებულ კრეაციონიზმის ადებტისთვის ამგვარი თვალსაზრისი იმთავითვე ვაორიციხულია: თუკი სამყარო ღმერთის მიერ არის შექმნილი ნებელობით აქტის შედეგად, თავისი ბუნებით უშეშკლად უვთაებრივი უნდა იყოს.

ეს იყო შუა საუკუნეთა ქრისტიანი მთაზროვნეთათვის ერთი ურთულესი და თავსატეხი საკითხი. ოღონდ ამ მოაზროვნეთაგან ყველა რომი ახერხებდა იმის ჩაწდომას, რომ მიზლიურ წიგნებში (განსაკუთრებით — „ახალ აღთქმაში“, ითანე ღვთისმეტყველის პირველ ეპისტოლეში) მოცემული გმობა „სოფლისა“ ეთაპური და არა ინტელოგიური ხასიათის იყო ამის საბოლოოდ ისეთ ჩიხში მოაქცია ქრისტიანული აზროვნება, რომ, ვადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, არეოაგიტული ტრაქტატები რომ არა, ხსენებული ჩიხიდან თავის დახსნა თვით შუა საუკუნეთა მიწურულამდე ვერ მოხერხდებოდა.

ამგვარ ვითარებას ისიც განაპირობებდა, რომ ქრისტიანობის პირველწყაროში — საღვთო წერილში მოცემული იყო განსახილველი საკითხის ოდენ რელიგიური და არა რელიგიურ-ფილოსოფიური დამუშავება. მსოფლმხედველობრივი კრიზისი ვარდუვალი იყო, ვიდრე არ მოხერხდებოდა ქრისტიანული რელიგიის პირველწყაროთა სათანადო სიღრმით ჩაწდომა, განსაკუთრებით კი — მათი ინტერპირება ანტიკური ფილოსოფიური მეშკვიდრობის საფუძველზე. ამ შემთხვევაში პანთეიზმი (მით უმეტეს — „პანთეისტური პატერალიზმი“) ვერ იქნებოდა ის პანაცეა, რომელიც ხსენებული ჩიხიდან თავს დააღწევიანება აზროვნებას, საქმე ის იყო, ქრისტიანული მსოფლიმხედველობის ვარგლებში ივე მოხერხებულყო ეპოქის შესატყვისად ჯანსაღი რელიგიურ-ფილოსოფიური თვალსაზრისის დამკვიდრება. სწორედ ეს (საიმედროდ ვანუზომეული მნიშვნელობის) ამოცანა განაპირობებდა

პეტრე იბერმა. განაპირობებდა პლატონის მოძღვრებაზე დამყარებით.

პლატონი, როგორც მკაცრად და თანმიმდევრულად ვაზრებული კრეაციონიზმის პოზიციოზე მდგარი ფილოსოფოსი, არ შეიძლებოდა იმ დასკვნამდე არ მისულიყო, რომ, მიუხედავად თვალადაუწვედენელი უფსკრულისა, ანტილოცი იდეათა წმინდა სამყაროს თიშავს ემპირიული სინამდვილისგან, ეს უქანსკენელი მიანიც მარადიულ და მშვენიერ იდეათა მოდელის, ნიშეშის მიხედვით შექმნა დემიურგმა („ტიმოეოსი“). ხოლო ეს უფვე იმის საწინდარი უნდა ვოფილიყო, რომ „ღვთაებრივი წარმოშობის“ ხილული სამყაროც თავისი ბუნებით ღვთაებრივია და „ხილულ საგნებს უმშვენიერესი და ღვთაებრივი ბუნება აქვთ“ („კანონთშემდგომი“, 991, b). „განვიხილოთ, რაგვართ მიზეზით მოაწყო წარმოქმნა და ეს სამყარო მან, ვინც მოაწყო ისინი. ის იყო კეთილი... მან ისურვა, რომ ყველა საგანი რაც შეიძლება მეტად მისივე მსგავსი ყოფილიყო... ამრიგად, იმის მსურველმა, რომ ყოველივე კარგი ყოფილიყო და არაფერი შესაძლებლობის კვალობაზე არ ყოფილიყო ცუდი, ღმერთმა იბრუნა ყველა ხილული საგნისათვის...“ („ტიმოეოსი“, 29, e-30, a). „... რა არის ბუნებრივი სიკეთე კაცსა და სამყაროში...“ („ფილეტოსი“, 64, a).

ამიტომ იყო, რომ პლატონი, ადრეულ შუა საუკუნეთა თავგაბარებული თეოლოგებისგან განსხვავებით, დაუცხრომელი მოტრფიალვა ყოველივე იმისა, რაც ბუნებრივია რადგან ბუნებრივი მისთვის იგფე ღვთაებრივია. „ღმერთისა და ბუნების თანახმად“ — ვკითხულობთ „კანონების“ მესამე წიგნში (682, a); უნდა ვანვასხვაოთ „ის, რაც მშვენიერია თავისი ბუნებით, და ის, რაც ბუნების საწინააღმდეგოა“, — ვკითხულობთ იმავე „კანონების“ მეთორმეტე წიგნში (966, b). „მშვენიერი“ ღვთაებრივის რომ ნიშნავს, ამის თაობაზე სიტყვას აღარ ვაგვარძელებ: სხვა დიალოგებიც მრავალგზის გვიდასტურებენ ამ თვალსაზრისს. ბუნების თანახმად, ბუნების მიხედვით, ბუნებრივი პლატონისთვის უკლებლივ ყველგან ნიშნავს იმავე ღვთაებრივის (ფილეტოსი“, 22, b, 27, a, 83, a, 64, a, ტიმეოსი“, 29, b, 64, c, 81, e, 82, e; „პოლიტიკოსი“, 271, e და სხვა მრავალი).

ბუნებრივისა და ღვთაებრივის ამგვარი თანხვედრა, შექმნის აქტის ვარდა, აუცილებლად გულისხმობს კიდევ შემოქმედის დაუცადებელ სურენებს შექმნილისთვის. ასევე ეს პლატონის მოძღვრებაშიც და მეტწილ რელიგიურ მოძღვრებებშიც (ამჟერად ვერ ვამოვადენებით იმას, რომ ზოგიერთ რელიგიურ-ფილოსოფიურ სისტემაში ეს საკითხი საღად არის ქცეული ერთ უარყოფითად ვადაწყვეტილი). მხოლოდ ანთგან აღნიშნავს პლატონი: ეპმიდან ეპმიზე შემოქმედი ხელს ააღებს ხოლმე მის მიერ შექ-

მნილ სამყაროს და მაშინ მიწვივ წაღმა მბრუნავი სამყარო უკუღმა იწვივს ტრიალს, რასაც საზარელი შედეგები მოჰყვებაო (პოლიტიკოსი¹, 269, c-274, d). მაგრამ ამგვარი ციკლები დროის იმდენად ვრცელი მონაკვეთებით არის ერთიმეორის დაშორებული, რომ მათი მოქმედება პრაქტიკულად არ ცვლის ემპირიული სამყაროს საერთო სურათს, რომელიც „ღმერთმა სამზერად მოსცა კაცთა“ („კანონთშემდგომი“, 991, b)¹.

ყოველივე ამას, მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი სიზუსტით თანხვდება პეტრე იბერის თვალსაზრისი: „ხოლო ბრძნად და კეთილად (ითქმის ღმერთი), რამეთუ ყოველნივე არსნი უპურანი, რამთა ვანუხრწველად სციოდენ თვისა ბუნებათა საყოფრებთა: რამეთუ მაშინ აღსავსე არიან უმეტესითა შევნიერებთა და საღმრთოთა წესიერებთა შეწყობილებითა, რაჟამს თითოეულმან დაიცავს წესი ბუნებითი, ვითარ-იგი დაიბადა“. (8, 30-34). ბუნების წინააღმდეგ წასვლა, ბუნებრივი წესის მოშლა არის სწორედ ღვთაებრივი სიკეთის წინააღმდეგ ამხედრება და, ამდენად, ბოროტების სათავე. თვით ეშმაკიც კი თავისი ბუნებით ბოროტნი არ არიან (აქ პეტრე იბერი გამოთქვამს სიმღეროდ დიდად გაბედულ აზრს), არამედ „ბოროტყოფად ითქუმიან მოკლებიან მათ შორის ბუნებითთა მოქმედებათაჲთა“ (51, 19), „...მით ვანბოროტნების, რომლითა განვალს გარეშე ბუნებისა“ (51, 38). ხოლო თავისთავად „არცა რაჲ არს ბოროტ ყოველსა შინა ბუნებასა... ხოლო სიბოროტე ბუნებისა არს ბუნებისა გარეგანი მოკლებთაჲ წესთა ბუნებითთაჲ, ვინაჲცა არა ბოროტარს ბუნებაჲ, არამედ ესე არს ბუნებასა შინა ბოროტ მოუძღურებაჲ ქმნად წესთა ბუნებისა თვისისათა“. (53, 5-14).

ეს იყო ერთი იმ პუნქტთაგანი არეობაიტული მოძღვრებისა, რომლითაც დაიძლია ქრისტიანობის ცალმხრივად გაგების შედეგად აღძრული და მრავალსაუკუნოვანი მსოფლმხედველობრივი კრიზისის გამომწვევი დუალზმი. პლატონის ფილოსოფიიდან უშუალოდ გამომდინარე ამგვარი თვალსაზრისი უკვე შესაძლოს ხდოდა სხვაგვარი მზერით მიმოხილულიყო შუა საუკუნეთა ქრისტიან მოაზროვნეთაგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში საფრთხობელად

დასახული მატერიალური სამყარო: „არამედ არცაღა მრავალ-განსმენილსა მას ნიეთსა (მეტეფორული რია) შინა არს ბოროტი, ვითარ-იგი ვიწყვიან ვიეთნიმე ბოროტყოფასა ნიეთისასა, რომელი-იგი არა ბოროტ არს. უკეთუ ოდენ ეგრეთ იყოს ნიეთ, ვითარ-იგი დაბადებულ არს? რამეთუ მასცა აქვს მიძღებულობაჲ სიკეთისა და შემკობისა და საბოუნებისა, რამეთუ უკეთუ ამათგან გარეგან იყოს ნიეთი, თავით თვისით ურომელი არს და უსახო, და ვითარ ქმნის რამე ნიეთმან, რომელსა არცა თუ ქმნად რასმე შემძღებულობაჲ ანუ თავს-მდებულობაჲ რასამამე ძალ-უც თავით თვისით?“ (53, 26-34).

მსგავსი საკითხების გამო კატეგორიულად მსჯელობა ძნელია, მაგრამ, ჩემის აზრით, ეინც ეს სტრიქონები დაწერა, მას უტყვევლად უნდა სციოდნოდა პლატონის „ტიმეოსის“ ერთი ადგილი, სადაც ლაპარაკია მატერიის შესახებ და ნათქვამია, რომ მატერია თავისთავად არის ყოველად ვანუსმერელი და უსახო, მისი უნარია მხოლოდ მიმდებლობა იმ ანაბეჭდებისა (ფორმებისა), რომლებიც პირველსაიდან (გონებიდან) გადმოეცემა, რის შედეგადაც იქმნება ხილული ქვეყნიერება („ტიმეოსი“, 48, e-53, b).

მაგრამ, რაკი „ტიმეოსის“ ამ ვრცელი მონაკვეთის განხილვის შესაძლებლობა ამჟერად გამოირიკებულია, დავებრუნდეთ ახრთა მსჯელობის წინანდელ კალაპოსს.

სამყარო შექმნილია ღმერთის მიერ, რაც კი არსებობს, ღმერთის მიერ არსებობს, ამიტომ არსი თავისი ბუნებით ღვთაებრივია, ბუნებრივი ნიშნავს ღვთაებრივს. აქედან ერთი ნაბიჯია ბოროტების უარსობის, უსუბსტანციობის ცნობილ დებულებამდე. ეს დებულება წარმოდგენილია პროკლეს მოძღვრებაში და მიღებულია, რომ სწორედ პროკლესგან შეითვისა არეობაიტული წიგნების ავტორმა.

მაგრამ ზედმეტი არ იქნება ყურადღება ვაამხავილოთ შემდეგ გარემოებაზე: პლატონის დიალოგებში გვხვდება ისეთი მსჯელობები სწორედ ბოროტების პრობლემასთან დაკავშირებით, რომლებიც, ჯერ ერთი, ცხადყოფს, რომ ბოროტების უსუბსტანციობის დებულება პლატონის მოძღვრებაში იღებს სათავეს, და, მეორეც, ამ მსჯელობებს ზოგჯერ ძალიან ჰგავს ის, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით არის ნათქვამი არეობაიტულ თხზულებაში.

მოვიტანოთ მავალითებო:

რამაჲ თჳარამაჲ
კლატონი და არეობაიტული

¹ შტრ. „ცანი ცათანი უფლისანი არიან და ქვეყანა მოსცა ძეთა კაცთასა“ (ფსალმუნნი). „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა“... („ავფხისტყასანნი“).



„განა ღმერთი კეთილი არ არის თავისი არსებით?... ისა, რაც არავითარ ბოროტს არ ჰყოფს, არ შეიძლება რაიმე ბოროტების მიწვევი იყოს... ღმერთი მხოლოდ სამართლიანობასა და კეთილს ჰყოფს... მხოლოდ სიკეთის მიწვევა.“
(„სახელმწიფო“, II, 379, b—380, c).

თუკი ერთი არ არსებობს, მას არც არსობა ჰქონდა ჰქონდეს, არც უნდა დაეარსებინა იგი, არც უნდა შეიცვალოს, არც უნდა იძვროდეს...
(„პარბენიდე“, 163, d-e).

„ყოველივე დამღუპველი და განმხრწნელი არის ბოროტება, ხოლო შექმნახველი და სასარგებლო — სიკეთე... სიკეთე, რაღა თქმა უნდა, არასოდეს არაფერს დაღუპავს.“
(„სახელმწიფო“, X, 608, e-609, a)

„და როცა კაცის სულში ზღბა ხოლმე, რომ იგი ზიჟიერად მიესწრაფება საგნებს...“ („კრატილე“, 415, b). „... (კაცის) სული არის მიწვევი სიკეთისა და ბოროტებისა, მშვენიერის და სამარცხვინოსი, სამართლიანის და უსამართლოსი“ („კანონები“, X, 896, d). „(კაცის) სული არის მიწვევი ყოველგვარი გადაადვილების და მოძრაობისა; გადაადვილება და მოძრაობა სიკეთისკენ არის სრულყოფილი სულის თვისება, ხოლო საპირისპირო მხარეს — საპირისპირო სულის თვისება“.

(„კანონთშემდგომი“, 988, d).

ეს ფაქტები საფიქრებელს ხდის, რომ ბოროტების პრობლემის დამუშავება არეოპაგიტყა-

ბ ა მ ა. ტ რ ა ვ ი ა ლ ი. ბ ა ნ ღ მ რ თ ი ო ა ბ ა.

პლატონის თილოსოფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ზაძის პრობლემას. მისი არსება ის არის, რომ იერარქიის ქვედა საფეხურზე მდგარი თავისთავს უნდა სრულყოფდეს მის ზემოთ მდგარისადმი მიზაძით. განსაკუთრებით გამოკვეთილად არის დამუშავებული ეს პრობლემა დიალოგ „ტიმეოსში“, სადაც ვკითხულობთ: „... მოკვდავი მოძრაობანი მიზაძის მუშევრებით ლეტაებრივ ჰარმონიას ეზიარებიან“ (80, b); „... თუკი არსებობენ მოძრაობანი, რომელნიც გამოავლენდენ ლეტაებრივ საწყისთან მსგავსებას ჩვენს წიგნით, ესენი არიან სამყაროს გონებისმიერი წრებრუნვანი. მათ უნდა მისდიოს ყოველმა ჩვენთაგანმა, რათა სამყაროს ჰარმონიისა და წრებრუნვათა გათვალისწინებით სწორპყოს საკუთარ თავში მიმდინარე წრებრუნვანი... მიადლოის იმას, რომ მჭკრეტელი, როგორც მისი პირველადი ბუნება მოითხოვს, საქვრების დაემგავსოს, და ამით დაიმ-

„ბოროტი არა სახიერებისაგან (სიკეთისმიერ) ღმერთისგან. — რ. თ.) არს“ (44, 17). „არსნი ყოველნი, რაოდენნი არიან, კეთილ არიან და კეთილისაგან არიან“ (47,4). „არა ღმრთისა მიერ არს ბოროტი“ (49, 27). „სახიერება სახიერთა დაჰბადებს და წარმოადგენს“ (51,6).

„უკუეთუ ყოვლითურთ მოსპო კეთილი, არცა არსება იყოს, არცა ცხოვრება, არცა სურვილ, არცა ძრვა, არცა სხვაჲ არცა ერთი რაჲ“ (47, 30).

„არა ხრწნილება მისცემს შობასა, არამედ ხრწნილება და ბოროტი განხრწნიან და განაბოროტებენ ოდენ, ხოლო ქმნაჲ და არსებაჲ სახიერებისათვის იქმნებიან“ (46,1-3).

„ხოლო უკუეთუ იტყვოდინ, ვითარმედ იგი (ნივთი, მატერია. — რ. თ.) არა ბოროტის მოქმედებს სულთა შინა, არამედ მიიზიდავს მათ ბოროტისა მიმართ, ვითარ ჰქმნაჲ იყოს ესე? ვინაჲთჲან მრავალნი მათვე ნივთიერთაგანნი კეთილისა მიმართ ხედვენ... ვინაჲცა არა ნივთისაგან არს სულთა შინა სიბოროტე, არამედ უწყსოჲსა და ბრალეულად აღძრვისაგან“ (54, 13-19).

ში, მეტი რომ არ ვთქვათ, პლატონის მოძღვრების ვაუთვალისწინებლად არ მომხდარა.

კვიდროს ის უსრულყოფილესი ცხოვრება, რომელიც ღმერთებმა მოგვიბოძეს, როგორც საამჟამო და სამერმისო მიზანი“ (90, d).

არეოპაგიტული წიგნების ავტორი უქველად იცნობს ამ მოძღვრებას: „ამისგან არიან ყოველნი არსთა არსებითნი გვაგონებანი, ერთობანი, განყოფანი, იგივეობანი, სხვაობანი, მსგავსებანი, უმსგავსობანი... მოქცევანი უღარესთანი... დაუხსნელნი შემოკრებანი არსთანი, მოუკლებლნი მიმღებლობანი ქმნადთანი, ყოველნივე ძრვანი და დგომანი გონებათანი, სულთანი, გვაგონთანი, რამეთუ დგომა და ძრვა ყოვლისა არს უზემთავისი იგი ყოვლისა დგომისა და ყოვლისა ძრვისაჲ, რომელი დაამყარებს ყოველსა სიტყვისა წამის-ყოფისა თვისისაჲთა და ძრავს თვისად საკუთრად თითოეულისა მოძრაობისა“ (36,25-37,2); „და, რაოდენ ძალეუც მსგავსებისა მისისა მიმართ დაჰსახვენ თავთა თვისთა...“ (30,23); „...უზემთავისთა მიმართ აღსლვისა ძალნი უღარესთანი...“ (30,29);



„და აქვს არსებით ცხოვრებად შეუმრღვე-
ველი თვით მით სიმარადისოდ მეოფ-
ლობითა და ანგელოზებრსა ცხოვრებასა მობაძე-
ყოფად შექმნილობითა“ (31,8-10); „და მისსა
მიმართ სურის ყოველთა, საცნაურთა უკვე და
სიტყვიერთა მეცნიერებით, ხოლო უდარესთა
მასსა — გრძნობითად და სხვათა — ცხოველ-
ობისა აღძრვითად, გინა არსებითად, ანუ წესი-
სა მათისა მარჯვეობისად“ (11, 17-20); „და ყო-
ველსავე მისსა მიმართ სურის... და რომლისა
მიმართ ყოველნი მიიქცევიან... და რომლისა
სურის ყოველთა: საცნაურთა უკვე და სიტყვი-
ერთა — მეცნიერებით, ხოლო გრძნობადთა —
გრძნობადობით და უნაწილოთა — გრძნობი-
საგან მათ შორის დაწერგულთა მით აღძრვი-
თა ცხოველობისა სურვილისაათა, ხოლო უცხოე-
ლთა და მხოლოდ არსთა ოდენ — მხოლოდ
არსებითათა ოდენ სიმარჯვისა მიმღებლობი-
თა“ (33, 21-33). „... აღსძრავს... უკანადასწრელ-
თა და უდარესთა უზეშთაესთა მათ და უმეტეს-
თა მოქცევისა ყოფად“ (42, 34-35).

ბაძვის პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება
პლატონური ფილოსოფიის ერთ უძირათაღეს
მომენტს — ეროსის, საღმრთო ტრფიალების
საკითხს. ამ საკითხში პლატონისა და არეოპაგი-
ტულ წიგნთა ავტორის თვალსაზრისი იმდენად
თანხვედრება ერთმეორეს (ზემოთაც ნათქვამი
იყო: „საღმრთოთა სახელთათვის“ ერთი ადგი-
ლი პირდაპირ არის ვადმიღებული „ანდიმი-
დან“), რომ სათანადო ციტატების მოტანას აზ-
რად არ აქვს. დავსძინით მხოლოდ, რომ რო-
გორც პლატონისთვის, ისე პეტრე იბერისთვის
სიკეთე და მშვენიერება „ერთის“ გამოჩაბატე-
ლი ტერმინებია და მთელი ეს მსჯელობა
„ტრფიალებითი მიზეზის“ (36,13), „სიყვარუ-
ლისა და საყვარელის“ (35,12) და მსგავსთა გა-
მო ერთობ ორგანულად ერწყმის ქრისტიანო-
ბის საფუძვლებს (რამე ვუგებრობის თავიდან
ასაცილებლად მინც მივეთითოთ „საღმრთოთა
სახელთათვის“ ის ადგილები, სადაც საღმრთო
სიყვარულის, ეროსის შესახებ არის საუბარი:
36,10-24, 37,31-38, 40,3-43).

თავის მხრივ, ორივე ეს პრობლემა — ბა-
ძვის და საღმრთო ტრფიალებისა — აგრეთვე
ორგანულ კავშირშია განღმრთობის „ანდიმიკა-
ციოს“, „თეოზისის“ საკითხთან. განღმრთობის
იდეა ქრისტიანობისთვისაც ერთობ ახლობე-
ლი და იმანენტური რამ იყო. მაგრამ პქ გან-
ღმრთობის ეთიკური ასპექტებით უფრო იყო
დამუშავებული, ვიდრე ონტოლოგიური. ამდენ-
ად, ერთობ საუკუნისმთა ის ამბავი, რომ პლა-
ტონის ფილოსოფიაში ეს იდეა საქმათ სისტე-
ლით არის წარმოდგენილი.

¹ უფრო დაწვრილებით იხ. რ. თვარაძე —
არეოპაგელი და რუსთაველი. „ციცკარი“,
1971, № 8.

მისი წინამძღვარია თვალსაზრისი, რომლის
თანხმადაც კაცის ქეშმარიტი ბუნება თავის
არსებით იგივე ღვთაებრივი ბუნებაა. ზოგადად
ამის თქმა შეიძლება პლატონის მოძღვრების
საერთო სურათიდან გამომდინარე. ხოლო უფ-
რო კონკრეტულად: „როდესაც საკუთარი ბუ-
ნების ცხოველურ მხარეს უმორჩილებენ და-
მიანურს, უფრო სწორედ — ღვთაებრივს, ეს
მშვენიერი რამ არის“ („სახელმწიფო“, IX,
589,d). აქედან გამომდინარე, პლატონი ლაბა-
რაკობს იმის შესახებ, რომ ადამიანს შეუძლია
ღმერთის მსგავსად იქცეს: ადამიანი „საბრთ-
ლიანობას ესწრაფვის და სათნოებაში გავარჯი-
შებული ღმერთს ემსგავსება, რამდენადაც ეს
შესაძლოა კაცისთვის“ („სახელმწიფო“, X, 613,
a—b). ამ საკითხს პლატონი არაერთხელ შეე-
ხება კიდევ: „თუ კაცი მიეცემა სწავლის სიყვარ-
რულს, ქეშმარიტად გონიერს მიესწრაფება და
სულის შესატყვის უნარს ყველა დანარჩენზე
მეტად გივივარჯიშებს, იგი, ქეშმარიტებას მიახ-
ლებული, მოიპოვებს უკვდავსა და ღვთაებრივ
აზრებს, ესე იგი მოიპოვებს უკვდავებას იმ
სისრულთა, რა სისრულთაც კაცურ ბუნებას
ძალუქს მისი დატევა“ („ტიმეოსი“, 90, b); „ეი-
საც სურს სათანო გყოს ღმერთს, უმეველად
მას უნდა დემსგავსოს რამდენადაც შესაძლოა.
მაშასადამე, ვინც ჩვენ შორის კეთილგონიერია,
ღმერთსაც ის ესათნობა, რამეთუ მსგავსია მი-
სი“ („კანონები“, IV, 716, c).

მომხმობლ ციტატებში ყურადღებას მიიქ-
ცევდა ღმერთისადმი დამსგავსების შესახებ
მსჯელობათა განუშორებლად თანმხლები ფორ-
მული: „რამდენადაც შესაძლოა“.

ამ გარემოებაზე ყურადღებას იმეტომ ვამაზ-
ვილებ, რომ აღნიშნულ ფორმულას იყენებს
არეოპაგიტულ წიგნთა ავტორი სწორედ გან-
ღმრთობის საკითხთან დაკავშირებით. „განღმრ-
თობა არს ღმრთისა მიმართი, რა ო-
დენ დასატეველ არს, მსგავსე-
ბა და ერთობაა“ (158,10). შევადაროთ
ამას „სახელმწიფოდან“ აქვე ზემოთ მოტანილი
ციტატის ბოლო: „... სათნოებაში გავარჯიშებუ-
ლი ღმერთს ემსგავსება, რამდენ-
ადაც ეს შესაძლოა კაცისთ-
ვის“. თანხვედრა აშკარაა. შევადაროთ აგრეთ-
ვე: „... ზეშთათვისსა შემოვერბებით ღმრთის
სახეობითად ერთობად და ღმრთის მსგავსე-
ბითად ერთ-ბუნებაობად“ (8,24); „და, რა ო-
დენ ძალ-უც, მსგავსებისა მისისა- მიმართ
დასახვედრე თავთა თვისთა“ (30,22); „ხოლო
პირ მდღელთ-მთავრობისა არს ღმრთისა მი-
მართი, რა ოდენ მისაწლომელ არს,
მსგავსება...“ (110, 27); „... მიუღრეკლად აღი-
ხილიდინენ საღმრთოთა მათ მიმართ გამოზრფ-

რეზუმე თვარაძე
პლატონი და არეოპაგელი

ყინვებათა მისთა, რაოდენ დაეტეოდის, ძალისებრითა ღმრთის მსგავსებითა...“ (135, 10); „...საღმრთო ყოფა ჩვენდა არს საღმრთომ დაბადებამ მეორედ შობისამ“ (160, 30).

მაგრამ, ვფიქრობ, განსაკუთრებით საგულისხმოა განღმრთობის იდეასთან დაკავშირებული ერთი დეტალის საოცარი თანხვედრა „სახელმწიფოს“ იმ ადგილთან, სადაც სულთა მიმოსვლის შესახებ არის საუბარი. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ვკითხულობთ პეტრე იბერის ტექსტს და ვკითხულობთ მის უშუალო წყაროს:

„და ვითარცა მრავალ-ნათლოვნად თხულები საბელი სიმალესა ცათა მწვერვალობისასა და მოკიდული და ვიდრე მოაქამდე შთამოწვეულნი, რაჟამს მის ზედა აღმავალთაგან წამართ ცვალებითა ხელთაჲთა იმჯულებოდის, შთამოზიდვამ მისი გვეგონიეს, გარნა არა მას შთამოვიზიდავთ, რომელი ზეცა არს და ქვეცა, არამედ ჩვენ მის მიერ აღვიყვანებთ უმალესთა მათ მიმართ მრავალ-ნათელთა შარავანდელთა ბრწყინვალეებისა“ („საღმრთოთა სახელთათვის“, 25, 29-26, 3).

„... ისეთ ადგილას მისვლა, სადაც ზემოდახ ჩანს მთელი ზეცისა და დედამიწის წილ გარდაფენილი სხივი ნათლისა, თითქოს სვეტი ყოფილიყოს ცისარტყელას მსგავსი, გარნა უფრო კაშკაშა და წმინდა... და იქ, იმ ნათლის სვეტის შუაში, დანახეს ზეცით გარდამოკიდული საბელთა წვეკრები: ის ნათელი ხომ ზეცის კვანძია“ („სახელმწიფო“, X, 616, b).

ამ ნათელთან დაკავშირებით უნდა მოვიტანოთ აგრეთვე პლატონისა და პეტრე იბერის თხულებათა რამდენიმე პარალელური ტექსტები (მათი გახსენება ამ შემთხვევაში ნაყარანხვეია არა იმდენად ლოგიკური აუცილებლობით, რამდენადაც ლიტერატურული ან, თუ ვნებავთ, ესთეტიკური კანონზომიერებით).

პ ლ ა ტ ო ნ ი

„რაკი არსთა ძიებაზე ავიდეს ხელი... გადგეყვირეთ ფრთხილად ვყოფილიყავი, რათა იგივე არ მომსვლოდა, რაც მზის დაბნელების მკერეტულთ მისდით ხოლმე, რადგან ზოგი მგერას იფუტუბეს, როცა პირდაპირ მზეს შემზგერს და არა მის ანარეკლს წყალში თუ სხვა რამეში. რადაც ამგვარი შეიძლებოდა მეც დამმართოდა, გწმობდი, ვაითუ სრულად დამეშრითოს მზე-რა სულისა, თუ საგნებს შიშველი თვალებით

შევატყერდები და გეცდები გრძნობებით მიწვეულ-მეთქი თვითეულ მათგანს. ამტკიცებდათ როდ მივიჩინე, აზრისათვის მიემშობოდა მისი მისი მეოხებით მეფა არსთა ჭეშმარიტი ბუნება“ („უფლონი“, 99, d-e. თარგმანი ბ. ბრეგვაძისა).

„ხოლო რომ აიძულე, პირდაპირ უმზიროს თავად ნათეს, განა თვალები არ ასტკივდება?.. ან ვინმე ციკაზო გზით მიღლა, მთაზე თუ ათორევს ძალისძალად და არ დაეხსნება, ვიდრე მზის სინათლზე არ გაიყვანს, განა არ დიტიანება და არ აღაშფოთებს ამგვარი ძალადობა? სინათლზე რა გავიდოდა, მის თვალებს იმდენად დაბარმავებდა ელვარება, ვერც ერთ იმ საგანს ვერ გაარჩევდა, რომლის ნამდვილობის ამბავსაც ეუბნებოდნენ“ („სახელმწიფო“, VII, 515, e—516, a).

„მსგავსად იმისა, როგორც დღისით მზის პირდაპირ მატყერალნი თავს ისე გრძნობენ, თითქოს ირგვლივ ღამე იყოს, ჩვენც ვერ ვიტყვით, თითქოს ოღესმე შეგვეძლოს მოკვდავი თვალებით გონების დანახვა და მისი საკმარისად შეცნობა. უფრო უხიფათო ის იქნება, თუკი ხატს შევხედავთ იმისა, რის ამბავსაც გვეკითხებიან“ („კანონები“, X, 997, d)!

არმოკაბეული

„და რამეთუ ვერვე კმა ვართ მიმხედველად ესოდენ დიდისა მის მზისა მიმართ, ამისთვის ეს განგვიხილავს თავთა თვისთათვის და უწყით, ვითარმედ ვერ ძალ-გვიც ხელ-ყოფად, დატეუნად და აღწერად საღმრთოთა მათ ხედვათა მისთა, ვერცა გამოვსთარგმანებთ გინა ვიტყვიტ გამოუთქმელთა ღმრთის მეცნიერებისა მისისითა“ (28, 24-29).

„რამეთუ ვითარ-იგი მზესა ვინმე თვისისა ნათლისა მინიჭებისა სთხოვენ, წარიწყმიდის უვენებელნი იგი სახედველნი თვისნი შემწყნარებელ წადიერებითა მზის თვალისა ნათლისაჲთა, ეგრეთვე შეუძლებელისა სასოებისა და მოკიდულ არს და ნამეტავსა ითხოვს, რომელი წმიდათა ლოცვასა ძიებდეს, ხოლო თვითბუნებითნი იგი წმიდანი მოქმედებანი განხადენ თავისაგან თვისისა უდებებითა საღმრთოთა ნიჭთა მიმართ და განადგვს კეთილის მომკემლთა და საჩინოთა მცნებათაგან“ (214, 24-31).

1 ამ უკანასკნელ ციტატას გულდასმით უნდა ჩაღრმავება. შესაძლოა სწორედ აქ იმალება დღეს „შვანი ღამის“ საიდუმლო!



ორი პოეტი

დასავლეთ ევროპულ ლიტერატურაში გოეთე სიცოცხლეში გაღმერთებული იყო. გოეთეს გარდაცვალების შემდეგ ყველაზე სათაყვანო პოეტი გახდა ვიქტორ ჰიუგო. მისი სახელი და ავტორიტეტი იმდენად გაიზარდა, რომ უნდოდათ მე-19 საუკუნისათვის ეწოდებოდათ ვიქტორ ჰიუგოს საუკუნე. თეოდორ ბანვილი ამბობდა: ვიქტორ ჰიუგო სიცოცხლეშივე ეზიარა უკვდავებასაო.

ვიქტორ ჰიუგო უპირველესად par excellence ეროვნული პოეტია, ამის გამო და ამასთანავე ის არის ინტერნაციონალური პოეტი. თავისი პოეზიით, პროზით; დრამატურგით, პუბლიცისტიკით, ორატორობით, და აი, რაც არის ვიქტორ ჰიუგო საფრანგეთისათვის ის არის აკაცი წერეთელი საქართველოსათვის. საინტერესოა ამ ორი პოეტის ერთმანეთთან შედარება არა მხოლოდ გარეგნული მსგავსებით, არამედ უმთავრესად შინაგანი პოეტური ძალისა და ძლიერების თვალსაზრისით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ორი დიდი მგოსნისადმი თავიანთი ხალხის ღრმა სიყვარული და პატივისცემა, თავისებური სიზმარ და აღერხი, მათი გაღმერთება.

ცნობილია, თუ როგორ დასაფლავებს პარიზში ვიქტორ ჰიუგო, მთელს საფრანგეთი იღვა ფეხზე. ასეთი დაკრძალვა მანამდე და მის შემდეგ არავის ღირსებია. ასეთივე იყო აკაცი წერეთლის დასაფლავებაც. მარტო ის უბრალო გვირგვინი რად ღირს, რომელიც მიუძღოდა ეკვბოს: „აკაცის — საქართველო“. პატრიოტული და ინტერნაციონალური მოტივები ერთმანეთს ერწყმიან, ერთმანეთს ავსებენ ვიქტორ ჰიუგოსა და აკაცი წერეთლის შემოქმედებაში.

არსებობს ორი სურათი: ერთი — ვიქტორ ჰიუგო თავის ქნარს უძღვნის ქალაქ პარიზს,

მას თავს „დასტრიალებენ“ პოეტური მუზენი და ვარშემო ხალხი ეხვევა. მეორე — აკაცი ღვას სვეტიცხოველის ვალაყანში თავისი ქნარით ხელში და გარს ეხვევიან და ამკობენ საქართველოს სხედასხვა კუთხის წარმომადგენლები.

ვიქტორ ჰიუგოსა და აკაცი წერეთლის შემოქმედებითი პარალელები ბუნებრივია. მათი პოეტური შეპირისპირება მრავალ საინტერესო დასკვნამდე მიგვიყვანს, მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს. ახლა კი გავუყუთ ჩვენს თემას. აკაცის მოგზაურობა საფრანგეთში, აკაცი ფრანგი ხალხის შესახებ, აკაცის თარგმანები ფრანგულიდან, აკაცის ნაწარმოებთა თარგმანები ფრანგულ ენაზე, ფრანგულიდან ქართულად თარგმნილი ნაწარმოებების შეფასება აკაცის მიერ.



აკაცი წერეთელს დიდი ხნის სურვილი აუსრულდა: 1905 წლის გაზაფხულის ბოლოს საფრანგეთს გაემგზავრა. ეს იყო მისი პირველი მოგზაურობა დასავლეთ ევროპაში. პოეტი ჯერ შვეიცარიას ეწვია, სადაც დაათვალიერა ღირსშესანიშნაობები, იყო ვენეციის ტბაზე, ინახულა ბაირონისა და ვიქტორ ჰიუგოს საყვარელი ადგილები, შილიონის ძველი ციხე-დარბაზი.

აკაციმ დიდი ინტერესით ჩამოთარა ოთახებს, ნახა ის ოთახი, სადაც ყოფილა ვიქტორ ჰიუგო. როდესაც ის შევიდა იმ ოთახში, რომელიც ბაირონმა აწერა და მოისმინა სევედიანი ამბავი ოთხი პატიმარი ძმისა, რომლებიც ერთმანეთთან კინკლაობას ეწეოდნენ, ციხიდან ვერ აღწევდნენ თავს და ისე დაიხლოვნენ, რომ თავისუფლებას ვერ ეღირსნენ. ჩვენი პოეტი ღრმად ჩაფიქრდა. ამ ძმების

ერთმანეთთან შერმა და ჩხუბმა მას თავისი სამშობლო — საქართველო მოაგონა. „ამ მოთხრობამ, — წერს აკაი, — ძალიან ჩამაფიქრა და ჩვენი ქვეყანა მომავონა“.

აკაის თქმით, შილიონის ციხე-დარბაზი ურიგო რამ არ ყოფილა, მაგრამ ამ მეთორმეტე საუკუნეში აგებულ ძეგლს თურმე ისე სათუთად ინახავენ და იმდენი მნახველი ჰყოლია, რომ ჩვენს მგოსანს მწუხარებით წარმოუთქვამს: „აფსუს, ჩვენი ქვეყნის ციხე დარბაზებო, ძველო ნაშთებო! ვინ იცის, რამდენი ხნისაჲ, რომ ნადირის ბუნაგი გამხდარხართ!“

ამის შემდეგ აკაი პარიზს ეწვია. აკაი განაცვიფრა პარიზმა. პოეტს გულითადი შეხვედრები მოუწყო იქ მყოფმა ქართველმა ახალგაზრდობამ. აკაი თავისი მგერძობიარე გულითა და საოცარი ალლოთი მიხვდა პარიზის ცდუნებებს, საიდუმლოებებს, მიხვდა ყოველივე იმას, რასაც ბალზაი თავის ერთ-ერთ გმირს ასე ამქვეყნებს: „ძნელია პარიზში რაიმე ოცნების განხორციელება. აქ ყველაფერზე გადასახადია, ყველაფერი იუილება, ყველაფრის ფაბრიკაცია ზდება, წარმატებისაც კი“.

აკაის პარიზული შთაბეჭდილებანი ნათლად არის ასახული მის მიერ ნათესავ-მეგობრებისადმი პარიზიდან გამოგზავნილ წერილებში.

პარიზში პირველად ყოფნის დროს არის დაწერილი აკაის ლექსი „ეიფელის კოშკზე“. (1906 წელს). პოეტი ამ ლექსში გადმოგვცემს თავის განწყობილებას, ფიქრებს. პარიზში ეიფელის კოშკიდან აკაიმ გადახედა მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქს პარიზს, ტურფა მხარეს. ამ კოშკის სიმაღლემდე პარიზის ქუჩებში მიმავალი ხალხის ხმაური არ აღწევს, სახლები იქიდან სოკოებად ჩანან:

და მაშინ ესტევი: ნუთუ ისიც,
ვინც ხანდახან ხალხს შორდება
და სულ მაღლა, მაღლა მიდის,
ორთა შუა გახივდება?
რა თქმა უნდა, რომ დაჰკარგავს
ხალხზე ის სწორ — მხედველობას
და სიმართლით ვერ გაარჩევს
სიკარგეს და საძაგლობას“.

ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს აკაის ლექსი „ცის მახლობლად“, რომელშიც ავტორი მისთვის ყველაზე ძვირფასს და საყვარელ სამშობლოზე — საქართველოზე ლაპარაკობს. პარიზში ეიფელის კოშკის მწვერვალზე მყოფ აკაის ყველაფერი დაეიწყადა, „მაგრამ არ დაეიწყებია თავისი სათაყვანო სამშობლო,“ რომლის ბედნიერებისაჲვის

იქაც ძვერდა მისი მგზნებარე გული, მოეტყინათ პოეტს:

მარტო, მხოლოდ შენ მახსოვდი,
საოცნებოდ დახატული,
და იქაც — კი იმ მაღლობზე
მხოლოდ შენთვის სძგერდა გული.

საინტერესოა აკაის მიერ პარიზშივე დაწერილი „ეიფელის კოშკზე (ლექსი პარიზი)“. ეს ნაწარმოები შექმნილი უნდა იყოს 1906 წელს. მასში მოცემულია აპოთეოზი ქართველი დედისა, რომლის შრომამ, წინადაცდულობამ, გამჭირებამ ქვეყანობამ იხსნა საქართველო ძნელმდინანობის დროს.

აკაი ამ შესანიშნავ ეტიუდში გადმოგვცემს თავის საუბარს ეიფელის კოშკზე ამერიკელ მანდილოსანთან. თურმე ამ ქალბატონს კარგა ხანია შეუშინებია აკაის საინტერესო პიროვნება, მაგრამ ვერ გაუბედნა მასთან გამოლაპარაკება, მისი გაცნობა. და, აი როგორც იქნა გაუბედა და ჩვენს მგოსანს ჰკითხა:

— უჟაცრავად კი ნუ ვიქნები და აქაური არ უნდა იყოთ თქვენ, როგორც გეტყობათ?

— დიახ, შორედან მოვსულვარ... კავკასიელი.

— ააა... ჩერქეზი?

— არა.

— მმ. მმ. მმ. მაშ უთუოდ სომეხი?

— არც სომეხი, ქართველი, საქართველოდან.

— ქართველი? ვინ არიან ქართველები? სად არის საქართველო?

— კავკასიელი ხალხია... მიკვირს, რომ ჩერქეზები გცოდნიათ, სომეხს იცნობთ და მკვიდრ ქართველებზე კი არა ვაგიგონიათ — რა?

— უჟაცრავად, მაგრამ დღეს პირველად მესმის ეს ხალხი.

— დიახ, ძალიან უგანგაშო ქვეყანაა საქართველო. თვითონ ქართველები ხმას არ იღებენ და სხვები კი მათ არ იხსენებენ“.

ასე დაიწყო აკაისა და ამერიკელი ქალბატონის გაცნობა-საუბარი. შემდეგ ამერიკელმა გამოითხა აკაის პარიზში ჩამოსვლის მიზეზი, აკაციმაც ჰკითხა მას თუ რამ ჩამოიყვანა პარიზში. ამერიკელმა ქალბატონმა აკაის უთხრა სამწუხარო ამბავი. ის წელიწადზე მეტია რაც აქაა, მთელი ევროპა შემოუვლია და ვერ მიუგნია უბიწო და თავისუფალი სიყვარულისათვის. აკაის გაუცვივრა და ჰკითხა:

— ამერიკა მე დიდ ქვეყნად წარმომიდგენია და ნუთუ იქ ვერ მოვიხიზებთ?

— ჩემს სამშობლოში? — იკითხა ამერიკელმა, და განაგრძო, — იქ ხელოვნებამ დაჩრდილა სიყვარული და ტრფიალება მედიდურობად გადაიქცა, ისე როგორც აქ, ევროპაში, სა-



დაც ფულია გაღმერთებული, სიყვარულიც სავაჭრო სახნად გადაქცეულა. საუყუნო განსვენება ჩემს მშობლებს. დიდი მეგობდრებო და მიტოვებს: თვალტანადობა, ჯანმრთელობა და შეძლება, მაგრამ ესეები ყველა ვერ მაქმყოფილებენ უსიყვარულოდ. იმას კი დაეცემა და ვერ მიპოვია...

— საკვირველია, — შეეპასუხა აკაი, რომ მაგას ამბობდას ადამიანი, იქ, სადაც... — ქალმა განაგრძო:

— იქ სადაც ხელოვნება უკიდურეს წერტილამდე მისულა, რომ მოხიზნოს ადამიანი და თვალ-ჯიბე მოსტარა, აქ გარეგნობა... მომიხილავთ გარეგნობა, უსულო. და სიყვარულს კი თავის მოთხოვნებზე და კანონები აქვს. ის კანონები მარტო გარეგნობაში ვერ იხარებენ. როგორც ყველგან ნამი, ისე ეკირება ქალს სიყვარული. მაგრამ ვერსად ჰპოებენ, დამონებიან პირობებს და ვინ ვაამტყუნებს... არა, როგორც ამერიკაში, ისე ევროპაშიც დიდ ქალაქებში სიყვარულს არა აქვს ნიადაგი, იმ სიყვარულს, რომელიც ადამიანს ააუღერებს, აამაღლებს...

— ვეთანხმები, როგორც ქართველი, — უთხრა აკაი. ამერიკელმა ქალმა გაიკრფა და იკითხა, — რაო? როგორც ქართველი? ნუთუ იმ საქართველოში. სხვაგვარად ესმით სიყვარული?

აკაიმ აუხსნა: «მართალია, ამ უკანასკნელმა მონათბის საუკუნემ თავისი ელფერი დასდვა ჩემს სამშობლოს; მიმბაძობის ხანა დადგა იქ, მაგრამ ჯერ კიდევ არ მოკვდარა, — მხოლოდ დასწეულებულია, და სწეული ზოგიერთ ძველ აღტქმას ვერ უარყოფს და მათ რიცხვში სიყვარულსაც. მართალი სიტყვით. აქაურ ქალს განსიყვარული მოეთხოვება? ის მორათულ-მოკაშმული, ფერნაცებზე და სარკის წინ დაქანცული გამოდის, რომ აწეთ-იქით ქსელი გააბას და ბუზი დაიჭიროს; ოღონდ ბუზი კი იყოს და მისთვის სულ ერთია, ვინც იქნება... როგორც ქართველს, არ მესმის ეს. ჩემს სამშობლოში ხელოვნებას ჯერ კიდევ არ დაუჩაგრავს ბუნება. ვარდი თავისუფლად სუნენლოვანად იზღეება, ია წაწად თავხა მზრის და ყაუაჩო მედიდურობს... და სადაც ეს სამი ყვეელიანობა არ შეთანხმებულა, ვერ იკიდებს ფეხს სიყვარული... თვით სიყვარულია ყოვლის შემძლებელი ხელოვნება და ხელოვნება აღარ ეკირება. სიყვარულია ღმერთი. იყო დრო, რომ ქართველ ქალთა უმეტესობას, გარეგნობით ზემოხსენებულად შეეძულს, შინავნობაც ეკავ-შირებოდა; სული სცემდა ხორცს ნათელს და ხორციც სულს ექათაუბოდა. დღესაც კიდევ თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც აქა-იქ სადმე კიდევ მოიპოვება ნამდვილი ქართველი ქალი და ერთ მათგანს მე კიდევ ვეთაყვანები, და ეს თაყვანია უხმო ლოცვადიდება შემოქმედისა.

ჯერ სანამ მთა-გორას მოფარებული მზე მწვერვალზე თავს ამოპოფედეს, ვაისმის ცისკრის ზარივით ტბილად, გულის სიღრმეში ჩამწვდომი მისი ხმის წყრალი. ეკ, გაუღვიანა ჩემ სატრფოს, ხელპირი დაუბანია, დაუფარცხნია გულ-მკერდზე დატევიებული თბა, ჩაუცვამს უბრალოდ და შევილებს ისტუმრებს სასწავლებელს, რომ მერე საოჯახო საქმეს მოკიდოს ხელი და დალაშქრებამდე ფეხზე იდგეს. მთელი დღე მოძრაობს და მისი მოძრაობა საარაკოა. ყოლიფერი კშვენისხა გაიღიმებს; თითქო ცა ვაისხნაო, მოიქმუხენის, თითქო დედაიწა შეიკრაო.

მინახავს მის წამწამებზე კურცხალი ჩამოკიდებული, მინახავს და ძლივს გადავჩენილვარ დაღნობას*.

შემდეგ აკაი გადმოგვეცმს, რომ „ასე ვამბობდი აღუღებელი; ოცნებით გატაცებული და ვავიჯრებოდი იქითაკი, სადაც ჩემი სამშობლო მეგულებოდა. სულგანაბული ამერიკელი ქალი უტრს მივდებდა დიდხანს და ბოლოს წამოიძახა: აი სად ყოფილა სიყვარულის ბუდე და მე კი სად ვეცებდი? უნდა წავიდე...

— სად? პარიზიდან საქართველოში? ვგსულერთი იქნება, რომ დიდებული დარბაზიდან გლუხის ბოსელში გადავიდეს კაცი...

— არა... იქ, სადაც წამხედურთა და მიმბაძობა არის გაეფებული, ვინდ დარბაზიც იყოს, არ მინდა. იქ კი, სადაც ორიგინლობა, ვინდ ბოსელიც იყოს, მომავალი მოსალოდნელია. იქ სიყვარული იხარებს და, სადაც სიყვარულია, ღმერთიც იქ არის. მე უნდა ვნახო შენი სამშობლო და ისიც...

ვინ ისიც?..

— ის... ის, ვისაც შენ ავრე იხსენიებ* (ხაზგასმა ჩვენია დ. ფ.).

აკაი, ქართველი ხალხის ეს დიდი ტრუბადური, ყველგან და ყოველთვის თავის სამშობლოზე, თავის ხალხზე ფიქრობდა. პარიზშიც კი ჩვენი მგოსანი ცხოვრობდა სამშობლოდან დაშორებით სამშობლოზე ფიქრით.

აკაის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან თავისი არწივისებური თვლით. გამჭირახი ჭეუ-გონებით დაინახა და იგრძნო, რაც ხდებოდა ევროპის და მის ცენტრში — საფრანგეთში. ყველგან სულის შემსუფთველი ატმოსფერო, პატოსანი ადამიანის დამცირება, ფულის მეუფეობა, წრფელი, ნამდვილი სიყვარულის დაკნინება — დაეცმა. ყოველივე ის, რაც ასე ძლიერად გამოხატეს თავიანთ ნაწარმოებებში ვიქტორ ჰიუგო, სტენდალმა, ბალზაკმა, ფლობერმა და სხვ.

1905 წლის სექტემბრის დამდეგს აკაი დაბრუნდა საფრანგეთიდან „ივერიამ“ 10 სექტემ-

დავით ზანჯელიძე
ორი პომტი

ბერს გამოაქვეყნა ცნობა აკაიის საფრანგეთიდან საქართველოში დაბრუნების შესახებ. ამ დროს აკაიის სამშობლოში 1905 წლის რევოლუციის ალია მოდებელი, ხალხს ზობოქრობს აკაიცი ხალხთანაა, რომ არ „დაჰკარგოს ხალხზე სწორი მხედველობა“.

აკაი 1905 წლის რევოლუციას აქტიურად გულმხმარებდა ეხმარებდა. მან ფრანგულიდან გადმოთარგმნა ენის პოეტური განთქმული ლექსი „ინტერნაციონალი“, რომელიც დაიბეჭდა 1906 წლის პირველ იანვარს „პატარა გაზეთში“.

საფრანგეთიდან დაბრუნებული პოეტის რევოლუციური განწყობილება კიდევ უფრო ძლიერდება, იგი არსებული წყობილების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისაკენ მოუწოდებს მშრომელ ხალხს. ყოველივე ეს ნათლად ჩანს ამ პერიოდის ლექსებში: „ხანჯალს“ (დაწერილია ადრე), „თქვენი ჭირი“ „ნატვრა“, „ძირს“ „გურული ნინია“, „ჩემი რწმენა“ და სხვ.

აკაიის ეზიზღებოდა თვითმპყრობელობა. ყოველნაირად იბრძოდა მის წინააღმდეგ. იმის ნატვრაში იყო, რომ თავისი ქაღარა შეეღება ხალხის ამ საშინელი მტრის სისხლით, რაც ბრწყინვალედ გამოხატა ლექსში „ხანჯალს“.

ფრიალდ საინტერესოა, რომ აკაიის ამ ჩინებულ ლექსს ჩვენში „ქართული მარხელიოზა“ შეარქვეს.

აკაი ხედავს და რწმუნდება, რომ ერთადერთი გზა ხალხის გათავისუფლებისა არის თვით ხალხის დარაზმული გამოსვლა არსებული პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ. მგოსანი ამ რევოლუციურ ბრძოლაში განსაკუთრებულ იმედებს აწყარებს ახალგაზრდობაზე, სწორედ ამ რევოლუციურად აღტიენებულ ახალგაზრდობას მიმართავს პოეტი ლექსში „თქვენი ჭირი“.

რაც უფრო ღვივდებოდა რევოლუციური მოძრაობა, აკაიის პოეტური პანგები უფრო ძლიერდებოდა, დიდი მგოსნის ხმა ბუქსა და ნალარასავით გაისმოდა. აკაიმ 1905 წლის რევოლუციაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეების განხორციელებისათვის ბრძოლა დაიწახა, მას ძლიერ აღაფრთოვანებდა და ახალგაზრდობას მოუწოდებს შეუწოვარი, მედგარი ბრძოლისაკენ. თუ საჭიროა, სისხლიც უნდა დაიდვაროს, რომ თვითმპყრობელობის აუტანელი რეჟიმი ძირფესვიანად მოისპოს. ლექსში „ნატვრა“ აკაი აღტაცებულად ლაპარაკობს თავისი (და მასთან მთელი ქართველი ერის) დიდი ხნის ოცნების განხორციელებაზე.

აკაიის დამოკიდებულება 1905 წლის რევოლუციისადმი პირდაპირ მომდინარეობდა მისი მსოფლმხედველობიდან და შემოქმედებიდან, ეს იყო პოეტის ხალხურობისა და დემოკრა-

ტიზმის გამოხატულება, მისი მოქალაქეობრივი და პოეტური მრწამსი.

საქართველოში

გამწევებული კლასობრივი ბრძოლის შეტევაზე გადასულ ხალხს აკაი ამხედვებდა თავისი ქაღარით. ის გაბედულად, უშიშრად მოითხოვდა მთავრობის დამხობას, ხალხის გათავისუფლებას, ქვეყნად ძმობას, ერთობისა და თავისუფლების დამყარებას. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსი „ძირს“:

1905 წლის რევოლუციური აღტაცებული პოეტი ხალხთან ერთად იყო მთელი თავისი მოღვაწეობით და შემოქმედებით. იმეათმა აღლომ და გამპრიახობამ აკაი დაარწმუნა, რომ ეს რევოლუცია კლასობრივი ბრძოლის გამოხატულებაა, მუშათა კლასის, მთელი მშრომელი მასების ბრძოლა თავისუფლებისათვის. ეს იგივე ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლაა.

თავისი ასეთი მაღალი, პროგრესული შეხედულებანი 1905 წლის რევოლუციის შესახებ აკაიის გამოთქმული აქვს არა მხოლოდ ბრწყინვალე ლექსებში, არამედ საჯარო გამოსვლებში, სავაზეთო სტატიებში, პუბლიცისტურ წერილებში და სხვ.

რევოლუციის იმ მღელვარე დღეებში მშრომელთა ერთ-ერთ მიტინგზე აკაიმ ასე მიმართა ხალხს: „თანამოაზრებეო და საზოგადო სიყვარულით გამსჭვალულ მოძმეებო!... გილოცავთ აწინდელ კეთილ ხანს და ემედობ ჩემს ბედსაც, რომ მომასწრო იმ ბედნიერებას, რასაც ამ ნახევარი საუკუნის წინათ ვნატრულობდი და მხოლოდ იდეალად ვისახავდი“.

აკაი იყო მშრომელი ხალხის ნათელი მომავლის წინასწარმეტყველი. თავისი მხატვრული შემოქმედებით ადაგუნებდა ხალხს უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად. ჩემნი მგოსნის შოამავგონებელი და შოამბეჭდავი სიტყვები ალივით ედებოდა მშრომელ ადამიანთა გულებს.

აკაიის ლექსები „ხანჯალს“, „ძირს“, „თქვენი ჭირი“, „ნატვრა“ და სხვ. ისევე როგორც საფრანგეთის რევოლუციების დროს შექმნილი „მარხელიოზა“ და „ინტერნაციონალი“, აიტაცა აჯანყებულმა ხალხმა და მედგრად წავიდა წინ თავისი დამატინებელი მტრის თვითმპყრობელობის დასამხობად.

აკაიმ გენიალურად განჰქრიტა მუშათა კლასის როლი, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში და აღტაცებულმა დაამღერა:

გამარჯვება ნამდვილ მუშებს
ვაჟა, ვაჟა, მომავალსა!
ის ასწორებს დღევანდლების
გამარუდებულ გზა და კვალსა.

1 ლევან ასათიანი. ცხოვრება აკაი წერეთლისა, თბილისი 1953 წ., გვ. 426.
2 ვახ. თოქვაძე, 1905 წ. № 195.

როგორც ვხედავთ, ქვეყნის უკეთეს მომავალს აკავი სახეებით სწორად უკავშირებს მშრომელი ხალხის ე. ი. მუშათა კლასისა და გლეხობის ერთიან ბრძოლას უვარგისი საზოგადოებრივი წყობილების ძირფესვიანად აღმოფხვრისათვის.

ცხრაასიან წლებში აკავის პიროვნება კიდევ უფრო ამალდა, მისი ავტორიტეტი უჩვეულოდ გაიზარდა, მისი მხატვრული ქმნილებანი კიდევ უფრო ღრმა, შინაარსიანი, მრავალფეროვანი, რევოლუციური გახდა.

აკავის შემოქმედება, როგორც ყოველთვის, მთა უფრო რევოლუციის პერიოდში, აღსაზნეა ფრანგული განმანათლებლური იდეებით: „მშობის, ერთობისა და თავისუფლების“ ქდავებით. გავისწნეთ მისი ლექსი: „მშობა, ერთობა და სიყვარული“, რომელიც ასე იწყება:

მთელ ქვეყანაზე და კაცთა შორის
იყოს წყევული... ის იყოს კრული,
ვისაც არ სწამდეს და არ უნდოდეს:
„მშობა, ერთობა და სიყვარული.“

ასეთი იყო აკავის რევოლუციური განწყობილებანი, როდესაც ის პირველად გაემგზავრა საფრანგეთში. ქვეყნის რევოლუციურად ვარდაქმნის რწმენა პოეტს კიდევ უფრო განუმატიცდა საფრანგეთში მეორედ მოგზაურობის დროს, და ამ რწმენისათვის არასოდეს უღალატნია. აკავი მუდამ იმედით შეჰყურებდა მშრომელი ხალხის ნათელ მომავალს.

1908 წელს ქართველმა ხალხმა აკავის დიდი იუბილე გადაიხადა. ეს იყო ქართველი ერის განსაკუთრებული ზეიმი, რომელიც დიდხანს ვაგრძელდა. აკავის იუბილე ჩატარდა აგრეთვე მოსკოვში, პეტერბურგში, კიევისა და ბერესხვა ქალაქში. პოლონურმა გაზეთმა „პოლონ ვარსკვლავი“ გამოაქვეყნა წიგნი „ქართველი პოეტის იუბილე“. მოსკოვში თვით აკავის შეხვედრები ქართველ და რუს ინტელექციონასთან ფართოდაა გაშუქებული გაზეთებში: „უტრო როსია“ და „რუსკოე სლოვო“.

აკავის იუბილემ თითქმის მსოფლიო ხასიათი მიიღო. დაიბეჭდა მასალები საზღვარგარეთულ პრესაში (ცნობებს ამ მასალების შესახებ სისტემატურად აქვეყნებდა ქართული პრესა).

აღსანიშნავია, რომ სწორედ პარიზის პრესაც ფართოდ გამოეხმაურა ჩვენი საყვარელი მგონის იუბილეს. ქართული პრესის ფურცლებიდან ვგებულობთ, რომ პარიზის გაზეთ „აქსიონის“ სურათებიან დამატებაში გამოქვეყნებული წერილი „დიდი პოეტის იუბილე“ გაზეთ „პბიტ რესპუბლიკის“ მთელ რიგ ნომრებში ფრანგი მკითხველი გაეცნო აკავის ისტორიულ პოემების: „ნათელასა“ და „გამზრდელის“ პროზაულ თარგმანებს. გაზეთმა „მერკურ დე

ფრანსმა“ დაბეჭდა სტატია აკავის შემოქმედების შესახებ და სხვ.¹

1909 წლის 14 ივლისს აკავი მეორედ გზავრება საფრანგეთში, ზათუმიდან გემით. ზღვისპირა მდებარე ყველა ქალაქში ჩვიდებოდა. აკავის თურქეთში შეუვლია და ქ. ტრაპიზონში იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონის საფლავი უნახავს და ეპიტაფიაც გადმოუწერია. („განმეშორა მე პირველ ქმნილ სიყვთე, მშვენიერება და მდებარე ვარ, შიშველ დავდებულ საფლავსა ამასა შინა. ტომისაგან დავითისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისათვისაც ვითხოვ ყოველთა მიერ შენდობასა. თებერვლის მს-სა ქ. აქეთ ჩიეთ“). სტამბოლში ქართველთა კოლონიამ მგოსანს საზეიმო, გულთბილი შეხვედრა მოუწყო, მსოგანმა პოეტმა მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ვაოცებული და აღტაცებული ქართველები პოეტს გარს შემოეხვედნენ. გაისმოდა გულში ჩამწვდომი სიტყვები.

აკავიმ აქ მოინახულა ქართველ კათოლიკეთა მონასტერი და ესაუბრა ქართველ პატრებს და შერებელ ხალხს. შემდეგ პოეტი მიუწვევია რამდენიმე ქართულ ოჯახს. სტამბოლის საუკეთესო სასტუმროში აკავის პატივისცემად გამართულა სადილი, რის შემდეგაც პოეტს დაუთვთავიერებია სხვადასხვა ღირსშესანიშნაობანი.

სტამბოლიდან აკავიმ გაიარა საბერძნეთი, იტალია და ჩავიდა საფრანგეთში. მარსელში მას დახვდა თავისი ვაჟი ალექსი, რომელთანაც ერთად გაემართა პარიზისაკენ. პარიზში აკავი ცხოვრობდა ცოლ-შვილთან ერთად.

აკავის მეორედ ჩასვლამ პარიზში კიდევ უფრო დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებრიობაში. პარიზში მყოფი ქართველი ახალგაზრდონა თავს დასტრიალებდა აკავის, უმართედენ შეხვედრებს, საღამოებს ბანკეტებს. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ერთმანეთს ბელი-ბელ ჩაკიდებულნი სულ მისი ცდაში იყვნენ, როგორმე უკეთესი პატივი ეცათ თავიანთი სამშობლოს ერთ-ერთი უსაყვარლესი მგოსნისათვის.

1909 წლის ოქტომბრის დასასრულს აკავის ეწვია პარიზის გაზეთ ახალი ამბების“ კორესპონდენტი ქალბატონი ა. ტუკა — მახიონი და დიდხანს ესაუბრა მას.

გაზეთმა თავისი წარმომადგენლის ინტერვიუ

¹ ლევან ასათიანი. ცხოვრება აკავი წერეთლისა, თბილისი 1953 წ., გვ. 447.

² აკავი წერეთელი. თხზ. სრ. კრებ. თხუთმეტ ტომად. ტ. 15. თბილისი. 1963 წ., გვ. 121.

დავით შანუაშვიძე
ი. ი. პიპიძე

აკაისთან დაბეჭდა 1909 წლის 1 ნოემბერს. აკაის ვაჟების ეს ნომერი თან წამოყვლია, რომელიც აქ, საქართველოში აკაის ახლო მეგობარსა და ექიმს ვაზო გოციელს თავის არქივში შეუნახავს. ახლა ეს ვაჟეთი ინახება გვარბიელ გოციელის ქალიშვილის, საზღვარგარეთელი, კერძოდ, ფრანგული ლიტერატურის ცნობილი სპეციალისტის დოცენტ ფატი გოციელის სახლში.

დოც. ფატი გოციელმა ვაჟეთ „ლე ნუველში“ დაბეჭდილი „აკაი წერეთელი“ რამდენადმე შემცირებული სახით გამოაქვეყნა ვაჟეთ „კომუნისტში“ 1960 წელს. მოგვაქვს რამდენიმე ადგილი ამ თარგმანიდან: „აკაი წერეთელი თვით თავმდაბლობის უნასახიერება. მან ყოველგვარ ინტერვიუზე განი განცხადდა, მაგრამ ჩვენ მოგვცა შესაძლებლობა ვაგვეტარებინა მასთან რამდენიმე საათი და, მიუხედავად იმისა, რომ კიონგა-პასუხის სახით წარმოებულ აზრთა გაცვლა-გამოცვლაზე არ დაგვეთანხმდა, ჩვენ შევცვლით საუბრის დროს, სადაც დიდმა მწერალმა უხვად გამოავლინა თავისი მახვილი გონება და მოღიშარი, ღრმა ფილოსოფია, მოგვეხაზა მისი ლიტერატურული პორტრეტი.

აკაი წერეთელი წარმოსადგევი კაცია. ის ცხოვრობს თავის სამშობლოში, საქართველოში. ამ პატარა ქვეყნის ძველი კულტურა და ცივილიზაცია ყოველთვის დიდ განცდილებას იწვევდა. ქართველები ამყობენ იმით, რომ ისინი ჩამოყალიბებულ ერს წარმოადგენდნენ ჯერ კიდევ შორეულ საუკუნეებში, ქრისტიანულ ერამდე. შუა საუკუნეებში, როდესაც ევროპის ინტელექტუალური კულტურა მეტად დაბალი იყო, ქართველმა ერმა განიცადა აღმავლობის დიდებული ხანა, შექმნა მტკიცე სახელმწიფო, აღსაყვს დოვლათთა და სიმდიდრით, სადაც კაზმულმა სიტყვამ და მწერლობამ დიდი სახელი მოიპოვა.

ეს ერი დღესაც არსებობს, სიცოცხლისუნარიანი და თავისთავადი, იმთავითვე დაკავშირებული მთელ კაცობრიობასთან მჭიდრო ურთიერთობით.

ამ მძლავრი და მტკიცე სიცოცხლისმოყვარე ერის შვილია აკაი წერეთელი და გარგნულადაც მის ნიშნებს ატარებს. ის მაღალია, ახოვანი, ღირსებით აღსაყვს. მოხუცის მხნე, სწორნაკეთებიანი სახე შემოსილია თეთრი წერით. მას სქელი, ხუჭუჭა ქალარა აშვენებს. სწორედ ასეთად წარმოგვიდგინა ჩვენ ივა „სალონის“ უკანასკნელ გამოფენაზე ბ-ნ იაკობ ნიკოლაძის შესანიშნავმა ბიუსტმა. მისი მიზრამოზრა, მსუბუქი, თავისუფალი და ძალდაუტანებელი; ზშირად იციინის და მაშინაც მშვენიერ კბილებს აჩენს...

ორი სახის ნაწარმოებებით ჩასწვდა აკაი წერეთელი თავისი ერის სულს: ისტორიული დრამებითა და ლექსებით, ხოლო ორივე გამს-

ვეალულია მამულის უღრმესი სიყვარულით. პოეტი აღვიძებს მოგონებებს ედუკაციური ნებელი ერის მიძინებულ მესხსაქრუგაშვიტს ალაღვენს დიდი გმირების ხსოვნას; მის ქმნილებებში თითქოს ქრის მშობლიური მხარის ნიავი, ალერსიანად რაყარაყებენ შშობლიური ნაყადულები. მათში მთელი კაცობაა, მთელი საქართველო. უღრევი და ძლიერი, მცხუნვარე შზით დამწვარი, სიყვარულითა და მშვენიერებით მოხიბლული, საქართველო, თავისი თოვლით შემოსილი მწვერვალებითა და მქუხარე ჩანჩქერებით, ამაყი ძველი დროის დედებით.

მტერთაგან მრავალგზის მოიხრებულ სანუკვარ მიწა-წყალზე შეყვარებული პოეტი აღვიძებს პატრიოტულ გრძნობას, დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას. თორნივე ერისთავი, ზაგრატ დიდი, ნათელა და ის თამარი, რომლისგან აღ. დიუმა-მამამ დაისესხა ზოგი ნიშანი თავისი მარგარიტა ბურგონელისა, მკითხველის წინაშე ალაღვენენ მონაგოლების, თემურ ლენგისა და მაჰმადიანობის წინააღმდეგ საქართველოს ბრძოლის სურათებს. ამ პოემების ეპიკურ სიღაღღში იგრძნობა თანადროულობის სისხლის დღელი, თავისუფლების წყურვილი. აკაი წერეთლის ელეგიები, ბლადები და ლენგენები, სიმღერებად აქედრებულნი, გაისმის ძველი ივერიის ყველა კუთხეში: კალოებზე, ზერებში, ვენახ-ქალებში, საღამოობით ხალხის შეკრებულობაში...

გარდა იმისა, რომ აკაი წერეთელი პოეტისა და დრამატურგის მაღალი თვისებებით არის დაჯილდოებული, მან განახალბა და გაამდიდრა ქართული ენა და ამაშია მისი დიდი ლიტერატურული დამსახურება. მარტო ამით უკვდავყოფდა იგი თავის სახელს, ისედაც რომ არ ეკუთროს საპატიო ადგილი ამ ერის ლიტერატურაში, რომელიც ეგზომ მდიდარია წყობილ სიტყვაობით.

გასული წლის 20 დეკემბერს საქართველომ იზიმა აკაი წერეთლის იუბილე. ეს იყო მთელი ერის ალტაცებულ გრძნობათა გამომჟღავნება, ისეთი, რომელსაც არც ერთი პოეტი არ ღირსებია, გარდა შესაძლოა ვიქტორ ჰიუგოსი. ორას დებუტატზე მეტი წარუდგარათა გამოცხატა პოეტისათვის თანამემამულეთა და მსოფლიო მწერლობის სიყვარული და პატივისცემა; ქვეყნიერების ყველა კუთხიდან მოუვიდა დებუტატები; უფრანღ-ვაზეთებმა შეწყვიტეს სხვა მასალის ბეჭდვა და მხოლოდ დიდი პოეტისადმი მიძღვნილ ფურცლებს აქვეყნებდნენ. თვით მისკოვისა და პეტერბურგის პრესამ აკაი წერეთელი ისეთი ქება-დიდებით შემოსა, რასაც დიდი ტოლსტოიცი კი არ ღირსებია. სახალხო ზეიმი რამდენიმე თვეს ვაგრძელდა...

აკაი წერეთლის ნიჭის პატივისცემილება

სხოვეს მას წარედგინა თავისი ნაწარმოებები ნობელის პრემიაზე.

— მშვილობის პრემია ჩემთვის? — ღიმილით თქვა მან, — ყველა ჩემი ნაწარმოები ბრძოლის სულისკვეთებით არის გამსჭვალული!

მაგრამ საქმე მართლა ასე როდია...

— ყველაფერზე უფრო გულმოწყალებოდა, ლობიერება მიყვარს, — გვითხრა დიდმა პოეტმა — და თუ იარაღს ზოტბა შევასხა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ თავისუფლებისათვის ვიბრძვი.

აკაკი წერეთელი გემშვიდობება.

— მოგეწყინათ პარიზში? ვკითხეთ.

— რა თქმა უნდა, არა! გვიასახუბა მან, — მე მიყვარს პარიზი, თუმცა ის საჩემო ქალაქი არ არის...

მან გვიჩვენა თავისი უქანასკნელი პოემა, სადაც წარმატებულად და სახუმარო კილოთი გაკაცებულია დიდი ქალაქების სიმდიდრე და ფუფუნება, — მე აქ მხოლოდ ვარსებობ, და არა ვცხოვრობ: დავდივარ, ვფაცურობ, ვბზუი კიდეც, როგორც მშობლიურ არემარეს მოცილებული ფუტკარი“...

1909 წლის 2 დეკემბერს კაფე — „ველტერში“ პარიზში მყოფმა ქართველებმა, რომელთა უმეტესი ნაწილი ახალგაზრდობა იყო დიდი ბანკეტი ვიარათეს ძვირფასი სტუმრის აკაკის პატრისადეიდად. ამ შეხვედრის დროს ბევრი გულში ჩამწლობი, ღრმა შინაარსის სიტყვა წარმოითქვა აკაკისადმი მიძღვნილი. ამ სიტყვებში დახასიათებული იყო აკაკის ფასაუღებელი ღვაწლი თავისი სამშობლოს, თავისი ხალხის წინაშე. ყველანი აღტაცებული შეჩერებულდნენ აკაკის გაქალაქავებულ, მომხიბლავ სახეს, ეალერსებოდნენ და კოცინდნენ მის, სათუთად და მოკრძალებით.

ასეთი დაუფიქყარი შეხვედრებით აღტაცებულმა აკაკიმ მისთვის ჩვეული მგზნებელი სიტყვით მიმართა ქართველ მასმინძელ ახალგაზრდობას: „ბატონებო! ქართველმა სტუდენტობამ რომ ფეხი აიდგა, თავი პირველად პეტერბურგში აშოპო. იმ გუნდში მეც ვერიე. ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე და იმედებით აღვსოვანებული. მას აქეთ ნახევარი საუკუნეა, მაგრამ, ჰოი, საკვირვებლებავ, როგორც მაშინ, ახალგაზრდობის დროს, დღესაც კიდევ ამ მოხუცებულობის დროს, ისევ ისე მიცემს გული. თქვენ შემხედვარეს... და ჩემი სიხარული მით უფრო ორკეცია, რომ აქ, თქვენთან ერთად ვეღარ მაშინდელი ჩემ ერთ ამხანაფთან ბატ. ლოლობერიძეს, პირველი ბიჭი ყოველთვის სუსტია და ჩვენც, როგორც ვეფრობდით და რაც გვინდოდა, ვერ მოვახერხეთ: სხვადასხვა მოულოდნელი გარემოება წინ ვკვდებოდეთ. მას აქეთ დიდი ხანია... სწავლავანათლებამ, მეცნიერებამ წინ წადა ბიჭი და

თქვენც უკეთეს პირობებში ხართ: თქვენ იზრდებით აქ, ამ თავისუფლების ქვეყანაში, სადაც სხვა რომ არა იყოს რა, ხელს მიიძღვრათ რაფერი შეუშლის თქვენს გრძნობა-გონების გადიდებას! აი, ამიტომაც, თქვენგან მეტს თხოულობს სამშობლო, და ჩვენი ნაკლი თქვენ უნდა შეავსოთ! ნურავინ იტყვის იმას, რომ არის კაცობრიობა და არა ნაციო, ეროვნება, და მეც მინდა, რომ პირდაპირ კაცობრიობას ვემსახურო!.. ფერადივანი კაცობრიობა სხვადასხვა ნაციის, ეროვნებისგან არის შემდგარი და თვითუფლმა მოგანმა თავისი საკუთარი ელფერი და საკუთარი „რამეობა“ უნდა შეიტანოს, რომ აივსოს საკაცობრიო ზღაია!..

თვითუფლ კაცს, თავის ნაციასთან თანშეზრდილს, უფრო ნაყოფიერად შეუძლიან იმუშაოს სამშობლოში, ვიდრე გარეთ. და მართლაც, ვისაც თავისი საკუთარი მშობელი არ უყვარს, იმას შეუძლია მშობლად სხვა შეიყვაროს? ვინც სამშობლოს არ ემსახურება, იმას შეუძლია, რომ უკეთ სადმე ვარუ იმსახუროს? ყველა ამას მხოლოდ გულგატეხილობა აფიქრებინებს ადამიანს და თქვენ არ შეგშენით გულგატეხილობა... თქვენ ცუფუნით იმ ხალხს, რომელმაც რუსოეელის პირით გიანდერძათ: „ქირსა შინა გამავრება, ისე უნდა ვით ქვეყანასო“ და იწვრთნებით იმ დიდებულ ქვეყანაში სადაც გენიოსმა რიშელიემ წარმოთქვა: „ახალგაზრდების ლეჰსიკონში სიტყვა: „არ შეიძლება“, არ შეიძლია“, არ უნდა ეწეროსო“. თქვენც ყოველგვარი გასაჭირი და განსაცდელი უნდა აიტანოთ, უპაველად მიადწინოთ მიზნს და მომზადებული დაუბრუნდეთ სამშობლოს. თქვენც რომ ამ აზრისა ხართ, ამას მიმტკიცებს დღევანდელი აქ თავის მოყრა და მეტი აღარა დამრჩენია რა სათქმელად. მხოლოდ ვისურვებ, რომ ამ თავისუფალ

აკაკი წერეთელი. თხ. სრ. კრებ. ტ. 14. თბილისი, 1961 წ., გვ. 346.

შღრ. ი. ბ. სტალინის სიტყვები... „ყოველ ერს — თავის ერთიად დიდსა თუ მცირეს, თავისი თვისებრივი თავისებურებანი, თავისი სპეციფიკა აქვს, რომელიც მხოლოდ მის ეკუთვნის და რომელიც სხვა ერებს არ მოეპოვებათ. ეს თავისებურებანი ის წვლილია, რომელიც ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საგანძურში შეაქვს და ავსებს, ამდიდრებს ამ საგანძურს.

გაზ. „კომუნისტი“, 1948 წ., № 74.

დავით შანჩულიძე
ორი კონტო



ქვეყანაში გავემდინებინათ თქვენი გრძნობა — გონება და მით გავგებორციელებინათ ქართული მცენება: „მამა-შვილმა უნდა შეითვისოს“¹.

აჯაკიმ თავის სიტყვაში აქაც ილაპარაკა ქართველ ქალზე როგორც ერის თვალზე, ერის ბურჯზე. მისი აზრით ქალზე, საერთოდ, თავიანთი ხალხის ბარომეტრები არიან! (ხაზგასმით ყველგან ჩვენი, დ. ფ.).

მას სანიმუშოდ მოაქვს ქართველი ქალის როგორც დედის, როგორც ცოლის და როგორც მოქალაქის დიდი როლი ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიაში.

ერთ ხანს, როგორც აჯაკიმ თქვა, იგი გულგატეხილი ყოფილა იმით, რომ ზოგიერთი ქართველი ქალი ისე გაიტაცა უცხო ენამ, რომ მშობლიური ენა დაივიწყა. უცხო ენაზე მოლაპარაკე ქართველ ქალს, რომ რამე შეეშალოს მაშინვე დასცინებენ და ქართული, რომ სულ არ იცის, ეს არაფერი. მაგრამ ახალმა მოძრაობამ (კერძოდ 1905 წლის რევოლუციამ, დ. ფ.) აჯაკის ბევრი რამ ახალი დაინახა და აგრძობინა, ხალხის ნათელი მომავლის რწმენა განუმტკიცა. „ახალგაზრდა ქალები მზად იყვნენ, — თქვა პოეტმა, — რომ სამსხეერპლოდ თავი დაეღვათ საქმისათვის... დღევანდელმა ქალებმაც სული ძველებური დედების გამოჩინეს, საკეთილდღეო მასალა შერჩენიათ და იმედი, რომ დროის შესაფერისად კიდევ აღადგენენ ძველ სახელს“².

შეიძლება ცოტათოდენი ქრონოლოგიური გადახვევა მოგვიხდეს, მაგრამ, ჩვენი აზრით, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ამავე სავანზე აჯაკის ბრძანული მსჯელობა. ცნობილია, რომ აჯაკი დიდ ყურადღებას აქცევდა ქართულ ზეპირსიტყვაობას, როგორც ხალხის ცხოვრების სარკეს და კატეგორიულად მოითხოვდა მათ შერკებას, გამოცემას. ქართული ზეპირსიტყვაობას მარგალიტებიდან პოეტს მოაქვს ორი უბრწყინვალები ნიმუში: ორივე ქართველ ქალს ეხება. (უფრო ფართო მნიშვნელობით საქართველოს)

ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ,
ფრანგის ქვეყნები ენახეთ...

მეორე ლექსს „შენს ლოყას ვარდი ჰყვოდა“... აჯაკი ასეთ შესავალს უკეთებს: მსოფლიო გენოსში მხატვარმა რაფაელმა, როდესაც მშვენიერების გამოხატვა უნდოდა, უკეთესი ვეღარა მოახერხა რა და მშვენიერ მადონას

¹ აჯაკი წერდა თვით. აჯაკის სიტყვა პარიზში, თხზ. სრ. კრებ. ტ. 14. თბილისი 1961 წ. გვ. 346-347

² აჯაკი წერდა თვით. თხზ. სრ. კრ. ტ. 14. თბილისი, 1961 წ., გვ. 448

მისცა ხელში უმშვენიერესი ყრბი, რომელიც სიყვარულით ზე დაქითქათებს და რამდენი ვარ, რომ ამ შაირის დამწერს არც ეს სურათი უნახავს და არც რაფაელი გაუგონია, მაგრამ ზეგარდმო შთაგონებამ მიიყვანა რაფაელის აღმაფრენამდე³.

თამარის, წმინდა ნინოს და ქეთევან წამებულის სამშობლოში დაბადებულსა და გაზრდილს, ქართველი ხალხის ერთ-ერთ უდიდეს და უსაყვარლეს პოეტს აჯაკის ეამაყება, რომ ქართველი ქალი იყო, არის და მომავალშიც უნდა იქნეს ერის ხული და გული, მისი სიამაყე და დიდება.

პარიზში ქართველი ახალგაზრდობის მიერ აჯაკის პატივსაცემად გამართულ დიდ ბანკეტზე მგოსნის მიერ წარმოთქმული სიტყვა, როგორც დაეინახეთ, იყო, ღრმად შინაარსიანი და წინასწარმეტყველური. ამ დაუეციყარი შეხვედრის დასარტულს აჯაკი ასეთივე ობტიმისტური იდეებითა და მისთვის ჩვეული სოციალური წინათგანზობით გამსჭვალული ლექსით მიმართა თავის ძვირფას მასპინძლებს:

...მაგრამ მე კი, თქვენ რომ გინდათ, ის არ ვარ!
სხვა იქნება მომავალი ის გმირი!
მე უბრალო მიზეზი ვარ „დღეს-დღის“
იმ „მომავლის“ ანტილი ვარ და პარი...

აჯაკის დიდი იმედი და რწმენა ჰქონდა ახალგაზრდობისა. ხალხის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში აჯაკის ახალგაზრდობა მიანდა ძირითად, გადამწყვეტ ძალად.

აჯაკის პარიზში მეორედ ყოფნის პერიოდს ეკუთვნის აგრეთვე ლექსები: „პარიზი“, „ლოლო ნიკოლაძისა“, „ტასოს“ და სხვ. დრამატული ნაწარმოებები „რეაქცია“ და „ვორონცოვი“.

აჯაკის მიერ პარიზში დაწერილ ლექსებს, სვედა ვადაცკრავს.

პოეტმა რომ დაინახა ბოხოქარი ქალაქი პარიზი, სადაც ოქროს ყველაფერი და შეადარა თავის სამშობლოს „ქინაღამ გული გაუსკდა“. ლექსში „პარიზი“ აჯაკი ამბობს:

რომ შევადარე პარიზი
იმ ჩემს სამშობლო მხარესა,
ქინაღამ გული გამისკდა...
ფიქრებს მივეცი მწარესა.
აქ ყველაფერი თვალსა სჭრის,
იტაცებს გრძნობა-გონებას!
კაცი ვერ ასწონს სიმდიდრეს
და ვერ დაითვლის ქონებას.
აქ უნდა იმან იტხოვროს,
ვინც ჩვეულოა ლხინისა,

³ თავის მხრივ თუ როგორი მხურვალე, წმინდა და წრფელი გულით უყვარდა ცოლ-შვილი აჯაკის ეს ნათლად ჩანს აგრეთვე მის „წერილებში ცოლ-შვილთან“.

ვისაც ჭიბე აქვს ოქროსი
და ხასიათი რკინისა.

აკაკი საფრანგეთს უწოდებს „თავისუფლების ქვეყანას“, მის სამშობლოში კი თავისუფლება ხელ-ფეხ შებორკილია. აკაკი ამყობს იმით, რომ მისი ხალხი მდიდარია სულით, გულთ, მაგრამ დაღონებულია იმის გამო, რომ იგი ღარიბია ოქროთი და ვერცხლით.

იქნება რეაქცია“ ოთხმოქმედებიანი სკენებისაგან შედგება. მასში აკაკი გაღმრავლებს თავის დადებით დამოკიდებულებას 1905 წლის რევოლუციისადმი. ღრმა თანაგრძნობით გვიხატავს „ახალი მოძრაობის“ სურათებს, თვალგახელოვან, გაღვიძებულ ხალხს“, განსაკუთრებით „ახალ თაობას“, „ძმობის, ერთობისა და თავისუფლებისათვის“ მებრძოლ „ჰეილიან ხალხს“.

ყურადღებას იქცევს პიესაში გამოყვანილი გლეხის იოსებ ლაბაძის სახე. ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოძრაობაში, რევოლუციის დღეებში ლაბაძე სოფლის მოსამართლედ აირჩიეს. შემდეგ რეაქციის პერიოდში მეფის დამსჯელმა რაზმმა მას სახლ-კარი გადაუწვა, დარჩა უბინაოდ, მაგრამ გულს არ იტეხს, ამყობს თავისი საქმიანობით. იოსებ ლაბაძე ამბობს: „აგერ ორმოცდაათი წლის გავხდები და, მაშინდელის მეტად, ერთხელაც არ მიგრძენია, რომ მეც კაცი ვიყავი! წამართვედნენ იმ დასაქცევ სულში: იქ შენი არავის ეუყრება და შენ სხვისი... უნდა წამოუყენო შენ მაგიერი და, ის რას ამბობს. ღმერთმა იცის. კაცთა კი არა, ძალდათაც არავინ გავდებს. ამის შემდეგ ღვთის რისხვით არის, თუ ღვთის წყალობით, თითონვე შენ ხდები სულიათ! შენ ასამართლებ სხვებს! მოდი და ნუ იტყვი. ახალ თაობის ჰირომეო!“

იქვე, ეს გათვითცნობიერებული გლეხი თავის გაღამწვარ სახლზე ამბობს: „თქვენი ჰირო წაიღოს! იმას ხომ მაინც ვეღარ ვიტყვი, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე პირუტყვად გავატარე, და აღამიანური არა მიგრძენიარა — აჰო“.

აკაკი წარმოგვიდგენს აგრეთვე ახალგაზრდა ინტელიგენტის ტიპს — ალექსანდრეს, რომელიც რევოლუციური მოძრაობას ხალხის განთავისუფლებისათვის აუცილებელ მოვლენად

მიიჩნევს. ის აღტაცებულია იმით, რომ „ღღეს ძლიერ თვალი გამოახილა ხალხმა“.

ნაწარმოებში ასახულია რეაქციის საშინელი წლები. მეფის ხელისუფლების წარმომადგენელთა მხეცური საქციელი, მათი ბარბაროსული დამოკიდებულება რევოლუციური გლეხების და მათი ოჯახების მიმართ.

აკაკი მთელი სულით და გულით თავისუფლების მოპოვებისათვის აღმდგარი ხალხის მხარეზეა. ღრმა სიმპათიით ეკიდება ახალი მოძრაობის აღამიანებს, სასტიკად კიცხავს თვითმპყრობელობის ბიუროკრატიულ, აუტანელ რეჟიმს.

თავისი სამშობლოსა და საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილე ბევრ რამეზე ახლებურად აფიქრებს და აღეულებს ჩვენს პოეტს. დღედაღამ იმაზე წუხს, თუ რა მოუვა საქართველოს და ქართველ ხალხს მოამავალში, როგორი იქნება მისი შემდგომი ცხოვრების გზა.

ასეთივე იდეური — პოლიტიკური განწყობილებითაა დაწერილი პარიზში პოემა დილოგებად „ვორონცოვი“. აკაკის ამ ნაწარმოებში გამოყოფს: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, ღიმილური ყიფიანი, მ. ს. ვორონცოვი.

აკაკი მეცხრამეტე საუკუნის ამ ცნობილი მოღვაწეების საუბრის ფონზე, იძლევა თავის შეხედულებების მხატვრულ ილუსტრაციას. აკაკი მეფის ნაცვალს მ. ს. ვორონცოვს დაღებითად ახასიათებს, მისი აზრით, ვორონცოვმა გარკვეული დეაწლი დასლო ქართველ ხალხს, ქართული კულტურისა და ენის დაცვის საქმეს. ვორონცოვის საქართველოდან წასვლის შემდეგ კი კვლავ ძველებურად დაიწყო ქართველი ხალხის მისი კულტურისა და ენის დეენა — შევიწროება.

პოემაში დიდი სიყვარულითა და პატივისცემითაა წარმოდგენილი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური გენია. იგი დახასიათებულია როგორც „ხალხის წინამორბედი“, „ჩვენი ქვეყნის დიდება“.

აკაკის საფრანგეთში ორჯერ მოგზაურობის დროს დაწერილი ნაწარმოებები ახალ ფურცლებს შლიან აკაკის მდიდარ შემოქმედებაში, ეს არის ახალი ეტაპი პოეტის სახელოვან მოღვაწეობაში.





მელა გორღლაძე

ქურნალი „ქურა“ და მისი როლი ქართული საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბებაში

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დაიწყო ახალი ერა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. საქართველო გამოვიდა ნამდვილი ავტორიტეტის, ყოველმხრივი სოციალური განვითარების ფართო გზაზე, ქვეყნის ეკონომიურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ძირფესვიანი გაორდაქმნის გზაზე.

საქართველოს პროლეტარტის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის პროლეტარტის ისტორიასთან. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იატაქქევმ მყოფი პროლეტარტულ მწერალთა ჯგუფი (რ. კალაძე, აკოფ აკოფიანი, ს. თოდროი, ს. ერზიკიანი, ს. ეული და სხვ.) აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდულ მუშათა გამოცემებში, მათ შორის გაზეთ „კომუნისტში“, კავშირი ჰქონდათ რუსეთის პროლეტარტთან ს. ერზიკიანის მეშვეობით.

საქართველოს პროლეტარტულ მწერალთა ასოციაცია დაარსდა 1921 წლის 17 დეკემბერს თავისი ეროვნული სექციებით. ქართული სექციის თვალსაჩინო წევრები იყვნენ: ს. თოდროი, ი. ვაკელი, ი. ლისაშვილი, რ. კალაძე, ნ. ზომლეთელი, პ. სამსონიძე, ს. ეული.

1921 წლის 1 აგვისტოს ასოციაციამ გამოცემა სატირული ჟურნალი „ყუმბარა“, ხოლო 1922 წლის 18 მარტს სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალი „ქურა“.

სატირული ჟურნალი „ყუმბარა“ კარიკატურებიანი გამოცემაა, განსხვავებით „ქურასაგან“, სადაც არც ერთი ნახატი და კარიკატურა არ გვხვდება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ თოიძის ნახატებს ჟურნალის გაზეთსაზე). ჟურნალის რედაქტორია ს. ეული. მასალები აწვობდა უფრო მკაფიო, დიდი შრომებით, ვიდრე „ქურაში“. ჟურნალის მოწინავეში „ნანგრევებ-

ზე“ კვითხულობთ: „წაივდა დრო გამასხრებელი „მათრახებისა“ და „ნიშადურებისა“, რომელიც ასე გულმოდგინედ კლოუნობდნენ ჩვენში. მხოლოდ თანამედროვე ბუტაფორიულ ხელოვნებას, დაავადმყოფებულს და წვირიანს, რომლითაც თავს იტყვევენ უნიჭო პატარა მწერლები. მათ წინააღმდეგ გამოვიდეთ ჩვენი პროლეტარტული ხელოვნებით და ჩვენთან ირაზმება ახალი საუკუნის ახალი ძალისა და მკაცრების მწერლობა. მის არტახებში ბარაქიანად სცემს ჩანსადი სისხლი, ხოლო მისი სული გაწმენდილია ბარკადებზე ვადასკდარი ყუმბარების ცეცხლით. ჩვენსკენ ეშურებიან მუშა პროლეტარტები დაზგისა და ქურის სანყაროდან, შემუშრულინი სამკედლურის საღვთო ცეცხლით“.

გამოდიოდა რა მთელი მებრძოლი რევოლუციური პროლეტარიატის სახელით, „ყუმბარა“ ახალ მიჯნას ავლენდა ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ის გულდაჭერებული მაღალი კლასობრივი თვითშეგნებით წერდა: „ამიერიდან ვარდულებულიანის პოეზია უნდა შეიცვალოს პროლეტარტული ხელოვნებით“.

უპირისპირდებოდა რა მთელი წინა პერიოდის ბურჟუაზიულ პრესას, „ყუმბარა“ ერთგვარი, შეიძლება ითქვას, პროლეტარტული თავმოწონებით წერდა, უბრალო თავის აგდებისათვის და ბურჟუაზიული შემაქციერობაკლოუნობისათვის არ მოგვიცლიაო, „დღეიდან ჩვენ დავეშენო ყუმბარებს დღევანდელ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დახვესებულ შენობას და მის ნანგრევებზე ავაფრიალებთ პროლეტარტული ხელოვნების ამაყ დროებს“.

ჟურნალში დაბეჭდილი წერილები და კარიკატურები მახვილი პოლიტიკური აღლოთი

გამორჩევა, მათში მოხრჩხებულადა გამოყენებული. ხალხური იუმორისა და ვალკლორის ნიმუშები კლასობრივი მტერის გასაკილა.

„უშუბარის“ ფურცლებზე ახალი დროის მზის სხივებს ამოკვეყნენ იატაკქვეშეთიდან ქართული პროლეტარული მწერლები ს. ეული, ნ. ზომღეთელი.

ნ. ზომღეთელის „სოფელი პატარა ქალი“. ამ უკანასკნელში მოთხრობილია სოფელი გოგონას გაუხარებელი ხვედრი. მუშა ქალის მიძიმე ხვედრზე მოგვითხრობს შაბას ფსევდონიმით დაბეჭდილი ლექსი — „ქარხანაში“.

აღსანიშნავია, რომ ამ ლექსში, რომლებიც ასახვენ წარსული დროის სოციალურ წყლულებს, ჯერ არ იგრძნობა ახალი დროის გავლენა მშრომელი აღამიანის ბედზე.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული მხატვრული კრიტიკისა და ესთეტიკური აზროვნების აღორძინების საქმეში პირველი ნაბიჯები ეკუთვნის ეურნალ „ქურას“, დღემდე სრულიად არ არის გამოარკვეული ამ ეურნალის როლი და მნიშვნელობა ქართული საბჭოთა მწერლობის ისტორიაში.

ახალი დროის „საკეთილო ვაჟენა“ უპირველესად „ქურაში“ გამოჩნდა.

1921 წლის 27 მარტს ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე ვ. ი. ლენინი მიმართავდა მუშებს: „ახლა, როცა თქვენ დარბაზში გამოვიარე, ვნახე პლაკატი წარწერით „მუშათა და გლეხთა მეუფებას სახლგარე არ ექნება“.

ეს იყო რუსეთის პროლეტარიატის საერთო სულისკვეთება, რაც აღბეჭდა მათს ლოზუნგებში, მათ ლიტერატურულ პროდუქციებში და მათს გმირულ შრომაში სოციალიზმის საფუძვლების შენებისათვის. ეს სულისკვეთება სკვალეს თავიდან ბოლომდე ქართულ პროლეტარულ ასოციაციას.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამხატვრო-სალიტერატურო ყოველთვიური ეურნალის „ქურას“ პირველი ნომერი გამოვიდა 1922 წლის 18 მარტს, მეორე იმავე წლის აგვისტოში, თითოეული 2200 ცალი ტირაჟით და 32-32 გვერდიანი. ეს არ იყო მცირე მოცულობის ეურნალი იმ პერიოდისათვის.

იმდენად ცუდად არის მოღწეული ამ პერიოდული ორგანოს შესახებ ცნობები, რომ ქართული პროლეტარული ბიბლიოგრაფიაში ამ ეურნალის შესახებ კითხვლობთ: „ეურნალი „ქურა“ — საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამხატვრო-სალიტერატურო თვიური ეურნალი, პროლეტარულ მწერალთა მეორე ქართული ორგანო. გამოვიდა ერთი ნომერი“.

გახეი „ორიონის“ 1923 წლის მე-3 ნომერში იკითხე ლისაშვილის წერილში „ქართული პროლეტარული მწერლობის წარსულიდან

(მოგონება) ნათქვამი: „ჩვენ შეეძლოთ „ქურას“ მხოლოდ ორი ნომრის გამოცემა“.

ეს ცნობა უტყუარად და უცილოდ მივიჩინოთ, რადგან დაწერილია „ქურის“ ერთ-ერთი დამაარსებლის მიერ და რაც მთავარია, დაწერილია ცოცხალი მოგონების საფუძველზე, სულ რამდენიმე თვის მეერ „ქურის“ მეორე ნომრის გამოსვლიდან.

აუცილებლად საჭიროა ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის შემდგომ გამოცემაში გასწორებული იქნეს ეს შეცდომა.

ქართველი პროლეტარული მწერლობის გახეი „ორიონის“ მე-3 ნომერში (გამოვიდა ამ გახეიის სულ სამი ნომერი) ი. ლისაშვილი საინტერესო ცნობას გვაწვდის ეურნალ „ქურას“ დაარსების თაობაზე. იონა ვაჟენი და სანდრო აუელი ჯერ კიდევ რეკლამულად არაღეგარულად ეცნობოდნენ რუსულ პროლეტარულ პოეზიას. გასაბჭოების პირველივე დღეებიდან რუსეთიდან ახლად დაბრუნებულ სანდრო ეულს უთქვამს ოკითხე ლისაშვილისათვის—მოგებნით იონა ვაჟენი და ჩვენს საკუთარი ორგანო დაეაარსოთ. საქმისათვის გულისმემატიკავარი ცოტა იყო, ხოლო პროლეტარული ქართული პოეზია მაინც ახლფეხადგმულ ბავშვს ჰგავდა. „მარგარა, — იგონებს ი. ლისაშვილი, — ჩვენ დღითიდღე ვიზრდებოდით, ყველას უხაროდა ჩვენი წარმატება, ბურჟუაზიული მიმართულების მწერლები არ ელოდნენ ჩვენს შეგავშირებას.“

ამავე გახეიის მე-2 ნომერში ს. ეული წერს: ჩვენ შევექმენით საკუთარი ორგანო „ქურა“. ძნელა წარმოდგენა იმისა, თუ რამდენი ენერგია დაიხარჯა იმისათვის, რომ ეურნალი პეპრობდა. ბევრი აგონებდა და ბევრი იქებდა ჩვენს ეურნალს. მისი რედაქციაც არ იყო დღიად აღფრთოვანებული, მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, ეურნალი მიიწე დიდი სანაშაირი იყო მუშათა კლასისათვის.“

ვინც გულოდგინედ განიხილავს ეურნალ „ქურას“, დარწმუნდება, რომ ეს მართლაც დიდი საწუქარი იყო მუშათა კლასისათვის, რომელიც პირველად კაცობრიობის ისტორიაში ვათავისუფლებული შრომის საკითხით სარგებლობდა და ენთუზიაზმი ჩქეფდა მასში, როგორც გახაფხულის მოვარდნილი ნიაღვარი.

„ქურას“ სცემდა სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: სილ. თორდია, რაქენ კალაძე, სანდრო ქურბიძე, როგორც ხევიით აღწინშეთ. ეურნალს არ ახლდა ნახატები და მხოლოდ მისი გარეკანი იყო გაფორმებული მ. თოიძის მხატვრობით: მის ვარდისფერ ყდაზე შავი საღებავით შესრულებული ნახატი

მედაა გორდელაძე

მურნალი „ქურა“ და მისი როლი ქართული საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბებაში

წარმოვიდგინა ქუროსთან მღვამ მუშას, რომელსაც ერთ ხელში ჩაქუჩი უქირავს, მეორეში — წიგნი.

ყურადღებას იქცევს ქურნალის გარეგანზე ფასის აღმნიშვნელი რიცხვი 25 ათასი მანეთი (ფულის გათფასურების ნიშანდობლივი ფაქტი ამ ხანაში).

ქურნალის პირველი ნომერა იხსნება სარედაქციო წვრილით „ჩვენი სიტყვა“. მასში განსაზღვრულია ქურნალის მიზნები: ქურნალი „ქურა“ იქნება პროლეტარული პოეზიის გამოცხადება. წერაში დაპარაკია პოეზიის, როგორც „სიბრძნის ერთი ღარკის“, მნიშვნელობაზე. ის განსაზღვრულია როგორც სიბრძნის მნიშვნელობის და ცოდნის წყარო. პოეზიის ამგვარი განსაზღვრება არც ახალი იყო და არც უჩვეულო. ახალი ამ ის იყო, რომ პოეზია განხილული იქნა აქოზის პროცესთან გასუერელ კავშირში:

„პოეზია-სიმღერა კაცთა კოლექტივთან ერთად იშვა. ის შვილია ამ კოლექტივის, შრომის და ბრძოლის და ამავე დროს ის უდიდესი მოწყობის ძალაა ამ შრომის და ბრძოლის ორგანიზაციისა. ამიტომ ამ ძალას თავისი შრომისა და ბრძოლის განსამტკიცებლად და მოსაწყობად იყენებდა.

ასე გამოიყენა ის და დღესაც იყენებს მას ბურჟუაზია თავისი კლასობრივი იდეებისა და წყობილების განსამტკიცებლად.

ხოლო პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში კეშმარიტი პოეზია შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარულ კომუნისტური და ამ რევოლუციური კლასის დიქტატურას გატარების როლი შეასრულოს.“⁵

ქურნალი საქვეყნოდ აცხადებდა, რომ პოეზია ხედავდა პროლეტარული ინდივიდუალურიდან — კოლექტიური, რომ ის იწყებდა ახალი როლის შესრულებას: „მან ხელი უნდა შეუწყოს პროლეტარიატს, რომელიც ისტორიულად მოწოდებულია თავის „ხატად და მსგავსად“ ახალი ქვეყნისა შექმნას“.

ქურნალი ასევე საქვეყნოდ ხაზს უსვამდა პროლეტარული პოეზიის ინტერნაციონალურ ხასიათს, რომელიც ამავე დროს კი არ გამოირიყვანდა, არამედ გულისხმობდა მის ერთგულ ფორმებს: „პროლეტარიატი მრავალი ეროვნული რაზმებისაგან შესდგება, ამიტომ პროლეტარიატი ლაპარაკობს მრავალ ენაზე. მისი პოეზია შინაარსით არის ერთი — პროლეტარული, კომუნისტური, მაგრამ ფორმით ის მრავალი დარგოვანია, ფორმით ის ეროვნულია“⁶.

ის, რასაც დღეს ჩვენ ფორმით ეროვნულ და შინაარსით სოციალისტურს ვუწოდებთ, ასე იყო ფორმისებური „ქურის“ სარედაქციო განცხადებაში: „ჩვენი პროლეტარული პოეზია იქნება შინაარსით პროლეტარულ-კომუნის-

ტური, ხოლო ფორმით პროლეტარულ-კომუნისტი“

წერილში მითითებული იყო, რომ პროლეტარული პოეზია თავის საკუთარ სკოლას ის-ის იყო ქმნიდა, რომ იგი ძიებდა იყო.

ამ ძიებისა და შექმნის პროცესში ასე იყო განსაზღვრული ქურნალ „ქურის“ დანიშნულება:

1. გადასინჯოს და გააჩიოს წინა ეპოქის ქართული პოეზიის შინაარსი და ფორმები, რომ ეს ისტორიული განძეულობა ახალი ქართული პროლეტარული პოეზიის ახალი ფორმის შესაქმნელად გამოიყენოს, რომ წარსული ქართული პოეზიის ზოგადი იდეებაც კი ახალი ასნა-ვანსაბრტებით ქართველი პროლეტარიატისთვის გამოსადევი გახადოს;

2. ჩარიოს და ჩააბას ქართულ პროლეტარულ მწერლებთან ერთად პოეტური შემოქმედების პროცესში ქართველი მუშები, რომ საერთო კოლექტიური ძალდონით შექმნას პროლეტარული პოეზიის ახალი ქართული სახეები, ფორმები;

3. მისცეს ქართველ მკითხველს პროლეტარული პოეზიის ნიმუშები პოეზიის ყველა დარგებიდან: ლირიკის, ბელეტრისტიკის და დრამის როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი. ერთი სიტყვით, „ქურა“ იქნება პროლეტარული ლიტერატურის მბატერული კრიტიკისა და პოეზიის ქართული სამუდლო“.⁷

ასეთ ვრცელ ამონაწერს იმიტომ არ ვებრუნებ, რომ ამ ქურნალის შესახებ არავის უსაუბრია ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში (ხოლო აქ-ივე ვაკვირს მოხსენებულ ცნობებში ბევრია უზუსტობანი, როგორც ეს ზევით დაივინახეთ) და ქურნალი „ქურის“ პროლეტარული მწერლობის ამ ჩვენი პირველი მერცხლის გადაჩენილი ნომრები ხელუხლებლად ინახება რესპუბლიკური ბიბლიოთეკის წიგნთსაცავში.

ქურნალი „ქურის“ მეორე ნომერში გამოქვეყნებულია „საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის დეკლარაცია“. მასში ჩამოყალიბებულია პროლეტარული ლიტერატურის ძირითადი პრინციპები და ბრძოლა აქვს გამოცხადებული ხელაივნებაში ანტიბალისტურ მიმდინარეობას.

დეკლარაციაში ნათქვამია, რომ საქართველოში გასამკუებამდე არსებობდა პროლეტარულ-რევოლუციური ლიტერატურა, თუმცე ეს ლიტერატურა არსებობდა იმდენად, რამდენადაც არსებობდა პროლეტარიატის რევოლუციური მაქისცემა პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლაში, მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურის აღიარების შემდეგ და საბჭოთა წყობილების დამკვიდრების დიდმა „პროლეტარული ლიტერატურა ყალიბდა ორგანიზაციულად და ფრთებს შლის იდეურად, ისე როგორც

პროლეტარიატის სხვა შემოქმედება საბჭოთა სისტემის სხვადასხვა სფეროში.⁴⁸

დეკლარაცია აღიარებდა პროლეტარულ ლიტერატურის ზედმიწევნით გამოხატულ კლასობრივ ხასიათს, ხაზს უსვამდა დროის ტემპებს, ტექნიკის უდიდეს მიღწევებს ორთქლისა და ელექტრონის ბატონობის საუკუნეში. პროგრესისაკენ წინსვლის ზოგად ტენდენციას და მეთოთხედდა: საქართველო ელის ამ მეოცე საუკუნის კულტურის სხივებს.⁴⁹

საზოგადოებრივი ცხოვრება ახალ ფორმებს, იწვევდა მწერლობაში, ახალი აზრები ახალ სტილსა და შინაარსს ეძებდნენ და პროლეტარული ლიტერატურა ამ ძიების პროცესში იშვოფებოდა 20-იან წლებში. აქურა⁵⁰ ილუმინირებდა მოდერნისტული ლიტერატურული მიმდინარეობის წინააღმდეგ, რომლებიც საბჭოთა წყობილების პირველ წლებში ისევ აგრძელებდნენ ძველ ლიტერატურულ ხაზს და ამით სრულ წინააღმდეგობაში ვარდებოდნენ სოციალისტურ სინამდვილესთან. ეშოხალი აქურა⁵¹ გადაქრით ემიჯნებოდა მათ, თავის დეკლარაციაში ის სრულად არა ორქოფულად აცხადებდა:

„თანამედროვე საქართველოს მწერლობა თავისი დეკლარაციებით, რომლიდანაც ლოდიურად გამოდინარეობს: ფუტურებში, სიმბოლიზში (ჩვენებური «ყანწლები») და სხვა მიმართულებები, მაჩვენებელია უსათუოდ არსებული საზოგადოების დაშლის, და ჩვენ ვუცქერით მას, როგორც მიუღებელ ფორმას მუშათა კლასისათვის.

ისინი არ შეიძლება საფუძვლად დავდოს პროლეტარიატის მხატვრულ შემოქმედებას, რადგან პროლეტარული ლიტერატურა, როგორც იდეოლოგიური კლასიკური მოვლენა ისტორიულ მსვლელობაში დებულობს საერთო საკაცობრივ ხასიათს როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ.⁵²

პროლეტარული ლიტერატურა, მიდის რა ახალი ფორმების და მეთოდების შექმნის გზით, იშვოფება რა საუთუარი სკოლის შექმნასა და ძიების პროცესში. „ცდილობს გამოიყენოს ყველა ის მიღწევანი, რომელიც კი არსებობს თანამედროვე ბუნებრივ ლიტერატურაში.“

დეკლარაციის ეს ადგილი აშკარად გვიჩვენებს, რომ ჩვენი პროლეტარული მწერლები არ უარყოფდნენ წარსულის კულტურულ მემკვიდრეობას, ყოველივე ჯანსაღს, სიცოცხლის უნარს, რაც წინა თაობათა ინტელექტუალურ მონაპოვებში იყო.

ანატოლ ლუნაჩარსკი, პროლეტარული კულტურის დიდი მცოდნე და მკვლევარი, 1922 წელს მოსკოვის უნივერსიტეტში წაითხულ საჯარო ლექციაში იმდენად აცხადებდა: პროლეტარიატი უთუოდ შექმნის თავის ხელოვნ-

ბას და პროლეტარული ხელოვნების მოღვაწეთა აღზრდა სხვაანირად არ შეიძლება, თუკი მხატვრული სიტყვის უდიდეს ოსტატთა ნაწარმა ფალსეო.

მაგრამ წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ათვისება პროლეტარიატის მხრივ ხდებოდა შემოქმედებითად, კრიტიკულად.

ქართველი პროლეტარული მწერლობის კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ თეოფილ გორტის ლოზუნგს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, რომლის ანტიხალხურობა განსაკუთრებით სოციალისტურ სინამდვილეში გამოიყვანებოდა.

„ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ ვუარყობთ მწერლობაში იმ აზრს, ვითომ შესაძლებელი იყოს და არსებობდეს ხელოვნება ხელოვნებისათვის. ხელოვნება ცხოვრების გარეშე ფიქცია და ვინც ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს, ის კუთხის გარეშე დგას.“⁵³

დეკლარაციაში წამოყენებული იყო როგორც სამოქმედო პროგრამა შემდეგი ლოზუნგები:

1. ჩარტვა და ჩაბმა ქართულ პროლეტარულ მწერალთა პოეტური შემოქმედების პროცესში ქართველი მუშებისა, რომ კოლექტიური ძალიანით შეიქმნას პროლეტარული ლიტერატურისთვის ახალი მეთოდები, ფორმები და სტილი;

2. მიეცეს ქართველ მკითხველს ნიმუშები მხატვრული ლიტერატურის ყველა დარგებიდან — ლირიკის, ბელეტრისტიკის, დრამის, როგორც ორიგინალური ისე თარგმნილი.

3. გამოყენება იმ მოღვაწეთა, რომელიც კი არსებობდა, წარსულსა და თანამედროვე ქართულ თუ უცხოელთა ლიტერატურაში.⁵⁴

აღსანიშნავია, რომ დეკლარაციის მთელი რიგ პუნქტები წარმოადგენს ეურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნებული პროგრამული დებულების სიტყვა-სიტყვით გაშვობას.

დეკლარაციის ავტორები აცხადებდნენ:

„პროლეტარული ლიტერატურა ჩვენში განსაკუთრებით ახალგაზრდაა, არც ფორმით; არც სტილით არ არის სრულქმნილი, მაგრამ ჩვენ ვამტკიცებთ მინც ერთს: რომ ის არის ერთადერთი ნამდვილი მხატვრული ლიტერატურა, რომელიც დასაწყისს პოულობს ჩვენს გარდაშვალ დროში და რომელსაც ძალუქს განვიითარდეს და დაიპყროს სულიერი კულტურის მწვერვალები.“⁵⁵

ჩვენს მიერ განხილული ორი დოკუმენტიდან აკარა ხდები, რომ ქართველი პროლეტარული მწერლები იმდენად, კლასობრივი თეორიკუნიებით აღსაყვ გამოდიოდნენ სამწერლო ასპარეზზე, მაგრამ მათი სურვილები გაცილებით აღე-

მედია გორდელაძე
მშრნალი „შობა“ და მისი როლი მართლში
საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბებაში

მატებოდა მათ რეალურ მხატვრულ შესაძლებლობას, რაგორც ამას თვალნათლივ ვხედავთ ეურნალ ლიტერატურულ პარულექციის განხილვისას.

ახსანიშნავია, რომ „ქურამ“ თავისი მოღვაწეობის პროგრამული დებულებები ლექსებადაც ჩამოაყალიბა. ესაა ეურნალის პირველ ნომერში დაბეჭდილი ტ. სვანიძის ლექსი „ჩვენი აღსარება“. აქ არის ასეთი დამახასიათებელი სტრიქონები:

მშრომელთ მომავალს ვეცით თაყვანი,
დავამეთ ჩვენ ყველა ძველი ხატება,
მშრომელთ უბანში ვპოვეთ აქვანი,
ჩვენი სავანეც იგი გახდება.

... ჩვენ ხმებას ვაძლევთ მაშვრალთა ძახილს,
ჩვენ მათ რიგებში მზად ვართ ვიბრძოლოთ.
მზად ვართ შევწიროთ თავი მათ წადილს;
მათთან ვილხინოთ, მათთან ვიშრომოთ.¹³

ლექსი, რაგორც ვხედავთ, სუსტია მხატვრულად, მაგრამ ეს არის დემოკრატიული, ე. ი. საყოველთაო სახალხო ლიტერატურის ნაწარმოები, რომელიც გულწრფელობით და პროლეტარულ სისასილავით გამოირჩევა.

„ქურამი“ დაბეჭდილი ლექსები სხვადასხვა მხატვრული ლირების არიან, მაგრამ ყველა მათგანში ელერს ცხოვრების სიხარულის, გაღვიძების, ძალის, სინათლის და მზის, ბრძოლის და შრომის მოტივები. ეს ლექსები, ლუნაჩარსკის გამოთქმა რომ ეხმარებოდეს, აღსავსეა კომუნისტური ემოციებით.

რევოლუციური სინამდვილის ნათელი და მხარული ათვისება, მიძიმე წარსულისადმი სიძულვილი და რევოლუციის მტრებისადმი რისხვა. შრომის დაუმცხრალი ერთუზიანობა — ეს თვისებები განსაზღვრავს, პირველ რიგში, ქართული პროლეტარული პოეზიის ნიმუშებს „ქურამში“.

რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ეურნალი ახასიათებდა რა „კუზნიცის“ პროზაიკოსებს და პოეტებს. ძველი ბოლშევიკი პუბლიცისტი ა. ვირონსკი წერდა:

„ამ დღებში, როცა დადუმდა ძველი დიდი ლიტერატურა და მხატვართა დიდი უმრავლესობა, მრისხანებით, შუიით, წერილმანი მძულვარებით, გაუგებრობისაგან გაშეშებული თვლებით, კასტური შეზღუდულობით, შიშით თავისი კომფორტისადმი, გამოვდა დაჩაგრულთა გიგანტურ ამბოხებას, რათა შემდეგ სრულად დადუმებულიყო, დამუნჯებულიყო, — სარდაფების, სხვეწების, ქარხნების, მაღაროების, სოფლური ქოხმანების მწერლები პირველად აღაპარაკდნენ მთელი ხმით.“¹⁴

პოეტების უმრავლესობა ეურნალში ფსევდონიმებით არის წარმოდგენილი: ნ. ზომლეული, ფეოდოსიშვილი, შრომისშვილი, შინა-

ტეხილი, ისახარ, კურსებელი, სეფისპირელი, პარულესი, ვაკელი, ეული და სხვ.

დღეს უკვე ძნელი, თითქმის შეუძლებელია ვახლა ზოგიერთ ფსევდონიმების გამოფერა, მართალია „ქურამში“ ამ უცნობი ფსევდონიმების ქვეშ არ ვხედავთ პროლეტარულ პოეზიის შედევრებს, მაგრამ საქმის ნამდვილი ვითარების დასადგენად უნდაჩავსდეს სისურველია მათი ავტორების ნამდვილი გვარისა და სახელის ცოდნა. ვინ არიან მავალითად, ისახარ, კურსებელი, პეტარდა, რომლებიც თითოთითო ლექსებით არიან წარმოდგენილი ეურნალში? ამის ახლა, ყველაზე გულმოდგინე მკვლევარაც ვერ მოიკვლევს.

ცნობილია მხოლოდ ის ფსევდონიმები, რომლის პატრონები შენდომილიც განაგრძობენ წერას. ესენია: კალე ფეოდოსიშვილი — ეკუა, კალა (კირილე), სანდრო ეული — სანდრო ქურიძე, ნ. ზომლეული — ნიე ქურიძე, ა. შრომისშვილი — საშა გოთოშია, გ. შინატეხილი — გორგი მანთაშვილი, სეფისპირელი — ქ. ჩხაიძე, თავუნა—შალვა შარაშიძე, ეშმაკი—ნესტორ კალანაძე, ობოლი მუშა—სოლომონ თავაძე.

„ქურამში“ გამოქვეყნებული ლექსები ძირითადად შრომის სიმღერებია, მღერაინ მკვლევები, კალატოზები და ქარხნის მუშები, მღერაინ მანქანები და ქურები, სამკვდლოები და გრდემლები, მღერის მთელი შრომის სამყარო. ამ სიმღერებში ერთი რამ არის თვალში საცემი: მათში ძველებური ინდივიდუალზმის ნასახსაც ვერ პოვებთ, აქ ყველაფერი კოლექტიურია.

აღ. ჩხაიძის უსათაურო ლექსში საუბარი წარმოებს მთელი კოლექტივის სახელით, პირველი პირის მრავლობით რიცხვში; ისე როგორც ეურნალში გამოქვეყნებული ლექსების აბსოლუტურ უმრავლესობაში „ჩვენ ძველ სამყაროს გადავუსვით ხახი“. ნათქვამია იქ, არმაზსაც კი აღარ ვუხრით თავსო, რადგან

მეორედ მოხვლა ჩვენთვის დაიწყო
ჩვენია ქვეყნის მართვა და ტრონი,
და როს უამს ყუთში ოცი დაიწყო,
აწ, მომავლისა ჩვენ ვართ პატრონი.¹⁵

ეს უნივერსალური სიტყვა „ჩვენ“ თითქმის ყველა ლექსში გვხვდება, ხშირად ის თვით ლექსების სათაურებში ელვარებს: „ჩვენ წინ მივდივართ“ (ი. შრომისშვილი; „ქურა“ № 2, ჩვენი სახე“ (Petrosა „ქურა“ № 2); „ჩვენ“ (დუბენსკი, „ქურა“ № 2); „ჩვენი სიმღერა“ (კ. ფეოდოსიშვილი, „ქურა“ № 1).

ამ ლექსების ძალა სწორედ ამ „ჩვენშია“ და არა მათ მხატვრულ ლირსებებში. მაგრამ ეს „ჩვენ“ უფრო სრულად გამოხატავდა მოცემული დროის სოციალურ არსს, ვიდრე პოეტური ბრწყინვალეობით აღბეჭდილი ლექსები. „ცისფერი ყანწების“ ან „აქადემიური ჯგუფის“



პოეტებისა, რომლებიც ძველებურად ინდივიდუალუზმისა და მისტიციზმის სამყაროში ტრიალებდნენ.

კლასობრივი შეურავებლობის გრძნობა და ოპტიმიზმი მძლავრ ნაყადად ჩქვეს პროლეტარულ მწერალთა ლექსებში:

ვერვან დავემრეტს აწ ბრძოლის წყურვილს,
და ვერ გაგვიტებს აწი ჩვენ გულბებს,
ვერც შეგვარიგებს ჩვენ ძველ ქვეყანას
მის წინააღმდეგ აჯანყებულებს.

ან კიდევ:

ჩვენ წინ მივდივართ ცეცხლოვან ბრძოლით
რწმენით, იმედით და აღმაფრენით,
ჩვენ არ მოველით სხვის დახმარებას
ეკლიან გზაზე გზას ვიკვლევთ ჩვენით.¹⁶

(ი. შრომიშვილი — „ჩვენ წინ მივდივართ.“)

კლასობრივი თვითშეგნების და საკუთარი ძალების რწმენით არის აღსავსე დუბენსკის ლექსი „ჩვენ“:

ჩვენ ურიცხვი რაზმები ვართ,
ცეცხლს ვუკიდებთ ძველ დროებს,
ტახტს ვუშენებთ ჩვენს მომავალს,
ჩვენს სიყვარულს, ჩვენს ერთობას

პროლეტარული შეყავშირების, კოლექტივის ძალა განსაკუთრებით რელიგიურად გამოთქვა ი. ხინველმა ეურნალის პირველ ნომერში დაბეჭდილ ლექსში „ქარხნის ხმაურია“:

განა სუფევს ქვეყანაზე მხოლოდ მარტო მე
და შენა?
მასზე უფრო ძლიერია შენის მგვრელი ყველა
„ჩვენა“

ასე თანდათან, პროლეტარულ სოლიდარობის ტალღა ქართული მუშების შეგნებას ამაღლებდა კომუნუზმის ფუძემდებელთა დიდი მოწოდების დონემდე:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ავი ეურნალის გაერკანზე ისე, როგორც ყველა დღევანდელ საბჭოთა პერიოდულ გამოცემებში, ლამაზი ასოებით არის გამოყვანილი ეს მოწოდება.

ლექსებში ერის პროლეტარული ხანის პირველი დღეების სული, მასების უჩვეულო შემართება, გმირული აწყო, წარსული მომავლის თვალსაზრისით დანახული. აქ ყველგან დინამიკა, მოძრაობა, ბრძოლის სულია, საიერიშო განწყობილება ძველი სამყაროს მივწე ჩვეებისა და ტრადიციების წინააღმდეგ, კოლექტიური ძალის ზეიმია ქვეყნად გამეფებულ ბორტებზე:

დღეს დრო დაგვიდა, ცეცხლად ვიქცით,
გადავწვით მთელი ცეცხლის ენებით,
დავეჭრებთ ყველგან ელვის სისწრაფით
გამაღებული რაშის ჰენებით.
პარაზიტების ვანგრეთ ჩვენ კოშკებს,

არა მგონია, ბრძოლა წავავით
და მის ნანგრევზე ვვსურს ჩვენ ერთობა,
და სიყვარულის ტახტი ავაგოთ.¹⁷

(Petrosa „ჩვენი სახე“)

და ყველგან კოლექტივიზმია თავის ძლიერებასა და დაუსრულებლობაში, პროლეტარული მწერლობის ამ თვისებას გამოხატავდა სიტყვები ბენიამინსკისა:

Кого прославить нам?
Всю комсомолу
Иль одного Петра?
Ну это ясно: Всех!

ამ გარემოებას რომ აანალიზებდა 1931 წელს, მაშინ ჯერ სულ ახალგაზრდა კრიტიკოსი გიორგი ნატროშვილი, წერდა, „ამ ნიადაგზე კოლექტივიზმის მაგიერ ვიღებთ მექანიკურ ჯამს ცალკეული ერთეულებისას“.¹⁸ რომ ცოცხალი ადამიანების ლოზუნგი რუდიმენტად იქცა, რადგან აღიარეს: არის მხოლოდ კლასობრივი ადამიანი. „ცოცხალი ადამიანის ლოზუნგი — წერდა ახალგაზრდა კრიტიკოსი—ყო პროლეტარული მწერლობის განსაზღვრული ეტაპი, დღეს ამ ლოზუნგმა შეასრულა თავისი ისტორიული დანიშნულება და მისი მოხსნა დღის წესრიგიდან აუცილებელია“.¹⁹

ამრავალ, ე. წ. დღეიზიონიზმი, რომელსაც ასეთ სასტიკ ბრძოლას უცხადებდნენ ფუტურისტები და სხვა დეკადენტური სკოლები, ბუნებრივად და უშუალოდ შემოვიდა პროლეტარულ პოეზიაში, შემოვიდა როგორც კლასის ძალა, როგორც ისტორიის კატეგორიული იმპერატივი. მაგრამ ეს მომენტი პროლეტარულ მწერლობაში 1930 წლისათვის უკვე გახდა განვლილი ეტაპი და უნდა მოხსნილიყო დღის წესრიგიდან.

„ქურაში“ დაბეჭდილი ლექსების უდიდესი ნაწილი შრომისადმი მიძღვნილი. ამ ლექსების განუყრელი ატრებუტებია: ქურა, სამკედლო, ქარხანა, ცეცხლი, გრდემლი.

წ. ზომლეთელის ლექსში „ჩვენს ქურას“ არის ასეთი სტრიქონები:

რწმენის გრდემლზე მე იმედის შანთხა ვხედავ,
მეკარტლანი ეს სამკედლო შევიყვარე

რწმენის გრდემლი და მეკარტლანი სამკედლო — როგორც სულიერი და ხორციელი საწყისი. ისე შეერწყო პროლეტარულ პოეზიას, პროლეტარული პოეტის პირველი სიტყვა შრომისა და შრომის იარაღებისადმი მიმართული. ქურისადმი მიმართული წ. ზომლეთელის სიტყვები:

მედმა გორდელმაქა
შშრნალი „შურა“ და მისი როლი ქართული
საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბებაში

რა ვუყოთ, რომ წელთა ხელთა ჩერ

ყმაწვილი ხარ,

შორს წარსულის ხამკვიდრო მაქვს და

ანდერძი,

ტანჯვისა და სიედის ბაღში აღზრდილი ხარ,

ტბილ მომავალს ხელთ გიპყრია ყოფნის

ღერძი.²⁰

კაპიტალიზმის ეპოქაში მეწარმეთა და მუშათა შორის ურთიერთობის ისტორია საგვსა ისეთი სტრუქტურის შემთხვევებით, როცა მუშები ამტრევენ შრომის იარაღებს, ასე ვთქვათ, მათზე იყრან ჩაერს საზოგადოებრივი შრომის შედეგთა კერძო კაპიტალისტური მიტაცების გამო. პროლეტარულმა პოეზიამ თავისი პოეტური აღმოფერვის საგნად აქცია შრომის იარაღი, რადგან მისი შემწეობით ექმნება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქცია, რომელიც ნაწილდება პრინციპით: „ვინც არ მუშაობს ის არც ჭამს“.

ახალი დროის ეს უდიდესი მოვლენა აისახა ნ. ზომლეთელის ლექსის სტრუქტურებში:

რახად გავხედ, ის უკლისად მეკუთვნის მე,
ჩვენს კავშირში შიშია არ მაქვს ვეყვო ვისმე,
ჩემს დაჩაგრას ქვეყნად ვერვინ ვერ გახედავს.
და ა. შ.

და ი. ვაკელი ლექსის სტრუქტურებში—„დღეს მანქანები გვიცხადებს ძმობას“.

შრომის ამ ახალ პირობებში პროლეტარულმა პოეტებმა ფარზე აზიდეს ქურა და გრდემლი, ჩაქუჩი და ურდ:

გაიქმდე, ხამელო ყოფნის რგოლო,
შემოევდე დედამწიფას როგორც ხალტე,
აღარ გვინდა ამ ჩვენს ციავს ჰქონდეს ბოლო,
რადგან უპასუხლას მძიმე ტვირთი შევამჩატე.
აწ შენს ირგვლივ შეკავშირდეს შექმნის ძალა,
გაიქმდე უკვავი და ურღვევილი—²¹

ეს სტრუქტურებიც ქურისადმი მიძღვნილი და ისევე ნ. ზომლეთელის კლასიკურების მთელ რიგ ლექსებში შრომის პროცესის ცოცხალი დინამიური სურათია დახატული.

პროლეტარულმა პოეზიამ ყველაფერი სიმღერის საგნად აქცია, რაც კი შრომასთან არის დაკავშირებული: ღვედები და ორთქლის ღვარი, ქარხნის მიწები და მოტორები, კბილანა და ბორბალი, ოფლიანი მკერდი და მუშური შრომის სიმღერის ძალა.

ლექსში „დილა შრომის უბანში“ (ყურნალი „ქურა“ № 2, ნ. ზომლეთელი) შემოგვესმის გრდემლის წკრალი, უროსა და ჩაქუჩის ხმაური. და დილის ფონზე შრომის უბანში აღმოფერვით ნათქვამი პოეტის სიტყვა:

რა ექნა, რომ გული ამაზე უფრო
სრა-სახახლებს ვერ შეიყვარებს?²²

სანდრო ელმა საბერკლის ქმნივისა და

გრდემლის ხმაურში, ცეცხლის ბერვისა და ნაპერკლის ელვაში ასე ჩამოაყალიბა მომავლის პანტეზე მუდღის სიმღერა:



წარსულის ნანგრევებზე სახახლე ავაგე,
იმედის სახახლე წითლად შენადები,
ჩაქუჩის ცემშია წარსული ვაძაგე,
ნაპერკლებს მივეცი, რაც მქონდა დარდები.²³

გ. შინატეხილის ლექსში „სამშედელოში“ გამოხატულია კლასობრივი სოლიდარობის გრძნობა სოფლის მშრომელებისადმი.

სოფლის მუშებს გავუეთოთ
თოფი, ბარი, ხაქვრეტელი,
წალდი, ცუდი გასათოფი,
სახნის—ხაკეთ—სახეხელი.

დავულოცოთ მათ მარჯვენა,
რომ ქვეყანა ააშენეს
და თვის ოფლით მრავალფეხად
მოქარავს და დაამშენეს.²⁴

მთელ რიგ ლექსებში იგრძნობა გუშინდელი სილუქტირის ცოცხალი ანარეკლი, ჩაგვრის სამყაროს გამოძახილი, რომლის ხსოვნაც ჭერ ასეთი ახალი იყო იმ შორეულ 1922 წელს.

ჭერ კიდევ სულ ახალი იყო წარსული სილუქტირის ხსოვნა, გუშინდელი ბრძოლის ხსოვნა, რევოლუციის ბარიკადებზე და ის ბუნებრივად მიჩქვდა პროლეტარულ პოეზიაში.

პეტე სამსონის „ცეცხლის ხებში“ („ქურა“ № 1) ვიცოცხლდა ოქტომბრის დაღვიწყარი დღეები, ბარიკადებზე დაღუპულთა ხსოვნა, იმ დღეების ხსოვნა, როცა რევოლუციის მძლე სიმფონია გახდა მთელი ქვეყნის მეფე—გენია. სიმართლის მტრებზე მილიონთა შურისძიების ზეიმი აისახა კ. ფეოდოსიშვილის „ცეცხლის ზარებში“ („ქურა“ № 2). ამ შურისძიების გამოხატველია სტრუქტურები იაკინთე ლისაშვილის ლექსიდან „სტიკია“.

სუნთქვა შეწყვეტილს და გარინდებულს
დღეს ძველ სამყაროს გავუთხრით საფლავს.

შურისძიების ეს მოტივები გამარჯვებულ პროლეტარიატისთვის არ უღერს მოულოდნელად და უადგილად: ირგვლივ კვლავ იგრძნობა კლასობრივი მტრის ბორბო ზრახვები—ხელი შეუშალოს ახალს, მზარდს, გამარჯვებულს, კიდევ არიან ურწმუნოები, მხალეები „სიმართლის ცეცხლით ვინც არ ენთება“ და ამიტომ თავისთავად იბადება ისეთი სტრუქტურები:

თუ უცაბედად ხიმართლის გუშავს
მტერი წამოშწვდა ბნელეთის ქიმიო,
მომკლან, მომავალ გამარჯვებისთვის
მოვკვდები პირზე ნეტარის ღიმიო.²⁵

(ფ. აკოფიანის „ღარაჯი“, თარგ ისახარისა)

ან კადევ სტრაქონები კ. ილოშვილის ლექსიდან „რისხვა“:

დაიგუგუნებს განთიადის მარსელიოზა
და შეჩვენებით შეუთვლიან ძველ კარპებს
რისხვას.²⁶

ო. ხინველის ლექსიდან „ქარხნის ხმაური“:
მხოლოდ კარგად დახსნომე — არ იძინებს
მტერი ავი,
თავდაცვისთვის, ბრძოლისათვის ყოველ წამში
მზად იყავი.²⁷

ო. შრომისშვილის ლექსებიდან ძველი და ახალი:
და ბრძოლა არის ბნელეთსა და ხინათლეს
შორის
სიცოცხლის ქურა კი ვაგვიზებს და იხვრის
აღებს.²⁸

„ქურაში“ დაიბეჭდა ერთადერთი პოემა. ეს არის ს. ეულის „მეფე მემანქანე“, მისი შინა-არსი ნახვერად აღეგორებულია, ახალგაზრდა უწყვერულგაშო კაცმა. არც წლოვანება იცის, არც დაბადების ადგილი, აღზარდა დედინაცვალმა.

მის მიერ აღმოჩენილი მანქანა მემანქანის ყველა სურვილს ასრულებს.

მანქანის პულტთან თეთი გამომკონებელი, მეფე-მემანქანე, ნგრევა შენებს რეგულიატორი ილგა. „მეფე-მემანქანე“ თეთრი ლექსია, შეიძლება ითქვას, მხატვრული თვალსაზრისით ყველაზე უფრო გააზრებული ლექსია ქურნალ „ქურაში“ მთელ პოეტურ ბროლექციაში.

ასეთი ქურნალ „ქურაში“ წარმოდგენილი პოეზია თავისი თემატიკითა და სოციალური დიაპაზონით. მხატვრული თვალსაზრისით ესენი ვერ უძლებენ ვერავითარ კრიტიკას, მათი მთავარი ღირებულება ის არის, რომ გამოხატავენ მოცემული დროის სოციალურ ახლს, პროლეტარული ეპოქის დემოკრატიულ განწყობილებებს.

„ქურაში“ გამოქვეყნებულ პოეზიის ზემოთ განხილულ ნიმუშებში ენის მხრივ სკიმე დაახლოებით ასე დგას: ქარაული პროლეტარული მწერლები რატომღაც ერთდებოდნენ სპეციფიკური მუსიკის გამოყენების ხმარებას, თითქმის ვერ შეხვდებიან ამ ლექსებში ძირლიან ხალხურ სიტყვებს, რომელთა უშირეტი მარაგი მუდამ არის ხალხის წიაღში. ამ მხრივ ქურნალი „ყუმარა“ უფრო მდიდარია. დაახლოებით იგივე მდგომარეობაა „ქურაში“ დაბეჭდილ პროზაულ ნაწარმოებებშიც, მასალათა დღა-გებაში ქურნალის რედაქცია ერთ გარკვეულ წესს მისდევდა: ქურნალის პირველი ფურცლები პოეზიას ჰქონდა დათმობილი, შემდეგ პროზას და ბოლოს, როგორც ეს დღეს გვაქვს თითქმის ყველა ქურნალში, კრიტიკას, ბიბლიოგრაფიას და ქრონიკას.

ქურნალი ღარიბია ორიგინალური პროზაული ნაწარმოებებით. აქ თარგმნილი ან გადმოსცემებული ლიტერატურა სჭარბობს. მაგრამ ერთი გარემოება ერთბაშად თვალში საცემია: პროზაული ნაწარმოებები მხატვრული თვალსაზრისით უფრო მაღალ დონეზე დგას, ვიდრე პოეტური.

თემატიკურად პროზაული ნაწარმოებებიც საკითხების დაახლოებით იმ წრეს მოიცავს, რითაც ცოცხლობდა მაშინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ატმოსფერო. აქაც ძლიერია ისევე წარსულის გამოძახილი. მაგრამ ეს წარსული 1922 წლისათვის გუშინდელ დღეს გავდა. ამ გუშინდელი დღისადნა მიძღვნილი იაკონთე ლისაშვილის მოთხრობა „თავის დაღუპვა“, რომელსაც ქვესათაურად აქვს „სურათი გურიის ცხოვრებიდან“.

ღარიბი მრავალშეიღიანი ოჯახის უფროსი ვაჟიშვილი, 15 წლის მეღენტი გადაწყვეტს თავის მეზობელ სიკოიას გზას დაადგეს გავირეებიდან თავის დასაღწევად — ქალაქში მოჯამაგირად დაუდგეს რომელიმე მდიდარს.

მეღენტი ალამე მოჯამაგირეობას ვერ შეეგუა. ერთმა ღვთისნიერმა მუშამ, რომელსაც წინ ორი პარასკევი აღარ ჰქონდა, სტამბაში მოაწყო ასოთამაწყობად. გამოუგულ მდგომარეობაში ჩაგარდნად მეღენტი იღუპება პოლიციასთან შეტაკებაში და გაუხედურებელი მშობლები მის საფლავსაც ვერ პოულობენ. მოთხრობაში განვითარებული ამბები ხდება ოქტომბრის რევოლუციის წინახანს. დაწერილია ქუთაისის ციხეში 1920 წელს.

მარტალი, ეს სიდუხჭირე პროლეტარიატისათვის უკვე განვლილი ეტაპი იყო და მსგავსი სოციალური ბორტუბისათვის აღარავითარი საფუძველი აღარ დატოვა საბჭოთა სინამდვილეში, მაგრამ პროლეტარიატი უბრალოდ არ იფიწყებდა თავის მიმე წარსულს.

ლირიკულ ეტიუდში „ნგრევა-შენების პროცესში“ ს. თალაკვაძე ორი ეპოქის მიჯნაზე მყოფი ადამიანის ფსიქოლოგიურ განცდებს გადმოსცემს სოციალურ ასპექტში. „ტკივილებს განვიციდოდი, მოსვენება დამკარგოდა სული მეფობაჩეპოდა, ჩემი ძმა ჩნებოდა ხმად მდაღადღვლისა უღდაბნოსა შინა“²⁹—ასე გადმოსცემს მარტოულობის ტრაგედიას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ავტორი. იგივე სულიერ მდგომარეობას განიცდიან მისი თანამომენნი, „მათაც სტკიოდათ, ისინიც საჭიროებდნენ თანგარძნობას“. მაგრამ ბურჟუაზიული ინდივიდუალისტური განკერძოების კედელი ყოფდა მათ ერთმანეთისაგან.

დაიწყო იმპერიალისტური ომი. არყოფნის-

მეღმა გორდლაქში
ქურნალი „ქურა“ და მისი რომელი ჰარმონული საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბებაში



კენ ექანებოდა მსოფლიო და თავისი პირადი განცემების ინდივიდუალისტურ ნაკუთში მოქცეული ლირიკული გმირი გამოერკვა, მიხვდა, რომ მას ადამიანებთან ბევრი საერთო ჰქონდა და ამ შეგნებით ფრთაშესხმულმა ვასახა ქვეყნიერებას: „შეაჩერეთ! გამოიღვიძეთ, გამოერკვეთ! მოიკრიფეთ ძალღონე, ამოიღეთ ხმა, გაეცით პასუხი ჯეროვანად ამ კარზე მომდვარ ყოფნა-არყოფნის საკითხს“.

ამ ძახილმა, ამ შეგნებამ ის გამოიწვია, რომ ერთი ბედის ადამიანებმა იპოვეს ერთმანეთი: „აღარ ვგრძობთ მარტოობას. მიხარია, მიხარია, რომ ჩვენ ერთად ვართ. ჩვენ ვცაპირდებით მზის სხივებს. დღეს ჩვენ ერთად ვართ. ერთად შევესევით მსოფლიო გამანადგურებელ ძალას“.

და იწყება ერთობლივი ბრძოლა, „რომ დანგრეული ავაშენოთ, რომ ნანგრევებზე ავაგოთ ახალი კოშკი ჩვენი სამყოფი, ჩვენი სოლოცები ტაძარი, წმიდათაწმიდა ადგილი...“

ჩვენ ჩაეპირეთ ნგრევის ცეცხლი, ვადვიებთ შენების ცეცხლს. შეუთოთ მას მან უნდა დასწყეს ძველი, ხავსიანი, მასში უნდა გამოიქვდოს ახალი — ჩვენი სულის ფოლადი“.

ასე განიდა ის ყოვლადმღებრი „ჩვენ“, რომელსაც, როგორც ქვეყნის გარდამქმნელ ძალას, მთელი ხმით უმღეროდნენ ქართველი პროლეტარული პოეტები.

მშრომელი ადამიანის განახლებულ ენერჯიას, მის ახალ შემართებას და დიად ისტორიულ მისიას უმღერის ჟურნალის მეორე ნომერში დაბეჭდილი ალ. გუცევიჩის ლირიკული ეტიუდი „ზარბები“.

თუ პირველ ლირიკულ ეტიუდში გმირი ცოცხალი, რეალური ადამიანი იყო (თუმცა განზოგადოებული), ამ ეტიუდში ლირიკული გმირის როლში გამოყვანილი არიან ზარბები. ეს ზარბები მთელმა ქვეყანამ ჩამოასხა შეერთებული ძალით.

„მთელი ქვეყანა გეკმინდა ჩვენ და ჩვენც ეცემო ყოყინას მთელ ქვეყნისათვის. ჩვენ ვართ ქმნილება მშრომელების“.

ასეთი მასალების გამოქვეყნებით ჟურნალი „ქურას“ ეხმარებოდა მსოფლიო რევოლუციის პროცესში დაწყებულ ძირეულ შემოტრიალებას, ატარებდა თავის პროლეტარულ კლასობრივ თვალსაზრისს, თავის მკითხველებს უფითარებდა მაღალ ინტერნაციონალურ თვითშეგნებას.

„ქურას“ პოეზიაზე უფრო მეტად ჰქონდა რიგობა ელიტა, ვიდრე პროზაზე (თუმცა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, პირველში გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე მეორეში) და შეიძლება ამ აშკარად გამოხატული ტენდენციით ავსხნათ ის გარემოება, რომ პროზაული ჟანრებიდან, უპირველეს ყოვლისა, და უფრო მეტად ლირიკულ ეტიუდებს ეტანებოდა. ზოგი ამ ეტი-

უდებიდან თვით ლექსს გაესამხრებდა, კუთრებით აღსანიშნავია ჟურნალის ნომერში გამოქვეყნებული ვ. პეტრუნივის „ვაზაფხულის სიმღერა“.

ეტიუდი მაღალმატერულ დონეზე დაწერილი. თარგმანიც მაღალხარისხოვანადაა შესრულებული, მაგრამ, სამწუხაროდ, მთარგმნელის ხელმოწერაღაა გამოქვეყნებული.

ვაზაფხულის სურათის ფონზე აქ წარმოდგენილია ადამიანის ჯანსაღი სულიერი განწყობილება, ბუნებასთან შენივთების ადამიანური ღრთოღვა. მიწა სუნთქავს სითბოთი, სიცოცხლის ახალი სიხარულით, თავისუფლდება ზამთრის ბოროტებისაგან და ზეიმობს, მღერის.

ეს ვაზაფხული პროლეტარული ერის სიმბოლური სახეა ავტორის ჩანაფიქრით და ამიტომ მოხდა ეს ეტიუდი „ქურას“ ფურცლებზე.

„ქურას“ ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ქართული პროლეტარული მწერლობის წინაშე წამოჭრილი დიდი, სერიოზული და კეთილშობილური ამოცანა: ხელოვნებაში რეალიზმის პრინციპების დამკვიდრებისათვის ბრძოლა, შეურიგებელი პოეზიის გატარება ბურჟუაზულ დეკადენტური ლიტერატურული ჯგუფებისა და სკოლების წინააღმდეგ, ახალი ცხოვრების შესატყვისი მხატვრული ფორმებისა და საშუალებების ძიება, რაც მთავარია სოციალისტური ყოფის ადამიანის სულიერ-ესთეტიკური აღზრდას.

და რადგან ამ ძნელი საქმის შესასრულებლად არ ჰყოფნიდა საკუთარი ლიტერატურული ძალები, ეს ხალისით ბეჭდავდა რუსულ პროლეტარულ მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს. ეს გარემოება ნაწილობრივ გაპირობებული იყო აგრეთვე „ქურას“ ინტერნაციონალისტური განწყობილებებით.

ჟურნალის პირველ ნომერში დაბეჭდა სომეხი პროლეტარი მწერლის მ. პეტროსიანის „ნამგალი, ჩაქუნი და გრდემლი“ ისახარის თარგმანით.

ეს არის საბჭოური ლაშაზი ლეგენდა ჩვენი მუშურ-გლეხური სამშობლოს სახელმწიფო სიმბოლოს წარმომობაზე. შესვენებისას მკედელმა ჩაქუნი დაღო გრდემლზე. ისვენებდა, ნამგალი წამოიწყო კამათი—მე ვარ მეფე ქვეყნისაო, ჩაქუნი შეეცილა—არა მეო. გრდემლი უსიტყველ უსმენდა მათ კამათს, ბოლოს უთხრა „ქვეყნის მეფე ის იქნება, ვინც საფუძველს ჩაჰყრის მკვრივს, საფუძველს დიდებულს და შეუდრეკელს, რომ მეფეება მისი იყოს მტკიცე და უღრეკე. პროლეტარიატის მარჯვენა უფალი—აი სიმაართოდ თუ გნებავთ, ქვეყნის მეფე ის არის, ვინც ყველას ანიჭებს სიცოცხლეს, სინათლეს სიყვარულსაჲს.“

ამ დროს შორიდან მოისმა „ინტერნაციონალის“ ხმები ჩაქუნი და ნამგალითავე დახარეს.



„მშვედელმა მოსიზინა და მეორე დღეს ფოლადის ნიშანი გამოსუქდა თავისთვის, რომელზედაც მშვენიერად იყო დახატული ნამგალი. ჩაქუჩი და გრდემლი, როგორც ცნება შრომის, სინათლის და სიყვარულის“³².

„ქუჩის“ პირველ ნომერში დაბეჭდილი ივ. ივანოვის „მემანქანეში“ (თარგმანი კურსებლისა), ნაჩვენებია ინდივიდის, კოლექტივის თვითელური წევრის როლი საქმის საერთო წარმატებაში.

მემანქანეს, რომელიც უნივერსალური მანქანების ჩარხებთან, ანუ ისტორიის ჩარხებთან (როგორც თვითონ უწოდებს) დგას, თავი დიდი აღმოჩენების მონაწილად მიიჩნია და სრულიად არც კანონიერად: ამ აღმოჩენებში უთუოდ არის მისი უხმარო, თავდადებული შრომის წვლილი.

მემანქანე ამ თავის წვლილს გრძნობს ტექნიკის ყველა სასწაულში, მეცნიერების ყველა აღმოჩენაში, რომელთა სიყვითვე მასების კუთვნილება ზღვებოდა. მოთხრობის ბოლოს მემანქანე წარმოკვიდრება მეტად ვანზოვადებულ სახით: „ჩემი სახელი მსოფლიო მშრომელია. მე ვარ ქალიც და კაციც, მოხუციც და ბავშვიც. მე ვარ უკვდავი მონაწილე ბრძოლისა და დამარცხების“.

აქ გატარებულია ზოგადისა და კერძოს ერთიანობის პრინციპი, რაც ასე დამახასიათებელი იყო პროლეტარული მწერლობისათვის და რაც მეტად გავრცელებული ლოზუნგით გამოიხატა: „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“. დამახასიათებელია აგრეთვე სიტყვა „ამანაჯი“, რომელიც პროლეტარულმა ეპოქამ სამოქალაქო მნიშვნელობა მისცა.

თუმცა ჟურნალი „ქურა“ თავის საპროგრამო წერილში პირდება თავის მკითხველებს, თავშეკცევისათვის ვერ მოვიცლო, თავის მეორე ნომერში მიაღწევს დაუთმო ადგილი ს. თოდრიას თავშესაქცევი იუმორისტულ მოთხრობას „ტყვეობაში“.

ს. თოდრია ერთ-ერთ ნიჟიერ ქართველ პროლეტარულ მწერლად ითვლება. პროლეტარული ასოციაციის მიერ 1922 წელს გამოცემული მისი ფელეტონების წიგნი გონებაბახვიერო იუმორით გამოირჩევა, მაგრამ რატომღაც „ქურამ“ ამ ავტორის ყველაზე მდარე ნაწარმოებები აირჩია დასაბეჭდოდ. ეს მართლაც თავშესაქცეველ არის დაბეჭდილი. მასში არ იგრძნობა ის მახვილი სოციალური ალღო, რაც უსე დამახასიათებელია ს. თოდრიას ფელეტონებისათვის.

განყოფილებაში დაიბეჭდა პროლეტარული მწერლობის თეორიული საკითხებისადმი მიძღვნილი ორი წერილი (ორივე პირველ ნომერში): რაუდენ კალაძის — „ჩვენ ვქმნით ჩვენს ქვეყანას, ახალ ქვეყანას“, ა. ბოგდანოვის „პროლეტარიატი და ხელოვნება“.

რაუდენ კალაძეს თავისი წერილი, ეტყობა სერიებულ ჰქონდა გადაწყვეტილი დაბეჭდვლად ჟურნალში, რადგან მას ქვესათაურად აქვს: „წერილი პირველი“. წერილი მკვეთრ ზღვარს ავლენს ბურჟუაზიულ და სოციალურ კულტურებს შორის, განსაზღვრავს მათ შორის განსხვავებას და ძალიან პოპულარული ენით განმარტავს ლოზუნგის „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“ შინაარსს ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციებში. წერილში განსაკუთრებით ხაზგასმულია პროლეტარული იდეოლოგიისა და კულტურის როლი მშრომელთა დიქტატურის განმტკიცების საქმეში: „პროლეტარიატს, იყვე როგორც ეს წარსულში სხვა კლასებს დასპირდათ, თავისი დიქტატურის გასატარებლად თავისი საკუთარი კლასობრივი კულტურა აუცილებლად სჭირდება“³³.

იგივე საკითხები, უფრო მაღალ თეორიულ დონეზე გაშუქებული ჟურნალის ამავე ნომერში დაბეჭდილი წერილში — „პროლეტარიატი და ხელოვნება“. ეს არის ა. ბოგდანოვის მიერ 1918 წ. რუსეთის პროლეტკულტის პირველ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება.

ბოგდანოვის წერილში მოყვანილი ბევრი პროგრამული დებულება თვალსაჩინო გამოხატულებას პოულობს „ქურაში“, როგორც სუფთა მხატვრულ შემოქმედების პროლექციებში, ისე კრიტიკულ-თეორიულ მასალებში.

დაახლოებით ამ წერილის შუქზეა დაწერილი ჟურნალის ამავე ნომერში გამოქვეყნებული რაუდენ კალაძის წერილი „ქართული მწერლობა და „ქურა“.

ავტორი, მართალია, ქედს იხრის ა. ბოგდანოვის წინაშე, უწოდებს მას პროლეტარული კულტურის უდიდეს თეორეტიკოსს, ფილოსოფოსს, მაგრამ წარსულის კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულებაში სრულიად შორდება მის ხაზს.

საბავსოდ, იმედინად არის განწყობილი ქართული მწერლობის მომავლისადმი, მას სწამს, რომ ქართული კულტურის შინაარსი პროლეტარული გახდება, რომ მთელი ჩვენი მწერლობის ბედი მომავალშია, რომ ეს მომავალი ამავე დროს მსოფლიო პროლეტარიატის მომავალიც არის, „რომ პროლეტარული კულტურა მიიღებს ქართულ სახეს, პროლეტარული მწერლობა ქართული სიტყვით გამოიხატება“. აქედან გამომდინარე, მას ჟურნალ „ქურის“ მიზნები ასე ესახება:

„და აი სწორედ იმ მიზნით, რომ ჩვენს მწერლობაში შემუშავდეს, შეიქმნას ახალი შინაარსის, კომუნისტური კულტურის შესაფერი ფორმა და ჩვენი ახალი სახელოვანი პრო-

მეფა გორდელაძე
 ჟურნალი „ქურა“ და მისი როლი ქართული საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბებაში

ლუბარული კრიტიკა — დღეისათვის ახალი ჟურნალი „ქურა“. „ქურა“ იქნება ერთგვარი ლაბორატორია, სადაც უნდა გამოიჭედოს, ჩამოყალიბდეს მწერლობის ის ახალი ფორმები, რომლებშიც გამოიხატება პროლეტარული კულტურა, უფრო კი ამ კულტურის ერთი მთავარი დარგი, სახელდობრ, პროლეტარული პოეზია.²⁴

ასეთ დიდ იმედებს ამყარებდნენ „ქურაზე“ მისი დამაარსებლები. ამ იმედებით ფრთხილმულნი ისინი სათუთად უფრთხილდებოდნენ პროლეტარულ მწერლობის პირველ ყვავილებს. მას შემდეგ, რაც დაარსდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ქართული სექცია, მისი უპირველესი საზრუნავი გახდა პროლეტარულ მწერალთა შემოქმედებისათვის ყოველგვარი მხარდაჭერა, უპირველეს ყოვლისა, მათი წიგნების გამოცემის გზით. ამ სექციის № 1 გამოცემა იყო ს. თოდრიას იუმორისტული მოთხრობების წიგნი „ცრემლებით სიცილი“.

რეცენზია ამ წიგნის შესახებ დაიბეჭდა „ქურაში“ მე-2 ნომერში. ესაა სეფისპირელის — „ს. თოდრიას იუმორი“.

რეცენზენტი ლაპარაკობს სიტყვაჯამულ მწერლობაში იუმორისტული ნაწარმოებების უდიდეს მნიშვნელობაზე. ანხვავებს ღვარძლიან გამობრძობებს იუმორისავე, მამხილებელი სატირული ნაწარმოებებისაგან.

ავტორი ჩივის ქართულ სინამდვილეში იუმორისტული ნაწარმოებებისა და იუმორისტული მწერლების ნაკლებობას, „თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორს-სამს, რომლებიც როგორც კრძლიანი ვარსკვლავნი ასე თუ გამოჩნდებიან ჩვენს ლიტერატურულ აბეჯე“.

რეცენზენტი აქებს სილია თოდრიას, რომელიც „დღეს ჩვენს დარბ ლიტერატურას ემსახურება მთელი თავისი ნიჭით და ენერჯით“. ს. თოდრიას ფელეტონები იბეჭდებოდა საქართველოს კომუნისტების ორგანოში გაზეთ „კომუნისტი“, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე (1920 წლიდან) გამოდის. ასოციაციის მიერ გამოცემულ წიგნში ს. თოდრიას სწორედ „კომუნისტი“ დაბეჭდილი ფელეტონები შევიდა“.

რეცენზიაში მოყვანილია ადგილები ს. თოდრიას მთელი რიგი ფელეტონებიდან: „მოხსენება“, „არაყი“, „მენშევიკური ჰიმიანი“, „ჩვენი პროკლამაცია“. ავტორი განსაკუთრებით ეწუხება გურული კილოვების დაცვას პერსონაჟების ენაში.

„ქურაში“ დაიბეჭდა აგრეთვე, იმავე ავტორის რეცენზია სანდრო გულის წიგნზე „რევოლუციის საყვირი“, რომელიც აგრეთვე პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ქართულმა სექციამ გამოსცა. რეცენზიისათვის წამძღვარებულ ჩვენი მწერლობის ზოგად მიმოხილვაში

ნათქვამია: „დღევანდელი ქართული მწერლობა თავისი დეკადენტობით სიკვდილმსურველ უახლოვდება, ვიდრე ნამდვილ ნორმალურ განვითარების გზას, ბეგრის აზრით, ქართული პოეზია სიკვდილის ბრწყინებულში. გამოსავალი მხოლოდ პროლეტარული პოეზიაა, რომელიც ჩვენ დროში წარმოაშენა და რომელსაც ძალუქს შემდგომი განვითარება“.

ასეთი ოპტიმისტური ტონი საერთოდ დამახასიათებელია „ქურის“ პოეზიის, პროზის და კრიტიკისათვისაც. ს. გულის „რევოლუციის საყვირი“ სეფისპირელი უწოდებს „პროლეტარული პოეზიის ნამდვილ ნიმუშს“. და ის განსაკუთრებით აღმფთვებელია იმით, რომ ჟურნალმა „ხომალდმა“ თავის პირველ ნომერში გააკრიტიკა სარეცენზიო წიგნი.

ს. გულის შესახებ რეცენზენტი წერს: „მას მუშათა კლასთან უზიდავს წამების ჭვარი გოლგოთას მთაზე. ის მუშის სულთან ახლის დვას. მისი პოეზია ბრძოლის პოეზიაა და დღევანდელ საზოგადოებრივ ბრძოლაში გამარჯვებული პროლეტარიატი სანდროს პირით აშობს „მხესთან ფაფრინით ჩვენი მხედარი წითელი რაზმი“.

მაგრამ ნაკლებ არის აღნიშნული რეცენზიაში: „კოლექტიური ხაზი ზოგან არა ჩანსო“.

როცა ამგვარ შენიშვნებს ეკითხულობთ, უნებურად შთაბეჭდილება გექმნება, რომ კოლექტივიზმის მოთხოვნა რამდენადაც ბუნებრივი და გასაგებია თვით პროლეტარულ მწერალთა შემოქმედებაში, იმდენად მათ თერაპიკოსთან რაღაც თვითმიზნურ ხასიათს ატარებს. ამის საილუსტრაციოდ კმარა თუნდაც შემომთოყვანილი შენიშვნა და აგრეთვე ფაუსტის „ინდივიდუალისტური“ ტენდენციებისადმი მიდგომა კოლექტივიზმის მოთხოვნათა თვალსაზრისით, რაჟენ კალამის შემოთღახსიათებულ წერილში.

„ქურაში“ დაბეჭდილ კრიტიკულ წერილებში, ისე როგორც პროზისა და პოეზიაში, იკრძნობა ახალი დროის სიო, პროლეტარული რევოლუციური რომანტიკა. მისი თეორეტიკოსთა დეკლარაციები და საბრძოლო განცხადებები, მართალია, უპირისპირდება (და ძალიან შეკუთრად) ამ პერიოდში ქართულ ლიტერატურაში არსებულ ლიტერატურულ დაჯგუფებებს, მაგრამ მინც განიცდის მათ ვაგლენას, ეს ვაგლენა იდეური ხასიათის არ არის, მაგრამ ერთბაშად თვალში საცემია, როგორც ეს დავიანახეთ პროგრამული დოკუმენტების განხილვისას. ეს დოკუმენტები სრულად ახალ ხანას იწყებენ ქართულ ლიტერატურაში, მკვეთრად უპირისპირდებიან „ციისღერი ყანწებისა“ და „აყაღეშიური ასოციაციის“ ჯგუფებს, მაგრამ ცალკეულ დებულებათა ფორმულირების დროს თავს ვერ აღწევენ მათ ვაგლენას. ეს გარემოება კარგად ჩანს აგრეთვე ჟურნალის პირველ ნომერში დაბეჭდილ პ. ქუთა-



თელაძის წერილიდან „პროლეტარული პოეზია“, რომელსაც „ცისფერი ყანწების“ საპროგრამო დოკუმენტებით აქვს სათაურად „პროვოლტჰმა“. თვით მსჯელობის წესიც და მთელი რიგი გამოთქმებიც ძალთან გვაგონებს მოპირდაპირე ლიტერატურულ დაჯგუფებათა განცხადებების სტილს. მაგალითად: „რევოლუციის ორბიტრიალში ბებერი ცხოვრების ბევრი მხარე განიცდის რადიკალურ ცვლილებას, ყველაზე მეტად პოლიტიკის სფეროში მოაქვნიებს მას შვის სხივებით განათებული პოლუსისაკენ, რომელიც ლოდიკური დასკვნა ისტორიული აუცილებლობისა და დასასრულია ყოველივე ჩაგრა-მონობის“ ან კიდევ: „პოეზიის გარეშე ჩვენი ცხოვრება უმოძრაო სიღინქისაა, რომელიც სიმბოლოა აფრიკის ცხელი უღდანოს ქვიშნარის“, „დღევანდელი ქალაქი გიგანტია მოუსვენრობის, არ იცის დადლა, შუთთავს, ღვლავა პირიდან გადმონთხეულ ცოფში ხვევს ყველას, ზოგს საბედნიეროდ, ზოგს საუბედუროდ“ და ა. შ.

პ. ქუთათელაძის აღნიშნული წერილი მეცნიერების განყოფილებაშია დაბეჭდილი და ეტყობა, პროლეტარული მწერლობის თეორიული აზრის მიღწევათა განზოგადება ჰქონდა მიზნად. აქ მრავლად გვხვდება ამა თუ იმ მოვლენის ორიგინალურად ჩამოყალიბებული განსაზღვრებანი: „თუ პოლიტიკა ტვინია და გონება ობიექტური სინამდვილისა, ხელოვნება და კერძოდ, პოეზია ათრთოლებული ვეულია და გრძნობა მისი“.

ამგვარი წერილების დაბეჭდვის ის დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ისინი არაკვაფდნენ „ქურთის“ მკითხველებს პროლეტარული მწერლობის თეორიულ საკითხებში, პროლეტარული მხატვრული შემოქმედების სამყაროში იწვევდნენ ტალანტებს ხალხის წიაღიდან.

მას შემდეგ, რაც საქართველოში ქართულ ენაზე ორი პერიოდული გამოცემა გაჩნდა (ე. ა. 1863 წლის თებერვლიდან, როცა კონსერვატულ „ცისკრის“ პარალელურად გამოსვლა იწყო ილიას „საქართველოს მოამბემ“) პოლემიკა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის განუწყრელი თანამგზავრი გახდა. ერთ-მანეთს შორის პოლემიკას ეწეოდნენ „ცისკარი“ და „საქართველოს მოამბე“, „დროება“ და იმედი“, „ივრია“ და „კვალი“ და ა. შ. ვერც „ქურთა“ ასცდა ქართული ჟურნალ-გაზეთების ამ საერთო ხვედრს. ქართული პერიოდული პრესის პოლემისტური სული აშკარად იგრძნობა მასშიც. ჟურნალის მეორე ნომერში კრიტიკის განყოფილებაში პროლესთის ფსევდონიმით დაიბეჭდა წერილი „ჩვენი ქურთა“ და მისი მოკრიტიკეები“.

წერილის ავტორის გულისწყრომას იწვევს ის, რომ ბევრი დუმილით შეხვდა „ქურთას“ გამოსვლას. წერილში დასმულია საფუძვლიანი,

ობიექტური კრიტიკის აუცილებლობის საკითხი.

ავტორის პოზიცია ნათელი და გარკვეულია ის იცავს მწერლობაში მხოლოდ პროლეტარულ ხაზს, ყველა სხვა ლიტერატურულ ჯგუფსა და მიმდინარეობის დასაღუბავად განწირულს უწოდებს:

„მიუხედავად ასეთი აუტანლობა-მძულვარებისა მალე იძულებულნი გახდებიან ვიგონ, რომ ჩვენი ვარსებობთ და კარგადაც ვარსებობთ, რომ ერთადერთი ცოცხალი, მომავლის მკონებელი და მართლაცდა ძლიერი ნიჭით აღჭურვილი ჩვენი მხოლოდ ჩვენი მიმდინარეობაა და სხვისი არავისი—სხვებს მხოლოდ სიკვდილი აქვთ მისჯილი ისტორიისაკენ.“

გაიგეთ ეს, ჩვენო მოკრიტიკეებო და თუ სიკვდილისაკენ თაყის დახსნა გსურთ, იმასაც მიხვდით, ინსტიტუტურად მიიწ, რომ დღევანდელ რევოლუციურ გარდამავალ ხანაში, პროლეტარიატის უღმობელი დიქტატურის დროს, სხვა კულტურა ვერ იცოცხლებს, სხვა მწერლობა ვერ იარსებებს, თუ არა მართოდენ პროლეტარული“³⁸.

თაყის მოწინააღმდეგეებთან (როგორც თვითონ „ქურთა უწოდებს მათ) ჟურნალმა განსაკუთრებით მძაფრი პოლემიკა გააჩაღა ბიბლოკავთაგული შენიშვნებში „მიმდინარე წლის ზოგადი მიმოხილვა“, რომელიც ხელმოწერულად გამოქვეყნდა ჟურნალის პირველ ნომერში.

წერილში აღნიშნულია ქართულ მწერლობაში ერთგვარი გამოცოცხლება 1922 წლის აგვისტოსთვის: „ახალი კავშირის“ ორგანოების „ბარიკადისა“ და „ფიგაროს“ გარდა გამოვიდა ქართული მწერლობის ძველი კავშირის ორგანოს „ლომისის“ ოთხი ნომერი, აგრეთვე სოციალურ-დემოკრატიული ჯგუფის მწერლებს ორგანოს „ხომალდის“ ორი ნომერი, ამ ლიტერატურული ორგანოების განხილვის შემდეგ წერილის ავტორი ასეთ დასკვნამდე მიდის: „ქართული მოდერნიზმი, როგორც ისინი თვითონ უწოდებენ, ჩვენებურად კი ფუტურისმი, ეს ის მიმდინარეობაა ჩვენს პოეზიაში, რომელსაც ქართველი ხალხის ცხოვრებასათნ არავითარი კავშირი არა აქვს, არც ჰქონია და არც ექნება“. ქართველი ფუტურისტების განწყობილებას ავტორი უწოდებს ლითთფაშურ სულისკვეთებას, რომელიც მხოლოდ თეთრ კუბოში ეძებს სადგურს და საუკუნო განსვენებას.

წერილში „ლომისის“ ჯგუფის მწერლებმა დახასიათებულნი არიან როგორც „ხალხი, რომელიც მხოლოდ პოლიტიკურ ამინდს შეჰყურებენ და რაღაცას ელიან“. „როგორც სახელწოდება მოწმობს, მათ ჰგონიათ, რომ ლომისის მადლი

მიღმა გორდელამ

შურნალი „ქურთა“ და მისი რძელი მართული საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბებაში

სწავლობთ, თვარა ამ ქვეყნად ისე ვერც იბოგინებენ.

ბიბლიოგრაფიაში, როგორც დიდი სიახლე, აღნიშნულია ნ. ბარათაშვილის ლექსების გამოცემა, მაგრამ ავტორის აზრით, ამ გამოცემას ერთი ნაწილი აქვს—არ ახლავს ისტორიულ კლასობრივი თვალსაზრისით გარჩევა ნ. ბარათაშვილის პოეზიისა.

როგორც დავინახეთ, ეს წერილი სცილდება სუფთა ბიბლიოგრაფიულ მიზნებს და ლიტერატურულ ჯგუფებს შორის ახალი პოლემიკის დასაწყისად გვევლინება. ეს პოლემიკა შემდეგ გაგრძელდა სხვა ლიტერატურულ-მხატვრული ორგანოების ფურცელზე, სადისკუსიო კრებაზე, საჯარო გამოსვლებში მწერალთა ურთიერთ შეხვედრებში. ეს წერილი მიგვიანშებს იმ წლებში ლიტერატურის ძირითად საკითხების ირგვლივ სხვადასხვა მხატვრულ ჯგუფებს შორის გაჩაღებული დისკუსიის ზოგად ხასიათზე.

განყოფილებაში „ქარიკა“ დაბეჭდილია ცნობები საქართველოს რუსეთის და საზღვარგარეთის ლიტერატურული ცხოვრებიდან, აგრეთვე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამბები, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდათ ლიტერატურასთან.

ასეთია ზოგად ხაზებში ქურნალ „ქურის“ ლიტერატურული პროდუქცია, შინაარსი და იდეური მიზანდასახულობა. ამ ქურნალის მნიშვნელობის სწორი დახასიათებისათვის აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ახალი დროის პასუხსაგები მომენტები, საბჭოთა ქართული პროლეტარული ბეჭდვითი სიტყვის ტრადიციები, რომლებიც სათავეს იღებენ ამ ქურნალიდან.

„ქურამ“ სათავე დაედო ახალ პროლეტარულ ეპოქას ჩვენს ქურნალისტკაში. მისი ტრადიციები ვალრმავედა და განვითარდა გაზეთებში „ქარხნის პანგები“ და „ორიონი“, ქურნალში „პროლეტარული მწერლობა“, მისი ტრადიციების ამკარა გავლენას ვხედავთ ქურნალ „ხელოვნების დროშაში“ (ამასთან, აქ ვაგლეხის სწორედ იდეური ხასიათისა და არა მხატვრული). „ხელოვნების დროშის“ 1924 წლის მეორე ნომერის მოწინავეში ვკითხულობთ: „ჩვენ ასტიკ ბრძოლას ვუცხადებთ ყოველივეს ძველს, ხავსმოდებულს და მიუღებულს რევოლუციური თანამედროვეობისათვის ჩვენ არ გვწამს და ვერ ვიწამებთ „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“ ჩვენ ვცხოვრობთ პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. პროლეტარიატს როგორც კლასს ხელთ უპყრია დღეს სახელმწიფო მმართველობის საკე. ის სკედს ახალ ცხოვრებას ძველის ნანგრევებზე. ხელოვნება როგორც ერთი საუკეთესო იარაღთაგანი ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების შესაქმნელად,

პროლეტარიატს ესაპირობება მის მიერ სისტემატული შექმნილი ახალი წყობილების შესახებ“³⁷

1923 წლის 21 ოქტომბერს გამოვიდა ყოველკვირული სამხატვრო სალიტერატურო გაზეთის „ორიონის“ პირველი ნომერი. ამ გაზეთში გაავრძელა „ქურის“ ლიტერატურული ტრადიციები.

გაზეთ „ორიონს“ ერთპიროვნული რედაქტორის ნაცვლად ჰყავდა „სარედაქციო კოლეგია, გამოდიოდა გაზეთ „ზარია ვოსტოკის“ სტამბაში, მასში იგივე ლიტერატურული ძალეები იყო ძირითადად, რაც „ქურაში“: ს. ეული, ი. ვაკელი, ნ. ზომლეთელი, პ. სამსონიძე, ი. ლისაშვილი, პ. ქიქოძე. „ორიონი“ გააბრწყინდა ალიო მამაშვილის პროლეტარული აღმშენებლობის ენთუზიაზმით აღსავსე ლექსებმა.

1923 წლის აგვისტოში ქართული პროლეტარული მწერლობის საერთო კრებაზე საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამოცეცულა სახელი — დაერქვა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირი. „ორიონი“ ამ კავშირის ორგანო იყო.

„ქურის“ ლიტერატურული ტრადიციები გაავრძელა აგრეთვე საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის ყოველთვიურმა ორგანომ „პროლეტარულმა მწერლობამ“, რომლის პირველი ნომერი 1927 წელს გამოვიდა.

თუ რამდენად ძნელ პირობებში უხდებოდა გამოსვლა „ქურას“, ეს იმ ფაქტიდან ჩანს, რომ თვით „პროლეტარულ მწერლობაში“, რომელშიც ხელი წლით გვიან დაიწყო გამოსვლა ჯერ კიდევ ცოცხლად იგრძნობოდა ერთბაშად დაუძლეველი დაბრკოლებები, მათ შესახებ წერდა ქურნალ „მნათობში“ 1928 წელს გ. მუშიშვილი.

ჩვენში ძნელია წელში გამართული პროლეტარული მწერლობის არსებობა, რადგან საქართველო ჯერ კიდევ გლეხური ქვეყანაა, „საქართველოს მთებითა და ვაკეებით არის შემოღობილი ჩვენი პროლეტარული მწერლობის ვიწრობრივი პორიზონტი და შესაძლებლობა“. პროლეტარული მწერლობის უმრავლესობა არ იცნობს თავისი მხატვრული შემოქმედების ობიექტს: ფაბრიკას, ქარხანას, მანქანას, მუშას, არც ისე ახალგაზრდა პროლეტარულ პოეტს ნ. ზომლეთელს არ უნახავს, სხვათა შორის, ჩვენი მღაბრობები, არც ყოფილა ქიათურაში (თავი რომ დავანებოთ ნიკოპოლს)³⁸

წერილში დასმული იყო საკითხი — გვეზრუნა პროლეტარულ მწერალთა მომავალზე, გავგეზავნა ისინი უცხოეთში, სამრეწველო ცენტრების დასათვალიერებლად.

როცა ქურნალი „ქურის“ მნიშვნელობას ვაფასებთ, უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ ეს პირობები. აგრეთვე ის ვარაუბობა, რომ ამგე-



რი ჟურნალის გამოცემა პირველი შემთხვევა
 იყო. ჩვენში, რომ ჟურნალი „ქურა“ ცენზურა-
 ვაშვდელად რემოკრატულად ბეჭდვითი სიტუ-

ვის ერთ-ერთი პირველი ორგანო იყო ქართულ
 ენაზე სატირული ჟურნალის „ყუმბარის“
 დეგ.

შენიშვნები:

- 1 სატირული ჟურნალი „ყუმბარა“ 1921 წ. №1 გვ. 1.
- 2 გ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 32. თბილისი, გვ. 338.
- 3 გაზეთი „ორიონი“, 1923 წ. № 3.
- 4 გაზეთი „ორიონი“, 1923 წ. № 2.
- 5 ჟურნალი „ქურა“, 1922 წ. № 1, გვ. 2.
- 6 იქვე.
- 7 ჟურნალი „ქურა“, 1922 წ. № 2.
- 8 ჟურნალი „ქურა“, 1922 წ. № 2, გვ. 1.
- 9 ჟურნალი „ქურა“, 1922 წ. № 2, გვ. 1.
- 10 ჟურნალი „ქურა“, 1922 წ. № 2, გვ. 1.
- 11 იქვე, გვ. 2.
- 12 იქვე.
- 13 ჟურნალი „ქურა“, № 1, გვ. 4.
- 14 ციტატა აღებულია ანდრეევის წიგნიდან „რევოლუცია და ლიტერატურა“.
- 15 ჟურნალი „ქურა“ № 1, გვ. 6.
- 16 ჟურნალი „ქურა“ № 2 გვ. 10.
- 17 ჟურნალი „ქურა“ № 2, გვ. 8.
- 18 სულავა, გ. ნატროშვილი, პროლეტარულ-ლიტერატურის შემოქმედებითი საკითხები.

19. იქვე.
20. ჟურნალი „ქურა“ № 1, გვ. 3.
21. ჟურნალი „ქურა“ № 1, გვ. 8.
22. ჟურნალი „ქურა“ № 2, გვ. 6.
23. ჟურნალი „ქურა“, № 2, გვ. 7.
24. ჟურნალი „ქურა“, № 2, გვ. 5.
25. ჟურნალი „ქურა“, № 1, გვ. 8.
26. ჟურნ. „ქურა“ № 2, გვ. 9.
27. ჟურნალი „ქურა“, № 1, გვ. 7.
28. ჟურნალი „ქურა“, № 1.
29. ჟურნალი „ქურა“, № 2, გვ. 16.
30. ჟურნალი „ქურა“, № 2, გვ. 17.
31. ჟურნალი „ქურა“, № 1, გვ. 11.
32. იქვე.
33. ჟურნალი „ქურა“, № 1, გვ. 28.
34. ჟურნალი „ქურა“, № 1, გვ. 26.
35. ჟურნალი „ქურა“ № 1, გვ. 30.
36. ჟურნალი „ქურა“, № 2, გვ. 24.
37. ჟურნალი „ხელოვნების დროშა“, № 2, გვ. 1, 1924 წ.
38. ჟურნალი „მნათობი“, 1928 წ. № 8-9, გვ. 171.





ღიადი გადატრიალება

ამ სახელწოდებით 1972 წლის დამლევს „საბჭოთა საქართველომ“ რუსულ ენაზე გამოსცა ფ. ლომაშვილის ფუნდამენტური გამოკვლევა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის შესახებ.

თუმცა მონოგრაფიის გამოქვეყნებიდან საკმაოდ დრო გავიდა, არც ქართველ მკითხველს საზოგადოებრიობას, არც სპეციალისტებს ამ ნაშრომის შესახებ, სამწუხაროდ, პრესაში აზრი არ გამოთუქვამს.

ამ მომენტს ყურადღებას არ მივაქცევდით, რომ იგი დამახასიათებლად არ მიგვაჩნდეს. ძალიან ხშირად, მეცნიერი სპეციალისტები სათანადოდ შეფასებას არ აძლევენ სამეცნიერო-ისტორიულ ლიტერატურას, რომელსაც არანაკლებ ესაჭიროება კრიტიკა და პროპაგანდა, ვიდრე რომელიც გნებავთ მხატვრულ ნაწარმოებს. სამეცნიერო-ისტორიული ლიტერატურა იდეოლოგიური ზემოქმედების უღრესად აქტიური ელემენტია და ყოველი შენაძენი ამ დარგში იმთავითვე უნდა იქცეს ფართო საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად როგორც იდეოლოგიური, ისე შემეცნებითი ღირებულების თვალსაზრისით. სხვათაგან, „სიძუნწე“ ისტორიული ლიტერატურის შეფასებისას საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი გულგრილობად ჩაითვლებოდა, რაც ასე დამახასიათებელი იყო ჩვენში არც თუ ისე შორეულ წარსულში. როგორც ჩანს, ჯერაც მთლიანად ყიდვებზე განვითარებული ლევაზო მისი გავლენისაგან.

სამეცნიერო კრიტიკის სისუსტე მკითხველში შეიძლება იმითაც ახსნას, რომ ზოგჯერ ჩვენში ასეუ ზღემა — გამოდის წიგნები, ხშირად სქელტანაინიც, რომლებიც არაფერს იძლევიან და საზოგადოებრივ რეზონანსს ვერ იწვევენ. ასეთ წიგნზე კარგს ვერაფერს დაწერ, შენიშვნებისათვის კი ავტორს მტრად გადაიკიდებ საშუალოდ, სჯობს ვაჭუმდე და „თავის აუტოკვებლად“, შენი საქმე აეთით, — ფიქრობს მკითხველი. მაგრამ არ სჯობს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საზოგადოებრივი შეფასების გარეშე არ უნდა დარჩეს არც ერთი ნაშრომი,

რომელიც კი მზის სინათლეს იხილავს, რადგან იგი „უველას საქმეა“, მეორეც — რადგან ისეთი წიგნი, ჩვენი ისტორიული მეცნიერების მიღწევად რომ უნდა ჩაითვალოს, მისი პროპაგანდა იდეოლოგიური მუშაობის მძალად რანგში ასაყვანია და ახალგაზრდობის იდეურ აღზრდასა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებას ემსახურება. ფ. ლომაშვილის დასახელებული გამოკვლევა სწორედ ასეთ სამეცნიერო მუშაობადაა კატეგორიის განეკუთვნება. ნაშრომში იმდენი სიასლეა, საკითხთა იმდენად ფართო წრეა მოხაზული და მეცნიერული სიღრმითა და პრინციპულობით ვადაჭრილი, რომ შეუძლებელია სამეცნიერო კრიტიკამ და საზოგადოებრივმა აზრმა მას გვერდი აუაროს.

ჩვენს ქვეყანაში კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის პრობლემა თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. მისი აქტუალობა განპირობებულია არა მარტო მეცნიერულ-შემეცნებითი ღირებულებით, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობითაც. ჩვენს ებოქაში, როცა მსოფლიო მასშტაბით მიმდინარეობს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, ყველა ზალბებს სოციალიზმის მშენებლობაზე გადასვლის კვალობაზე მოუწევთ კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია. საბჭოთა ისტორიისთვის ინტერნაციონალური ვალია, დაეზაროს ამ ზალბებს კულაკობის ლიკვიდაციის საკითხში ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამოცდილების მეცნიერული შესწავლითა და განზოგადებით, რასაც ისინი წარმატებით ასრულებენ.

იგივე ფაქტორები განაპირობებენ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ცდებს — მრუდე სარკეში წარმოადგინონ საბჭოთა გამოცდილების სინამდვილე, ეწვეიან რა მის ყოველმხრივ და უხეშ დაღსიფიკაციას.

კავშირის მასშტაბით საკლები პრობლემა მნიშვნელოვნად დამუშავებულს წარმოადგენდა, მაგრამ ასევე ვერ ითქმობდა უკანასკნელ ხანებამდე ამიერკავკასიის რესპუბლიკების შესახებ. თუ სომხეთში გარკვეული მუშაობა მაინც



იყო გაწეული, საქართველოსა და აზერბაიჯანში არა თუ მონოგრაფიულად, სპეციალური მონახილვითი სტატიის დონეზეც კი არ იყო პრობლემა შესწავლილი. ფ. ლომაშვილის გამოკვლევა წარმოადგენს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში კულაკების, როგორც კლასის ლიკვიდაციის ისტორიის სისტემატური ვადმოცემისა და მონოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას, რომელსაც ავტორმა წარმატებით გაართვა თავი. ნაშრომი, რომელიც დაწერილია უამრავი საარქივო მასალის მომწვლილებით და საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევებზე დაყრდნობით, ახლებურად აშუქებს რიც კარდინალურ საკითხებს. მასში წაოყენებული და დასაბუთებული მრავალი დეტალები, რიგი საკითხების დაყენებულია დისკუსიისა თუ შემდგომი დამუშავებისათვის საკითხის დამსმის თვალსაზრისით. რასაკვირველია, ყველა ამ საკითხის ირგვლივ ძნელია ერთ სტატიაში საუბარი, მაგრამ ზოგიერთი მათგანი აუცილებელია აღინიშნოს.

უწინარეს ყოვლისა, საკითხის დაყენების შესახებ: ავტორი ამოდის საეცებით სწორი დებულებიდან, რომ მცდარია საქართველოსა და ამიერკავკასიის სოფლის ცენტრალურ რუსეთის სოფელთან სოციალურ-ეკონომიური განვითარების მხრივ როგორც გათანაბრების ტენდენციის, ისე სოციალიზმზე კაპიტალიზმის გვერდის ავლით ამიერკავკასიის გადასვლის დასაბუთების ცდები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ათაოდე წლის წინათ. ფ. ლომაშვილმა ჯერ კიდევ მასში დამაჩერებლად დასაბუთა საკავშირო პრესის ფურცლებზე, რომ ამიერკავკასიამ მთლიანად გაიარა სამრეწველო კაპიტალიზმის სტადია, თუმცა ეს რესპუბლიკები, განსაკუთრებით აზერბაიჯანი, რომლის ნაწილს მართლაც არ გვევლო სამრეწველო კაპიტალიზმი და ნახევრადფეოდალურ ურთიერთობათა ვადმონაშთებით ხასიათდებოდა, თავისი სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონით მნიშვნელოვანდ ჩამორჩებოდა ცენტრალურ რუსეთის სოციალურ-ეკონომიურ განვითარების დონეს. ამდენად, აქ ადგილი ჰქონდა არა განვითარების არაკაპიტალისტური ვხით სოციალიზმში გადასვლას, არამედ სოციალიზმის მშენებლობის ზოგიერთ თავისებურებას, მაშასადამე, კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის ზოგიერთ თავისებურებას, რომელიც დამაჩერებლად და სწორად არის წარმოდგენილი ნაშრომში. სწორედ ამ თავისებურებათა ახსნასა და განზოგადებაშია ნაშრომის უმთავრესი ღირებულება და წარმოადგენს მნიშვნელოვან შენაძენს მთელი საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. ამ საკითხს განსაკუთრებით ვუსვამთ ხაზს იმ გარემოებისა გამო, რომ დღეს სოციალურ-ეკონომიური განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ხალხებისათვის, რომლებიც სოციალიზმის გზას ად-

განან, ან აღგებიან, საერთოდ, სოციალიზმის მშენებლობის ზოგად კანონზომიერებათა დანერგვასთან ერთად, ფასდაუღებელი მნიშვნელობა აქვს მათი სპეციფიკური გამოვლენისა და განხორციელების გამოცდილების გათვალისწინებას.

ავტორი, ვადმოგვეცემს რა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას სოფლის მეურნეობის სოციალისტური ვარდაქმნის შესახებ, ნაშრომში თანამადგურულად აშუქებს ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების პირობის სოფელში მისი განხორციელებისათვის. საგანგებო ყურადღებას აქცევს საქართველოს სოფელში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიურ ვარდაქმნებს, რომლებიც უხვდაა ილუსტრირებული დასაბუთებულია საარქივო-სტატისტიკური მასალებით, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის სოფლის შესახებ დსკვენები და განზოგადებანი ვაკეთებულა „საერთო ფონზე“ და სათანადო დასაბუთების ვარეშე. საკითხის ღრმა ცოდნითაა წარმოჩენილი როგორც საერთოდ ამიერკავკასიის სოფელში სოციალიზმის მშენებლობის სპეციფიკა რუსეთის ცენტრალურ რაიონებთან შედარებით, ასევე ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ეროვნულ თუ სოციალურ-ეკონომიურ განვითარებაში განსხვავების გამო წარმოშობილი თავისებურებანი.

ავტორი მრავალ ახალ დებულებას აყენებს, ან აღრმავებს მანამდე წამოყენებულს. სავსებით სწორია კრიტიკა მკვლევარების მიმართ, რომელთაც მიაჩნიათ, რომ საქართველოში ახალი ეკონომიური პოლიტიკა შემოღებული იქნა 1921 წლის ივლისში და არაფერს ამბობენ იმაზე, თუ რა პოლიტიკას ანხორციელებდა საქართველოს რეკომი მანამდე. „სამხედრო კომუნისმუ“¹, რასაკვირველია, არა. ამიერკავკასიის რესპუბლიკები, სწორედ აღნიშნავს ავტორი, ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ვადავიდენენ რკ(ბ) X ყრილობის დამთავრებისთანავე და არავითარი სხვა, შუალედი ეკონომიური პოლიტიკა არ არსებულა.

ნაშრომის ამ ნაწილში ფ. ლომაშვილი ვრცლად ეხება საქართველოში ნატურალური სასურსათო ვადასახადის შემოღების საკითხს და საერთოდ ვადასახადების როლს კულაკობის ეკონომიური შეზღუდვის საქმეში. იგი მწევედ აკრიტიკებს მკვლევარებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ 1921 წელს საქართველოში სასურსათო ვადასახადის შემოღება ნატურის სახით შეეცდომა იყო, რადგან ხელს უწყობდა მეურნეობის ნატურალიზაციას, აფორთობდა საბაზრო ურთიერთობის ვარღლებს და სურსათის მწევედ ნაკლებობის პირობებში არაპრობულარული იყო ქართველ ვლხობაში და უფ-

ნოღარ ვხეიმიძე
ღიანო ბაღდატიანი



რო მიზანშეწონილი იქნებოდა სასურსათო გადასახადი ფულადი სახით. ფ. ლომაშვილის საყურადღებო არგუმენტები შთაქვს ნატურალური გადასახადის სასარგებლოდ, ასაბუთებს ფულად გადასახადის შემოღების შეუძლებლობას საფინანსო სისტემის სრული მოშლის პირობებში, ამდენად, არაერთარ შეცდომას არ ხედავს საგადასახადო პოლიტიკის განხორციელებაში. ჩვენ ეს ფიქტივობა საკითხის სხვა კუთხით დამა აჯობებდა: საერთოდ, შეუძლო ქართველ გლეხს 1921 წელს სასურსათო გადასახადის გადახდა? ფაქტები მოწმობენ, რომ — არა ვერც გადაიხდა. სხვაწარად შეუძლებელია აიხსნას პოზიცია ქართველი გლეხობისა, რომელიც იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მოიპოვა იგი და იმათივე და იხდის გადასახადს, ხოლო ერთი წლის შემდეგ გადასახადი მთლიანად შეაქვს. ეს ფაქტივ კი, რომ არაფერი ეთქვათ მრავალრიცხოვან სტატისტიკურ-ეკონომიური მონაცემების შესახებ 1921 წელს მასზე შეტყუვლებს, რომ ქართველმა გლეხმა არ გადაიხდა კი არა, ვერ გადაიხდა პირველი სასურსათო ნატურალური გადასახადი. გადასახადის ფორმის შეცვლა საქმეს ვერ უშველიდა. ამიტომ მიზანშეწონილია ვილაპარაკოთ არა გადასახადის ამა თუ იმ ფორმის სასურველობის შესახებ, არამედ იმაზე, რომ საქართველოს კომპარტიის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ სათანადო დასკვნები არ გააკეთა აზერბაიჯანელი კომუნისტებისადმი ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო მითითებიდან 1921 წლის სასურსათო გადასახადის აზერბაიჯანში განხორციელების თაობაზე.

ანტიკომუნისტური ლიტერატურა თავგამოდებით „ამტიკიებს“, რომ საბჭოთა სახელმწიფომ ვერ კიდევ 20-იან წლებში გაძარცვა გლეხობა, განსაკუთრებით განაპირა მხარეებში, ინდუსტრიის დაფინანსების მიზნით. წიგნში მოტანილი სტატისტიკური მასალები ცხადყოფს ანეთი მონაწირობის უსუსურობას. ამიერკავკასიის სოფელმა, წერს ავტორი, მარტო 2 წლის განმავლობაში 35 მილიონამდე მანეთით მტერი მიიღო სახელმწიფოსაგან, ვიდრე მან მისცა სახელმწიფოს ყველა პირდაპირი და პრაპირდაპირი გადასახადის სახით.

ავტორი ხაზს უსვამს იმ ვარაუდებს, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია სავსებით შესაბამებოდა არა მარტო გლეხობის ინტერესებს, არამედ აგრეთვე ამიერკავკასიის ინდუსტრიალიზაციის ინტერესებსაც, რასაც ზოგჯერ მკვლევარები უყურადღებოდ ტოვებენ. ამიერკავკასიის ინდუსტრიალიზაციის ამოცანები, მითითებულ ნაშრომში, უწინარეს ყოვლისა; ტექნიკური და სპეციალური კულტურების განვითარების საჭიროებას აყენებდა, ეს კი მხოლოდ კოლექტივიზაციის პირობებში იყო შესაძლებელი.

ავტორს რა კოლექტივიზაციამდელი ამიერ-

კავკასიისა და საქართველოს სოფლის მეურნე-ეკონომიური განვითარების ანალიტიკური სწორად დასკვნის, რომ სოფლის მეურნეობის ციკლისტური ვარდაქმნები აქ ვაცილებით უფრო ნელა მიმდინარეობდა, ვიდრე ქვეყნის ზოგადი რესპუბლიკისა და ოლქში. ამიტომ საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1929 წლის დამლევისათვის ვერ კიდევ არ იყო მთლიანად მომწიფებული პირობები ნამდვილად მასობრივ საკოლმეურნეო მოძრაობის განხორციელების და, მაშასადამე, კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციისათვის.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში უკანასკნელ ხანებამდე საყოველთაოდ იყო მიღებული რუსული პრაქტიკიდან გადმოღებული სქემა, რომლის მიხედვით, თითქმის 1929 წლის მეორე ნახევარში მასობრივ საკოლმეურნეო მოძრაობა გადაიზარდა მთლიან კოლექტივიზაციაში. ფ. ლომაშვილმა ჩვენს ისტორიოგრაფიაში პირველმა დაარღვია ეს მცდარი დებულება და დამკვივრებლად გადასახუდა, რომ საკოლმეურნეო მოძრაობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1929 წლის მეორე ნახევარში არც გლეხურ მეურნეობაშია მოცემის, არც წარმოებისა საშუალებათა განზოგადების და არც მასში საშუალო გლეხთა მონაწილეობის მხრივ არ შეიძლება. ჩაითვალოს მასობრივად, მით უმეტეს, მთლიან კოლექტივიზაციაში გადაზარდის პროცესში მყოფად, რომ 1930 წლის დასაწყისში საკოლმეურნეო მოძრაობის ამსახული მარჯვენებზე არ გამომდინარებოთ მთლიანად და აშკარად არ გამოხატავენ ფაქტიურ მდგომარეობას. მიუხედავად ამისა, საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა არასწორად აიღეს კურსი მთლიან კოლექტივიზაციისა და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციისაკენ, რასაც შედეგად მოყვა უხეში შეცდომები და დამახინჯებანი. მათი წყარო იყო არა საჯ. კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს გადაწყვეტილებანი, რასაც უპასუხისმგებლოდ „ამტიკიებდა“ ზოგიერთმა საბჭოთა ისტორიკოსი ამ ათიოდე წლის წინათ, არამედ სწორედ ამ დირექტივების დამახინჯება ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მიერ. ნაშრომში მოტანილი დოკუმენტები, რომლებიც შეტყუვლებს, რომ ამიერკავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა ვერ კიდევ 1929 წლის ნოემბერ-დეკემბერში აიღეს არასწორი კურსი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციისაკენ. ვ. ი. უფრო ადრე, სანამ ამ საკითხზე ცნობილ 1930 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილებას მიიღებდა საჯ. კ(ბ) ცენტრალური კომიტეტი. ზოგიერთებს მაინცდა, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიაში საკოლმეურნეო მოძრაობაში დამკვივრებული შეცდომების გამოსწორების ინიციატივა ადგილ-



რევ პარტიულ კომიტეტებს ეუფთვნოდათ. ფ. ლომაშვილს მთაქვს მასალები, რომლებიც შეინახა ლმდგოს ამტკიცებენ — დაშვებულ შეცდომებისა და დამახინჯებების გამოსწორების ინიციატივა ეუფთვნოდა სპ. კ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ამის შემდგავ კი არ იჩენდნენ სითანადო თანმიმდევრობას პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივების განხორციელებაში დაშვებული შეცდომების გამოსწორებას, რომ შეეხებოდა. შეცდომები კი აქ უფრო ღრმა იყო, ვიდრე ქვეყნის მოწინავე რაიონებში, თუნდაც იმის გამო, რომ არასწორად აიღეს კურსი, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ.

საკოლმეურნეო მოძრაობით ხელმძღვანელობაში დაშვებულ შეცდომებზე რომ ღაპარაკობს, ავტორი ბურჟუაზიულ ობიექტივიზმის პოზიციებზე რთოდ იშვებდა, როგორც ეს ზოგჯერ ემართებათ ხოლმე, როცა ისტორიულ მოვლენებისადმი კლასობრივ მიდგომას იფიქრებენ. ფ. ლომაშვილი საკვებით სწორად აღნიშნავს, რომ თვით კოლექტივიზაციის პირველ წლებშიც კი მთავარი და განმასზღვრელი იყო არა შეცდომები და დამახინჯებანი, არამედ საკოლმეურნეო მოძრაობის დადებითი შედეგები, საერთო სახალხო ბრძოლა სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის.

ნაშრომის ცალკე თავად წიგნში წარმოდგენილია საკითხი: ძვრები საკოლმეურნეო მოძრაობაში და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის დასაწყისი. მასში დასმული საკითხები 1929-1931 წლების მოვლენებს მოიცავენ ძირითადად და ასახულია ისეთი იშვიათი სიტუაციით და სიღრმით, რომ არ შეიძლება ავტორს არ ენდოთ რომელიც გნებავთ საკითხის გადაჭრაში.

აღნიშნავს რა კოლექტივიზაციის წლებში ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ექტორებს, ფ. ლომაშვილი განსაკუთრებით ამხეილებს ყურადღებას კლასობრივი ბრძოლის იმ თავისებურებებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა ერთობელ რესპუბლიკებში, პირველ რიგში კი ამიერკავკასიაში, ახასიათებს კლასობრივი ბრძოლის სიმწვავის მიზეზებს და მათი დაძლევის პროცესს.

როდის დაიწყო საქართველოსა და ამიერკავკასიაში გლეხობის უმრავლესობის გადაჭრით მოზრუნება საკოლმეურნეო მოძრაობისაკენ? ავტორი პასუხობს, რომ დაშვებულ შეცდომებისა და გადახრების გამოსწორების შედეგად, აგრეთვე გლეხობისადმი საბჭოთა სახელმწიფოს ფართო საკრედიტო-ეკონომიური დახმარების შედეგად ასეთი მოზრუნება უკვე დაიწყო 1931 წლის დამდეგს. ეს დებულება დასაბუთებულია სარწმუნო მასალებით.

სარწმუნო ნაშრომში საინტერესო მოსახრებანია წამოყენებული და დასაბუთებული

ამიერკავკასიაში კულაკობის როგორც კლასის თანდათანობით ლიკვიდაციის შესახებ. ავტორი მიაჩნია, რომ ამიერკავკასიაში 1930 წლის დასაწყისში ძალდატანების გზით ლიკვიდირებულ იქნა კულაკობის მხოლოდ 20-25 პროცენტი. დანარჩენის ლიკვიდაცია განხორციელდა მშვიდობიანი გზით, ეკონომიური ზემოქმედების შედეგად. ეს იყო ახალი ტექტიკა კულაკობის მიმართ, რომელსაც ანხორციელებდნენ ამიერკავკასიელი კომუნისტები 1931 წლის ბოლოსა და 1932 წლის დასაწყისიდან. ამასთან აღსანიშნავია, რომ ლიკვიდაცია მიმდინარეობდა მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელებამდე.

ავტორი საინტერესო მოსაზრებებს გვაწვდის საქართველოსა და ამიერკავკასიაში კულაკობის ხვედრითი წონის შესახებ გლეხურ მეურნეობაში. იგი ასვენის, რომ კულაკობა არ აღემატებოდა 1,5-2 პროცენტს. ამ დასაბუთების საფუძვლად აღებულია კულაკურ მეურნეობათა ინდივიდუალური დაბეგვრის მასალები. მაგრამ, ვფიქრობთ, აქ უზუსტობასთან გვაქვს საქმე. არ შეიძლება კულაკურ მეურნეობათა დადგენისას მხოლოდ ინდივიდუალური დაბეგვრის მასალებით შემოვიფარგლოთ და მხოლოდ ისინი ჩავთვალოთ კულაკებად, ვინც ამ გადასახადით იბეგრებოდა. ცნობილია, რომ ინდივიდუალური დაბეგვა ვრცელდებოდა მხოლოდ კულაკურ მეურნეობათა ზედაფენაზე და არ ყველაზე. 1,5-2 პროცენტი შემიკრებულად უნდა მივიჩნიოთ. ვფიქრობთ, ის სტატისტიკური წყაროები, რომლებშიც კოლექტივიზაციისწინა სოფლის კულაკური მოსახლეობის რაოდენობას საქართველოში დაახლოებით 3 პროცენტამდე მიიჩნევენ, მიუხედავად სერიოზული ნალოვანებებისა, მაინც უფრო სწორად ასახავს სოფლის სოციალურ-ეკონომიურ დიფერენციაციას.

ფ. ლომაშვილის მეტად საინტერესო მონოგრაფია, რომელიც ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის შედეგია, მრავალ საინტერესო საკითხს ეხება. სპეციალისტი მკვლევარები კიდევ არაერთხელ დაუბრუნდებიან ამ ფრიადმნიშვნელოვან გამოკვლევას, რადგან საქართველოსა და ამიერკავკასიის უახლოესი ისტორიის ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუღლის ნაშრომს, რომელიც ქართული და მიუღია საბჭოთა ისტორიოგრაფიის თვიურმახი შენამენია.

სასიამოვნოა, რომ იგი რუსულ ენაზეა გამოცემული და ხელმისაწვდომია საკავშირო მკითხველი საზოგადოებისათვის, რომელსაც ერთობ კარგ შთაბეჭდილებას შეუქმნის ჩვენში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თანამედროვე დონის შესახებ, მაგრამ ნურც ქართველ მკითხველს დავიფიქრებთ და ჩვენს კოლმეურნე გლეხს მივაწოდოთ ეს ნაშრომი მშობლიურ ენაზე.

ალჰირო

„მოსხმიალე თეატრის“ ენთუზიასტები

როგორც გაზეთ „ალ-მუჯახიდის“ თეატრალური კრიტიკოსი ხარა მუხუმი აღნიშნავს, ალჰირის მრავალრიცხოვან, ნახევრად პროფესიულ ახალგაზრდულ თეატრალურ დასებს შორის, ბოლო ხანებში საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო „ტეატრ დე ნომადმა“ („მოსხმიალე თეატრი“). დასში რამდენიმე კაცია. მთელი მისი ბარჯიბარხანა თავისუფლად მტევა პატარა სატვირთო მანქანაზე, რომლითაც ასაღვარდა ენთუზიასტები მგზავრობენ.

რეცენზენტი წერს, რომ „მოსხმიალე თეატრის“ სპექტაკლი რამდენიმე სცენისაგან შედგება. ეს სცენები ჩვეულებრივ, გაერთიანებულია ხაერთო იდეით — გამოაშკარავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, ახსნას აგრარული რეფორმისა და სხვა სოციალურ გარდაქმნათა აუცილებლობა და არსი.

მსახიობებს თამაშის პირობითი მანერა აქვთ. სპექტაკლში ბევრია ხალხური სიმღერა, რომელიც საჭირო რიტმს აძლევს წარმოდგენას. მაყურებელს განსაკუთრებით იზიადებს ის გარემოება, რომ სპექტაკლი მიდის არაბული ენის ყველასთვის გასაგებ ალჰირულ დიალექტზე.

„მოსხმიალე თეატრის“ მსახიობებმა კორესპონდენტს განუცხადეს, რომ მიემგზავრებიან ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მასალის შესაგროვებლად. მომავალი გეგმების შესახებ მსახიობებმა თქვეს: „ჩვენი მიზანია მუშაობა განვავრძოთ პეიხის ტექსტზე, ჩვენი სპექტაკლით ვეწვიოთ სასწავლებლებს, ქარხნებს, სოფლის კომპერატივებს“.

ინგლისი

მაბილ ფრენის სატირა

მაიკლ ფრენის უკანასკნელი წიგნის წარმატება მოწმობს რომ ავტორმა, ყოფილმა ჟურნალისტმა, ბოლო წლების განმავლობაში ნიჟერიის სატირიკოსის რეპუტაცია დაიმკვიდრა.

მის რომანს, „ტკბილი სიწმირები“, აღტაცებით შეხვდა კრიტიკა. მალე იგი ბესტსელერად იქცა ამერიკული ყოველკვირეულის „ნიუ-იორკ ტაიმს“ ბუკ რევიუს „ფურცლებზე“. ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯალი მარგარეტ დრუბლი წერს:

„მთელი გულით ვაძლევ რეკომენდაციას ამ წიგნს... იგი ელვარე, გონიერი, მხიარული, სტილისტურად ბრწყინვალე და ძალზე სასაცილოა... ფრენის იშვიათი ტალანტი აქვს... მისი მაცდურად სადა წიგნები დიდხანს ცოცხლობენ მეხსიერებაში. ისინი იყითხებიან დიდი სიამოვნებით, — და ეს წიგნიც არ წარმოადგენს გამონაკლისს.“

რომანის გმირს, გოვარდ ბეტკერს მოიტაცებენ ლონდონის ქუჩებიდან. იგი მოხვედბა ზეციურ ფანტასტიკურ ქალაქში. ამ ქალაქის ცხოვრება საოცრად აგონებს მას თანამედროვე ინგლისსა და ამერიკას. გმირისთვის ნაცნობ არსებულ სინამდვილეს ადვილად ერწყმის სამოთხე წარსულისა და მომავლის იმ წარმოდგენებით, რომლითაც მოკულია თანამედროვე ადამიანის გონება, მაგრამ ეს სამოთხე, წარსულის პერვლა გადაუწყვეტელი პრობლემითა და თანამედროვე კონფლიქტებით, რომლებიც გონებას უმღვრევენ ადამიანს მომავალზე ოცნებისას, აქ იოლადა გადაწყვეტილი და ხაქმოდ პროზაულადაც. ადამიანის დაწინაურება სამსახურში ხდება მხოლოდ წინასწარი მოსაზრებით. ცოლები, საყვარლები, ბავშვები — ყველანი ხარობენ. წიგნის გმირი გართულია ყველაზე პროზაული და ურთულესი პრობლემებით: ვინ მიწვივოს ჩაიზე და როგორ შექმნას ახალ ურთიერთობათა მოქნილი სისტემა.

„ფრენის რომანი — წერს დრუბლი, — ხატირა თანამედროვე მოდაზე, ყოფაზე, შრომაზე, ჩვეულებებსა და შეხედულებებზე, ის თავისებური ანგარიში თანამედროვე ადამიანის



ჩამოყალიბების პროცესზე,
მის შინაგან ბუნებაზე...

ამერიკული ჟურნალი
„ხატრედი რევიუს“ რე-
ცენზენტი ფრენს სვიფტ-
სა და შოუს აღარებს,
„კომიკურ და კოსმოსურ
ნაწარმოებს“ უწოდებს
მის წიგნს, რომლის ციტი-
რება შეიძლება დაუსრუ-
ლებლად, იმიტომ რომ
მასში გაფანტული აფორიზ-
მები „არა მარტო მანვილ-
გონიერულია არამედ უაღ-
რესად ღრმაწარვანიც.“

იუგოსლავია

სინტამრის როლი

ხალხური სიმღერების
ახალგაზრდა შემსრულებე-
ლი უსნია რაჯკოვა ახ-
ლახან პირველად გამოვი-
და ბელგრადის სახალხო
თეატრში, სადაც განახი-
ერა ბოშა ქალის კოსტანახ
როლი—ცნობილი ხერბი-
ელი დრამატურგის ბორი-
სავ სტანკოვიჩის ამავე ხა-
ხელწოდების დრამაში.

სპექტაკლი „კოსტანა“
ნახევარ საუკუნეზე მეტია
იდგმება იუგოსლავიის თე-
ატრებში.

ერაყი

ბაბლო ნერუდას ლამსემი არაბულ მნაზი

როგორც ვაჭეთი „ბაგ-
დად ოხსერვერი“ იუწყე-
ბა, ერაყის ინფორმაციის
სამინისტრომ გამოყო სახ-
სრები ჩილიელი პოეტის—
პაბლო ნერუდას ლექსები-
სა და პოემების კრებუ-
ლის გამოსაცემად არაბულ
ენაზე.

თარგმანი მოამზადა არა-
ბული ლიტერატურის მახ-
წავლელმა, მადრიდის
უნივერსიტეტში — დოქ-
ტორმა მამსულ სუბმა.

კონგო

სამზი მასკოტის სიმღერა

კონგოში — გრამინა-
წერების ფირმამ „სონაფ-
რიკმა“ გამოუშვა ახალგა-
ზრდა პოპულიარული მომ-
ღერლის — სამზი მასკო-
ტის სიმღერება. ის არა
მარტო მომღერალია, არა-
მედ პოეტიც და კომპოზი-
ტორიც. უველა მისი სიმ-
ღერის ტექსტი მანვე და-
წერა.

სამზი მასკოტი ხალხუ-
რი სიმღერებისა და მუსი-
კისადმი სიუვარული ჭერ-
კიდევ ადრეული ბავშვო-
ბის ასაკში გამოავლინა.
მისი ბაბუა შესანიშნავად
უკრავდა ნსამბიზე—ნაცი-
ონალურ ვიტარაზე.

სამზი მასკოტი 1960
წლიდან წარსდგა საზოგა-
დოების წინაშე და უმალ
აფრიკის საუკეთესო შემს-
რულებლების გვერდით
დაიმკვიდრა ადგილი. ის
მღერის აფრიკაში უველა-
ზე გავრცელებულ ლინგა-
ლურ ენაზე, თუმცა მას-
კოტის კონცერტები თანა-
მედროვე მუსიკის აკომპა-
ნიმენტით ხრულდება, მი-
სი სიმღერები მაინც ინარ-
ჩუნებენ ეროვნულ კოლო-
რიტს.

სიმღერების თემებია
მშობლიური ქვეყნის კონ-
გოს ხალხის ცხოვრება, —
უველაფერი ის, რაც აღელ-
ვებს თანამედროვე კონ-
გოელ ხალხს.

ჟურნალი „ჟონ აფრიკი“
აღნიშნავს: „არაა აუცი-
ლებელი იცოდე ლინგალუ-
რი ენა, რომ იგრძნოთ
ღრმა აღამიანური თვისე-
ბები სამზი მასკოტის სიმ-
ღერებში“.

უზბეკეთი

სინტამრის ანთოლოგია

ბუდაპეშტში, გამოცემე-
ლობა „კოშუტ“-ში გამო-
ვიდა ანთოლოგია „თანა-
მედრო პოპულიარული მომ-
ღერლის“ მოგვითხრო-
ბედა. ეს პირველი მრავალ-
ტომიანი სოციოლოგიური
ნაშრომია მუშათა კლასზე,
რომელიც მოიცავს პერი-
ოდს 1868 წლიდან 1945
წლამდე.

ანთოლოგიას „თანამე-
დროენი მოგვითხრობენ“
დიდი ინტერესით შეხვდა
საზოგადოება. წიგნი გა-
მოქვეყნებულია შრომები
ისეთი ცნობილი მწერლე-
ბისა, როგორცაა მოლნარ
ერიკი, იოჟეფ დარვაში,
ლაიშ ნადი, ისტორიკოსი
დიული რეზლირი და სხვა.
აგრეთვე მუშათა მოძრა-
ობის გამოჩენილ ხელმძღვა-
ნელთა მოგონებები.

მევიპტა

„ჩემი ხაზბრელი ბალადა“

როგორც ეგვიპტის პრე-
სა იუწყება, უკანასკნელ
დროს დიდი პოპულარო-
ბით ხარვეზლოპს პოეტ
ამჟად ფუადა ნოგმის ლე-
ქსები, რომელიც წერს კა-
ირის ხალხურ დიალექ-
ტზე

პოეტის პირველ კრე-
ბულს ეწოდება „ცხოვ-
რობენ ჩემი ქალაქის ადა-
მიანები“. გასული წლის
ბოლოს გამოვიდა მისივე
მეორე კრებული სათაუ-
როთ — „ჩემი სუვარელი
ქალაქი“, სადაც შევიდა
პოეტის 81 ლექსი.



ამ კრებულის ლექსების
უმრავლესობა ხალხში სიმ-
ღერად იქცა. მუსიკა დაწე-
რა კომპოზიტორმა და
მომღერალმა აშ-შენი-იმამ-
მა. სიმღერები დიდი პო-
პულარობით სარგებლობს
ეგვიპტეში.

რუმინეთი

ოსტატი-პარიკატურისტნი

რუმინელი კარიკატუ-
რისტი ოქტავიან ბოური
აქვეყნებს ნახატებს უურ-
ნალ „სტიაუაში“. საერთო

სათაურით — „ფანქრის
ორგელი“.

კარიკატურისტთა
საერთაშორისო გამოფენა-
ზე სკოპლეში მისი ნახა-
ტები აღიარეს საუკეთე-
სოდ და მხატვარს პრემია
მიანიჭეს.

გარეკანის მეორე გვერდზე ა. შაზვაში ნახ. ილია უთურაშვილისა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. ციციშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტის განუოფილებმა მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ. შვ. მღვიმის — 95-08-35. განუოფილებების: პოეზიის
კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადეცა ასაწყობად 20/VIII-74 წ., ხელმოწერილი დასაბეჭდად 8/X-74 წ., ქალაქის ზომა
70 X 108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ
თაბახი 14,5. შეკვეთა № 3111 უე 01885 ტირაჟი 27,551

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

№ 60 1966.



საქართველოს
სახელმწიფო
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236